

თარგმნა ეთერ თვარაძემ

კილიმანჯაროს თოვლიანი მთა
მოხუცი და ზღვა,
მშვიდობით იარაღო!

ერნესტ ჰემინგუეი

კილიმანჯაროს თოვლიანი მთა

კილიმანჯარო მარადთოვლიანი მთაა, 19710 ფუტის სიმაღლისა, და აფრიკაში ამ სიმაღლე მთა მეორე არ არისო, ამბობენ. მის დასავლეთ მწვერვალს «ნგაი ნგაის», ანუ ღვთის სახლს უწოდებენ. ზედ მწვერვალთან ლეოპარდის გაყინული და გამოფიტული გვამი გდია. კაცმა არ იცის, რამ აიყვანა იმ სიმაღლეზე.

— საოცარია, სულ აღარ მტკივა, — თქვა მან, ასე იწყება ხოლმე, ეს არის პირველი ნიშანი.

— მართლა არ გტკივა?

— სავსებით. ოღონდ ამ სუნს რა ეშველება. მომიტევე, ალბათ გულს გირევს.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს.

— აბა, შეხედე, — თქვა კაცმა, ნეტა ვიცოდე, ასე რა იზიდავთ_სუნი, თუ სანახაობა.

მიმოზის გადმობურულ ჩრდილში იწვა კაცი, და როცა მზისგან ალმურმოკიდებულ მინდორს გახედა, სამი უშველებელი ფრინველი შენიშნა — ფეხები უტიფრად გაეჩაჩხათ და ჩაცუცქულიყვნენ, ცაში კი ერთი დუჟინი ასეთივე ფრინველი დასრიალებდა, მათი ჩრდილები მიწაზე ელვის სისწრაფით დაქროდა.

— რაც საბარგო მანქანა გაგვიტყდა, სულ აქ ირევიან, განაგრძო კაცმა, დღეს პირველად დაეშვნენ მიწაზე, წინათ ძალიან გულმოდგინედ ვაკვირდებოდი, იქნებ როდესმე მოთხრობაში გამოვიყენო-მეთქი. ახლა უკვე სასაცილოდ მეჩვენება.

— ნეტა არ აიხირებდე! — უთხრა ქალმა.

— ჩემთვის ვლაპარაკობ, გულს ვიოხებ, — უთხრა კაცმა, — ოღონდ ეს არის, რომ შენს შეწუხებას ვერიდები.

— შენც ხომ იცი, რომ ამითი მე არა ვწუბდები, მიუგო ქალმა, პირიქით, ის მიშლის ნერვებს, რომ ხელფეხშეკრულივითა ვარ, ვერაფერი გამიკეთებია. რამდენადაც კი შეიძლება, მხნედ უნდა ვიყოთ და ისე ველოდოთ თვითმფრინავს.

— უცადე, მანამ მოვიდოდეს!

— მითხარი მაინც, რა გაგიკეთო. ნუთუ არაფერი შემიძლია!

— შენ შეგიძლია ფეხი მომკვეთო და შეაჩერო. თუმცა ეგეც მეეჭვება. ან არადა, მესროლო და გამათავო. უკვე მარჯვედ ისვრი. აკი მე თვითონ გასწავლე სროლა!

— კარგი რა, თუ ღმერთი გწამს. გინდა წაგიკითხო?

— რა უნდა წამიკითხო?

— შევარჩევ რამეს ჩანთაში, რაც არ წაგვიკითხავს.

— ვერ მოვისმენ, უთხრა კაცმა, ყბედობა გაცილებით ადვილია. ჩვენ ვჩხუბობთ და ამითი დრო გაგვყავს.

— მე როდის გეჩხუბები. სადა მაქვს ჩხუბის თავი. ნუღარც ვიჩხუბებთ. რა ვუყოთ, რომ ნერვები მოგვეშალა. იქნებ დღესვე გამოგვიგზავნონ საბარგო მანქანა, ან თვითმფრინავი გამოჩნდეს.

— სულ ერთია, ფეხსაც არ მოვიცვლი აქედან, თქვა კაცმა, რაღა აზრი აქვს წასვლას. ეს არის, შენ გეშველება.

— რა სილაჩრე!

— დააცადე კაცს, დამშვიდებით ამოხდეს სული, რაღას ლანძღავ! გინება რომ საქმეს შველოდეს!

— არ მოკვდები.

— რას სულელობ_კვდები და ეს არის. აბა, იმ აქოთებულებსა ჰვითხე_, იქითვენ გაიხედა, სადაც ის უშველებელი, ბინძური ფრინველები ჩაცუცულიყვნენ და გატიტვლებული თავები აჩეჩილ ბუმბულში ჩაერგოთ. ახლა მეოთხეც დაეშვა დაბლა. ცოტაზე წაფაფხურდა და მერე ბაჯბაჯით წავიდა დანარჩენებისაკენ.

— მაგათ რას უყურებ, კარავი თუ დალანდეს სადმე, მაშინვე იქ გაჩნდებიან. და კაციშვილი არ აქცევს ყურადღებას. თვითონვე თუ არ დაჰყარე ფარ-ხმალი, არ მოკვდები.

— ეგ სად ამოიკითხე? ჰოი, რა რეგვენი ხარ!

— სხვაზედაც უნდა იფიქრო.

— მადლობა ღმერთს, ჩემი დღე და მოსწრება მეტი არაფერი მიკეთებია.

კაცი ისევ მიწვა და ერთხანს ხმა არ გაუღია, გაჰყურებდა გაფიცხებული მინდვრისაგან ალაპლაპებულ ჰაერს და თვალს ბუჩქებს უწვდენდა. ხედავდა ქურციკებს, სულ გალეულებსა და თეთრებს ამ ყვითელ ფონზე, უფრო შორს კი_ზებრის ჯოგს, რომელიც ბუჩქების სიმწვანეში ქათქათა თეთრი ჩანდა. შესანიშნავი ადგილი შეერჩიათ კარვის გასაშლელად_დაბურული ხეების ქვეშ, ზედ მთის ძირში ანკარა წყალი, და სულ ახლოს, იქვე ნახევრად დამშრალი წყარო, რომელსაც დილდილაობით კაბების გუნდი გადაუფრენდა ხოლმე.

- _ არ გინდა, რამე წაგიკითხო?_ ჰკითხა ქალმა, იგი საწოლთან იჯდა, ტილოს დასაკეც სკამზე,_აგერ ნიავმაც წამოუბერა.
- _ არ მინდა. მადლობელი ვარ.
- _ იქნებ მანქანაც გამოჩნდეს.
- _ ჩემთვის სულ ერთია, გამოჩნდება თუ არა.
- _ ჩემთვის _ არა.
- _ ასეა ხოლმე_რაც ჩემთვის სულ ერთია, შენთვის არ არის სულერთი.
- _ ეს არცთუ ისე ხშირად ხდება, ჰარი.
- _ მოდი, დავლიო?
- _ გაწყენსო, გითხრეს. ბლეიკსაც ასე აქვს, ალკოჰოლს ერიდონო. ნუ დალევ.
- _ მოლო!_ გასძახა კაცმა.
- _ აქა ვარ, ბვანა.
- _ სოდიანი ვისკი!
- _ ახლავე, ბვანა.
- _ ნუ დალევ, უთხრა ქალმა,_სწორედ ამას ჰქვია ფარ-ხმალის დაყრა. ვნებსო, გეუბნებიან. მეც ხომ ვიცი, რომ გაწყენს.
- _ რას ამბობ,_თქვა კაცმა,_მომიხდება კიდეც.

მაშ ასე, ყველაფერი გათავდა, ფიქრობდა იგი. მორჩა, ვეღარასოდეს მოაბამს ბოლოს. სასმელზე დავა ყოფილა ყველაფრის ბოლო. რაც მარჯვენა ფეხის განგრენა დაეწყო, ტკივილი გაუქრა, ხოლო ტკივილთან ერთად შიშიც გაქრა. საშინელ დაქანცულობასღა გრძნობდა ახლა, და თან ბრაზს, რომ ყველაფრის ბოლო ეს აღმოჩნდა. ის, რაც ასე ახლოვდებოდა, თითქმის არავითარ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას არ აღუმრავდა. რამდენი წელიწადია თანა სდევს ის, მაგრამ ახლა უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საოცარი კია_დაქანცულობამ როგორ გაუიოლა ყველაფერი.

მორჩა, ვეღარასოდეს დაწერს იმას, რასაც ამდენი ხანი ელოლიავებოდა და მხოლოდ დროსღა უცდიდა, რათა უფრო ხეირიანად გასცნობოდა და კარგად დაეწერა. სამაგიეროდ მარცხსაც არ გამოსცდის. იქნებ სულაც არა ხარ ამის დამწერი და ამიტომაც სდებ და სდებ_ვერა და ვერ გაგიბედავს დაწყება. ვინ იცის. ახლა რაღას გაიგებ.

_ ნეტა სულაც არ ჩამოვსულიყავით, _ თქვა ქლმა. იგი შეჰყურებდა კაცის ხელში ჭიქას, და ტუჩებს იკვნეტდა,_პარიზში ხომ არ დაგემართებოდა ამისთანა რამე. სულ პირზე გეკერა, პარიზი მიყვარსო. ან პარიზშივე დავრჩებოდით, ან სადმე სხვაგან წავიდოდით. აკი გეუბნებოდი, საცა იტყვი, იქ წავიდეთ-მეთქი. ნადირობა თუ მოგენატრებოდა, უნგრეთში გადავიდოდით, და, რასაც ისურვებდი, ყველაფერი გექნებოდა.

_ ოჰ, ეს შენი ოხერი ფული!
 _ ეს კი უსამართლობაა,_თქვა ქალმა,_ჩემი და შენი ფული ვინ გაყო! ყველაფერი მივატოვე და შენ გამოგყევი. საცა მოიგუნებებდი, იქ მოგყვებოდი, რასაც მოისურვებდი, იმას ვაკეთებდი. მაგრამ, ნეტა აქეთ არ გვექნა პირი.

— აკი ამბობდი, აქაურობა მიყვარსო.

— მიყვარდა კიდეც, მანამ შენ კარგად იყავი. ახლა კი მძულს. რაღა მაინცდამაინც შენს ფეხს ეცა. რა დავაშავეთ ასეთი!

— ჩემი დანაშაული ის არის, რომ, როცა ფეხი გამეკაწრა, იოდის წასმა ვერ მოვიფიქრე. მერე სულაც გადავივიწყე, იმიტომ, რომ ჩემს დღეში არავითარი ინფექცია არ შემჭრია. ბოლოს, როცა მაგრად ამტკივდა, კარბოლის სუსტ ხსნარს ვხმარობდი, სხვა ყველაფერი გაგვითავდა. ამან გამოიწვია წვრილი ძარღვების დამბლა, და განგრენაც დამეწყო, — კაცმა ქალს შეხედა. — სხვა რა?

— მაგას არ გეუბნები.

— ეს ჩამოფხრეწილი აფრიკელი შოთერი რომ არ აგვეყვანა და ნამდვილი მექანიკოსი დაგვექირავებინა, ადრევე შენიშნავდა ზეთის ნაკლებობას და მანქანა აღარ გაგვიფუჭდებოდა.

— არც მაგას გეუბნები.

— შენს ხალხს რომ არ მოსწყვეტოდი_იმ ვესტბორელ, სარატოგელ და პალმბიჩელ ოხრებს და მამაძალებს, და მე არ გამომყოლოდი...

— აბა, რატომ ლაპარაკობ_მე ხომ მიყვარდი. ეს უსამართლობაა. ახლაც იმგვარადვე მიყვარხარ. მუდამაც მეყვარები. შენ არ გიყვარვარ?

— არა, უთხრა კაცმა, _არა მგონია. არც არასოდეს მყვარებიხარ.

— რას ამბობ, ჰარი? სულ დაკარგე ჭკუა?!

— არა. რაც არ მქონია, რას დაკარგავდი!

— ნუღარ დალევ მაგას, _უთხრა ქალმა, _ნუ დალევ, ძვირფასო. თუკი რამე შეგვიძლია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ.

— შენ რაც გინდოდეს, ქენი, _თქვა კაცმა, _მე დავიღალე.

თვალწინ წარმოუდგა რკინიგზის სადგური ყარაგაჩში. დგას ზურგჩანთამოვიდებული, და სიმპლონ_ორიენტის ექსპრესის დიდი ფარანი ღამის წყვდიადს მიაპობს. ეს იყო თრაკიიდან უკანდახევის დროს, და თვითონაც უკან ბრუნდებოდა. ესეც მოთხრობისათვის ჰქონდა შემონახული. ესეც და აი რა კიდევ: დილაა და საუზმეს უსხედან, ფანჯრიდან გაპყურებენ თოვლს ბულგარეთის მთებზე, ხოლო ნანსენის მისიის მდივანი ბერიკაცს ეკითხება, ეს თოვლია თუ რაო? და ბერიკაციც გაიხედავს ფანჯარაში და იტყვის, არა, თოვლი არ არისო. ჯერ რა დროს თოვლიაო. და მდივანიც გაუმეორებს სხვა გოგოებს — ხომ ხედავთ, რა დროს თოვლიაო, და ისინიც ერთხმად შესძახებენ_მოგვჩვენებია, თოვლი არ ყოფილაო. სინამდვილეში კი მართლაც თოვლი იყო, ხოლო როცა მოსახლეობის გაცვლა დაიწყო, ბერიკაცმა ქვეყნის ხალხი გაგზავნა მთებში. და ხალხი ძლივს მიკვლევდა გზას თოვლში, მანამ ერთიანად არ გაწყდნენ იმ ზამთარს.

გაუერტალში ყოფნის დროსაც მთელი შობის კვირა თოვდა იმ წელიწადს. მაშინ ტყისმჭრელის სახლში ცხოვრობდნენ, და ნახევარი ოთახი შორენკეცის დიდ, ოთხუთხა ღუმელს ეჭირა, და წიფლის ფოთლით გატენილ ნაალებზე ეძინათ. მაშინ იყო, დეზერტირი რომ მოადგა სახლს, ხოლო მის სისხლიან ფეხს

თოვლზე წითელი კვალი გაეტარებინა. პოლიცია ფეხდაფეხ მომდევსო, და ამათ ღაზლის წინდები მისცეს, ხოლო ჟანდარმები ლაპარაკით შეიქციეს, მანამ ნაკვალევი თოვლმა არ დაფარა.

შრუნსში, შობა დღეს, წირვიდან დაბრუნებულ ხალხს რომ გახედავდი სამიკიტნოდან, თოვლის ბრჭყვიალება თვალს მოგჭრიდა. სწორედ იმ შრუნსში იყო, მძიმე თხილამურებს რომ გაიდებდნენ მხარზე და შარდისგან გაყვითლებულსა და მარხილებით გატკეპნილ გზას აუყვებოდნენ, მდინარის პირ-პირ; ნაძვებით დაბურულ ციცაბო სერს აივლიდნენ და მერე მოწყვეტით დაეშვებოდნენ მადლენერ-ჰაუზის ყინულზე. თოვლი იყო შაქარყინულივით გლუვი და ფხვნილივით მსუბუქი; აგონდებოდა, დიდი სისწრაფის გამო რა უხმაუროდ ეშვებოდნენ და როგორ ჩიტივით დასკუპდებოდნენ დაბლა.

ნამქერმა მთელი ერთი კვირა ფეხი არ მოაცვლევინა მადლენერ-ჰაუზიდან. ისხდნენ და ახრჩოლებული ფარნის მბჟუტავ სინათლეზე კარტს თამაშობდნენ. რაც უფრო მეტს აგებდა ჰერ ლენტი, მით უფრო მეტსა და მეტს ჩამოდიოდნენ ფულს. ბოლოს ყველაფერი წააგო _ სათხილამურო სკოლის ფული, მთელი სეზონის შემოსავალი, თავნიც. ახლაც თვალწინ ედგა, რა გაფაციცებით იღებდა ეს გრძელცხვირა კაცი კარტს და მერე ერთბაშად გაშლიდა _ «შანს ვოირ», წუთსაც არ აცდენდნენ: ბარდნიდა_თამაშობდნენ, გადაიღებდა _თამაშობდნენ. გაიფიქრა _ მთელ ჩემს სიცოცხლეში კარტის თამაშზე რამდენი დრო წამსვლიაო.

მაგრამ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია არც იმაზე, არც შობის იმ ცივ, ჭახჭახა დღეზე, როცა მინდვრის გადაღმა წამომართული მთები გარკვევით ჩანდა; მერე ბარკერმა გადაუფრინა ამ მთებს ფრონტის ხაზიდან, რათა ფრონტიდან შინ მიმავალი ავსტრიელი ოფიცრების მატარებელი დაებომბა; ხოლო როცა ოფიცრები გაიფანტნენ და გაიქცნენ, ტყვიამფრქვევი დაუშინა. გაახსენდა, როგორ შევიდა მერე ბარკერი ოფიცერთა სასადილოში და ამის მოყოლა დაიწყო, როგორ ჩაუვარდა ყველას ენა და ბოლოს ვიღაცამ შეჰყვირა_შე ნაბიჭვარო ყასაბოო!

სწორედ ეგ ავსტრიელები იყვნენ _ მაშინ ხოცავდნენ, უფრო მოგვიანებით კი თხილამურებზე დასრიალებდნენ მათთან ერთად. თუმცა არა, იგივე ხალხი არ ყოფილა. ჰანსი, რომელთანაც ერთად თხილამურებით დადიოდა მთელი წელიწადი, კაიზერის ეგერთა პოლკში იყო, და კურდღელზე სანადიროდ რომ გაემართნენ სახერხი ქარხნის ზემოთ პატარა მინდვრისაკენ, ლაპარაკი ჩამოვარდა პასუბიოს ბრძოლებზე, პეტრიკასა და ასალონეს იერიშებზე... და ერთი სიტყვაც არ დაუწერია ამაზე. არც მონტე კორნოზე, არც სიეტე კომუმზე, არც არსიედოზე.

რამდენი ზამთარი გაატარა ფორალბერგსა და არლბერგში? ოთხი, და უცებ ერთი კაცი მოაგონდა _ ბლუდენცისკენ რომ მიდიოდნენ საჩუქრების საყიდლად, ეს კაცი მელასა ჰყიდდა; მოაგონდა დიდებული კირში, რომელსაც ალუბლის გემო დაპკრავდა, ფიფქი თოვლის კორიანტელი გალიპულ ბილიკზე, «ჰი! ჰო! როლი როლის» წამღერება, როცა უკანასკნელად

მოუხვევდნენ და ციცაბო გორაკს მიადგებოდნენ, იქიდან პირდაპირ დაშვება, სამჯერ მოქნევა და ბალის ბოლოში ხარ, არხს გადაევლები და სასტუმროს უკან გახვალ, ყინულით გასლიპულ გზაზე. სამაგრებს მოუშვებ, ფეხს მოიქნევ, თხილამურებს წაიძრობ და სასტუმროს ფიცრულ კედელზე მიაყუდებ, ფანჯრიდან ლამპის შუქი გამოდის, შიგნით კი, კვამლით გამოვსებულ, ღვინის ოხშივარით გამთბარ ოთახში, აკორდეონს უკრავენ.

— პარიზში სად ვიდექით? - ჰკითხა მან ქალს, რომელიც ზედ სასთუმალთან ეჯდა, ტილოს დასაკეც სკამზე, აქ, აფრიკაში.

— კრიონში. შენ თვითონაც ხომ იცი!

— მე საიდან უნდა ვიცოდე?

— მუდამ იქ არ ვჩერდებით!

— არაფერიც. მუდამ არა.

— იქა და ჰენრი მეოთხის პავილიონში, სენ ჟერმენზე. აკი მიყვარს იქაურობაო!

— სიყვარული ნეხვის გროვაა, _თქვა ჰარიმ, _მე კიდე მამალი ვარ, შევხტები ამ გროვაზე და ყიყლიყოს ვიძახი.

— შენ მიდიხარ_მიდიხარ, აქ აღარავის ტოვებ? _უთხრა ქალმა, _ყველა თან უნდა გაიყოლო? ცხენსაცა კლავ, ცოლსაც, და აბჯარ-უნაგირიც ცეცხლს უნდა მისცე?!?

— უსათუოდ. შენი ოხერი ფულია ჩემი აბჯარი.

— გაჩუმდი ერთი!

— კარგი. აღარ ვიტყვი. გული რად უნდა გატკინო!

— ცოტა გვიან კი მოგივიდა.

— რახან ასეა, აღარ მოგეშვები. გავერთობი მაინც. ერთადერთი რაღაცის გაკეთება მიყვარდა შენთან ერთად, და უკვე იმის თავიც აღარა მაქვს.

— არა, არა ხარ მართალი. სხვაც ბევრი რამე გიყვარდა. და რასაც შენ მოიწადინებდი, მეც ვაკეთებდი ხოლმე.

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, მოეშვი მაგ ტრაბახს.

ქალს შეხედა და ნახა, რომ ტიროდა.

— მოიხედე, _უთხრა მან, _შენ გგონია, მე მსიამოვნებს! თვითონაც არ ვიცი, რატომ ვაკეთებ ამას. სხვასა კლავ, რომ საკუთარი სიცოცხლე შეიგრძნო_ალბათ, ეს არის მიზეზი. როცა ლაპარაკი დავიწყეთ, არავითარი ცუდი განზრახვა არა მქონია. ახლა კი ლამის გავცოფდე და შენც ასე გაწამებ. ყურს ნუ ათხოვებ ჩემს სიტყვებს, ძვირფასო. ხომ იცი, მიყვარხარ, გულით მიყვარხარ. შენსავით არც არავინ მყვარებია.

ახლაც ჩვეულებრივ იცრუა. ეს აჭმევდა პურს.

— რა ტკბილი ხარ!

— აი, შე ძუკნავ, _უთხრა კაცმა, _მდიდარო ძუკნავ. მეტი კი არაფერია პოეზია. პოეზიით ვარ სავსე. პოეზიითა და სიდამპლით. დამპალი პოეზიით.

— გაჩუმდი, ჰარი. რა ეშმაკი შეგიძვრა!

— აღარაფერს ვტოვებ ჩემს შემდეგ,—თქვა კაცმა,—ყველაფერი თან უნდა გავიყოლო.

მოსალამოვდა. კაცმა გაიღვიძა. მზე გორაკს მოფარებოდა და მთელ მინდორზე ჩრდილი იწვა, წვრილფეხა ცხოველები ზედ კარავთან ძოვდნენ. იგი ხედავდა, როგორ თანდათანობით შორდებოდნენ ბუჩქებს, რა მალიმალ დასწევდნენ ხოლმე თავს ბალახზე და განუწყვეტლივ კუდს აქიცინებდნენ. ფრინველები აღარ ჩანდნენ მიწაზე, ხეზე ჩამოხუნდლულიყვნენ მძიმედ. ახლა გაცილებით მეტი იყო. მოსამსახურე ბიჭი ლოგინთან უჯდა.

— მემსაბიძი სანადიროდ წავიდა,—თქვა ბიჭმა,—ბვანას ხომ არაფერი ნებავს?

— არაფერი.

ქალი ნადირის მოსაკლავად წავიდა. მაგრამ, რაკი კაცი ნადირის ცქერით ერთობოდა, მინდვრის ის პატარა კუთხე, სადამდეც კაცს თვალი მიუწვდებოდა, აღარ შეუშფოთებია, უფრო მოშორებით გაემართა. ყველაფერი ახსოვსო, ფიქრობდა კაცი, რაც კი გაუგია, წაუკითხავს, ან ოდესმე გაუგონია.

რა ქალის ბრალი იყო, რომ კაცი თითქმის მოთავებული მივიდა მასთან. რანაირად უნდა მიხვდეს ქალი, რომ, რასაც შენ ეუბნები, ცარიელი სიტყვებია. რომ შენ მხოლოდ ჩვეულების მიხედვით და საკუთარი თავის დასამშვიდებლად ლაპარაკობ?! და რასაც უფრო მეტს ისროდა ამ ფუჭ სიტყვებს კაცი, მის ტყუილს უფრო დიდი გასავალი ჰქონდა ქალებში, ვიდრე სიმართლეს.

ცრუობდა, ცრუობდა, ეს კიდევ არაფერი, უფრო დიდი უბედურება ის იყო, რომ სიმართლე აღარც ჰქონდა სათქმელი. უკვე მოსჭამა თავისი წუთისოფელი, და ახლა გადაწყვიტა, ხელახლა დაწყო, ოღონდ უკვე სხვა ხალხთან ერთად, უფრო მეტი ფულით. ნაცნობი ადგილებიდან ყველაზე საუკეთესოს ირჩევდა, და ბევრი ახალი კუთხეც მოინახულა.

ცდილობდა, არ ეფიქრა, და მაშინ მართლაც დიდებულად იყო საქმე. შენ მშვენიერი გულ-გვამი დაგყვა და ამიტომ ისე არ მოშლილხარ, როგორც ბევრს მოსდის, თავს იმგვარად იჭერდი, თითქოს შენი საქმე ფეხებზე გეკიდა, ის საქმე, რასაც ახლა უკვე ვეღარ მოერევი. მაგრამ გულში მაინც ამბობდი, როცა იქნება, ამ ხალხის ამბავს დავწერო, სიმდიდრისაგან გაზულუქებული ხალხის ამბავს. შენ თვითონ არასოდეს ყოფილხარ იმათი მოდგმისა. მაგრამ მზვერავივით იყავი მათთან. მერე მიატოვებდი, დაწერდი, და ეს იქნებოდა პირველი შემთხვევა, როცა საკუთარი თვალით დანახულ და განცდილ სინამდვილეს აღწერდა კაცი. მაგრამ ვერ იქნა და ვერ მოჰკიდა კალამს ხელი. არ ეწერებოდა, ყოველი დღე ფუფუნებით იყო სავსე, და ეს გულს ურევდა, ნიჭს უჩლუნგებდა, წერის სურვილს უდუნებდა, ისე რომ, საბოლოოდ სულაც გაანება თავი წერას. იმ ხალხისათვის, ვის წრეშიაც ტრიალებდა, გაცილებით ხელსაყრელი გამოდგა ეს. თავისი ცხოვრების უბედუნიერესი ხანა აფრიკაში ჰქონდა გატარებული, და ახლა ისევ ჩამოვიდა, რათა თავიდან დაეწყო ყველაფერი. ახლა ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლები კომფორტით

ემოგზაურათ. არც გაჭირვება განუცდიათ, მაგრამ ფუფუნებითაც არ ცხოვრობდნენ. ასეთი წვრთნით ძველ ენერგიას დავიბრუნებო, ფიქრობდა. ცდილობდა, ისევე ჩამოეცილებინა სულიდან ქონი, როგორც მოკრივე იგდებს წონას, მთაში განუწყვეტელი წვრთნითა და მუშაობით.

ქალს მოსწონდა ასეთი მოგზაურობა. მომწონსო, ამბობდა. ყველაფერი მოსწონდა, რაც კი მღელვარებას განაცდევინებდა, გარემოს შეუცვლიდა, ახალ ხალხში გარევდა და სიამოვნებას მიანიჭებდა, და კაცსაც მოეჩვენა, თითქოს მუშაობის ძველი ჟინი უბრუნდებოდა. მაგრამ ახლა რაღა ხერხემალგადატეხილი გველივით იგრიხოს და თავი დაიკბინოს, თუკი ეს არის ყველაფრის ბოლო! იცოდა კი, რომ სწორედ ეს იყო ბოლო. ამ ქალმა რა დაუშავა?! ეს არა_სხვა იქნებოდა, თუკი მთელი სიცოცხლე ტყუილებით გაატარა, ბარემ ტყუილით მოკვდეს. გორაკის გადაღმიდან სროლის ხმა მოესმა.

კარგად ახვედრებდა ნიშანში ეს მდიდარი, კეთილი ძუკნა, ეს სათნო მზრუნველი და მისი ნიჭის დამღუპველი. სისულელეა. თავს დააბრალოს. რაღა ამ ქალს მისდგა, ეგ ხომ სულ იმის ცდაში იყო, როგორმე კარგად მოეწყო კაცის ცხოვრება?! თვითონვე დაიღუპა ნიჭი უსაქმურობით, საკუთარი თავისა და რწმენის ღალატით, ლოთობით_რამაც აღქმის უნარი დაუჩლუნგა, სიზარმაცით, გაზულუქებით, სწობიზმით, პატივმოვარეობითა და კუდაბზიკობით, ჯანდაბითა და ოხრობით. რა იყო ეს? ძველი წიგნების კატალოგი? ან მისი ნიჭი რას წარმოადგენდა? ნიჭს არა უშავდა რა, მაგრამ გამოყენების მაგივრად ვაჭრობდა ხოლმე ამ ნიჭით და იმის ნაცვლად, რომ ეთქა_ესა და ეს გავაკეთეო, იმასდა ამბობდა_ამის გაკეთება შემეძლოო. თვითონვე არჩია, რომ სხვა რაღაც ხრიკებით ეცხოვრა და არა კალმითა და ფანქრით. ისიც მრავლისმეტყველია _ არა, განა?_რომ ყოველი ახალი ქალი, ვისაც ის შეიყვარებდა, წინანდელზე მდიდარი იყო. ხოლო როცა სიყვარულმა გადაუარა, როცა მხოლოდა ტყუოდა, როგორც ახლა, ამ ქალთან, ვისაც ყველაზე მეტი ფული ჰქონდა, ქვეყნის ფული ჰქონდა, ვისაც ადრე ქმარიც ჰყავდა და შვილებიც, საყვარლებიც დაუდიოდა, მაგრამ ვერავითარ სიამოვნებას ვერ ნახულობდა, და ვისაც ეს კაცი მთელი სინაზით შეუყვარდა, როგორც მწერალი, როგორც მამაკაცი, მეგობარი და განძი... და უცნაური ის იყო, რომ ახლა, როცა მას სულაც არ უყვარდა და მხოლოდა ტყუოდა, უფრო მეტის მიცემა შეეძლო ამ ქალისათვის ფულის სანაცვლოდ, ვიდრე უწინ, ნამდვილი სიყვარულის დროს.

რისთვისაც მოწოდებული ხარ, ის უნდა გააკეთო, ფიქრობდა. შენი ნიჭი იმითი აიწონება, თუ როგორ შეიქმნი ცხოვრების პირობებს. იგი მუდამ სასიცოცხლო ძალასა ჰყიდვა_ხან ამ სახით, ხან იმ სახით, როგორც მოუხერხდებოდა, მთელ სიცოცხლეს ჰყიდვა, ხოლო როცა გრძნობები გამოფიტული გაქვს, გაცილებით კარგი ხარისხის საქონელი უნდა მისცე მიღებულ ფულში. ამაში უკვე დარწმუნდა. მაგრამ ვერც ამას დაწერს, ვერასოდეს. ვერა, ვეღარ დაწერს, თუმცა ღირდა კი დასაწერად.

მინდორში ქალი გამოჩნდა, კარვისკენ მოდიოდა. ბრიჯი ეცვა და ხელში თოფი ეჭირა. უკან ორი ბიჭი მოსდევდა, ქურციკისთვი ჯოხი გაეყარათ და მხარზე გაედოთ. ისევ შერჩა ძველი მომხიბვლელობა, გაიფიქრა კაცმა, საამური ტანი აქვს. ლოგინში დიდ ნიშანი იჩენდა და კარგად იცოდა ამისი ფასი. ლამაზი არ ყოფილა, მაგრამ კაცს მოსწონდა მისი სახე, თავაუღებლივ კითხულობდა, უყვარდა ცხენით ნავარდი და ნადირობა, და, რაღა თქმა უნდა, ბევრსა სვამდა. ჯერ ისევ ყმაწვილი ქალი ეთქმოდა, ქმარი რომ მოუკვდა და მთელი არსებით მიეცა თავის ორ უკვე მოზრდილ შვილს (რომელთაც სულაც აღარ სჭირდებოდათ დედა, პირიქით, ხელსაც კი უშლიდა), თავის თავლას, წიგნებსა და ბოთლებს. კითხვა საღამოობით უყვარდა, სადილის წინ, და კითხვის დროს სოდიან ვისკისა სვამდა. სადილობისთვის უკვე კარგა შემთვრალი იყო, და ერთი ბოთლი ღვინოლა ჰყოფნიდა, რომ მაგრად მოჰკიდებოდა და ჩასძინებოდა.

ეს, მანამ საყვარლებს გაიჩენდა. საყვარლების შემდეგ ღვინოს იმდენად აღარ მისძალებია, ისედაც ადვილად იძინებდა. მაგრამ საყვარლები მალე მოსწყინდა. ქმართან ერთხელაც არ უგრძნია მოწყენილობა, ამათ კი თავი მოაბეზრეს.

ამასობაში შვილიც დაეღუპა საპაერო კატასტროფის დროს და ამის შემდეგ საყვარლები აღარ ინდომა, ხოლო რაკი სასმელი ტკივილს არ უყუჩებდა, იძულებული გახდა, ახლებური ცხოვრება დაეწყო. უეცრად მარტოობის მწვავე შიშმა მოიცვა, მაგრამ ისეთი კაცი უნდოდა, ვისაც პატივსა სცემდა.

უბრალოდ დაიწყო ყველაფერი. ქალს მისი წიგნები მოსწონდა, და ცხოვრების მისებური წესიც შურდა. რაც გულით სწადია, სწორედ იმას აკეთებსო, ფიქრობდა. ის ხერხები, რითაც მან კაცი დაისაკუთრა და ბოლოს შეიყვარა კიდეც, უკუპროპორციულ პროგრესიასა ჰგავდა_ქალი თავისთვის ახალ ცხოვრებას იშენებდა, კაცი კი თავისი ძველი ცხოვრების ნარჩენებს ჰყიდდა.

ჰყიდდა უზრუნველი ცხოვრებისათვის, კომფორტისათვის _ ამის უარყოფა შეუძლებელია_და კიდევ რისთვის? ეს უკვე აღარ იცოდა. ქალი მზად იყო, ყველაფერი ეყიდა მისთვის, რასაც კი კაცი მოიწადინებდა. ეს აშკარად ჩანდა. თან სასიამოვნო ქალიც იყო. ლოგინში ამასაც ისეთივე სიამოვნებით შეუწვებოდა, როგორც სხვა რომელიმე ქალს. ამას მეტი სიამოვნებითაც, რადგან უფრო მდიდარი იყო, ძალიან სასიამოვნო, სიყვარულის ფასი იცოდა და არასოდეს უმართავდა სცენებს. ახლა კი ეს ცხოვრება, რომელიც ხელმეორედ მოიწყო ქალმა, დასასრულს უახლოვდებოდა, რადგან ორი კვირის წინათ,_როცა ისინი შამბნარში მიიპარებოდნენ ყელმოღერებულ, ნესტოებდაბერილ და გასაქცევად შემართულ ყურდაცქვეტილი ირმებისათვის სურათის გადასაღებად, _ ეკალზე მუხლი გაეკაწრა და იოდის წასმა დაავიწყდა. სურათის გადაღებაც ვერ მოასწრო _ ირმებმა იშვირეს ფეხი და ტყეში გაცვივდნენ.

აგერ, მოახლოვდა კიდევ ქალი.

კაცმა თავი მოაბრუნა, შეხედა და უთხრა:

— ჰელო!

— ქურციკი მოვკალი, _თქვა ქალმა, _ახლავე გემრიელ სუპს მოგიხარშავ, კარტოფილის პიურესაც მოვამზადებინებ. როგორა ხარ?

— უკეთ.

— ასე არ ჯობს?! ვიცოდი, რომ კარგად გახდებოდი. წამინებული დაგტოვე.

— გემოზე გამოვიძინე. შორს იყავი?

— არა. გორაკს შემოვუარე. მარჯვედ კი მოვარტყი.

— დიდებული ქურციკია.

— მიყვარს ნადირობა. აფრიკაც შემიყვარდა. ნამდვილად. ოღონდ შენ კარგად გახდებოდე და ასე ჩემს დღეში არ მისიამოვნია. რა კარგი იქნება შენთან ერთად ნადირობა. ძალიან შემიყვარდა ეს ქვეყანა.

— მეც მიყვარს.

— ჩემო კარგო, ნეტა იცოდე, რა ბედნიერებაა, მოკეთებულს რომ გხედავ. ვერ ვიტან ხოლმე, ისე რომ მოიქამები. ხომ აღარ დამიწყებ ისეთ ლაპარაკს? ხომ აღარა?

— არა. აღარც კი მახსოვს, რა გითხარი.

— რატომ გინდა, ცხოვრება დამინგრიო? ჰა? მე ხომ ახალგაზრდა ქალი აღარ მეთქმის. შემიყვარდი, და, რასაც კი მოისურვებ, მინდა ყველაფერი შეგისრულო. ორ-სამჯერ უკვე დამანგრიეს. შენ ხომ აღარ დამანგრევ, ხომ აღარა?

— ლოგინში სიამოვნებით დაგანგრევდი, და ხშირ-ხშირადაც.

— ო, ეს სულ სხვანაირი დანგრევაა. მაგისტვის ვართ გაჩენილი. ხვალ თვითმფრინავი მოვა.

— რა იცი?

— დარწმუნებული ვარ. უსათუოდ უნდა მოვიდეს. ბიჭებმა უკვე მოამზადეს ფიჩხი და თივა კოცონის გასაჩაღებლად. დღესაც ვიყავი და ვნახე. უშველებელი მინდორი მოუმზადებიათ, ორივე მხარეს უნდა დავანთოთ კოცონები.

— რატომ გგონია, რომ უსათუოდ ხვალ მოვა?

— დარწმუნებული ვარ. აღარ არის დრო?! ერთი ეს ფეხი მოგირჩინონ ქალაქში_ნამდვილი დანგრევა მერე იკითხე. იმ მოქამული ლაპარაკისნაირი კი არა.

— არ დავლიოთ? მზე უკვე ჩავიდა.

— გინდა ვითომ?

— უსათუოდ უნდა დავლიო.

— მაშ ერთად დავლიოთ. Molo, letti dui whisky _ soda! _ გასძახა ქალმა.

— მაღალყელიანი ფეხსაცმელი ჩაიცვი, ქინქლებმა არ დაგჭამონ, _უთხრა კაცმა.

— ჯერ ვიბანაო...

მანამ დაბნელდებოდა, სვამდნენ. როცა შებნელდა და თოფის სროლა უკვე აღარ შეიძლებოდა, მინდორზე აფთარმა გაირბინა და გორაკს შემოუარა.

_ ყოველდამე აქ დაძრწის ეს უწმინდური, _თქვა კაცმა, _ ერთი ღამეც არ გამოუტოვებია ამ ორ კვირაში.

_ ეგ არის, მთელი ღამე რომ კივის. იკივლოს, რა მენაღვლება. თუმცა ყოვლად ბილწი ცხოველი კია.

ვისკის შეექცეოდნენ, ტკივილს სულ აღარ გრძნობდა, ოღონდ ახლა გაუნძრევლად წოლა აწუხებდა. ბიჭებმა ცეცხლი გააჩაღეს, ჩრდილები კარვის კედლებზე ათამაშდნენ... და ამ ვითარებაში თანდათანობით იგრძნო, რომ კვლავ უბრუნდებოდა იმ ცხოვრებასთან შეგუების სურვილი, რაც მას უნებლიერ სიამოვნებად გადაექცა. ქალი ძალიან კარგად ეპყრობოდა. თვითონ მოექცა წელან სასტიკად და უსამართლოდ. მშვენიერი ქალი იყო, მართლაც რომ დიდებული. და ამ დროს კაცს, კვდებიო, გაუელვა.

უცებ მოასკდა ეს. არა როგორც ქარი და ნიაღვარი, არამედ როგორც მყრალი სიცარიელე, და უცნაური ის იყო, რომ ამ სიცარიელის კიდეზე აფთარი მიცოცავდა.

_ ჰარი, რა მოგივიდა? _ჰკითხა ქალმა.

_ არაფერი, _უპასუხა მან, _იქით გადაჯექი, ქარს შეაქციე ზურგი.

_ მოლომ სახვევი გამოგიცვალა?

_ ჰო, ახლა ბორის საფენი მადევს.

_ როგორა ხარ?

_ სუსტად.

_ წავალ, ვიბანავებ, _უთხრა ქალმა, _ახლავე დავბრუნდები. ერთად ვივახშოთ და მერე ლოგინი შევიტანოთ.

მაშ, კარგი გვიქნია, ჩხუბი რომ შევწყვიტეთ, გაიფიქრა კაცმა. ამ ქალთან მაინცდამაინც არასოდეს არ უჩხუბია, იმათთან კი, ვინც გულით უყვარდა, იმდენს ჩხუბობდა, რომ ჩხუბის ჟანგმა სულ შეჭამა, რაც ერთმანეთთან აკავშირებდათ. ძალიან მაგრად უყვარდა, ძალიან ბევრს მოითხოვდა და ბოლოს და ბოლოს სულ გამოიფიტა.

გაახსენდა კონსტანტინოპოლში მარტოდ ყოფნა, ეს იყო ჩხუბის შემდეგ, პარიზიდან გამომგზავრების წინ. მთელი დღეები გარყვნილების მეტი არაფერი უკეთებია, ხოლო როცა გონს მოეგო და ნახა, რომ მარტოობის სევდა არათუ ჩაჰკლოდა, პირიქით, კიდევ უფრო გამწვავებოდა, ადგა და წერილი მისწერა იმ პირველს, რომელმაც მიატოვა. მისწერა _ დღემდე ვერ მომიხერხებია ამის ჩაკვლაო... ერთხელ მომეჩვენა, თითქოს რეჯენსის წინ ჩაიარე და გული ერთბაშად ჩამწყდა და მოვიშალეო, ვისაც კი რითიმე მიგამსგავსებდი, ბულვარზე გამოვედევნებოდი და სულ იმის შიში მქონდა_ვაითუ ის არ აღმოჩნდეს, ვაითუ ეს წუთიერი სიხარულიც წამერთვასო. შენს შემდეგ ვისთანაც არ დავწოლილვარ, კიდევ უფრო მწვავედ განმიცდია შენი განშორებაო. რაც შენ გამიკეთე, აღარც კი მახსოვს და არც აქვს

რაიმე მნიშვნელობა, რადგან, დავრწმუნდი, უშენობა არ შემიძლიათ. კლუბში დაწერა ეს წერილი, სავსებით ფხიზელმა, და ნიუ იორკში გაგზავნა, სთხოვდა, პარიზში ეპასუხებინა, რედაქციის მისამართზე. ასე უფრო უხიფათო ეჩვენა. იმავე ღამეს კი ისე მოენატრა ის ქალი, სულში ავადმყოფური სიცარიელე იგრძნო, ტაქსიმისაკენ წაეხეტა, იქ ვიღაც გოგოს შეხვდა და ვახშმად წაიყვანა. იქიდან საცეკვაოდ წავიდნენ, მაგრამ ცუდი მოცეკვავე გამოდგა, მიატოვა, და ახლა ვიღაც ახტაჯანა სომხის გოგოსთან დაიწყო ცეკვა, მაგრამ ისე ეხახუნებოდა გოგო მუცლით, რომ მთელი სხეული აუწვა. ინგლისელ არტილერიის ოფიცერს წაართვა ეს გოგო და ჩხუბიც მოუვიდათ. არტილერისტმა გარეთ გაიხმო, და პირდაპირ ქვაფენილზე შეებნენ ერთმანეთს, სიბნელეში. ორჯერ გამეტებით შემოჰკრა ყბაში, მაგრამ ძვრაც ვერ უყო და მიხვდა, რომ მაგარ ჩხუბში გაება. არტილერისტმა ჯერ გვერდში ამოჰკრა, მერე – საფეტქელთან. ამან ახლა მარცხენა ხელი მოუქნია და მოარტყა, ხოლო არტილერისტი ქურთუკში სწვდა და სახელო შემოაფხრინა, ამან კი ყურის ძირში ამოჰკრა ორჯერ, ხელი გააშვებინა და ერთი კიდევ მოარტყა მარჯვენათი. არტილერისტი დავარდა და ქვას დაჰკრა თავი, და ამან მაშინვე მოუსვა გოგოსთან ერთად, რადგან სამხედრო პატრულის ხმა გაიგონეს. ჩასხდნენ ტაქსში, ბოსფორს ჩაუქროლეს, რიმილი ჰისას მიადგნენ, იქიდან მოტრიალდნენ და უკანვე მობრუნდნენ. ღამე იყო ცივი, და ისინი შევიდნენ და დაწვნენ. ქალი, შორიდან რომ ჩანდა, ისეთივე გადამწიფებული აღმოჩნდა, ოღონდ კანი ჰქონდა ვარდის ფურცელივით რბილი, და მუცელიც ფაფუკი, მკერდი – დიდი, და ბალიშის ამოდება არც დასჭირვებია. დაძინებული დატოვა, განთიადის შუქზე კარგა ნათრევი ჩანდა. ხოლო იქიდან წამოსულმა პერა-პალასისაკენ გასწია, თვალჩალილავებულმა, ქურთუკი ხელში ეჭირა, რადგან ცალი სახელო მოფხრებილი ჰქონდა.

იმავე ღამეს ანატოლიისკენ გაემგზავრა. მატარებელი ყაყაჩოებით გადაჭრელებულ მინდვრებს სერავდა მეორე დღეს. საგანგებოდ ოპიუმისთვის დაეთესათ ეს ყაყაჩოები, და ახლა გაახსენდა, რა უცნაურ გუნებაზე დადგა ბოლოს. მანძილმა ყველგან მოატყუა, საცა კი გადავიდნენ შეტევაზე ახალჩამოსულ ბერძენ ოფიცრებთან ერთად, რომელთაც არაფერი ესმოდათ ამ ქვეყნისა, ხოლო არტილერია პირდაპირ ჯარს უბათქუნებდა, და ინგლისელი სამხედრო მიმომხილველი ბავშვივით ბლაოდა.

იმ დღეს პირველად ნახა მოკლული ჯარისკაცები. საბალეტო კაბები და ჭვინტაბზეკილი, პომპონებიანი ფეხსაცმელი ეცვათ. თურქები ჯიქურ მოდიოდნენ, და ამან თავისი თვალით ნახა, როგორ მოჰკურცხლეს კაბიანმა ჯარისკაცებმა, ხოლო ოფიცრებმა ჯერ სროლა აუტეხეს მათ, მერე კი თვითონაც მოჰკურცხლეს, და ესა და ინგლისელი მიმომხილველიც შეტრიალდნენ, ამათაც მოუსვეს; ისე გარბოდნენ, რომ ფილტვებში ჩხვლეტა დაეწყო, პირი გაუმწარდა, თითქოს სპილენძის ფულებით ჰქონოდეს გამოტენილი, და რომელიღაც კლდეს ამოეფარნენ. თურქები კი ახლა კიდევ უფრო ჯიქურ მოიწევდნენ. მოგვიანებით ისეთი რამე ნახა, არც დაესიზმრებოდა, ხოლო

ცოტა უფრო გვიან უარესის მოწმე გახდა. ასე რომ, პარიზში დაბრუნების შემდეგ აღარც გახსენება შეეძლო ამეებისა და არც მოსმენა. და კაფეს რომ ჩაუარა ერთ დრეს, ის ამერიკელი პოეტი დაინახა_კარტოფილივით სახე ჰქონდა, გამოლენჩებული თვალები, წინ თეფშები დაეხვავებინა და დადაისტურ მოძრაობაზე ელაპარაკებოდა ვიღაც რუმინელს. ტრისტან თცარა ვარო, იმ რუმინელმა თქვა, თვალზე მონოკლი ეკეთა და სულ თავი სტკიოდა. მერე ისევ თავის სახლში, ცოლთან, რომელიც ხელახლა შეუყვარდა! გაუთავებელი ჩხუბი, გაუთავებელი სიგიჟე, შინ დაბრუნების სიხარული; სამსახურიდან შინ უგზავნიან ხოლმე ფოსტას, და ერთ დილას იმ წერილის პასუხი მოართვეს თეფშით. ნაწერს რომ დახედა, ცივმა ურუანტელმა დაუარა, სცადა, სხვა წერილის ქვეშ შეეცურებინა. მაგრამ ცოლმა ჰკითხა – ვისი წერილია, ჩემი ძვირფასორ. და დასაწყისშივე დასრულდა ყველაფერი.

მოაგონდა მათთან გატარებული კარგი დღეებიცა და ჩხუბიც. საგანგებოდ შეარჩევდნენ და ყველაზე კარგ წუთებში დაიწყებდნენ ხოლმე. რაღა მაინდამაინც მაშინ აუხირდებოდნენ, როცა ძალიან კარგ გუნებაზე იყო?! არც ეს დაუწერია. პირველად ერიდებოდა სხვის წყენინებას, მერე კი იფიქრა_დასაწერი სხვაც ბევრიაო. თუმცა მაინც ფიქრობდა, როდისმე ამასაც დავწერო. ბევრი რამე იყო დასაწერი. მის თვალწინ იცვლებოდა ქვეყანა, და არა მარტო დიდ-დიდი მასშტაბებით, _თუმცა ეგეც ბევრი ნახა, და ბევრ ხალხს გაეცნო, _უფრო პატარა ცვლილებებსაც ამჩნევდა, და ხედავდა, როგორ სულ სხვადასხვანაირი იყო ხალხი სხვადასხვა დროს. თვითონვე შიგ ტრიალებდა, ყველაფერს ხედავდა, მისი მოვალეობა იყო, დაეწერა. მაგრამ აწი რაღას დაწერს!

- როგორა ხარ?_ჰკითხა ქალმა. უკვე ებანავა და კარვიდან გამოვიდა.
- კარგად.
- რამეს არ შეჭამდი?_დაინახა, რომ უკან მოლო ედგა, გასაშლელი მაგიდით ხელში, მეორე ბიჭს კი თეფშები ეჭირა.
- მე წერა მინდა, _უთხრა მან.
- ცოტა სუპი შეხვრიპე, გაგამაგრებს.
- რაღა გამაგრება მინდა, _თქვა კაცმა, _ამაღამვე მოვავდები.
- მაგ მელოდრამებს თავი დაანებე, ჰარი, თუ ღმერთი გწამს, _უთხრა ქალმა.
- სუნი მაინც არა გცემს, ცხვირი აღარა გაქვს? ცალი ფეხი ბარძაყამდე სულ დამილპა. სუპი რა ჯანდაბად მინდა! სოდიანი ვისკი, მოლო!
- სუპი შეხვრიპე, რა!_ალერსით უთხრა ქალმა.
- კარგი.
- ძალიან ცხელი გამოდგა სუპი. უცადა, მანამ გაგრილდებოდა ფინჯანში, და მერე სულმოუთქმელად გამოსცალა.
- რა მშვენიერი ქალი ხარ!_უთხრა მან._მე ყურადღებასაც ნუ მომაქცევ.

ქალმა გამოხედა. რა ნაცნობი და საყვარელი სახე ჰქონდა, ჟურნალებში უნახავს ამისთანა სახე_»დეზებსა« და «ქალაქსა და სოფელში», ოღონდ სმისაგან, ცოტა არ იყოს, შელახოდა სახე, ბევრ ხვევნა-კოცნასაც გაეფუჭებინა. მაგრამ «ქალაქსა და სოფელში» სად ნახავდი ამ მშვენიერ მკერდს, ამ მადიან ბარძაყებს, ან ამ პაწაწინა ალერსიან ხელებს; და როცა ქალის ნაცნობი და საყვარელი ღიმილი იხილა კაცმა, კვლავ იგრძნო სიკვდილის მოახლოება. ოღონდ ახლა ერთბაშად მომსკდარი გრიგალივით არ ყოფილა, პატარა წამოქროლებას ჰგავდა, სუსტ ნიავს, რისგანაც სანთლის ალი ერთს კი შეტორტმანდება და ისვე მაღლა მიიჩევს.

– ცოტა ხნის შემდეგ ბადე მოატანინე და ხიდან ჩამოაშვებინე, ცეცხლიც გააჩაღონ. კარავში აღარ შევალ ამაღამ. არ ღირს. მოწმენდილი ღამეა. არ იწვიმებს.

მაშ ეს ყოფილა სიკვდილი. ჩურჩულით მოდის, რომ არაფერი გაიგონო. ჩხუბს მაინც მოედება ბოლო. ამის პირობას ახლავე მოგცემთ ეს კაცი. არ უნდოდა გაეფუჭებინა ის ერთადერთი განცდა, რაც თავის დღეში არ გამოეცადა. ალბათ მაინც გააფუჭებს. ასე არ გააფუჭა ყველაფერი! იქნება ახლა არ გააფუჭოს.

– რომ გიკარნახო, ვერ ჩაიწერ?

– ჩემს დღეში არ მისწავლია სტენოგრამა.

– არა უშავს.

დრო, რა თქმა უნდა, აღარ არის, მაგრამ ისეა ყველაფერი ერთმანეთში გადაწნული, რომ კალმის აღებას თუ მოახერხებ, ერთ აბზაცში ჩასტევ.

სერზე, ტბის ზევით, ძელური სახლი იდგა, ხვრელებში კირით თეთრად შელესილი. სახლის მახლობლად ზარი ეკიდა ბოძზე, და ჯერის დროს ხალხს ამ ზარით იწვევდნენ. სახლის უკან მინდვრები იწყებოდა, მინდვრის გადაღმა _ ტყე. ნავმისადგომამდე ალვის ხეები იყო გამწვრივებული. კონცხის გაყოლებაზეც_ალვის ხეივანი. ტყეს გზა მისდევდა მთებისკენ, გზისპირ კი იგი მაყვალსა კრეფდა. მერე სახლს ცეცხლი გაუჩნდა და თოფები, _რომლებიც ირმის ფეხებზე იყო ჩამოკიდებული ბუხრის თავზე,_სახლთან ერთად დაიწვა. უკონდახო ლულები და ვაზნის კოლოფებში გამდნარი ტყვია არეული იყო ნაცარში, რასაც დიდი ქვაბების სახეხად ხმარობდნენ, და შენ პაპას ჰკითხე, თუ შეიძლება ამ ლულებით ვითამაშოო, და, არაო. ეს მისი თოფები იყო და მეტი აღარც უყიდია. არც სანადიროდ წასულა მეტად. ძველი სახლის ადგილას ახალი დადგეს, ფიცრული ამჯერად, და თეთრად შეღებეს, ხოლო პარმაღიდან მოჩანდა ალვის ხეები და ალვების გადაღმა _ ტბაც. თოფები აღარავის უნახავს ამ სახლში. თოფის ლულები კი, რომლებიც წინათ ძელურ სახლში ეკიდა კედლებზე, ახლა გარეთ ეყარა ნაცარში და ხელს აღარავინ ახლებდა.

შვარცვალდში, ომის შემდეგ, ერთი საკალმახე მდინარე ავიღეთ იჯარით, და ორი გზა მიდიოდა მდინარისაკენ. ერთი ტრიბერგიდან ეშვებოდა_ხეებით გადმობურული თეთრი გზა_ჯერ მინდორს გადაჰკვეთდი, მერე კი ბილიკით

მთებს აუყვებოდი, აუკლიდი გორაკებზე მიმოფანტულ პატარ-პატარა ფერმებს, რომელთა შორის დიდი შვარცვალდური სახლები ამართულიყო და ბოლოს მდინარეს მიადგებოდი. აქ ვიწყებდით თევზაობას.

მეორე გზა ციცაბოთი იწყებოდა, აჰყვებოდი ამ ციცაბოს და ნაძვის ტყეში შეხვიდოდი, ივლიდი ასე ტყე-ტყე, მინდორში გახვიდოდი, გადაჲკვეთდი მინდორს, ხიდს მიადგებოდი. მდინარის გაყოლებაზე არყის ხეები იდგა, ხოლო მდინარე იყო პატარა, ვიწრო, ანკარა და სწრაფი, ალაგ-ალაგ მორევი – იმ ადგილებში, საცა არყის ხის ძირები შეეთხარა წყალს. კარგი სეზონი დაუდგა ტრიბერგის სასტუმროს პატარონს. დიდებულად ვატარებდით დროს და ძალიანაც დავმეგობრდით. მეორე წელიწადს ინფლაცია დაიწყო, და შარშანდელი მოგებული ფული აღარ ეყო სასტუმროს გასახსნელად, და ადგა და თავი ჩამოიხრჩო.

ამას როგორმე კი უკარნახებდი, მაგრამ კონტრესკარპის მოედანზე რაც გინახავს, ის როგორღა უნდა უკარნახო_მეყვავილეები ყვავილებს ღებავენ ქუჩაში, საღებავი კი მოწვეთავს და ქვაფენილზე იღვრება, ზედ ავტობუსის გაჩერებასთან; აგერ ღვინითა და უხეირო შამანით გალეშილი დედაბრები და ბერიკაცები; ბავშვებს სიცივისაგან წვინტლი ჩამოსდით; ჭუჭყიანი ოფლის სუნი, სიღატაკე, ლოთობა კაფე ამატორაში და ბალ მუსეტეს კახპები, რომლებიც იქვე ცხოვრობენ, ზემო სართულზე; კონსიერჟს რესპუბლიკური გვარდიის ჯარისკაცი დაუდის ოთახში და ცხენის ძუის ჯიღიანი მუზარადი ამ ჯარისკაცისა სკამზე დევს. დერეფნის იქითა მხარეს მცხოვრებ დედაკაცს ქმარი ველოსიპედისტი ჰყავს და სიხარულით როგორ ცას ეწია ქალი იმ დილას რძის მაღაზიაში, როცა გაზეთი L Auto გაშალა და ნახა, რომ პარიზ-ტურის შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გამოსულიყო, ხოლო ეს იყო მისი პირველი გამოსვლა სერიოზულ შეჯიბრებაში. ერთიანად გაწითლდა ეს დედაკაცი, მერე სიცილი ატეხა, მაღლა ავიდა და ქვითინი აუვარდა, ყვითელი სპორტული გაზეთი კი ისევ ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული. ხოლო ქმარი იმ ქალისა, რომელსაც ეს ბალ მუსეტე ეკუთვნოდა, ტაქსის შოფერი იყო და ერთხელ როცა მას, ჰარის, დილის თვითმფრინავისათვის უნდა მიესწრო, იმ კაცმა კარზე დაუკავუნა, გააღვიძა და მანამ წავიდოდნენ, თუთიაგადაკრულ დახლთან თითო ჭიქა თეთრი ღვინო გადაჲკრეს. მეზობლებს სათითაოდ იცნობდა იმ კვარტალში, რადგან სულ ღარიბები იყვნენ.

მოედანზე ორნაირი ხალხი ცხოვრობდა – ლოთები და სპოტსმენები. ლოთები ღვინოში კლავდნენ სიღარიბის გასაჭირს, სპორტსმენები ვარჯიშით იქარვებდნენ. კომუნარების ჩამომავლები იყვნენ და პოლიტიკაში გარკვევა არ უჭირდათ. იცოდნენ, ვინ დაუხვრიტა მამები, ნათესავები, ძმები და მეგობრები, როცა ვერსალის ჯარი შემოვიდა კომუნის დამარცხების შემდეგ და ვინც კი ხელში ჩაუვარდათ, ყველას გაუსწორდნენ_ხელებდაკოურილებსა და კეპიანებს, და სხვებსაც, თუ რაიმე ნიშნით შეატყობდნენ, მუშაო. და სწორედ ამ სიღატაკეში, ამ კვარტალში, რომელიც Boucherie Chevaline-ს ემიჯნებოდა, მან თავისი პირველი სტრიქონები დაწერა და ისეთ საქმეს მოჰკიდა ხელი, რაც

შემდეგ მთელ სიცოცხლეში უნდა ეკეთებინა. პარიზის არც ერთი უბანი არ ჰყვარებია ასე – გადაბარდნილი ხეები; ბათქაშის ძველი, თეთრი სახლები, ქვემოთ წაბლისფრად შეღებილი; მწვანე, წაგრძელებული ავტობუსი მრგვალ მოედანზე; წითლად შეღებილი ყვავილების ჩამონაწვეთები ქვაფენილზე; კარდინალ ლემუანის ქუჩის შვეული ჩასასვლელი მდინარესთან; ხოლო გადმა მუფტარის ქუჩის ვიწრო, აჩოჩქოლებული სამყარო; პანთეონისკენ ამავალი ქუჩა, და მეორეც, სადაც იგი ველოსიპედით დადიოდა ხოლმე, მთელ უბანში ერთადერთი ასფალტიანი ქუჩა, რომლის სიგლუვეს ველოსიპედის ბორბლებითაც გრძნობდა, აქეთ-იქით მომაღლო სახლები და ერთი იაფთასიანი წოწოლა სასტუმრო, სადაც პოლ ვერლენი მოკვდა... ოროთახიანი ბინა ეჭირათ და ერთი ოთახი იმავე სასტუმროს სულ ზემო სართულშიაც დაიქირავა, თვეში სამოც ფრანკად, და აქა წერდა, აქედან კი ჩანდა სახურავები, საკვამურები და პარიზის მთელი გორაკები.

ბინიდან ნახშირისა და შეშის საწყობი ჩანდა, სხვა არაფერი. მენახშირე ღვინოსაც ჰყიდდა, საძაგელ ღვინოს. Boucherie Chevaline-ს შესასვლელში ცხენის მოოქროვილი თავი ევიდა, ვიტრინაში – წიტელ-ყვითლად შეღებილი საქონელი, სამიკიტნო მწვანედ იყო შეღებილი, და აქ ისინი ღვინოს ყიდულობდნენ; კარგიც იყო ღვინო და იაფიც. იმას იქით ბათქაშის კედლები და მეზობლების ფანჯრები. ღამდამობით, როცა ქუჩიდან გალეშილის კვნესა და ხვეშა მოისმოდა, ნამდვილი ფრანგული ივრესსე-ს კვალობაზე, _თუმცა თავგამოდებით ირწმუნებიან, ამნაირი არაფერი არსებობსო, _ მეზობლები ფანჯრებს გამოაღებდნენ და იმათ დუდლუნსაც გაიგონებდი.

«პოლიცია სად ჯანდაბაშია? როცა არ გჭირდება, სულ აქ წრიალებს ძალიშვილი! ვინმე კონსიერჟთან ეგდება, აგენტს უნდა გამოუმახო», _ მერე ვინმე აიღებს და ფანჯრიდან ერთ ვედრო წყალს გადასხამს, ხვეშა შეწყდება. «ეს რა? წყალი? ახია!»_და ისევ მიიკეტავენ ფანჯრებს. მარი, მომსვლელი მოსამსახურე, რვასაათიანი სამუშაო დღითაა უკმაყოფილო. «ექვს საათამდე თუ ამუშავე, ერთ-ორ ჭიქას გადაჰკრავს გზად და მორჩა, ნაკლებს ფლანგავს. ხუთ საათამდე როცა მუშაობს, ყოველდამე გალეშილია და აღარც ფული უჭყავის ჯიბეში. ცოლების სავაივაგლახოდ შემოიღეს ეს სამუშაო დღის შემცირება».

- სუპს დაგიმატებ!_მიმართა ქალმა.
- არა. მადლობელი ვარ. ძალიან გემრიელია.
- ცოტა კიდევ შეხვრიპე.
- სოდიანი ვისკი მირჩევნია.
- გაწყენს.
- ვიცი. მაწყენს. სიტყვები და მუსიკა კოულ პორტერისა. როცა ვგრძნობ, რომ ჩემთვის ჭკუას კარგავ.
- ხომ იცი, რომ შენი სიმთვრალე მიყვარს.
- ო, რა სათქმელია. ოღონდ მწყენს.

წავა და რამდენსაც მინდა, დავლევ, გაიფიქრა კაცმა. რამდენსაც მინდა კი არა, რამდენიც დარჩა. ჰოი, როგორ დაიღალა. ძალიან დაიღალა. ცოტას თვალს მოვატყუებო, გაიფიქრა. წყნარად იწვა და ირგვლივ სიკვდილი არ ჩანდა. ალბათ, სხვა ქუჩაში შეუხვია. წყვილ-წყვილად დადის, ველოსიპედით, და ქვაფენილი ჩქამსაც არ გამოსცემს.

ვერა, ვერაფერი დაწერა პარიზზე. იმ პარიზზე, რომელიც მას უყვარდა. სხვა? სხვაც ხომ დარჩა დაუწერელი! იმათ რაღა უყოს?

არაღა უყოს იმ რანჩოსა და ვერცხლისფრად მოელვარე სალბის ბუჩქს, არხებში სწრაფად მიმდინარე ანკარა წყალსა და იონჯის დაჯაჯულ მწვანე ფოთლებს. ბილიკი მთებში მიიკლაკნებოდა და ნახირი ზაფხულში შველივით დამფრთხალიყო. საქონლის ბლავილი, ჩლიქების თანაბარი თქარათქური და შემოდგომაზე მთებიდან დინჯად დაძრული ჯოგისგან დაყენებული მტვრის კორიანტელი. საღამოობით მთების უკან მკაფიოდ გამოკვეთილი მწვერვალი, შენ კი მთვარის სხივებით განათებულ მთის ბილიკზე ეშვები ცხენით და დაბლაც მთვარეს გაუნათებია ველები. ახლა ისიც გაახსენდა, როგორ ეშვებოდა ღამით ტყეში, ხელი ცხენისთვის ჩაეჭიდებინა კუდში, რადგან საშინლად ბნელოდა. ის მოთხრობებიც გაახსენდა, რის დაწერასაც აპირებდა.

ერთი მოშტერო მოჯამაგირე ბიჭის ამბავი, რომელიც რანჩოს დარაჯად დატოვეს მაშინ და გააფრთხილეს, თივა არავის მისცეო, ხოლო ის საძაგელი ფორკსელი ბერიკაცი, რომელსაც ერთხელ უკვე ნაცემი ჰყავდა ბიჭი, როცა იგი მასთან მუშაობდა, _ მიეჭრა, გინდა თუ არა, თივა მომეციო. არაო, ბიჭმა უთხრა, და ბერიკაცმა, ისევ მიგტყებავო. ბიჭი სამზადში შეიჭრა და თოფი გამოიტანა, ხოლო როცა ბერიკაცმა საბძელში შესვლა დააპირა, ესროლა და იქვე გააგორა, და როცა ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდნენ, ბაკში დახვდათ ბერიკაცის გაყინული გვამი, ძალლებისაგან სანახევროდ დაგლეჯილი. ხოლო რაც დარჩენილიყო, საბანში გაახვიე შენ, მარხილზე დადე, ბაწრით გადაკარი და ბიჭიც დაიხმარე დაცურებაში, და თქვენ ორმა ათრიეთ მთელი სამოცი მილი, ქალაქამდე, რათა ბიჭი სასამართლოსთვის გადაგეცა. ბიჭს კი ერთი წუთითაც არ უფიქრია, თუ დაიჭერდნენ. მოვალეობა შევასრულეო, ეგონა, მეგობრადა გთვლიდა, და დამაჯილდოებსო. გშველოდა ბერიკაცის თრევაში _ ყველამ გაიგოს, რა ვაჟბატონიც ბრძანდებოდა და როგორ უნდოდა სხვისი თივის მოპარვაო, ხოლო, როცა შერიფმა ხელბორკილი დაადო, თვალებს არ უჯერებდა. მერე კი ტირილი მორთო. ეს მოთხრობაც შემონახული ჰქონდა დასაწერად. ოცი კარგი მოთხრობა მაინც ექნებოდა იმ ადგილებზე მოფიქრებული და ერთიც ვერ დაწერა. რატომ?

_ შენ უპასუხე, რატომ, _ თქვა მან.

_ რა, ძვირფასო?

_ ისე, არაფერი.

რაც ეს კაცი ჩაიგდო ხელში, ქალმა სმას უკლო. მაგრამ კიდევ რომ გადარჩეს ახლა, ამ ქალზე მაინც არაფერს დაწერს, ამას უკვე გრძნობდა კაცი. არც ერთ იმათგანზე. მდიდრები მოსაწყენი ხალხია – ან უსაშველოდ ბევრსა სვამენ, ან ნარდს აგორებენ. მოსაწყენები და ყველა ერთ თარგზე გამოჭრილი. საწყალი სკოტ ფიცჯერალდი მოაგონდა, და ის რომანტიკული მოკრძალება, რასაც იგი მათ წინაშე იჩენდა. ერთი მოთხოვნა დაწერა, ამ სიტყვებით იწყებოდა: «ძალიან მდიდარი ხალხი არც თქვენა გგავთ და არც მე». და ვიღაცამ უთხრა: დიახ, მდიდრებს მეტი ფული აქვთ. ფიცჯერალდი კი ვერ მიუხვდა ხუმრობას. ეგონა, განსაკუთრებულად მომხიბლავი რასააო, და როცა დარწმუნდა, ასე არ იყო, მოტყდა. სხვა ვერაფერი მოტეხდა ასე.

ცხოვრებისაგან დაჯაბნილი ხალხი ეზიზღებოდა. არც უნდა გყვარებოდა, რადგან ყველაფრის ფასი იცოდი. რაც უნდა შემხვდეს, გავუსწორდებიო, ფიქრობდა, რადგან არაფერს არ შეეძლო მისი გატეხა, თუ თავიდანვე დიდ რადმე არ ჩააგდებდა.

ასეა. ახლა სიკვდილსაც არაფრად აგდებს. ერთადერთი, რისიც ყოველთვის ეშინოდა_ტკივილი იყო. სხვაზე ნაკლებ არც ეს აიტანდა ტკივილს, თუკი ძალიან არ გაჭიანურდებოდა და ქანცს არ გაუწყვეტდა, მაგრამ ახლა ისეთი რამე ეცა, რომ ჯოჯოხეთურად გააწამა, და სწორედ მაშინ, როცა ეგონა, სულით ვეცემიო, ტკივილიც დაუყუჩდა.

დიდი ხნის ამბავი გაახსენდა, როცა უილიამსონს, არტილერიის ოფიცერს, ხელყუმბარა ესროლეს გერმანელთა საგუშაგოდან. ღამე იყო და მავთულხლართებში მიძვრებოდა. ყვიროდა, იხვეწებოდა – გამათავეთო. ჩასუქებული ბიჭი იყო, ძალიან გულადი და კარგი ოფიცერი, თუმცა დიდი პრანჭვა-გრეხა კი უყვარდა. პროჟექტორის სინათლეში მოჰყვა იმ ღამეს, მავთულის კბილს გამოედო და ნაწლავები გამოაყრევინა, პირდაპირ მავთულზე ჩამოეკიდა, ხოლო როცა იქიდან ხსნიდნენ, იძულებული გახდნენ, ნაწლავები მიეჭრათ. მესროლე, ჰარი, მესროლე, იწამე ღმერთი! ერთხელ დავა მოუვიდათ, ღმერთი ისეთ რამეს არ მოგივლენს, რისი გადატანაც არ შეიძლებოდესო, და ვიღაც თავგამოდებით ამტკიცებდა, ტკივილი გარკვეულ მომენტში თავისით ჰკლავს ადამიანსო. მაგრამ ამას უილიამსონი აგონდებოდა. ტკივილმა ვერ მოჰკლა, მანამ, რაც თავისთვის მორფის მარაგი ჰქონდა გადანახული, ის არ მისცა, და მორფმაც ვერ უშველა დიდ ხანს.

ჯერჯერობით არა უშავს რა, სულაც არ შეწუხებულა. თუ ასე გაგრძელდა და არ გაუუარესდა, არც შეწუხდება. ოღონდ ცოტა უფრო კარგ ხალხთან ყოფნას კი ინატრებდა.

ის ხალხი გაიხსენა, ვისთანაც ყოფნა ესიამოვნებოდა ახლა.

არა, გაიფიქრა მან, ვიღა გაგიჩერდება, ამდენ ხანს თუ მოუნდი საქმეს და ასე აჭიანურე. ხალხი წავიდა. ლხინი დამთავრდა და შენ შენს დიასახლისთან

დარჩი. სიკვდილმაც ისევე მომაბეზრა თავი, როგორც სხვა ყველაფერმაო, გაიფიქრა.

— მოსაბეზრებელია, _თქვა მან ხმამაღლა.

— რა, ჩემო ძვირფასო?

— ყველაფერი, რაც გაჭიანურდება.

ქალს გახედა_მასა და ცეცხლს შორის იჯდა, სკამს გადასწოლოდა და ცეცხლის შუქი სასიამოვნოდ დანაოჭებულ სახეს უნათებდა. შეატყო, ეძინებოდა. აფთარი ცეცხლით განათებულ მინდორს მოახლოებოდა, და ახლა ყმუილი მორთო.

— მე ვწერდი, _თქვა კაცმა, _მაგრამ დავიქანცე.

— როგორ ატყობ, არ დაგეძინება?

— როგორ არ დამეძინება. შენ რატომ არ წვები?

— შენთან მირჩევნია.

— უჩვეულოს ხომ არაფერს გრძნობ? _ჰკითხა მან.

— არა. ცოტა მეძინება.

— მე კი ვგრძნობ, _თქვა კაცმა.

ისევ იგრძნო სიკვდილის მოსვლა.

— ერთადერთი, რაც ისევ შემრჩა და არ დამიკარგავს_ცნობისმოყვარეობაა, _უთხრა კაცმა.

— შენ არაფერიც არ დაგიკარგავს. პირველად ვხედავ შენისთანა სრულყოფილ კაცს.

— ღმერთო, _თქვა კაცმა, როგორ არაფერი ესმით ქალებს. ეს ვითომ რა არის? შენი ალღო?

იმიტომ რომ, სწორედ ამ წუთში სიკვდილი სულ ახლოს მოვიდა და თავი ლოგინის ბოლოზე ჩამოდო, კაცს სუნთქვაც მისწვდა მისი.

— ისეთი არ გეგონოს, როგორც წარმოუდგენიათ ხოლმე _ გაძვალტყავებული, ცელმომარჯვებული, _ უთხრა კაცმა ქალს, _სულ ადვილი შესაძლებელია ველოსიპედებზე გადამჯდარი ორი პოლიციელი იყოს, ან ჩიტი. ან არადა აფთარივით ჩაჭყლეტილი დრუნჩი ჰქონდეს.

ახლა ზევით ამოჩინდა, მაგრამ გამოსახულება არაფრისა ჰქონია, სივრცეს იჭერდა მხოლოდ.

— უთხარი, წავიდეს.

მაინც არ წავიდა, კიდევ უფრო მიუჩინდა.

— ჰო, რას ჰყარბარ! _უთხრა კაცმა, _ბინბურო და აქოთებულო!

სულ უფრო და უფრო ზევით მოჩინავდა, და ახლა ვეღარაფერი უთხრა კაცმა; რომ ნახა, ვეღარაფერს ამბობსო, კიდევ მიუჩინდა. სცადა უსიტყვოდ მოეშორებინა, მაგრამ ის მაინც მოჩინავდა და ახლა მკერდზე ამოცოცდა, მთელი სიმძიმით დააწვა, და მანამ ასე იკრუნჩებოდა მკერდზე _ და არც გასაქანს აძლევდა, არც ხმას აღებინებდა_ქალის ხმა გაიგონა კაცმა: «ბვანას ჩაეძინა, ფრთხილად ასწიეთ ლოგინი და კარავში შეიტანეთ».

ვეღარ დაძრა ენა, რომ ეთქვა, მომაშორეთო, და ახლა ისე მძიმედ დააწვა, სუნთქვა შეუკრა. ხოლო როცა ლოგინი ასწიეს, ერთბაშად შვება იგრძნო, და მკერდიც აეხსნა.

დილა იყო, დიდი ხანია გათენდა, და თვითმფრინავის ხმა მოესმა. სულ პაწაწკინა ჩანდა, მერე დიდი წრე შემოხაზა. ბიჭები გაიქცნენ და ფიჩხს ნავთი დაასხეს, ცეცხლი დაანთეს, ზედ ბალახი დააყარეს. მინდორში ორი დიდი კოცონი ავარდა, დილის ნიავმა კვამლი კარვისკენ წამოიღო, თვითმფრინავმა კიდევ შემოხაზა ორი წრე, ახლა უფრო დაბლა, მერე მინდვრისკენ ჩამოსრიალდა და რბილად დაჯდა. კომპტონი მოდის მისკენ, ძველი მეგობარი, ფართხუნა შარვალი და მატყლის ფაფუკი ჟაკეტი აცვია, წაბლისფერი ფეტრის ქუდი ახურავს.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — ჰავთხა კომპტონმა.

— ფეხი გამიფუჭდა, უპასუხა მან, — არ ისაუზმებ?

— მადლობელი ვარ. ჩაის კი დავლევდი. «ფარვანათი» ვარ, ხომ იცი. მემსაიბს ვერ წავიყვანთ. ერთი ადგილი მაქვს მარტო. შენი საბარგო მანქანა უკვე გზაშია.

ელენმა გვერდზე გაიხმო კომპტონი და რაღაც უთხრა. კომპტონი გახარებული მობრუნდა. ასე მხიარული თავის დღეში არ ენახა.

— ჯერ შენ ჩაგსვამთ, უთხრა მან, მემსაიბის წასაყვანად მერე მოვბრუნდები. წავიდეთ ბარემ. ვაითუ არუშაში მოგვიხდეს გაჩერება, ბენზინისათვის.

— ჩაი?

— აღარ მინდა.

ბიჭებმა საწოლი ასწიეს, მწვანე კარვიდან გამოიტანეს, მინდორზე გაატარეს, კოცონებს შორის, — რომლებიც ახლა ერთიანად აბრიალებულიყვნენ: თივა დამწვარიყო და ქარი ცეცხლს აღვივებდა, და პატარა თვითმფრინავთან მიიყვანეს. ჩაჯდომა გამნელდა, მაგრამ როცა ჩასვეს, ტყავის სავარძელზე გადაესვენა, ფეხი აუწიეს და წინა სკამზე დაუდეს, საცა კომპტონი უნდა დამჯდარიყო. კომპტონმა ძრავა აამუშავა და კაბინაში შევიდა. მან ხელი დაუქნია ელენსა და ბიჭებს, ხოლო, როცა ძრავას თუხთუხი ჩვეულებრივ გუგუნში გადავიდა, თვითმფრინავი მობრუნდა, კომპტონმა ფრთხილად აუარა გვერდი ტახების ნაჩიჩქნ ორმოებს, ზუზუნითა და მიგმიგით გაემართა წინ, კოცონებს ჩაუარა, ერთი კიდევ შეტოკდა და მიწას მოსწყდა. მან დაინახა, როგორ შეჰყურებდნენ დაბლიდან, ხელს უქნევდნენ. იქით — კარავი გორავის ძირში, ახლა თითქოს მიწის დონეზე გაბრტყელებული; მინდორი ფართოდ გადაიშალა, გადაბურული ხეები და ბუჩქებიც მიწას გაუთანაბრდნენ; ნადირის ნაფეხურები ამომშრალი წყაროებისკენ მიემართებიან; და ერთი წყაროც შენიშნა, ადრე არ ენახა. ზებრებისა მხოლოდ მომრგვალებული ზურგები ჩანს, ანტილოპის მაგვარი გნუს ჯოგი თავბუზუტა ხალებივით გაფანტულა მინდორზე მწვრივ-მწვრივად — თითქოს გაჩაჩხული თითებიაო. ჩრდილი რომ

გადაეფარათ ზემოდან, აქეთ-იქით გახტნენ, ახლა სულ პაჩაწინები ჩანან და მათ სირბილს ვერც კი ამჩნევ, მინდორს თვალის დასაწიერამდე მონაცრისფრო ყვითელი ფერი გადაეკრა, წინ კი – კომპტონის ჟაკეტი და წაბლისფერი ქუდი ჩანს. გადაუფრინეს პირველ გორაკს, სადაც ანტილოპების ჯოგი მიბობდავს, მერე დიდ მთას გადაევლნენ, რომელიც ერთბაშად ამოიმართა ტყის სიმწვანიდან; ლერწმით დაფარული ფერდობები; ისევ დაბურული ტყე_მწვერვალებსა და ხეობებთან ერთად გამოძერწილი; ისევ დაქანება; ფერდობი; ისევ მინდორი, უკვე ალმურმოდებული, ყავისფრად გამომწვარი. თვითმფრინავი გახურებულ ჰაერში შეტკლდა და კომპტიმ მოუხედა, ფრენამ ხომ არ დაღალაო, წინ კი ისევ ჩამუქებული მთები.

მერე არუშასკენ წასვლის ნაცვლად, მარცხნივ შებრუნდნენ; ეტყობა, ბენზინი ეყოთ. დაბლა ჩაიხედა და მიწას გაკრული ვარდისფერი ღრუბლის ქულები დაინახა, აქეთ-იქით მიმოფანტული, თითქოს ფიფქი თოვლი მოჰყოლია საიდანლაც მოვარდნილ ნამქერშიო, და მაშინვე მიხვდა, რომ ეს სამხრეთიდან დაძრული კალია იყო. მერე მაღლა-მაღლა წავიდა თვითმფრინავი, ეტყობოდა, აღმოსავლეთისკენ მიტრიალდნენ. უცებ დაბნელდა და ქარიშხალში მოჰყვნენ, წვიმდა, წვიმდა_თითქოს ჩანჩქერს მიაპობენო, ხოლო როცა ჩანჩქერიდან გამოვიდნენ, კომპტიმ თავი შეაბრუნა, გაუღიმა და წინ გაიშვირა ხელი. და როცა იქით გაიხედა, დაინახა დიდი, ვრცელი _ როგორც მთელი სამყარო, ცაში აზიდული და მზით გაშუქებული, წარმოუდგენლად თეთრი რაღაც_კილიმანჯაროს ბტრყელი მწვერვალი. მაშინდა მიხვდა, საით მიდიოდნენ.

სწორედ ამ დროს აფთარმა ჩხავილი შეწყვიტა ღამის სიბნელეში, და რაღაც უცნაური, კაცისნაირი ტირილი მორთო. ქალს ძილში ჩაესმა და მოუსვენრად აწრიალდა. არ გაუღვიძია _ სიზმარში ლონგ-აილენდზე იყო, საკუთარ სახლში; ეს იყო თავისი ქალიშვილის საზოგადოებაში გამოყვანის წინა ღამე. როგორლაც მამაც იქ მოხვდა და ძალიან ტლანქად ექცეოდა. მერე ისე აყმუვლდა აფთარი, რომ ქალს გაეღვიძა, უცებ ვერ გაერკვა, სად იყო და ძალიან შეშინდა. ხელის ფარანს გადასწვდა და მეორე საწოლს მიანათა, რომელიც ჰარის ჩაძინების შემდეგ შემოიტანეს. ქინქლას საფარქვეშ იწვა, ოლონდ ფეხი გარეთ გამოსჩროდა და საწოლზე გადმოჰკიდებოდა. სახვევი სულ შეხსნოდა, და ქალმა შიშით ვერ დახედა.

_ მოლო!_გასძახა მან,_მოლო! მოლო!

მერე ისევ მობრუნდა:

_ ჰარი! ჰარი!_ხმას აუწია,_ჰარი! ჰარი!

ჰასუხი არავის გაუცია, და ვერც მის სუნთქვას ისმენდა ქალი.

გარეთ აფთარმა ისეთივე უცნაური ჩხავილი მორთო, რამაც წელან გააღვიძა ქალი. მაგრამ გული ისე უცემდა, რომ აღარ გაუგონია.

მოხუცი და ზღვა

მოხუცი მარტოდმარტო თევზაობდა თავისი ნავით გოლფშტრემში. ოთხმოცდაოთხი დღე ზედიზედ გადიოდა ზღვაზე და ერთი თევზიც ვერ დაიჭირა. პირველ ორმოც დღეს თან ახლდა ბიჭი, მაგრამ რაკი არ იქნა და თევზის დაჭერას ვერ ეღირსნენ, მშობლებმა უთხრეს ბიჭს, ბერიკაცი უეჭველად სალაო-ა, რაც ქვეყნად ყველაზე უიღბლო კაცს ნიშნავს, და უბრძანეს, სათევზაოდ გაჰყოლოდა სხვა ნავს, რომლითაც პირველსავე კვირაში მართლაც მოიტანეს სამი კარგი თევზი. ბიჭს გული უკვდებოდა, როცა ხედავდა, რომ მოხუცი ყოველდღე ხელცარიელი ბრუნდებოდა; ნავთან ჩაირბენდა და მოხუცს შველოდა სათევზაო მოწყობილობას, ჭვილთის, ბარჯის და ანძაზე დახვეული აფრის წამოღებაში. აფრას ბევრგან ჰქონდა დაკერებული ფქვილის ტომრის ნაჭრები და როცა დაახვევდნენ, იგი კაცს სამუდამოდ დამარცხებული ჯარის დროშას აგონებდა.

მოხუცი გამხდარი და ჩამომჭვნარი იყო, კეფა ღრმა ნაოჭებით ჰქონდა დაღარული, ხოლო ლოყებზე კანის კიბოს ქანგისფერი ლაქები ეყარა. ეს კიბო, რომელსაც ტროპიკული ზღვის ზედაპირზე არეკლილი მზის სხივები იწვევს, ავთვისებიანი არ არის. მოხუცს ლაქები ნიკაპამდე მოსდებოდა, ხელებზე კი ღრმა ნაიარევები აჩნდა, რომლებიც იმ დროს გასჩენოდა ბაწრისაგან, როდესაც დიდი თევზები ამოჰყავდა ზღვიდან. ეს იარები ძველი იყო, როგორც დიდი ხნის უწყლო უდაბნოს დახეთქილი მიწა.

მოხუცს ყველაფერი ბებრული ჰქონდა, გარდა ზღვისფერი თვალებისა, რომლებიც გაუტეხავი კაცის მხიარული თვალები იყო.

— სანტიაგო, — უთხრა ბიჭმა იმ დროს, როდესაც ზემოთ ამოდიოდნენ ნაპირიდან, სადაც ნავი დააბეს, — ახლა შემიძლია შენ გამოგყვე სათევზაოდ. ჩვენ უკვე ვიშოვეთ ცოტა ფული.

მოხუცმა ასწავლა ბიჭს თევზაობა და ბიჭს უყვარდა მოხუცი.

— არა, — უპასუხა მოხუცმა, — შენ იღბლიან ნავზე მოხვდი. დარჩი მათთან.

— გახსოვს, ერთხელ მთელი ოთხმოცდაშვიდი დღე თევზაობდი და ვერაფერი დაიჭირე, მერე კი სამი კვირის განმავლობაში ზედიზედ ყოველდღე მოგვქონდა დიდრონი თევზები?

— მახსოვს. — უთხრა მოხუცმა, — განა არ ვიცი, იმიტომ კი არ მიმატოვე, რომ ჩემზე გული გაგიტყდა.

— მამამ მაიძულა დამეტოვებინე. ჯერ პატარა ვარ, მამას უნდა გავუგონო.

— მესმის, — თქვა მოხუცმა. — ასეც უნდა!

— მამას კი ნაკლებად სჯერა ჩვენი.

— ჰო, — თქვა მოხუცმა. — სამაგიეროდ, ჩვენ გვჯერა! ხომ აგრეა?

— აგრეა. გინდა, ლუდზე დაგპატიუებ, ტერასაზე? ხელსაწყოს კი მერე წავიღებთ შინ.

_ რატომაც არა, _ თქვა მოხუცმა. – მეთევზეს სიამოვნებით დავეწვევი.

ისინი ტერასაზე დასხდნენ. ახალგაზრდა მეთევზეები დასცინოდნენ მოხუცს, მაგრამ მას არა სწყინდა. ხანში შესულ მეთევზეებს კი ეცოდებოდათ, ოღონდ მოხუცს არ აგრძნობინებდნენ და თავაზიანად საუბრობდნენ ზღვის დინებაზე, იმაზე, თუ რა სიღრმეზე უშვებდნენ ანკესს, რა კარგი დარი დაიჭირა და რა ნახეს ზღვაზე. მათ, ვისაც დღეს ბედმა გაუღიმა, უკვე აქ მოეყარათ თავი, გამოეფატრათ თავიანთი მარლინები, გარდიგარდმო დაეწყოთ ორ ფიცარზე, ფიცრებს აქეთ-იქით ორ-ორი კაცი მოსჭიდებოდა და გაჭირვებით გადაეტანათ თევზის საწყობში, საიდანაც შემდეგ რეფრიუერატორით უნდა წაეღოთ ბაზარზე ჰავანაში. მეთევზეებმა, რომელთაც ზვიგენები დაიჭირეს, თევზები ზვიგენების გამოსაშიგნ ქარხანას ჩააბარეს, ბოლაზის მეორე მხარეს; იქ თევზები ჩანგლებზე ჩამოკიდეს, ღვიძლი გამოაცალეს, ფარფლები ამოსჭრეს, გაატყავეს და თხელ-თხელ ფენებად დაჭრეს დასამარილებლად.

აღმოსავლეთის ქარს ზვიგენების ქარხნიდან თევზის სუნი მოჰქონდა ხოლმე. მაგრამ დღეს სუნი ოდნავ თუ იგრძნობოდა, რადგან ჩრდილოეთის ქარი ქროდა. მერე ქარი სულაც ჩადგა და ტერასაზე მზე საამურად აცხუნებდა.

_ სანტიაგო... _ მიმართა ბიჭმა.

_ ჰო? – გამოეხმაურა მოხუცი. მას ხელში ჭიქა ეჭირა და განვლილ დღეებს იგონებდა.

_ შეიძლება წავიდე და სახვალიოდ სარდინები დაგიჭირო?

_ არა, სჯობს ბეისბოლი ითამაშო. ჯერ კიდევ შემიძლია ნიჩბის მოსმა, როგორიც კი ბადეს გადაისვრის.

_ მე კი ძალიან მინდა წავიდე. თუ შენთან ერთად თევზაობის ნება არა მაქვს, რითიმე მაინც დაგეხმარები.

_ აკი ლუდზე დამპატიუ, _ უთხრა მოხუცმა. – შენ უკვე ვაჟვაცი ხარ.

_ რამდენი წლისა ვიყავ, როცა პირველად წამიყვანე ზღვაზე?

_ ხუთისა. კინაღამ დაიღუპე, როცა ნავში ცოცხალი თევზი ამოვათრიე. ისე სხმარტალობდა, კინაღამ დალეწა ყველაფერი. გახსოვს?

_ მახსოვს, როგორ ატლაშუნებდა ბოლოს, მერბი გატეხა, შენ კი მაგრად ურტყამდი კეტს. მახსოვს, ნავის ცხვირისაკენ მიმაგდე, სადაც სველი სათევზაო მოწყობილობა ეყარა. ნავი სულ ირყეოდა, ტოკავდა, შენი კეტის ბაგაბუგი ისე ისმოდა, თითქოს ხეს ჭრიანო, ირგვლივ კი სისხლის მოტკბო სუნი იდგა.

_ მართლა გახსოვს ეს ყველაფერი, თუ მე მოგიყევი შემდეგ?

_ ყველაფერი მახსოვს, პირველი დღიდანვე, როდესაც ზღვაზე წამიყვანე.

მოხუცმა შეხედა ბიჭს მზისაგან დაწითლებული, ნდობით სავსე და მოსიყვარულე თვალებით.

_ ჩემი შვილი რომ იყო, გავბედავდი შენს წაყვანას, მაგრამ დედ-მამა გყავს და იღბლიან ნავზეც მოხვდი.

_ მოდი, მაინც გამიშვი სარდინების დასაჭერად. ვიცი, სად უნდა ვიპოვო ოთხი საანკესე თევზიც.

- დღევანდელიც ხელუხლებელი მაქვს. მარილიან ყუთში ჩავაწყვე.
- მე ოთხ ახალს მოგიტან.
- ერთი მეყოფა, – უთხრა მოხუცმა. მოხუცს ისედაც არასდროს არ დაუკარგავს მომავლის არც იმედი, არც რწმენა, მაგრამ ახლა მის გულში იმედი იზრდებოდა, თითქოს ზღვიდან ნიავმა დაბერაო.
 - ორს მოგიტან, – უთხრა ბიჭმა.
 - კარგი, ორი იყოს, – დაუთმო მოხუცმა. – მაგრამ ხომ არსად მოგიპარავს?
 - მოვიპარავდი, რომ დამჭირვებოდა, მაგრამ ამჯერად ვიყიდე.
 - გმადლობ, – უთხრა მოხუცმა. მოხუცი ერთობ გულმართალი იყო და არ დაფიქრებულა იმაზე, როდის გახდა მოკრძალებული. მაგრამ იცოდა, რომ მოკრძალებას მისთვის არც სირცხვილი უჭმევია, არც ადამიანური ღირსება შეულახავს.
 - თუ ზღვის დინება არ შეიცვალა, ხვალ დარი იქნება, – თქვა მოხუცმა.
 - საით აპირებ? – ჰკითხა ბიჭმა.
 - შორს გავალ ზღვაში, უკან კი მაშინ დავბრუნდები, როცა ქარი შეიცვლება. მინდა გათენებამდე გავიდე.
 - ჩემი უფროსიც უნდა დავითანხმო, რომ ისიც შორს წავიდეს. ძალიან დიდი თევზი თუ შეგხვდება, ჩვენ მოგეხმარებით.
 - რომ არ უყვარს შორს წასვლა?
 - ჰო, – თქვა ბიჭმა, – მაგრამ ისეთ რამეს მოკვრავ თვალს, რასაც თვითონ ვერ დაინახავს, თუნდაც თევზზე მონადირე ფრინველს. მაშინ იქნებ დავიყოლიო და შორს გავიდეს დელფინების დასაჭერად.
 - ნუთუ ასე ცუდად უჭრის თვალი?
 - თითქმის სულ დაბრმავდა.
 - საოცარია, თავის დღეში კუს დასაჭერად არ წასულა: კუზე ნადირობა ყველაზე მეტად აბრმავებს კაცს.
 - შენ რამდენ წელიწადს დადიოდა კუზე სანადიროდ მოსკიტების ნაპირზე, მაგრამ თვალები მაინც საღი შეგრჩა.
 - მე სულ სხვა ბერიკაცი ვარ.
 - ძალიან დიდი თევზი რომ შეგხვდეს, ღონე გეყოფა?
 - მგონი, მეყოფა. მთავარი მოხერხებაა.
 - მოდი, წავიღოთ შინ სათევზაო მოწყობილობა. – თქვა ბიჭმა, – მერე კი სასროლ ბადეს წავიღებ და სარდინების დასაჭერად წავალ.

ავლადიდებას, მაინც ამჯობინებდა ჭვილთისა და ჭანგის წაღებას, რათა ხელი არავის წასცდენოდა.

აიარეს ადმართი, მიადგნენ მოხუცის ქოხს და შევიდნენ ღია კარში. მოხუცმა აფრაშემოხვეული ანძა კედელზე მიაყუდა, ხოლო ბიჭმა იქვე დადო ყუთი და სხვა ხელსაწყო. ანძა თითქმის ქოხის სიგრძე იყო. ქოხი სამეფო პალმის მაგარი ფოთლებისაგან აეშენებინათ. აქ ამ პალმას გუანო-ს ეძახიან. ქოხში იდგა მაგიდა, სკამი და ერთი საწოლი; მიწურ იატავზე კერა იყო მოწყობილი, სადაც მოხუცი საჭმელს ამზადებდა ნახშირის ცეცხლზე. დატკეპნილ ფოთლებისგან გაკეთებულ ყავისფერ კედლებზე ეკიდა ფერადი ხატები – მაცხოვრის გული და კობრენის ღვთისმშობელი. ყოველივე ეს მას განსვენებულ ცოლისაგან დარჩა. უწინ კედელზე მისი ცოლის ფერადი ფოტოგრაფიული სურათიც ეკიდა, მაგრამ შემდეგ მოხუცმა სურათი შეინახა, რადგან მისი ყურება სევდას ჰგვრიდა. ახლა ფოტოსურათი თაროზე იდო, კუთხეში, სუფთა პერანგის ქვეშ.

– ვახშმად რა გაქვს? – ჰერონ ბიჭმა.
– ერთი ჯამი ყვითელი ბრინჯი და მოხარშული თევზი. გინდა?
– არა, შინ ვივახშმებ. ცეცხლი დაგინთო?
– არა. მე თვითონ დავანთებ მოგვიანებით. ანდა სულაც ცივად შევჭამ ბრინჯს.

– შეიძლება წავიდო სასროლი ბადე?
– რასაკვირველია!
სინამდვილეში ბადე სადღა იყო; ბიჭს მშვენივრად ახსოვდა, როდის გაყიდეს იგი. მაგრამ ორივეს ისე ეჭირა თავი, თითქოს მოხუცს ბადე ისევ ჰქონდა. არც ერთი ჯამი ყვითელი ბრინჯი და თევზი ჰქონია, – ბიჭმა ესეც იცოდა.
– ოთხმოცდახუთი ბედნიერი რიცხვია, – თქვა მოხუცმა – რას იტყვი, ხვალ ათას გირვანქიანი თევზი რომ დავიჭირო?
– მე სასროლ ბადეს ვიშოვი და სარდინების დასაჭერად წავალ, შენ კი აქ დაჯექ მზის ყურზე, კარის წინ.

– კარგი. გუშინდელი გაზეთი მაქვს, ბეისბოლის ამბებს წავიკითხავ.
ბიჭს იმაშიაც ეჭვი ეპარებოდა, ნამდვილად ჰქონდა მოხუცს გაზეთი, თუ ესეც მოგონილი იყო. მაგრამ მოხუცმა მართლაც გამოიღო გაზეთი საწოლიდან.
– პერიკომ მომცა ღვინის სარდაფში, - აუხსნა მოხუცმა.
– როგორც კი დავიჭერ სარდენებს, დავბრუნდები. ჩემსასაც და შენსასაც ერთად დავაწყობ ყინულზე, დილით გავიყოფთ. როცა დავბრუნდები, შენ ბეისბოლის ამბებს მომიყვები.
– არ შეიძლება «იანკებმა» წააგონ.
– ვაითუ კლივლენდელმა «ინდიელებმა» დაამარცხონ ისინი.
– «იანკების» იმედი გქონდეს, შვილო, მოიგონე სახელოვანი დიმაჯიო.
– მე კიდევ მარტო «ინდიელებისა» კი არა, დეტროიტელი «ვეფხვებისაც» მეშინია.

— შენ, როგორც გატყობ, მალე ცინცინატელი «წითელკანიანებისაც» და ჩიკაგოელი «თეთრი წინდებისაც» შეგეშინდება.

— წაიკითხე გაზეთი და მიამბე, როცა დავბრუნდები.

— რა იქნება, ლატარიის ოთხმოცდახუთრიცხვიანი ბილეთი რომ ვიყიდოთ? ხვალ ხომ ოთხმოცდამეხუთე დღეა.

— რატომაც არ უნდა ვიყიდოთ? — უთხრა ბიჭმა. — იქნებ სჯობდეს, ოთხმოცდაშვიდრიცხვიანი ვიყიდოთ? წინათ ხომ ოთხმოცდაშვიდი Dდღე იყო.

— ორჯერ არაფერი მეორდება. რას ფიქრობ, ოთხმოცდახუთრიცხვიან ბილეთს იშოვო?

— დავუკვეთავ.

— ერთმაგი; ორი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი რომ ღირს. ვის ვესესხოთ?

— ადვილი საქმეა! მე ყოველთვის შემიძლია ვისესხო ორი დოლარი და ორმოცდაათი ცენტი.

— ალბათ, მეც შემეძლო, მაგრამ ვცდილობ, ვალი არ ავიღო. სესხებიდან მათხოვრობამდე მოკლე მანძილია.

— აბა, არ გაცივდე, მოხუცო. — უთხრა ბიჭმა, — გახსოვდეს, რომ სექტემბერია.

— სექტემბერში დიდრონი თევზები იცის, მაისში ყველას შეუძლია თევზაობა, — თქვა მოხუცმა.

— აბა, მე წავედი სარდინების დასაჭერად, — თქვა ბიჭმა.

ბიჭი რომ დაბრუნდა, მზე უკვე ჩასული იყო, მოხუცი კი სკამზე იჯდა და ეძინა. ბიჭმა საწოლიდან ჯარისკაცის ძველი საბანი აიღო, სკამსა და მოხუცის მხრებს მიაფარა. ეს იყო გასაოცარი მხრები — ღონიერი მხრები, მიუხედავად სიბერისა, კისერიც ძლიერი ჰქონდა; და ახლა როდესაც თავჩაქინდრულს ეძინა, ნაოჭები არცთუ ისე ემჩნეოდა. მოხუცის პერანგიც აფრასავით დაბებკილი იყო, ხოლო ნაჭრებს სხვადსხვა ფერი გადაჰკრავდა, რადგან მზეზე ალაგ-ალაგ გახუნებულიყო. მოხუცს სახე მაინც ძალიან ბებრული ჰქონდა: მით უმეტეს ახლა, როდესაც ეძინა და თვალდახუჭული იყო, ეს სახე სრულიად უსიცოცხლო ჩანდა. გაზეთი მას მუხლებზე ედო; იდაყვი დაეყრდნო ზედ, რომ საღამოს ნიავს არ გადაეფრიალებინა. მოხუცი ფეხშიშველა იყო.

ბიჭი წავიდა და როცა დაბრუნდა, მოხუცს ისევ ეძინა.

— გაიღვიძე, ბერიკაცო! — დაუძახა ბიჭმა და ხელი მუხლზე დაადო.

მოხუცმა თვალები გაახილა და რამდენიმე წამს თითქოს სადღაც ძალიან შორიდან ბრუნდებოდა. მერე გაიღიმა.

— რა მოიტანე?

— ვახშამი. ახლა სუფრას გავშლით.

— მე არცთუ ისე მშიერი ვარ.

— მოდი, ვჭამოთ! მშიერმა როგორლა გინდა ითევზაო?!

— მე მითევზავია, — თქვა მოხუცმა, წამოდგა და გაზეთი დაკეცა, მერე საბნის დაკეცვა დაიწყო.

— საბანს ნუ მოიხდი! — უთხრა ბიჭმა, — სანამ ცოცხალი ვარ, მშიერს სათევზაოდ არ გაგიშვებ.

— მაშინ თავს გაუფრთხილდი და ეცადე დიდხანს იცოცხლო. — უთხრა მოხუცმა. — რა გვაქვს საჭმელი?

— შავი ცერცვი, ბრინჯი, შემწვარი ბანანები და მოშუშული ხორცი.

ბიჭმა საჭმელი ლითონის ქვაბებით მოიტანა ტერასიდან. ჩანგლები, დანები და კოვზები ჯიბეში ჩაეწყო; ქაღალდსა და ხელსახოცში გაეხვია ცალკალკი.

— ვინ მოგცა?

— მარტინმა, რესტორნის პატრონმა.

— მადლობა უნდა ვუთხრათ.

— უკვე ვუთხარი მადლობა, — თქვა ბიჭმა, — შენ ნუ სწუხხარ.

— მას დიდი თევზის ყველაზე რბილ ნაწილს მივცემ, — თქვა მოხუცმა. — პირველად ხომ არ გვეხმარება!

— დიახ, ბევრჯერ დაგვხმარებია.

— მაშ, ერთი რბილი ნაჭერი არ იქნება საკმარისი. ბევრი სიკეთე გვიყო.

— აი, დღეს ორი ბოთლი ლუდიც მოგვცა.

— მე კი ყველაზე მეტად მიყვარს დაკონსერვებული ლუდი.

— ვიცი. მაგრამ დღეს ბოთლებში ჩამოსხმული ლუდი მოგვცა; ბოთლებს უკან დავაბრუნებ.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო კარგო, — უთხრა მოხუცმა ბიჭს, — აბა, ვჭამოთ?

— ამას გეხვეწები რამდენი ხანია, - ალერსიანად უთხრა ბიჭმა, — ქვაბებს თავს არ ვხდიდი, სანამ მზად არ იქნებოდი.

— უკვე მზადა ვარ! მაგრამ ჯერ ხომ ხელ-პირი უნდა დამებანა!

«სად უნდა დაგებანა?» — გაიფიქრა ბიჭმა. — წყლის ონკანი ორი კვარტალის იქით იყო. «წყალი, საპონი და კარგი პირსახოცი უნდა მოვუმარაგო. რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე? ახალი ხალათი, საზამთრო ქურქი, რამე ფეხსაცმელი და კიდევ ერთი საბანიც დასჭირდება».

— გემრიელი ხორცია, — თქვა მოხუცმა.

— მომიყევი ბეისბოლის ამბავს, — სთხოვა ბიჭმა.

— ამერიკის ლიგაში «იანკები» იგებენ, როგორც ვამბობდი, — კმაყოფილი სახით თქვა მოხუცმა.

— ჰო, მაგრამ დღეს ისინი დაამარცხეს.

— ეს არაფერია! სამაგიეროდ, დიდი დიმაჯიო კვლავ ფორმაშია.

— მარტო დიმაჯიო ხომ არ არის გუნდში.

— მართალია, მაგრამ თამაშის ბედს მაინც ისა წყვეტს. მეორე ლიგაში — ბრუკლინელები და ფილადელფილები არიან. მოგების შანსი მხოლოდ

ბრუკლინელებს აქვთ. სხვათა შორის, თუ გახსოვს, როგორ ურტყამდა დივ საიზლერი? რა დარტყმები ჰქონდა, როდესაც იქ თამაშობდა, ძველ პარკში!

— უკეთესი არ შეიძლება. ყველაზე შორს ურტყამს.

— გახსოვს, საიზლერი დადიოდა ტერასაზე? მინდოდა სათევზაოდ წამეყვანა, მაგრამ მომეხათრა. შენ გთხოვე, მოგეწვია, მაგრამ შენც მოგეხათრა.

— მახსოვს. დიდი შეცდომა მოგვივიდა. ხომ შეიძლებოდა, გამოგვყოლოდა. სიკვდილამდე გვემახსოვრებოდა.

— რა კარგი იქნებოდა, დიდი დიმაჯიო რომ წამოგვეყვანე სათევზაოდ, — თქვა მოხუცმა, — ამბობენ, მამა მეთევზე ჰყავდაო. ვინ იცის, ოდესლაც იქნება თვითონაც ჩვენსავით ღარიბი იყო, და ყველაფერს მიგვიხვდებოდა.

— დიდი საიზლერის მამა არასოდეს ღარიბი არ ყოფილა. ჩემოდენა რომ იყო, ნამდვილ გუნდებში თამაშობდა.

— შენოდენა რომ ვიყავი, აფრიან ნავს დავყვებოდი აფრიკის ნაპირებზე. საღამოობით ვხედავდი, როგორ გამოდიოდნენ ნაპირზე ლომები.

— ვიცი, გიამბნია ჩემთვის.

— რაზე ვიღაპარაკოთ, აფრიკაზე თუ ბეისბოლზე?

— ბეისბოლზე აჯობებს, — თქვა ბიჭმა, — მიამბე რამე სახელოვან მაკგროუზე.

— ძველად ისიც შემოივლიდა ხოლმე ჩვენთან, ტერასაზე. მაგრამ რომ დათვრებოდა, დიდი აყალმაყალი იცოდა. თავში მარტო ბეისბოლი კი არ უტრიალებდა, არამედ ცხენებიც. ჯიბეში მუდამ დოლის პროგრამები ედო და ხშირად ტელეფონით იძახდა ცხენების სახელებს.

— დიდი მწვრთნელი იყო, — თქვა ბიჭმა, — მამაჩემისაგან გამიგონია, ყველა მწვრთნელს სჯობდა ქვეყანაზე.

— ეს იმიტომ, რომ სხვებზე ხშირად იმას ხედავდა, — თქვა მოხუცმა. — დიუროშეს რომ ევლო ჩვენთან ყოველ წელიწადს, მამაშენი იმას ჩათვლიდა ყველაზე დიდ მწვრთნელად ქვეყანაზე.

— შენი აზრით, ვინ არის ყველაზე დიდი მწვრთნელი, ლუკი, თუ მაივ გონსალესი?

— ჩემი აზრით, ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან.

— ყველაზე უკეთესი მეთევზე კი ქვეყანაზე შენა ხარ!

— მე ვიცნობდი უკეთეს მეთევზესაც.

— Que val!1_ წამოიძახა ბიჭმა, — ქვეყანაზე ცოტა როდია კარგი მეთევზე, არიან შესანიშნავებიც, მაგრამ შენ ვერავინ შეგედრება.

— გმადლობ. მოხარული ვარ, რომ ასე ფიქრობ. იმედი მაქვს, იმოდენა თევზი არ შემხვდება, რომ სირცხვილი გვაჭამოს.

1 რას ამბობ (ესპან).

— მაგნაირი თევზი სად იქნება, თუ მართლა შეგრჩა უწინდელი ძალა.

— იქნებ ძალა იმდენი აღარ მომდევდეს, რამდენიც გული მერჩის, — თქვა მოხუცმა. — მაგრამ მოხერხება და გამოცდილება მაქვს, გამბედაობაც მეყოფა.

— ახლა დაწესი და დაიძინე, დილას უფრო მხნედ იქნები. მე კი ჭურჭელს დავაბრუნებ ტერასაზე.

— კარგი. ღამე მშვიდობისა. დილით გაგაღვიძებ.

— შენ პირდაპირ ჩემი მაღვიძარა საათი ხარ, — უთხრა ბიჭმა.

— ჩემი მაღვიძარა საათი კი სიბერეა. რატომ იღვიძებენ ბებრები ასე ადრე? ნუთუ იმიტომ, რომ თუნდაც ეს დღე გაიხანგრძლივონ?

— არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ახალგაზრდებს დიდხანს და მაგრად სძინავთ.

— მეც მახსოვს ახალგაზრდობა, — თქვა მოხუცმა, — გაგაღვიძებ დროზე!

— რატომდაც არ მიყვარს, როცა ის, მეორე მეთევზე, მაღვიძებს, ვითომ იმაზე ნაკლები ვიყო.

— გასაგებია.

— ღამე მშვიდობისა, მოხუცო.

ბიჭი წავიდა. მათ ისე ივახშმეს, რომ სინათლე არ აუნთიათ. ახლა კი მოხუცმა გაიხადა შარვალი და სიბნელეში დაწვა დასაძინებლად. შარვალი დაახვია და თავქვეშ დაიდო ბალიშის მაგივრად, შიგ გაზეთიც მოაყოლა. საბანში გაეხვია და გაწვა ძველ გაზეთებზე, რომლებიც გადაფარებული ჰქონდა საწოლის შიშველ ზამბარებს.

მალე ჩაეძინა. ესიზმრებოდა თავისი სიჭაბუკის დროინდელი აფრიკა, მისი გრძელი ოქროსფერი ნაპირები და თეთრი მეჩეჩები _ ისეთი თეთრი, რომ თვალებს სჭრიდა, — მაღალი ციცაბო კლდეები და უზარმაზარი რუხი მთები. იგი ახლა ყოველღამე მიადგებოდა ხოლმე ამ ნაპირებს, ძილში ესმოდა, როგორ ეხეთქებოდნენ ნაპირს ზვირთები, ხედავდა, როგორ მიაპობდნენ ტალღებს ადგილობრივ მცხოვრებთა ნავები. ძილში მას კვლავ სცემდა ფისისა და ძენძის სუნი, გემბანიდან რომ მოდიოდა, სცემდა აფრიკის სურნელება, დილის ნიავს რომ მოჰქონდა ნაპირიდან.

ჩვეულებრივ, როდესაც ამ სურნელებას იგრძნობდა, იღვიძებდა, ტანთ იცვამდა და ბიჭის გასაღვიძებლად მიდიოდა. მაგრამ დღეს ზღვისპირის სურნელება ძლიერ ადრე ეცა და ძილში მიხვდა, რომ ადრე იყო, ამიტომ განაგრძნო ძილი, რათა დაენახა ზღვიდან ამოზიდული კუნძულების თეთრი მწვერვალები. მერე კანარის კუნძულების უბეები და ბოლაზები დაესიზმრა.

ახლა მოხუცს უკვე აღარ ესიზმრებოდა არც ქარიშხალი, არც ქალები, არც დიდი ამბები, არც ვეებერთელა თევზები, არც ჩხუბი, არც შეჯიბრება ღონეში, არც ცოლი. მას ესიზმრებოდა მხოლოდ შორეული ქვეყნები და ლომები, ნაპირზე რომ გამოდიოდნენ. ლომები კნუტებივით დახტოდნენ ღამის ბინდ-ბუნდში და მოხუცს უყვარდა ისინი ისე, როგორც უყვარდა ბიჭი. მაგრამ ბიჭი არასდროს დასიზმრებია.

მოხუცს უეცრად გაეღვიძა, ღია კარიდან გახედა მთვარეს, გაშალა შარვალი და ჩაიცვა. ქოხიდან რომ გამოვიდა, მოშარდა და აღმართს შეუყვა

ბიჭის გასაღვიძებლად. ქრეოლას ჰგვრიდა დილის სიგრილე, მაგრამ იცოდა, რომ ქრეოლა გაივლიდა, მალე ნიჩბებსაც მოუსვამდა და გათბებოდა.

იმ სახლის კარი, სადაც ბიჭი ცხოვრობდა, ღია იყო. ფეხშიშველა მოხუცი ჩუმად შევიდა. ბიჭს დასაკეც საწოლზე ეძინა პირველ ოთახში და მოხუცს შეეძლო დაენახა მძინარე მცხრალი მთვარის შუქზე. ნელა მოჰკიდა ხელი ფეხზე და მანამ არ გაუშვა, სანამ ბიჭს არ გაეღვიძა. ბიჭმა გვერდი იბრუნა და მოხუცს შეხედა. მოხუცმა თავი დაუქნია. ბიჭმა ხელი წამოავლო შარვალს, რომელიც სკამზე იყო გადაკიდებული საწოლის ახლოს, და მჯდომარემ დაიწყო ჩაცმა.

მოხუცი გამოვიდა სახლიდან, ბიჭიც მალე გამოჰყვა. ბიჭი ვერასგზით ვერ ფხიზლდებოდა. მოხუცმა მხარზე მოჰკვია ხელი და უთხრა:

— მაპატიი, ჩემო კარგო.

— Que va! უპასუხა ბიჭმა, — რას იზამ, ასეთია მამაკაცების ხვედრი.

ისინი დაბლა დაეშვნენ, მოხუცის ქოხისაკენ.

მთელ გზაზე სიბნელეში ხვდებოდნენ ფეხშიშველა ადამიანები, რომელთაც თავიანთი ნავების ანძები მოჰქონდათ.

ქოხში რომ შევიდნენ, ბიჭმა აიღო ჭვილთი, ბარჯი და ყუთი, რომელშიაც ანკესის მკედის გორგლები ეწყო. მოხუცმა კი მხარეზე გაიდო აფრაშემოხვეული ანძა.

— მაპატიი, ჩემო კარგო.

— ყავა გინდა? — ჰკითხა ბიჭმა.

— ჯერ სათევზაო მოწყობილობა ჩავალაგოთ ნავში, ყავა მერე დავლიოთ.

ისინი შესქელებული რძის ქილებით სვამდნენ ყავას იმ სასაუზმეში, რომელიც მეთევზებს ემსახურებოდა და ამიტომ ძლიერ ადრე იღებოდა.

— კარგად გეძინა, მოხუცო? — ჰკითხა ბიჭმა. ბიჭი თითქმის სულ გამოფხიზლდა, თუმცა ძილს თავი მაინც ვერ წაართვა.

— ძლიერ კარგად, ჩემო მანოლინ. მწამს, რომ დღეს გამიმართლებს.

— მეც მწამს, — უთხრა ბიჭმა, — ახლა წავალ ჩვენი სარდინებისა და შენი საანკესე თევზების მოსატანად. ჩემი უფროსი თვითონ ეზიდება თავის სათევზაო მოწყობილობას. არ უყვარს, როცა მის ნივთებს სხვები ეზიდებიან.

— ჩვენ კი ასე არ ვიქცეოდით. ხუთი წლისა რომ გახდი, თითქმის იმ დროიდან გაზიდვინებდი სათევზაო მოწყობილობას.

— ვიცი, — უთხრა ბიჭმა. — დაიცადე, ახლავე დავბრუდები. კიდევ დალიე ყავა. აქ ნისიად გვაძლევენ.

მარჯნის სიპზე შიშველი ფეხების ტყაპუნით გასწია ბიჭმა მაცივრისაკენ, სადაც საანკესე თევზები ინახებოდა.

მოხუცი ნელა წრუპავდა ყავას. იცოდა, რომ ყავა ბლომად უნდა დაელია, რადგან დღეს მეტს ვერაფერს შეჭამდა. დიდი ხანია მობეზრდა ჭამის პროცესი და ზღვაზე არასდროს არ მიჰქონდა საუზმე. ნავის ცხვირზე ედგა წყლით სავსე ბოთლი. აი, სულ ეს იყო, რაც მას საღამომდე დასჭირდებოდა.

ბიჭი დაბრუნდა. თან მოიტანა სარდინები და გაზეთში გახვეული ორი საანკესო თევზი. ბილიკით დაეშვნენ ნავისაკენ. გრძნობდნენ, როგორ იშლებოდა წვრილი ხრეში ფეხქვეშ. ნავი ცოტათი ასწიეს და წყალში შეაცურეს.

_ გამარჯვებას გისურვებ, მოხუცო.

_ შენც გისურვებ გამარჯვებას.

მოხუცმა ნიჩბებზე გამობმული მარყუჟები ნავზე დამაგრებულ პალოებს ჩამოაცვა, მერე წინ გადაიხარა, ნიჩბები უკან მოუსვა და სიბნელეში დაიწყო ნავის გაყვანა ნავსადგურიდან. სხვა მეჩეჩებიდანაც ზღვაში გადიოდნენ სხვა ნავები. თუმცა მოხუცი მათ ვერ ხედავდა ახლა, როცა მთვარე გორაკებს მოეფარა, მაგრამ ესმოდა, როგორ ეშვებოდნენ ნიჩბები წყალში და როგორ აპობდნენ ტალღებს.

დროდადრო ხან ერთი, ხან მეორე ნავიდან მოისმოდა ლაპარაკი. მაგრამ ნავების დიდ უმეტესობაზე სიჩუმე სუფევდა, ისმოდა მხოლოდ ნიჩბების ხმა. ბოლაზიდან რომ გავიდნენ, ნავები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. ყოველი მეთევზე მიემართებოდა იქითკენ, სადაც თევზის დაჭერის იმედი ჰქონდა. მოხუცმა ადრევე გადაწყვიტა, რომ ნაპირიდან შორს წავიდოდა; უკან მოატოვა ნაპირი. უკვე არა სწვდებოდა ხმელეთის სურნელება და პირდაპირ მიცურავდა იქით, საიდანაც ოკეანის დილის სუნთქვა მოდიოდა. ოკეანის იმ ნაწილზე რომ გავიდა, რომელსაც მეთევზებმა «დიდი ჭა» შეარქვეს, დაინახა, როგორ ანათებდნენ ზღვაში წყალმცენარეები. ამ ადგილას ზღვის ფსკერი ერთბაშად მთელი შვიდასი საზღვაო საჟენის სიღრმეზე იყო დაწეული; აქ თავს იყრიდა ათასგვარი თევზი, რადგან ზღვის დინება ოკეანის ფსკერის ციცაბო ფერდობებს ეხეთქებოდა და მორევი ჩნდებოდა. აქ გროვდებოდნენ გარნელებისა და წვრილი თევზების დიდი გუნდები, ხოლო უფრო დიდ სიღრმეზე ზოგჯერ რიალებდნენ უამრავი სიპინები; დამით ისინი ზედაპირზე ამოდიოდნენ და მოხეტიალე თევზების ლუკმა ხდებოდნენ.

სიბნელეში მოხუცი გრძნობდა განთიადის მოახლოებას; ნიჩბებს უსვამდა და თან ყურს უგდებდა მოცახცახე ხმას _ ეს მფრინავი თევზი იყო, წყლიდან ამოდიოდა და მიქროდა შორს, მისი მაგარი ფრთები წივილით მიაპობდა ჰაერს. მოხუცს უყვარდა მფრინავი თევზები: ისინი მისი საუკეთესო მეგობრები იყვნენ აქ, ოკეანეში. ფრინველები ებრალებოდა, განსაკუთრებით პატარა და სუსტი ზღვის მერცხლები, რომლებიც მუდამ საკვების ძებნაში არიან და თითქმის ვერასოდეს ვერ პოულობენ. მოხუცი ფიქრობდა: «ჩიტებს ჩვენზე უფრო უჭირთ ცხოვრება, თუ ორბებსა და დიდ, ძლიერ ფრინველებს არ ჩავაგდებთ სათვალავში. რატომ გააჩინეს ფრინველები ასე სუსტნი და უმწეონი, როგორც ეს ზღვის მერცხლებია, თუკი ოკეანე ზოგჯერ ასე მკაცრია? ოკეანე კეთილი და მშვენიერია, მაგრამ ზოგჯერ უეცრად გაავდება, ფრინველები კი, რომლებიც მის სივრცეზე დაფრენენ, საკვებისათვის წყალში ყვინთავენ და ერთმანეთს სუსტი, ნაღვლიანი ხმით ეხმაურებიან, _ ოკეანის წინაშე მეტად უსუსურნი არიან».

გუნებაში მოხუცი ზღვას ყოველთვის *la mar*-ს ეძახდა, როგორც მას ეძახიან ხოლმე ეპანურად ის ადამიანები, რომელთაც უყვართ ზღვა. ზოგჯერ ზღვით მოხიბლული ადამიანებიც ამბობენ ცუდ რამეს ზღვაზე, მაგრამ მას ყოველთვის იხსენიებენ, როგორ, ქალს. ზღვას *le mar*-ს ეძახიან, ესე იგი, მამრობით სქესში იხსენიებენ, უფრო ახალგაზრდები იმ მეთევზეთაგან, რომლებიც უბრალო ტივტივების მაგივრად ძვირფას ტივტივებს ხმარობენ და მოტორიანი ნავებით დადიან. ეს ნავები მაშინდელი შეძენილი აქვთ, როდესაც ზვიგენის ღვიძლი ძვირად ფასობდა. ისინი ზღვას იხსენიებენ, როგორც სივრცეს, როგორც მეტოქეს, ზოგჯერ როგორც მტერსაც. მოხუცი კი მუდამ ფიქრობდა ზღვაზე, როგორც ქალზე, რომელიც ან დიდად გწყალობს, ან უარს გეუბნება. ხოლო თუ ზოგჯერ ბოროტად ან უკეთურად იქცევა, — რა ვუყოთ, ასეთია მისი ბუნება. «მთვარე ისე აღელვებს ზღვას, როგორც ქალს», — ფიქრობდა მოხუცი.

მძიმედ, თანაბრად უსვამდა ნიჩბებს, ძალას არ ატანდა, რადგან ოკეანის ზედაპირი სარკესავით იყო, გარდა იმ ადგილებისა, სადაც დინება მორევს აჩენდა. მოხუცი ზღვის დინებას თავისი საქმის მესამედს აკეთებინებდა.

როცა ირიჟრაჟა, მოხუცმა დაინახა, რომ ბევრად უფრო შორს გასულიყო, ვიდრე ნავარაუდევი ჰქონდა.

«მთელი კვირა ვთევზაობდი ღრმა ადგილებში და ვერაფერი დავიჭირე, — გაიფიქრა მოხუცმა. — დღეს ბედია ვცდი იქ, სადაც ბონიტოს და ალბაკორეს გუნდები დადიან. ერთიც ვნახოთ, იქ დიდ თევზიც ცურავს?»

ჯერ არ გათენებულიყო, მოხუცმა კი უკვე ჩაუშვა წყალში თავისი დიდი ანკესები და ნელა მიჰყვა წყლის დინებას. ერთი ანკესი ორმოცი საზღვაო საჟენის სიღრმეზე ჩაეჭვა, მეორე წავიდა დაბლა _ სამოცდათხუთმეტი საჟენის სიღრმეზე, ხოლო მესამე და მეოთხე ჩაიძირნენ ასი და ასოცდახუთი საჟენის სიღრმეზე ლუჯ წყალში. ანკესებზე წამოგებული თევზები თავქვე ეკიდნენ, თანაც ანკესის ღერძი მათ შუაში ჰქონდათ გაყრილი და ზედ მაგრად იყვნენ მიკვანძული. ანკესის კავსა და წვეტზე კი აცმული იყო ახალი სარდინები. სარდინებს ანკესი ორივე თვალში ჰქონდათ გაყრილი, ასე რომ, ანკესის ფოლადის ნახევარრკალზე გირლიანდივით იყვნენ ასხმული. ანკესთან ახლოს მისული დიდი თევზი ადვილად იგრძნობდა, თუ რა კარგი გემო და სამო სუნი ჰქონდა ყოველ ნაჭერს.

ბიჭმა მოხუცს თან გაატანა ორი ახალი მომცრო ტუნეცი, რომლებიც მოხუცმა ორ ყველაზე გრძელმკედიან ანკესს ჩამოჰკიდა საწაფივით, ხოლო ორ დანარჩენს დიდი ლურჯი მაკრელი და ყვითელი ქარიყლაპია დაჰკიდა. მაკრელი და ქარიყლაპია წინადღითაც ჰქონდა აცმული ანკესზე, მაგრამ ახლაც კარგად იყო შენახული, შესანიშნავი სარდინები კი სურნელებასა და მიმზიდველობას ჰმატებდნენ მათ. ყოველი ანკესის მკედი დიდი ფანქრის სისხო იყო. მკედი ისე იყო ელასტიურ წნელზე მოდებული, რომ, თუ თევზი ოდნავადაც კი შეეხებოდა ანკესს, წნელი წყლის ზედაპირამდე დაიღუნებოდა. მკედები გადაბმული იყო ორმოც-ორმოცი საჟენი სიგრძის სამარქაფო

გორგლებზე, რომელთა გადაბმა თავის მხრივ შეიძლებოდა სხვა სამარქაფო გორგლებზედაც. ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში შეეძლო სამას საუენტი და კიდევ მეტზე გაეშვა თევზზი.

ახლა მოხუცი თვალს ადევნებდა, ხომ არ იღუნებოდა ნავის ქიმზე მწვანე წნელები. ნელა უსვამდა ნიჩბებს, ცდილობდა, მკედები პირდაპირ და საჭირო სიღრმეზე ჩავშვებულიყვნენ წყალში. ინათა, მალე მზეც ამოვიდოდა.

როგორც კი ოდნავ შესამჩნევად ამოცურდა ზღვიდან მზე, მოხუცმა დაინახა სხვა ნავები, რომლებიც წყალს გაჰკვროდნენ მთელი დინების გასწვრივ, ნაპირის ახლოს. შემდეგ მზის სინათლემ იმატა და წყალმა ლაპლაპი დაიწყო; როცა მზე ჰორიზონტს ასცდა, ზღვის სარკე პირდაპირ თვალებში ისროდა არეკლილ სხივებს, რაც თვალების მწვავე ტკივილს იწვევდა. მოხუცი ნიჩბებს უსვამდა და მოლაპლაპე წყალს თვალს არიდებდა. მერე მან ჩაიხედა ზღვის მუქ სიღრმეში, სადაც ანკესები იყო ჩაშვებული. მოხუცის ანკესები წყალში ყოველთვის უფრო პირდაპირ ჩადიოდნენ, ვიდრე სხვა მეთევზეებისა, და ზღვის წყვდიადში სხვადასხვა სიღრმეზე თევზს საკბილო სწორედ იქ ელოდა, სადაც მოხუცს ჰქონდა მინიშნებული. სხვა მეთევზეები თავიანთ ანკესებს წყლის დინებას მიანებებდნენ და ზოგჯერ ეს ანკესები მხოლოდ სამოცი საუენის სიღრმეზე აღმოჩნდებოდნენ, როდესაც მეთევზეებს ეგონათ, ასი საუენის სიძღრმეზე ჩავუშვითო.

«მე ხომ ჩემს ანკესებს ყოველთვის კარგად ვუშვებ წყალში. — გაიფიქრა მოხუცმა, — ეს არის, რომ ბედი არა მწყალობს. თუმცა ვინ იცის? იქნებ დღეს ბედმა გამიღიმოს. ყოველი დღე ერთმანეთს ხომ არ ჰგავს. ცხადია, კარგია, როდესაც კაცს ბედი სწყალობს. მაგრამ მე მაინც მირჩევნია, ჩემს საქმეს მარჯვედ ვაკეთებდე, ხოლო როდესაც ბედი გამიღიმებს და ბედნიერება მეწვევა, მზად შევხვდები მას».

მზის ამოსვლიდან ორი საათი გავიდა. მზე სულ მაღლა იწევდა და აღმოსავლეთისაკენ ცქერა არც ისე ძნელი იყო. ახლა მხოლოდ სამი ნავი მოჩანდა; თითქოს წყალს გაჰკვრიან და ნაპირს არც მოშორებიანო.

«რაც თავი მახსოვს, მუდამ თვალსა მჭრის ხოლმე დილის სინათლე, — ფიქრობდა მოხუცი, — მაგრამ თვალები მაინც კარგად მიჭრის. საღამო ხანს შემიძლია პირდაპირ ვუცქირო მზეს და შავი წინწკლები არ გადამეფარება თვალებზე. საღამოს მზე ხომ გაცილებით უფრო ელვარებს, მაგრამ დილის მზე თვალებს მტკენს».

სწორედ ამ დროს მან შეამჩნია ზღვის ვეება ფრინველი, ფრეგატი, რომელსაც გრძელი, შავი ფრთები გაეშალა და ცაში ტრიალებდა. ფრინველმა ფრთები ასწურა და მოწყვეტით დაეშვა წყლისაკენ. მერე კვლავ ირაო შეკრა.

— საკბილო იყნოსა, — ხმამაღლა თქვა მოხუცმა. — ტყუილუბრალოდ არ ტრიალებს.

ნელა და თანაბრად მიაცურებდა ნავს იქითვენ, სადც ფრინველი წრეს უვლიდა. მოხუცი არ ჩქარობდა, ცდილობდა, რომ ანკესები პირდაპირ ჩაშვებულიყო წყალში. მაგრამ ოდნავ წინ უსწრებდა დინებას და, თუმცა კვლავ

ოსტატურად თევზაობდა, მისი მოძრაობა ახლა მაინც ცოტათი უფრო აჩქარებული იყო, ვიდრე წინათ, ფრინველის გამოჩენამდე.

ფრინველმა მაღლა აიწია, უძრავად გაშალა ფრთები და რამდენიმე წრე შემოხაზა. მერე უეცრად დააცხრა წყალს და მოხუცმა დაინახა, როგორ ამოსხლტა წყლიდან მფრინავი თევზი და თავგანწირვით გასრიალდა წყლის მოსარკულ ზედაპირზე.

— სკუმბრია, — ხმამაღლა თქვა მოხუცმა, — დიდი ოქროსფერი სკუმბრია.

წყლიდან ნიჩბები ამოიღო და ნავში ანკესის მკედი მონახა. მკედის ბოლოზე მავთულით გამობმული იყო პატარა ანკესი, რაზედაც მოხუცმა ერთ-ერთი სარდინი წამოაგო. მკედი წყალში ჩაუშვა და მისი მეორე ბოლო ნავის კიჩოზე მიმაგრებულ რგოლს გამოაბა. მერე მეორე ანკესსაც წამოაგო თევზის ნაჭერი და დახვეული შეინახა ჩრდილში, ნარის ქვეშ. მერე ისევ ნიჩბები აიღო ხელში და მიაჩერდა გრძელფრთებიან შავ ფრინველს, რომელიც ახლა წყლის ზედაპირის გასწვრივ ნადირობდა.

ფრინველმა ფრთები მაღლა აიკეცა და წყალში ჩაყვინთა, მერე ფრთები გამალებით და უმწეოდ ააფართხუნა და მფრინავ თევზს გამოენთო. მოხუცი ხედავდა, როგორ ნარავდა წყალს ოქროსფერი სკუმბრია, რომელიც დაფეთებულ თევზს მისდევდა. ისინი დიდი სისწრაფით მიცურავდნენ, რათა სწორედ მფრინავი თევზების ქვეშ აღმოჩენილიყვნენ იმ წამს, როდესაც ისინი კვლავ წყალში ჩაეშვებოდნენ. «ჩანს, იქ დელფინების დიდი გუნდია, — გაიფიქრა მოხუცმა. — ისინი ერთმანეთისაგან შორი-შორს მიცურავენ და საეჭვოა, რომ მფრინავი თევზები გადაურჩეს მათ. ფრინველს კი მათი დაჭერის არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს. მისთვის მფრინავი თევზი ერთობ დიდია და ძლიერ სწრაფადაც მოძრაობს».

მოხუცი თვალს ადევნებდა, როგორ ამოსხლტებოდა წყლიდან დროდადრო მფრინავი თევზი და როგორ უნიათოდ ცდილობდა მის დაჭერას შავი ფრინველი. «გუნდი ხელიდან წამივიდა, — გაიფიქრა მოხუცმა, — ისინი ძლიერ სწრაფად და ძლიერ შორს მიცურავენ. მაგრამ, შესაძლოა, შემხვდეს გუნდისგან ჩამორჩენილი თევზი ან, იქნებ, მათ ახლოს ცურავს ჩემი დიდი თევზიც? სადმე ხომ უნდა ცურავდეს იგი».

ახლა ღრუბლები დიდი მთებივით იწევდნენ მაღლა, ხოლო ზღვის ნაპირი მწვანე ზოლს ჰგავდა; ზოლს იქით რუხმოცისფრო გორაკები მოჩანდა. ახლა წყალიც მუქ-ლურჯი გამხდარიყო, თითქმის იისფერი. მოხუცი ჩასცექროდა ოკეანეს და მუქ სიღრმეში ხედავდა პლანქტონის მოწითალო ფერების ლივლივსა და მზის სხივების თვალწარმტაც ანარეკლს. თვალს ადევნებდა, პირდაპირ ჩადიოდნენ თუ არა წყალში მისი ანკესები, და უხაროდა, რომ ირგვლივ ამოდენა პლანქტონი იყო, რადგან ეს იმას ნიშნავდა, რომ აქ თევზი ტრიალებდა. ახლა, როდესაც მზე მაღლა აიწია, სხივების წარმტაცი ციმციმი წყალზე, ისე როგორც ზემოთ დაკიდულ ღრუბელთა ფორმა, კარგ ამინდს მოასწავებდა. მაგრამ ფრინველი უკვე შორს იყო. წყლის ზედაპირზე კი არ ჩანდა არფერი, გარდა სარგასის გაყვითლებული, მზით

გახუნებული წყალმცენარის კონებისა და მოლურჯო, მოელვარე ლაბისებრი ბუშტისა – პორტუგალიური ფიზალისა, რომელიც ნავის ახლოს მიცურავდა. ფიზალი გვერდზე გადაბრუნდა, მერე ისევ გასწორდა. იგი ლაღად მიცურავდა, მზეზე ელვარებდა, როგორც საპნის ბუშტი, თან წყალში მთელი იარდის სიგრძეზე მიათრევდა თავის გრძელ შხამიან მოლურჯო საცეცებს.

_Aqua mala – თქვა მოხუცმა, – ოჰ, შე ბილწო!

მოხუცმა მსუბუქად მოუსვა ნიჩბები და ზღვის სიღრმეში ჩაიხედა. დაინახა პაწაწა თევზები, რომელთაც იგივე ფერი გადაჰკრავდა, რაც წყალში გაწელილ საცეცებს ჰქონდათ; პაწაწა თევზები დაცურავდნენ საცეცებს შორის და იმ ბუშტის ჩრდილში, წყალს რომ მიჰქონდა. ბუშტის შხამს არ შეეძლო მოეწამლა ეს თევზები. სულ სხვა იყო ამ შხამის მოქმედება ადამიანზე. როდესაც ეს ლორწოვანი და მოლურჯო საცეცები მიეკვროდნენ ანკესის მკედს, სანამ მოხუცს თევზი ამოჰყავდა, ხელები იდაყვამდე სულ წყლულებით ეფარებოდა, თითქოს დამწვარიაო. *Aqua mala-საგან სწრაფად იწამლება* ადამიანი; მისი შხამი ისეთსავე ტკივილს იწვევს, როგორც მათრახის ცემა.

ცისარტყელას ფერებით მოელვარე ბუშტები საოცრად ლამაზები არიან. მაგრამ ზღვის მკვიდრთა შორის ეს ბუშტები ყველაზე ვერაგებია. ამიტომ მოხუცს უყვარდა იმის დანახვა, თუ როგორ ჭამდნენ ამ ბუშტებს ზღვის ვება კუები. ბუშტებს რომ მოჰკრავდნენ თვალს, კუები მათ წინა მხრიდან უახლოვდებოდნენ, თვალებს ხუჭავდნენ, რომ შხამს ვერაფერი ევნო, და ბუშტებს საცეცებიანად ჭამდნენ. მოხუცს მოსწონდა ამ სურათის ცქერა. მოსწონდა ისიც, დიდი ღელვის შემდეგ ნაპირზე ფეხს რომ ადგამდა მათ, თანაც ყურს უგდებდა, როგორ სკდებოდნენ ბუშტები, როცა დაკოურილი ფეხისგულით ჭყლეტდა.

მოხუცს უყვარდა მწვანე კუ და «ჰოვბილები», მათი სიკოხტავისა და სიმარდის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ისინი ასე ძვირად ფასობდნენ. სამაგიეროდ, ეზიზღებოდა ყვითელჯავშნიანი, ზოზინა და სულელი «ლოგერ-ჰედები», რომლებიც თვალდახუჭული ჭამდნენ პორტუგალიურ ფიზალებსა და სიყვარულის საქმეებშიაც ერთობ ვნებიანები იყვნენ.

მოხუცი არ იყო შეპყრობილი არავითარი მისტიკით კუს მიმართ, თუმცა მრავალი წლის განმავლობაში დაცურავდა კუზე სანადიროდ. მოხუცს ებრალებოდა კუები, ვეება ტყავქერქეშა კუებიც კი, რომლებიც ნავის სიგრძისანი არიან და თვითეული ტონას იწონის. ადამიანთა უმეტესობა უგულოდ ეპყრობა კუს, იმიტომ, რომ კუს გული დიდხანს ძგერს იმის შემდეგაც, როდესაც მოკლავენ და ნაჭრებად დაკეპავენ ხოლმე. «მაგრამ მეც ხომ ასეთი გული მაქვს, – ფიქრობდა მოხუცი, – ჩემი ხელები და ფეხები კი ძალიან ჰგავს მათ კიდურებს». მოხუცი ჭამდა კუს თეთრ კვერცხებს, რათა ღონე მომატებოდა. ჭამდა ამ კვერცხებს მთელი მაისის განმავლობაში, რათა ძალა ჰქონდა სექტემბერსა და ოქტომბერში, როდესაც ნამდვილად დიდი თევზი წამოვიდოდა.

მოხუცი აგრეთვე ყოველდღე სვამდა თითო ჭიქა ქონს, გამოწურულს ზვიგენის ღვიძლიდან; ეს ქონი ინახებოდა დიდ კასრში იქ, სადაც ბევრი მეთევზე ინახავდა თავის სათევზაო მოწყობილობა. ქონით შეეძლო ესარგებლა ყოველ მეთევზეს, ვინც კი მოისურვებდა. მეთევზეთა უმეტესობას ამ ქონის გემო გულს ურევდა, მაგრამ იმის სმა იმაზე საზიზლარი არ იყო, ვიდრე დილაბნელზე ადგომა... გარდა ამისა, ეს ქონი გაცივებისაგან იცავდა ადამიანებს და თვალებისათვისაც სასარგებლო იყო.

მოხუცმა ცას ახედა და დაინახა, რომ ფრინველი ისევ დასტრიალებდა ზღვას.

— თევზი იპოვა, — თქვა მან ხმამაღლა.

არცერთი მფრინავი თევზი არ არხევდა წყლის სარკეს, არც წვრილი თევზი ჩანდა. მაგრამ მოხუცმა უეცრად დაინახა, როგორ ამოხტა წყლიდან მომცრო ტუნეცი, შეტრიალდა ჰაერში, დაეშვა თავქვე და ისევ ჩაიმალა ზღვაში. ტუნეცმა ვერცხლივით გაიელვა მზეზე, მერე სხვა ტუნეცებმაც იწყეს წყლიდან ამოვარდნა და აქეთ-იქით ხტომა; ისინი წყალს აქაფებდნენ, გრძელი ნახტომებით მისდევდნენ წვრილ თევზებს და წინ მიერეკებოდნენ.

«თუ ძლიერ სწრაფად არ გაცურეს, მთელ გუნდს დავეწევი» — გაიფიქრა მოხუცმა. იგი უყურებდა, როგორ აქაფებდნენ წყალს თევზები, როგორ ყვინთავდა ფრინველი და იჭერდა წვრილ თევზს, რომელიც ტუნეცების შიშით ზედაპირზე ამოსულიყო.

— ფრინველი მეთევზის ერთგული თანაშემწეა, — თქვა მოხუცმა.

ამ დროს ნავის კიჩოდან ჩაშვებული ანკესის მოკლე მკედი გაიჭიმა ფეხქვეშ; მოხუცს ფეხი მკედის ერთ ნაკეცზე ჰქონდა დადგმული; მან ხელი უშვა ნიჩბებს და მკედის ბოლოს მოეჭიდა. გრძნობდა მომცრო ტუნეცის სიმძიმეს; ტუნეცი გაშმაგებით ეწეოდა ანკესს. ანკესის მკედი სულ უფრო და უფრო ქანაობდა. მოხუცმა თევზის ლურჯი ზურგი და ოქროსფერი გვერდები უფრო ადრე დაინახა, ვიდრე თევზს ნავთან მოაცურებდა და ნავში ჩამოაგდებდა. ჩამოსხმულ ტყვიასავით მკვრივი ტუნეცი ნავის კიჩოსთან ეგდო მზეზე. დიდრონი თვალები გადმოეკარკლა, ლამაზსა და მოძრავ ბოლოს ცახცახით ურტყამდა ნავის ძირს და სიცოცხლეს ეთხოვებოდა. მოხუცს შეებრალა და მალე მოკლა, თავზე კეტი დაპირა და ჯერ კიდევ მოცახცახე შეაგდო მერხის ქვეშ ფეხის აკვრით.

— ალბაკორეა, — თქვა ხმამაღლა. — ამისგან შესანიშნავი საანკესე ნაჭრები გაკეთდება. ათი გირქვანქა იქნება.

მოხუცი უკვე ვეღარ იხსენებდა, როდის დაიწყო პირველად თავის თავთან ხმამაღლა საუბარი. წინათ, მარტო რომ დარჩებოდა, მღეროდა; მღეროდა ზოგჯერ ღამითაც, ვახტზე რომ იდგა, როდესაც დიდი აფრიანი ნავებით დაცურავდა ან კუზე ნადირობდა. ალბათ, ხმამაღლა საუბარი თავის თავთან იმის შემდეგ დაიწყო, რაც ბიჭი წავიდა და სრულიად მარტო დარჩა. ახლა უკვე აღარ ახსოვდა. მაგრამ მაშინაც, როცა ბიჭთან ერთად თევზაობდა, ისინი ერთმანეთს მხოლოდ მაშინ დაელაპარაკებოდნენ, როდესაც

აუცილებელი იყო; საუბრობდნენ ღამით ან ავდარში, იძულებითი უსაქმობის დროს. განსაკუთრებული საჭიროების გარეშე ზღვაზე არ არის მიღებული საუბარი. თვითონ მოხუციც იმ აზრისა იყო, რომ ზღვაზე ტყუილუბრალო საუბარი ცუდია, და ჩვეულებას იცავდა. ახლა კი ბევრჯერ იმეორებდა თავის აზრებს ხმამაღლა. მაგრამ ამით ხომ არავის აწუხებდა?

— ვინმემ ყური რომ დამიგდოს, როგორ ვესაუბრები საკუთარ თავს, იფიქრებს, ჭიუაზე შერყეულაო, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა, — მაგრამ რაკი არ შევრყეულვარ, ვის რა ესაქმება? მდიდრებს რა უჭირთ, რადიო აქვთ; რადიოს შეუძლია ესაუბროს მათ ნავში და მოუთხროს ბეისბოლის ახალი ამბები.

«ახლა ბეისბოლზე ფიქრის დრო არ არის, — უთხრა თავის თავს მოხუცმა. — ახლა მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრის დროა, სახელდობრ, იმაზე, რისთვისაც ვარ გაჩენილი. შესაძლოა, სადმე, თევზების ამ გუნდის გვერდით ცურავს ჩემი დიდი თევზიც. დავიჭირე მხოლოდ ერთი ალბაკორე, ისიც ჩამორჩენილი. ეს თევზები კი შუაგულ ზღვაში ნადირობენ და ძლიერ სწრაფად დაცურავენ. ყველაფერი, რაც დღეს ზღვაზე მხვდება, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიიღოვის და ძლიერ სწრაფად მოძრაობს. შესაძლოა, ასეა ყოველთვის დღის ამ საათებში! ან იქნება, ეს ამინდის შეცვლას მოასწავებს, მე კი ასეთი ნიშანი არ ვიცი».

მოხუცი ვეღარ ხედავდა ნაპირის მწვანე ზოლს; შორს აღმართულიყვნენ მხოლოდ ცისფერი გორაკების თხემები, რომლებიც აქედან სულ თეთრად ჩანდნენ, თითქოს თოვლით დაფარულანო. მათ ზემოთ ღრუბლები დათოვლილ მთებს ჰგავდნენ. ზღვა ძლიერ ჩამუქდა, მზის სხივები ტყდებოდნენ წყალში. პლანქტონის უამრავი ნაპერწყალი ცის ტატნობზე აცურებულ მზეს ჩაექრო და მუქ-ლურჯ წყალში მოხუცი ხედავდა მხოლოდ გადატეხილი სხივების ნაირფერ ანარეკლებს და ანკესის მკედებს, პირდაპირ რომ ეშვებოდნენ სიღრმეში, რაც აქ უკვე ერთ მილს აღწევდა.

ტუნეცები კვლავ წავიდნენ სიღრმეში (მეთევზეები ამ ჯიშის თევზებს ყველას ტუნეცს ეძახდნენ და მათ ნამდვილ სახელებს მხოლოდ მაშინ ასხვავებდნენ, როდესაც ბაზარზე მიჰქონდათ გასაყიდად ან საანკესე ნაჭრებად ასაღებდნენ). მზე ძლიერ აცხუნებდა და მოხუცი გრძნობდა, როგორ წვავდა კისერს; ზურგზე ოფლი ღვარად დასდიოდა, როდესაც ნიჩბებს უსვამდა.

«შემეძლო გავყოლოდი ზღვის დინებას და ცოტა წამემინა, — გაიფიქრა მოხუცმა. — შეიძლებოდა ფეხის ცერზე გამომება ანკესის მკედი, რომ დროზე გამაღვიძოს. მაგრამ დღეს ოთხმოცდამეხუთე დღეა და ფხიზლად უნდა ვიყო».

სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ ერთ-ერთი მწვანე ჯოხი მკვეთრად შეირხა და წყლისკენ დაიღუნა.

— აპა, — თქვა მან. — აპა! — წყლიდან ისე ამოიღო ნიჩბები, რომ ნავი არ შეერხია. ანკესის მკედს მისწვდა და ფრთხილად მოსდო მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითო. მკედის არც გაჭიმვას გრძნობდა, არც გაწევას, ამიტომ მსუბუქად ეჭირა. მაგრამ მკედი კვლავ შეირხა. ამჯერად ანკესის დაწევა ფრთხილი და უძალო იყო. მოხუცმა კარგად იცოდა, თუ რას ნიშნავდა ეს. ასი

საზღვაო საჟენის სიღრმეზე მარლინი ჭამდა სარდინებს, რომლებიც ასხმული იყო ანკესის წვერსა და ნახევარ რკალზე, იქ, სადაც ეს ხელით ნაკეთი ანკესი თავში ჰქონდა გაყრილი მომცრო ტუნეცს.

მოხუცმა ცოტათი შეაჩერა მკედი და მარცხენა ხელით ფრთხილად მოხსნა ჯოხს. ახლა მკედს შეეძლო ესრიალა თითებს შუა ისე, რომ თევზს ეს არ შეემჩნია.

«ნაპირიდან ასე შორს და წელიწადის ასეთ დროს მხოლოდ ვეება თევზი შეიძლება იყოს. — გაიფიქრა მოხუცმა. — მიირთვი, თევზო, მიირთვი! აბა, ჭამე, გეთაყვა. სარდინები მეტად ქორფაა, შენ კი გცივა წყალში ექვსასი ფუტის სიღრმეზე. ხომ ცივა და ბნელა? ერთხელ კიდევ შემოტრიალდი სიბნელეში, დაბრუნდი უკან და ჭამე!»

მოხუცმა კვლავ იგრძო ანკესის მსუბუქი, ფრთხილი დაწევა, მერე კი უფრო ძლიერი; როგორც ჩანს, ანკესიდან ერთ-ერთი სარდინის თავის მოგლეჯა უფრო ძნელი შეიქნა. მერე ყველაფერი მიყუჩდა.

— აბა, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა, — ერთხელ კიდევ მოტრიალდი, დაყნოსე! ნახე, რა მშვენიერია! კარგად ჭამე. მერე, ალბათ, ტუნეცის მადაზეც მოხვალ! ეს თევზი მაგარი, ცივი და მეტად გემრიელია. ნუ გრცხვენია, თევზო, მიირთვი, ჭამე, გთხოვ!

მოხუცს ცერითა და საჩვენებელი თითით ეჭირა მკედი და ელოდა, ამავე დროს სხვა ანკესებსაც ადევნებდა თვალს, რადგან თევზს შეეძლო ადგილიდან ადგილზე გადაცურებულიყო. უეცრად კვლავ იგრძნო ანკესის მკედის ნელი, ოდნავ შესამჩნევი დაწევა.

— პირს მოსდებს, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა. — პირს მოსდებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს!

მაგრამ თევზი არ მოედო ანკეს. იგი წავიდა და მოხუცი ვეღარაფერს გრძნობდა.

— ვერსად წავიდოდა, — თქვა მოხუცმა, — ღმერთმა ხომ იცის, რომ ვერ წავიდოდა, იგი მხოლოდ ტრიალებს და ახალ წრეს უვლის. იქნებ სხვა დროსაც წამოეგო ანკეს და ახლა ახსოვს.

ამ დროს მოხუცმა კვლავ იგრძნო მკედის მსუბუქი დაწევა და გულზე მოეშვა.

— აკი ვთქვი, მხოლოდ წრეს უვლის-მეთქი, — თქვა მოხუცმა, — ახლა ნამდვილად მოსდებს პირს.

მოხუცი ბედნიერი იყო, რომ გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა არხევდა თევზი ანკესის მკედს. უეცრად იგრძნო ვეება თევზის საოცარი სიმძიმეც; ხელი უშვა მკედს, საშუალება მისცა, რომ ჩასრიალებულიყო დაბლა, სულ დაბლა; თანდათან იხსნებოდა ერთ-ერთი სამარქაფო გორგალი. თოკი ადვილად მისრიალებდა თითებს შუა და ეშვებოდა დაბლა; თუმცა მოხუცი ოდნავ იჭერდა მას, მაგრამ მაინც გრძნობდა უდიდეს სიმძიმეს, მკედს რომ ეკიდა.

— რანაირი თევზია, — თქვა მან ხმამაღლა. — მხოლოდ პირი მოსდო ანკეს და ახლა სურს შორს წავიდეს ანკესიანად .

«სულ ერთია, მობრუნდება და ანკესს გადაყლაპავს». – გაიფიქრა მოხუცმა. მაგრამ თავისი აზრი ხმამაღლა არ თქვა, რომ არ დათარსულიყო. იცოდა, რა ვება იყო ეს თევზი, გონების თვალით კიდევ ხედავდა, როგორ მიცურავდა იგი სიბნელეში სულ უფრო შორს და შორს, პირში გარდიგარდმო გაჩხერილი ტუნეცითურთ. სწორედ ამ დროს ერთი წამით მოძრაობა შეწყდა, მაგრამ მოხუცი კვლავინდებურად გრძნობდა თევზის სიმძიმეს. მერე მკედი ისევ გაიჭიმა და მოხუცმა ხელი შეუშვა მას. წამით თითებით შეაჩერა მკედი, მაგრამ გაწევა უფრო გაძლიერდა, მკედი პირდაპირ დაბლა დაიჭიმა.

მკედს საშუალება მისცა ესრიალა თითებს შუა, ხოლო მარცხენა ხელით ორი სამარქაფო გორგლის თავისუფალი ბოლოები გადააბა მეორე ანკესის ორი სამარქაფო გორგლის ნასკვებს. ახლა ყველაფერი მზად იყო. თუ იმ მკედს არ ჩავთვლით, რომლითაც თევზი ეჭირა, მოხუცს მარაგად ჰქონდა სამი გორგალი, თითოული ორმოც-ორმოცი საჟენი სიგრძისა.

– ცოტა კიდევ ჭამე, – თქვა მან. – კარგად ჭამე.

«ჭამე ისე, რომ ანკესის წვერი გულში ჩაგესოს და სული გაგაცხებინოს, – გაიფიქრა, – თვითონ შენ ამოცურდი და საშუალება მომეცი, ჭვილთი დაგკრა. აი, ეს კარგია. მზად ხარ? კარგად გაძეხი?»

– დროა! – თქვა მან ხმამაღლა. ორივე ხელით მაგრად ამოჰკრა და დაახლოებით ერთ იარდზე ამოსწია ანკესის მკედი; მერე ისევ ამოჰკრა და ამოჰკრა, თანაც ხან ერთი, ხან მეორე ხელით ეწეოდა მას. მკედის ყოველი ამოკვრის დროს მოხუცი მკლავებისა და სხეულის მთელ ძალას იკრებდა.

მაგრამ გარჯა ამაო იყო. თევზი ნელა მიდიოდა სხვა მხარეს და მოხუცმა ერთი გოჯითაც ვერ შეძლო მისი მოცურება ახლოს. მკედი მოხუცს მაგარი ჰქონდა, დიდი თევზისთვის ნავარაუდევი. ახლა მკედი ბეჭებზე მოიხვია და ისე მაგრად მოსწია, რომ გაჭიმულ მკედზე წყლის წვეთები ათამაშდნენ, თანაც წყალში მკედის სისინი გაისმა. მოხუცი მერხს დაეყრდნო და უკან გადაიხარა, რომ მკედი მაგრად დაეჭირა. ნავი ოდნავ შესამჩნევად მიექანებოდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

თევზი მიცურავდა და მიცურავდა; ნავი ნელა მოძრაობდა მოსარკულ წყალზე. სხვა ანკესებიც წყალში იყო ჩაშვებული, მაგრამ მოხუცს ვერაფერი მოეხერხებინა მათთვის.

– ეჰ, რა კარგი იქნებოდა, რომ ბიჭი ყოფილიყო ჩემთან! – თქვა მან. – თევზი ბუქსირით მიმათრევს, მე კი საბუქსირე პალოს ვგავარ. შეიძლება თოვი ნავს გამოვაბა. მაგრამ ვაითუ თევზმა მოგლიჯოს? მკედი მაგრად უნდა მეჭიროს და მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში მივუშვა. მადლობა ღმერთს, რომ თევზი მიცურავს და ფსკერისაკენ არ ჩადის.

სიღრმეში წასვლა თუ დააპირა, მაშინ რა ვქნა? ან ქვასავით რომ დაეშვას ფსკერზე და იქ მოკვდეს? არ ვიცი. რამეს ვიღონებ. ათასნაირად მოევლება საქმეს.

მოხუცი ზურგით აწვებოდა თოკს და უყურებდა, როგორ ირიბად მიდიოდა იგი წყალში და როგორ ნელა მიცურავდა ნავი ჩრდილოდასავლეთისაკენ.

«თევზი მალე მოკვდება, — ფიქრობდა მოხუცი. — მუდამ ხომ ვერ შეძლებს იცუროს». მაგრამ გავიდა ოთხი საათი და თევზი ისევ დაუღლელად მიდიოდა ზღვაში, ხოლო მოხუცი ისევ ისე იჯდა ნავის ქიმზე მიყრდნობილი და ბეჭებზე თოვშემოჭერილი.

— როცა დავიჭირე, შუადღე იყო, — თქვა მოხუცმა. — აქამდე კი თვალითაც არ მინახავს.

თევზის დაჭერის წინ მოხუცმა მაგრად ჩამოიფხატა შუბლზე ჭილის ქუდი, რომელიც ახლა მეტად მტკივნეულად სჭრიდა კანს. მოხუცს ძლიერ სწყუროდა. მან ფრთხილად ჩაიჩოქა, რომ თოკი არ შეერხია; რაც შეიძლება ახლოს მიხოხდა ნავის ცხვირთან და ხელით მისწვდა ბოთლს, საცობი ამოაძრო და რამდენიმე ყლუპი წყალი მოსვა. მერე ნავის ცხვირს მიეყრდნო და სული მოითქვა. იჯდა აფრაშემოხვეულ ანძაზე და ცდილობდა არაფერზე ეფიქრა, მხოლოდ ძალ-ღონე დაეზოგა.

მერე უკან მიიხედა და შეამჩნია, რომ ხმელეთი უკვე აღარ ჩანდა. «დიდი უბედურება არაა, — გაიფიქრა. — ყოველთვის შემიძლია უკან დავბრუნდე, ნავს ჰავანას ჩირაღდნების მიმართულებით წავიყვან. მზის ჩასვლამდე ორი საათია, შეიძლება ამ ხნის განმავლობაში თევზი ამოცურდეს ზემოთ. თუ არა და, მაშინ შეიძლება მთვარის ამოსვლის შემდეგ ამოცურდეს, ან კიდევ, ხვალ განთიადისას. ხელები არ მიშეშდება, ძალ-ღონითაც სავსე ვარ. მან იკითხოს, ანკეთი მან გადაყლაპა და არა მე. მაგრამ რანაირი თევზია ეს თევზი, ასე რომ ეწევა თოკს? როგორც ჩანს, მაგრად მოსდომ პირი. ერთი, თვალი მაინც შემავლებინა, მაშინ მეცოდინება, ვისთან მაქვს საქმე».

რამდენადაც ვარსკვლავების მიხედვით შეეძლო ევარაუდა მოხუცს, თევზი მთელი ღამე მიცურავდა ერთი მიმართულებით. მზის ჩასვლის შემდეგ აცივდა, მოხუცს ზურგზე, მხრებზე და ბებრულ ფეხებზე ოფლი შეაშრა და შესცივდა. დღისით გამოათრია ტომარა, რომელიც საანკესე ნაჭრებს ეფარა, და გასაშრობად გაფინა. მზე რომ ჩავიდა, ტომარა კისერზე მოიხვია და ბეჭებზე მოიფარა; ფრთხილად მოაქცია იგი თოკის ქვეშ. ნავის ცხვირს მიეყრდნო და ისე მოიხარა, რომ ახლა თითქმის კარგად გრძნობდა თავს. სიმართლე რომ ითქვას, ოდნავ თუ გაიუმჯობესა მდგომარეობა, მაგრამ თავს არწმუნებდა, ახლა სრულიად ხალვათად ვარო.

«ვერც მე მომიხერხებია მისთვის რამე და ვერც იმას ჩემთვის, — გაიფიქრა მოხუცმა. — ყოველ შემთხვევაში, ახალი ოინი თუ არ მოიგონა, ისე ვერაფერს დამაკლებს».

ერთხელ მოხუცი წამოდგა, რომ ნავიდან გადაეშარდა. მერე ვარსკვლავებს ახედა, უნდოდა გაეგო, საით მიდიოდა ნავი. თოკი თითქოს წვრილი შუქი იყო, რომელიც მოხუცის მხრებიდან პირდაპირ წყალში ეშვებოდა. ახლა უფრო ნელა მიცურავდნენ. ჰავანას ჩირაღდნები გაფერმკრთალდა; როგორც ჩანდა,

ზღვის დინებას ნავი აღმოსავლეთისკენ მიჰყავდა. «რაკი ჰავანას ჩირაღდნები თვალს ეფარება, ეს იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო და უფრო აღმოსავლეთისაკენ მივცურავთ, – გაიფიქრა მოხუცმა. – თევზს რომ გეზი არ ეცვალა, ჰავანას სინათლეს კიდევ დიდხანს დავინახავდი. ნეტავ როგორ დამთავრდა დღეს ბეისბოლი? კარგი იქნებოდა, რომ რადიო მქონოდა ნავზე!» მაგრამ მოხუცმა შეწყვიტა ეს ფიქრები: «სხვა რამეზე ნუ ფიქრობ! იფიქრე იმაზე, რასაც აკეთებ. იფიქრე, რომ რაიმე სისულელე არ ჩაიდინო».

ხმამაღლა კი თქვა:

– სამწუხაროა, რომ ბიჭი არ არის ჩემთან, მეც მომეხმარებოდა და ყოველივე ამას თავის თვალით დაინახავდა.

«სიბერეში ადამიანი მარტო არ უნდა რჩებოდეს, – ფიქრობდა მოხუცი, – მაგრამ ამას ვერ გაექცევი. არ დამავიწყდეს ტუნეცის შეჭმა, სანამ არ გაფუჭებულა. ახლა არ შეიძლება, რომ ძალა დამაკლდეს. არ დამავიწყდეს თევზის შეჭმა დილით; რომ არც მშიოდეს, მაინც უნდა ვჭამო. არ დამავიწყდეს, არ დამავიწყდეს», – იმეორებდა თავისთვის.

ღამით ნავთან მიცურდა ორი ზღვის ღორი. მოხუცი კარგად არჩევდა მათ განსხვავებულ ხმას – ტახის ქშინვასა და ნეზვის კრუსუნს.

– კარგები არიან, – თქვა მოხუცმა. – თამაშობენ, ალერსობენ, ერთმანეთი უყვართ. მფრინავი თევზებივით. ესენიც ჩვენი ძმები არიან.

მერე მოხუცს შეეცოდა დიდი თევზი, რომელიც ანკესით დაიჭირა. «საოცარი თევზია. ღმერთმა უწყის, რამდენ წელიწადს იცოცხლა ქვეყანაზე. ჩემს დღეში არ შემხვედრია ასეთი ღონიერი თევზი, არც ამისთანა უცნაური მინახავს. იქნებ იმიტომაც არ სხმარტალობს, რომ ძლიერ ჭკვიანია. ხომ დამღუპავდა, რომ წყლიდან ამომხტარიყო ან მთელი ძალით გაწეულიყო წინ? ვინ იცის, ადრეც რამდენჯერ წამოეგო ანკესს და ახლა იცის, რომ მისთვის უმჯობესია ასე იბრძოლოს სიცოცხლისათვის. საიდან ეცოდინება, რომ მის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი კაცია და ისიც ბებერი. მაგრამ რა დიდია ეს თევზი და რამდენ ფულს შემოიტანს, თუ გემრიელი ხორცი აქვს! ანკესი ისე ჩაიგდო პირში, როგორც მამალმა თევზმა იცის, თოკსაც მამალი თევზივით ეწევა და მედგრადაც მებრძვის. ნეტავ, იცის, როგორ უნდა მოიქცეს, თუ ჩემსავით თავზე ხელაღებულია?»

მოხუცმა გაიხსენა, როგორ დაიჭირა ერთხელ დედალი მარლინი. მამალი ყოველთვის დედალს მიუშვებს პირველად საჭმელთან. ანკესს რომ წამოეგო, შეშინებულმა დედალმა დაიწყო გაშმაგებული ბრძოლა. მალე მოიქანცა; მამალი კი ერთი გოჯითაც არ ჩამორჩენია; ცურავდა და ტრიალებდა მასთან ერთად ზღვის ზედაპირზე. ისე ახლო ცურავდა, რომ მოხუცს ეშინოდა, მამალ თევზს მკერდი არ გადაეჭრა თავისი ნამგალა და ბასრი ბოლოთი. მოხუცმა დედალს ჭვალთი დაასო და კეტი დაარტყა, მერე მისი დაშნასავით მჭრელი და ხორკლებიანი პირით დაიჭირა და მანამ ურტყა კეტი თავზე, სანამ თევზს სარკის უკანა მხარის ამალგამის, ფერი არ დაედო. მოხუცმა ბიჭის დახმარებით დაიწყო თევზის ამოთრევა ნავში. მთელი ამ ხნის განმავლობაში მამალი არ

მოშორებია დედალს. შემდეგ, როცა მოხუცი მკედის დახვევასა და ჭვილთის მომზადებას შეუდგა, მამალი ნავის ახლოს მაღლა ამოხტა, თითქოს სურდა გაეგო, რა დღეში იყო მისი სატრფო; მერე გაშალა მკერდის ფარფლების იასამნისფერი ფრთები და შეცურდა ღრმა წყალში. ნათლად მოჩანდა ასეთივე ფერის ფართო ზოლები მის ზურგზე. ლამაზი იყო, — კარგად ახსოვდა ეს მოხუცს, — გასაჭირში არ მიატოვა მეგობარი.

«ამაზე უფრო სამწუხარო ერთხელაც არაფერი მინახავს ზღვაზე, — გაიფიქრა მოხუცმა. — ბიჭიც დანაღვლიანდა; მაგრამ თევზს ბოდიში მოვუხადეთ და სასწაფოდ ავქენით».

— ნეტავი ბიჭი ყოფილიყო აქ, — თქვა ხმამაღლა და უფრო მოხერხებულად მიეყრდნო ნავის ცხვირის მომრგვალებულ ფიცრებს; თოკის საშუალებით, რომელიც მას ბეჭებზე ჰქონდა შემოჭერილი, მუდამ გრძნობდა თევზის დიდ ძალას. თევზი კი განუხერელად მიიღო სადღაც, თავისი მიზნისაკენ.

— დახეთ, რომ ჩემი ვერაგობის მეოხებით თავზის ბედის ჩარხი შეტრიალდა.

«მისი ხვედრი იყო ოკეანის ბნელ სიღრმეში ყოფნა, შორს ყოველგვარი მახეების, სატყუარებისა და ადამიანთა ვერაგობისაგან. ჩემი ხვედრი კი ის იყო, რომ მარტო წავსულიყავი დასაჭერად და მეპოვა იქ, სადც ჯერ არცერთ ადამიანს არ გაუჭაჭანებია, არც ერთ ადამიანს დედამიწის ზურგზე. ახლა შუადღის აქეთ გადაბმული ვართ ერთმანეთზე და არავინ არის არც ჩემი, არც მისი მშველელი».

«იქნებ სულაც არ იყო საჭირო, რომ მეთევზეობა დავიწყე, — ფიქრობდა მოხუცი, — მაგრამ მე ხომ მეთევზედ ვარ გაჩენილი!.. არ დამავიწყდეს ტუნეცის შეჭმა, როცა გათენდება».

მზის ამოსვლის წინ მოხუცის ზურგს უკან ერთ-ერთ ანკესს მოედო თევზი. გაიგონა, როგორ გატყდა ჯოხი და როგორ გასრიალდა თოკი. სიბნელეში მოხუცმა ქარქაშიდან დანა ამოიღო, თევზის მთელი სიმძიმე მარცხენა მხარზე გადაიტანა, უკან გადაიხარა და მკედი გადაჭრა ნავის კიდეზე. მერე იმ ანკესის მკედიც გადასჭრა, რომელიც მის ახლოს იყო; სიბნელეში მაგრად გადააბა ერთმანეთს სამარქაფო გორგლების ბოლოები. მოხუცი ფეხით იჭერდა გორგლებს და ცალი ხელით მარდად მუშაობდა, რომ მაგრად შეეკრა ნასკვი. ახლა ექვსი სამარქაფო გორგალი ჰქონდა: ორ-ორი იმ თოკებიდან, რომლებიც გადაჭრა, და ორიც იმ ანკესის მკედისა, რომელსაც თევზი წამოეგო; ყველა გორგალი ერთმანეთზე იყო გადაბმული.

— «რომ გათენდება, — ფიქრობდა მოხუცი, — ვეცდები ის მკედიც ამოვიღო, რომელიც ორმოც საჟენზე ჩავუშვი; იმასაც გადავჭრი და სხვებს შევუერთებ. მართალია, დავკარგავ ორას საჟენ კატალონის მაგარ თოკს, ანკესებსა და საწაფავებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ არაფერია, ამას ისევ იშოვის კაცი, ახალ თევზს კი ვინდა მიშოვის, თუ ანკესს რომელიმე სხვა თევზი მოედო და ეს თევზი გამიქცია? არ ვიცი, რა მოედო. იქნებ მარლინი ან კიდევ შიმშერა-თევზი,

ან ზვიგენი. დაკვირვებაც ვერ მოვასწარი. საჭირო იყო, ჩქარა მომეშორებინა თავიდან».

ხოლო ხმამაღლა თქვა:

— ეპ, რა კარგი იქნებოდა, რომ ბიჭი წამომეუვანა.

«მაგრამ ბიჭი არ გახლავს თან, — ფიქრობდა იგი. — საკუთარი თავის იმედიღა უნდა გქონდეს. ჯერ ისევ ბნელა, მაგრამ უმჯობესია სცადო უკანასკნელი მკედის ამოღებაც, გადაჭრა იგი, გადააბა სხვა გორგლებს».

ასეც მოიქცა. სიბნელეში ძნელი იყო მუშაობა, თანაც ერთხელ თევზმა ისე გაიწია, რომ მოხუცი პირქვე დაეცა და ღაწვისთავი გაიხეთქა. სისხლი ლოყაზე ჩამოედინა, მაგრამ ნიკაპამდე არ ჩასულა, შედედდა და გახმა. მოხუცი ისევ ნავის ცხვირთან მიხოხდა და მიეყრდნო, რომ სული მოეთქვა. შეისწორა ტომარა, თოკი ფრთხილად გადაიცურა ზურგის დაუბეჟავ ადგილზე, მთელი სიმძიმე მხრებზე გადაიტანა და შეეცადა გაეგო, მაგრად ეწეოდა თუ არა თევზი. მერე ხელი ჩაყო წყალში, რომ ეგრძნო, რა სისწრაფით მიცურავდა ნავი.

«საკვირველია, რატომ გაიწია ასე ძლიერ? — გაიფიქრა მან. — ალბათ, მავთული გადმოცურდა ზურგის დიდი კუზიდან. ცხადია, ზურგი მას ისე არ სტკივა, როგორც მე მტკივა. მაგრამ ხომ არ შეუძლია ათრიოს ნავი დაუსრულებლივ, რანაირი დიდიც უნდა იყოს! ახლა თავიდან მოვიცილე ყველაფერი, რასაც შეეძლო უსიამოვნება მოეყენებინა ჩემთვის, თოკის დიდი მარაგიც მაქვს, — სხვა რაღა უნდა კაცს?»

— თევზო! — დაუმახა მან ხმადაბლა, — ცოცხალი თავით არ მოგეშვები!

«ვფიქრობ, არც თევზი მომეშვება», — გაიფიქრა მოხუცმა და გათენების მოლოდინს მიეცა. ამ დილაბნელზე ციოდა და მოხუცი ფიცრებს მიეკრა, რომ ოდნავ მაინც გამთბარიყო. «თუ თევზი ითმენს, მეც მოვითმენ».

დილის სინათლემ გაანათა ანკესის გაჭიმული მკედი, რომელიც ზღვის სიღრმეში იყო ჩაშვებული. ნავი განუწყვეტლივ მიდიოდა წინ და როცა მზე ამოიწვერა, ერთი სხივი მოხუცის მარჯვენა მხარს დაეცა.

— თევზი ჩრდილოეთით მიცურავს. — თქვა მოხუცმა. — დინებამ კი, ალბათ, აღმოსავლეთისაკენ წაგვიღო. — გაიფიქრა მან. — ნეტავ, თევზი დინებისაკენ იბრუნებდეს პირს. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ დაიღალა».

მაგრამ როცა მზე შუბის ტარზე აიწია, მოხუცი მიხვდა, რომ თევზი დაღლილი არ იყო. მხოლოდ ერთი რამ იყო სანუგეშო: წყალში ირიბად გაჭიმული მკედი მოწმობდა, რომ ახლა თევზი უფრო ნაკლებ სიღრმეზე მიცურავდა. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავდა, რომ თევზი აუცილებლად ამოცურდებოდა ზედაპირზე. მაგრამ ამოცურება მაინც შეეძლო.

— ღმერთო, ამოაცურე! — თქვა მოხუცმა, — თოკი საკმაო მაქვს და თევზს გავუმკლავდები.

«თუ მოვახერხე და თოკი ცოტათი უფრო მაგრად მოვწიე, შეიძლება ჭრილობა ეტკინოს და ზემოთ ამოვიდეს, — გაიფიქრა მოხუცმა. — მერე რა, ამოვიდეს! უკვე გათენებულია. ზემოთ რომ ამოვა, ხერხემლის გასწვრივ რომ

ბუშტები აქვს, ჰაერით გაევსება და ზღვის სიღრმეში ვეღარ წავა, რომ იქ მოკვდეს».

მოხუცი შეეცადა უფრო მაგრად მოეწია თოკი, მაგრამ იგი თავიდანვე ისედაც ძლიერ იყო დაჭიმული. ამიტომ, როდესაც უკან გადაიხარა თოკის უფრო მაგრად გასაწევად, ბეჭებზე მწვავე ტკივილი იგრძნო; მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა. «ვერ დავქაჩავ, — გაიფიქრა მან. — ყოველი ამოკვრა ანკესით მიყენებულ ჭრილობას გააფართოებს და თუ თევზი უეცრად ამოცურდა, შეიძლება ანკესს სულაც მოსწყდეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა, როცა მზე მათბობს, ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს».

მკედს ყვითელი წყალმცენარეები მოსდებოდა, მაგრამ მოხუცს ეს ახარებდა, რადგან ისინი ანელებდნენ ნავის მოძრაობას. სწორედ ეს მცენარეები ანათებდნენ ღამით.

— თევზო, — თქვა მან, — ძალიან მიყვარხარ და პატივს გცემ. მაგრამ საღამომდე მოგვლავ.

«იმედი ვიქონიოთ, რომ ამას შევძლებ», — გაიფიქრა მან.

ჩრდილოეთიდან ნავს პატარა ჩიტი მოუახლოვდა. ის მოფრინავდა დაბლა, წყლის ზედაპირის ახლოს, ეტყობოდა, ძლიერ დაღლილი იყო.

ჩიტი ნავის ქიმზე ჩამოჯდა დასასვენებლად. მერე წრე შემოავლო მოხუცის თავს და თოკზე დაჯდა; ეს მისთვის უფრო მოხერხებული ადგილი იყო.

— რამდენი წლისა ხარ, ჩიორა? — შეეკითხა მოხუცი. — ეს შენი პირველი მოგზაურობაა, არა?

მოხუცმა რომ დაიღაპარაკა, ჩიტმა მოხუცს შეხედა. ჩიტი იმდენად იყო დაღლილი, რომ თოკის სიმტკიცის მოსინჯვის თავი არ ჰქონდა; სათუთი ბრჭყალებით შემოეჭდო თოკზე და ქანაობა დაიწყო.

— ნუ გეშინია, თოკი მაგრად არის გაჭიმული, — უთხრა მოხუცმა, — ძალიან მაგრადაც. ასე არ უნდა დაღლილიყავ უქარო ღამეში. ეჭ, ახლა ფრინველებიც სხვანაირია.

«აი, ქორები გამოდიან თქვენს შესახვედრად ზღვაზე». — გაიფიქრა მოხუცმა, მაგრამ ჩიტს არ უთხრა; ჩიტი ვერც მიუხვდებოდა. არაფერია, მალე თვითონ გაიგებს ქორების მთელ ამბავს.

— კარგად დაისვენე, ჩიორა, — თქვა მოხუცმა. — მერე გაფრინდი ნაპირისაკენ და იბრძოლე, როგორც იბრძვის ყოველი კაცი, ფრინველი თუ თევზი.

ჩიტთან საუბარმა გაახალისა მოხუცი, თორემ ღამის განმავლობაში ზურგი სულ გაუშეშდა და ახლა ძალიან სტკიოდა.

— თუ გინდა, ჩემთან დარჩი, ჩიტო, — უთხრა მან, — სამწუხაროა, რომ არ შეიძლება აფრა გავშალო და ხმელეთზე მიგიყვანო, თუმცა ახლა ნელი ქარიც უბერავს. მაგრამ აქ მეგობარი მყავს, მისი მიტოვება არ შემიძლია.

უეცრად თევზმა მაგრად გასწია თოკი და მოხუცი ნავის ცხვირს მიეხეთქა; გადაითრევდა კიდეც, რომ ხელები ნავის კიდისათვის არ მიებჯინა და მკედი არ მიეშვა.

თოკი რომ შეირხა, ჩიტი აფრინდა და ისე გაქრა, მოხუცმა თვალიც ვერ მოჰკრა. მერე მოხუცმა მარჯვენა ხელით მოსინჯა მკედი და დაინახა, რომ ხელიდან სისხლი სდიოდა.

— ცხადია, თევზს ძლიერ სტკივა ჭრილობა, — თქვა ხმამაღლა და თოკი მოსწია: მოსინჯა, შეძლებდა თუ არა თევზის მობრუნებას სხვა მხარეს. თოკი რომ გაჭიმა, კვლავ წინანდელ მდგომარეობაში გაირინდა. — ცუდად ხარ, თევზო? — შეეკითხა მოხუცი. — ღმერთია მოწმე, რომ შენზე ნაკლებ არც მე მიჭირს.

თვალებით მოძებნა ჩიტი, რადგან სურდა ვინმეს გამოლაპარაკებოდა. მაგრამ ჩიტი აღარსად იყო.

«რა ცოტა ხანს დარჩი ჩემთან, ჩიორავ, — გაიფიქრა მოხუცმა, — მაგრამ იქ, სადაც გაფრინდი, ბევრად უფრო ძლიერი ქარი ქრის და სულ ხმელეთამდე იქროლებს... ეგ როგორ მომივიდა, რომ ერთი სწრაფი გაწევით თევზს ხელი გავაჭრევინე? ნამდვილად სულ გამოვსულელდი. შესაძლოა, ჩიტთან საუბარმა გამიტაცა და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი! ახლა მხოლდ საქმეზე ვიფიქრებ და ტუნეცს შევჭამ, რომ ძალა მოვიკრიბო».

— ნეტა ბიჭი ყოფილიყო ჩემთან და ცოტა მარილიც მქონოდა. — თქვა ხმამაღლა.

თევზის სიმძიმე მარცხენა მხარზე გადაიტანა, ფრთხილად ჩაიჩოქა და ოკეანეში ჩაიბანა ხელი. ერთი წუთით ხელი წყალში გააჩერა და დაუკვირდა, როგორ ღებავდა სისხლი წყალს, როგორ ეკვროდა ჭავლი ხელს.

— ახლა თევზი ბევრად უფრო ნელა მიცურავს, — თქვა მან ხმამაღლა.

მოხუცს სურდა მეტხანს გაეჩერებინა ხელი მარილიან წყალში, მაგრამ ეშინოდა, თევზმა კვლავ არ გაიწიოსო; ამიტომ ფეხზე წამოდგა, თოკი ზურგით მოსწია და ხელი მზეზე გააჩერა. მხოლოდ ერთი წყლული ჰქონდა, რბილი ხორცი გაესერა თოკს, მაგრამ სწორედ ის ადგილი, რომელიც სამუშაოდ სჭიროდა. მოხუცმა იცოდა, რომ დღეს არაერთხელ დასჭირდებოდა ხელები და სწუხდა, რომ თავიდანვე დაიშავა.

— ახლა, — თქვა მან, როცა ხელი გაუშრა, — ტუნეცი უნდა ვჭამო. შემიძლია ჭვილით მოვითრიო და არხეინად შევექცე.

მოხუცმა ჩაიჩოქა, კიჩოს ქვეშ მოუსვა ჭვილთი და ტუნეცი მონახა; ფრთხილად მიითრია თევზი, რომ მკერდის გორგლები არ შერხეულიყო. თევზის მთელი სიმძიმე კვლავ მარცხენა მხარზე გადაინაცვლა, მარცხენა ხელი ნავს მიაბჯინა, ტუნეცი კაუჭს მოაშორა და ჭვილთი ადგილზე დადო. თევზს მუხლი დააჭირა და ზურგიდან ბოლომდე მუქწითელი ხორცის ამოჭრას შეუდგა. ექვსი გრძელი ნაჭერი ამოსჭრა, ფიცარზე გააწყო, დანა შარვალზე გაიწმინდა და თევზის ჩონჩხი ზღვაში გადააგდო.

— მთელ ნაჭერს, ალბათ, ვერ შევჭამ, — თქვა მან და ერთი ნაჭერი შუაზე გაჭრა. გრძნობდა, როგორ შეუსუსტებლად ეწეოდა დიდი თევზი თოვს; მას კი მარცხენა ხელი სულ დაეკრუნჩხა. ამ ხელს საცოდავად ეჭირა მძიმე თოვი. ამიტომ მოხუცმა ზიზღით შეხედა თავის ხელს.

— ნეტავ, რა ხელია ეს ხელი! — თქვა მან. — კარგი, დაიკრუნჩხე, რახან ასე გსურს. ჩიტის ფეხად გადაიქეცი, ეს მაინც არ გიშველის.

«აბა, შეჭამე და ხელს ძალა მიეცემა, — გაიფიქრა მან, მერე ჩაბნელებულ წყალში ჩაიხედა და შიგ ირიბად გაჭიმული თოვი დაინახა. — ხელმა რა დააშავა, შენ უკვე რამდენი საათია განუწყვეტლივ გიჭირავს თევზი. მაგრამ თევზს სიკვდილამდე არ მოეშვები. აბა, ჯერ შეჭამე». მოხუცმა აიღო თევზის ერთი ნაჭერი, პირში ჩაიდო და ნელა დაიწყო ღეჭვა. გემო არცთუ ისე გულისამრევი ჰქონდა. «კარგად დაღეჭვა, — ფიქრობდა იგი, — რომ ერთი წვენი არ დაკარგო. ურიგო არ იქნებოდა, რომ ლიმონის წვენი ჰქონდეს გადასხმული ან მარილმოყრილი იყოს».

— აბა, როგორ გრძნობ თავს, ხელო? — ჰკითხა მან დაკრუნჩხულ ხელს, რომელიც თითქმის მიცვალებულის გაშეშებულ ხელს ჰგავდა. — შენი ხათრით კიდევ ერთ ნაჭერს შევჭამ.

მოხუცმა შეჭამა ნაჭერის მეორე ნახევარიც. გულმოდგინედ დაღეჭა და კანი გამოაფურთხა.

— აბა, ხელო, მომჯობინდი? თუ ჯერ კიდევ არაფერი გიგრძვნია?

მოხუცმა აიღო კიდევ ერთი მთელი ნაჭერი და ისიც შეჭამა.

«ჯანსაღი, სისხლსავე თევზია, — გაიფიქრა მან. — კარგი, რომ ტუნეცი შემხვდა და არა სკუმბრია. სკუმბრია მეტად ტკბილია. ამ თევზს კი თითქმის სულ არ გააჩნია სიტკბო, თანაც მთელი ნოყიერება შენარჩუნებული აქვს. სხვა რამეზე კი არა, საქმეზე უნდა ვიფიქრო, — ჩააგონა თავს. — სამწუხაროა, რომ ერთი კვნიტი მარილიც არა მაქვს. არ ვიცი, დარჩენილი თევზი გამოშრება მზეზე, თუ გაფუჭდება. ამიტომ უმჯობესია, ისიც შევჭამო, თუმცა მშიერი არა ვარ. დიდი თევზი წყნარად არის. ბარემ მოვათავებ ტუნეცს და მზად ვიქნები».

— მოითმინე, ხელო, — თქვა მან, — ხომ ხედავ, როგორ ვზრუნავ შენზე.

«ნეტა იმ დიდ თევზსაც ვაჭმევდე რამეს, — გაიფიქრა მოხუცმა. — ხომ ჩემი ძმაა. მაგრამ იგი უნდა მოვკლა, ამისთვის კი ძალა უნდა შევინარჩუნო».

მოხუცმა ნელა და კეთილსინდისიერად შეჭამა ტუნეცის ყველა ნაჭერი, ხელები შარვალზე გაიწინდა და წელში გაიმართა.

— ესეც ასე, — თქვა მან. — ხელო, ახლა შეგიძლია მოეშვა თოვს; მარტო მარჯვენა ხელითაც დავიჭერ, სანამ შენ პამპულობას არ დაანებებ თავს. — მოხუცმა მარცხენა ფეხი დააჭირა იმ მსხვილ თოვს, რომელიც წინათ მის მარცხენა ხელს ეჭირა. მერე უკან გადაიხარა და თევზის სიმძიმე ზურგზე გადაიტანა.

— ღმერთო, მიშველე, რომ ხელი მომირჩეს, — თქვა მან. — ვინ იცის, ეს თევზი კიდევ რას აპირებს.

«თუმცა წყნარი თევზი ჩანს, — გაიფიქრა მან, — მოფიქრებულად იქცევა. მაგრამ რა აქვს განზრახული? ან მე რას ვაპირებ? ჩემი გეგმა აქვე უნდა შევუხამო მის გეგმას; იგი ხომ ასეთი ვეება რამ არის! თუ ამოცურდება, შევძლებ მის მოკვლას. მაგრამ თუ ისევ სიღრმეში დარჩება, მეც სამუდამოდ მასთან დავრჩები».

დაკრუნჩხული ხელი შარვალზე გაისვ-გამოისვა და თითების ამოძრავება სცადა, მაგრამ ხელი ვერ გაშალა. «შეიძლება, მზისაგან ამოძრავდეს, — გაიფიქრა მან. — ან შეიძლება, მაშინ ამოძრავდეს, როდესაც კუჭი უმ თევზს მოინელებს. თუ ძლიერ დაჭირდა, ავამოძრავებ, რადაც უნდა დამიჯდეს. მაგრამ ახლა არ მინდა, ძალა დავატანო. დაე, თვითონ ამოძრავდეს და თავისი ნებით გამოცოცხლდეს. კაცმა რომ თქვას, ღამით დიდი ჯაფა მივაყენე, როცა ყველა თოკის გადაჭრა და გადაბმა იყო საჭირო».

შორს გაიხედა და მარტოობა იგრძნო. მაგრამ აქ ხედავდა წყლის ბნელ სიღრმეში გადატეხილ მზის ნაირფერ სხივებს, დაბლა ჩაშვებულ გაჭიმულ თოკს და ზღვის წყნარი ზედაპირის უცნაურ რწევას. ქარის მაუწყებელი ღრუბლები გროვდებოდნენ. წინ გაიხედა და შეამჩნია გარეული იხვების გუნდი, მკვეთრად გამოსახული ცაში; გუნდი ჯერ გაიშალა, მერე კვლავ გამოისახა უფრო მკაფიოდ; მოხუცი მიხვდა, რომ ზღვაზე ადამიანი არასდროს არ არის მარტო.

დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ ეშინია ზოგიერთ კაცს გაშლილ ზღვაზე დარჩენა პატარა ნავში; გადაწყვიტა, რომ ეს შიში სამართლიანია იმ თვეებში, როდესაც უეცრად იწყება ავდარი. მაგრამ ახლა გრიგალების დროა და გრიგალი კი ჯერ არ ამოვარდნილა; წელიწადის ეს დრო საუკეთესოა.

«ზღვაზე როცა ხარ, გრიგალის მოახლოების ნიშანი ყოველთვის შეგიძლია დაინახო ცაზე, რამდენიმე დღით ადრე. ხმელეთზე ამ ნიშნებს ვერ ხედავენ, — ფიქრობდა იგი, — რადგან არ იციან, რას უცქირონ. გარდა ამისა, ხმელეთზე ღრუბლების ფორმაც სულ სხვაა. მაგრამ ახლა გრიგალი მოსალოდნელი არ არის».

ცას შეხედა და თეთრი, გრუზა ღრუბლები დაინახა, რომლებიც მის საყვარელ ნაყინს ჰგავდნენ. იმათ ზემოთ, ძლიერ მაღლა სექტემბრის ცაში ბუმბულივით ქათქათა ღრუბლების გამჭირვალე ფთილები მოჩანდა.

— ნელი ქარია, — თქვა მოხუცმა, — ეს ჩემთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე შენთვის, თევზო!

მარცხენა ხელს ისევ უვლიდა კრუნჩხვა, მაგრამ მისი ნელი ამოძრავება მაინც შეეძლო მოხუცს.

«მეჯავრება, როდესაც ხელი მეკრუნჩხება, — გაიფიქრა მან. — საკუთარი სხეულია და ასე ვერაგულად გღალატობს. დამამცირებელია, როდესაც ხალხში ხარ და მუცლის აშლილობა ან ღებინება გაწუხებს იმის გამო, რომ თევზით მოიწამლე. მაგრამ კიდევ უფრო დამამცირებელია, როდესაც მარტო ხარ და კრუნჩხვა მოგდის!» — გუნებაში კრუნჩხვას Kalambre-ს ეძახდა.

«ბიჭი რომ ყოფილიყო ჩემთან, – გაიფიქრა მან, – მკლავს დამიზელდა იდაყვიდან იღლიამდე. მაგრამ არა უშავს, ხელი ისედაც მომირჩება».

უეცრად, ცოტა უფრო ადრე, ვიდრე წყალში ირიბად გაჭიმული მკედის მოშვებას შენიშნავდა, მოხუცის მარჯვენა ხელმა იგრძნო წევის შემსუბუქება. მოხუცი უკან გადაიხარა, მთელი ძალით დაიბარტყუნა მარცხენა ხელი თემოზე და სწორედ ამ დროს დაინახა, რომ მკედი ნელ-ნელა ზედაპირისკენ წამოვიდა.

– ამოდის, – თქვა მან. – აბა, ხელო, გაცოცხლდი, გეთაყვა!

მკედი ნელ-ნელა იმართებოდა სიგრძეზე. მერე ნავის წინ ოკეანე ამოიბურცა და თევზის ზურგი გამოჩნდა. თევზი მაღლა ამოდიოდა და ამოდიოდა, თითქოს ბოლო არ უჩანდა; წყალი ნიაღვარივით ჩადიოდა მის გვერდებს. თევზი მზეზე ლაპლაპებდა; თავი და ზურგი მუქი ისფერი ჰქონდა, ხოლო გვერდის ზოლები სინათლეზე ძლიერ ფართო და ბაცი სუმბულისფერი მოუჩანდა. ცხვირის მაგივრად თევზს მახვილი ჰქონდა, გრძელი, როგორც ბეისბოლის ჩოგანი, და ბოლოწაწვეტებული, როგორც დაშნა. შიმშერა-თევზი მთელი ტანით ამოვიდა წყლიდან; მერე ისევ ჩაეშვა ჩუმად, როგოც მყვინთავი ჩაეშვება ხოლმე. მოხუცმა დაინახა, რომ თევზის ვეება ბოლო ჩაეშვა დაბლა და მკედიც დიდი სისწრაფით ჩასრიალდა წყალში.

– ორი ფუტით უფრო გრძელია ჩემს ნავზე, – თქვა მოხუცმა.

მკედი ზღვაში სწრაფად, მაგრამ თანაბრად ეშვებოდა; აშკარად ჩანდა, რომ თევზი დამფრთხალი არ იყო. მოხუცი ორივე ხელით ეწეოდა მკედს. მან იცოდა, თუ ვერ შეანელებდა გაწევას, თევზი თოვის მთელ მარაგს წაიღებდა და გაწყვეტდა.

«ვეება რამ არის ეს თევზი, ამიტომ უნდა ვუჩვენო ჩემი ძალა, – ფიქრობდა მოხუცი. – არ შეიძლება თევზმა გაიგოს, თუ რა დიდი ძალა აქვს მას და რა შეუძლია მოიმოქმედოს, თუკი გაქცევას დააპირებს. მის ადგილას მე ახლავე თავს გადავდებდი და წინ გავსწევდი, ვიდრე რამე არ გაწყდებოდა. მაგრამ, მადლობა ღმერთს, თევზები ისე ჭკვიანები არ არიან, როგორც ადამიანები, რომლებიც მათ კლავენ; თუმცა თევზებს ბევრად მეტი ძალა და კეთილშობილება აქვთ».

მოხუცს თავის სიცოცხლეში ბევრი დიდი თევზი შეხვედრია. უნახავს ბევრი თევზი, ათას გირვანქაზე მეტს რომ იწონიდა თითოეული; ერთ დროს კიდეც დაიჭირა ორი ასეთი თევზი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მარტო არასდროს არ ყოფილა. ახლა კი სრულიად მარტო გაშლილ ზღვაში, მაგრამ გადაბმული ისეთ დიდ თევზთან, როგორიც არასდროს არ უნახავს, არც გაუგონია. მისი მარცხენა ხელი კი ისევ ისეა დაკრუნჩული, როგორც არწივის კლანჭები.

«ხელის კრუნჩხვა გამივლის, – გაიფიქრა მან. – უეჭველად გამივლის, თუნდაც იმიტომ, რომ ჩემს მარჯვენა ხელს მიეშველოს. იყო და არა იყო რა, იყო სამი ძმა: თევზი და ჩემი ორი ხელი. უეჭველად გამივლის. პირდაპირ სირცხვილია, რომ კრუნჩხვამ მოუარა».

თევზმა სვლას უკლო, ახლა უწინდელი სისწრაფით მიდიოდა.

«ნეტავი რატომ ამოვარდა უეცრად? – ფიქრობდა მოხუცი, – შეიძლება, კაცმა იფიქროს, მხოლოდ იმიტომ ამოცურდა, რომ ჩემთვის ეჩვენებინა, რა ვეება რამე ვარო. მერე რა, ახლა ვიცი, რამოდენაც არის. ნეტავ შემეძლოს ვუჩვენო, რა კაციცა ვარ. მაგრამ მაშინ დაინახავდა ჩემს დაკრუნჩხულ ხელს. არა, სჯობს უფრო ვაჟვაცი ვეგონო, ვიდრე სინამდვილეში ვარ. მაშინ ნამდვილადაც უკეთესი ვიქნები. ნეტავ, თევზი ვყოფილიყავ და ყველაფერი მქონოდა, რაც მას აქვს, და არა მარტო ნებისყოფა და გონება».

მოხუცი ნავის შემოფიცრულ კედელს მიეყრდნო და წყნარად დაჯდა. იგი უდრტვინველად იტანდა მტანჯველ ტკივილს, თევზი კი ისევ შეუპოვრად მიცურავდა წინ და ნავიც ნელა მიქანაობდა ჩაბნელებულ წყალზე. აღმოსავლეთიდან ქარმა დაჰშერა და მცირე ტალღები წამოშალა. შუადღისას მოხუცს მარცხენა ხელი სულ მოურჩა.

– ახლა ცუდად არის შენი საქმე, თევზო, – თქვა მან და თოკი მოინაცვლა ტომარმოსხმულ ბეჭებზე.

მოხუცი თავს კარგად გრძნობდა. ტკივილი კვლავინდებურად სულს ართმევდა, მაგრამ თავისთავს მაინც არ უტყდებოდა, როგორ სტკიოდა სხეული.

– ღმერთი არ მწამს, – თქვა მან, – მაგრამ ათჯერ ვიტყვი «მამაო ჩვენოს» და ამდენჯერვე ვიტყვი «ღვთისმშობელო ქალწულოს», ოღონდაც ეს თევზი დავიჭირო. აღთქმას დავდებ, რომ სალოცავად წავალ კობრენის ღვთისმშობელთან, თუ ამ თევზს მართლაც დავიჭერ. სიტყას ვიძლევი.

მოხუცმა მექანიკურად დაიწყო ლოცვა. დროდადრო ისეთ დაღლილობას გრძნობდა, რომ სიტყვები ავიტყდებოდა. მაშინ ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა ეთქვა ლოცვა, რომ სიტყვები თავისთავად მოსულიყვნენ. «ღვთისმშობელო ქალწულოს» გამეორება უფრო ადვილია, ვიდრე «მამაო ჩვენოსი». – ფიქრობდა იგი.

– ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა. ამინ. – მერე დაუმატა: – ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო, ილოცე, რათა თევზი მოკვდეს, თუმცა მშვენიერი თევზი კი არის.

ლოცვა რომ მოათავა, თავი უკეთ იგრძნო, თუმცა ტკივილი ოდნავადაც არ შეწელებია, შესაძლოა მოემატა კიდეც. მოხუცი ნავის კედელს მიეყრდნო და ანგარიშმიუცემლად მარცხენა ხელის თითები აათამაშა. ნიავი თანდათან მატულობდა, მაგრამ მზე მაინც აჭერდა.

– ვგონებ, სჯობს სატყუარი წამოვაგო პატარა ანკესს, – თქვა მოხუცმა. – თუ თევზმა გადაწყვიტა, კიდევ ერთი ღამე არ ამოცურდეს, რამე უნდა შევჭამო, თორემ არაქათი გამომელევა, ბოთლშიც ცოტაღა დამრჩა წყალი. არა მგონია, სკუმბრიის გარდა აქ რამე დავიჭირო. მაგრამ თუ დაჭერისთანავე შევჭამ, სკუმბრია არცთუ ისე საზიზღარია. რა კარგი იქნება, ღამით ნავში მფრინავი

თევზი ჩამოვარდებოდეს, მაგრამ სანთელი არა მაქვს, რომ შუქზე მოვიტყუო. უმი მფრინავი თევზი შესანიშნავი საჭმელია, გამოწელვაც არ უნდა. ჩემთვის კი საჭიროა ძალ-ღონის დაზოგვა. ღმერთო ჩემო, რას ვიფიქრებდი, ამოდენა თუ იქნებოდა ეს თევზი. მაგრამ, სულ ერთია, — თქვა მან, — მაინც მოვკლავ, მიუხედავად მისი სიდიდისა და სიდიადისა.

«თუმცა ეს უსამართლობაა, დაუმატა მან გუნებაში, — მაგრამ მაინც ვაჩვენებ, რა შეუძლია და როგორი გაძლება აქვს ადამიანს».

— ბიჭს ხომ ვუთხარი, სულ სხვა ბერიკაცი ვარ-მეთქი, — თქვა მან. — ახლა დადგა დრო, რომ ეს დავამტკიცო.

მოხუცმა ეს ათასჯერ დაამტკიცა, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა ხელახლა უნდა დაემტკიცებინა. ანგარიში ყოველთვის თავიდან იწყებოდა; ამიტომ, როდესაც რამეს აკეთებდა, მოხუცი არასდროს არ იგონებდა წარსულ ნამოქმედარს.

«ნეტავ, დაიძინებდეს, მაშინ მეც შევძლებდი დაძინებას და ლომების ნახვას სიზმარში, — გაიფიქრა მან. — რატომ არის, რომ ლომები ყველაფერზე უკეთესია, რაც მე ცხოვრებაში შემრჩენია?»

— ნუ ფიქრობ, მოხუცო, — უთხრა მან თავისთავს, — დაისვენე წყნარად, მიეყრდენი ფიცრებს და ნურაფერზე ფიქრობ. ახლა თევზი დიდ გარჯაშია! შენ კი ჯერ, რაც შეიძლება, ნაკლები იმუშავე!

მზე დასავლისაკენ გადაიხარა. ნავი კი მიცურავდა და მიცურავდა ნელა და განუწყვეტლივ. აღმოსავლეთის ნელმა ქარმა ნავი ააჩქარა. მოხუცი ნელ ტალღებზე წყნარად მიცურავდა და თოკის გაჭიმვას ანელებდა. ამის გამო ადვილად და მოთმინებით იტანდა ბეჭებზე მოჭერილი თოკით გამოწვეულ ტკივილს. ნაშუადღევს ერთხელ როგორლაც თოკი ისევ ამოიწია ზევით. მაგრამ თევზი კვლავ განაგრძობდა თავის გზას ცოტათი ნაკლებ სიღრმეზე. ახლა მოხუცს მზე ზურგზე, მარცხენა მხარზე და ხელზე აჭერდა, ამით მიხვდა, რომ თევზი ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა.

იმის შემდეგ, რაც ერთხელ უკვე შეხვდა თევზს, მოხუცს შეეძლო წარმოედგინა, როგორც მიცურავდა თევზი წყალქვეშ, როგორ ფართოდ ჰქონდა გაშლილი მკერდის იისფერი ფარფლები და როგორ მიაპობდა წყალს თავისი ძლიერი ბოლოთი. «ნეტა, თუ რამეს ხედავს ასეთ სიღრმეში? — გაიფიქრა მოხუცმა. — ძალიან დიდი თვალები კი აქვს, ცხენი ბევრად უფრო პატარა თვალებით ხედავს სიბნელეში საგნებს. ოდესდაც მეც კარგად ვხედავდი სიბნელეში. ცხადია, სრულ წყვდიადში მეც ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ თვალი კატასავით მიჭრიდა».

მზემ და თითების განუწყვეტელმა ვარჯიშმა სრულიად გაუქრო მარცხენა ხელის კრუნჩხვა და თევზის სიმძიმე თანდათანობით ამ ხელზე გადაიტანა. ზურგის კუნთებს ამოძრავებდა, რომ ცოტათი მაინც შეენელებინა თოკისაგან გამოწვეული ტკივილი.

— თევზო, თუ ჯერ კიდევ არ დაიღალე, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა, — მართლაც საოცარი თევზი ყოფილხარ.

თვითონ მოხუცი ახლა უდიდეს დაღლილობას გრძნობდა. იცოდა, რომ მალე დაღამდებოდა. ამიტომ ცდილობდა, სხვა რამეზე ეფიქრა. ფიქრობდა ბეისბოლის გამოჩენილ ლიგებზე, რომლებიც მისთვის Cran ligas იყვნენ, და იმაზე, რომ დღეს ნიუიორკელ «იანკებს» დეტროიტელ «ვეფხვებთან» უნდა ეთამაშათ.

«უკვე მეორე დღეა, რაც არაფერი ვიცი ჟuegos შედეგებზე, – გაიფიქრა მან. – მაგრამ ახლა გული უნდა გავიმაგრო და ჩემი ძალა ვიწამო, რომ დიდი დი მაჯიოს წინაშე არ შევრცხვე. იგი ხომ ყველაფერს დიდებულად აკეთებს, მაშინაც კი, როდესაც ქუსლის ძვლის კორძი აწუხებს. რა არის ძვლის კორძი? Un esqueleto de hueso. მეთევზებებს არ გვიჩნდება. ნუთუ ძვლის კორძი ისევე მწარეა, როგორც მოჩხუბარი მამლის დეზის დარტყმა ქუსლზე? არა მგონია, ამეტანა ასეთი დარტყმა ანდა მოჩხუბარი მამლებივით ცალი თვალის ან ორივე თვალის დაკარგვა და მერე ისევ ჩხუბის გაგრძელება.

ამ უზარმაზარი ფრინველებისა და მხეცების გვერდით, ღმერთმა უწყის, რა არის ადამიანი. მაგრამ ნეტავ ის მხეცი ვყოფილიყავ, რომელიც ახლა იქ, ზღვის სიღრმეში მიცურავს.

– ჰო, თუ ზვიგენები არ დაგვესხმიან თავს, – თქვა მან ხმამაღლა: – მაგრამ თუ ზვიგენები დაგვესხმიან, მაშინ, დაგვიფარე, უფალო, ისიცა და მეც.

«ნუთუ გჯერა, რომ დიდი დი მაჯიო არ მოეშვებოდა ამდენ ხანს თევზს? – შეეკითხა თავისთავს. – ჰო, დარწუნებული ვარ, რომ სწორედ ასე მოიქცეოდა, შესაძლოა, უკეთესადაც, რადგან იგი ახალგაზრდა და ღონიერია. თანაც მამამისი მეთევზე იყო... ნეტავ, ძალიან სტკივა ძვლის კორძი?!»

– არ ვიცი, – თქვა მან ხმამაღლა, - არასდროს არა მქონია ძვლის კორძი.

მზე რომ ჩავიდა, მოხუცმა თავის გასამხნევებლად ძველი ამბავი გაიხსენა. ერთხელ კასაბლანკის ტავერნაში ღონეში შეეჯიბრა მეტად ძალოვან სენფუეგოსელ ზანგს, ყველაზე ღონიერ კაცს ნავსადგურში. მთელი დღე-ღამის განმავლობაში ერთმანეთის პირისპირ ისხდნენ, იადაყვები დაებჯინათ მაგიდაზე, ცარცით მოხაზულ წრეში, ხოლო ხელისგულები მაგრად ჩაეჭდოთ ერთმანეთისათვის. ერთიც და მეორეც ცდილობდა გადაემალა და მაგიდაზე დაეწვინა მოწინააღმდეგის ხელი. ირგვლივ ყველას სანაძლეო დაედო; ეს ხდებოდა ნავთის ლამპით მკრთალად განათებულ ოთახში; ხალხი შემოდიოდა და გადიოდა, ის კი თვალს არ აშორებდა ზანგის ხელს, იდაყვსა და სახეს. პირველი რვა საათის შემდეგ მსაჯები ყოველ ოთხ საათში იცვლებოდნენ, რომ ცოტა წაეძინათ. ორთავეს ფრჩხილებიდან სისხლი ჟონავდა. მაგრამ ერთმანეთს განუწყვეტლივ შესცქეროდნენ თვალებში, უცქეროდნენ ერთმანეთის ხელსა და იდაყვს. ადამიანები, რომელთაც სანაძლეო ჰქონდათ დადებული, ისხდნენ კედლებთან ჩამწკრივებულ მაღალ სკამებზე და ელოდნენ, რით გათავდებოდა ორთა ბრძოლა. მუქცისფრად შეღებილ კედლებს ლანდები ეცემოდა. ზანგის ლანდი უზარმაზარი იყო და კედელზე ირხეოდა, როდესაც ლამპას ქარი არწევდა.

მთელი ღამის განმავლობაში უპირატესობა ხან ერთის, ხან მეორის მხარეზე გადადიოდა; ზანგს რომს ასმევდნენ და მის სიგარას ცეცხლს უკიდებდნენ. რომს რომ დალევდა, ზანგი გავეშებული ძალობდა და ერთხელ კიდევაც შეძლო, თითქმის სამი დიუმით გადაეხარა მოხუცის ხელი. მოხუცი მაშინ მოხუცი არ იყო, მას სანტიაგო El Campion ერქვა. მაგრამ მოხუცმა კვლავ გამართა ხელი. ამის შემდეგ ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ზანგი, რომელიც კარგი ყმაწვილი და ერთობ ღონიერი ათლეტი იყო, უკვე დამარცხებული ჰყავდა. განთიადისას, როდესაც მაყურებლებმა მოითხოვეს, მსაჯს ფრე გამოეცხადებინა, ხოლო მსაჯი მხრებს იჩეჩდა, მოხუცმა უეცრად მთელი ძალა მოიკრიბა, ზანგის ხელი გადახარა და თანდათანობით მაგიდაზე დააწვინა. კვირა დილით დაიწყო ორთა ბრძოლა და ორშაბათ დილით დამთავრდა. მაყურებელთაგან ბევრი იმიტომ მოითხოვდა ფრედ ჩათვლას, რომ სამუშაოზე უნდა გასულიყვნენ ნავსადგურში, სადაც ნახშირს ტვირთავდნენ ჰავანას ქვანახშირის კომპანიისათვის ან შაქრით სავსე ტომრებს ეზიდებოდნენ; თორემ ისე ყველას სურდა შეჯიბრების გაგრძელება ბოლომდე. მაგრამ მოხუცმა დაამარცხა მოწინააღმდეგე და დაამარცხა მანამ, ვიდრე მტვირთავები სამუშაოზე გავიდოდნენ.

ამის შემდეგ დიდხანს ეძახდნენ მოხუცს ჩემპიონს. გაზაფხულზე კვლავ შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მაგრამ სანაძლეოები ამჯერად არცთუ ისე დიდი იყო. მოხუცმა მეორეჯერაც ადვილად დაამარცხა, რადგან სენფუჯოსელ ზანგს თავისი ძალის რწმენა ჯერ კიდევ პირველ მატჩი შეერყა. მერე მოხუცი მონაწილეობდა რამდენიმე შეჯიბრში, მაგრამ მალე ამ საქმეს თავი მიანება. მიხვდა, რომ, თუ ძალიან მოინდომებდა, ყოველ მოწინააღმდეგეს დაამარცხებდა; გადაწყვიტა, ასეთი შეჯიბრებები ზიანის მეტს ვერაფერს მოუტანს ჩემს მარჯვენას, რომელიც თევზის საჭერად მჭირდებაო. რამდენჯერმე სცადა შეჯიბრება მარცხენა ხელით. მაგრამ მარცხენა ყოველთვის ღალატობდა, არ ემორჩილებოდა და თვითონაც აღარ ენდობოდა ხოლმე ამ ხელს.

«ახლა მზე კარგად გაათბობს მარცხენა მკლავს, — გაიფიქრა მოხუცმა. — აღარ უნდა დამეკრუნჩხოს, თუ ღამით ძალიან სიცივე არ დაიჭირა. ნეტავ მაცოდინა, რას მიქადის ეს ღამე?»

თავზე გადაუარა თვითმფრინავმა, რომელიც მაიამისკენ მიფრინავდა. მოხუცი ხედავდა, როგორ დააფრთხო და როგორ წამოშალა თვითმფრინავის ჩრდილმა მფრინავი თევზების მთელი გუნდი.

— რახან აქ ასე ბევრი მფრინავი თევზია, სადღაც ახლოს სკუმბრიაც უნდა იყოს, — თქვა და უფრო მაგრად მიებჯინა ზურგით თოკს, უნდოდა მოესინჯა, ხომ არ შეიძლებოდა ცოტათი თევზის მოახლოება. მაგრამ მოახლოება ვერ შეძლო. რადგან თოკი კვლავ შეირხა სიმივით, საცა იყო გაწყდებოდა, თოკზე წყლის წვეთებიც ათამაშდნენ. ნავი ნელა მიცურავდა. მოხუცმა თვალი გააყოლა თვითმფრინავს, ვიდრე ის არ მიიმალა.

«თვითმფრინავიდან, ალბათ, ყველაფერი ერთობ უცნაურად ჩანს, — გაიფიქრა მან. — ნეტა როგორი სანახავია ასეთი სიმაღლიდან ზღვა? თვითმფრინავში მსხდომთ შესანიშნავად შეძლოთ დაენახათ ჩემი თევზი, ასე მაღლა რომ არ მიფრინავდნენ. ნეტავ მეც მეფრინა ნელ-ნელა ორასი საჟენის სიმაღლეზე, რომ ზევიდან დამენახა ჩემი თევზი. კუზე სანადიროდ რომ დაცურავდი, ზოგჯერ ანძის წვერზე ავდიოდი და იქიდანაც ბევრ რამეს ვხედავდი. მაღლიდან სკუმბრია უფრო მწვანე მოჩანს და შეიძლება გაარჩიო მისი ისფერი ზოლები და ლაქები. დაინახავ კიდეც, როგორ მიცურავს მთელი გუნდი. ყველა სწრაფმავალ თევზს, ბნელ სიღრმეში რომ დაცურავს, რატომ აქვს ისფერი ზურგი, ხშირად კი ისფერი ზოლებიცა და ლაქებიც? მხოლოდ სკუმბრია მოჩანს მწვანედ, რადგან ნამდვილად ოქროსფერია. მაგრამ როდესაც სკუმბრია ძალიან მშეირია და საჭმელს დაეძებს, გვერდებზე, მარლინის მსგავსად, ისფერი ზოლები უჩნდება ხოლმე. ნუთუ ეს ბოლმისაგან ემართება? თუ იმისგან, რომ ამ დროს ჩვეულებრივზე სწრაფად დაცურავს!»

ნავი მიცურავდა სარაგასის წყალმცენარეთაგან წარმოშობილ დიდი კუნძულის ახლოს, სადაც ეს მცენარეები ნელ ტალღებზე ისე ქანაობდნენ და იბურცებოდნენ, თითქოს ოკეანე ვიღაცას ეხვევა ყვითელი საბნის ქვეშო. სწორედ ამ დროს, სიბნელის ჩამოწოლამდე რამდენიმე ხნით ადრე, პატარა ანკესს წამოეგო სკუმბრია. მოხუცმა სკუმბრია მხოლოდ მაშინ დაინახა, როდესაც იგი ჰაერში შეხტა და ჩამავალი მზის სხივებში ბაჯაღლო ოქროსავით გაიელვა. სკუმბრია შიშისაგან ირკალებოდა და გაშმაგებით აფათქუნებდა ფარფლებს ჰაერში. ისე ხტოდა, როგორც ნაცადი ჯამბაზი; მოხუცმა კიჩოსკენ გადაინაცვლა, დაჯდა იქ, მარჯვენა ხელით და იდაყვით დიდი თოკი დაამაგრა და მარცხენა ხელით სკუმბრია მოითრია. მარცხენა ფეხს კი ამოზიდული თოკის ნაკეცებს ადგამდა. როდესაც სკუმბრია ნავს მოადგა და საცოდავად ასხმარტალდა, მოხუცი კიჩოზე გადაიხარა და ნავზე ამოათრია ოქროსავით ელვარე თევზი, რომელსაც გვერდზე ისფერი წინწკლები ეყარა. სკუმბრია თრთოდა და მაგრად უჭერდა პირს ანკესს, ხოლო თავის ბრტყელ სხეულს, თავსა და ბოლოს იქამდე უტლაშუნებდა ნავის ძირს, სანამ მოხუცმა ოქროსფრად მოელვარე თავში ჯოხი არ ჩაარტყა; თევზი აფართხალდა და გაირინდა.

მოხუცმა თევზი მოხსნა ანკესს. მერე ისევ წამოაგო ანკესს სარდინი და წყალში გადაისროლა. შემდეგ ფრთხილად გადავიდა ნავის ცხვირისაკენ. მარცხენა ხელი დაიბანა, შარვალზე შეიწმინდა და მძიმე თოკი მარჯვენა მხრიდან მარცხენაზე გადაინაცვლა. თანაც თვალს ადევნებდა, როგორ ჩადიოდა მზე ოკეანეში და როგორი დახრილობით მიდიოდა წყალში დიდი მკედი.

— არაფერი შეცვლილა, — თქვა მან. მაგრამ, როცა წყალში ჩაყო ხელი, იგრძნო, რომ ნავის მოძრაობა ძლიერ შენელდა. — ერთმანეთს მივაკრავ ორივე ნიჩაბს და გარდიგარდმო მივამაგრებ კიჩოს, რომ ღამით ნავის მოძრაობა

შევანელო, - თქვა მან. – ამ თევზს ძალა ეყოფა, რომ მთელი ღამე მატაროს. მერე რა, მეც მეყოფა ძალა.

«აჯობებს, უფრო გვიან გამოვწელო სკუმბრია, – გაიფიქრა, – რომ მისი სისხლი არ დაიღვაროს. ამას ცოტა მოგვიანებით გავაკეთებ და მაშინ შევკრავ ნიჩბებსაც, რომ ნავი დავამუხრუჭო. ჯერჯერობით სჯობს არ შევაწუხო თევზი, განსაკუთრებით მზის ჩასვლისას. მზის ჩასვლა ცუდად მოქმედებს ყოველგვარ თევზზე».

მოხუცმა ხელი ქარზე გაიშრო, მერე თოვს მოკიდა და ისე მიუშვა თევზი, რომ თვითონ ნავის ფიცრულ კედელს მიეკრა. ამრიგად, თუ აქამდე საყრდენი მისი ტანი იყო, ახლა ნავი იქცა საყრდენად.

«რაღაც-რაღაცები ვისწავლე, – გაიფიქრა მოხუცმა. – ჯერჯერობით ვიცი, როგორ მოვეპყრო ასეთ თევზს. თანაც არ შეიძლება დავივიწყო, რომ თევზს არაფერი უჭამია მას შემდეგ, რაც ანკესი გადაყლაპა; ამავე დროს იგი დიდია და ბევრი საჭმელი უნდა. მე კი მთელი ბონიტო შევჭამე, ხვალ სკუმბრიას შევჭამ. – მოხუცი სკუმბრიას დორადო-ს ეძახდა. – ერთ ნაჭერს მაშინ შევჭამ, როცა გავასუფთავებ. სკუმბრიას ჭამა უფრო ძნელია, ვიდრე ბონიტოსი. მაგრამ ქვეყანაზე ადვილი არაფერია».

– როგორა ხარ, თევზო? – შეეკითხა ხმამაღლა. – მე მშვენივრად ვგრძნობ თავს. მარცხენა ხელი მომირჩა, საჭმელიც მთელ ღამეს და კიდევ მთელ დღეს მეყოფა. კარგი, ათრიე ნავი, თევზო.

მოხუცი თავს არცთუ ისე კარგად გრძნობდა, რადგან ზურგზე შემოჭერილი თოვით გამოწვეული ტკივილი თითქმის უკვე აღარ იყო ტკივილი, იგი სხეულის ყრუ მტვრევად გადაიქცა. «უარესიც გადამხდომია, – ფიქრობდა იგი. – ხელი, უბრალოდ, გავაწრული მაქვს, მეორე ხელს კი უკვე აღარ მოსდის კრუნჩხვა. ფეხები წესიერად მაქვს. საჭმლის მხრივაც მე ბევრად უკეთესად ვარ, ვიდრე თევზი».

ბნელოდა; სექტემბერში ყოველთვის უეცრად, მზის ჩასვლისთანავე ბნელდება. დაკრილულ ფიცრებზე მიყრდნობილი მოხუცი იწვა და მთელი ძალით ცდილობდა დასვენებას. ცაზე გამოჩნდა პირველი ვარსკვლავები. მოხუცმა არ იცოდა რიგელის ვარსკვლავის სახელი, მაგრამ როცა ის დაინახა, მიხვდა, რომ დანარჩენი ვარსკვლავებიც მალე გამოჩნდებოდნენ და მაშინ ეს შორეული მეგობრები კვლავ მასთან იქნებოდნენ.

– თევზიც ჩემი მეგობარია, – თქვა მან, – არასდროს არ მინახავს ასეთი თევზი; არც გამიგონია, რომ ასეთი თევზები არსებობდნენ, მაგრამ უნდა მოვკლა კია. რა კარგია, რომ ვარსკვლავების მოკვლა არა გვჭირდება!

«აბა, წარმოიდგინე: კაცი ყოველდღე ცდილობდეს მთვარის მოკვლას! მთვარე კი გაურბოდეს მას. ანდა, რა იქნებოდა, რომ კაცი ყოველდღე მზეს დასდევდეს მოსაკლავად? არა, რაც გინდათ, თქვით, ჩვენ – ადამიანებს – მაინც იღბალი გვაქეს», – გაიფიქრა მან.

მერე მოხუცს შეებრალა დიდი თევზი, რომელსაც საჭმელი არაფერი ჰქონდა, მაგრამ ეს სიბრალული ოდნავადაც არ უშლიდა ხელს მის

გადაწყვეტილებას – მოეკლა იგი. რამდენ ადანიანს გააძლებს ეს თევზი? მაგრამ განა ღირსნი არიან ადამიანები, რომ ამ თევზით იკვებონ? რასაკვირველია, არა. ქვეყანაზე არავინ არის იმის ღირსი, რომ ეს თევზი ჭამოს: ერთი შეხედთ, რა დიდებული კეთილშობილებაა მის ქცევაში.

«მე ბევრი არაფერი მესმის, – გაიფიქრა მან, – მაგრამ, რა კარგია, რომ მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს არ დავსდევთ მოსაკლავად! ისიც კმარა, რომ საჭმელს ვტაცებთ ზღვას და ჩვენსავე ძმებს ვკლავთ.

ახლა ნიჩბებისაგან მოწყობილ მუხრუჭზე უნდა ვიფიქრო. ამ მუხრუჭს ღირსებაც აქვს, მაგრამ საშიშიც არის. იმდენი თოკი შეიძლება დაიკარგოს, რომ ამის გამო თევზიც დავკარგო, თუ იგი გაქცევას მოისურვებს; ნიჩბების მუხრუჭი კი ნავს სწრაფი მოძრაობის უნარს დაუკარგავს. ნავის სიმსუბუქე აგრძელებს ჩემს ტანჯვას და თევზის ტანჯვასაც. მაგრამ ამ სიმსუბუქეში ჩემი გადარჩენის საწინდარიცაა. ამ თევზს, თუ მოისურვებს, ხომ შეუძლია უფრო სწრაფად იცუროს. როგორადაც უნდა იყოს, საჭიროა სკუმბრიის გამოწელვა, სანამ არ გაფუჭებულა. ცოტა კიდეც უნდა ვჭამო და ძალა მოვიკრიბო.

ახლა ერთ საათს დავისვენებ, მერე კი, თუ შევატყობ, რომ თევზი ცუდს არაფერს ფიქრობს, კიჩოზე გადავალ და, რაც საჭიროა, მოვაწყობ, ნიჩბების საქმესაც გადავწყვეტ. ამავე დროს იმასაც ვადევნებ თვალყურს, როგორ მოიქცევა თევზი და რას დააპირებს. ნიჩბების შეკვრა – კარგი გამოგონებაა, მაგრამ ახლა გაბედული მოქმედებაა საჭირო! თევზს შენახული აქვს მთელი თავისი ძალა. ისიც შევატყვე, რომ ანკესი სწორედ პირის კუთხეში აქვს გაჩხერილი. პირი კი მაგრად აქვს მოკუმული. ანკესით მიყენებული ტკივილით დიდად არ იტანჯება თევზი. გაცილებით მეტად აწუხებს შიმშილი და გაუგებარი შიშის შეგრძნება. დაისვენე, ბებერო, დაე, თევზმა იშრომოს, სანამ შენი ჯერი არ დამდგარა».

მისი ვარაუდით, სულ ცოტა ორ საათს მაინც დაისვენა; მთვარე გვიან ამოდიოდა და არ შეეძლო განესაზღვრა დრო. ეს დასვენებაც ძალიან საეგებიო იყო. ზურგით კვლავინდებურად გრძნობდა თევზის სიმძიმეს. მარცხენა ხელს აყრდნობდა ნავის ცხვირს და ამით ცდილობდა, სიმძიმე უფრო ნავზე გადაეტანა.

«რა შეღავათი იქნებოდა, თოკის გამობმა რომ შემეძლოს ნავზე, - გაიფიქრა მან, – მაგრამ საკმარისია ოდნავ გაქანდეს თევზი და თოკი გაწყდება. ამიტომ ტანით გამუდმებით უნდა შევანელო თოკის გაწევა და მზად უნდა ვიყო, რომ ყოველ წუთში ორივე ხელი გავუშვა თოკს».

– მაგრამ, ბერიკაცო, ჯერ რომ თვალიც არ მოგიხუჭავს? – თქვა მან ხმამაღლა. – ნახევარი დღე გავიდა, მერე ერთი ღამე, ახლა კიდევ ერთი დღე, შენ კი არ გძინავს და არა. რამე მოიფიქრე, რომ ცოტათი მაინც წაიძინო, ვიდრე თევზი მშვიდად არის და არ ონავრობს. თუ არ წაიძინე, გონება დაგებინდება.

«ახლა გონება ნათელი მაქვს, – გაიფიქრა მან, – ძალიან ნათელიც. ისეთივე ნათელი, როგორიც ჩემი ძმები – ვარსკვლავებია, მაგრამ, სულ ერთია, უნდა წავიძინო. ვარსკვლავებსაც სძინავთ, მთვარესაც სძინავს, მზესაც სძინავს, თვით

ოკეანეც იძინებს ზოგჯერ, იმ დღეებში, როდესაც დინება არ არის და სრული სიწყნარე სუფევს».

— არ დაივიწყო წაძინება, — მოაგონა მან თავის თავს, — ეცადე, რომ დაიძინო; მოიგონე რაიმე უბრალო და მარჯვე ხერხი თოვის დასამაგრებლად. ახლა კიჩოზე გადადი და სკუმბრია გამოწელე. თუ დაგემინა, ნიჩბებისაგან შეკრული მუხრუჭი ძლიერ საშიში რამეა.

«მაგრამ უძილოდაც შემიძლია გავძლო, — უთხრა მან თავის თავს. — ჰო, შეგიძლია, მაგრამ ესეც ძლიერ საშიშია».

მოხუცი ფორთხვით წავიდა კიჩოსკენ, ცდილობდა თევზი არ შეეწუხებინა. «შესაძლოა, თევზიც თვლემს, — გაიფიქრა მან. — მაგრამ არ მინდა, რომ ისვენებდეს. უნდა ათრიოს ნავი, სანამ სული არ ამოხდება».

კიჩომდე რომ მიაღწია, შებრუნდა და თევზის მთელი სიმძიმე მარცხენა ხელზე გადაიტანა, მარჯვენა ხელით კი ქარქაშიდან დანა ამოიღო. ვარსკვლავები ძლიერ ანათებდნენ და სკუმბრია კარგად ჩანდა. მოხუცმა დანა დასცა სკუმბრიას თავში და კიჩოს ნარიდან გამოათრია. თევზს ფეხი დაადგა და სწრაფად გაუფატრა მუცელი ბოლოდან ქვედა ყბამდე. მერე დანა დადო და მარჯვენა ხელით გამოწელა თევზი; ლაყუჩებიც ამოგლიჯა. თევზის კუჭი მძიმე და სლიპი იყო; გაჭრა და შიგ ორი მფრინავი თევზი იპოვა. ორთავე ახალი და მაგარი იყო; თევზები ნავის ძირზე დააწყო, შიგნეული კი წყალში გადაყარა. ჩაძირვისას შიგნეულმა წყალზე მანათობელი კვალი დატოვა. ვარსკვლავების მკრთალ სინათლეზე სკუმბრია ჭუჭყიანი თეთრი ფერისა მოსსჩანდა. მოხუცმა თევზის თავს ფეხი დაადგა და თევზის ერთ გვერდს კანი ააგლიჯა, მერე შეაბრუნა და მეორე გვერდს ააგლიჯა კანი; ბოლოს თევზის ორივე გვერდს ააჭრა ხორცი თავიდან ბოლომდე.

სკუმბრიის ჩონჩხი რომ გადააგდო, გადაიხედა, წრეები ხომ არ ჩნდება წყალზე, მაგრამ მხოლოდ თევზის ჩონჩხის მანათობელი კვალი დაინახა. ჩონჩხი ნელა იძირებოდა ზღვაში. მერე მოხუცი მობრუნდა, თევზის ნაჭრებს შორის დადო ორი მფრინავი თევზი, დანა ქარქაში ჩააგო და ისევ ნავის ცხვირისკენ წაფორთხდა. თოვის სიმძიმეს გაეზნიქა მისი ზურგი; ახლა თევზი მარჯვენა ხელით ეჭირა.

ნავის ცხვირზე რომ დაბრუნდა, თევზის ნაჭრები ფიცარზე გააწყო და მფრინავი თევზებიც იქვე დადო. მერე თოვი ზურგის დაუბეჭავ ნაწილზე გადააცურა და სიმძიმე ისევ ნარცხენა ხელზე გადაიტანა. ეს ხელი ნავის ცხვირის ფიცარზე ჰქონდა დაბრჯენილი. მოხუცი ნავის ქიმს გადაეყრდნო და მფრინავი თევზი ზღვაში ამოავლო, ამ დროს შეამჩნია, რომ წყალი სწრაფად მოძრაობდა ხელქვეშ. მოხუცის ხელი წყალში ანათებდა, რადგან ამ ხელით თევზს კანი გააცალა. ერთხანს უყურა, როგორ ევლებოდა ჭავლები ხელს. ახლა წყალი უკვე ნელა მიედინებოდა. მოხუცმა ნავის კიდეს შეახოცა ხელი. ნელა მიცურავდნენ კიჩოსაკენ ფოსფორის ნაწილაკები.

— თევზი ან დაიღალა, ან ისვენებდა, — თქვა მოხუცმა, — ჩქარა უნდა მოვათავო ჭამა და ცოტა წავიძინო.

ვარსკვლავების შუქზე მოხუცმა შეჭამა სკუმბრიის ერთი ნაჭრის ნახევარი და ერთი მფრინავი თევზი, რომელიც წინასწარ გამოწელა. ღამის სიცივე თანდათან მატულობდა.

— რა შეიძლება იყოს სკუმბრიაზე გემრიელი, თუ მოხარმულია, — თქვა მან, — მაგრამ რა საზიზღარია, როცა უმად ჭამ! არასდროს აღარ გამოვალ ზღვაზე უმარილოდ და ულიმონოდ.

«ჭულა რომ მქონოდა, — ფიქრობდა იგი, — მთელი დღე წყალი უნდა მესხა ნავის ცხვირზე, აშრებოდა და საღამოს მარილი მექნებოდა. პო, მაგრამ, სკუმბრია ხომ სწორედ მზის ჩასვლის წინ დავიჭირე. მაინც ბევრი რამ ვერ გავითვალისწინე. თუმცა, აი, უკვე მთელი ნაჭერი დავღეჭე და გული მაინც არ მერევა».

აღმოსავლეთით ცა ღრუბლებმა ჩამოაბნელეს და ნაცნობი ვარსკვლავები ზედიზედ ქრებოდნენ. გეგონებოდათ, ნავი ღრუბლების ვეებერთელა გვირაბში შედისო. ქარი ჩადგა.

— სამი ან ოთხი დღის შემდეგ დაიწყება ავდარი, — თქვა მან. — მაგრამ ამაღამ და ხვალ ავდარი არ იქნება. წაიძინე, ბერიკაცო, თევზი დინჯად არის.

მოხუცმა მარჯვენა ხელი ჩასჭიდა თოკს და მთელი ტანით ნავის გვერდს მიაწვა. მერე თოკი ზურგზე ოდნავ ჩამოაცურა და მარცხენა ხელი მოჰკიდა.

«თოკზე შემოჭერილი მექნება მარჯვენა ხელი, ხოლო თუ ძილში ხელი გამეშლება, მაშინ მარცხენა ხელი იგრძნობს თოკის სრიალს და გამაღვიძებს. ცხადია, მარჯვენა ხელს დიდი ჯაფა დაადგება. მაგრამ ეს ხელი შეეჩვია გაჭირვების ატანას. ოცი წუთი ან ნახევარი საათიც რომ წავიძინო, ისიც კარგია».

მოხუცი მიაწვა ნავის გვერდს და მთელი ტანით გამოსწია თოკი, მერე თევზის მთელი სიმძიმე მარჯვენა ხელზე გადაიტანა და დაიძინა.

ძილში ადარ უნახავს ლომები, სამაგიეროდ, დაესიზმრა ზღვის ღორების უზარმაზარი ჯოგი, გაჭიმული რვა თუ ათ მილზე. ღორებს დაგრილების დრო ჰქონდათ, ამიტომ მაღლა ხტებოდნენ ჰაერში და ისევ ყვინთავდნენ იმავე ორმოში, რასაც წყლიდან ამოხტომის დროს თვითონვე აკეთებდნენ.

მერე დაესიზმრა, რომ სოფელში იყო და თავის საწოლზე იწვა; ქოხში ჩრდილოეთის ქარი უბერავდა, რის გამო ძლიერ ციოდა; მარჯვენა ხელი დაუბუქდა, რადგან ბალიშის მაგივრად ედო თავქვეშ.

მხოლოდ ამის შემდეგ დაესიზმრა მოხუცს ზღვის გრძელი, ყვითელი ნაპირი. ნახა, როგორ გამოვიდა ბინდბუნდში შამბნარიდან ჰირველი ლომი, მას სხვებიც მოჰყვნენ. მოხუცი ნიკაპით დაეყრდნო ღუზაზე დაბმული გემის ქიმს; ხმელეთიდან საღამოს ნიავი უბერავდა; მოხუცი ელოდებოდა, გამოჩნდებოდნენ თუ არა კიდევ ლომები, და სრულიად ბედნიერი იყო.

მთვარე უკვე დიდი ხანია ამოვიდა, მაგრამ მოხუცს ისევ ეძინა. თევზი კი ნელა მიაცურებდა ნავს ღრუბლების გვირაბში.

ბიძგისაგან გაეღვიძა. მარჯვენა ხელის მუშტი მოხვდა სახეში. თოკი ხელისგულს სწვავდა და სწრაფად მისრიალებდა წყალში. მარცხენა ხელს აღარ

გრძნობდა, ამიტომ თოკის შეჩერება მარჯვენა ხელით სცადა, მაგრამ თოკი ელვის სისწრაფით ეშვებოდა ზღვაში. ბოლოს მარცხენა ხელიც შეახო და ზურგითაც დააწვა თოკს. ახლა თოკი სწვავდა ზურგსა და მარცხენა ხელს, რომელსაც თევზის მთელი სიმძიმე გადაეცა. მოხუცმა შეხედა თოკის სამარქაფო გორგლებს და დაინახა, რომ ისინი სწრაფად ირლვეოდნენ. სწორედ ამ დროს ააფეთქა თევზმა ოკეანის სარკე, ამოვარდა ზემოთ და ისევ ჩაეშვა მძიმედ ზღვაში. მერე ისევ ამოხტა და ამოხტა, ნავი კი მიქროდა წინ, თოკიც მისრიალებდა; მოხუცი მაგრად ეწეოდა მას; წუთით ხელს შეუშვებდა და მაშინვე მთელი მალით გამოსწევდა; ასე თოკი შეიმლებოდა გაწყვეტილიყო. თევზის გაწევის ძალამ თვითონ მოხუცი მიაკრა მაგრად ნავის ცხვირს; მისი სახე სკუმბრიის ხორცის ნაჭერს მიეტყაპნა, მაგრამ მოხუცს განძრევა აღარ შეეძლო.

«აი, სწორედ ამას ველოდებოდით, — გაიფიქრა მოხუცმა, - აბა, ახლა მაგრად დადექი!.. თევზის ვაზღვევინებ თოკს! უეჭველად ვაზღვევინებ!»

არ შეეძლო დაენახა თევზის ამოვარდნა წყლიდან, მხოლოდ ესმოდა, რა ხმაურით იპობოდა ოკეანე და რა დგაფუნი გაჰქონდა თევზს, როდესაც ისევ წყალში ვარდებოდა. თოკი, რომელიც ზღვაში მისრიალებდა, მწვავედ სჭრიდა ხელებს, მაგრამ მოხუცმა ადრევე იცოდა, რომ ასე მოხდებოდა; ცდილობდა თოკი მხოლოდ ხელის კორძიან ნაწილს შეჰქებოდა, რომ თითები ან ხელისგული არ გაეჭრა.

«ბიჭი რომ ყოფილიყო ჩემთან, — გაიფიქრა მოხუცმა, - თოკს დამისველებდა. მაშა! ეჰ, ბიჭი რომ ყოფილიყო აქა, ბიჭი რომ აქ ყოფილიყო!

თოკი ისევ მისრიალებდა, მაგრამ ახლა შედარებით მძიმედ, და მოხუცი ცდილობდა, ყოველი გოჯის გაწევა მვირად დასჯდომოდა თევზს. მოხუცმა შეძლო თავის აწევა მაღლა; სახე მოაცილა თევზის ნაჭერს, რომელიც ლოყას ძლიერ დაეტყაპნა. ჯერ წამოიჩოქა, მერე ფეხზეც წამოდგა. თოკს ისევ უშვებდა ხელიდან, მაგრამ სულ უფრო ნელა და ნელა. მიუახლოვდა სიბნელეში თოკის გორგლებს და ფეხით გასინჯა. დარწმუნდა, რომ კერ კიდევ დიდი მარაგი ჰქონდა. წყალში კი იმდენი თოკი იყო, რომ თევზს გაუმნელდებოდა მისი ზიდვა.

«ესეც ასე, - გაიფიქრა. — უკვე ბევრჯერ ამოხტა წყლიდან და ბუშტები ჰაერით გაივსო; ახლა ვეღარ შეძლებს ისეთ სიღრმეში წასვლასა და სიკვდილს, რომ მისი ამოღება შეუძლებელი გახდეს. მალე ირგვლივ ტრიალსაც დაიწყებს და მაშინ მაგარი მუშაობა დამჭირდება. ნეტავ, რამ შეაშფოთა ასე უეცრად? ან შიმშილმა გადარია, ან რაღაცამ შეაშინა სიბნელეში! შესაძლოა, უეცრად იგრძნო შიში, მაგრამ ხომ წყნარი და ღონიერი თევზია. მე ესოდენ უშიშარი და თავისთავის მოიმედე მეგონა, უცნაურია!»

«უმჯობესია, ბერიკაცო, თვითონ შენ დაივიწყო შიში და გული გაიმაგრო იმედით, — თქვა მან. — თუმცა თევზი გიჭირავს, მაგრამ თოკის გამოწევა ერთი გოჯითაც არ შეგიძლია. არა უშავს, თევზი მალე დაიწყებს ირგვლივ ტრიალს.

ახლა თოვს მარცხენა ხელით და მხრებით აკავებდა; მოხუცი დაიხარა და მარჯვენა ხელის პეშვით წყალი ამოხაპა და სახეზე შეისხა, რომ სკუმბრიის მიჭყლეტილი ხორცი ჩამოერეცხა. ეშინოდა, გული არ ამერიოს და არ დავსუსტდეო. პირი რომ დაიბანა, მარჯვენა ხელი ნავიდან გადასწია და მარილიან წყალში გააჩერა; თანაც ცას ახედა. თანდათან ნათდებოდა. «ახლა თევზი თითქმის პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ მიცურავს, — გაიფიქრა მან. — ეს იმას ნიშნავს, რომ დაიღალა და დინებას მიჰყვება. მალე იძულებული იქნება ტრიალი დაიწყოს. აი, სწორედ მაშინ დაიწყება ჩვენი ნამდვილი მუშაობა».

მოხუცმა მარჯვენა ხელი რამდენიმე ხანს წყალში გააჩერა, მერე ამოიღო და შეათვალიერა.

— არც ისე საშიშია, — თქვა მან. — მამაკაცს ტკივილი ვერ დააძაბუნებს.

მოხუცმა ფრთხილად მოკიდა ხელი თოვს, ცდილობდა, არცერთ ახალ განაჭერს არ გაჰკარებოდა; სხეულის სიმძიმე ისე შეინაცვლა, რომ მარცხენა ხელიც ჩაეყო წყალში ნავის მეორე მხრიდან.

— ისეთი არარაობის პირობაზე, როგორიც შენ ხარ, არა გიშავს რა, — უთხრა მარცხენა ხელს, — მაგრამ იყო წუთი, როდესაც ვერ გამომადექი.

«დაბადებიდანვე რატომ არ გამომყვა ორი კარგი ხელი? — ფიქრობდა მოხუცი. — შესაძლოა, დამნაშავე ვარ, რომ მარცხენა ხელს თავის დროზე არ ვასწავლე მუშაობა, როგორც საჭირო იყო. მაგრამ, ღმერთი მოწმეა, თვითონაც მშვენივრად შეეძლო ესწავლა! კაცმა რომ თქვას, ღამით ამ ხელს არცთუ ისე უღალატია; კრუნჩხვა მხოლოდ ერთხელ მოუვიდა, კრუნჩხვა თუ განმეორდება, მაშინ ისა სჯობს, სულ წამაცალოს ეს ხელი თოვმა».

ეს რომ გაიფიქრა, მოხუცი მაშინვე მიხვდა, რომ გონება დაებინდა. საჭირო იყო კიდევ შეეჭამა თევზის ერთი ნაჭერი. «არ შემიძლია, — უთხრა თავისთავს, — სჯობს თავბრუდახვეული ვიყო, ვიდრე გულისრევამ დამასუსტოს. ვიცი, თევზის ხორცი გულზე არ დამამაგრდება, რადგან სახე მედო ზედ. ყოველ შემთხვევაში, ხორცს შევინახავ, სანამ არ გაფუჭდება. სულ ერთია, უკვე გვიანაა, ჭამა ვერაფერს გიშველის, სულელო ბერიკაცო, — უთხრა მან თავის თავს, — ჭამე მეორე მფრინავი თევზი!»

აი, აქ არის გამოწელილი და გასუფთავებული, მოხუცმა მარცხენა ხელით აიღო მფრინავი თევზი და გულდაგულ დაღეჭა ძვლიანად. ისე შეჭამა, რომ ნამცეციც არ დარჩენია.

«ამ თევზს ყოველ სხვა თევზზე მეტი ნოყიერება აქვს, — გაიფიქრა მან, — ყოველ შემთხვევაში, ამ თევზს გააჩნია ის, რაც მე მესაჭიროება. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ოღონდ ახლა დიდმა თევზმა წრის შემოვლა დაიწყოს. ბრძოლაც მაშინ დაგვეწყება».

მზე უკვე მესამეჯერ ამოდიოდა მას შემდეგ, რაც მოხუცი ზღვაზე გამოვიდა, და მხოლოდ ახლა დაიწყო თევზმა ირგვლივ ტრიალი.

თოვი ისე იყო გაჭიმული წყალში, რომ ამის მიხედვით მოხუცს ჯერ კიდევ არ შეეძლო გაეგო, დაიწყო თუ არა თევზმა წრის შემოვლა. ჯერ კიდევ ადრე იყო. მხოლოდ ის იგრძნო, რომ თოვის გაწევა ოდნავ შესუსტდა. ამიტომ

შეუდგა თოკის ნელ-ნელა ამოზიდვას მარჯვენა ხელით. თოკი ისევ მაგრად გაიჭიმა, მაგრამ სწორედ იმ წუთს, როდესაც გაწყვეტაზე იყო მისული, უეცრად თავისუფლად წამოვიდა. მაშინ მოხუცი დაიხარა, შემოჭერილი თოკისაგან მხრები გაითავისუფლა და თოკის ამოზიდვა განაგრძო აუჩქარებლად, ნება-ნება. ხან ერთი ხელით ეწეოდა, ხან მეორეთი. ბებერი ფეხები და მხრები შველოდნენ თოკის ამოზიდვაში.

_ ძლიერ დიდ წრეს უვლის, _ თქვა მან, _ მაგრამ მთავარი ისაა, რომ უკვე უვლის.

უეცრად თოკის მოძრაობა შეფერხდა, მაგრამ მოხუცი მაინც ეწეოდა, სანამ თოვზე მზის სხივებით აციმციმებული წყლის წვეთები არ ათამაშდნენ. მერე თოკი სხვა მხარეს გაიწია; მოხუცმა ჩაიჩიქა და უნებლიერ ისევ მიუშვა ნელ-ნელა ბნელი წყლისაკენ.

_ ახლა თევზი ყველაზე დიდ წრეს უვლის, _ თქვა მან. _ რაც შეიძლება მაგრად უნდა მეჭიროს თოკი. გაჭიმული თოკი ყოველ შემოტრიალებაზე წრეს დააპატარავებს, იქნებ, ერთი საათში დავინახო თევზი, პირველყოვლისა, ჩემს ძალაში უნდა დავაჯერო, მერე უეჭველად მოვკლავ.

მაგრამ ორი საათი გავიდა და თევზი ისევ ტრიალებდა ნავის ირგვლივ. მოხუცს ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. არაქათი გამოელია. წრე, რომელსაც თევზი უვლიდა, დაპატარავდა. თანაც თოკს ეტყობოდა, რომ თევზი თანდათან ზევით ამოდიოდა.

აი, უკვე მთელი საათია, რაც მოხუცს შავი წინწკლები ებლანდებოდა თვალებზე; მარილიანი ოფლი ჩასდის და თვალებს სწვავს, თვალთან რომ ჭრილობა აქვს_იმასაც სწვავს, შუბლის ჭრილობასაც სწვავს. შავი წინწკლები არ აშინებდა მოხუცს. ეს წინწკლები გასაკვირი არ იყო, თუ უწარმოვიდგენთ, რა ჭაპანწყვეტით ეწეოდა თოკს. მაგრამ ორჯერ მაინც იგრძნო სისუსტე და ამან ძლიერ შეაშფოთა.

«ნუთუ ისე წავხდები, რომ რაღაც თევზის გამო ამომხდება სული? _ თქვა მოხუცმა. _ მით უმეტეს ახლა, როდესაც საქმე ასე მშვენივრად მიდის. ღმერთო, მიხსენი! ასჯერ ვიტყვი «მამაო ჩვენოს» და ასჯერვე _ «ღვთისმშობელო ქალწულოს». მაგრამ ახლა არ შემიძლია ვილოცო.

«ჩათვალე, თითქოს უკვე მეთქვას ეს ლოცვები, _ გაიფიქრა მან. - მერე ვილოცებ».

ამ დროს იგრძნო უეცრად გაწევა და დარტყმა იმ თოვზე, რომელიც ორივე ხელით ეჭირა. გაწევა მკვეთრი და მეტად ძლიერი იყო.

«თევზი მახვილს ურტყამს იმ მავთულს, რომლითაც თოვზე ანკესია გადაბმული, _ გაიფიქრა მოხუცმა. _ ბუნებრივია, ასეც უნდა მოქცეულიყო. მაგრამ ამან შეიძლება ზემოთ ამოახტუნოს. მე კი მირჩევნია, ჯერ კიდევ იტრიალოს. ამოხტომა საჭირო იყო, რომ ჰაერით გავსებოდა ბუშტები. ახლა კი ყოველი ამოხტომა იმ ჭრილობას გააფართოებს, რომელშიაც ანკესია გაჩხერილი, და თევზი შეიძლება მოსწყდეს ანკესს».

_ ნუ ხტუნავ, თევზო, _ თქვა მან. _ ნუ ხტუნავ, გეთაყვა.

თევზი თოკს ისევ ურტყამდა მახვილს. ყოველ დარტყმაზე მოხუცი თავს გაიქნევდა და ნელა მიუშვებდა თოკს.

«ზედმეტი ტკივილი არ უნდა მივაყენო, — ფიქრობდა იგი. — ჩემი ტკივილი არაფერია. მე გავუძლებ ტკივილს. თევზი კი შეიძლება გაგიჯდეს ტკივილისაგან».

რამდენიმე ხნის შემდეგ თევზმა თავი მიანება მავთულის ჯაჯურს და ისევ ირგვლივ ტრიალი დაიწყო. მოხუცს თანაბრად ამოჰონდა თოკი. მაგრამ მოხუცი ისევ ცუდად შეიქნა. მარცხენა ხელის პეშვით ზღვის წყალი ამოიღო და თავზე დაისხა, მერე კიდევ გადაივლო თავზე ცოტა წყალი და კეფა დაიზილა.

— სამაგიეროდ, ხელი არ მეკრუნჩება. — თქვა მან. — თევზი მალე ამოცურდება, გასაჭირს ძველებურად გავუძლებ. უნდა გაუძლო, ბერიკაცო! კრინტიც არ დასძრა იმაზე, რომ ვერ გაუძლებ.

მოხუცმა ჩაიჩოქა და დროებით ისევ მოიხვია თოკი ბეჭებზე. «სანამ თევზი წრეს უვლის, დავისვენებ, მერე ავდგები და, როცა ახლოს მოვა, თოკს მოვზიდავ». — გადაწყვიტა მან.

სალიან უნდოდა მეტხანს დაესვენა ნავის ცხვირზე, თანაც თევზისთვის საშუალება მიეცა, ზედმეტი წრე შემოევლო. მაგრამ, როცა თოკის მოძრაობის მიხედვით მიხვდა, რომ თევზი ნავისკენ შემოტრიალდა, ისევ ადგა და თოკი მოზიდა. ხელშენაცვლებით ამოჰონდა ის, ტანსაც იქით-აქეთ აბრუნებდა, რათა რაც შეიძლება მეტი თოკი ამოეზიდა.

«ჩემს დღეში ასე არ დავღლილვარ, — გაიფიქრა მოხუცმა, — სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარიც ამოვარდა. თუმცა ქარი მისწრება იქნება, როცა შინისკენ წავიღებ თევზს. ძალიან გამომადგება ეს ქარი».

— მაშინ დავისვენებ, როცა თევზი ახალი წრის შემოვლას დაიწყებს, - თქვა მან. — მით უმეტეს, ახლა ბევრად უკვთ ვგრძნობ თავს. კიდევ რაღაც ორი-სამი წრე და თევზი ჩემი იქნება.

ჭილის ქუდი მოხუცს კეფაზე ჰქონდა გადაცურებული. თევზი რომ შებრუნდა და თოკი კვლავ გასწია, მოხუცი ნავის ცხვირზე მიეგდო.

«ახლა შენ გაისარჯე, თევზო, — გაიფიქრა მან. — მე კი მაშინ შევუდგები საქმეს, როცა უკან მობრუნდები».

ზღვაზე მოზრდილი ტალღა გაგორდა. მაგრამ წყალს აზვირთებდა კეთილი ქარი, კარგი დარის თანამგზავრი. ეს ქარი მოხუცს სჭირდებოდა, რომ შინამდე მიეღწია.

— სამხრეთ-დასავლეთისაკენ წავიყვან ნავს, — თქვა მან, — და ყველაფერი რიგზე იქნება. განა შეიძლება გზის აბნევა ზღვაზე? მით უმეტეს, როცა ჩვენი კუნძული ასე გრძელია.

მოხუცმა თევზი მხოლოდ მაშინ დაინახა, როცა იგი მესამე წრეს უვლიდა.

თავდაპირველად დაინახა მუქი ჩრდილი, რომელიც ისე დიდხანს გადიოდა ნავის ქვეშ, რომ თვალებს ვერ დაუჯერა.

— არა, — თქვა მან. — შეუძლებელია, რომ თევზი ასე დიდი იყოს.

მაგრამ თევზი მართლაც ასე დიდი იყო. მესამე წრის შემოვლის შემდეგ თევზი ზედაპირზე ამოცურდა, ნავიდან სულ რაღაც ოცდაათიოდე იარდის დაშორებით. მოხუცმა დაინახა, როგორ ამოვიდა ზღვიდან თევზის ბოლო, რომელიც ყველა ნამგალზე დიდი და მუქლურჯ წყალზე ბაცი სუმბულისფერი იყო. თევზმა ისევ ჩაყვინთა, მაგრამ უკვე ღრმად აღარ ჩასულა წყალში; მოხუცმა დაათვალიერა მისი ვეება ტანი, იისფერი ზოლებით შემოსალტული. ზურგის ფარფლი დაშვებული ჰქონდა, მკერდის ვეებერთელა ფარფლები კი ფართოდ გაეშალა.

სანამ თევზი წრეს უვლიდა, მოხუცმა მისი თვალები და ორი ნაცრისფერი ტმასნია-თევზი დაინახა. დროდადრო ტმასნია-თევზები დიდ თევზს ეკვროდნენ, მერე მარდად სცილდებოდნენ და განზე გარბოდნენ. ზოგჯერ ლაღად დაცურავდნენ დიდი თევზის ჩრდილში. თითოეული ტმასნია-თევზი სიგრძით სამ ფუტზე მეტი იყო. როცა სწრაფად დაცურავდნენ, გველთევზებივით იკლაკნებოდნენ.

მოხუცს სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მაგრამ ახლა ეს მარტო მზისაგან არ იყო. ყოველი ახალი წრის დროს, რასაც ასე მშვიდად და, ერთი შეხედვით, ასე უშფოთველად უვლიდა თევზი, მოხუცს სულ უფრო მეტი თოკი ამოჰქონდა. ახლა მოხუცი დარწმუნებული იყო, რომ ორი წრის შემოვლის შემდეგ შეძლებდა ჭვილთის ჩარტყმას.

«მხოლოდ ახლოს უნდა მოვაცურო, ძლიერ ახლოს, — გაიფიქრა მან. — და თავში არ უნდა დავუმიზნო, გულში უნად ჩავცე».

— იყავ დინჯი და ღონიერი, ბებერო, — უთხრა თავისთავს.

შემდეგი გარსშემოვლის დროს წყალში გამოჩნდა თევზის ზურგი, თუმცა თევზი ნავიდან ჯერ კიდევ შორს მიცურავდა. კიდევ ერთი წრე შემოავლო, მაგრამ ნავიდან ისევ შორს იყო, მისი ტანის მეტი ნაწილი კი უკვე წყალს ზევით ჩანდა; მოხუცმა იცოდა, თუ ცოტა მეტ თოკს ამოზიდავდა, თევზს ნავამდე მოაცურებდა.

უკვე დიდი ხანია მოამზადა ჭვილთი; ერთი შეკვრა მავთულიც მრგვალ კალათში ედო; მავთულის ბოლო ნავის ცხვირზე დამაგრებულ პალოს გამოაბა.

თევზის წრეს უვლიდა და ახლოვდებოდა; მეტად მშვიდი და მეტად ლამაზი თევზი მხოლოდ თავის ვეება ბოლოს არხევდა. მოხუცი მთელი ძალით ეწეოდა თოკს, ცდილობდა ნავის ახლოს მოეთრია თევზი. ერთი წამით თევზი ოდნავ გვერდზე გადაბრუნდა, მერე გასწორდა და ახალი წრის შემოვლა დაიწყო.

— დავძარი ადგილიდან, — თქვა მოხუცმა, — ხომ ვაიძულე, რომ გვერდზე გადაბრუნებულიყო.

მოხუცს ისევ დაებინდა გონება, მაგრამ მაინც მთელი ძალით ეწეოდა თოკსა და დიდ თევზს. «გვერდზე ხომ გადავაბრუნე, — ფიქრობდა იგი. — იქნებ, ამჯერად გულაღმა გადავაბრუნო. გამოსწიეთ! — უბრძანა ხელებს. — შემიმაგრეთ, ფეხებო! კიდევ მემსახურე, თავო! მემსახურე! შენ ხომ არასდროს არ აგიღია ხელი ჩემზე. ამჯერად გულაღმა გადავაბრუნებ თევზს».

ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე, სანამ თევზი ნავს მოუახლოვდებოდა, მოხუცმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და თევზი მოზიდა. მაგრამ თეზი მხოლოდ ოდნავ გადაბრუნდა გვერდზე, მერე გასწორდა და განზე გაცურდა.

— გამიგონე, თევზო! — უთხრა მოხუცმა, სულ ერთია, შენ უნდა მოკვდე. რად გინდა, რომ მეც მომკლა?

«ასე ვერაფერს გავაწყობ, — გაიფიქრა მან. პირი გაუშრა და ლაპარაკი აღარა შეეძლო; ძალაც არ ყოფნიდა, რომ წყლიან ბოთლამდე მიეწვდინა ხელი. — ამჯერად თევზი ნავთან უნდა მოვაცურო, — გაიფიქრა მოხუცმა. — ძალა დიდხანს აღარ მეყოფა».

— არა, გეყოფა, — შეეპასუხა თავის თავს, — ძალა შენ საუკუნოდ გეყოფა, ბერიკაცო!

შემდეგი წრის შემოვლის დროს მოხუცი კინალამ მისწვდა თევზს, მაგრამ თევზი ისევ გასწორდა და ნელა გაცურდა განზე.

«მღუპავ, თევზო, — ფიქრობდა მოხუცი. — რასაკვირველია, ეს შენი ნებაა. ცხოვრებაში ერთხელაც არ მინახავს უფრო დიდი, მშვენიერი, დინჯი და კეთილშობილი არსება, ვიდრე შენა ხარ, ძმაო! რა გაეწყობა, მომკალი, ჩემთვის უკვე სულ ერთია, ვინ ვის მოკლავს.»

«თავში ისევ გერევა აზრები, ბერიკაცო! თავი კი ნათელი უნდა გქონდეს. დაალაგე აზრები და ეცადე, აიტანო ტანჯვა, როგორც ადამიანმა... ან როგორ თევზმა», — დაუმატა გუნებაში.

— აბა, თავო, გონს მოდი! — თქვა ისე ჩუმად, რომ ძლივს გაიგონა საკუთარი ხმა. — გონს მოდი, გეუბნებიან შენ!

ორი წრე კიდევ შემოავლო თევზმა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად იყო.

«რა უნდა ვქნა? — ფიქრობდა მოხუცი. ყოველთვის, როცა თევზი განზე მიდიოდა, მოხუცს ეჩვენებოდა, რომ გონებას ჰკარგავდა, — რა უნდა ვქნა? ერთხელ კიდევ ვცდი».

კიდევ სცადა ერთხელ და იგრძნო, რომ მართლაც ჰკარგავდა გონებას, როცა თევზი გადააბრუნა გულაღმა. მერე თევზი უკანვე გადმობრუნდა და ნელა გაცურდა ზღვაში; თავის ვეებერთელა ბოლოს ჰაერში აქნევდა.

«ერთხელ კიდევ ვცდი», — შეპპირდა თავის თავს მოხუცი, თუმცა ხელები დაუსუსტდა და დროდადრო თვალებშიაც უბნელდებოდა.

ისევ სცადა და თევზი ისევ წავიდა. «მაშ, ასე, — გაიფიქრა და მაშინვე იგრძნო. რომ სხეულში სიცოცხლე ელეოდა, — ერთხელ კიდევ ვცდი».

მოხუცმა მოიკრიბა მთელი დარჩენილი ძალ-ღონე, მთელი თავისი გამწარება, თითქოს დიდი ხნის წინათ დაკარგული სიამაყეც დაიბრუნა და ყოველივე ეს შეარვინა იმ ტანჯვას, რასაც თევზი განიცდიდა... მაშინ თევზი გადაბრუნდა გვერდზე, ნელა გაცურდა გვერ-გვერდად და თავისი მახვილი თითქმის დააჯახა ნავს. თევზი იყო გრძელი, ფართო, ვერცხლისფერი, შემოსალტული იისფერი ზოლებით და გეგონებოდათ, დასასრული არ ექნებაო, როცა ნავის ახლოს დაცურავდა.

მოხუცმა თოკს ხელი გაუშვა და ფეხი დაადგა; ჭვილთი აღმართა ისე მაღლა, რამდენადაც შეეძლო, და მთელი ძალით, რაც მას ჰქონდა და რის მოკრებაც შეძლო ამ წუთში, ჩასცა თევზს გვერდში, სწორედ მკერდის ვეებერთელა ფარფლის ძირში. ეს ფარფლი კაცის მკერდის სიმაღლეზე იყო ამოშვერილი ზღვის ზემოთ. მოხუცმა იგრძნო, როგორ შედიოდა რკინა სირბილეში; ჭვილთს დააწვა და სულ უფრო ღრმად შეიყვანა; აյ მოხუცმა თავისი სხეულის მთელი სიმძიმე გამოიყენა.

...მაშინ თევზი გამოცოცხლდა, თუმცა ტანში უკვე სიკვდილი ედგა, მაღლა ამოიზიდა, თითქოს თავს იწონებსო ვეება სიგრძითა და საგანით, სილამაზითა და სიძლიერით. ისე ჩანდა, თითქოს ჰაერში ეკიდა მოხუცისა და ნავის თავზე. მერე დგაფუნი მოადინა ზღვაში და წყლის მსხვილი შეფეხით მთლად გაწუწა მოხუცი და ნავი.

მოხუცს სისუსტე მოერია, თავბრუ ეხვეოდა, თითქმის ვერაფერს ხედავდა, მაგრამ ჭვილთის თოკი მაინც დაუშვა დაბლა და დაწყლულებული ხელებით დაიწყო თოკის მოზიდვა. თვალებში სინათლე რომ დაუბრუნდა, დაინახა, თევზი გულაღმა იწვა და ვერცხლისფერი მუცელი ცისკენ მიეშვირა. ჭვილთის ტარი ირიბად ამოსჩროდა ზურგის მხრიდან, ზღვა კი ირგვლივ თევზის გულის სისხლით იყო შეღებილი. პირველად ლაქა მუქი იყო, თითქოს ლურჯი წყალი მთელი მილის სიღრმეზე თევზებით არის სავსეო. მერე ლაქა გაიშალა და ღრუბლებს დაემსგავსა. ვერცხლისფერი თევზი ნელა ირწეოდა ტალღებზე.

მოხუცი თვალს არ აშორებდა თევზს, სანამ თვალებზე კვლავ ბინდი არ გადაეფარა. მაშინ ჭვილთის თოკი ორჯერ მოახვია პალოს და თავი ხელებს დააყრდნო.

«უნდა ვეცადო, რომ გონება არ დავკარგო, — თქვა მან, როცა თავით ნავის კედელს მიეყრდნო. — ბებერი კაცი ვარ და ძლიერ დავიღალე. მაგრამ თევზი — ეს ჩემი ძმა მაინც მოვკალი, ახლა შავი სამუშაოდა დამრჩა.

ჯერ თოკი უნდა მოვამზადო და მარყუჟები გამოვსკვნა, რომ თევზი ნავთან მოვაცურო. თუნდ ორნი ვყოფილიყავით და ნავი წყლით აგვევსო, რათა თევზი შიგ ჩამოგვეგდო, ხოლო მერე წყალიც ამოგვეხაპა, — სულ ერთია, ნავი მაინც ვერ გაუმლებდა ასეთ სიმძიმეს. ყველაფერი უნდა მოვამზადო, რაც საჭიროა, მერე თევზი ნავთან მოვაცურო, მაგრად მივაბა ნავს, გავშალო აფრა და შინისაკენ გავსწიო!

მოხუცმა თევზი ნავისაკენ მოაცურა, რომ თოკი გაეყარა ლაყუჩებსა და პირში, მერე თევზის თავი მაგრად დაება ნავის ცხვირზე.

«მინდა კარგად შევხედო, — გაიფიქრა მოხუცმა, — ხელი მოვუსვა, გავიგო, რა თევზია ეს თევზი? ეს ხომ ჩემი სიმდიდრეა. მაგრამ ამიტომ კი არ მინდა ხელი შევახო. მგონია, უკვე შევეხე მის გულს, როდესაც მეორეჯერ ჩავარტყი ჭვილთი. კარგი, კარგი, მოაცურე უფრო ახლოს, გამოაბი ნავს, ჩამოაცვი მარყუჟი მის ბოლოს, მერე ტანზე მოსდევი, რომ უკეთესად მიუსადაგო ნავს».

— აბა, ბებერო, შეუდექი საქმეს! — უთხრა თავის თავს და ერთი ყლუპი წყალი შესვა. — ახლა, როცა ბრძოლა დამთავრებულია, უამრავი შავი სამუშაოა შესასრულებელი.

მოხუცმა ჯერ ცას ახედა და მერე თევზს გადახედა. შემდეგ გულდაგულ მიაჩერდა მზეს. «ახლა ნაშუადღევია, უკვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი ამოვარდა. თოკების შეკეთება ახლა უსარგებლოა. თოკებს შინ გადავაწნავთ ერთმანეთს მე და ბიჭი».

— მოდი აქ, თევზო! — მაგრამ თევზმა ყური არ ათხოვა. იგი უშფოთველად ქანაობდა ტალღებზე და მოხუცი იძულებული გახდა, მიეცურებინა მასთან ნავი.

ძლიერ ახლოს რომ მივიდა და თევზის თავი ნავის ცხვირს გაუსწორდა, მოხუცი კვლავ გაოცდა თევზის სიდიდით. მოხუცმა ჭვილთის თოკი მოხსნა პალოს, თევზს ლაყუჩებში შეუყარა და პირში ამოუძვრინა, მერე თევზის გაწვდილ მახვილს დაახვია და ისევ ლაყუჩებში გაუყარა, ისევ დაახვია მახვილზე, ორმაგად ჩასკვნა და ნავის ცხვირზე პალოს მიაბა. თოკი გადაჭრა და კიჩოზე გადავიდა, რომ მარყუჯით თევზის ბოლო დაემაგრებინა. იისფერ-ვერცხლისფერი თევზი წმინდა ვერცხლისფერი გახდა, ზოლებს კი ისეთივე ბაცი იისფერი დაედო, როგორც ბოლოს ჰქონდა. ეს ზოლები სათითაოდ მამაკაცის მტკაველზე უფრო ფართო ჩანდა, თევზის თვალები კი ისე იყო გამოციებული, როგორც პერისკოპის სარკე ან როგორც წმინდანთა სახეებია ლიტანიის დროს.

— სხვაგვარად არ შემეძლო ამ თევზის მოკვლა, — თქვა მოხუცმა. წყალი მოსვა და ბევრად უკეთ იგრძნო თავი. ახლა მან იცოდა, რომ გრძნობას არ დაჰკარგავდა; გონებაც გადაეწმინდა. «ეს თევზი, ალბათ, ათას ხუთას გირვანქაზე მეტს იწონის, — გაიფიქრა მან. — შესაძლოა, გაცილებით მეტსაც. რამდენს მივიღებ, თუ ხორცი ამ წონის ორი მესამედი მაინც გამოვა და თითო გირვანქა ოცდაათ ცენტად გაიყიდება?»

— უფანქროდ ვერ ვიანგარიშებ, — თქვა მოხუცმა, — ამისათვის საჭიროა ნათელი გონება. ალბათ, სახელოვან დი მაჯიოს დღეს მოვეწონებოდი. მართალია, ძვლის კორძი არა მაქვს, მაგრამ ხელები და ზურგი მაგრად მტკიოდა. ნეტა, რა არის ძვლის კორძი? შეიძლება, ჩვენც გვაქვს, მაგრამ ვერ ვამჩნევთ. — გაიფიქრა მან.

მოხუცმა ნავის ცხვირს, კიჩოსა და მერხს გამოაბა თევზი. ისე დიდი იყო, რომ ეჩვენებოდა, ნავი რომელიდაც დიდი გემის გვერდს მივაკარიო. მერე თოკი ჩამოჭრა და თევზის ქვედა ყბა ააკრა მის ზედა მახვილს, რომ პირი არ გაღებოდა და ცურვა ადვილი ყოფილიყო. მერე ანძა დადგა, გაფელის მაგივრად ჯოხი გამოიყენა და ჭოკი მოზიდა. დაკერებული აფრა გაიბერა, ნავი დაიძრა და კიჩოზე ნახევრად წამოწოლილმა მოხუცმა გეზი სამხრეთ-დასავლეთისაკენ აიღო.

იმის გასაგებად, თუ საით იყო სამხრეთ-დასავლეთი, მოხუცს კომპასი არ სჭირდებოდა. საკმაო იყო დაკვირვებოდა, საით ქროდა სამხრეთ-

აღმოსავლეთის ქარი და როგორ იბერებოდა აფრა. «ვგონებ, კარგი იქნება, რომ პატარა ანკესი ჩავუშვა წყალში. იქნებ რამე თევზი დავიჭირო, თორემ საჭმელ-სასმელი აღარაფერი მაქვს». მაგრამ პატარა ანკესი ვერ იძოვა, სარდინები კი უკვე გაფუჭებულიყო. მაშინ მან წყალში ჭვილთი მოსდო ყვითელ წყალმცენარეთა კონას და დაბერტყა; იქიდან ნავში პატარა გარნელები ჩამოცვივდა. ბარე თორმეტიოდე გარნელი ხტოდა და ფეხებს ჩაჩხავდა, თითქოს ქვიშის რწყილებიაო. მოხუცმა ორი თითით წააცალა მათ თავები და ყველა შეჭამა, გამოღეჭა ნაჭუჭებიც. გარნელები ძლიერ პატარები იყვნენ, მაგრამ მოხუცმა იცოდა, რომ გარნელი ძლიერ ნოყიერიცაა და გემოც საუცხოო აქვს.

ბოთლში კიდევ იყო დარჩენილი ორი ყლუპი წყალი. გარნელები რომ შეჭამა, ნახევარი ყლუპი წყალი შესვა. მიუხედავად დაბრკოლებისა, ნავი კარგად მიცურავდა; მოხუცს რუმპელი იდაყვით ეჭირა და ნავს ისე მართავდა, თევზს თვალს არ აშორებდა; ამავე დროს საკმაო იყო, დაეხედა ხელებზე ან ზურგით შეჰქებოდა ნავს, რომ ეგრძნო, ყოველივე ეს ცხადლივ მოხდა და სიზმარი არ იყო. ერთხელ, როდესაც მოხუცი ცუდად გახდა, უეცრად მოეჩვენა, რომ ყოველივე ეს მხოლოდ სიზმარი იყო. ამის შემდეგაც, როცა თევზი წყლიდან ამოვიდა და წამით ჰაერში დაეკიდა უძრავად, მოხუცმა ეს რაღაც საკვირველებად მიიჩნია და თვალებს ვერ დაუჯერა. მართალია, მაშინ იგი ძლიერ ცუდად ხედავდა, ახლა კი თვალები კარგად უჭრიდა.

ახლა მოხუცმა იცოდა, რომ თევზი ნამდვილად არსებობდა და ხელებისა და ზურგის ტკივილიც სიზმარი არ იყო. «ხელები მალე მომირჩება, _ გაიფიქრა მოხუცმა, _ საკმაო სისხლი გამოვუშვი, რომ ჭრილობებში ჭუჭყი არ შესულიყო, მარილიანი წყალი კი ჭრილობებს მალე მოაშუშებს. ზღვის უბის მუქი წყალი საუკეთესო წამალია მთელს ქვეყანაზე. ოღონდაც თავში აზრები არ მერეოდეს. ხელებმა თავისი საქმე გააკეთეს, ნავიც კარგად მიდის. თევზს პირი შეკრული აქვს, ბოლოც პირდაპირ უჭირავს, გვერდიგვერდ მივცურავთ, როგორც ძმები». მოხუცს ცოტათი კვლავ დაებინდა გონება და გაიფიქრა: «მაგრამ ვინ ვის მიჰყავს შინ _ მე მიმყავს, თუ მას მივყავარ? ბუქსირით რომ მივათრევდე, ყველაფერი ნათელი იქნებოდა. ან თევზს ყოველივე ღირსება რომ ჰქონდეს დაკარგული და ნავში ეგდოს, მაშინაც ყველაფერი ნათელი იქნებოდა. მაგრამ მივცურავთ გვერდიგვერდ, ერთმანეთთან მაგრად დაკავშირებულნი. კარგი, ბატონო, მას მივყავარ, თუ ასე მოსწონს. მე ხომ მხოლოდ ეშმაკობით ვაჯობე; ჩემს მიმართ თევზს არავითარი ბოროტი განზრახვა არ ჰქონია».

ისინი კარგად მიცურავდნენ. მოხუცი მალიმალ ისველებდა ხელს ზღვის მარილიან წყალში და ცდილობდა, გონება გადაწმენდოდა. გრუზა ღრუბლები მაღლა იწევდნენ, იმათ ზემოთ ქათქათა ღრუბლები მიცურავდნენ. მოხუცმა იცოდა, რომ ნელი ქარი მთელი ღამე იქროლებდა. დროდადრო თევზს გადახედავდა ხოლმე, სინამდვილეა თუ არაო. მთელი საათი გავიდა, ვიდრე პირველი ზვიგენი დაესხმოდა თავს.

ზვიგენი შემთხვევით როდი დაეწია. ოკეანის სიღრმიდან ამოცურდა მაშინ, როდესაც თევზის სისხლის მუქი ღრუბელი ჯერ შესქელდა და მერე მთელი მილის სიღრმეზე გაიშალა. ზვიგენი ამოცურდა სწრაფად, უშიშრად გააპო ზღვის ლურჯი სარკე და მზეზე გამოვიდა. მერე ისევ ჩაეშვა წყალში, ისევ იყნოსა სისხლი და გამოუდგა კვალს, რასაც ნავი და თევზი ტოვებდა ზღვაზე.

ზოგჯერ კვალი ეკარგებოდა. მაგრამ ან ისევ პოულობდა, ან კიდევ მცირეოდენ სუნსაც იკრავდა და განუწყვეტლივ მისდევდა უკან. ეს მეტად დიდი ზვიგენი იყო «მაკოს» ჯიშისა; განგებას თითქოს იმიტომ გაეჩინა, რომ ისე სწრაფად ეცურა, როგორც ყველაზე სწრაფი თევზი დაცურავს ზღვაში. ამ ზვიგენს ყველაფერი ლამაზი ჰქონდა, გარდა ყბებისა. ზურგი ისეთივე ლურჯი ჰქონდა, როგორც შიმშერა-თევზს, მუცელი ვერცხლისფერი, გვერდები კი გლუვი და ლამაზი. საერთოდ შიმშერა-თევზსა ჰგავდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვეება ყბებს, რომლებიც ახლა მაგრად ჰქონდა მიკრული ერთმანეთზე. სწრაფად მიცურავდა ზღვის ზედაპირზე, ადვილად მიაპობდა წყალს ზურგის მაღალი ფარფლით. მაგრამ მოკუმული პირის ორმაგი ლაშების შიგნით რვა მწკრივი ირიბი კბილები ჰქონდა. ეს კბილები ზვიგენთა უმეტესობის პირამიდულ კბილებს კი არ ჰგავდა, არამედ ადამიანის თითებს გვაგონებდა, მხეცის ბრჭყალებივით დაკვრანჩხულთ. სიგრძით კბილები მოხუცის თითებს არ ჩამოუვარდებოდა, გვერდები კი ბასრი ჰქონდათ სამართებლის პირივით. ეს ზვიგენი გაჩენილი იყო იმისათვის, რომ ზღვის ყოველგვარი თევზი ეჭამა, თვით ისე მოძრავნი, ღონიერნი და კარგად შეიარაღებულნიც კი, რომელთათვის არც ერთი სხვა მტერი საშიში არ იყო. ზვიგენი გრძნობდა, რომ ნადავლი ახლოს იყო, და ჩქარობდა, ზურგის ლურჯი ფარფლით ელვის სისწრაფით მიაპობდა წყალს.

დაინახა თუ არა, მოხუცი მიხვდა, ამ ზვიგენს არაფრის ეშინია და ისე მოიქცევა, როგორც მოესურვებაო. ბარჯი მოამზადა, ბარჯის თოკი ნავს გამოაბა და დაუდარაჯდა, როდის მოვიდოდა უფრო ახლოს. თოკი მოკლე იყო, რადგან ერთი ნაწილი მაშინ მოაჭრა, როცა თევზს აკრავდა ნავს.

მოხუცს ახლა გონება სულ გაუნათდა; მხნეობითაც სავსე იყო, თუმცა იმედით გულს არ იმშვიდებდა. «საქმე მეტად კარგად მიდიოდა, ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო» – ფიქრობდა მოხუცი. თვალს ადევნებდა ზვიგენის მოახლოებას და ერთხელ დიდ თევზსაც გადაჰკრა თვალი. «უკეთესი იქნებოდა, რომ ყოველივე ეს მართლაც სიზმარი ყოფილიყო. – გაიფიქრა მან. – არაფრით არ შემიძლია ხელი შევუშალო ზვიგენის თავდასხმას; მაგრამ, იქნებ, როგორმე ბარჯი ჩავასო? Dentuso, შავი ჭირი შენს გამჩენს!»

ზვიგენი ზედ ნავთან მოცურდა და თევზს დაეძგერა. მოხუცმა დაინახა ზვიგენის გაღებული ხახა და არაჩვეულებრივი თვალები, გაიგონა მისი ყბების ხრჭიალი, როცა თევზს კბილები ჩასო. ზვიგენმა ჯერ თავი ამოყო წყლიდან, მერე მისი ზურგიც გამოჩნდა. მოხუცს ესმოდა, როგორი ხმაურით გლეჯდა ზვიგენის ყბები დიდი თევზის კანსა და ხორცს. მოხუცმა ბარჯი ჩასცა ზვიგენს

თავში იმ ადგილას, სადაც თვალების შემაერთებელი ხაზი ზურგისაკენ მიმავალ ხაზს ეჯვარედინებოდა. ნამდვილად ასეთი ხაზები არ ყოფილა. იყო მხოლოდ მძიმე, წაწვეტებული ლურჯი თავი, დიდრონი თვალები და მოხრჭიალე, წინგამოშვერილი ყბები. მაგრამ ამ ადგილას ზვიგენს ტვინი აქვს და მოხუცმა სწორედ იქ დაუმიზნა. მთელი ძალით ჩასცა ბარჯი, რომელიც ეჭირა გასისხლიანებულ ხელებში. ჩასცა ისე, რომ არაფრის იმედი არ ჰქონდა. მაგრამ ჩასცა მტკიცედ და გაბოროტებით.

ზვიგენი გულაღმა გადაბრუნდა და მოხუცმა დაინახა მისი ჩამქრალი თვალები. მერე ისევ გადმობრუნდა და თოვი ორჯერ დაეხვია მის ტანს. მოხუცი მიხვდა, რომ ზვიგენი მოკლული იყო, მაგრამ თვით ზვიგენს არ სურდა შერიგებოდა სიკვდილს. გულაღმა იწვა, მაგრამ ბოლოს მაინც ატლაშუნებდა, ყბებს ახრჭიალებდა და წყალს სწრაფმავალი ნავივით აქაფებდა. იქ, სადაც ბოლოს იქნევდა, ზღვა სულ თეთრი იყო; ზვიგენის ტანის სამი მეოთხედი წყალს ზემოთ ამოიწია, თოვი გაიჭიმა, აცახცახდა და ბოლოს სულ გაწყდა. ზვიგენი ერთ ხანს ზედაპირზე გაჩერდა. მოხუცი დაჟინებით მიშტერებოდა მას. მერე ზვიგენი ნელ-ნელა ჩაიძირა წყალში.

— დაახლოებით ორმოცი გირვანქა თევზი წაიღო თან, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა. «ფსკერისკენ გაიტაცა ჩემი ბარჯი და მთელი დარჩენილი თოვი, — დაუმატა გუნებაში, — თევზს კი სისხლი ისევ სდის და ამ ზვიგენს სხვა ზვიგენებიც მოჰყვებიან».

ახლა, როცა თევზი ასე დასახიჩრდა, მოხუცს აღარ უნდოდა მისი დანახვა. ზვიგენი რომ თევზს ეძგერა, მოხუცს ისე მოეჩვენა, მე თვითონ მეძგერაო.

«მაგრამ ხომ მაინც მოვკალი ზვიგენი, რომელიც ჩემი თევზის შთანთქვას ლამობდა, — გაიფიქრა მოხუცმა. — ეს ყველაზე დიდი დენტუსო იყო მათ შორის, რომლებიც ოდესმე მინახავს. მე კი, ღმერთმანი, ცხოვრებაში ბევრი დიდი ზვიგენი შემხვედრია.

მეტისმეტად კარგად მიდიოდა ჩემი საქმე. ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ნეტა, ეს სიზმარი იყოს და არავითარი თევზი არ დამეჭიროს, მემინოს ჩემთვის გაზეთგადაფარებულ საწოლზე».

— მაგრამ ადამიანი დამარცხებისათვის არ არის გაჩენილი, — თქვა მან, — ადამიანი შეიძლება მოსპოთ, მაგრამ მისი დამარცხება შეუძლებელია.

«სამწუხაროა მაინც, თევზი რომ მოვკალი, — გაიფიქრა მან. — ალბათ, დიდი გაჭირვება მელის, ბარჯიც დავკარგე. Dentuso, — მარდი და მკაცრი, ჭკვიანი და ღონიერი მხეცია. მაგრამ მე უფრო ჭკვიანი გამოვდექი. იქნებ, უფრო ჭკვიანი არა. მხოლოდ ის იყო, რომ უკეთესად ვიყავ შეიარაღებული».

— არ არის საჭირო ფიქრი, ბერიკაცო, — თქვა მან ხმამაღლა. — მიჰყვევი ქარს და დახვდი უბედურებას, როცა კარზე მოგადგება.

«არა, უნდა ვიფიქრო, — შეეპასუხა გუნებაში თავის თავს, — ხომ ეს არის და ეს, რაც ხელში შემრჩა: ფიქრი და ბეისბოლი. ნეტა, მოეწონებოდა თუ არა დიდ დი მაჯიოს, მარჯვედ რომ ჩავარტყი ზვიგენს ტვინში? საერთოდ, განსაკუთრებული ამაში არაფერია. ყოველი კაცი გააკეთებდა ამას და არა

ნაკლებ. მაგრამ როგორ ფიქრობ, ბერიკაცო: მტკივანი ხელები განა ნაკლებ გიშლიდნენ ხელს, ვიდრე ძვლის კორძი? რა ვიცი! ქუსლზე არასდროს არაფერი დამმართნია, მხოლოდ ერთხელ მიკბინა სკაროსმა, ბანაობის დროს ფეხი რომ დავადგი; მაშინ ფეხი მუხლამდე მომეწამლა და აუტანლად მტკიოდა».

— უმჯობესია, სახალისო რამეზე იფიქრო, ბერიკაცო, — თქვა მან ხმამაღლა.
— შენ წუთის წუთს უახლოვდები სახლს. ცურვაც უფრო გაადვილდა მას შემდეგ, რაც ორმოცი გირვანქა თევზი დაჰკარგე.

მოხუცმა კარგად იცოდა, თუ რა მოელოდა, როცა შუა დინებაში შევიდოდა. მაგრამ ახლა აღარაფერი შეეძლო.

— არა ხარ მართალი, გამოსავალი გაქვს, — თქვა მან ხმამაღლა. — შეგიძლია დანა წააბა ერთ-ერთი ნიჩბის ტარს.

ასედაც მოიქცა; რუმპელი იღლიით გააჩერა, აფრის კალთას ფეხი დაადგა და ნიჩბის ტარს დანა მიამაგრა.

— ესეც ასე, — თქვა მან. — თუმცა ბებერი ვარ, მადრამ უიარაღო აღარა ვარ.
ქროდა ზომიერი ქარი და ნავი სწრაფად მიდიოდა. მოხუცი თევზის მხოლოდ წინა ნაწილს უყურებდა და ცოტაოდენი იმედი მოეცა.

«სისულელეა იმედის დაკარგვა, — ფიქრობდა იგი. — თანაც, ვგონებ, იმედის დაკარგვა ცოდვაა. არ არის საჭირო იმაზე ფიქრი, რა არის ცოდვა და რა არის არცოდვა. ქვეყანაზე უამისოდაც ბევრი რამ არის საფიქრებელი. სიმართლე რომ ითქვას, ცოდვებში არაფერი გამეგება. არ გამეგება და, ალბათ, არც მწამს ცოდვები. იქნებ, ცოდვა იყო თევზის მოკვლა. ვფიქრობ, რომ ცოდვა იყო. თუმცა იმისათვის მოვკალი თევზი, რომ შიმშილით არ მოვმკვდარიყავი და კიდევ აუარებელი ხალხიც გამეძლო. ამ შემთხვევაში ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, ცოდვაა. არ არის საჭირო ვიფიქრო ცოდვასა და უცოდველობაზე. ახლა ამაზე ფიქრი უკვე გვიანაა, თანაც ცოდვების საქმე დაე, მათ არკვიონ, ვისაც ამისათვის ფულს აძლევენ. დაე, მათ იფიქრონ იმაზე, თუ რა არის ცოდვა. შენ კი მეთევზედ დაიბადე, როგორც თევზი დაიბადა თევზად. პეტრე მოციქულიც მეთევზე იყო, ისე როგორც დიდი დი მაჯიოს მამა».

მაგრამ მოხუცს უყვარდა ფიქრი ყველაფერზე, რაც მის ირგვლივ იყო. რახან არც წასაკითხი რამ ჰქონდა და არც რადიო ედგა, ბევრ რამეზე ფიქრობდა, მათ შორის ცოდვებზედაც. «იმიტომ კი არ მოკალი თევზი, რომ გაგეუიდა და თვითონ შენ გეარსება, — ფიქრობდა იგი, — მოკალი სიამაყისა და იმის გამო, რომ მეთევზე ხარ. შინ გიყვარდა ეს თევზი, ვიდრე ცოცხალი იყო; ახლაც გიყვარს. მაშასადამე, თუ ვინმე გიყვარს, მისი მოკვლა ცოდვად არ ჩაითვლება, იქნებ, პირიქით არის, ეს ბევრად უფრო დიდი ცოდვაა!»

— ძალიან ბევრს ფიქრობ, ბერიკაცო, — თქვა მან ხმამაღლა.

«მაგრამ შენ სიამოვნებით მოკალი დენტუსო, — გაიფიქრა მოხუცმა. — ის კი შენსავით იმით ცხოვრობს, რომ თევზებს კლავს. უბრალო ლეშს კი არ ნთქავს, გაუმაძღარი სტომაქი კი არ აქვს, როგორც ბევრ სხვა ზვიგენს. იგი ლამაზი და კეთილშობილი ცხოველია. მან არ იცის, რა არის შიში».

— მოვკალი იმისათვის, რომ თავს ვიცავდი, — თქვა მოხუცმა ხმამაღლა, — ოსტატურადაც მოვკალი.

«გარდა ამისა, — გაიფიქრა მან, — ყველა ასე თუ ისე კლავს ვინმეს ან რამეს. თევზისჭერა სწორედ ისევე მკლავს მე, როგორც იმის საშუალებას მაძლევს, რომ არ მოვკვდე. ბიჭი — აი, ვინ არ ანებებს ჩემს თავს სიკვდილს. მაშ, ნუ აჭარბებ, ბერიკაცო».

მოხუცი გადაიხარა ნავიდან და თევზს ერთი ნაჭერი მოგლიჯა იმ ადგილას, სადაც ზვიგენმა ჩასო კბილები. მოხუცმა დაღეჭა თევზის ნაჭერი, შეამოწმა მისი ხარისხი და გემო. თევზის ხორცი ძროხის ხორცივით მაგარი და ცვრიანი იყო, თუმცა წითელი არ ყოფილა. მოხუცმა იცოდა, რომ ბაზარზე ეს უძარღვო ხორცი ყველაზე მაღალ ფასად გაიყიდებოდა. მაგრამ თევზის სუნი მიჰქონდა ზღვას და მოხუცს არაფრით არ შეძლო ამის შეჩერება. ხვდებოდა, რომ დიდი გაჭირვება დაადგებოდა.

ქარი არ კლებულობდა. მიმართულება შეიცვალა ოდნავ, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უბერავდა და ეს იმას ნიშნავდა, რომ ადრე არ ჩადგებოდა. მოხუცი შორს იცქირებოდა, მაგრამ ვერც აფრებს და ვერც რომელიმე გემის კვალს ან კორპუსს ვერ ხედავდა. მხოლოდ მფრინავი თევზები ამოდიოდნენ ნავის ცხვირთან და სხვადასხვა მხარეს მიფრინავდნენ. აქა-იქ ყვითელი წყალმცენარეები მოჩანდა. ფრინველების ჭაჭანებაც არ იყო.

მოხუცი უკვე ორი საათი მიცურავდა. კიჩოზე იყო მიწოლილი და ხანდახან თევზის ნაჭერს ღეჭავდა, ცდილობდა დაესვენა და ძალა მოეკრიბა. სწორედ ამ დროს შენიშნა ორ ზვიგენთაგან პირველი ზვიგენი.

— ოპო! — წარმოთქვა მოხუცმა უაზრო სიტყვა, უკეთ, ბგერა, რომელსაც უნებლიერ წამოიძახებს ხოლმე კაცი, როდესაც იგრძნობს, რომ ლურსმანი ხელისგულში შეერჭო.

— Galanos, — თქვა ხმამაღლა. დაინახა, რომ ზღვაში ერთი თევზის ფარფლს მოჰყვებოდა მეორე თევზის ფარფლი; მიხავისფერი სამკუთხოვანი ფარფლები და ბოლოების განიერი მოქნევა რომ შენიშნა, მოხუცმა გამოიცნო, ცხვირფართო ზვიგენები მოცურავენო. ზვიგენებმა თევზის სუნი იყნოსეს და კბილები აუკაწვაწდათ; შიმშილისაგან გაგიჟებულებს მაცთუნებელი სუნი ხან ეკარგებოდათ, ხან ისევ პოულობდნენ. წუთი წუთს უახლოვდებოდნენ ნავს.

მოხუცმა აფრა კარგად დაამაგრა და საჭეს სოლი გაუკეთა. მერე ხელში ის ნიჩაბი აიღო, რომელზედაც დანა იყო მიმაგრებული. ნიჩაბი ძალიან ფრთხილად აიღო, რადგან ხელები საშინლად სტკიოდა. თითებს კუმშავდა და შლიდა, ცოტათი მაინც რომ გაევარჯიშებინა. მერე უფრო მაგრად ჩასჭიდა ხელები ნიჩაბს, რათა მთელი ტკივილი ერთბაშად ეგრძნო, რომ მერე ხელებს მუშაობაში არ ეღალატათ. მოხუცი ხედავდა, როგორ მოცურავდნენ ზვიგენები, ხედავდა მათ გაბრტყელებულ, ფართოცხვირიან თავებსა და დიდ, თეთრზოლშემოვლებულ მკერდის ფარფლებს. ესენი იყვნენ ზვიგენთა შორის ყველაზე საზიზღარი და ამყრალებული მკვლელები, რომლებიც მძორსაც ჭამენ ხოლმე. როცა შიათ, ისინი მზად არიან, ნიჩებსაც და ნავის საჭესაც კი

ჩაასონ კბილები. ასეთი ზვიგენები ზღვის ზედაპირზე მძინარე კუებს ფეხებს მოაჭამენ ხოლმე. თუ ძლიერ მშივრები არიან, წყალში ადამიანებსაც ესხმიან თავს, თუნდაც ადამიანებს არც თევზის სისხლისა და არც თევზის ლორწოს სუნი ასდიოდეთ.

— ოპოი, გალანოს! — თქვა მოხუცმა, — მოცურდით აქ, გალანოს!

კიდევაც მოცურდნენ. მაგრამ მოცურდნენ არა ისე, როგორც მაკო მოცურდა. ერთი მათგანი ელვასავით გაკრთა და ნავის ქვეშ მიიმალა. მოხუცმა იგრძნო ნავის აძიგმიგება, როდესაც ერთი ზვიგენი ქვევიდან გლეჯდა თევზს. მორე ზვიგენი ერთხანს მოხუცს შესცეკროდა თავისი წვრილი, ყვითელი თვალებით; მერე ფართოდ გააღო მორკალული ხახა და თევზს ეძგერა სწორედ იმ ადგილას, სადაც მას მაკოს ნაკბილარი აჩნდა. მოხუცი ნათლად ხედავდა იმ ხაზს, რომელიც ზვიგენის მიხაკისფერი თავიდან მიდიოდა ზურგისაკენ, სადაც ტვინი უერთდება ხერხემალს; მოხუცმა ნიჩაბზე მიმაგრებული დანა ჩასცა ზვიგენს სწორედ ამ ადგილას, მერე დანა ამოაძრო და ისევ ჩასცა კატისებურ ყვითელი თვალების არეში. მომაკვდავი ზვიგენი თევზს მოსწყდა და დაბლა წავიდა. მოგლეჯილი ლუკმა მაინც გადაყლაპა.

ნავი კვლავ ძიგძიგებდა, რადგან მეორე ზვიგენი ისევ გლეჯდა თევზს. მოხუცმა აფრა აუშვა და ნავი გვერდზე შეაბრუნა, რომ ზვიგენი გამოეტყუებინა. დაინახა თუ არა ზვიგენი, მოხუცი ნავიდან გადაიხარა და დანა ჩარტყა. მაგრამ დანა სირბილეს მოხვდა და მაგარი ტყავის გამო ღრმად ვერ შევიდა ტანში. დარტყმისაგან მოხუცს ეტვინა ხელებიც და მხრებიც. ზვიგენმა პირი ამოყო წყლიდან და ისევ ეძგერა თევზს. მაშინ მოხუცმა დანა გაბრტყელებული თავის შიგ შუა ადილას ჩასცა. მერე დანა ამოაძრო და მეორეჯერ ჩაარტყა იმავე ადგილას. მაგრამ ზვიგენს ყბები მაგრად შეეკრა და ისევ ევიდა თევზზე. მოხუცმა ახლა მარცხენა თვალში ჩასცა დანა. ზვიგენი თევზს მაინც არ შორდებოდა.

— მაშ ასე? — თქვა მოხუცმა და ზვიგენს დანა ტვინსა და ხერხემალს შუა ჩაუყარა. ახლა ეს მნელი აღარ იყო; მოხუცმა იგრძნო, რომ ხრტილი გაუჭრა. მერე ნიჩაბი შეაბრუნა და ნიჩბის ტარი ჩაუდო პირში, რომ ყბები გაეხსნა. ნიჩაბი პირში დაუტრიალა და როცა ზვიგენი თევზს მოსწყდა, მოხუცმა თქვა:

— ჩადი დაბლა, Galano, ჩადი დაბლა ერთ მილზე. ნახე იქ შენი მეგობარი. ან იქნებ დედაშენი იყო?

დანის პირი გაწმინდა და ნიჩაბი ნავში ჩადო. მერე ანძა ამართა და როცა აფრა გაბერა ქარმა, ნავი უწინდელი მიმართულებით წაიყვანა.

— ალბათ, თან წაიღეს თევზის ერთი მეოთხედი, არა ნაკლები, თანაც საუკეთესო ნაწილი, — თქვა მოხუცმა ხმამალლა. — ნეტავ, ყოველივე სიზმარი იყოს და თევზი არც დამეჭიროს. ვწუხვარ, თევზო, რომ ასე ცუდად წავიდა საქმე, — მოხუცი დადუმდა, ახლა აღარ სურდა თევზის დანახვა. სისხლიდან დაცლილი და წყლით გარეცხილი თევზი ფერით ამაღვამას ჰგავდა, რომლითაც სარკის უკანა მხარეს ფარავენ. მაგრამ ზოლები თევზს ჯერ კიდევ აჩნდა.

— ასე შორს არ უნდა გავსულიყავი ზღვაზე, — თქვა მან. — ძალიან ვწუხვარ, თევზო, რომ ასე ცუდად წავიდა ჩემი და შენი საქმე.

«აბა, გასინჯე, ხომ არ არის გადაჭრილი ის თოკი, რომლითაც დანაა დამაგრებული. — უთხრა მან თავის თავს. — მიხედე შენს ხელს, მუშაობა არ არის გათავებული».

— დასანანია, რომ თან არა მაქვს სალესი ქვა, — თქვა მოხუცმა, როცა ნიჩბის ტარზე თოკი გასინჯა. — სალესი ქვა უნდა წამომელო.

«ბევრი რამ უნდა წამოგელო, ბერიკაცო, — გაიფიქრა მან, — მაგრამ არ წამოიღე. ახლა გვიანდაა იმაზე ფიქრი, რაც არა გაქვს. იფიქრე, რაც გაქვს, როგორ გამოიყენო».

— ეჰ, გამიჩყალე გული შენი რჩევით, — თქვა მან ხმამაღლა. რუმპელი იღლიაში ამოიდო და ორივე ხელი წყალში ჩაყო. ნავი კარგად მიცურავდა.

— ღმერთმა უწყის, რამდენი შეჭამა უკანასკნელმა ზვიგენმა, — თქვა მან. — მაგრამ თევზი ბევრად უფრო მსუბუქი გახდა.

აღარ სურდა ეფიქრა თევზის გამოგლეჯილ მუცელზე. იცოდა, რომ ნავის ყოველ შენძრევაზე ზვიგენი დიდ ნაჭერ ხორცს აგლეჯდა მის თევზს; იცოდა, რომ თევზი ახლა ზღვაზე ტოვებდა შარასავით ფართო კვალს. ამ კვალს ყველა ზვიგენი მიაგნებდა.

«ასეთი თევზი კაცს მთელ ზამთარს ეყოფოდა. ნუ ფიქრობ ამაზე, ბერიკაცო! დაისვენე და ხელებს მიხედე, უპატრონე იმას, რაც ჯერ კიდევ დაგრჩა. ჩემს ხელებს სისხლის სუნი ასდით, მაგრამ ეს არაფერია იმ სუნთან შედარებით, რასაც ახლა წყალზე ტოვებს თევზი. ხელებიდან სისხლი თითქმის არც კი მდის. დიდი ჭრილობები არა მაქვს. ცოტა სისხლის გამოშვება კი ჩემს მარცხენა ხელს კიდევ მოუხდება, კრუნჩხვა არ მოუვა. რაზე ვიფიქრო ახლა? არაფერზე. უმჯობესია, არაფერზე არ ვიფიქრო და ახალი ზვიგენების გამოჩენას დაველოდო. ნეტავ, ყოველივე ეს სიზმარი იყოს. სხვათა შორის, ვინ იცის? შეიძლება, საქმე არცთუ ისე ცუდად დამთავრებულიყო».

შემდეგი ზვიგენი მარტო გამოჩნდა. ისიც ფართოცხვირიანთა ჯიშისა იყო. მოვიდა ისე, როგორც ღორი მივა გეჯასთან, მხოლოდ ღორს ისე დიდი ხახა არა აქვს, რომ ერთბაშად მოსჭამოს კაცს თავი! მოხუცმა ჯერ მიუშვა, რომ თევზისთვის პირი ჩაევლო, მერე კი ნიჩაბზე წამოგებული დანა ჩაარტყა ტვინში. მაგრამ ზვიგენი უკან დაქანდა, გულაღმა გადაბრუნდა და დანა გადატყდა.

მოხუცი საჭეს მიუჯდა. მან არც კი შეხედა, როგორ ნელა იძირებოდა ზვიგენი, თანდათან პატარავდებოდა წყალში და შემდეგ სულ ერთი ბეწოდა მოჩანდა. ასეთი სანახაობა ყოველთვის იზიდავდა მოხუცს. მაგრამ ახლა არც კი შეუხედავს.

— მარტო ჭვილდიღა დამრჩა, — თქვა მან. — მაგრამ რას მიშველის? კიდევ მაქვს ორი ნიჩაბი, რუმპელი და მოკლე კუტი.

«აი, ახლა ზვიგენები უკვე მომერივნენ, – გაიფიქრა მან. – ძალიან ბებერი ვარ და ზვიგენების მოკვლას კეტით ვერ შევძლებ. მაგრამ მაინც შევებრძოლები, სანამ ნიჩბები, კეტი და რუმპელი მაქვს».

მოხუცმა ისევ ჩაყო ხელები წყალში. საღამოვდებოდა. ირგვლივ მხოლოდ ცა და ზღვა იყო. ქარმა იმატა და მოხუცი იმედოვნებდა, რომ მალე დაინახავდა ხმელეთს.

– დაიღალე, ბერიკაცო, – თქვა მან, – გულიც დაგეღალა.

ზვიგენები კვლავ დაესხნენ თავს სწორედ მზის ჩასვლის წინ.

მოხუცმა დაინახა, როგორ მოძრაობდნენ მიხაკისფერი ფარფლები იმ ფართო კვალზე, რასაც ახლა თევზი ტოვებდა. ზვიგენები არც კი დამრწოდნენ, არამედ პირდაპირ დარაზმული მოცურავდნენ ნავისაკენ.

მოხუცმა რუმპელს სოლი გაუკეთა, აფრა აკეცა და კიჩოდან კეტი გამოღო. ეს იყო გატეხილი ნიჩბის გადახერხილი ნაწილი, ორ-ნახევარი ფუტის სიგრძისა. მხოლოდ ცალი ხელით შეიძლებოდა ამ კეტის დაჭერა, რადგან პატარა ტარი ჰქონდა. მოხუცმა მაგრად ჩასჭიდა მარჯვენა ხელი კეტს და ზვიგენების მოლოდინში მაჯა გაავარჯიშა. ორი ზვიგენი მოცურავდა, ორთავე გალანოს იყო.

«უნდა დაველოდო, სანამ პირველი პირს ჩავლებდეს თევზს, – გაიფიქრა მან, – მაშინ დავარტყამ ცხვირის წვერზე ან პირდაპირ თავზე».

ორივე ზვიგენი ერთად მოცურდა. უფრო ახლოს მოსულმა ხახა რომ გააღო და თევზის ვერცხლისფერ გვერდს კბილები ჩაასო, მოხუცმა კეტი შემართა და მძიმედ დაარტყა ბრტყელ თავზე. მოხუცის ხელმა იგრძნო, რომ ზვიგენის თავი ლბილი, მაგრამ მეტად მაგარი იყო, იგრძნო ძვლის შეუვალი სიმაგრეც. მოხუცმა კვლავ მთელი ძალით დაარტყა კეტი ცხვირის წვერზე. ზვიგენი წყალში ჩაეშვა.

მეორე ზვიგენს უკვე საკმაოდ ბევრი ხორცი შეეჭამა და განზე გაცურებულიყო; ახლა ისევ მოცურდა ხახადაღებული. სანამ იგი კბილებს ჩაასობდა თევზს, მოხუცმა დაინახა მის ყბებზე მიკრული ხორცის თეთრი ნაფლეთები. ისევ მოიქნია კეტი, მაგრამ მხოლოდ თავზე დასცა. ზვიგენმა მოხუცს შეხედა და თევზს ხორცი მოგლიჯა. მერე თევზს მოშორდა, რომ მოგლეჯილი ხორცი გადაეყლაპა. მოხუცმა ისევ დაარტყა კეტი, მაგრამ ზვიგენს ახლაც თავის მკვრივ ზედაპირზე მოხვდა.

– აბა, ახლოს მოდი, Galano, – უთხრა, – ერთხელ კიდევ მოდი!

ზვიგენი სწრაფად მივარდა თევზს. მოხუცმა სწორედ იმ დროს დაარტყა კეტი, როდესაც ზვიგენმა ყბები დაკეტა. ისევ ამართა კეტი და მთელი ძალით დასცა. ამჯერად კეტი ისევ იმავე ადგილას დაარტყა; ზვიგენმა დუნედ მოგლიჯა თევზს ხორცი და ზღვაში ჩაეშვა.

მოხუცი ელოდა მტაცებლის ახლად გამოჩენას, მაგრამ არცერთი ზვიგენი არ გამოჩენილა, შემდეგ შენიშნა, რომ ერთი მათგანი ნავის ახლოს ტრიალებდა. მეორე ზვიგენის ფარფლი სრულიად გაქრა.

«არც მიფიქრია, რომ შევძლებდი მათ მოკვლას, – გაიფიქრა მოიხუცმა. – წინათ შემეძლო. მაგრამ ორი ხომ მაგად დავბეჭე. ვეჭვობ, კარგად გრძნობდნენ თავს. ორივე ხელით რომ შემძლებოდა კეტის დაჭერა, პირველს აუცილებლად მოკვლავდი ასეთი ბებერიც კი».

აღარ სურდა თევზის დანახვა. იცოდა, რომ ნახევარი უკვე აღარ იყო. სანამ მოხუცი ზვიგენებს ებრძოდა, მზე სულ ჩავიდა.

– მალე დაბნელდება, – თქვა მან. – ალბათ, მაშინ დავინახავ ჰავანას ჩირალდნების დაფიონს. თუ მალიან შორს ვარ წასული აღმოსავლეთისაკენ, მაშინ მხოლოდ ერთ-ერთი ახალი პლაჟის ჩირალდნებს დავინახავ.

«არ შეიძლება მალიან შორს ვიყო ნაპირიდან, – გაიფიქრა მოხუცმა, – იმედი მაქვს, რომ იქ ჩემზე დიდად არავინ ჯავრობს. მხოლოდ ბიჭი წუხს, რასაკვირველია, მაგრამ იმას ჩემი იმედი აქვს! უფრო ხნიერი მეთევზეებიც წუხან, ალბათ, სხვებიც... – ფიქრობდა მოხუცი. – მე ხომ კარგ ხალხში ვცხოვრობ».

მოხუცს უკვე აღარ შეეძლო გაემართა საუბარი თევზთან; თევზი ძალიან დამახინჯებული იყო. მაგრამ მოხუცს უეცრად თავში ახალი აზრი მოუვიდა.

– ნახევართევზო! – დაუძახა თევზს. – ყოფილო თევზო! ძალიან ვწუხვარ, რომ ასე შორს გავედი ზღვაზე! ჩემი ბრალია ორთავეს დაღუპვა. მაგრამ ჩვენ ბევრი ზვიგენი მოვკალით და უფრო მეტი მაგრად დავბეჭეთ. შენს სიცოცხლეში რამდენი ზვიგენი მოგიკლავს, ბებერო თევზო? ტყუილუბრალოდ ხომ არ გაქვს გამოწვდილი მახვილი.

მოხუცს მოსწონდა ფიქრი თევზზე და იმაზე, რომ ეს თევზი მუსრს გაავლებდა ზვიგენებს, თავისუფლად რომ ეცურა ზღვაში. «თევზისთვის მახვილი უნდა ჩამომეჭრა, რომ იმით მებრძოლა ზვიგენებთან» – ფიქრობდა მოხუცი. მაგრამ ნაჯახი არ ჰქონდა, ახლა აღარც დანა ჰქონდა.

«თევზის მახვილი რომ მქონოდა, შემეძლო ნიჩბის ტარზე დამემაგრებინა. შესანიშნავი იარაღი იქნებოდა! აი, მაშინ ნამდვილად ვიბრძოლებდით ერთად, გვერდიგვერდ! ახლა რაღას გააკეთებ, ბერიკაცი, თუ ზვიგენები ისევ მოვლენ ღამით? რა შეგიძლია გააკეთო?»

– შემიძლია ვიბრძოლო, – თქვა მან, – ვიბრძოლო სიკვდილამდე!

მაგრამ სიბნელეში არ ჩანდა არც ჩირალდნები, არც დაფიონი, მხოლოდ ქარი ქროდა და ქარისაგან გაბერილი აფრა ირხეოდა. მოხუცს უცებ მოეჩვენა, რომ უკვე მოკვდა. ხელები ერთმანეთს გადააჭდო და ხელისგული იგრძნო. მაშასადამე, ხელები ცოცხალია, ხელების უბრალო შეკუმშვითა და გაშლით შეეძლო სასიცოცხლო ტკივილი გამოეწვია, კიჩოს მიეყრდნო და მიხვდა, რომ ცოცხალია. ეს მხრებმა აგრძნობინეს.

«უნდა წარმოვთქვა ის ლოცვები, რომელთა წარმოთქმის აღთქმა დავდე, თუ თევზს დავიჭერდი, – გაიფიქრა მან. – მაგრამ ახლა ძლიერ დავიღალე. უმჯობესია, ტომარას ავიღებ და მხრებზე მოვიფარებ».

მოხუცი კიჩოზე იწვა, ნავს მართავდა და ელოდა, როდის გამოჩნდებოდა ცაზე დაფიონი. «თევზის ნახევარიდა დამრჩა, – ფიქრობდა იგი. – შეიძლება,

ბედმა გამიღიმოს და შინამდე მივიტანო თევზის თუნდაც წინა ნაწილი. ბოლოს და ბოლოს ოდესმე ხომ უნდა გამიღიმოს ბედმა!.. არა, – უთხრა მან თავის თავს. – შენ დიდი ძალა დაატანე საკუთარ იღბალს, ასე შორს რომ გადი ზღვაზე».

– სისულელებს ნუ როშავ, ბერიკაცო, – გააწყვეტინა თავის თავს. – ნუ თვლემ და საჭეს მიხედე. შეიძლება კიდევ გეწვიოს ბედნიერება.

– ნეტამც მეყიდა პატარა ბედნიერება, თუ სადმე ჰყიდიან, – თქვა მოხუცმა.

– რით იყიდი? – ჰკითხა მან თავის თავს, – განა დაკარგული ჭვილთით, გატეხილი დანით და დასახიჩრებული ხელებით ბედნიერებას იყიდი?

– ვინ იცის! აკი გინდოდა გეყიდა ბედნიერება იმ ოთხმოცდაოთხი დღით, ზღვაზე რომ გაატარე. სხვათა შორის, კინაღამ მოგყიდეს ბედნიერება....

«არ არის საჭირო ფიქრი ყოველგვარ სისულელეზე. ბედნიერება ადამინს სხვადასხვა სახით ეწვევა. ვინ გამოიცნობს მას? მე, მაგალითად, ერთ ციცქა ბედნიერებას მივიღებდი, რა სახითაც უნდა ყოფილიყო და ყველაფერს მივცემდი, რასაც მოითხოვდნენ. ნეტავ, ჩირაღდნების დაფიონს დავინახავდე, – გაიფიქრა მან. – ძალიან ბევრი რამ გსურს ერთბაშად, ბერიკაცო. მაგრამ ახლა მხოლოდ ჩირაღდნების დანახვა მსურს და სხვა არაფერი».

მოხუცმა სცადა უკეთ მოთავსებულიყო საჭესთან; ტკივილები მოემატა და მიხვდა, რომ მართლაც არ მომკვდარა.

დაახლოებით ღამის ათი საათი იყო, როცა ქალაქის ჩირაღდნების ანარეკლი დაინახა. პირველად ეს ანარეკლი ჰგავდა სინათლის მკრთალ ციმციმს ცაზე, მთვარის ამოსვლის წინ რომ იცის ხოლმე, მერე სინათლე უფრო მკაფიოდ გამოჩნდა ოკეანის ზოლს იქით; გაძლიერებული ქარი მაღალ ტალღებს აგორებდა ოკეანეზე. მოხუცს ნავი სინათლისაკენ მიჰყავდა და ფიქრობდა, რომ მალე, ძალიან მალე შევიდოდა გოლფშტრემში.

– მორჩა და გათავდა, – ფიქრობდა მოხუცი, – შეიძლება, ზვიგენები ისევ დამესხან თავს. მაგრამ რას ვუზამ სიბნელეში, ისიც ცარიელი ხელებით?»

მოხუცს მთელ ტანში ამტვრევდა და აქრჟოლებდა, ღამის სიგრილე კი ჭრილობებსა და დაქანცულ ხელ-ფეხს ტკივილს ჰმატებდა. «იმედი მაქვს, რომ მეტად აღარ მომიხდება ზვიგენებთან ბრძოლა. – გაიფიქრა მან. – ნეტამც აგრე მოხდეს».

მაგრამ შუაღამისას კვლავ ებრძოდა ზვიგენებს და ამჯერად იცოდა, რომ ბრძოლა უნაყოფო იყო. ზვიგენების მთელი გუნდი დაესხა თავს; მოხუცი ხედავდა მხოლოდ იმ ზოლებს წყალზე, რომლებსაც ზვიგენების ფარფლები აჩენდნენ, და მხოლოდ იმ სინათლეს, რომელსაც ზვიგენები გამოაშუქებდნენ ხოლმე, როდესაც თევზს მისცვივდნენ დასაგლეჯად. მოხუცი კეტს ურტყამდა მათ თავში და ესმოდა, როგორ ხრჭიალებდა მათი ყბები და როგორ ირყეოდა ნავი, როდესაც ზვიგენები თევზს ქვემოდან გლეჯდნენ. მოხუცი თავგამოდებით ურტყამდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. უეცრად იგრძო, რომ კეტიც აღარ ჰქონდა.

ბუდიდან რუმპელი ამოგლიჯა და ორივე ხელი ჩასჭიდა, ახლა რუმპელს ურტყამდა გამალებით. მაგრამ ზვიგენები უკვე ნავის ცხვირთან რიალებდნენ; სათითაოდ და ყველანი ერთად ეხვეოდნენ თევზს და გლეჯდნენ ხორცის ნაფლეთებს, რომლებიც წყალში ანათებდნენ. ზვიგენები წრეს უვლიდნენ და ისევ ნადავლს უბრუნდებოდნენ.

ბოლოს ერთ-ერთი ზვიგენი თევზის თავთან მიცურდა და მოხუცი მიხვდა, რომ ყველაფერი გათავებული იყო. მოხუცმა რუმპელი დაარტყა ზვიგენის თავს სწორედ იქ, სადაც მტაცებლის კბილები თევზის თავის მაგარ ძვალში გაეჩირა. დაარტყა ერთხელ, მეორედ, მესამედ. მოხუცმა გაიგონა, რომ რუმპელი ჯერ გაიბზარა და მერე შუაზე გაიპო. ახლა რუმპელის გახეთქილი სახელური ჩაარტყა და იგრძნო, როგორ შეესო იგი ზვიგენს. მოხუცმა იცოდა, რომ რუმპელის ნატეხი წვეტიანი იყო. ისიც ჩაარტყა მტაცებელს, ზვიგენმა თავი მიანება თევზს და განზე გაცურდა. ეს იყო უკანასკნელი ზვიგენი იმ გუნდიდან, რომელიც თავს დაესხა მოხუცს. მათ აქ აღარაფერი ჰქონდათ შესაჭმელი.

მოხუცი სულს ძლივს ითქვამდა და პირში უცნაურ გემოს გრძნობდა. ეს იყო რაღაც მოტკბო, რასაც სპილენძის მჟავას გემო დაჰკრავდა. ერთი წუთით შეეშინდა. მაგრამ მალე ყველაფერმა გაიარა. მოხუცმა ოკეანეში ჩააფურთხა და თქვა:

— ჭამეთ, Galanos! დაიხრჩით! ძილში გეზმანოთ, რომ თქვენ კაცი მოკალით!

მოხუცმა იცოდა, რომ ახლა უკვე საბოლოოდ იყო დამარცხებული. კიჩოზე რომ დაბრუნდა, ნახა, რომ რუმპელის ნატეხი საჭის ბუდეში ჩადიოდა და გაჭირვების დროს ამითაც შეიძლებოდა ნავის წაყვანა. ტომარა მხრებზე მოისხა და ნავი გზაზე დააყენა. ახლა ნავი მსუბუქად მიცურავდა და მოხუცი არაფერზე ფიქრობდა, არც არაფერს გრძნობდა. ახლა მისთვის ყველაფერი სულ ერთი იყო, ოღონდ ნავი ადრე და კარგად მიეყვანა მშობლიურ ნაპირზე. ღამით ზვიგენები შეესივნენ თევზის გაყვლეფილ ჩონჩხს, როგორც ღორმუცელები შეესევიან ხოლმე ნასუფრალს. მოხუცმა ყურადღება არ მიაქცია მათ. გარდა თავის ნავისა, აღარაფერს აქცევდა ყურადღებას. მხოლოდ იმას გრძნობდა, როგორ მსუბუქად და თავისუფლად მიცურავდა ნავი ახლა, როდესაც მას არ აბრკოლებდა ვეება თევზის სიმმიმე.

«კარგი ნავია, — გაიფიქრა მან. — მთელი და დაუზიანებელი, თუ რუმპელს არ ჩავთვლით. ახალი რუმპელის დაყენება კი ძნელი არ არის».

იგრძნო, რომ თბილ დინებაში შევიდა. უკვე სანაპირო დაბების სინათლეს ხედავდა. იცოდა, სად იმყოფებოდა; აქედან შინ მისვლა სულ ადვილი იყო.

«ქარი — ნამდვილი მეგობარია ჩვენი, — გაიფიქრა მან. მერე დაუმატა, — სხვათა შორის, ყოველთვის არა. თვალუწვდენელი ზღვაც სავსეა ჩვენი მეგობრებითა და ჩვენი მტრებით. ლოგინი... — ფიქრობდა იგი, — ლოგინი ჩემი მეგობარია, სწორედ ჩვეულებრივი ლოგინი. ლოგინში ჩაწოლა — დიდი საქმეა. გულზეც როგორ მოგეშვება, როცა დამარცხებული ხარ! — გაიფიქრა მან. — არ

ვიცოდი, რომ ეს ასე ადვილია. რამ დაგამარცხა შენ, ბერიკაცო?» – შეეკითხა თავის თავს.

– არაფერმა, – უპასუხა მან. – მხოლოდ ძლიერ შორს გავედი ზღვაზე.

პატარა ბოლაზში რომ შედიოდა, ტერასაზე სინათლე ჩამქრალი იყო. მოხუცი მიხვდა, რომ ყველას ეძინა. ქარი განუწყვეტლივ მატულობდა და ახლა მეტად ძლიერ ქროდა. მაგრამ ნავსადგურში სიმშვიდე იყო. მოხუცი მიადგა კენჭებით დაფარულ ზოლს კლდეების ქვემოთ. მისი დამხმარე არავინ იყო. ამიტომ, რაც შეიძლებოდა, ახლოს მიაცურა ნავი. მერე გადმოვიდა და ნავი კლდეზე მიაბა.

ანდა მოხსნა, ზედ აფრა დაახვია და შეკრა. მერე ანდა მხარზე გაიდო და აღმართს შეუდგა. მხოლოდ მაშინ იგრძნო, რარიგ იყო დაღლილი. ერთი წუთით შეჩერდა, უკან მოიხედა და ქუჩის ფარნის სინათლეზე დაინახა, როგორ მაღლა იყო აშვერილი ნავის კიჩოსთან თევზის ვეება ბოლო; დაინახა თევზის ხერხემლის თეთრი, გაშიშვლებული ხაზი და თევზის თავის მუქი ლანდი წინგაშვერილი მახვილით.

მოხუცმა გზა განაგრძო ჩოჩვით. აღმართი რომ აათავა, დაეცა და ცოტა ხანს ასე იწვა; ანდა მხარზე ედო. მერე ფეხზე წამოდგომა სცადა, მაგრამ ეს ადვილი არ იყო; ისევ ჯდომა არჩია. იგი გზას გაჰყურებდა. გზაზე კატამ გაირბინა. თავის საქმეზე მიდიოდა. მოხუცმა თვალი გაადევნა და მერე ერთხანს გზას გასცემოდა.

ბოლოს ანდა ძირს დააგდო და ფეხზე წამოდგა. ანდა ისევ აიღო, მხარზე გაიდო და გზას აჰყვა. ვიდრე თავის ქოხთან მიაღწევდა, ხუთჯერ დაისვენა.

ქოხში რომ შევიდა, ანდა კედელზე მიაყუდა. სიბნელეში წყლიანი ბოთლი მოძებნა და წყურვილი მოიკლა. მერე საწოლზე დაწვა, საბანი მხრებზე წამოიწია, ზურგზე და ფეხებზე დაიფარა, სახე გაზეთებში ჩარგო და დაიძინა. მოხუცს საბნიდან ისე გამოეყო გაჭიმული ხელები, რომ მისი ხელისგულები კარგად ჩანდა. დილით ქოხში ბიჭმა რომ შეიხედა, მოხუცს ეძინა. ისე ძლიერი ქარი ქროდა, რომ ნავები ზღვაზე ვერ გავიდნენ. ამიტომ ბიჭმა დიდხანს იძინა, მერე მოხუცის ქოხში მოვიდა, როგორც ყოველ დილით მოდიოდა. ბიჭი დარწუნდა, რომ მოხუცი სუნთქავდა. მაგრამ მოხუცის ხელები რომ დაინახა, ატირდა. ჩუმად გამოვიდა ქოხიდან, რომ ყავა მოეტანა; ბიჭი მთელი გზა ტიროდა.

ნავთან ბევრ მეთევზეს მოეყარა თავი. ყველა ათვალიერებდა იმას, რაც ნავზე იყო მიკრული; ერთ-ერთ მეთევზეს შარვალი აეკარწახებინა, წყალში ჩამდგარიყო და თოკით ჩონჩხს ზომავდა. ბიჭი მათთან აღარ ჩავიდა. იგი ადრევე ყოფილიყო აქ; ერთი მეთევზე შეპერებოდა, ნავს მე მივხედავო.

– როგორ გრძნობს თავს? – ამოსძახა ბიჭს რომელიღაც მეთევზემ.

– სძინავს, – გადასძახა ბიჭმა. ბიჭს არ ადარდებდა ის, რომ სხვები მის ცრემლებს ხედავდნენ, – არ არის საჭირო მისი შეწუხება!

– ცხვირიდან ბოლომდე თვრამეტი ფუტი ყოფილა, - დაუძახა ბიჭს იმ მეთევზემ, რომელიც თევზს ზომავდა.

- ნაკლები არ იქნება, – თქვა ბიჭმა.
 - ტერასაზე ავიდა და ერთი ქილა ყავა მოითხოვა.
 - მომეცით ცხელი ყავა, რაც შეიძლება მეტი რძე და შაქარი.
 - კიდევ წაიღე რამე.
 - არ არის საჭირო. მერე ვნახავ, რა შეიძლება ვაჭამოთ...
 - აი, თევზი! – თქვა მედუქნემ. – პირდაპირ საოცარი თევზია. მაგრამ გუშინ შენც ხომ დაიჭირე ორი კარგი თევზი?
 - ჯანდაბას ჩემი თევზი, – თქვა ბიჭმა და კვლავ ატირდა.
 - გინდა რამე დალიო? – ჰკითხა მედუქნემ.
 - არ მინდა, – უპასუხა ბიჭმა, – უთხარი მეთევზებს, რომ ნუ შეაწუხებენ სანტიაგოს. მე კიდევ მოვალ.
 - გადაეცი, რომ ძლიერ ვწუხვარ.
 - გმადლობ, – მოუგო ბიჭმა.
- მან ქოხში ცხელი ყავით სავსე ქილა მიიტანა. მერე მოხუცის ახლოს დაჯდა; ელოდა მის გაღვიძებას. ერთხელ ბიჭს მოეჩვენა, რომ მოხუცი იღვიძებდა. მაგრამ მოხუცი ისევ ღრმა ძილს მიეცა და ბიჭი გზის გადაღმა მოსახლე მეზობელთან წავიდა, რომ ცოტა შეშა ეთხოვა და ყავა გაეცხელებინა.
- ბოლოს მოხუცმა გაიღვიძა.
 - იწექი, არ ადგე, – უთხრა ბიჭმა, – აი, დალიე! – ყავა ჭიქაში ჩაუსხა.
 - მოხუცმა გამოართვა ჭიქა და ყავა დალია.
 - მაჯობეს, მანოლინ, – უთხრა მოხუცმა. – დამამარცხეს.
 - მაგრამ თევზმა ხომ ვერ გაჯობა! თევზმა ხომ ვერ დაგამარცხა.
 - ვერა! რაც მართალია, მართალია. ეს უკვე შემდეგ მოხდა.
 - პედრიკო შემპირდა, ნავსა და ხელსაწყოს მე მივხედავო. თევზის თავს რა უნდა უქნა?
 - უთხარი პედრიკოს, დაჭრას სატყუარებად.
 - მახვილი?
 - წაიღე სამახსოვროდ, თუ გინდა.
 - მინდა, – უთხრა ბიჭმა, – ახლა მოდი, მოვილაპარაკოთ, რა გავაკეთოთ მომავალში.
 - მე მეძებდნენ?
 - რასაკვირველია, სანაპირო დაცვაც და თვითმფრინავებიც.
 - ოკეანე დიდია, ნავი კი პატარა, ვერც დაინახავ, – თქვა მოხუცმა. იგრძნო, რა სასიამოვნოა, როცა გარდა საკუთარი თავისა და ზღვისა, არის კიდევ ვინმე, ვისაც შეგიძლია გაესაუბრო, – მომენატრე, – უთხრა ბიჭს. – დაიჭირე რამე?
 - ერთი თევზი პირველ დღეს, ერთი თევზი მეორე დღეს და ორი – მესამე დღეს.
 - დიდებულია!
 - ამიერიდან ჩვენ ისევ ერთად ვითევზავებთ!
 - არა. მე უიღბლო კაცი ვარ. ბედი არა მწყალობს.

— თავიც უტეხია მაგ უიღბლობას, — თქვა ბიჭმა, — მე მოგანიჭებ ბედნიერებას.

— შენი მშობლები რას იტყვიან?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს. გუშინ ხომ დავიჭირე ორი თევზი. ამიერიდან ჩვენ ერთად ვითევზავებთ, რადგან მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო.

— კარგი ბარჯი უნდა ვიშოვოთ და ყოველთვის თან წავიღოთ. ფხა შეიძლება გავაკეთოთ ძველი ფორდის რესორისგან; გუანბაკოაში გავალესვინებთ. ბასრი უნდა იყოს. მაგრამ უწირთობი, რომ არ გადატყდეს. ჩემი დანა ხომ გადამიტყდა!

— მე გიშოვი ახალ დანას და რესორსაც გავლესავ. კიდევ რამდენ დღეს იქროლებს ძლირი ბრისა?

— შეიძლება, სამ დღეს, შეიძლება მეტსაც.

— იმ დროისათვის ყველაფერი წესრიგში იქნება, — უთხრა ბიჭმა. — ჯერჯერობით კი ეგ ხელები მოირჩინე.

— ვიცი, როგორ უნდა მოვირჩინო. ღამით რაღაც უცნაური ნახველი ამოვიღე და მომეჩვენა, თითქოს მკერდში რაღაც გამიწყდა.

— ეგეც მოირჩინე, — უთხრა ბიჭმა, — დაწექი, მოხუცო, მე სუფთა პერანგს მოგიტან. რამე საჭმელსაც გიშოვი.

— მოიტანე იმ დღეების რომელიმე გაზეთი, როცა აქ არ ვიყავი, — სთხოვა მოხუცმა.

— მალე უნდა მოიკეთო, რადგან მე ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ვისწავლო შენგან; შენ კი შეგიძლია ყველაფერი მასწავლო. ძალიან დაიტანჯე?

— ძალიან, — უთხრა მოხუცმა.

— მე მოგიტან საჭმელსა და გაზეთებს. დაისვენე, მოხუცო. ხელისთვისაც მოგიტან რაიმე წამალს აფთიაქიდან.

— არ დაგავიწყდეს, უთხრა პედრიკოს, რომ თევზის თავი წაიღოს.

— არ დამავიწყდება.

ქოხიდან რომ გავიდა და ძველი ქვიანი გზით დაბლა დაეშვა, ბიჭი კვლავ ატირდა.

იმ დღეს ტერასაზე ტურისტების ჯგუფი მოვიდა. როდესაც ისინი გაჰყურებდნენ, თუ როგორ აქოჩრებდა აღმოსავლეთის ქარი უზარმაზარ ზვირთებს ბოლაზის შესავალში, ტურისტების ჯგუფისაგან ერთმა ქალმა ლუდის ცარიელ თუნუქებსა და მკვდარ მედუზებს შორის შენიშნა გრძელი, თეთრი ხერხემალი, რომელსაც ვეება ბოლო ჰქონდა. ხერხემალი ქანაობდა ზღვის ტალღებზე.

— ის რა არის? — ჰკითხა ქალმა ოფიციანტს და ვეება თევზის გრძელი ხერხემალი დაანახვა. ეს ხერხემალი ახლა უკვე უვარგისი რამ იყო და მას მალე წაიღებდა ზღვის მიქცევა.

— *Tiburon*, — უთხრა ოფიციანტმა, — ზვიგენები... — სურდა აეხსნა ყოველივე, რაც მოხდა.

— არ ვიცოდი, რომ ზვიგენებს ასე ლამაზი და ასე კოხტად მოხრილი ბოლოები ჰქონდათ.

— მეც არ ვიცოდი, — დაეთანხმა თანამგზავრი.

ზემოთ კი, თავის ქოხში, მოხუცს ისევ ეძინა. კვლავ პირქვე იწვა, ბიჭი გვერდით ეჯდა და დარაჯობდა. მოხუცს ლომები ესიზმრებოდა.

მშვიდობით, იარაღო! რომანი

წიგნი პირველი

თავი I

იმ წელიწადს, ზაფხულის მიწურულში, სოფლად ვიდექით. ჩვენი სახლი გადასცეროდა ველზე გაწოლილ მდინარესა და მინდვრის იქით აღმართულ მთებს. მდინარის გასწვრივ, რიყეზე, კენჭი და ხვინჭა ეყარა, მზეზე გამშრალი და გადათეთრებული. წყალი სწრაფი და ანკარა იყო, და კალაპოტში ლურჯი ჩანდა. სახლის წინ, შარაგზაზე, მიდიოდნენ და მიდიოდნენ ჯარის ნაწილები. მათგან დაყენებული მტვერი ფენა-ფენად ედებოდა ხეთა ფოთლებს, და თვით ხეებსაც მტვერი ეფინა. ფოთლებმა ადრე იწყეს ცვენა იმ წელიწადს და ჩვენ ვხედავდით მწყობრად მიმავალ ჯარს, მტვრის კორიანტელს, ნიავით აფარფატებულ ფოთოლთა ცვენას, გაჯგიმულ ჯარისკაცებს. მერე კი დაცარიელებულსა და მტვრისაგან გადათეთრებულ გზაზე ფოთლებიღა ეყარა.

ყანებითა და ხეხილის ბაღებით მოფენილ ველს გატიტვლებული, მურა მთები გადმოჰყუდებოდა. მთებში ბრძოლები იყო გაჩაღებული და ღამდამობით ვხედავდით, როგორ ელავდა არტილერიის ცეცხლი: სიბნელეში ზაფხულის ელვა-ქუხილს მოგაგონებდათ, მაგრამ გრილი ღამეები იდგა და ქუხილის მოახლოების ნიშანწყალიც კი არ იგრძნობოდა.

სიბნელეში ზოგჯერ გვესმოდა, როგორ ჩაუვლიდნენ ჯარის ნაწილები ფანჯარას და როგორ მიათრევდნენ ტრაქტორები ზარბაზნებს. ღამდამობით მოძრაობა მატულობდა. განუწყვეტლივ მიედინებოდნენ ტყვია-წამლის ყუთებით დასაპალნებული ჯორები, ჯარისკაცებით გატენილი რუხი ავტომობილები; ტილოგადაფარებული დატვირთული საბარგო მანქანები უფრო მძიმედ მიდიოდნენ. დიდ ქვემეხებს დღისითაც მიათრევდნენ ტრაქტორებით, გრძელი ლულები მწვანე რტოებით და ტრაქტორებიც ფოთლოვანი ტოტებითა და ვაზით იყო დაფარული. ჩრდილოეთით ჩვენ

გადავყურებდით მინდორს და წაბლნარს, რასაც, მდინარის გამოღმავე, მეორე მთა ესაზღვრებოდა. ბრძოლა ამ მთის ასაღებადაც გაეჩაღებინათ, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. შემოდგომაზე, როცა წვიმები დაიწყო, წაბლის ხეებს სულ დასცვივდა ფოთლები, ტოტები გატიტვლდა და წვიმამ გააშავა. ვენახიც შეიფერთხა და განიძარცვა, ირგვლივ შემოდგომის სინოტივე, სირუხე და უსიცოცხლობა გამეფდა. მდინარეს ნისლი ებურა, მთებს – ღრუბლის ჯანდი, საბარგო მანქანები ლაფს ატყლაშუნებდნენ აქეთ-იქით, და ლაბადაში გახვეული ჯარისკაცებიც ამოგანგლულ-გალუმპულები მიაბიჯებდნენ: თოფები დასველებოდათ და ქამრებზე გამობმული ორ-ორი ჩანთით, – 6,5-მილიმეტრიანი ტყვიებით გატენილი ნაცრისფერი ტყავის ჩანთებით, – სიარულის დროს ლაბადა ისე გამობეროდათ, ექვსი თვის ფეხმძიმეებს ჰგვანდნენ.

მსუბუქი რუხი მანქანები სწრაფად დასრიალებდნენ. შოფერს, ჩვეულებრივ, ოფიცერი უჯდა გვერდით, და უკანაც ოფიცრები ისხდნენ. ეს მანქანები საბარგოებზე უფრო მეტადაც ატყლაშუნებდნენ ლაფს, და თუ უკან მსხდომ ოფიცერთაგან ერთ-ერთი ძალიან ტანმორჩილი იყო, ორ გენერალს შორის მჯდარი, ისე პატარა, რომ სახესაც ვერ დაუნახავდი და მხოლოდ ვიწრო მხრებსა და ქუდს შენიშნავდით, ამასთან, მანქანაც თუ განსაკუთრებული სისწრაფით მიჰქროდა, – ეს კაცი, ალბათ, მეფე იქნებოდა. იგი უდინში ცხოვრობდა და თითქმის ყოველდღე ჩაივლიდა ამ გზაზე, რათა ენახა საქმის ვითარება. საქმე კი ძალიან ცუდად იყო.

ზამთარი დადგა და გადაუღებელი წვიმები დაიწყო, წვიმებს კი ქოლერაც მოჰყვა. მაგრამ მალე მოგუდეს და, საბოლოოდ, მთელ ჯარში მხოლოდ შვიდი ათასი კაცი იმსხვერპლა.

თავი II

შემდგომმა წელმა ბევრი გამარჯვება მოიტანა. დაიპყრეს მინდვრის იქით აღმართული მთა და ფერდობზე შეფენილი წაბლნარი, გამარჯვებას მიაღწიეს მინდვრის გადაღმაც, სამხრეთით, პლატოზე. აგვისტოში ჩვენც გადავლახეთ მდინარე და გორიციაში დავბანაკდით. ჩვენს ეზოს ქვის გალავანი ერტყა, ეზოში შადრევანი ამოდიოდა და დაბურული ხეები იდგა, სახლის კედლებზე წითელი ცისვაზი მიეშვათ. ბრძოლები ახლა გადაღმა მთებში მიმდინარეობდა, დაახლოებით ერთი მილის მანძილზე. ქალაქი ძალიან ლამაზი იყო და ჩვენი სახლიც – ძალიან კოპწია. ჩვენს უკან მდინარე ჩამოდიოდა. ქალაქი სულ უდავიდარაბოდ აიღეს, გადაღმა მთების აღება კი გაძნელდა. ძალიან გახარებული ვიყავი, რადგან, ეტყობოდა, ავსტრიელები ისევ აპირებდნენ ქალაქში დაბრუნებას, ოდესმე, ომს თუ მოელებოდა ბოლო, ამიტომ დასანგრევად არც დაუბომბავთ, ისე ცოტათი გაჰკრეს, სამხედრო წესით და რიგით. ხალხი ქალაქში დარჩა საცხოვრებლად, აქ იყო ჰოსპიტლები და კაფეები, მოსახვევებში არტილერია დაეყენებინათ, აქვე იყო ორი საროსკიპო –

ერთი ჯარისკაცებისათვის, ხოლო მეორე – ოფიცრებისათვის. ზაფხულის მიწურულის გრილი ღამეები, ქალაქის გადაღმა მთებში ბრძოლები, ყუმბარებით დაცხრილული რკინის ხიდი, ბრძოლის შედეგად მდინარის პირას დანგრეული გვირაბი, მოედნის ირგვლივ ჩამწკრივებული ხეები და მოედნისაკენ მიმავალი ხეივანი, – ეს ყველაფერი, და, აგრეთვე ისიც, რომ ქალაში გოგონები იყო, ზოგჯერ ყინტორა, ტანმორჩილი მეფეც ჩაივლიდა თავისი ავტომობილით და, ამჯერად, სახეს გამოაჩენდა, რომელზედაც თხასავით ჩამოფშეკილი პატარა რუხი წვერი მოუჩანდა; ესა და აგრეთვე ერთბაშად გადაშლილი შინამოწყობილობა ბინისა, რომლის კედელიც ყუმბარას ჩემოენგრია, ეზოებსა და ზოგან ქუჩებში დაყრილი ღორღი და ბათქაში, ისიც, რომ კარსოში კარგად მიდიოდა საქმე, ეს ყველაფერი წლევანდელ შემოდგომას სავსებით განასხვავებდა შარშანდელისაგან. ომიც სულ სხვაგვარი გამხდარიყო.

ქალაქგარეთ, გორაკზე შეფენილი მუხნარი ერთიანად დაიღუპა. ზაფხულში, როცა ჩვენ ამ ქალაქში მოვედით, ტყე მწვანე დაგვხვდა, ახლა კი დამსხვრეული ხეები და ჯირკებილა დარჩენილიყო, მიწა დაეთხარათ, ხოლო ერთ დღეს, შემოდგომის მიწურულს, როცა ნამუხნარზე გავედი, დავინახე, როგორ მიცურავდა გორაკის თავზე ღრუბელი. ძალიან სწრაფად მისრიალებდა და მზეც უსიცოცხლო ყვითელი გამხდარიყო, მერე ყველაფერი განაცრისფრდა, ცა მოქურუხდა, ღრუბელი მთაზე დაეშვა და ერთბაშად გავეხვიეთ შიგ – ეს იყო თოვლი, ირიბად წამოუშინა, გატიტვლებული მიწა დაფარა, ჯირკებილა ამოშვერილიყო ზევით, ზარბაზნებსაც თოვლი დასდებოდა და ტრანშეებს უკან ფეხსადგილებისაკენ მიმავალი ბილიკები გაკვალულიყო თოვლში.

უფრო მოგვიანებით, ქალაქში რომ ჩავედით, საროსკიპოს ფანჯრიდან შევყურებდი თოვას. ეს იყო ოფიცრების საროსკიპოს სახლი, მე მეგობართან ერთად ასტისა ვსვამდი, და შევცეკეროდი, როგორ მძიმედ და ხვავრიელად თოვდა – ვგრძნობდით, რომ იმ წლის საქმე გათავებული იყო. მდინარის სათავეებისაკენ მთები ჯერაც არ აეღოთ. არც წყალგაღმა გორაკები იყო აღებული. საგაისოდ გადასდეს. ჩემმა მეგობარმა ქუჩაში პოლკის მღვდელი დაინახა, ფრთხილად მიაბიჯებდა თოვლ-ჭყაპში. ფანჯრის მინაზე დაუკავუნა. მღვდელმა ამოიხედა. დაგვინახა და გაგვიღიმა. ამოდიო, ანიშნა ჩემმა მეგობარმა. მღვდელმა თავი გააქნია და გზა განაგრძო. იმ ღამეს, სასადილოში, სპაგეტის რომ მოვრჩით, რასაც დიდი ფაციფუცითა და სერიოზულობით ვჭამდით (ჩანგალზე წამოგებულ სპაგეტის მაღლა ავწევდით, თეფშს ავაშორებდით, მერე კი ბოლოებით ჩავუშვებდით პირში, ან არადა პირს რომ მოვავლებდით, შესრუტვით ვყლაპავდით ხოლმე და მერე ჭილით შემოწნულ მათარიდან ღვინოს ვაყოლებდით; ერთ ხელში გვეჭირა მათარაც და ჭიქაც – მათარა ლითონის წვირზე იყო დამაგრებული და სალოკი თითით რომ გადმოვუწევდით ყელს, პირდაპირ ჭიქაში ვასხამდით სასიამოვნოდ მწკლარტე ლალისფერ ღვინოს)... ერთი სიტყვით, სპაგეტის რომ მოვრჩით იმ ღამეს, კაპიტანმა მღვდლის გამასხარავება დაიწყო.

მღვდელი ახალგაზრდა იყო და ხელად წითლდებოდა. მასაც ჩვენისთანა სამხედრო ფორმა ეცვა, ოღონდ ნაცრისფერ ტუნიკზე, გულის ჯიბესთან, შინდისფერი ხავერდის ჯვარი ეკრა. კაპიტანი ჩემი ხათრით რატომდაც ჩიქორთულად ლაპარაკობდა იტალიურს, ეგონა, ასე უფრო ადვილად გავიგებდი და ერთი სიტყვაც არ გამომეპარებოდა.

— ხუცესი დღეს გოგოებთან, — თქვა კაპიტანმა და მღვდელსა და მე შემოგვხედა. მღვდელმა გაიღიმა, წამოჭარხლდა და თავი გააქნია. მოსვენებას არ აძლევდა კაპიტანი.

— არა? — ჩაეკითხა კაპიტანი, — დღეს ხუცესს გოგოებთან ვხედავ.

— არა, — მიუგო მღვდელმა. კაპიტნის ქილიკობა სხვა ოფიცრებსაც ართობდა.

— ხუცესი გოგოებთან არა, — არ ეშვებოდა კაპიტანი, — ხუცესი მისდღემჩი არა გოგოებთან, — განმიმარტა მე. ჩემი ჭიქა აიღო და შეავსო, თან თვალებში შემომცეკეროდა, მაგრამ არც მღვდელს აცილებდა მზერას.

— ხუცესი თვითონვე ახერხებს ყოველღამ, ხუთით_ერთზე! — ყველამ გადაიხარხარა, გაიგეთ? ხუცესი ყოველღამე თვითონვე, ხუთით _ ერთზე! — ხელი ჩამოიქნია და გადაიხარხარა. მღვდელმა ხუმრობაში ჩამოართვა.

— პაპსა სურს, ავსტრიელებმა მოიგონ ომი, — თქვა მაიორმა, — ფრანც იოსები შეჰერებია. ფულიც მისგანა აქვთ ავსტრიელებს. მე ათეისტი ვარ.

— «შავი ღორი» არ წაგიკითხავთ? — ჰკითხა ლეინტენანტმა, — გიშოვით ერთ ცალს. იმ წიგნმა შემირყია რწმენა.

— ბილწი და ჭუჭყიანი წიგნია, — თქვა მღვდელმა, — ტყუილია, თქვენ ის არ გიყვართ.

— ძალიან ძვირფასი წიგნია, — მიუგო ლეინტენანტმა, — სწორედ მღვდლების ამბები წერია. თქვენც მოგეწონებათ, — მე მომიბრუნდა.

მღვდელს გავუცინე და იმანაც გამიღიმა.

— არ წაიკითხოთ, — მითხრა მან.

— მე გიშოვით, — შემპირდა ლეინტენანტი.

— გონიერი კაცი ყველა ათეისტია, — თქვა მაიორმა, — მე არც მასონებისა მწამს რამე.

— მე კი მწამს, — მიუგო ლეინტენანტმა, — კეთილშობილური ორგანიზაციაა.

ვიღაც შემოვიდა და გაღებულ კარებში დავინახე, როგორა თოვდა.

— რაკი თოვლი მოვიდა, შეტევა აღარ იქნება, — ვთქვი მე.

— რაღა თქმა უნდა, — მიპასუხა მაიორმა, — ახლა უნდა აიღოთ შვებულება. მოივლით რომს, ნეაპოლს, სიცილიას...

— ამალფიში წავიდეს, — თქვა ლეინტენანტმა, — მე მიგიწერთ ჩევნებთან ამალფიში. საკუთარი შვილივით შეგიყვარებენ.

— პალერმოში წავიდეს.

— კაპრიში უნდა წავიდეს.

— ნეტა აბრუციში წახვიდოდეთ და ჩვენებს ესტუმრებოდეთ კაპრაკოტაში, — მითხრა მღვდელმა.

— ყველგან თავის აბრუცის აჩრის! იქ ახლა ამაზე დიდი თოვლია. ამ კაცს გლეხების ნახვა რაში ეპიტნავება. კულტურისა და ცივილიზაციის ცენტრები მოინახულოს.

— ლამაზ-ლამაზ გოგონებსაც შეხვდება. მე მოგცემთ ნეაპოლელი ქალების მისამართებს. ქორფა გოგონები არიან_დედებს დაჰყებიან. ჰა, ჰა, ჰა!

კაპიტანმა ხელი გაშალა. ცერი მაღლა აბზიკა, დანარჩენი თითები კი ერთმანეთს დააშორა — ჩრდილები რომ გამოჰყავთ კედელზე, ისე. მართლაც დაეცა მისი ხელის ჩრდილი კედელს. ისევ წაუჩიქორთულა.

— ასე წახველი, — ცერი მაჩვენა, — და ასე მოხველი, — ნეკზე მოიკიდა მეორე ხელი. ყველას გაეცინა.

— შეხედეთ, თქვა კაპიტანმა. კვლავ გაშალა ხელი. სანთელმა ისევ გამოკვეთა მისი ჩრდილი კედელზე. აბზეკილი ცერიდან დაიწყო და ყველა თითს თავისი სახელი გამოუგონა. Soto-tenente (ცერი), tenente (სალოკი თითი), capitano (შუა თითი), maggiore (არათითი) და tenente (ნეკი). — წახველით Soto-tenente! დაბრუნდით soto-colonello!

ხარხარი ატეხეს. ყველას მოეწონა კაპიტნის ხუმრობა. ახლა ისევ მღვდელს გადახედა და შეჰვირა:

- ხუცესი კი თვითონვე ყოველდამე, ხუთით _ ერთზე!_ ისევ გაიცინეს.
- ახლავე აიღეთ შვებულება, — მირჩია მაიორმა.
- ნეტა შემეძლოს, გამოგყვეთ და ყველაფერი გაჩვენოთ, — მითხრა ლეიტენანტმა.
 - როცა დაბრუნდებით, გრამოფონი გამოიყოლეთ.
 - კარგი საოპერო ფირფიტები წამოიღეთ.
 - კარუზო ჩამოიტანეთ.
 - კარუზო რათ გინდათ. ბლავის.
 - არ გინდა, იმასავით ბლაოდე?
 - ბლავის, ბლავის-მეთქი!
- ნეტა აბრუციში წახვიდოდეთ, — მომიბრუნდა მღვდელი. სხვები ერთმანეთში ყაყანებდნენ. — მშვენიერი სანადირო ადგილებია. ხალხიც მოგეწონებათ. სიცივე კია, მაგრამ მშრალი და სუფთა. ჩვენებთან დადგებოდით. მამაჩემი განთქმული მონადირეა.
- აბა ჰე, — თქვა კაპიტანმა, — კახპებთან შევიდეთ, თორემ დაკეტავენ.
- ღამე მშვიდობისა, — გამოვემშვიდობე მღვდელს.
- ღამე მშვიდობისა, — მიპასუხა მან.

თავი III

შვებულებიდან რომ დავბრუნდი, ისევ იმ ქალაქში ვიდექით. ირგვლივ გაცილებით უფრო მეტი ზარბაზნები დაედგათ. გაზაფხული მოვიდა. მინდვრები გადამწვანებულიყო, ვაზებსაც მწვანე ლერწები წამოზრდოდა, გზისპირას ჩამწკრივებულ ხეებს პატარა ფოთლები გამოეღოთ და ზღვიდან

ნიავი დაძრულიყო. ვხედავდი ქალაქს, გორას, გორაკზე აღმართულ ბველ ციხეს, გადაღმა მთებს, კალთებშემწვანებულ მურა მთებს. ქალაქშიაც უფრო მეტი ზარბაზნები ჩანდა, რამდენიმე ახალი ჰოსპიტალი გაეხსნათ, ქუჩაში შეხვდებოდით ინგლისელ მამაკაცებს, ზოგჯერ ქალებსაც; ყუმბარებს კიდევ რამდენიმე სახლი დაეზიანებინა. თბილოდა, ნამდვილი გაზაფხული იდგა. მე გავჰყევი ხეივანს, რომელსაც კედლიდან არეკლილი მზის სხივები ათბობდა. აღმოჩნდა, რომ ისევ იმ სახლში ვხოვრობდით და ყველაფერი ისეთივე ჩანდა, როგორიც დავტოვე. კარები ღია დამიხვდა, კედელთან ჯარისკაცი ჩამომჯდარიყო გრძელ სკამზე და მზეზე იხუხებოდა. სანიტარული მანქანა გვერდის კარებთან იცდიდა, ხოლო შენობაში რომ შევედი, მარმარილოს იატაკისა და საავადმყოფოს სუნი მეცა. ჩემს არყოფნაში არაფერი შეცვლილიყო, გარდა იმისა, რომ ახლა გაზაფხული იდგა. დიდ ოთახში შევიჭყიტე და დავინახე, რომ მაიორი მაგიდას მისჯდომოდა, ფანჯარა ღია იყო და ოთახში მზის სხივები იღვრებოდა. მას არ დავუნახავარ და ვერ გადამეწყვიტა – შევსულიყავი და მომეხსენებინა ჩემი დაბრუნების ამბავი, თუ ჯერ ზემოთ ავსულიყავი და გავსუფთავებულიყავი. ისევ ზემოთ ასვლა გადავწყვიტე.

ლეიტენანტ რინალდისა და ჩემი საზიარო ოთახი ეზოს გადაჰყურებდა. ფანჯარა ღია იყო, ჩემი ლოგინი გაესწორებინათ და ნივთები კედელზე ეკიდა_ჩამოგრძელებულ თუნუქის ბოხჩიანი აირწინაღი და იმავე კოტაზე ჩამოკიდებული ფოლადის ჩაჩქანი. საწოლის ფეხთან ჩემი პატარა სკივრი იდგა, ხოლო სკივრზე ქონით გაპრიალებული ჩემივე საზამთრო ჩექმები ელაგა. საწოლებს შორის ეკიდა ჩემი რვაკუთხა ლულამოსევადებული ავსტრიული თოფი, რომელსაც კაკლის მუქი კონდახი ამშვენებდა. ახლადა გამახსენდა, რომ ტელესკოპის სამიზნე სკივრში მქონდა ჩაკეტილი. ლეიტენანტი რინალდი მეორე საწოლზე გაშოტილიყო და ეძინა. მე რომ შევედი, გამოეღვიძა და ლოგინზე წამოჯდა.

– Ciao! _ მომმართა მან, _ როგორ მოიარეთ?

– დიდებულად.

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, იგი გადამეხვია და გადამკოცნა.

– უჰ! _ შევძახე მე.

– ჭუჭყიანი ხარ, _ თქვა მან, _ უნდა დაიბანო. სად იყავი, რა გააკეთე? ახლავე ჩამოყაჭე ყველაფერი.

– სად არ ვიყავი _ მილანი, ფლორენცია, რომი, ნეაპოლი, ვილა-სან-ჯიოვანი, მესინა, ტაორმინა...

– ასე გგონია, რკინიგზის განრიგს კითხულობდე! კაი დრო გაატარე?

– ძალიან.

– სად?

– Milano, Firenze, Roma, Napoli

– კმარა. ახლა ის მითხარი, ყველაზე კარგი სად იყო?

– მილანში.

1. იტალიელები ამ სიტყვით ესალმებიან ერთმანეთს.

_ ეს იმიტომ, რომ პირველი იყო. მაინც სად გადაეყარე? კავაში? სად წაიყვანე? რა ქენი? ყველაფერი ჩამოყაჭე. დილამდე გყავდა?

_ ჰო.

_ დიდი ამბავი! აქ ისეთი ლამაზი გოგონები გვყავს ახლა! სულ ახლები, ფრონტი არც უნახავთ ჯერ.

_ დიდებულია.

_ არა გჯერა? დღესვე წავიდეთ და ნახავ. ქალაქშიაც გამოჩნდნენ ლამაზ-ლამაზი ინგლისელი გოგონები. ამჟამად მისს ბარკლი მიყვარს. გაგაცნობ. ალბათ, შევირთავ კიდეც მისს ბარკლის.

_ ახლა უნდა დავიბანო და ვუპატაკო. სამუშაო აღარაფერი გვაქვს?

_ რაც შენ წახვედი, თითების წაყინვის, სიყვითლის, გონირეის, თვითდაჭრილობის, ფილტვების ანთებისა და მაგარი და რბილი შანკრის მეტი არაფერი გამოჩენილა. კვირა არ გავა, რომ კლდის ჩამონატეხით არ დაშავდეს ვინმე. რამდენიმე ნამდვილი დაჭრილიცა გვყავს. იმკვირია ომი განახლდება. ალბათ, განახლდება. ასე ამბობენ. რას იტყვი, კარგს ვიზამ, მისს ბარკლი რომ შევირთო... ომის შემდეგ, რა თქმა უნდა?

_ ნამდვილად კარგს იზამ, _ ვუთხარი მე და ტაშტი წყლით გავავსე.

_ ამაღამ ყველაფერს გიამბობ, _ თქვა რინალდიმ, _ ახლა კი ისევ წავუწები და დავიძინებ _ დასვენებულ-გალამაზებული უნდა წარვუდგე მისს ბარკლის.

ტუნიკა და პერანგი გავიხადე და წელზევით ცივი წყლით დავიბანე ტაშტში. მანამ პირსახოცით ვიზელდი ტანს, ოთახი მოვათვალიერე, ფანჯარაშიაც გადავიხედე და მერე რინალდის დავხედე, ლოგინზე იწვა, თვალებდახუჭული. კარგი შესახედაობის ბიჭი იყო, ჩემი ხნისა, ამალფიელი. თავისი ხელობა_ქირურგობა_ძალიან უყვარდა და დიდი მეგობრებიც ვიყავით. იმდენი ვუყურე, რომ თვალები გაახილა.

_ ფული გაქვს?

_ მაქვს.

_ ორმოცდაათი ლირა მასესხე.

ხელები გავიმშრალე და კედელზე ჩამოკიდებული ტუნიკის გულის ჯიბიდან საფულე ამოვიღე. რინალდიმ ფული გამომართვა, ლოგინიდან არც კი წამოწეულა, ისე დაკეცა და შარვლის ჯიბეში ჩააცურა. გამიღიმა, «მდიდარ კაცად უნდა მოვაჩვენო თავი მისს ბარკლის. შენ ჩემი გულითადი მეგობარი და ფინანსური მფარველი ხარ».

_ დაიკარგე, ერთი!

იმ ღამეს მღვდლის გვერდით ვიჯექი სასადილოში. ძალიან ნაწყენი და გულნატკენი დამირჩა, რომ აბრუცისკენ არ შევუხვი. მამისათვის მიეწერა, ჩამოდისო, და თურმე ჩემ დასახვედრად ემზადებოდნენ. მეც არა ნაკლებ დამწყდა გული, და თვითონვე ვერ მივმზვდარიყავი, რატომ არ ჩავედი

აბრუციში. მე ხომ ნამდვილად მეწადა იქ წასვლა, და ვცადე ამეხსნა მისთვის, თუ როგორ გადაება ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი მეორეს, ასე რომ, საბოლოოდ, თვითონაც მიხვდა და დარწმუნდა, როგორ გულით მინდოდა აბრუციში წასვლა, თითქმის დავაშოშმინე. ბევრი ღვინო დავლიე, მერე სტრეგიანი ყავაც დავაყოლე და, შეზარხოშებული, იმის განმარტებას მოვჰყევი _ თუ როგორ ვერ გამოგვდის ხოლმე ის, რაც გულით გვწადიან, ვერასოდეს ვერ გამოგვდის.

ჩვენ ჩვენთვის ვლაპარაკობდით, სხვები კი დავობდნენ. მინდოდა აბრუციში წასვლა, მაგრამ ისეთ ადგილებში არსად წავსულვარ, საცა გზები გაყინული და რკინასავით გამაგრებულია, საცა ყინვა ჭახჭახებს და სიმშრალე დგას, საცა მშრალ ხეშეშა თოვლს კურდღლის ნაფეხურები აჩნია, საცა გლეხები ქუდს მოიშვლებენ ხოლმე, როგორც კი დაგინახავენ და ბატონს დაგიძახებენ, და საცა ნადირობაც დიდებულია. ასეთ ადგილებში არ წავსულვარ. მე წავედი იქ, სადაც კვამლით გამოვსებული კაფეები და ღამეებია, ოთახი თავდაყირა ტრიალებს და კედელს უნდა გაუშტერო თვალი, რომ გაჩერდეს... ლოგინში გატარებული ღამეები, სიმთვრალე, როცა იცი, რომ ეგ არის და ეგ – სხვა აღარაფერი არსებობს, მერე უცნაური აღგზნებით გამოღვიძება და იმის ფიქრი – ნეტა გვერდით ვინ მიწევსო, სიბრელეში ქვეყანა ისეთი არარეალური და აღმგზნებელია, რომ ისევ ბურანს მიჰყვები და აღარაფერი გენაღვლება, იცი, რომ ეს არის და ეს, ეს არის და ეს, სხვა არაფერი, და არცა სწუხარ, რომ სხვა არფერია. უცებ ძალიან შეგაწუხებს რაღაცა და დაგეძინება. ზოგჯერ დილით გამოიღვიძებ და ნახავ, რაც იყო, წასულა, ყველაფერი მეტისმეტად აშვარა, მძაფრი და ტლანქი ჩანს, ზოგჯერ ფულის გადახდაზე დავაც. ხან ისევ სასიამოვნოდ გეჩვენება ყველაფერი, გული შვებითა გაქვს, თბილა, საუზმე, სადილი. ხანაც სასიამოვნო აღარაფერი დარჩენილა და გინდა, რაც შეიძლება ჩქარა გახვიდე ქუჩაში, მაგრამ კვლავ ისეთივე დღე იწყება და ისეთივე ღამე მოჰყვება. ვცადე ამეხსნა, თუ რა არის ღამე და რა განხვავებაა დღესა და ღამეს შორის, როგორ ყველაფრითა სჯობს ღამე, გარდა იმისა, რომ დღე ნათელი და ცივია, მაგრამ ვერ გამომივიდა, ახლაც ვერ გამომდის. თუ თქვენც გამოგიცდიათ ეს, ისედაც მიმიხვდებით. მას არ ჰქონდა გამოცდილი, მაგრამ მიმიხვდა, რომ გულით მეწადა აბრუციში წასვლა, ვერ წავედი, და მაინც მეგობრები დავრჩით. ბევრ რამეში ხვდებოდა ჩვენი გემოვნება ერთმანეთს, მაგრამ მაინც სხვადასხვა ვიყავით. მან მუდამ იცოდა ის, რაც მე არ ვიცოდი და რასაც, შესწავლის შემდეგ, მუდამ სიამოვნებით ვივიწყებდი. მაგრამ ეს შემდეგ გავიგე, მაშინ კი არ ვიცოდი. ისევ სასადილოში ვისხედით, სადილი უკვე დავამთავრეთ, დავა კი გრძელდებოდა. მე და მღვდელი რომ დავჩუმდით, კაპიტანმა იყვირა.

- _ ხუცესმა მოიწყინა. უგოგონებოდ მოიწყინა.
- _ ძალიან მხიარულად ვარ, _ თქვა მღვდელმა.
- _ რა უგავს მხიარულს! ხუცესს უნდა, ავსტრიელებმა მოიგონ ომი, _ თქვა კაპიტანმა. სხვები უსმენდნენ. მღვდელმა თავი გააქნია.

- _ არა, _ თქვა მღვდელმა.
- _ ხუცესს არა სურს, რომ შეტევაზე გადავიდეთ. მართლა არ გინდა, რომ შეტევა დავიწყოთ?
- _ არა. თუ ომია, შეტევაც უნდა იყოს.
- _ უნდა იყოს. იქნება კიდეც!
- მღვდელმა თავი დაუქნია.
- _ მოეშვით ერთი, _ თქვა მაიორმა, _ მშვენიერი კაცია.
- _ ყოველ შემთხვევაში, ამ საქმეში ეგ ვერაფერს გახდება, _ თქვა კაპიტანმა. ყველანი წამოვდექით და მაგიდას მოვშორდით.

თავი IV

დილით მეზობელ ბაღში განლაგებულმა ბატარეამ გამომაღვიძა. ფანჯარაში მზე შემოსულიყო. ლოგინიდან ავდექი, ფანჯარას მივადექი და გადავიხედე. ბილიკებზე ხრეში სველი იყო და ბალახიც ნამიანი. ბატარეამ ორჯერ მისცა ბათქი, ორივეჯერ ჰაერი შეირხა, თითქოს ქარმა დაიქროლა, ფანჯარა შეაზანზარა და პიჟამის კალთები ამიფრიალა. ზარბაზნები არ ჩანდა, ყუმბარები კი, ეტყობოდა, პირდაპირ ჩვენს თავზე გადადიოდა. არასასიამოვნო იყო, რომ ასე ახლოს ჰქონდათ ბატარეა განლაგებული, და იმითლა ვინუგეშებდით თავს, რომ დიდი ზარბაზნები არა ყოფილა. ისევ ბაღში ვიყურებოდი, როცა საბარგო მანქანის ხმა გავიგონე, ჩავიცვი და ქვევით ჩავედი, სამზარეულოში ყავა დავლიე და გარაჟისკენ გავემართე.

გრძლად გადაჭიმულ ფარდულქვეშ ათი მანქანა ჩაემწკრივებინათ. ეს იყო ნაცრისფრად შეღებილი, უზარმაზარი ფურგონების მსგავსი ბრტყელცხვირა სანიტარული მანქანები. ერთ-ერთ ასეთ მანქანას მექანიკოსები უტრიალებდნენ ეზოში. დანარჩენი სამი მთებში იყო, შესახვევ პუნქტებზე.

_ ერთხელაც არ მოუხვედრებიათ ამ ბატარეისათვის?_ ვკითხე ერთ მექანიკოსს.

- _ არა, Signore Tenente. გორაკი იფარავს.
- _ საქმე როგორ მიდის?
- _ არცთუ ისე ცუდად. ეს ერთი მანქანაა უვარგისი, სხვებს არა უშავს. _ მუშაობა შეწყვიტა და გამიღიმა, _ შვებულებაში იყავით?

_ ჰო.

ჯემპრზე ხელი გაიწმინდა და გაიჭყანა.

_ კაი დრო გაატარეთ?

სხვა მექანიკოსებმაც გაიცინეს.

_ მშვენიერი, _ ვუპასუხე მე, _ მანქანას რა მოუვიდა?

_ უვარგისია. ხან რა გაუფუჭდება და ხან რა.

_ ახლა რა სჭირს?

_ სალტეებს ვუცვლით.

მექანიკოსები იქვე დავტოვე, მუშაობაში გართულნი. მანქანა განძარცულ-დამცირებული ჩანდა, რადგან მოტორი ახდილი იყო, ხოლო ნაწილები _ მიწაზე მიმოფანტული. ფარდულში შევედი და სხვა მანქანები დავათვალიერე, სათითაოდ. საკმაოდ სუფთად იყო შენახული, ზოგი ახლახან გაერეცხათ, დანარჩენებს მტვერი ედო. ყურადღებით გავსინჯე: საბურავები _ დასერილი, ან ქვებისაგან დაგლეჯილი ხომ არ არის-მეთქი. დაზიანებული არაფერი ჩანდა. ეტყობოდა, ტყუილუბრალოდ შევიწუხე თავი: აზრი არა ჰქონდა დათვალიერებას. მეგონა, რომ მანქანების მზადყოფნა, ცალკეული ნაწილების შოვნა, დაჭრილებისა და ავადმყოფების შეუფერხებელი ევაკუაცია შესახვევი პუნქტებიდან, მათი მთებიდან ჩამოყვანა, განმანაწილებელ პუნქტებში გატარება და მერე ქაღალდში მითითებულ ჰოსპიტლებში დაბინავება მნიშვნელოვანწილად ჩემზე იყო დამოკიდებული. მაგრამ, ჩანდა, რომ სულ ერთი იყო_იქ ვიქებოდი თუ არა.

_ ბევრი დავიდარაბა დაგჭირდათ ნაწილების შოვნაზე?_ვკითხე უფროსს მექანიკოსს.

_ არა,Signor Tenente.

_ საწვავის საწყობი სადა გაქვთ ახლა?

_ იქვე.

_ ძალიან კარგი, _ ვთქვი მე და სახლში შევბრუნდი, სასადილოში კიდევ ერთი ფინჯანი ყავა დავლიე. ყავა მონაცრისფრო იყო და შედედებულ რძით დამტკბარი. ფანჯარაში მშვენიერი გაზაფხულის დილა ჩანდა. ცხვირში უკვე იგრძნობოდა ის სიმშრალე, რაც მომავალი ცხელი დღის ნიშანია. იმ დღეს საგუშაგოები მოვიარე მთებზე და ქაღაქში ნაშუადღევს დავბრუნდი.

ეტყობოდა, ჩემს არყოფნაში ყველაფერი უკეთ წარმართულიყო. როგორც ამბობდნენ, ბრძოლა მალე განახლდებოდა. ის დივიზია, რომელსაც ჩვენ ვემსახურებოდით, მდინარის სათავეებისკენ გადავიდოდა შეტევაზე, და მაიორმა მითხრა, შეტევის დროს საგუშაგოებს მიმიხედეო. შემტევი ნაწილები ხეობის თავში გადალახავდნენ მდინარეს და მთის კალთაზე გაიშლებოდნენ. მანქანების სადგომები, რაც შეიძლება, მდინარესთან ახლოს უნდა მოგვეწყო და შეგვენილბა. ასეთი ადგილები, რა თქმა უნდა, ქვეით ჯარს უნდა შეერჩია, მაგრამ გამოირკვა, რომ მანქანის სადგომების შერჩევა ახლა ჩვენ გვქონდა დავალებული. ესეც ერთგვარი თავისმოტყუება იყო_თითქოს ჩვენც ვომობდით.

ერთიანად გამტვერილ-გაჭუჭყიანებული ვიყავი და დასაბანად ოთახში შევედი. რინალდი ლოგინზე ჩამომჯდარიყო და ჰუგოს ინგლისური გრამატიკა გაეშალა. ფორმაში გამოწყობილიყო, თავისი შავი ჩექმები ეცვა და თმა უპრიალებდა.

_ დიდებულია, _ თქვა მან, მე რომ დამინახა, _ მის ბარკლის სანახავად გამომყვები.

_ არა.

– ჰო. გამომყები და ეცდები, კარგი შთაბეჭდილება მოახდინო მისს ბარკლიზე.

– კარგი, აგრე იყოს. ოღონდ დამიცადე, მანამ გავსუფთავდებოდე.

– დაიბანე და წამოდი, მეტი არაფერი გინდა.

დავიბანე, თმა დავივარცხნე და წასასვლელად გავემზადეთ.

– დამაცა, – თქვა რინალდიმ, – ცოტა არ დავლიოთ?_სკივრი გააღო და ბოთლი ამოაძვრინა.

– სტრეგა არ გვინდა, – ვთქვი მე.

– არა, გრაპაა.

– დაასხი.

ჭიქები გაავსო და ერთმანეთს მივუჯახუნეთ, სალოკი თითები გაშვერილი დაგვრჩა. ძალიან მაგარი იყო.

– კიდევ?

– დაასხი, – ვუთხარი მე. მეორე ჭიქაც შევსვით. რინალდიმ ბოთლი შეინახა და კიბეზე დავეშვით. ქალაქის ქუჩებში ცხელოდა, მაგრამ მზე უკვე ჩადიოდა და ძალიან სასიამოვნო იყო. ინგლისელების ჰოსპიტალი მოთავსებული იყო დიდ ვილაში, რომელიც გერმანელებს აეგოთ ომის წინ. მისს ბარკლი ბაღში დაგვიხვდა. თან ახლდა მეორე მოწყვალების დაც. შორიდანვე შევნიშნეთ მათი თეთრი ფორმის ტანსაცმელი და პირდაპირ გავემართეთ. რინალდიმ სამხედრო სალამი მისცა. მეც მივესალმე, მაგრამ უფრო თავშეკავებულად.

– გამარჯობა, – მითხრა მისს ბარკლიმ, _თქვენ იტალიელი არ უნდა იყოთ, ხომ?

– არა.

რინალდი მეორე მედდას ელაპარაკებოდა. იცინოდნენ.

– რა უცნაურია – იტალიურ არმიაში სამსახური!

– ეს ხომ ნამდვილი არმია არ არის, სანიტარული ნაწილია.

– მაინც ძალიან უცნაურია. რაში დაგჭირდათ?

– თვითონაც არ ვიცი, – ვუპასუხე მე, – ყველაფრის ახსნა შეუძლებელია.

– ვითომ? მე კი მასწავლიდნენ, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვსო.

– დიდებული საქმეა.

– სავალდებულოა, მაინცდამაინც ასე ვილაპარაკოთ?

– არა, _მივუგე მე.

– ძლივს არ მომეშვა გულზე!

– ეს რა ჯოხი გიჭირავთ? – ვკითხე მე.

მისს ბარკლი მაღალი ქალი იყო. ეცვა თეთრი ტანსაცმელი, რომელიც მე მოწყვალების დების ფორმად მივიჩნიე. ქერა იყო, ხორბლისფერი კანი და ნაცრისფერი თვალები ჰქონდა. ძალიან ლამაზი მომეჩვენა. ხელში სათამაშო მათრახის მაგვარი წვრილი პალმის ჯოხი ეჭირა.

– ეს ერთი ჭაბუკისა იყო, შარშან მოკლეს.

– მაპატიეთ, რომ...

- _ ძალიან კარგი ბიჭი იყო. ცოლად უნდა გავჰყოლოდი, სომში1 მოკლეს.
 - _ იქ ხომ ჯოჯოხეთი დატრიალდა.
 - _ თქვენც იყავით?
 - _ არა.
 - _ მე მიამბეს, _ თქვა მან,_აქ აბა, რა ომია, იმას რას შეედრება! ეს პატარა ჯოხი გამომიგზავნეს. დედამისმა გამომიგზავნა სხვა ნივთებთან ერთად, ესეც დაუბრუნეს.
 - _ დიდი ხნის დანიშნულები იყავით?
 - _ რვა წლისა. ერთად ვიზრდებოდით.
 - _ რატომ არ დაქორწინდით?
 - _ არ ვიცი, _ თქვა მან,_სულელი ვიყავი. მისი ხათრით მაინც უნდა მივთხოვებოდი. მაგრამ მეგონა, მისთვისვე იქნებოდა ცუდი.
 - _ მესმის.
 - _ გყვარებიათ ვინმე?
 - _ არა, _ ვთქვი მე.
 - გრძელ სკამზე ჩამოვჯექით და შევხედე.
 - _ რა ლამაზი თმა გაქვთ!_ვუთხარი მე.
 - _ მოგეწონათ?
 - _ ძალიან.
 - _ ერთი პირობა შეჭრა დავაპირე, როცა ის მოკვდა.
 - _ აჲ!
-

1 სომი (Somme) – აქ იგულისხმება მდინარე სომის მიდამოები ჩრდილო საფრანგეთში, სადაც პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წლის სექტემბერში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა გერმანელებსა და საფრანგეთ-ინგლისის ჯარებს შორი. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე ბრძოლა მთელი პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში. სხვათა შორის, აქ გამოიყენეს პირველად ტანკები. (მთარგმნელის შენიშვნა).

- _ მინდოდა რამე გამეკეთებინა მისთვის. ხომ იცით, არაფერს არაფრად ვაგდებდი. რომ მეგრმნო, რამე უნდა-მეთქი, არაფერს არ დავუჭერდი. ან ცოლად გავყვებოდი, ან ისე... ახლა მესმის ყველაფერი. მაშინ იგი ომში წასვლას აპირებდა, მე კი არაფერი გამეგებოდა.
- ხმა არ გამიღია.
- _ მაშინ არაფერი გამეგებოდა. მეგონა, მისთვის იქნებოდა ცუდი, ვაითუ ვერ აიტანოს-მეთქი, ვფიქრობდი, მერე კი მოკლეს და ყველაფერი გათავდა.
- _ არა მგონია.
- _ როგორ არა, _ თქვა მან_ყველაფერი გათავდა.
- რინალდის გადავხედეთ, რომელიც მეორე დას ელაპარაკებოდა.
- _ რა ჰქვიან?
- _ ფერგიუსონი. ელენ ფერგიუსონი. თქვენი მეგობარი ექიმი უნდა იყოს, არა?
- _ დიახ. ძალიან კაი ექიმია.

- სასიამოვნოა. ფრონტის ხაზზე იშვიათად თუ გადაეყრები კარგ ექიმს.
ესეც ხომ ფრონტის ხაზია?
- ნამდვილად.
- ეს სულელური ფრონტი, – თქვა მან,_ისე, ლამაზი კია აქაურობა.
შეტევის დაწყებას აპირებენ?
- დიახ.
- მაშ, საქმე გაგვჩენია. ახლა არაფერი არა გვაქვს სამუშაო.
- დიდი ხანია მოწყალების დად მუშაობთ?
- თხუთმეტის მიწურულში დავიწყე. ის წავიდა თუ არა ჯარში, მეც
დავიწყე. რა სულელი ვიყავი, მეგონა ჩემს ჰოსპიტალში მოხვდებოდა, ხმლით
დაჭრილი, თავშეხვეული. ან არადა ბეჭებში ტყვიით დაჭრილი. რაღაც
რომანტიკული წარმომედგინა.
- ეს მართლაც რომანტიკული ფრონტია, – ვთქვი მე.
- დიახ, – თქვა მან,_ხალხს ვერც კი წარმოუდგენია, რა ხდება
საფრანგეთში. ეს რომ იცოდნენ, აღარც გაგრძელდებოდა ომი. ხმლით არ
დაუჭრიათ, სულ ნაკუწ-ნაკუწ დაფლითეს.
- ხმა არ გამიღია.
- როგორ გგონიათ, სულ ასე უნდა გაგრძელდეს?
- არა.
- მაშ, რა შეაჩერებს?
- სადმე გაიბზარება.

- ჩვენ თვითონ გავიბზარებით. საფრანგეთში ვერ გავუძლებთ. ერთი
სომისთანა ამბავი და ნამდვილად გავიბზარებით.
- აქ ისეთი არაფერი მოგველის, – ვთქვი მე.
- ასე გგონიათ?
- არა. შარშან კარგად წაგვივიდა საქმე.
- გაიბზარება, – თქვა მან, – ყველას მოელის ეს დღე.
- გერმანელებსაც?
- არა, – თქვა მან, – არა მგონია.
- რინალდისა და მისს ფერგიუსონს მივუახლოვდით.
- გიყვართ იტალია? – რინალდი ეკითხებოდა ფერგიუსონს ინგლისურად.
- აქ ძალიან კარგია.
- ვერ გავიგე, – რინალდიმ თავი გააქნია.
- Abbastanza bene!_გადავუთარგმნე მე. თავი გააქნია.
- ეს არ არის კარგი. ინგლისი გიყვართ?
- მაინცდამაინც არა, მე შოტლანდიელი ვარ.
- რინალდიმ მე შემომაშტერა თვალები.
- შოტლანდიელი გახლავს, ასე რომ შოტლანდია ურჩევია ინგლისს, –
ვუთხარი მე იტალიურად.

- მერე და შოტლანდიაც ხომ ინგლისია.
- ეს მისს ფერგიუსონს გადავუთარგმნე.
- Pas encore2 ,_თქვა მისს ფერგიუსონმა.
- მართლა?
- არც იქნება არასოდეს. არ გიყვარს ინგლისელები.
- ინგლისელები არ გიყვართ? მისს ბარკლიც არ გიყვართ?
- ეს სულ სხვაა. პირდაპირი მნიშვნელობით კი არ უნდა გაიგოთ ყველაფერი.

ცოტა ხნის შემდეგ გამოვემშვიდობეთ და წამოვედით. გზაში რინალდიმ მითხრა:

- ჩემზე უფრო შენ მოეწონე მისს ბარკლის. ამას ბევრი მტკიცება არა სჭირდება. მაგრამ ის პატარა შოტლანდიელიც ძალიან კარგია.

1 საკმაოდ კარგია (იტალ.).

2 ჯერ კიდევ არა (ფრანგ.).

– ძალიან, _ ვთქვი მე. იმ გოგოსთვის სულაც არ შემიხედავს. _ მოგწონს?

– არა, _ თქვა რინალდიმ.

თავი V

მეორე დღეს, საღამო ხანს, კვლავ წავედი მისს ბარკლის სანახავად. ბაღში აღარ დამიხვდა და გვერდის კარებისაკენ გავემართე, სადაც სანიტარულ მანქანებს მიაყენებდნენ ხოლმე. რომ შევედი, უფროსი მოწყალების და შემომხვდა და მითხრა, მისს ბარკლი მორიგეაო.

- ომია, ხომ იცით.
- ვიცი-მეთქი, ვუპასუხე.
- თქვენ ის ამერიკელი ხართ, იტალიის არმიაში რომ მსახურობს? _ მკითხა მან.
- დიახ, ქალბატონო.
- როგორ მოხვდით იქ? რატომ ჩვენთან არ წამოხვედით?
- რა მოგახსენოთ. ახლა არ შეიძლება გადმოსვლა?
- სამწუხაროდ, აღარ შეიძლება. ერთი მითხარით, რატომ მაინცდამაინც იტალიური არმია არჩიეთ?
- იტალიაში ვიყავი, – ვუპასუხე მე, _ თან იტალიურიც ვიცი.
- აჲ, _ თქვა მან, _ მე ახლა ვსწავლობ. ლამაზი ენაა.
- ამბობენ, ორ კვირაში შეისწავლებაო.
- აჲ, არა, ორ კვირაში რას ისწავლი. აგერ რამდენიმე თვეა, ვცოდვილობ. შვიდი საათის შემდეგ მობრძანდით და ნახეთ, თუ გნებავთ. თავისუფალი იქნება. მაგრამ ნუ მოგვასევთ იტალიელებს.
- არც ლამაზი ენის ხათრით?
- არა. არც ლამაზი ენისა და არც ლამაზი მუნდირის ხათრით.
- მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

_A rivederci, Tenente .

_ .A rivederia,_სამხედრო სალამი მივეცი. შეუძლებელია, კაცს იტალიელივით მისცე სალამი და უხერხულობა არ იგრძნო, ეტყობა, საექსპორტოდ არ გამოდგება.

ცხელი დღე იყო. მე მდინარის სათავისკენ შევჰყევი, ხიდწინა სიმაგრეების დასათვალიერებლად, პლავასთან. სწორედ იქიდან უნდა დაეწყოთ შეტევა. შარშან ამ ნაპირებზე გადასვლა შეუძლებელი იყო, რადგან პონტონისაკენ მხოლოდ ერთი გზა მიდიოდა და ისიც მთელი მილის სიგრძეზე, პირდაპირ ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლზე იყო მიშვერილი. თან ვიწროც იყო და შეტევის დროს საჭირო ტრანსპორტი ვერ გაიმართებოდა, ავსტრიელებს შეეძლოთ ნამდვილ სასაკლაოდ გადაეჭციათ. მაგრამ იტალიელებმა მდინარე გადალახეს და ცოტათი წინ წაიწიქს, მთელი მილნახევარი დაიჭირეს ავსტრიელების სანაპიროზე. საძაგელი ადგილი იყო და ავსტრიელებს არ უნდა დაენებებინათ მოწინააღმდეგისათვის იქ გამაგრება. მაგრამ ეს ალბათ ორმხრივი დათმობა უფრო იყო, რადგან ქვემოთ ისევ მაგრად ეჭირათ ავსტრიელებს მეორე ხიდი. სანგრები მთის კალთაზე ჰქონდათ გათხრილი, იტალიელების ხაზიდან სულ რამდენიმე იარდის მოშორებით. ადრე აქ პატარა ქალაქი იყო გაშენებული, მაგრამ სულ დაფშვნეს და დაანგრიეს. რკინიგზის სადგურის ნანგრევებიღა დარჩენილიყო და კიდევ ერთი შელეწილი მუდმივი ხიდი, რომლის შეკეთება და გამოყენება აღარ შეიძლებოდა, რადგან ღია ადგილზე იყო და, როგორც ხელისგულზე, ისე მკაფიოდ მოჩანდა.

ვიწრო შუკას დავუყევი მდინარისაკენ, მანქანა შესახვევ პუნქტზე დავტოვე. გორაკის ძირში, გადავჭრი პონტონის ხიდი, რომელსაც მთის შვერილი იფარავდა, ქალაქის ნანგრევებზე გავედი და მთის კალთაზე გათხრილი სანგრები შემოვიარე. ყველანი ბლინდაჟებში ჩამდვრალიყვნენ. იქვე აღემართათ რაკეტები, რომლებითაც არტილერიისათვის უნდა ენიშნებინათ, მოგვემველეთო, ანდა საერთოდ სიგნალად გამოეყენებინათ, ტელეფონის ხაზს თუ გადაჭრიდნენ. ჩამიჩუმი არ ისმოდა, ცხელოდა და ტალახი იდგა. მავთულხლართებიდან ავსტრიელების პოზიციებს გავხედე. კაცის ჭაჭანება არ იყო. ერთ-ერთ ბლინდაჟში ნაცნობ კაპიტანთან ერთად გადავჭკარი და უკანვე გამოვბრუნდი, ხიდზე გამოვლით.

უკვე ამთავრებდნენ ფართო შარაგზის გაყვანას, რომელიც მთასა სჭრიდა და ზიგზაგით ეშვებოდა ხიდისაკენ. დაამთავრებდნენ და შეტევაც დაიწყებოდა. განზრახული ასე ჰქონდათ_ფრონტზე ყველაფერს ამ გზით მიზიდავდნენ, ხოლო ცარიელი საბარგოები, დაჭრილებით დატვირთული სანიტარული მანქანები, და საერთოდ ყოველგვარი ტრანსპორტი უკან ძველი ვიწრო გზით დაბრუნდებოდა. შესახვევი პუნქტი გაღმა იყო, ავსტრიელების მხარეს, მთის ძირში, მეჯალამბრეებს დაჭრილები პონტონის ხიდით უნდა გადმოეყვანათ. ასე გაგრძელდებოდა შეტევის დაწყების შემდეგაც. ჩემი ვარაუდით, ახალი გზის ბოლო ერთი მილი, თუ უფრო მეტიც, ჩავაკებაზე,

პირდაპირ ავსტრიელების ცეცხლზე იყო მიშვერილი და დიდი უბედურება შეიძლებოდა დატრიალებულიყო. მაგრამ გამოვძებნე ადგილი, სადაც, უკანასკნელი სახიფათო გადასასვლელის გავლის შემდეგ, მანქანებს შევაფარებდით და პონტონის ხიდზე გამოყვანილ დაჭრილებს დაველოდებოდით. ახალი გზით გავლა მომინდა, მაგრამ ჯერ მოუთავებელი იყო. ფართო და კარგად ნაკეთები ჩანდა ეს გზა. ტყით შეფენილ მთის კალთას რომ გადახედავდი, შემეჩხრებულ ადგილებში, მისახვევ-მოსახვევებიც ლამაზი იყო. ჩვენს მანქანებს ისეთი მაგარი მუხრუჭები ჰქონდა, რომ დაქანებაზე არაფერი გაუჭირდებოდათ, მით უმეტეს იქითობისას ცარიელები იქნებოდნენ. უკან ვიწრო გზით დავბრუნდი.

ორმა კარაბინერმა გაგვიჩერა მანქანა. წინ ყუმბარა ჩამოვარდნილიყო და მანამ ჩვენ იქ ვიდექით, კიდევ სამი ყუმბარა ჩამოვარდა. სამოცდაჩვიდმეტ – მილიმეტრიანები იყო და სტვენით გადაიქროლა ჰაერში, მერე ერთბაშად გასკდა, იელვა და გზა ნაცრისფერ კვამლში გაეხვია. კარაბინერებმა ნიშანი მოგვცეს – წასვლა შეიძლებაო. აფეთქების ადგილს რომ მივუახლოვდით, გვერდი ავუარე ყუმბარისაგან გათხრილ ჰატარა ორმოებს. ფეთქებადი წამლისა და ახალდათხრილ თიხისა და ქვის სუნი მეცა. დავბრუნდი გორიციაში, ჩვენს ვილაში მივედი და შემდეგ, როგორც ვთქვი, მისს ბარკლის ვეწვიე, რომელიც იმ დროს მორიგეობდა.

სადილი სულმოუთქმელად ვჭამე და იმ ვილისაკენ გავსწიე, სადაც ინგლისელებს ჰოსპიტალი ჰქონდათ გამართული. მართლაც რომ ძალიან დიდი და ლამაზი შენობა იყო, ეზოშიაც მშვენიერი ხეები იდგა. მისს ბარკლი გრძელ სკამზე იჯდა, ბაღში. მისს ფერგიუსონიც თან ახლდა. ეტყობოდა, გაუხარდათ ჩემი დანახვა. მალე მისს ფერგიუსონმა ბოდიში მოგვიხადა და გაგვეცალა.

– მარტო დაგტოვებთ, – თქვა მან, – უჩემოდაც მშვენივრად გრძნობთ თავს.

- ნუ წახვალ, ელენ, – უთხრა მისს ბარკლიმ.
- არა, მართლა უნდა წავიდე. წერილები მაქვს დასაწერი.
- მშვიდობით, – ვუთხარი მე.
- მშვიდობით, მისტერ ჰენრი.
- ისეთი რამე არ დაწეროთ, ცენზორი რომ შეაწუხოს.
- ფიქრი ნუ გაქვთ. მე მარტო იმას ვწერ_მშვენიერ ადგილას ვცხოვრობთ და იტალიელებიც მამაცი ხალხია-მეთქი.
- მაშ ორდენებით დაგიმშვენებენ მკერდს.
- მაგას რაღა აჯობებს. მშვიდობით, ქეთრინ.
- მეც მალე მოვალ, უთხრა მისს ბარკლიმ. მისს ფერგიუსონი სიბნელეში გაუჩინარდა.
- მშვენიერი გოგონაა, – ვთქვი მე.
- ო, ძალიან კარგია. მედდად მუშაობს.
- თქვენ არა ხართ მედდა?

— აპა, არა. მე _V. A. D.-ს რომ ეძახიან, ისა ვარ. ქვეყნის მუშაობა გვაქვს, მაგრამ კაცი არ გვენდობა.

— რატომ?

— როცა გასაკეთებელი არაფერია, არც გვენდობიან, ხოლო საქმე რომ გაჩნდება, იცოცხლე, ნდობას იჩენენ.

— ვითომ რა განსხვავებაა?

— მედდა ექიმივით არის. დიდი ხნის სწავლა სჭირდება. A. V. A. D.-ს კი ბევრი არაფერი უნდა.

— მესმის.

— იტალიელებს არ უნდოდათ ქალების ახლოს მიშვება ფრონტთან. ასე რომ, ჩვენს ნებაზე არა ვართ. გარეთ ვერ გამოვსულვართ.

— მე ხომ მაქვს აქ მოსვლის უფლება?

— რაღა თქმა უნდა. მართლა სენაკში კი არა ვართ გამომწყვდეულები.

— მოდი, გადავივიწყოთ ომი.

— ძნელი საქმეა. აქ ომს რა დაგავიწყებს?!

— როგორმე დავივიწყოთ.

— კარგი.

ერთმანეთს შევხედეთ სიბნელეში. ძალიან ლამაზი მომეჩვენა და მისი ხელი ავიღე. არ გამძალიანებია და ახლა წელზე მოვხვიე ხელი.

— ნუ, — თქვა მან. მე არ გამიშვია ხელი.

— რატომ?

1 V. A. D. (Voluntary Aid Department) — მოქმედი არმიის დამხმარე მოხალისე ქალთა კორპუსი.

— არ გინდა.

— მინდა, — ვუთხარი მე, — ნუ დამიშლით.

სიბნელეში მისკენ გადავიხარე საკოცნელად და უცებ რაღაც საშინლად ამეწვა. მწარედ გამაწნა სილა. ცხვირ-პირში მომხვდა და თვალებში დამცეცხლა.

— უკაცრავად, — თქვა მან. ვიგრძენი, რომ რაღაც უპირატესობა მივიღე.

— ახი იყო ჩემზე.

— ძალიან მწყინს, — თქვა მან, — მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე, რაღაც ისე უხერხულად მომეჩვენა — თითქოს მორჩა თუ არა საღამოზე საქმეს მოწყალების და, დრო იხელთა და... ტკენა კი არ მინდოდა. ხომ არ გეტკინათ?

სიბნელეში შემომცეკეროდა და მათვალიერებდა. გული მომდიოდა. მაგრამ წინასწარვე ვიყავი დაჯერებული, თითქოს ჭადრაკის ყოველი სვლა ადრევე მქონდეს მოფიქრებული.

— ახი იყო ჩემზე, — ვთქვი მე, — სულაც არ მომდის გული.

— საბრალო!

— ხომ ხედავთ, რა სასაცილოდ მიდის ჩემი ცხოვრება. ინგლისურ ლაპარაკსაც კი ვეღარ ვახერხებ. თანაც ისეთი ლამაზი ხართ!

სახეში შევცემოდი.

— რაში გჭირდებათ ამდენი სისულელის მოჩმახვა. აი პატიება გთხოვეთ. შევრიგდით და ეგ არის.

გაიცინა. პირველად ვისმენდი მის სიცილს. სახეში ჩავაშტერდი.

— ძალიან კარგი ხართ, — თქვა მან.

— სულაც არა.

— ხართ. კარგი ხართ. მე თვითონვე გაკოცებდით, თუ ნებას მომცემთ.

თვალებში ჩავხედე, ხელი წელანდელივით შემოვხვიე და ვაკოცე. მაგრად ვაკოცე და მივიხუტე, ვცადე მისი ტუჩების გახსნა, მაგრამ მჭიდროდ ჰქონდა მოკუმული. ჯერ კიდევ არ გადამყროდა გულიდან ბრაზი და რომ ჩავიხუტე, უცებ აცახცახდა. უფრო მაგრად მივიკარი მკერდზე, ვგრძნობდი მისი გულის ცემას, ტუჩები გაეხსნა, თავი უკან გადასწია, მხარზე დამაყრდნო და ატირდა.

— ო, ჩემო ძვირფასო, — თქვა მან, ხომ მუდამ კარგად მომექცევი.

«რა უბედურებაა», — გავიფიქრე გულში. თმაზე ხელი გადავუსვი და ბეჭებზე მოვუთათუნე. ტიროდა.

— ხომ კარგად მომექცევი, ხომ? — სახეში შემომხედა, ძალიან უცნაური ცხოვრება გვექნება.

ცოტა ხნის შემდეგ ვილის კარებისაკენ მივაცილებდი, ის ჰოსპიტალში შევიდა, მე კი გამოვბრუნდი. მივედი შინ და პირდაპირ ჩემი ოთახისაკენ გავსწიე. რინალდი თავის ლოგინში იწვა. შემომხედა.

— მაშ, წინ მიდის საქმე, ჰა? მისს ბარკლისთან?

— ჩვენ მეგობრები ვართ.

— ამძუვნებული ძაღლივითა ხარ ატაცებული.

ვერ გავიგე, რისი თქმა სურდა.

— ვისავითო?

ამიხსნა.

— შენ კიდევ, იმისთანა ძაღლს ჰგავხარ...

— კარგი გეყოფა, — თქვა მან, ნუღარ გამოვთათხავთ ერთმანეთს. გაეცინა.

— ღამე ნებისა, — ვთქვი მე.

— ღამე ნებისა, ჩხუბისთავო.

ბალიში ვესროლე მის სანთელს და სიბნელეში დავწექი.

რინალდიმ სანთელი აიღო, აანთო და კითხვა განაგრძო.

თავი VI

საგუშაგოების დასათვალიერებლად ვიყავით წასული მთელი ორი დღე. როცა დავბრუნდი, ძალიან გვიან იყო, და მისს ბარკლი მეორე დილამდე აღარ მინახავს. ბაღში არ დამიხვდა, და, მანამ დაბლა ჩამოვიდოდა, ჰოსპიტლის კანცელარიაში ველოდებოდი. იმ ოთახში, რომელიც კანცელარიად ჰქონდათ

გამოყენებული, კედლების გასწრივ, ხის შეღებილ კვარცხლბეკებზე, მარმარილოს ბიუსტები იყო ჩამწკრივებული. კანცელარიის წინ, ვესტიბიულშიაც ბლომად იყო ასეთი ბიუსტები. როგორც ყველა მარმარილოს ქანდაკება, ესენიც ერთმანეთსა ჰგავდა, ქანდაკების დანახვაზე გული მომეწურება ხოლმე. ბრინჯაოსი კიდევ ჰო, მარმარილოს ბიუსტები კი მაშინვე სასაფლაოს გამახსენებენ. თუმცა ერთი კარგი სასაფლაოა პიზაში. ყველაზე უხეირო მარმარილოს ქანდაკებები გენუაშია. ეს იყო ვიღაც ძალიან მდიდარი გერმანელის ვილა და ქანდაკებები, ალბათ, კარგა ძვირიც დაუჯდა. საინტერესოა, ვისი ნახელავი იყო ან რამდენი გადაახდევინა. მინდოდა გამერკვია, ოჯახის წინაპრები იყვნენ ესენი თუ სხვა ვინმეები, მაგრამ ყველას ერთნაირი კლასიკური იერი ედო, ვერაფერს ვერ გაუგებდი.

სკამზე ვიჯექი, ხელში ქუდი მეჭირა. გორიციაშიაც კი ლითონის ჩაჩქანის ტარებას გვავალებდნენ, მაგრამ მოუხერხებელიც იყო და მეტისმეტად ბუტაფორიულიც ჩანდა იმ ქალაქში, საიდანაც მოსახლეობის ევაკუაცია არ მოეხდინათ. საგუშაგოზე რომ წავიდოდით, მხოლოდ მაშინ ვიხურავდი, და ინგლისური აირჩინალიც მიმქონდა. ახალი მიღებული გვეკონდა ეს აირჩინალები თუ ნიღბები. მართლაც რომ ნიღბებსა ჰგავდა. ავტომატური პისტოლეტებიც უნდა გვეტარებინა, ექიმებსა და სანნაწილების ოფიცრებსაც კი გვავალებდნენ ამას. სკამის ზურგს მიწოლილი, ახლაც ვგრძნობდი ჩემს პისტოლეტს. უპისტოლეტოდ თუ ნახავდნენ ვინმეს, მაშინვე დააკავებდნენ. რინალდი ტუალეტის ქაღალდით გამოტენიდა ხოლმე პისტოლეტის ბუდეს და ისე დადიოდა. მე ნამდვილს ვატარებდი და მანამ არ გავისროლე, შეიარაღებულადაც მიმაჩნდა თავი. ეს იყო 7,65-კალიბრიანი «ასტრა». მოკლე ლულა ჰქონდა და გასროლის დროს ისე სხლტებოდა, რომ მიზანში მოხვედრებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სროლაში ვარჯიშის დროს სამიზნეზე დაბლა ვიღებდი ნიშანს და ვცდილობდი დამეოკებინა ამ ახირებული ლულის ცმუკვა, ხოლო როცა ოცი ნაბიჯიდან ერთი იარდის ფარგლებში ძლივს მოვახვედრე ტყვია, ჩემთვისაც აშკარა გახდა, რომ პისტოლეტის ტარება საერთოდ სისულელე იყო, მალე დავივიწყე კიდეც და წელზე მქონდა ჩამოკონწიალებული, აღარავითარ გრძნობას არ აღმიძრავდა, გარდა ოდნავი სირცხვილისა, როცა ინგლისელებს ან ამერიკელებს შევხვდებოდი. ვიჯექი ახლა სკამზე, კანცელარიის მორიგე ამრეზით გადმომხედავდა ხოლმე თავისი მერხიდან, მე კი მისს ბარკლის მოლოდინში ვათვალიერებდი მარმარილოს იატაკს, მარმარილოს ბიუსტებს და კედელზე მოხატულ ფრესკებს. უხეირო ფრესკები როდი იყო. ყველა ფრესკა კარგია, როცა საღებავი აიქერცლება და ცვენას იწყებს.

დავინახე, რომ ქეთრინ ბარკლი ვესტიბიულში შემოვიდა, და წამოვდექი. ისე მაღალი აღარ მეჩვენა, ჩემკენ მომავალი, მაგრამ ძალიან კარგი კი იყო.

— საღამო მშვიდობისა, მისტერ ჰენრი.

— გამარჯობა, — ვუთხარი მე. კანცელარიის მორიგე თავისი მერხიდან გვისმენდა.

– აქვე ჩამოვსხდეთ თუ ბალში გავიდეთ?

– გავიდეთ. გარეთ უფრო გრილა.

ქეთრინი წინ გავუშვი და მე უკან მივჰყევი. მორიგემ თვალი გამოგვაყოლა. ხვინჭამოყრილ ბილიკზე რომ გავედით, მისს ბარკლიმ მკითხა:

– სად იყავით?

– საგუშაგოების დასათვალიერებლად.

– არ შეგეძლოთ, ბარათით შეგეტყობინებინათ?

– არა, – ვუთხარი მე. – ვერ მოვახერხე. მეგონა, მაშინვე დავბრუნდებოდი.

– უნდა შეგეტყობინებინათ, ჩემო ძვირფასო.

შევუხვიეთ, ხეების ქვეშ გავჰყევით ბილიკს. ხელები დავუჭირე, შევჩერდით და ვაკოცე.

– არ შეიძლება, სადმე წავიდეთ?

– არა, – თქვა მან, – აქ ვისეირნოთ. რამდენი ხანია, აღარ მოსულხარ.

– მესამე დღეა. მაგრამ ხომ დავბრუნდი!

მან შემომხედა.

– და გიყვარვარ, არა?

– ჰო.

– აკი ასე მითხარი, მიყვარხარო, ხომ?

– დიახ, – ვიცრუე მე, – მიყვარხარ.

პირველად ვეუბნებოდი ამას.

– და ქეთრინს დამიძახებ, ხომ?

– ქეთრინს დაგიძახებ.

ცოტა კიდევ გავიარეთ და ხის ქვეშ შევდექით.

– აბა, თქვი: «ღამით მე ქეთრინთან დავბრუნდი».

– ღამით მე ქეთრინთან დავბრუნდი.

– ო, ჩემო ძვირფასო, ხომ მართლა დამიბრუნდი, ხომ დამიბრუნდი?

– დაგიბრუნდი.

– ისე მიყვარხარ და ისე ძნელი იყო უშენობა! ხომ აღარ წახვალ?

– არა. ყოველთვის დაგიბრუნდები ხოლმე.

– ო, როგორ მიყვარხარ. ისევ აქ დამადევი ხელი.

– არც ამიღია მანდედან ხელი.

ჩემკენ მოვატრიალე, რათა კოცნის დროს სახეში ჩამეხედა. ვნახე, რომ თვალები დაეხუჭა. დახუჭული თვალები დავუკოცნე. ცოტა შერყეულია-მეთქი, ვიფიქრე. მერე რა, იყოს, რა მენაღვლება. იმაზე აღარც დავფიქრებულვარ, თუ რა საქმეში ვეხვეოდი. მაინც ეს ჯობდა ყოველდამე ოფიცერთა საროსკიპო სახლში თრევას, საცა კისერზე ჩამოგეკონწიალებიან ქალები და სიყვარულის ნიშნად შენს ქუდს უკუღმა ჩამოიფხატავენ ხოლმე თავზე. ცოტა ხნის შემდეგ კი სხვა ოფიცრებს უნდა გაჰყვნენ ზემოთ. ვიცოდი, რომ არ მიყვარდა ქეთრინ ბარკლი, არც ვფიქრობდი, ოდესმე შემეყვარებინა. ეს ბრიჯის თამაშსა ჰგავდა, ოღონდ სათამაშო კარტების ნაცვლად აქ სიტყვებს წარმოვთქვამდი. ბრიჯის მსგავსადვე, აქაც ისე უნდა დაგეჭირა თავი, თითქოს

ფულზე ან სხვა რამეზე თამაშობდი. რაზე იყო თამაში, კრინტიც არ დაძრულა. მეც რა მენაღვლებოდა.

— ნეტა სადმე წასვლა შეიძლებოდეს, — ვთქვი მე. სხვა მამაკაცებისა არ იყოს, მეც ძალიან გამიძნელდა ამდენ ხანს ფეხზე დგომელა სიყვარულობის თამაში.

— ვერსად ვერ წავალთ. — თქვა მან. იგი ისევ დაუბრუნდა ამქვეყნიურ სინამდვილეს.

— აქვე დასხდეთ ცოტა ხანს.

ქვის ბრტყელ სკამზე ჩამოვჯექით და ქეთრინ ბარკლის ხელი ავიღე. ხელის მოხვევნა არ დამანება.

— ძალიან დაიღალე? — მკითხა მან.

— არა.

ბალახს გაუშტერა თვალი.

— ბინძური თამაში წამოვიწყეთ, ხომ ასეა?

— რა თამაში?

— თავს წუ ისულელებ.

— განგებ ხომ არ ვისულელებ?!

— შენ კარგი ბიჭი ხარ, — თქვა მან, — და ცდილობ, რაც შეიძლება ლამაზად ითამაშო. მაგრამ მაინც ბინძური თამაშია.

— ყოველთვის ხვდები სხვის ფიქრებს?

— ყოველთვის ვერა. მაგრამ შენს ფიქრებს ვხვდები. რაში გჭირდება, თავი მომაჩვენო, თითქოს გიყვარვარ. მოვრჩეთ ამნაირ ლაპარაკს. რამე უნდა გეთქვა?

— თუკი მართლა მიყვარხარ?!

— რაში გვჭირდება სიცრუე. მშვენივრად ითამაშე შენ და არც არაფერი ცუდი მომხდარა. ხომ ხედავ, არც გიჟი ვარ და არც ხელიდან წასული. ცოტათი წამომივლის ხოლმე ზოგჯერ.

ხელზე ხელი მოვუჭერი.

— ქეთრინ, ძვირფასო!

— რა სასაცილოდა ჟღერს ახლა ეს «ქეთრინი». სულ სხვადასხვანაირად გამოთქვამ. მაგრამ ძალიან კარგი ხარ. ძალიან კარგი ბიჭი ხარ.

— ჩვენი მღვდელიც ამას გაიძახის.

— ჰო, ძალიან კარგი ხარ. ხომ მოხვალ და მნახავ?

— უსათუოდ.

— ნუღარ მეტყვი, მიყვარხარო, რა საჭიროა. ამჯერად ყველაფერი გათავდა.

— წამოდგა და ხელი გამომიწოდა, — მშვიდობით.

კოცნა დავუპირე.

— წუ, — თქვა მან, — საშინლად დავიღალე.

— მაინც მაკოცე, — ვუთხარი მე.

— საშინლად დავიღალე, ძვირფასო.

— მაკოცე.

— ძალიან გინდა?

— ძალიან.

ერთმანეთს ვაკოცეთ, და იგი უცებ გამისხლტა.

_ მორჩა, მშვიდობით, ძვირფასო.

კარებამდე მივაცილე. შევიდა და ვესტიბიული გაიარა. მსიამოვნებდა მისი სიარულის ცქერა. იგი დერეფანში გავიდა. მე შინისკენ გამოვბრუნდი. შეხუთული ღამე იყო და მთებში დიდი ბრძოლა ჰქონდათ. სან გაბრიელზე ხშირ-ხშირად იელვებდა ხოლმე.

ვილა როსას წინ შევდექი. დარაბები დაკეტილი იყო, მაგრამ შიგნიდან ხმაური გამოდიოდა. ვიღაც მღეროდა. შინისკენ გავემართე. მანამ გავიხდიდი, რინალდიც მოვიდა.

_ აჲ, ასეა! _ თქვა მან,_მაშ, კარგად ვერ მიდის საქმე. ბეიბი ცოტათი არეულია.

_ სად იყავი?

_ ვილა როსაში. კაი ჭკუის სასწავლებელია, ბეიბი. ერთად ვმღეროდით. შენ სად იყავი?

_ ინგლისელები მოვინახულე.

_ მადლობა ღმერთს, მე არ გადავეკიდე იმ ინგლისელებს.

თავი VII

მეორე დღეს, საღამო ხანს, მთის პირველი საგუშაგოდან დავბრუნდი და მანქანა გავაჩერე smistimentiს წინ, სადაც დაჭრილებსა და ავადმყოფებს საბუთების მიხედვით ანაწილებდნენ და საბუთებზევე აღნიშნავდნენ, თუ რომელ ჰოსპიტალში უნდა გაეგზავნათ. მანქანას მე თვითონ ვმართავდი, და საჭესთან დავრჩი, საბუთები შოფერმა წაიღო. საშინლად ცხელოდა, ცა გადაკრიალებული და ლურჯი იყო. გზა კი_თეთრი და მტვრიანი. მე ფიატში ვიჯექი, მომაღლოდ, და არაფერზე არა ვფიქრობდი. გზაზე პოლკმა ჩაიარა და მას გავაყოლე თვალი. ხალხი დასიცხულ-გაოფლიანებული იყო. ლითონის ჩაჩქანი ზოგს თავზე ეხურა, უმრავლესობას კი აბგაზე გამოეკრა. მეტისმეტად დიდი ჩაჩქანები იყო და ყურებზე ჰქონდათ ჩამოფხატული. ოფიცერთაგან ყველას ეხურა ჩაჩქანი, ოღონდ უფრო კოხტა და თავზე მორგებული. ეს იყო ბაზილიკატის ბრიგადის ნახევარი. თეთრ-წითელი ზოლებიანი საყელოებით ვიცანი. პოლკმა რამდენი ხანია ჩაიარა, ჩამორჩენილებს კი, რომელთაც ფეხი ვერ აუბეს ამხანაგებს, ბოლო არ უჩანდა. ოფლში გაღვრილნი იყვნენ, მტვრიანნი და ქანცგაწყვეტილნი. ზოგი საცოდავი სანახავი იყო. უკანასკნელმა ჩამორჩენილმა რომ ჩაიარა, გზაზე კიდევ ერთი ჯარისკაცი გამოჩნდა. კოჭლობით მოდიოდა. შედგა და გზის პირას ჩამოჯდა. დაბლა ჩავედი და მივუახლოვდი.

_ რა მოგივიდათ?

შემომხედა, შემდეგ წამოდგა.

- _ მივდივარ.
- _ მაინც, რა მოხდა?
- _ ომია! ამისი...
- _ ფეხზე რა დაგემართათ?
- _ ფეხზე არაფერი. თიაქარი მაწუხებს.
- _ მანქანას რატომ არ გაჰყევით? _ ვკითხე მე, ჰოსპიტალში რად არ მიდიხართ?
- _ არ მიშვებენ. ლეიტენანტი შარსა მდებს, ბანდაჟი ძალათი მოგიხსნიაო.
- _ აბა, გამასინჯეთ.

1 ევაკოპუნქტი (იტალ.).

2 ბაზილიკატა ერთ-ერთი ოლქია იტალიის სამხრეთ ნაწილში.

- _ უკვე გამოსულია.
- _ რომელ მხარეს.
- _ აქა.
- ხელით გავუსინჯე.
 - _ დაახველეთ, _ ვუთხარი მე.
 - _ ვაითუ კიდევ უფრო ჩამომეზარდოს. დილას აქეთ ორჯერ გადიდდა.
 - _ მანქანაში ჩაჯექით, _ ვუთხარი მე, _ დაჭრილების ქაღალდებს რომ მივიღებ, მე თვითონ წაგიყვანთ თქვენს სანნაწილში.
 - _ ძალათი გიქნიაო, მეტყვის.
 - _ ვერაფერსაც ვერ გეტყვის, _ ვუთხარი მე, _ ეს ხომ ჭრილობა არ არის, ალბათ ადრეც გქონდათ, არა?
 - _ ბანდაჟი რომ დავკარგე?!
 - _ ჰოსპიტალში გაგაგზავნიან.
 - _ არ შეიძლება თქვენთან დავრჩე, Tenente?
 - _ არა, საბუთები არა მაქვს თქვენი.
- შოფერი გამოვიდა და დაჭრილების საბუთები გამოიტანა.
- _ ოთხი_ას ხუთში მიდის, ორი_ას ოცდათორმეტში.
- ეს წყალგაღმა ჰოსპიტლები იყო.
 - _ თქვენ დაჯექით საჭესთან, _ ვუთხარი მე. თიაქრიან ჯარისკაცს მივეშველე და გვერდზე მოვისვი.
 - _ ინგლისური იცით? _ მკითხა მან.
 - _ რა თქმა უნდა.
 - _ ამ დაწყევლილ ომზე რას იტყვით?
 - _ დიდი სამაგლობაა.
 - _ სამაგლობა და მერე როგორი! იესო მაცხოვარო, სამაგლობა და მერე როგორი!
 - _ ამერიკაში ყოფილხართ?
 - _ დიახ. პიტსბურგში. მაშინვე მივხვდი, რომ ამერიკელი იყავით.

- რატომ, იტალიური მიჭირს?
 - მაინც მივხვდი, რომ ამერიკელი იყავით.
 - კიდევ ერთი ამერიკელი, – თქვა შოფერმა იტალიურად და თიაქრიანს გადახედა.
 - უსათუოდ პოლკში უნდა მიმიყვანოთ, ლეინტენანტო?
 - უსათუოდ.
 - იმიტომ გეკითხებით, რომ უფროსმა ექიმმა იცის ჩემი თიაქრის ამბავი. ბანდაჟი განგებ მოვიხსენი და სადღაც ჯანდაბაში გადავაგდე, ფრონტზე აღარ მიკრავენ თავს-მეთქი.
 - ვიცი.
 - სხვაგან ვერ მიმიყვანთ სადმე?
 - ფრონტთან ახლოს რომ ვიყოთ, პირველ სამედიცინო პუნქტში მიგიყვანდით. მაგრამ აქ ზურგში ვართ, და საბუთები უსათუოდ საჭიროა.
 - ახლა რომ ისევ იქ დამაბრუნოთ, ოპერაციას გამიკეთებენ და აღარც მომაშორებენ ფრონტს.
- მე ჩავფიქრდი.
- სულ ფრონტზე ყოფნას თქვენც ხომ არ მოისურვებდით? – მკითხა მან.
 - არა.
 - იესო მაცხოვარო, რა ჯანდაბაა ეს ომი!
 - მომისმინეთ, – მივმართე მე, – ჩამოდით მანქანიდან, თავი მიწაზე დაარტყით, კოპი გაგიჩნდებათ. უკან რომ დავბრუნდებით, გამოგივლით და ჰოსპიტალში წაგიყვანთ. ერთი წუთით შევჩერდეთ, აიდო!
- გვერდზე მივაყენეთ მანქანა და შევჩერდით. ჩამოსვლა ვუშველე.
- აქვე დაგიხვდებით, ლეინტენანტო, – მითხრა მან.
 - ნახვამდის, – ვთქვი მე. განვაგრძეთ გზა და თითქმის მთელი მილით უკან მოვიტოვეთ პოლკი. მერე ლანქერით ამღვრეული მდინარე გადავჭირით, რომელიც სწრაფად მიედინებოდა ხიდის ბურჯებს შორის, მინდორიც გადავკვეთეთ და დაჭრილები იმ ორ ჰოსპიტალს ჩავაბარეთ. აქეთობისას მე თვითონვე მივუჯექი საჭეს და ცარიელი მანქანა სწრაფად გამოვაქანე პიტსბურგელი ჯარისკაცისაკენ. ჯერ პოლკს ჩავუარეთ_კიდევ უფრო დასიცხულსა და ზოზინით მომავალს, მერე_ჩამორჩენილებს. ბოლოს სანიტარული კარეტა შევნიშნეთ გზაზე. ორმა კაცმა აიყვანა თიაქრიანი და კარეტაში ჩასვა. მისი გულისთვის დაბრუნებულიყვნენ. თავი გააქნია, რომ დამინახა. ჩაჩქანი მოხდოდა და თმის ძირები სისხლით შეჰდებოდა. ცხვირი გადატყავებოდა და გასისხლიანებულ ნაჭრილობევსა და თმას მტვერი დასდებოდა.
- ხედავთ, რა კოპი დამაჯდა, ლეინტენანტო! – დამიყვირა მან, – რიღას მაქნისია. უკვე დაბრუნდნენ ჩემს წასაყვანად.

ვილაში რომ დავბრუნდი, ხუთი საათი იყო და შხაპის მისაღებად იქითვენ გავემართე, საცა მანქანებს რეცხავდნენ. მერე ჩემს ოთახში პატავი

შევადგინე. ღია ფანჯარასთან ვიჯექი, შარვალგაუხდელი და პერანგისამარა. ორ დღეში შეტევა დაიწყებოდა და პლავას უნდა ჩავსულიყავი მანქანებით. დიდი ხანია ამერიკაში წერილი აღარ გამეგზავნა და ვიცოდი, რომ უსათუოდ საჭირო იყო, მაგრამ ამდენი ხნის მიუწერლობის შემდეგ თითქმის შეუძლებელი გახდა დაწერა. მისაწერიც არაფერი მქონია. Zona di guerra-ს1 რამდენიმე ღია ბარათი გავაგზავნე, საიდანაც ყველაფერი ამოვშალე, გარდა კარგა ყოფნისა. ასე უფრო ჩქარა მიიღებდნენ. ეს ღია ბარათები ძალიან მოეწონებოდათ ამერიკაში – უცნაური და უცხო იქნებოდა მათთვის. ომიც რაღაცნაირად უცნაური და უცხო იყო ამ ზონაში, მაგრამ მე მაინც კარგად მოფიქრებულადა და მკაცრად მეჩვენებოდა იმ ომებთან შედარებით, რაც სხვა დროს ჰქონიათ ავსტრიელებთან. ავსტრიის არმია ნაპოლეონის გამარჯვებისათვის იყო შექმნილი. რომელიც გინდა ნაპოლეონისა. ნეტა ჩვენცა გვყოლოდა ნაპოლეონი, ჩვენ მხოლოდ II Generale Cadorna გვყავდა, ჩასუქებული და სვებედნიერი, და კიდევ Vittorio Emmanuele2 ჩია, ყინტორა კაცი, რომელსაც თხის წვერები უცანცარებდა. გადაღმა არმიაში, მარჯვნივ, ჰერცოგი აოსტა იყო: ისეთი ლამაზი, რომ ვერც იფიქრებდი, მხედართმთავარიაო, მაგრამ ვაჟკაცური შესახედაობა კი ჰქონდა. ბევრი ინატრებდა იმას მეფედ. სწორედ რომ მეფეს ჰგავდა. მეფის ბიძა იყო და მესამე არმიას სარდლობდა. ჩვენ მეორე არმიაში ვიყავით. მესამე არმიაში ინგლისელთა რამდენიმე ბატარეაც შედიოდა. მილანში იმ ბატარეების ორ ინგლისელ არტილერისტს შევხვდი. კარგი ბიჭები აღმოჩნდნენ და კაი საღამოც გავატარეთ. ზორზოხა ბიჭები იყვნენ, მორცხვი და მოხერხებული, თან, რასაც კი ნახავდნენ, ყველაფერი მოსწონდათ. ნეტა მეც ინგლისურ არმიაში მოვხვედრილიყავი. უფრო შინაურულად ვიქენებოდი. მაგრამ აქამდე, ალბათ, მომკლავდნენ. სანიტარულ

1 სამხედრო ზონა (იტალ.).

2 იტალიელი გენერალი ლუიჯი კადორნა (1850_1928) Vitorio Ennanuele, igive Victor Emmanuele_ იტალიის მეფე.

ნაწილში სულ სხვაა. თუმცა სანნაწილშიაც არა ხარ დაზღვეული. აკი ინგლისური სანნაწილის რამდენიმე შოფერიც მოკლეს. მაგრამ ვიცოდი, რომ მე არ მოვკვდებოდი. ამ ომში არ მოვკვდებოდი. ჩემთან არაფერი ესაქმებოდა. კინოში რომ ომებია, იმაზე მეტ საშიშროებად არ მომჩვენებია. მაინც ვთხოვდი ღმერთს, მალე გათავდეს-მეთქი. იქნებ ამ ზაფხულსვე დამთავრდეს. იქნებ გაანადგურონ კიდეც ავსტრიელები, წინა ომებში მუდამ ანადგურებდნენ. ამ ომში რაღა მოუვათ? ფრანგებს უკვე ქანცი გასწყდათო, ყველა ამას გაიძახოდა. რინალდიმაც თქვა, ფრანგი ჯარისკაცები აჯანყდნენ და ჯარი პარიზისკენ გაემართაო. მერე რა მოუვიდა_მეთქი, ვკითხე. დააბრუნესო, მიპასუხა. მინდოდა უომრად მოვხვედრილიყავი ავსტრიაში, მინდოდა შვარცვალდი მენახა, ჰარცის მთებში ავსულიყავი. ნეტა სად არის ეს ჰარცი? ბრძოლები ახლა კარპატებში წარმოებდა, სულაც არ მიმიწევდა იქითკენ გული. თუმცა

საინტერესო კი იქნებოდა. ომი რომ არ იყოს, ესპანეთში წავიდოდი ახლა. მზე უკვე ჩადიოდა და თანდათანობით აგრილდა. ნავახშმევს ქეთრინ ბარკლი უნდა მომენახულებინა. მომინდა ახლა აქ ყოფილიყო, ჩემთან. ნეტა მილანში ვიყოთ ერთად. ივახშმებ კოვაში და მერე ჩამოხუთულ საღამოს, ვია მანცონისაკენ დაუყვები, ხიდს გადასჭრი, არხისკენ შეუხვევ და ქეთრინ ბარკლისთან ერთად სასტუმროსკენ გასწევ. იქნებ გამომყვეს კიდეც. იქნებ სწორედ იმ ჭაბუკად წარმომიდგინოს, რომელიც მას მოუკლეს. შევალთ სადარბაზო შესასვლელიდან, მეკარე ქუდს მოგვიხდის, მე მორიგის მაგიდას მივადგები და გასაღებს გამოვართმევ. იგი ლიფტთან დამელოდება, მერე ლიფტში შევალთ, ნელა დაიძრება ლიფტი, მიცოცავს ზევით, ყველა სართულთან გაიტკაცუნებს, აგერ ჩვენი სართულიც, ბიჭი კარს გვიღებს და გვერდზე გადგება, ქეთრინი გამოდის, მეც გამოვდივარ, დერეფანს დავუყვებით, გასაღებს კარის ჭუჭრუტანაში შევყოფ, გავაღებ, ოთახში შევალთ, ტელეფონის მილს ავიღებ და დავურეკავ, რომ ყინულით სავსე ვერცხლის ვედროთი ერთი ბოთლი კაპრი ბიანკა მოგვიტანონ, დერეფანში ისმის ყინულის ჩხრიალი, ბიჭი კარებზე დააკაკუნებს, მე გავძახებ, მანდვე დადგიმეთქი. იმიტომ, რომ საშინლად ცხელა და ტანსაცმელი უკვე გახდილი გვაქვს, ფანჯრები ღიაა, სახლების სახურავებს მერცხლები დაჰფრენენ, ხოლო როცა დაბნელდება და ფანჯარას მიადგები, პაწაწინა ღამურები დანავარდობენ სახლებსა და ხეებს შორის, ჩვენ კაპრის ვსვამთ, კარები ჩაკეტილი გვაქვს, ცხელა, მარტო ზეწარი და მთელი ღამე, და ჩვენ მთელი ღამე ერთმანეთი გვიყვარს იმ სიცხეში, მილანში. ასე უნდა მოხდეს. სწრაფად ვივახშმებ და ქეთრინ ბარკლის მოვინახულებ.

ბევრი იყბედეს ვახშამზე, მე ღვინო ვსვი, რადგან ძმები აღარ ვიქნებოდით, ცოტაოდენი რომ არ დამელია იმ ღამეს. მთავარეპისკოპოს აირლენდზე ვესაუბრებოდი მღვდელს. ეტყობოდა, კეთილშობილი კაცი უნდა ყოფილიყო ეს ეპისკოპოსი. ვსაუბრობდით, თუ რა უკუღმართად დაუტრიალდა ბედი, როგორ უსამართლოდ მოექცენენ. როგორც ამერიკელს, ამაში ცოტათი მეც მიმიძღოდა ბრალი, მაგრამ არაფერი გამეგებოდა მთელი ამ საქმისა, თუმცა თავს ისე ვიჭერდი, თითქოს ყველაფერი ვიცოდი. უზრდელობაში ჩამომერთმეოდა, არაფერი რომ არ მცოდნოდა ამ ამბებისა, რის თაობაზეც ასეთ ბრწყინვალე განმარტებას ვისმენდი და რაც, ეტყობოდა, გაუგებრობაზე იყო დაფუძნებული. მშვენიერი სახელი ჰქონია-მეთქი, გავიფიქრე, თანაც მინესოტელი იყო და კიდევ უფრო ლამაზი გამოდიოდა მისი სახელი _ აირლენდ მინესოტელი, აირლენდ უინსკონსინელი, აირლენდ მიჩიგანელი. ეშხს, მე მგონი, ის მატებდა, რომ სიტყვა აირლენდი ინგლისურ «აილენდივით» გამოითქმის1. არა, ეგ რა მოსატანია. აქ უფრო მნიშვნელოვანი რაღაც იმალება. დიახ, მამაო. ჭეშმარიტად, მამაო. ალბათ, მამაო. არა, მამაო. ვინ იცის, იქნებ ასეც იყოს, მამაო. თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, მამაო. კარგი კაცი იყო მღვდელი, მაგრამ მოსაწყენი. ოფიცრები კარგები არა ყოფილან, მაგრამ

მოსაწყენი იყვნენ. მეფე კარგი იყო, მაგრამ მოსაწყენი. ლვინო ცუდი იყო, მაგრამ მოსაწყენი არ ყოფილა. კბილებს ემალს აცლიდა და სასაზე ტოვებდა.

1 Island – კუნძული (ინგლ.).

– ადგნენ და ჩასვეს მღვდელი, _თქვა როკამ, _სამპროცენტიანი ქაღალდები უპოვეს. საფრანგეთში, რა თქმა უნდა. აქ ვინ ახლებდა ხელს. იფიცებოდა, ხუთპროცენტიანისა არაფერი გამეგებაო. ეს ბეზიეში1 მოხდა. მეც იქ ვიყავი მაშინ და გაზეთში რომ წავიკითხე ეს ამბავი, ციხეში მივვარდი, მღვდელი მაჩვენეთ-მეთქი, ვთხოვე. აშკარა იყო, რომ ქაღალდები მოპარული ჰქონდა.

1 სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქი.

– ერთი სიტყვაც ვი არა მჯერა, _თქვა რინალდიმ.
– თქვენი ნებაა, _მიუგო როკამ, _ მე მღვდლის გასაგონად ვყვები, ჭკუის სასწავლებელია. ეგეც ხომ მღვდელია, დააფასებს.
მღვდელმა გაიღიმა.
– განაგრძეთ, _ თქვა მან, _ მე გისმენთ.
– რაღა სათქმელია, რომ ყველაფერი ვერ უნახეს, მაგრამ სამპროცენტიანი რაც იყო, სულ მას აღმოაჩნდა, რაღაც ადგილობრივი ობლიგაციებიც, აღარ მახსოვს, რა ობლიგაციები იყო. ჰოდა, მივედი ციხეში, _ ნამდვილი ამბავი ახლა იწყება, _ მივედი და მის საკანთან ავიტუზე. თითქოს აღსარებისთვის მივსულიყავი, ისე ვუთხარი _ «დამლოცე, მამაო, რამეთუ შეგიცოდავს შენ».
ხარხარი ატყდა.

– რაო, მერე? _ ჰეკითხა მღვდელმა.
როკამ ყური არ ათხოვა მღვდლის სიტყვებს და მე დამიწყო ამ ხუმრობის განმარტება. _ ხომ მიხვდით, სად არის ამ ამბის ეშხი? _ ეტყობოდა, მართლაც ძალიან სასაცილო ხუმრობა იყო, კარგად თუ გაიგებდი მთელ არსს. კიდევ დამისხეს ღვინო, და ახლა მე მოვყევი ერთი ინგლისელი ჯარისკაცის ანეკდოტს, რომელიც შხაპის ქვეშ შეაგდეს. მერე მაიორი მოყვა თერთმეტი ჩეხოსლოვაკელისა და უნგრელი კაპრალის ამბავს. კიდევ დავლიერ ცოტაოდენი და იმ ჟოკეის ამბავს მოვყევი, რომელმაც ჰენიანი იპოვა. მაიორმა თქვა, ერთი იტალიური ანეკდოტია, ჰერცოგის ცოლზე, რომელსაც მთელი ღამეები არ ეძინაო. მღვდელი ადგა და წავიდა, და მე გავიხსენე ერთი ანეკდოტი კომივოიაჟორის შესახებ, რომელიც დილის ხუთ საათზე ჩავიდა მარსელში, როცა ცივი ქარი უბერავდა. მაიორმა მითხრა: ხმა გავარდა, რომ შენ სმა შეგძლებიაო. მე უარვპყავი ეს. მართალია, _ დაიუნა მაიორმა, და, ბახუსის მადლმა, ახლავე შევამოწმებთ _ ნამდვილად ასეა თუ არაო. ოღონდ ბახუსს ნუ ფიცავ, ბახუსი ნუ გინდა-მეთქი. არა, სწორედ ბახუსიო. ბასი ფილიპო ვინჩენცას უნდა ჩავსდიო ღდინში და რასაც მე დავლევ, მაგასაც უნდა შევასვა-მეთქი. ბასიმ თქვა, ეგ რა შემოწმება იქნება, მე უკვე შენზე ორჯერ მეტი მაქვს

დალეულიო. საზიზდარი სიცრუეა-მეთქი, მე ვუთხარი, და ბახუსი იქნება თუ არ იქნება ბახუსი, ფილიპო ვინჩენცა ბასია თუ ბასი ფილიპო ვინჩენცაა, სულ ერთია_ღვინოზე დღეს პირი არ დაუკარებია, და ბოლოს და ბოლოს მაგის სახელიც გამაგებინეთ-მეთქი. შენ რაღა გქვიაო, მკითხა _ ფრედერიკო ენრიკო თუ ენრიკო ფედერიკო? ჯანდაბამდის გზა ჰქონია ბახუსს, ვისაც ძალა შესწევს, იმან გაიმარჯვოს-მეთქი, და მაიორმა წითელი ღვინით შეგვივსო ტოლჩები. ნახევარი კი დავლიე და მეტი აღარ მომინდა. გამახსენდა, სადაც უნდა წავსულიყავი.

- _ ბასიმ მაჯობა, _ ვთქვი მე, _ ჩემზე ყოჩალი ყოფილა. მე უნდა წავიდე.
- _ მართლა უნდა წავიდეს, _ თქვა რინალდიმ, _ პაემანი აქვს დანიშნული. მე ყველაფერი ვიცი.
- _ უნდა წავიდე.
- _ სხვა დროისთვის გადავდოთ, _ მითხრა ბასიმ, _ სხვა დროისთვის, როცა უფრო გამაგრდები.

მხარზე მომითათუნა ხელი. მაგიდაზე სანთლები ენთო. ოფიცრები ძალიან ბედნიერად გრძნობდნენ თავს.

- _ ღამე ნებისა, ბატონებო, _ ვთქვი მე.
- რინალდიმ გამომაცილა. კარებთან შევდექით.
- _ მთვრალი ნუ წახვალ.
- _ მთვრალი არა ვარ, რინინ. მართლა გეუბნები.
- _ ყავა მაინც დაგეღეჭა.
- _ სისულელეა.
- _ მე თვითონ მოგიტან, ბეიბი. შენ აქ გაიარ-გამოიარე.
- დაბრუნდა და ერთი მუჭა მოხალული ყავის მარცვლები მოიტანა.
- _ დაღეჭე, ბეიბი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.
- _ ბახუსმა, _ ვთქვი მე.
- _ გამოგყვები.
- _ ძალიან კარგადა ვარ.

ერთად გამოვედით ქალაქში, მე ყავას ვღეჭავდი. ინგლისელთა ვილის შესახვევთან რინალდი გამომეტვიდობა.

- _ მშვიდობით, _ ვუთხარი მე, _ შენც წამოსულიყავი.
- თავი გააქნია:
- _ არა, _ თქვა მან, _ მე უფრო მსუბუქი გასართობები მიყვარს.
- _ ყავისათვის მადლობელი ვარ.
- _ მადლობადაც არ ღირს, ბეიბი.

ხეივანს დავუყევი. გზის აქეთ-იქით ჩამწკრივებული კვიპაროსები მკაფიოდ და გამოკვეთილად ჩანდა. უკან მოვიხედე. რინალდი იდგა, მე მიყურებდა. ხელი დავუქნიე.

მისაღებ ოთახში ვიჯექი და ქეთრინ ბარკლის ველოდებოდი. ვესტიბიულში ფეხის ხმა გაისმა. წამოვდექი, მაგრამ ქეთრინი არ აღმოჩნდა. მისს ფერგიუსონი იყო.

- _ ჰალო, _ თქვა მან, _ქეთრინმა დამაბარა, ძალიან ვწუხვარ, რომ ამაღამ თქვენი ნახვა არ შემიძლიაო.
- _ სამწუხაროა. იმედი მაქვს, ავად არ იქნება.
- _ ცოტა უქეიფოდ არის.
- _ ვერ ეტყვით, რომ ძალიან მეწყინა?
- _ ვეტყვი.
- _ როგორ გგონიათ, ხომ არ აჯობებს, ხვალ დილით ვნახო.
- _ მობრძანდით.
- _ დიდი მადლობელი ვარ, _ ვთქვი მე. _ ღამე ნებისა.

გამოვბრუნდი და ერთხაშად ვიგრძენი მარტოობა და სიცარიელე. არაფრად ვაგდებდი ქეთრინის ნახვას, გამოვთვერი და მისვლაც კინაღამ დამავიწყდა, მაგრამ ნახვა რომ ვერ მომიხერხდა, უცებ სიმარტოვე ვიგრძენი.

თავი VIII

მეორე დილას გავიგეთ, რომ ღამით მდინარის სათავეებში შეტევას დაიწყებდნენ და ჩვენც იქით უნდა გავმგზავრებულიყავით ოთხი მანქანით. არავინ იცოდა, რა მოხდებოდა, თუმცა დიდის რიხით კი ლაპარაკობდნენ და ამჟღავნებდნენ თავიანთ სტრატეგიულ ცოდნას. მე პირველ მანქანაში ვიჯექი და ინგლისელთა ჰოსპიტალს რომ ჩავუარეთ, შოფერს მანქანა გავაჩერებინე. დანარჩენი მანქანები დაამუხრუჭეს. გადმოვხტი და შოფერს ვუთხარი, წასულიყვნენ_თუ მანამდე ვერ დავეწეოდით, კორმონის გზაჯვარედინზე დაგვლოდებოდნენ. ჩქარი ნაბიჯით ავიარე ხეივანი და ვესტიბიულში მისს ბარკლი მოვიკითხე.

- _ მორიგეა.
- _ ერთი წუთით არ შეიძლება ვნახო?
- მორიგე გაგზავნეს, რომელიც მალევე დაბრუნდა, მისს ბარკლისთან ერთად.
- _ ამბის გასაგებად შემოვიარე, როგორ არის-მეთქი. მორიგეაო, მითხრეს და ვთხოვე, გამოეძახებინე.
- _ მშვენივრად ვარ, _ თქვა მან, _ გუშინ, ალბათ, მზემ თუ დამკრა.
- _ უნდა წავიდე.
- _ ერთი წუთით გამოგაცილებ.
- _ მართლა კარგად ხარ?_ვკითხე მე, როცა გარეთ გამოვედით.
- _ კარგად, ძვირფასო. დღეს მოხვალ?
- _ ვერა. მივდივარ, პლავაზე ამაღამ დიდი სეირი იქნება.
- _ სეირი?
- _ არა მგონია, რამე სერიოზული მოხდეს.
- _ როდისღა დაბრუნდები?
- _ ხვალ.
- რაღაც მოიხსნა ყელზე, უბიდან ამოაცურა და ხელში ჩამიდო.

- _ წმიდა ანტონია, _ მითხრა მან, _ ხვალ საღამოს მოდი.
- _ შენ ხომ კათოლიკე არა ხარ?
- _ არა, მაგრამ წმიდა ანტონი ყველას იფარავსო, გამიგონია.
- _ შენი ხათრით გაუფრთხილდები. მშვიდობით.
- _ ნუ, ნუ მემშვიდობები.
- _ კარგი, აგრე იყოს.
- _ ჭიუით იყავი, თავს გაუფრთხილდი. აჰ, აქ კოცნა როგორ იქნება, არ შეიძლება.
- _ აგრე იყოს.

უკან მოვიხედე. იგი ისევ კიბეზე იდგა. ხელი დამიქნია, მე კოცნა გავუგზავნე. კიდევ დამიქნია ხელი, ამასობაში ხეივანს გამოცდი, მანქანაში ჩავჯერი და დავიძარით. წმიდა ანტონი თეთრი ლითონის პატარა მედალიონში იდო. გავხსენი მედალიონი და წმიდანის გამოსახულება ხელისგულზე გადმოვაგდე.

- _ წმიდა ანტონია? _ მკითხა შოთერმა.
- _ ჰო.
- _ მეცა მაქვს, _ მარჯვენა ხელი საჭეს უშვა, ღილი გაიხსნა და პერანგის უბიდან ასეთივე მედალიონი ამოაძრო.

— ხედავთ?
მე ჩემი წმიდა ანტონი ისევ მედალიონში ჩავაბრუნე, წვრილი ოქროს ძეწკვი ერთმანეთს გადავაბი და გულის ჯიბეში ჩავიდე.

- _ კისერზე არ იკიდებთ?
- _ არა.
- _ ჯობს ჩამოიკიდოთ. ისე რა აზრი აქვს.
- _ აგრე იყოს. — ვთქვი მე. ძეწკვი გავხსენი, კისერზე შემოვიბი და ისევ დავკეტე. წმიდანი ფორმის ტუნიკაზე ჩამომეკიდა, გარედან. საკინძი გავიხსენი და პერანგის უბეში ჩავაცურე. მივდიოდით და ერთხანს ვგრძნობდი ლითონს მკერდზე. მერე გადამავიწყდა. დაჭრის შემდეგ აღარ მინახავს. ალბათ, რომელიმე შესახვევ პუნქტზე თუ შემხსნა ვინმერ.

ხიდი რომ გადავჭირით, სისწრაფესაც ვუმატეთ, და მალე გზაზე სხვა მანქანების მტვერი შევნიშნეთ. მოსახვევში სამივე მანქანა გავარჩიეთ, პაწაწკინები ჩანდა, ბორბლებიდან მტვერი გამოდიოდა და ხეებს ედებოდა. წამოვეწიეთ, გავუსწარით და მთებისაკენ შევუხვიეთ. მანქანების ქარავანში სიარული არაფერი ცუდი არ არის, წინა მანქანაში თუ ზიხარ. მეც კარგად მოვეწყვე შოთერის გვერდით და აქეთ-იქით ყურებას მოვჰყევი. მთის ძირში მივდიოდით, მდინარის გასწვრივ, და რაც უფრო მაღლა და მაღლა იწევდა გზა, მით უფრო გამოკვეთილად მოჩანდა ჩრდილოეთის მთების მაღლი მწვერვალები, რომელთაც ისევ შემორჩენოდა თოვლი. უკან მოვიხედე და დავინახე, როგორ მოცოცავდა ის სამი მანქანა, რომელთაც ერთმანეთისაგან მტვრის კორიანტელი ჰყოფდა. დასაპალნებული ჯორების დიდ ქარავანს

ჩავუარეთ. წითელ ფესდაკოსებული ჩალვადრები გვერდზე მოსდევდნენ ჯორებს. ესენი ბარსელიერები 1 იყვნენ.

1 ბარსელიერები _ მსროლელთა შენაერთები იტალიის არმიაში, დაარსებული, დაახლოებით, 1850 წელს, ვიქტორ ემანუელ II-ის მიერ. შემდგომ, უმთავრესად, მოტოშენაერთებს ეძახდნენ ასე.

ჯორებს გარდა აღარაფერი შეგვხვედრია გზაში. ავიარეთ მთები და მერე გრძელ კალთაზე დავეშვით ტაფობისაკენ. გზის ორივე მხარეს ხეები იყო ჩამწკრივებული და მარჯვნივ, ხეების იქით, დაბლა, გამოჩნდა მდინარე _ ანკარა, თხელი და სწრაფი. კალაპოტი ვიწრო ჰქონდა ამ მდინარეს და ქვიშითა და კენჭებით მოფენილ ხევზე მიიკლავნებოდა. ზოგან გაიშლებოდა კენჭების სარეცელზე და ათინათივით აციმციმდებოდა. ზედ ნაპირზე თვალი მოვკარი ღრმა ორმოებს, რომლებშიაც წყალი ცასავით ლურჯი ჩანდა. შევნიშნე აგრეთვე თაღებად გადებული ქვის ხიდები; გზიდან ამ ხიდებამდე საცალფეხო ბილიკები იყო გაკვალული; ჩავუარეთ მინდორში აქა-იქ ამოშვერილ ყორეებსა და ქვის ქოხმახებს, რომელთაც სამხრეთის კედლის გასწვრივ მსხლის ხეები კანდელაბრებივით ჰქონდა შემომწკრივებული. დიდხანს მივდიოდით ამ გზით მინდვრის გასწვრივ, მერე კი შევუხვიერ და ისევ მთების კალთებს ავყევით. ათსნაირად დაკლავნილ-დაგრეხილი და დაკიდული გზა იყო წაბლის ტყეში, მანამ ქედზე აივაკებდი. ზემოდან რომ გადახედავდი, შორს, დაბლა, მზეზე ლაპლაპებდა დაკლავნილი მდინარე, რომელიც ორ არმიასა ჰყოფდა. ქედის გაყოლებაზე გავჰყევით ახალგაჭრილ მოკირწყლულ სამხედრო გზას, და ჩრდილოეთით, მზით საამურად გაბრწყინებულ მარადთოვლიანი მწვერვალების ძირში დავინახე გრძლად გაჭიმული ორი მთაგრეხილი _ მწვანე და ჩამუქებული. მერე, როცა ისევ დაიწყო შეღმართი, მესამე მთაგრეხილიც გამოჩნდა_უცნაურად დანაოჭებული, ცარცივით თეთრი, მაღალი თოვლიანი მთები; ამ მთებს იქით, შორს, კიდევ მოჩანდა მთები, მაგრამ დანამდვილებით ვერ იტყოდი, მართლა მთები იყო თუ ასე გეჩვენებოდა. ეს იყო ავსტრიის მთები, ჩვენი მთები იმათ არ ჰგავდა. წრიულად უხვევდა გზა მარჯვნივ და ტყის სიმეჩერებში მე დავინახე დაკეცილი შარა, რომელიც დაბლა ეშვებოდა. ამ გზაზე მიედინებოდნენ ჯარის ნაწილები, საბარგო მანქანები, სამთო ზარბაზანაკიდებული ჯორები... ჩვენ გზის კიდეს მივყვებოდით და სადღაც უფსკრულში ვხედავდი მდინარეს, მდინარის გაყოლებაზე გაჭიმულ ლიანდაგსა და განძელებს, ძველ ხიდს, რომელზედაც რკინიგზის ხაზი გადიოდა, და მდინარის გაღმა შეფენილი პატარა ქალაქის ნანგრევებს. სწორედ ეს ქალაქი უნდა აგველო.

თითქმის ბნელოდა, როცა დაბლა დავეშვით და გავედით მთავარ გზაზე, რომელიც მდინარეს მიჰყვებოდა.

გზა გაჭედილი იყო, და აქეთ-იქით ნეჭისა და ჩალის ჭილოფები გაეჭიმათ, ზემოდაც ასეთივე ჭილოფი იყო გადაფარებული, გეგონებოდა, ცირკში ან ველურების სოფელში შედიხარო. ფრთხილად გავიარეთ ეს ჭილოფების გვირაბი და გავედით გატიტვლებულ ადგილზე, სადაც ადრე რკინიგზის სადგური მდგარა. გზა აქედან მდინარის დონეზე უფრო ჩავარდნილი იყო და გზის გაყოლებაზე სულ სანგრები გაეთხარათ, ქვეითი ჯარი განლაგებულიყო ამ სანგრებში. მზე ჩადიოდა, და გაღმა ნაპირს რომ ავხედე, მთის თავზე ავსტრიელების სათვალთვალო აეროსტატები დავინახე, რომლებიც ახლა ჩრდილში მოქცეულიყო. მანქანები აგურის ქარხნის ნანგრევებს იქით დავაყენეთ. ქარხნის ღუმელები და რამდენიმე ღრმა ორმო შესახვევ პუნქტებად იყო მოწყობილი. ექიმთაგან სამს ვიცნობდი. მთავარმა ექიმმა მითხრა, შეტევა რომ დაიწყება და თქვენი მანქანები დაჭრილებით გაივსება, ამ შენიღბულ გზას გაჰყებით, მთავარ გზაზე გახვალთ და, როცა აივაკებთ, საგუშაგო დაგხვდებათ, საიდანაც დაჭრილებს სხვა მანქანები წაიყვანსო. იმედი ჰქონდა, გზა არ ჩაიხერგებაო. ეს ერთი გზა იყო აქა და იმიტომ შეენიღბათ, რომ ავსტრიელები გაღმიდან ყველაფერს ხედავდნენ, აგურის ქარხნის ეზოში თოფისა და ტყვიამფრქვევებისაგან მდინარის შემაღლებული ნაპირი გვიფარავდა. მდინარეზე ერთადერთი დალეჭილი ხიდი იყო. არტილერიის ცეცხლი რომ გაიხსნებოდა, მეორე ხიდის გადებასაც აპირებდნენ, ჯარის ნაწილი კი ფეხით გადაჭრიდა ფონს, იქ, სადაც მდინარე უხვევს. მთავარი ექიმი დაბალ-დაბალი, ულვაშაბზეკილი კაცი იყო. ლიბიის ომში მიეღო მონაწილეობა და მკერდზე ორი ჭრილობის ზოლი ეკრა. თუ კარგად დაგვიტრიალდა საქმე, ჯილდოზე წარგადგენო, შემპპირდა. საქმე რომ კარგად წავა, მაგის იმედი კი მაქვს, მაგრამ თქვენ მეტისმეტ სიკეთეს იჩენთ-მეთქი. მერე ვკითხე, დიდი სანგარი ხომ არსად იქნებოდა, რომ შოფრები მოგვეთავსებინა შიგ. ჯარისკაცი გამატანა, ეს გაჩვენებსო. გავჰყევი ჯარისკაცს და მართლაც მაჩვენა სანგარი. ძალიან კარგი იყო. შოფრები კმაყოფილი დამირჩნენ და იქვე დავტოვე. მთავარმა ექიმმა მთხოვა, აგერ კიდევ ორი ოფიცერი არის და ერთად დავლიოთო. რომი დავლიეთ და მეგობრულად შევეტკბეთ ერთმანეთს. გარეთ თანდათან ჩამობნელდა და მე ვიკითხე, შეტევას როდის დაიწყებენ-მეთქი. როგორც კი დაბნელდებაო. მიპასუხეს. შოფრებთან დავბრუნდი. ჩამსხდარიყვნენ სანგარში და მუსაიფი გაებათ. მე რომ მივედი, გაჩუმდნენ. თითო კოლოფი სიგარეტი დავურიგე, «მაკედონია». ისე სუსტად იყო დატენილი, რომ თუთუნი ცვიოდა, და მანამ მოუკიდებდი, ბოლოები უნდა დაგეგრიხა. მანერამ თავისი სანთებელა გაჰკრა და ყველას მოუკიდა. ფიატის რადიატორსა ჰგავდა ეს სანთებელა. რაც მე გავიგე, შოფრებსაც ვუთხარი ყველაფერი.

- _ საგუშაგო რატომ არ ვნახეთ აქეთობისას? _ იკითხა პასინიმ.
- _ სწორედ იმ მოსახვევის გაღმა იყო, ჩვენ რომ მოვუხვიეთ.
- _ დომხალივით აირევა ყველაფერი ამ გზაზე, _ თქვა მანერამ.
- _ გადმოგვაყრევინებენ ყველაფერს...

- _ რას იზამ.
- _ საჭმლის საქმე როგორდა იქნება, ლეიინტენანტო? როცა დაიწყება, ჭამის თავი ვიღას ექნება!
- _ ახლავე წავალ და გავიგებ, _ ვთქვი მე.
- _ სულ აქ უნდა გვამყოფოთ, თუ შეგვიძლია გამოვიდეთ და თვალს წყალი დავალევინოთ?
- _ ჯობს აქვე დარჩეთ.

ისევ მთავარი ექიმის სანგარში დავბრუნდი. საცაა მოგვადგება საველე სამზარეულო, მოვიდნენ შოფრები და თავიანთი წილი მიიღონ, მითხრა მაიორმა. ქვაბურები თუ არა აქვთ, მე მივცემო. მე მგონი, აქვთ-მეთქი. ვუპასუხე. შოფრებთან მივბრუნდი და შევატყობინე, როგორც კი მოიტანენ საჭმელს, მე თვითონვე მოგაკითხავთ-მეთქი. ნეტა ბრძოლის დაწყებამდე მოიტანდნენ, თქვა მანერამ. ისე გამოვედი, რომ ხმაც არ გაუღიათ. მექანიკოსები იყვნენ და ომი სძულდათ.

მანქანებისკენ გავსწიე და დავათვალიერე, მივიხედ-მოვიხედე, ირგვლივ რა ხდება-მეთქი, მერე ჩემს ოთხ შოფერს დავუბრუნდი სანგარში. მიწაზე ვისხედით, კედელს მიყრდნობილი, და ვაბოლებდით. გარეთ თითქმის ბნელოდა. სანგარში მიწა თბილი და მშრალი იყო, მხარებით მივაწექი კედელს და კუნთები მოვადუნე.

- _ შეტევაზე ვინ უნდა გადავიდეს? _ იკითხა გავუციმ.
- _ ბარსელიერები.
- _ მარტო ბრესელიერები?
- _ მგონი.
- _ იქ იმდენი ჯარი არა ჰყავთ, რომ ნამდვილი შეტევა დაიწყონ.
- _ ალბათ, ყურადღება უნდათ მიიქციონ, ნამდვილ შეტევას კი სადმე სხვაგან დაიწყებენ.
- _ ჯარისკაცებმა თუ იციან მერე ეს?
- _ არა მგონია.
- _ მაგას ვინ ეტყვის, _ თქვა მანერამ, _ რომ გაიგონ, არც იბრძოლებენ.
- _ ისე იბრძოლებენ რომ... _ შენიშნა პასინიმ, _ ბარსელიერები ტუტუცები არიან.
- _ მამაცი ჯარისკაცები არიან და დისციპლინიანი, _ ვთქვი მე.
- _ ჯანიანი ხალხია, მხარებჭიანი. მაგრამ ტუტუცები მაინც არიან.
- _ გრენადერებიც რა წერწეტა ბიჭები არიან! _ თქვა მანერამ. ეს ხუმრობით იყო ნათქვამი. ყველას გაეცინა.
- _ თქვენც იქ იყავით, Tenente, შეტევაზე რომ უარი თქვეს და ყოველი მეათე კაცი დაუხვრიტეს?
- _ არა.
- _ ასე იყო. ჩაამწკრივეს და ყოველი მეათე კაცი გამოუცხრილეს. კარაბინერებმა დახვრიტეს.

- _ კარაბინერები! _ თქვა პასინიმ და მიწაზე გადააფურთხა. _ ეს გრენადერები ექვსი ფუტის სიმაღლისა არიან. უარი თქვეს შეტევაზე.
 - _ ყველა რომ უარს იტყოდეს, ომსაც ბოლო მოედებოდა, _ თქვა მანერამ.
 - _ ეგ სულაც არ აწუხებდათ გრენადერებს. შეეშინდათ. ოფიცრები კარგი ოჯახიშვილები იყვნენ ყველანი.
 - _ ზოგი ოფიცერი მარტო გავიდა.
 - _ ორ ოფიცერს არ უნდოდა წასვლა და სერქანტმა იქვე მიახვრიტა.
 - _ ზოგი ნაწილი პირდაპირ წავიდა.
 - _ ვინც წავიდა, არც გაუმწკრივებიათ, მეათე-მეათე კაცის დასახვრეტად.
 - _ ერთი ჩემი მეზობელიც დახვრიტეს კარაბინერებმა, _ თქვა პასინიმ, _ მოსული ბიჭი იყო, კოხტა, ნამდვილი გრენადერი. სულ რომში იყო, სულ ქალებში, სულ კარაბინერებში. _ გაიცინა, ახლა ხიშტიანი გუშაგი უდგათ სახლის კარებთან და ვეღარავის უნახავს დედამისი და მამამისი. მამამ ყოველგვარი უფლება დაკარგა, ხმასაც კი ვეღარ მისცემს. კანონი აღარ იფარავს. ყველას შეუძლია წაჰავოს ქონება.
 - _ შიში რომ არ ჰქონდეთ _ ოჯახი ამისთანა დღეში ჩავარდებაო, ერთიც კი არ წავიდოდა შეტევაზე.
 - _ ასეა. ალპიელები წავიდოდნენ, V. E1-ს ჯარისკაცები წავიდოდნენ. ზოგი ბარსელიერიც.
 - _ ბარსელიერებმაც ხომ მოჰკურცხლეს! ახლა ცდილობენ დაივიწყონ.
 - _ ამისთანა ყბედობის ნებას რატომ გვაძლევ, Tenente? Evviva Iesercito!2_ირონიულად თქვა პასინიმ.
-

1 V. E. – ვიტორიო ემანუელის.

2 გაუმარჯოს არმიას (იტალ.).

- _ პირველად ხომ არ მესმის თქვენი ლაპარაკი, _ ვთქვი მე, მაგრამ მანამ მანქანას მართავთ და წესიერად იქცევით...
- _ ...და არც სხვა ოფიცრების გასაგონად ლაპარაკობთ, დაამთავრა მანერამ.
- _ ჩემი რწმენით, ომი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ, _ ვთქვი მე, _ მხოლოდ ერთმა მხარემ რომ შეწყვიტოს ბრძოლა, ომს რა გაათავებს. უარესი იქნება, ბრძოლა რომ შევწყვიტოთ.
- _ ამაზე უარესი რაღა უნდა იყოს, _ მოკრძალებით თქვა პასინიმ, _ ომზე უარესი რა იქნება?!
- _ დამარცხება.
- _ არა მგონია, _ ისევ ისეთივე მოკრძალებით თქვა პასინიმ, აბა, რა არის დამარცხება? შინ დაბრუნდები.
- _ მტერი კი ფეხდაფეხ გამოგყვება. სახლს წაგართმევს, დებს მოგტაცებს.
- _ არა მგონია, _ თქვა პასინიმ, _ ყველას ვერ უზამენ ამას. ყველამ თავისი თავი დაიცვას. დები სახლში გამოკეტოს.

_ ჩამოგახრჩობენ. გაგქაჩავენ და ისევ ჯარში გიკრავენ თავს. სანიტარულ
მანქანაზე კი აღარ წამოგასკუპებენ – ქვეითში გადაგაგდებენ.

_ ყველას ხომ არ ჩამოახრჩობენ!

_ უცხო სახელმწიფომ როგორ უნდა გაომოს, _ თქვა მანერამ, _ პირველივე
ბრძოლაში შემოეფანტება ხალხი.

_ ჩეხებისა არ იყოს.

_ მე როგორც ვატყობ, არ იცით, რას ნიშნავს დამარცხება და იმიტომ
გგონიათ ასე იოლი.

_ Tenente, _ თქვა პასინიმ, _ აკი თქვენ თვითონვე დაგვრთეთ ლაპარაკის
ნება. ახლა მოგვისმინეთ. ომზე უარესი რა შეიძლება იყოს. სანნაწილეში ვერც
კი წარმოგვიდგენია, რა არის ომი. მაგრამ როცა ხალხი წარმოიდგენს ომის
მთელ საშინელებას, გვიანდა იქნება, ვეღარაფერს გახდება, რადგან უკვე ჭკუასა
ჰკარგავს. ზოგიერთი თავის დღეშიაც ვერ წარმოიდგენს ამ საშინელებას. ზოგს
თავიანთივე ოფიცრებისა ეშინია. სწორედ ამისთანა ხალხისთვისაა ომი
მოგონილი.

_ მეც ვიცი, რომ საშინელია, მაგრამ ბოლო ხომ უნდა მოვაბათ!

_ ვერ მოაბამთ ბოლოს. ომს ბოლო არა აქვს.

_ როგორ არა აქვს.

პასინიმ თავი გააქნია.

_ ომს გამარჯვებით ვერ მოიგებ. ვთქვათ, სან გაბრიელი ავიღეთ. ვთქვათ,
კარსოც ავიღეთ, მონფალკონიცა და ტარიესტიც! მერე რა! ის გადაღმა მთები
ხომ დაინახეთ დღეს? იქნებ იმათი აღების იმედიც გქონდეთ! ავსტრიელებმა
თუ დაანებეს ბრძოლას თავი, მაშინ მართლა ავიღებთ. ერთ-ერთმა მხარემ
უნდა შეწყვიტოს ბრძოლა. ბარემ ჩვენ შევწყვიტოთ. ისინი თუ შემოვიდნენ
იტალიაში, დაიღლებიან და უკანვე გაბრუნდებიან. თავიანთი ქვეყანა აქვთ.
მაგრამ საქმე არა გაქვს _ უსათუოდ უნდა იომო!

_ ნამდვილი ორატორი ხართ.

_ ჩვენ ვფიქრობთ, ვკითხულობთ, გლეხები კი არა ვართ. მექანიკოსები
ვართ. თუმცა გლეხებსაც აქვთ იმდენი ჭკუა, რომ ომისა არა ირწმუნონ რა.
ყველას სძულს ეს ომი.

_ ქვეყანას განაგებს კლასი, რომელიც სულელია, არც ესმის რამე და
თავისდღეშიაც ვერ გაიგებს. ამიტომაც არის ომი.

_ ომით მდიდრდება ის ხალხი.

_ უმრავლესობა არა, _ თქვა პასინიმ, _ მეტისმეტად სულელები არიან. ისე
ომობენ, სისულელის გამო.

_ მოვკეტოთ, _ თქვა მანერამ, _ Tenente-სთანაც კი არ შეიძლება ამდენი
ყბედობა.

_ Tenente-ს უყვარს ჩვენი ყბედობა, _ მიუგო პასინიმ, _ ჩვენს რჯულზე
უნდა მოვაქციოთ.

_ ჰო, მაგრამ ახლა მაინც მოვკეტოთ, _ თქვა მანერამ.

_ საჭმელს გვაღირსებენ, Tenente? _ იკითხა გავუციმ.

— ახლავე წავალ და ვნახავ, — ვუთხარი მე.

გორდინი წამოდგა და გარეთ გამომყვა.

— ხომ არაფერს დამავალებთ, Tenente? იქნებ შველა გინდოდეთ?

იმ ოთხში ყველაზე წყნარი კაცი იყო გორდინი.

— თუ გინდათ, გამომყევით, — ვუთხარი მე, — ვნახოთ, რასა შვრებიან.

გარეთ ბნელოდა და პროექტორების გრძელი სხივები მთებზე დაცოცავდნენ. დიდი პროექტორები ჰქონდათ ფრონტზე, საბარგო მანქანებზე დადგმული. ზოგჯერ ფრონტის მახლობლად თუ გაივლიდი ღამით, შენიშნავდი გზიდან გადაყენებულ საბარგო მანქანას, იქვე შუქის მოსაწესრიგებლად მოფუსფუსე ოფიცერსა და დამფრთხალ ხალხს. ქარხნის ეზო გადავჭერით და მთავარ შესახვევ პუნქტან შევდექით. შესავლელში, გარედან, მწვანე ტოტები ჩამოეკიდებინათ და სიბნელეში ღამის ნიავი მზით დამჭკნარ ფოთლებს აშრიალებდა. შიგნით სინათლე ენთო. მაიორი ყუთზე ჩამომჯდარიყო და ტელეფონით ლაპარაკობდა. ერთ-ერთმა სამედიცინო სამსახურის კაპიტანმა მითხრა, შეტევა საათით გადასდესო. ჭიქით კონიაკი შემომთავაზა. მაგიდებს გადავხედე — სინათლეზე ალაპლაპებული ინსტრუმენტები, ჯამები და საცობდაცული ბოთლები. გორდინი ჩემს უკან იდგა. მაიორი ტელეფონს მოშორდა.

— ახლავე დაიწყება. — თქვა მან, — ისევ გადმოუდვიათ.

გარეთ გავიხედე. ბნელოდა, ავსტიელების პროექტორების შუქი მთებზე დასრიალებდნენ, ჩვენს უკან. კიდევ ერთი წუთი სიწყნარე იყო, მერე კი ჩვენმა არტილერიამ ყველა ზარბაზნიდან გახსნა ცეცხლი.

— სავოია, — თქვა მაიორმა.

— სუპისთვის მოვედით, მაიორო.

არ გაუგონია. გავუმეორე.

— ჯერ არ მოსულან.

დიდი ყუმბარა წამოვიდა და აგურქარხნის ეზოში გასკდა. კიდევ გასკდა ერთი, და წვრილი ხმით იცნობდი წვიმად წამოსულ აგურების ნამსხვრევებისა და ტალახის შხეფების მიწაზე ტყლამუნს.

— სხვა რამე არა გაქვთ საჭმელი?

— ცოტაოდენიოasta ascintta,1 — თქვა მაიორმა.

1 მაკარონით დამზადებული კერძი (იტალ.).

— თუ გემეტებათ, წავიღებ.

მაიორმა მორიგეს უთხრა. მორიგე ცოტა ხნით მიეფარა თვალს კუთხეში და მალევე მობრუნდა, ხელში ეჭირა ლითონის ბადია, რომელშიაც გაცივებული მაკარონი ეყარა. გორდინის გადავეცი ბადია.

— ყველი არა გაქვთ?

მაიორმა უხალისოდ უთხრა რაღაც მორიგეს, რომელიც ისევ ჩაყურყუმელავდა სიბნელეში და თეთრი ყველის ნატეხი გამოიტანა.

— დიდი მადლობელი ვარ, ვუთხარი მე.

— სჯობს არ გახვიდეთ გარეთ.

შემოსასვლელთან რაღაც დადეს. ორი კაცი იყო, და ერთ-ერთმა შემოიხედა.

— შემოიყვანეთ — უთხრა მაიორმა, — რა მოგივიდათ? რაღას უდგახართ, — გავიდეთ და ჩვენ თვითონ შემოვიყვანოთ?!

ერთი მეჯალამბრე მხრებში შეუდგა დაჭრილს, მეორემ კი ფეხებში მოჰკიდა ხელი და ისე შემოიყვანეს.

— ტანსაცმელი გაუჭერით, — თქვა მაიორმა.

პინცეტით მარლის ნაჭერი აიღო. ორმა ექიმმა მაზარა გაიხადა.

— თქვენ წადით, — უთხრა მაიორმა მეჯალამბრეებს.

— წავიდეთ, — მივმართე მეც გორდინის.

— სროლის დამთავრებამდე გირჩევნიათ დარჩეთ, — თქვა მაიორმა, ისე რომ უკან არც მოუხედია.

— მშივრები არიან, — ვთქვი მე.

— თქვენი ნებაა.

ეზო სირბილით გადავჭერით. ყუმბარა ზედ მდინარის პირას გასკდა. კიდევ წამოვიდა ერთი ყუმბარა, მაგრამ მანამ ერთბაშად არ გასკდა, არ გაგვიგია. მიწას განვერთხეთ ორივენი, და აფეთქების გრიალ-ზრიალში გავარჩიეთ ჭურვის ნამსხვრევების ზუზუნი და ჩამოცვენილი აგურების ლაწანი. გორდინი წამოხტა და სანგრისკენ მოჰკურცხლა. მეც მივყევი. ხელში ყველი მეჭირა, რასაც გლუც ზედაპირზე აგურის მტვერი დასდებოდა. სანგარში სამივე შოთერი დაგვიხვდა, ისევ კედელთან ისხდნენ და აბოლებდნენ.

— აპა თქვენ, პატრიოტებო, — ვთქვი მე.

— მანქანებს ხომ არაფერი მოსვლია? — იკითხა მანერამ.

— არაფერი.

— დაფეთდით, Tenenete?

— ცოდვა გამოტეხილი სჯობია, — ვუპასუხე მე.

დანა ამოვიღე, გავხსენი, პირი გავუწინდე და ყველს კანი გადავფხივე. გავუციმ მაკარონიანი ბადია გამომიწოდა.

— ჯერ თქვენ ჭამეთ, Tenenete.

— არა, — ვუთხარი მე, — ძირს დადეთ და ერთად ვჭამოთ.

— ჩანგლები არა გვაქვს.

— ნეტა რა ჯანდაბად გინდათ! — ვთქვი მე ინგლისურად.

ყველი წვრილ-წვრილად დაჭრი და მაკარონს მოვაყარე.

— აბა, მიუსხედით, — მივმართე მე. მიუსხდნენ და მე დამიწყეს ლოდინი.

თითები ჩავყავი მაკარონში და ამოვიღე. ბევრი ამომყვა, ერთმანეთზე გადაწებებული.

— მაღლა ასწიეთ, Tenenete.

მხრების სიმაღლემდე ავწიე ხელი და გადაწებებული მაკარონები ჩაიწმინდა. პირისკენ წავიღე, ბოლოებს ტუჩები მოვავლე, დავღეჭე, მერე ერთი ნაჭერი ყველი ავიღე, დავღეჭე, მერე ღვინოც დავაყოლე. დაჟანგული ლითონის გემო დაჰკრავდა. მათარა ისევ პასინის დავუბრუნე.

— ამჭახებულა, თქვა მან, ძალიან დიდხანს იყო მათარაში. მანქანაში მედო.

ყველანი ჭამაში იყვნენ გართულნი. ნიკაპები ზედ ბადიასთან მიეტანათ, თავი უკან გადაეღრიცათ და მაკარონის ბოლოებს ისრუტავდნენ. კიდევ გამოვისე პირი მაკარონით, ყველი შევატანე და ღვინო მოვსვი. გარეთ რაღაც დაენარცხა და მიწა შეაზანზარა.

— ოთხას ოციანია, ან ნაღმტყორცნი, — თქვა გავუციმ.

— მთებში რა უნდა ოთხას ოციანს! — ვთქვი მე.

— შკოდას დიდი ზარბაზნები აქვთ. მე ვნახე დათხრილი მიწა.

— სამას ხუთიანებია.

ჭამა განვაგრძეთ. ხველა შემოგვესმა, შემდეგ ორთქლმავლის აძვრის დროს რომ იცის ხოლმე, ისეთი შიშინი, და ამას მოჰყვა აფეთქება, რამაც ისევ შეაზანზარა მიწა.

— სიღრმე აკლია ჩვენს სანგარს, — თქვა პასინიმ.

— ეს დიდი მორტირი იყო, სანგრებისა.

— დიახ, სერ.

ყველი მოვიციცქნე და ერთი ყლუპი ღვინოც დავაყოლე. კიდევ მომესმა ხველა, ამას მოჰყვა — ჩუხ-ჩუხ-ჩუხ-ჩუხ, მერე ერთბაშად განათდა ყველაფერი, თითქოს ბრძმედის კარუბი გადახსნესო, წამოვიდა ღრიალი, ჯერ თეთრი, მერე თანდათანობით გაწითლდა და გაწითლდა, და გრიგალი დატრიალდა. ამოსუნთქვა ვცადე, მაგრამ სუნთქვა არ მეყო, თითქოს ჩემივე თავს მოვწყდი და წავედი, წავედი, გრიგალმა ამიტაცა და დამატრიალა. სწრაფად მოვწყდი ჩემს თავს და ვიგრძენი, რომ მკვდარი ვიყავი, და სისულელეა, როცა ფიქრობენ — მოკვდა და გათავდაო. მერე ამოვტივტივდი, მაგრამ წინ წასვლის ნაცვლად, სულ უკან და უკან მივსრიალებდი. ამოვისუნთქე და ისევ ჩემს თავს დავუბრუნდი. მიწა დაფლეთილი იყო და ჩემს თავთან დახეთქილი ხის კოჭი ეგდო. თავი მიტრიალებდა და ვიღაცის ტირილი მესმოდა. თითქოს შეჰქივლა. განძრევა ვცადე, მაგრამ ვერ მოვახერხე. მესმოდა ტყვიამფრქვევებისა და თოფის სროლა მდინარის გაღმა და მთელი მდინარის გაყოლებაზე. უცებ ტკაცანმა გააყრუა იქაურობა და მე დავინახე, როგორ ასრიალდა და გასკვა ცაში მანათებელი ყუმბარები, როგორ თეთრად გადაეფინა იქაურობას, როგორ ავარდნენ შუშხუნები, მომესმა ნაღმების აფეთქება, ეს ყველაფერი ერთ წამში მოხდა, მერე კი გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ვიღაცამ იქვე, ჩემთან ახლოს, «mama mia, oh, mama mia!»¹ გავიჭიმე, დავიგრიხე, როგორც იქნა ფეხები გავითავისუფლე, გადავბრუნდი და ხელი მოვუსვი. ეს იყო პასინი, და ხელი რომ მოვუსვი, იკივლა, ფეხები ჩემკენ ჰქონდა მოქცეული და სიბნელეში, იმ წამიერ გაელვებაზე, შევნიშნე, რომ მუხლებს ზევით სულ დაჩეჩქვოდა. ცალი

ფეხი სავსებით მოეგლიჯა, მეორე კი მყესებსა და შარვლის ნაფლეთებზე ეკიდა და ცალკე ისე ძიგძიგებდა და იკრუნჩხებოდა, თითქოს სულაც არ ყოფილიყოს დაკავშირებული სხეულთან. მკლავზე იკბინა და ამოიკვნესა, «oh mama mia, mama mia!» მერე _ «Dio te salve Maria.2 Dio te salve, Maria. ო, მაცხოვარო, ბარემ გამათავე. მამაო ზეციერო, ბარემ მომიღე ბოლო. Mama mia! მამა მია! ო, უწმინდესო მარია, ბარემ მომიღე ბოლო. გამათავე. გამათავე. გამათავე. ო, მაცხოვარო, სანატრელო ღვთიშობელო, გამათავე, ო-ო-ო!» სუნთქა შეეკრა. «Mama, mama maia». გაჩუმდა, მკლავის კბენას მოჰყვა, მოწყვეტილი ფეხი კი ისევ ძიგძიგებდა.

1 ო, დედაჩემო (იტალ.).

2 ღმერთი იყოს შენი შემწე, მარია (იტალ.).

_ Porta feriti _ ვიყვირე მე და ხელები გავასავსავე. Porta feriti - პასინისთან მიჩოჩება ვცადე, რათა ფეხებზე ტურნიკეტი დამედო, მაგრამ ვერ გავინძერი. ისევ ვცადე და ცოტათი გავანძრიე ფეხები. ახლა უკან გადაწევა და იდაყვებზე დაყრდნობა შემეძლო. პასინი აღარ კვნესოდა. გვერდზე მოვუჯეჭი, ტუნიკა გავიხსენი და პერანგის კალთის მოხევა ვცადე. ვერ მოვერიე და ისევ კბილით გავგლიჯე, რომ უფრო ადვილად გამეხია. მერე უცებ მისი ფეხსახვევები გამახსენდა, მე მატყლის წინდები მეცვა, პასინი კი სახვევებს ხმარობდა. შოთრები საერთოდ სახვევებით დადიოდნენ, მაგრამ პასინის ხომ ერთი ფეხიღა შერჩა. შემოვხსენი სახვევები, მაგრამ ვნახე, რომ ტურნიკეტის დადება ზედმეტი იყო, პასინი უკვე მომკვდარიყო. გავსინჯე და დავრწმუნდი, რომ მართლაც გათავებულიყო. დანარჩენი სამის ამბავიც უნდა გამეგო. წამოვჯეჭი და თავში ისე გადაბრუნდა რაღაც, როგორც ტიკინას თვალი გადატრიალდება ხოლმე, და თვალებს შიგნით დამცეცხლა. ფეხებზე სითბო და სისველე ვიგრძენი, ჩექმებიც გამითბა და დამისველდა შიგნიდან. მივხვდი, რომ დაჭრილი ვიყავი. წინ გადავიწიე და მუხლზე მოვისვი ხელი. მუხლი აღარ იყო თავის ადგილზე. ხელი ქვევით ჩავაცურე, წვივზე მომქცეოდა მუხლი. ხელი პერანგზე გავიწმინდე, ამასობაში ნელ-ნელა სინათლე წამოვიდა ქვევიდან, ფეხზე დავიხედე და საშინლად შემეშინდა. «ღმერთო,_ვთქვი მე,_ოღონდ აქედან გამიყვანე!» მაგრამ ვიცოდი, რომ კიდევ სამი უნდა ყოფილიყო. სულ ოთხი შოთერი იყო. პასინი მოკვდა. სამნი დარჩნენ. ვიღაც მხრებში შემომიდგა, მეორემ ფეხებში მომკიდა ხელი.

1 დაჭრილები წაიყვანეთ (იტალ.).

_ კიდევ სამნი არიან, _ ვთქვი მე, _ ერთი მოკვდა.

_ ეს მე ვარ, მანერა. საკაცისათვის წავედით, მაგრამ ვერ ვიპოვეთ. როგორა ხართ, Tenenete ?

_ გორდინი და გავუცი სადღა არიან?

— გორდინი პუნქტზეა, ჭრილობას უხვევენ. გავუცის თქვენი ფეხები უჭირავს. კისერზე მომხვიეთ ხელი, თენენტე. მძიმე ჭრილობა გაქვთ?

- ფეხში. გორდინი როგორ არის?
- კარგად. დიდი სასანგრე მორტირის ნაღმი იყო.
- პასინი მოკვდა.
- ვიცი. მოკვდა.

იქვე ახლოს ყუმბარა გასკდა. ორივენი განერთხნენ მიწას და მეც დამაგდეს.

- უკაცრავად, Tenenete, — თქვა მანერამ, — კისერზე მომხვიეთ ხელი.

— კიდევ რომ დამაგდოთ!

— უცებ დავფეთდით.

— ხომ არ დაიჭერით?

— ცოტათი გაკაწრულები ვართ.

— მართვა თუ შეუძლია გორდინის?

— საეჭვოა.

მანამ პუნქტან მივაღწევდით, ერთხელ კიდევ დამაგდეს.

— ახ, თქვე ძაღლიშვილებო! — შევყვირე მე.

— გვაპატიეთ, Tenenete, — თქვა მანერამ, — მეტად აღარ დაგაგდებთ.

ბევრნი ვეყარეთ პუნქტის წინ, სიბნელეში. შეჰყავდათ დაჭრილები და გამოჰყავდათ. ფარდას რომ გადასწევდნენ, შესახვევ პუნქტში სინათლეს ვხედავდი. მკვდრები ცალკე ეყარა. ექიმებს მხრებამდე დაეკაპიწებინათ სახელოები და ყასბებივით დაწითლებულიყვნენ. საკაცეები არ ჰყოფნიდათ. დაჭრილთაგან ზოგი კვნესოდა. უმეტესობას კი კრიჭა შევკროდა. პუნქტის შესასვლელთან საგანგებოდ მოწყობილი ფანჩატურის ფოთლებს ნიავი არხევდა და თანდათანობით უჭერდა ღამის სიცივე. მოდიოდნენ და მოდიოდნენ მეჯალამბრები, საკაცეებს მიწაზე დადებდნენ, გაათავისუფლებდნენ და უკანვე ბრუნდებოდნენ. მივაღწიეთ თუ არა პუნქტს, მანერამ ექთანი გამოიყვანა და ჩემი ორივე ფეხი შეახვევინა. იმდენი ჭუჭყი მოხვედრილა ჭრილობაში, რომ სისხლი ცოტა დაუკარგავსო, თქვა ექთანმა. როგორც კი მოვახელთებთ, შეგიყვანთო. ისევ შიგ შებრუნდა. გორდინის მართვა არ შეუძლიაო, მითხრა მანერამ. მხარი შელერია და თავშიაც დაჭრილაო. პირველად უფრო ყოჩაღად იყო, ახლა კი მხარი სულ გაშეშებოდა. აგურის კედელთან მიმჯდარიყო. მანერამ და გავუციმ დაჭრილებით დატვირთეს მანქანა და წავიდნენ. თავისუფლად მართავდნენ. ინგლისელებიც მოვიდნენ სამი მანქანით, და თითო მანქანას ორ-ორი კაცი ახლდა. ერთი იმათი შოფერი მოვიდა ჩემთან, გორდინიმ მომიყვანა, რომელიც ერთიანად გაფითრებულ-მოშვებულიყო. შოფერი ჩემკენ დაიხარა.

— მძიმე ჭრილობა გაქვთ? — მკითხა მან. მაღალი კაცი იყო, ლითონისჩარჩოიანი სათვალე ეკეთა.

— ფეხში.

— იმედია, სერიოზული არ იქნება. სიგარეტი ხომ არ გინდათ?

- გმადლობთ.
- ორი შოფერი დაგიკარგავთ.
- დიახ. ერთი მოკლეს, მეორე კი, თქვენ რომ მოგიყვანათ, ის არის.
- რა ოხერი ბედი ჰქონიათ. თქვანი მანქანები ხომ არ წავიყვანოთ?
- სწორედ ეგ მინდოდა მეთხოვნა თქვენთვის.
- კარგად მოვუვლით და მერე თქვენს ვილაში მივიყვანთ. ორას ექვსიდანა ხართ, არა?
- დიახ.
- მშვენიერი ადგილია. ადრეც მინახავხართ. ამერიკელიაო, თქვენზე მითხრეს.
- დიახ.
- მე ინგლისელი ვარ.
- რას ამბობთ!
- დიახ, ინგლისელი ვარ. იტალიელი გეგონეთ? ერთ-ერთ შენაერთში იტალიელებიც გვყავდა.
- ჩვენს მანქანებს თუ წავიყვანთ, ძალიან კარგს იზამთ, ვუთხარი მე.
- თვალისჩინივით გავუფრთხილდებით, იგი გაიჭიმა, ამ ყმაწვილს ძალიან უნდოდა, რომ თქვენ გამოგლაპარაკებოდით, მხარზე ხელი მოუთათუნა გორდინის. გორდინი შეტოვდა და გაიღიმა. ინგლისელმა სხაპასუპით მიაყარა იტალიური:
- საქმე მოგვარებულია. თქვენს Tenenete-ს ველაპარაკეთ. იმ ორ მანქანას ჩვენ წავიყვანთ. ფიქრი ნუ გექნებათ. უცებ მე მომიბრუნდა, რამეს ვიღონებთ და აქედან გაგიყვანთ. ექიმებს მოველაპარაკები. როცა წავალთ, თან წაგიყვანთ.
- დაჭრილებში ფრთხილად გაიკვლია გზა და შესასვლელისაკენ გაემართა. დავინახე, როგორ გადაიწია კარებში ჩამოფარებული საბანი, სინათლე გამოიჭრა. შოფერი ოთახში შევიდა.
- თქვენ ეს კაცი მოგივლით, Tenenete, მითხრა გორდინიმ.
- როგორა ხარ, ფრანკო?
- არა მიშავს რა. გვერდში მომიჯდა. იმავე წუთში პუნქტის შესასვლელში ჩამოფარებული საბანი გადაიწია და ორი მეჯალამბრე გამოვიდა, მაღალი ინგლისელის თანხლებით. ჩემთან მოიყვანა ეს მეჯალამბრეები.
- ეს არის ამერიკელი, Tenenete – თქვა მან იტალიურად.
- კიდევ დავიცდიდი, ვთქვი მე, ჩემზე უფრო მძიმე დაჭრილები არიან. მე კარგადა ვარ.
- კარგით, კარგით. გმირობაზე ნუ სდებთ თავს. მერე იტალიურად განაგრძო, ფრთხილად აიყვანეთ, ფეხებს მოერიდეთ. ძალიან სტკივა. პრეზიდენტ ვილსონის ღვიძლი შვილია. ამწიეს და შესახვევ პუნქტში შემიყვანეს. ყველა მაგიდაზე ოპერაციას აკეთებდნენ, ტანმორჩილმა მაიორმა გადმოგვიბლვირა. მიცნო და პინცენტი დამიქნია.
- Ca va bien?
- Ca va1.

1 როგორა ხარ? _ არა მიშავს რა.

_ მე შემოვიყვანე. _ იტალიურადა თქვა მაღალმა
ინგლისელმა._ამერიკელი ელჩის ერთადერთი შვილია. მანამ
გათავისუფლდებოდეთ, აქ დაიცადის. მერე კი პირველივე გზაზე
წავიყვან. ჩემკენ დაიხარა, _ახლა თქვენს საბუთებს გავაკეთებინებ და უფრო
დაჩქარდება საქმე. _კარებთან თავი დაღუნა და გავიდა. მაიორი პინცეტებს
წმენდდა და თასში ყრიდა. მისი ხელების მოძრაობას ვადევნებდი თვალს. მერე
შეხვევა დაიწყო. მეჯალამბრებმა მაგიდიდან ჩამოიყვანეს დაჭრილი.

_ ამერიკელი ლეიტენანტი მოიყვანეთ, _ თქვა ერთ-ერთმა კაპიტანმა.
ამწიეს და მაგიდაზე დამაწვინეს. მაგარი და სრიალა იყო. ოთახში მძაფრი
სუნი იდგა, წამლების სუნი და სისხლის სასიამოვნო სურნელი. შარვალი
გამხადეს. სამედიცინო სამსახურის კაპიტანი თან მუშაობდა, თან ექთანს
კარნახობდა: «მარჯვენა და მარცხენა ბარძაყის, მარჯვენა და მარცხენა მუხლის,
მარჯვენა ტერფის ზერელე დაცხრილვა. მარჯვენა მუხლსა და ტერფში ღრმა
ჭრილობა. თავის არეში დაფლეთილი ჭრილობები (გამსინჯა_გტკივათ? ოჰ,
ჯოჯოხეთურად!) სავარაუდოა თავისქალის გაბზარვაც. დაიჭრა
ფრონტზე._ახლა მაინც არ გადაგცემენ საველე სასამართლოს განზრახ
თვითდაჭრილობისგამო, _ თქვა მან, _ ცოტა კონიაკს არ მოსვამთ? მაინც
როგორ მოხვდით? რამ აგტეხათ? თავის მოკვლა გინდოდათ! აბა ერთი,
ანტიტეტანუსი, და ორივე ფეხზე ჯვარი დაუნიშნეთ. გმადლობთ. ახლა ცოტა
გავწმინდოთ, გავბან და შეგიხვევთ. სისხლი მშვენივრად გიდედდებათ.

ექთანმა თავი აიღო ქაღალდიდან. _ რისგანა აქვს ჭრილობა?

ექიმი_რითი დაიჭერით?

მე (თვალი არც კი გამიხელია)_სასანგრო მორტირით.

ექიმი (რაღაცა ისეთი გააკეთა, რომ მწარედ მატკინა) _ ნამდვილად?

მე (ვცდილობ წყნარად ვიწვე, სხეულში რომ დანა შედის, მუცელი
თითქოს მითრთის)_მგონი.

ექიმი (რაღაც იპოვა და დაინტერესდა) _ მტრის ნაღმის ნამსხვრევები. თუ
გინდათ, კიდევ გავსინჯავ ამ მხარეს, მაგრამ არ არის საჭირი. ახლა მალამო
წავცხოთ და... აგიწვათ? ჯერ სადა ხართ, ტკივილი მერე იკითხეთ. ერთი ჭიქა
კონიაკი მოუტანეთ. შოკი ტკივილს აყუჩებს. თუმცა ფიქრი ნუ გაქვთ, საშიში
არაფერია, სისხლი თუ არ მოიწამლა. სისხლი კი ახლა იშვიათად იწამლება.
თავი როგორა გაქვთ?

_ ო, ღმერთო! _ ვთქვი მე.

_ თუ ასეა, ბევრს ნუღარ დალევთ. იქნებ მართლაც გქონდეთ ბზარი და
ანთება აღარ არის საჭირო. აქაც გტკივათ?

ოფლი დამასხა.

_ ღმერთო დიდებულო! _ ვთქვი მე.

— როგორც ვატყობ, მართლაც გაქვთ ბზარი. ახლა შეგიხვევთ, თავის ქიცინს ნუ მოჰყვებით.

შეხვევა დამიწყო. სწრაფად ამოძრავებდა ხელებს, სქლად და მაგრად შემიხვია. აპა, მოკრჩი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს და Vive la France!.

1 გაუმარჯოს საფრანგეთს (ფრანგ.).

— ეს ამერიკელია, — უთხრა მეორე კაპიტანმა.

— მე კიდევ, ფრანგიო, მომეურა. ფრანგულიც იცის, — თქვა კაპიტანმა, — ადრეც შემხვედრია. სულ ფრანგი მეგონა. — ნახვარი ჭიქა კონიაკი გადაჰკრა. — აბა, უფრო სერიოზული შემოიყვანეთ და ანტიტეტანუსიც მომიმზადეთ. — ხელი დამიქნია. ამიყვანეს. რომ გამოვყავდით, სახეზე საბანი გადამეფარა. გარეთ ექთანმა ჩაიჩიქა ჩემთან.

— გვარი? — ალერსით მკითხა მან. — სახელი? ხარისხი? სად დაიბადეთ? ნაწილი? კორპუსი? — და ასე შემდეგ. — სამწუხაროა, რომ თავშიაც დაუჭრიხართ, Tenenete, ახლა ალბათ უკეთა ხართ. ინგლისელების მანქანით გაგგზავნით.

— გმადლობთ, კარგადა ვარ, — თქვი მე.

უკვე დამეტყო ის ტკივილი, ექიმმა რომ მითხრა, და ჩემთვის ყველაფერმა დაკარგა აზრი და მნიშვნელობა. ცოტა ხნის შემდეგ ინგლისელების სანიტარული მანქანა ჩამოდგა, საკაცეზე დამდეს, მაღლა ამწიეს და შემაცურეს. ჩემს გვერდით კიდევ იწვა ვიღაც საკაცეზე და მე ვხედავდი სახვევებიდან გამოჩრილ მის სანთელივით ცხვირს. ძალიან მძიმედ სუნთქავდა. ჩვენს ზემოთაც შეაცურეს ღვედის საკიდებზე საკაცეები. მაღალი ინგლისელი შოფერი მანქანას მოადგა და შემოიხედა.

— ისე რბილად წავიყვან, რომ იმედი მაქს, არ შეგაწუხებთ, — თქვა მან. ვგრძნობდი, როგორ დაქოქა მოტორი, როგორ შეძვრა კაბინაში, როგორ მოუშვა მუხრუჭი და სიჩქარემი ჩართო. დავიძარით. წყნარად ვიწექი და ტკივილს არ ვებრძოდი.

აღმართს რომ მივადექით, უფრო მძიმედ წავიდა მანქანა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, მოსახვევებთან უკანაც დაიხევდა ხოლმე, მერე კი ისევ უმატა სისწრაფეს. ზევიდან რაღაცამ წვეთა დაიწყო. ჯერ ნელა და თანაბრად მაწვეთებდა, მერე კამარა ქნა. შოფერს გავძახე. მან გააჩერა მანქანა, მობრუნდა და სარკმელში შემოიჭყიტა.

— რა მოხდა?

— ჩემს ზემოთ სისხლის დენა დაეწყო დაჭრილს.

— საცაა ავივაკებთ. მე მარტო ვერ დავძრავ საკაცეს.

კვლავ დაძრა მანქანა. სისხლი ისევ ისე მოწანწკარებდა. სიბნელეში ვერ გავარჩიე, რა ადგილას ატანდა ბრეზენტში. ვცადე, გვერდზე მივწეულიყავი, რომ წვეთები არ დამცემოდა. საცა ჩამოვიდა, სითბო ვიგრძენი პერანგთან, თანაც მეწებებოდა. სიცივის ქრუანტელი მივლიდა და ფეხიც ისე ამტკივდა,

რომ გული ამერია. ცოტა ხნის შემდეგ უფრო ნელა იწყო სისხლმა დენა, მერე ისევ წვეთწვეთობით წამოვიდა და მე ვგრძნობდი და მესმოდა, როგორ ირხეოდა ზემოთ საკაცის ბრეზენტი_ეტყობოდა, ის კაცი უფრო მოხერხებულად დაწოლას ცდილობდა.

_ როგორ არის? _ შემომძახა ინგლისელმა, _ თითქმის ავედით.

_ მგონი, მოკვდა, _ ვთქვი მე.

სულ უფრო და უფრო იშვიათად წვეთავდა, როგორც ყინულის ლოლუებს სწყდება ხოლმე მზის ჩასვლის შემდეგ წყლის წვეთები. მთაში ღამით ციოდა. ვაკეზე, საგუშაგოსთან, საკაცე ჩამოიღეს, სხვა შესდეს, და ჩვენ ისევ განვაგრძეთ გზა.

თავი X

საველე ჰოსპიტლის პალატაში მითხრეს_ნაშუადღევს შენთან ვიღაც მნახველი მოვაო. ცხელი დღე იდგა და ოთახი ბუზებით იყო სავსე. მორიგე სანიტარმა ბუზების დასაფრთხობად ქაღალდი დაჭრა ზოლებად და ჯოხს მიაწება, საგველასავით. ვხედავდი, როგორ სხდებოდნენ ჭერზე ბუზები. საგველას ქნევა რომ შეწყვიტა სანიტარმა და ჩაეძინა, ისევ დაბლა ჩამოვიდნენ, და ახლა მე დავიწყე მოგერიება, ბოლოს ხელები სახეზე დავიფარე და მეც ჩამეძინა. საშინლად ცხელობდა, და რომ გამეღვიძა, ფეხები მექავებოდა. მორიგე გავაღვიძე და სახვევზე ზემოდან მინერალური წყალი დავასხმევინე. ამან ლოგინიც დამიქამა და გამიგრილა. ვისაც გვეღვიძა, ხმამაღლა ვლაპარაკობდით პალატაში. ნასადილევს სიწყნარე იყო ხოლმე. დილით ყველა საწოლს ჩამოუვლიდნენ რიგრიგობით_სამი სანიტარი და ერთი ექიმი_ავადმყოფს ასწევდნენ და შესახვევ ოთახში გაიყვანდნენ, ხოლო მანამ ჭრილობებს შეგვიხვევდნენ, ლოგინის გასწორებასაც ასწრებდნენ. შესახვევ ოთახში გასვლა არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნო მოგზაურობა იყო. უფრო მოგვიანებით გავიგე, რომ ლოგინის გასწორება თურმე კაცის აუწევლადაც შეიძლებოდა. მორიგემ წყალი დამასხა, ლოგინი გაგრილდა და სასიამოვნო გახდა. ის იყო უნდა მეთქვა, რა ადგილას დაეფხანა ჩემთვის ტერფი, რომ ერთ-ერთმა ექიმმა რინალდი შემოიყვანა. სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, დაიხარა და მაკოცა. შევნიშნე, რომ ხელთათმანები ეცვა.

_ რასა იქ, ბეიბი? თავს როგორა გრძნობ? აი, რა მოგიტანე..._კონიაკის ბოთლი ეჭირა ხელში. მორიგემ სკამი მოუტანა და რინალდი დაჯდა, _ესეც და კარგი ამბებიც. გაჯილდოებენ. ვერცხლის მედლის მოცემას გიპირებენ, მაგრამ, ალბათ, ბრინჯაოზე მეტს ვერ მოახეხებენ.

_ რისთვის მაჯილდოებენ?

_ მძიმე ჭრილობისათვის. თუ დაამტკიცა, რომ გმირობა აქვს ჩადენილი, ვერცხლისას მივცემთო. არადა ბრინჯაო ნაღდია. დაწვრილებით მიამბე, რა მოხდა. რამე გმირობა გამოიჩინე?

_ რის გმირობა, _ ვთქვი მე. _ყველსა ვჭამდით, ნაღმი რომ გასკდა.

- რას ჩმახავ! არ შეიძლება, რამე გმირობა არ გამოგეჩინა_ან ადრე, ან შემდეგ. კარგად გაიხსენე.
- არაფერი არ გამიკეთებია.
- ზურგზე არავინ მოგიკიდია? გორდინი იმახის, რამდენიმე კაცი მოიკიდა და წაიყვანაო, მაგრამ შესახვევი პუნქტის მაიორს დაუჟინია _ შეუძლებელიაო. ჯილდოს წარდგენაზე სწორედ იმან უნდა მოგიწეროს ხელი.
- ვინ უნდა წამეყვანა, ვერ ვინძრეოდი!
- ეგ არაფერი, — თქვა რინალდიმ.
- ხელთათმანები წაიძრო.
- როგორმე მოგიხერხებთ ვერცხლისას. იქნებ შეხვევაზე თქვი უარი და სხვას დაუთმე რიგი!
- არცთუ ისე თავგამოდებით.
- ეგ არაფერია. შენ ჭრილობაზე დაიხედე! ახლა მამაცობაც_სულ ფრონტის ხაზზე წასვლას რომ მოითხოვდი! თან საბრძოლო ოპერაციაც წარმატებით დამთავრდა.
- მდინარე გადალახეს?
- დიდებულად. ათასამდე ტყვე ჩაიგდეს. ბიულეტენში წერია ასე. არ წაგიკითხავს?
- არა.
- მე მოგიტან.
- შესანიშნავი coup de main-i იყო.
-

1 დარტყმა (ფრანგ.).

- ისე როგორა ხართ?
- შესანიშნავად. ყველანი კარგად არიან. საამაყოდ ჰყავხარ ყველას. კარგად მიამბე, როგორ მოხდა. გული მეუბნება, რომ ვერცხლს მიიღებ. აბა ჰე, მიამბე, ნურაფერს გამოტოვებ_ცოტა ხნით ჩაფიქედა, — იქნებ ინგლისური მედალიც მოგცენ. ვიღაც ინგლისელი ყოფილა იქა. უნდა ვნახო ერთი და ვკითხო, რეკომენდაციას თუ გაგიწევს. იმასაც ექნება გამავლობა. ძალიან გტკივა? დალიე. მორიგევ, კორპსაძრობი მოიტანეთ. შენ უნდა გენახა, როგორ ამოვკვეთე ერთს სამი მეტრის წვრილი ნაწლავი. «ლანცეტში» დასაბეჭდია. მითარგმნე და «ლანცეტში» გავაგზავნი. რაც დღე გადის, უფრო და უფრო ვოსტატდები. ჩემი საწყალი ბეიბი! თავს როგორა გრძნობ? სად ჯანდაბაშია ეს კორპსაძრობი! ისე ყოჩაღად და წყნარად ხარ, რომ ლამის დავივიწყო, დაჭრილია-მეთქი_ხელთათმანები საწოლის კიდეს ჩამოჰკრა.
- კორპსაძრობი მოგიტანეთ, Signor Tenenete,_თქვა მორიგემ.
- ბოთლი გახსენით. ჭიქა მოიტანეთ. დალიე, ბეიბი. საწყალი თავი როგორა გაქვს? ვნახე შენი ქაღალდები, ბზარი არა გაქვს. ეგ შენი შესახვევი პუნქტის მაიორი ბეითალი ყოფილა და მეტი არაფერი. აბა, მე ვყოფილიყავი, ვერაფერსაც ვერ იგრძნობდი. ჩემს ხელში არავინაც არა გრძნობს ტკივილს.

შევეჩვიე. რაც დორო გადის, სულ უკეთ და უმტკივნეულოდ ვაკეთებ. ბევრს ვყბედობ, მაგრამ მაპატიე, ბეიბი. ძალიანა მწყინს, ამ დღეში რომ გხედავ. აბა, გადაჰკარი. მშვენიერი კონიაკია. რატომ არ იქნება კარგი_თხუთმეტი ლირა ღირს. ხუთვარსკვლავიანია. პირდაპირ იმ ინგლისელთან წავალ აქედან, იქნებ მოგიხერხოს ინგლისური მედალი.

— ასე ადვილად არ არიგებენ.

— რა თავმდაბალი კაცი ხარ! მეკავშირე ოფიცერს გავგზავნი. ის გამონახავს ინგლისელებთან საერთო ენას.

— მისს ბარკლი არ გინახავს?

— მოგიყვან. ახლავე წავალ და მოგგვრი.

— არ წახვიდე, — ვუთხარი მე_გორიცის ამბები მითხარი. გოგოები როგორ არიან?

— სადღა არიან გოგოები! აგერ ორი კვირა გადის, არ შეუცვლიათ. აღარც დავდივარ. სირცხვილია. სადაური გოგოებია — ჩვენი ძველი ფრონტელი ამხანაგები არიან.

— სულ აღარ დადიხარ?

— ისე შევივლი ხოლმე, ახალი ხომ არაფერი მომხდარა-მეთქი. შორიახლოს დავდგები. შენს ამბავს მეკითხება ყველა. პირდაპირ სამარცხვინოა, იმდენ ხანს ამყოფებენ, რომ ლამის მეგობრები გავხდეთ.

— ალბათ, აღარ უნდათ ქალებს ფრონტზე წასვლა.

— რა სათქმელია. გოგოების მეტი რა ჰყავთ. მაგრამ ვერ მოუწესრიგებიათ. ზურგში მოფარებულ ვაჟბატონებს უნახავენ, იმათ უნდა ასიამოვნონ.

— საბრალო რინალდი! — ვთქვი მე_მარტოდმარტო გამოისტუმრეს ფრონტზე და გოგოებსაც კი არ უგზავნიან!

რინალდიმ კიდევ დაისხა კონიაკი.

— დალიე, ბეიბი, არ გაწყენს.

დავლიე კონიაკი და სითბომ დამიარა მთელ ტანში. რინალდიმ კიდევ დაასხა. ცოტათი დამშვიდედა. ჭიქა ასწია. შენი მამაცური ჭრილობებისა იყოს. ვერცხლის მედალს გაუმარჯოს. ერთი ეს მითხარი, ბეიბი, მთელი დღე რომ ამ სიცხეში წევხარ, არ ღიზიანდები?

— ზოგჯერ.

— ვერ წარმომიდგენია ასე წოლა. გავგიუდებოდი.

— ისედაც გიჟი ხარ.

— ნეტა მალე დაბრუნდებოდე. მომწყინდა ღამის თავგადასავლების შემდეგ შინ მარტოკა დაბრუნება. არც დასაცინია ვინმე, ფულსაც ვერავის ესესხები, არც ძმობილი და არც მეზობელი! ნეტა რაში გჭირდებოდა, რომ დაიჭერი.

— მღვდელს დასცინე.

— ერთი ეს მღვდელიც! მე, აბა, როდის დავცინი! კაპიტანი ამასხარავებს. მე მომწონს. მღვდელი თუ დაგჭირდეს, უსათუოდ ეს დაიბარე. აპირებს კიდეც შენს ნახვას. დიდი სამზადისი აქვს.

- _ მიყვარს ეს მღვდელი.
 - _ ვიცი. ხანდახან ცოტა იმნაირადაც მეჩვენება. ხომ იცი.
 - _ არაფერიც არ გეჩვენება.
 - _ მართლა გეუბნები. ხანდახან მეჩვენება ხოლმე ანეონის ბრიგადის პირველი პოლკისა არ იყოს.
 - _ წადი ერთი!
 - წამოდგა და ხელთათმანები ჩაიცვა.
 - _ ოჰ, როგორ მიყვარს შენი წვალება. იმ შენს მღვდელსა და ინგლისელ გოგოს რომ თავი დავანებოთ, ჩვენ ერთნაირი ხასიათი გვაქვს, ბეიბი.
 - _ სულაც არა.
 - _ როგორ არა. ნამდვილი იტალიერი ხარ. გარედან სულ ცეცხლი და კვამლი, შიგნით კი_არაფერი. ამერიკელად თავს აჩვენებ მხოლოდ. ნამდვილი ძმები ვართ ჩვენ და ერთმანეთი გვიყვარს.
 - _ ჭკუით იყავი, მანამ დავბრუნდებოდე, – ვუთხარი მე.
 - _ მისს ბარკლის გამოგიგზავნი. უჩემოდ უფრო კარგად ეწყობით ერთმანეთს. შენ უფრო წმინდა და ალერსიანი გამოდექი.
 - _ წადი ერთი!
 - _ ნამდვილად გამოგიგზავნი. შენს ტურფა ცივ ქალღმერთს, ინგლისელ ქალღმერთს. ღმერთო დიდებულო, ამისთანა ქალს თაყვანი თუ არ ეცი, ისე რის მაქნისია. სხვად რად გამოდგება ინგლისელი ქალი!
 - _ შენ ყიამყრალი ხეპრე დაგო ხარ.
 - _ რაო?
 - _ xepre uopi!1
-

1 dago (Dago) _ ანუ შავტუხა_ამერიკელები დაცინვით ეძახიან იტალიელებს, ესპანელებსა და პორტუგალიელებს. uopi (wop) _ დაცინვით მიმართავენ იტალიელებს ამერიკაში.

- _ უოპი. შენ თვითონვე ხარ გაყეყეჩებული... უოპი.
- _ ხეპრე ხარ. ჩერჩეტი. _შევატყვე, რომ ამ სიტყამ გაამწარა, და აღარ მოვეშვი, _უმეცარი, უვიცი, უვიცი ჩერჩეტი!
- _ ხომ ასე? მაშ, ახლა თქვენი უმანკო ქალბატონების ამბავიც მოისმინე, თქვენი ქალღმერთების ამბავი. ქალს წაიყვან თუ ქალიშვილს, სულ ერთია, განსხვავება არაფერია. ოღონდ ქალიშვილს ეტკინება. ეს არის და ეს. _ხელთათმანები საწოლზე დაატყაპუნა, _და როცა ქალიშვილი გყავს, არც ის იცი_ნამდვილად ეამება თუ არა.
- _ ნუ გამიბრაზდები.
- _ არ გავბრაზებულვარ. შენთვისვე მინდა კარგი და იმიტომ გეუბნები. ბევრი რომ არ იწვალო.
- _ სხვა არაფერი განსხვავება?
- _ არაფერი. მაგრამ მილიონობით შენისთანა რეგვენმა არ იცის ეს.

- კარგი ქენი, რომ გამაგებინე.
- ნუ წავეკიდებით ერთმანეთს, ბეიბი. ძალიან მიყვარხარ. მაგრამ სისულელეს თავი უნდა დაანებო.
- რას ამბობ. შენსავით დავბრძენდები.
- ნუ გაბრაზდები, ბეიბი. გაიცინე. კიდევ დალიე. მე კი უნდა წავიდე.
- კარგი ბიჭი ხარ, ძველი ხარ.
- აკი გითხარი, ერთნაირი ვართ-მეთქი. ჩვენ ფრონტელი მმები ვართ. მაკოცე ამ წასვლის წინ.
- დოყლაპია ხარ.
- ტყუილია. ეგ არის, რომ უფრო მოსიყვარულე ვარ.
- სულ ახლოს ვიგრძენი მისი სუნთქვა.
- ნახვამდის. მალე მოგინახულებ_ისევ მომშორდა მისი სუნთქვა._არ გინდა კოცნა და ნუ გინდა, არც გაკოცებ. შენს ინგლისელ გოგოს გამოგიგზავნი. ნახვამდის, ბეიბი. კონიაკი საწოლქვეშ გაქვს. მალე მორჩი.
- და წავიდა.

თავი XI

მღვდელი რომ მოვიდა, უკვე ბინდდებოდა. სუპი ადრევე ჰქონდათ მოტანილი, მერე მათლაფები წაიღეს, და მე ვიწექი_ხან ჩამწკრივებულ საწოლებს გადავხედავდი, ხანაც საღამოს ნიავისაგან მოქანავე ხის კენწეროს, რომელიც ფანჯარაში მოჩანდა. ნიავი ფანჯარაშიც შემოდიოდა და მოსაღამოებასთან ერთად აგრილდა კიდეც. ბუზები ჭერს მიჰკვროდა ახლა, აგრეთვე ზონრებზე ჩამოკიდებულ ელექტრონათურებს. სინათლეს მხოლოდ მაშინ ანთებდნენ, როცა დაჭრილს მოიყვანდნენ დამით, ან რამეს თუ აკეთებდნენ პალატაში. ბინდბუნდს ისე მალე ცვლიდა ხანგრძლივი სიბნელე, რომ მე ძალიან ახალგაზრდად წარმომედგინა თავი: თითქოს ადრიან გავახშმეს და ლოგინში ჩაგაწვინეს. მორიგემ გამოიარა საწოლებშორის და შეჩერდა. თან ვიღაც ახლდა. ეს იყო მღვდელი. უხერხულად იდგა ჩია, შავგვრემანი კაცი და რა ექნა, არ იცოდა.

- როგორა ხართ?_მკითხა მან. საწოლის ფეხთან რაღაც შეხვეული დადო.
- არა მიშავს რა, მამაო.
- რინალდისათვის მოტანილ საკამზე ჩამოჯდა და დაბნეულად გაიხედა ფანჯარაში. დაღლილი ჩანდა.
- მხოლოდ ერთი წუთით მოვედი. უკვე გვიან არის.
- არ არის გვიან. სასადილოში არ ერთობით?
- გაიღიმა.
- ისევ ისე მამასხარავებენ,_ხმაც დაღლილი ჰქონდა,_მადლობა ღმერთს, ყველანი კარგად არიან.

— ძალიან მიხარია, რომ კარგად გხედავთ, — მითხრა მან, — ტკივილები აღარ გაწუხებთ, ალბათ.

მეტისმეტად მოღლილი ჩანდა და რაღაც მეხამუშა, ადრე არ მენახა ასე.

— აღარა.

— თვალში მაკლიხართ, სადილობის დროს.

— ნეტა მეც თქვენთან ვიყო. სასიამოვნო იყო ხოლმე თქვენთან მუსაიფი.

— ცოტა რაღაცები მოგიტანეთ. — თქვა და შეკრულა აიღო. — ბადე ქინქლებისათვის. ვერმუთი. ხომ გიყვართ ვერმუთი? და ინგლისური გაზეთები.

— აბა, გახსენით.

გაუხარდა და გახსნა. ქინქლის ბადე მე გამოვართვი. მან ვერმუთი შეატრიალა ჩემ დასანახად და მერე მირს დადო, საწოლთან. ერთი ინგლისური გაზეთი ავიღე. ისე დავიჭირე, რომ ფანჯრიდან შემოსული მკრთალი შუქი მოხვედროდა, და სათაური გავარჩიე _ The News of the World.

— სხვები ილუსტრირებულია, — თქვა მან.

— მთელი სიამოვნება იქნება ამათი წაკითხვა. სად იშოვეთ?

— მესტრაში გავგზავნე კაცი. კიდევ გიშოვით.

— რა კარგი ჰქენით, რომ მოხვედით, მამაო. იქნებ ერთი ჭიქა ვერმუთი დალიოთ.

— გმადლობთ. შეინახეთ. თქვენთვის მოვიტანე.

— ერთი ჭიქა მაინც დალიეთ.

— კარგი. კიდევ მოგიტანთ.

მორიგემ ჭიქები მოიტანა და ბოთლი გახსნა. საცობი ჩაუტყდა და იძულებული გახდა, შიგვე ჩაეგდო. შევატყვე, რომ მღვდელს არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც თქვა. — არა უშავს. რა მოხდა მერე!

— თქვენი დღეგრძელობისა იყოს, მამაო.

— თქვენს მორჩენას გაუმარჯოს.

ხელში ეჭირა ჭიქა და ერთმანეთს შევყურებდით. ადრე ტკბილი მუსაიფი ვიცოდით და დიდი მეგობრებიც ვიყავით, მაგრამ დღეს რაღაც ვერ ავაწყვეთ.

— რა მოგივიდათ, მამაო, დაღლილი ჩანხართ!

— დავიღალე, მაგრამ ამის უფლება არა მაქვს.

— სიცხემ შეგაწუხათ?

— არა. ჯერ გაზაფხულიც არ გასულა. გული მაქვს დამძიმებული.

— ყელში ამოგივიდათ ხომ ეს ომი?!

— არა, მაგრამ მძულს.

— არც მე მსიამოვნებს მაინცადამაინც, — თავი გააქნია და ფანჯარაში გაიხედა.

— თქვენ, აბა, რას გიშლით. თქვენ ვერც კი ხედავთ ომს. მომიტევეთ, განა არ მახსოვს, რომ დაჭრილი ხართ.

— ეს შემთხვევის საქმეა.

— ხომ დაჭრილი ხართ, მაგრამ მაინც ვერ ხედავთ, ვიცი. მე თვითონაც ვერ ვხედავ, მაგრამ ცოტათი ვგრძნობ.

— რომ დავიჭერი, სწორედ იმ წუთში გვქონდა ლაპარაკი ამაზე, პასინი ლაპარაკობდა.

მღვდელმა ჭიქა დადგა. სხვა რაღაცაზე ფიქრობდა.

— მე ვიცი იმათი ამბავი, იმიტომ რომ მეც ისეთივე ვარ, — თქვა მან.

— იმათ რა გიგავთ!

— როგორ არა, ისეთივე ვარ.

— ოფიცრები ვერაფერსაც ვერ ხედავენ.

— ზოგი ხედავს. ზოგი ისეთი მგრძნობიარეა, რომ ჩვენზე უარეს დღეშია.

— უმთავრესად ასეთები არიან.

— საქმე ფული როდია, არც განათლება. აյ რაღაც სხვა ამბავია. პასინისთანა კაცს ფულიც მიეცი, განათლებაც — ოფიცრობას მაინც არ ინდომებს. არც მე ვისურვებდი ოფიცრობას.

— ხარისხით ხომ თქვენც ოფიცერი ხართ. მეც.

— ეს სადაური ოფიცრობაა. თქვენ იტალიელიც კი არა ხართ. უცხოელი ხართ. მაგრამ ოფიცრებთან უფრო ახლოს დგახართ, ვიდრე უბრალო ჯარიგაცებთან.

— რა განსხვავებაა?

— ასე ადვილად ვერ აგიხსნით, მაგრამ არის ხალხი, რომელთაც ომი უნდათ. იტალიაშიც ბევრს ნახავთ ამისთანებს. ისეთებიც არიან, რომელთაც არა სურთ ომი.

— მაგრამ ის პირველები გადაიბირებენ ხომ?

— დიახ.

— მე კიდევ ხელს ვუწყობ ამ საქმეს.

— თქვენ უცხოელი ხართ, პატრიოტი.

— მერე, ვისაც ომი არა სურს, რას აკეთებენ? არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ?

— არ ვიცი.

ისევ გაიხედა ფანჯარაში. მე სახეში შევყურებდი.

— ოდესმე თუ მოუხერხებიათ მაინც?

— ორგანიზებულები არ არიან და ამიტომ ვერც ახერხებენ, ხოლო როცა ორგანიზაციას მოაწყობენ, ბელადები ჰყიდიან ხოლმე.

— მაშ, უიმედო ყოფილა.

— უიმედო არაფერია ქვეყნად. მაგრამ ზოგჯერ ვერ ვახერხებ, იმედიანი ვიყო. ყოველთვის ვცდილობ, მაგრამ ზოგჯერ არ გამომდის.

— ოდესმე ხომ უნდა გათავდეს ომი!

— მაგის იმედით ვსულდგმულობ.

— რას იზამთ მაშინ?

— თუ მოვახერხე, აბრუციში დავბრუნდები.

ერთბაშად გაებადრა შავგვრემანი სახე.

- გიყვართ აბრუცი?
 - ძალიან.
 - მაშ, უსათუოდ უნდა წახვიდეთ.
 - ო, რა ბედნიერი ვიქნებოდი! ვიცხოვრებ ჩემთვის, მეყვარება ღმერთი და მასვე ვემსახურები.
 - ხალხის პატივისცემაც გექნებათ, – ვთქვი მე.
 - პატივისცემაც მექნება. ვითომ რად არ უნდა მქონდეს?
 - უნდა გქონდეთ და გექნებათ კიდეც!
 - მაგას არ გეუბნებით. მაგრამ იქ, ჩემს სამშობლოში, ღვთის თაყვანისცემა როდი უკვირთ. ბინძურ ლაზლანდარობად არა აქვთ ქცეული.
 - მესმის.
 - შემომხედა და გაიღიმა.
 - გესმით, მაგრამ მაინც არ გიყვართ ღმერთი.
 - მართალია.
 - სულ არ გიყვართ?_მკითხა მან.
 - ღამით ხანდახან მეშინია ხოლმე მისი.
 - უნდა გიყვარდეთ.
 - საერთოდ, ცოტა ვინმე თუ მიყვარს.
 - არა,_თქვა მან,_უნდა გიყვარდეთ. იმ ღამეების ამბები რომ გიამბნიათ ჩემთვის, ეს ხომ სიყვარული არ არის. ეს მხოლოდ ვნება და ავხორცობაა. როცა გიყვარს, გინდა მისთვის რამე გააკეთო, შეეწირო მას, ემსახურო.
 - მე არავინ არ მიყვარს.
 - შეგიყვარდებათ. ვიცი, რომ შეგიყვარდებათ. და ბედნიერი იქნებით მაშინ.
 - ისედაც ბედნიერი ვარ. მუდამ ბედნიერი ვყოფილვარ.
 - ეს სულ სხვაა. თუ თვითონვე არ გამოცადეთ, თავისდღეში ვერ გაიგებთ.
 - კეთილი, – ვთქვი მე,_თუ ოდესმე გამოვცადე, თქვენც გაგაგებინებთ.
 - ძალიან მაგრად კი დავჯექი, და ენად გავიკრიფე,_მართლა შეწუხდა.
 - რას ამბობთ. არ წახვიდეთ. ქალის სიყვარულზე რაღას იტყვით? ქალი რომ შემიყვარდეს, ეგეც ისეთივე გრძნობა იქნება?
 - მაგისას ვერაფერს გეტყვით. ჩემს დღეში არ მყვარებია ქალი.
 - არც დედა?
 - დედა, ალბათ, მიყვარდა.
 - ღმერთი თავიდანვე გიყვარდათ?
 - პატარაობიდანვე.
 - აჰა,_აღარ ვიცოდი, რა მეთქვა,_ჯერ ისევ პატარა ბიჭი ხართ, _ვთქვი მე.
 - ბიჭი თუ ვარ, მამაოს რაღას მეძახით?
 - ისე, ზრდილობისათვის.
- გაიღიმა.
- მართლა უნდა წავიდე, – თქვა მან, ჩემი დახმარება ხომ არაფერში გჭირდებათ? _ იმედით გადმომხედა.

- არა. ისე, ვიმუსაიფებდით.
- ჩვენებს მოკითხვას გადავცემ თქვენგან.
- ამ მშვენიერი საჩუქრებისათვის მადლობელი ვარ.
- მაგდენიც არაფერი იყო.
- კიდევ მნახეთ.
- გნახავთ. ნახვამდის, – ხელზე გადამისვა ხელი.
- ნახვამდის, – ვუთხარი მე იტალიურად.
- ჩიაოუ, – გაიმეორა მან.

ოთახში ბნელოდა და მორიგე, რომელიც ფერხთით მეჯდა საწოლზე, მღვდლის გასაცილებლად წამოდგა. ძალიან მიყვარდა ეს მღვდელი და იმედი მქონდა, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა თავის აბრუციში. ოფიცერთა სასადილოში გაწამებული ჰყავდათ, მაგრამ ერთი საყვედურიც არ დასცდენია, და ახლა წარმოვიდგინე, როგორი გახდებოდა იგი თავის სამშობლოში. კაპრაკოტაში, – ჩემთვის უამბნია, – ქალაქის ბოლოს რომ პატარა მდინარე ჩადის, კალმახი იცისო. ღამდამობით სალამურების დაკვრა აკრძალული აქვთ. სერენადებს მღერის ყმაწვილკაცობა, სალამური კი აკრძალულია. რატომ-მეთქი, ვკითხე. იმიტომ, რომ გოგოებისთვის არ ვარგა ღამდამობით სალამურის მოსმენაო. გლეხები «დონ»-ობით მოგმართავენ, და რომ შეგხვდებიან, მაშინვე ქუდს მოიშვლეპენ. მამამისი მთელი დღეები სანადიროდაა გასული და ჯერს გლეხებთან ჭამს ხოლმე. ძალიან პატივს სცემენ სოფელში. უცხოელს თუ მოუნდა იმ მხარეში ნადირობა, მოწმობა უნდა წარადგინოს, რომ თავისდღეში დაჭერილი არ ყოფილა. გრან სასო დიტალიაში დათვებიც ბევრია, მაგრამ ეს ძალიან შორს არის. აქვილა მშვენიერი ქალაქია. ღამდამობით ზაფხულშიაც გრილა. გაზაფხული კი მთელს იტალიაში ყველაზე უკეთესი აბრუციში იცის. მაგრამ ყველაზე მომხიბლავი მაინც შემოდგომაა, წაბლნარში რომ წახვალ სანადიროდ. ფრინველი, რა ჯურისაც გინდა, გემრიელია, რადგან ყურძნით იკვებება. საუზმის წალება არც კი დაგჭირდება, გლეხებს დიდ პატივად მიაჩნიათ, სახლში თუ დაეწვევი. ცოტა ხნის შემდეგ ჩამეძინა.

თავი XII

პალატა გრძელი იყო და ხელმარჯვნივ ფანჯრები ჰქონდა დატანებული, კუთხეში გამოჭრილი კარი კი პირდაპირ შესახვევ ოთახში გადიოდა. საწოლების ერთი მწკრივი, მათ შორის ჩემი საწოლიც, ფანჯრების მოპირდაპირე მხარეს იყო, კედლის გასწვრივ, მეორე მწკრივი კი – ფანჯრების ქვეშ, კედლის პირდაპირ. მარცხენა გვერდზე თუ დაწვებოდი, შესახვევი ოთახის კარებისთვის უნდა გეცქირა. ოთახის ბოლოს მეორე კარიც იყო, და ზოგჯერ იქიდანაც შემოდიოდნენ. როცა ვინმეს სიკვდილი მოუახლოვდებოდა, მის საწოლს ხელად თეჯირს შემოარტყამდნენ, რათა არავის დაენახა მომაკვდავი, მარტო ექიმებისა და ექთანების პაჭიჭები და

ფეხსაცმელებიდა ჩანდა თეჯირქვეშ; ზოგჯერ, სულ ბოლოს, ჩურჩულსაც გაიგონებდი. მერე მღვდელი გამოვიდოდა, მომვლელი მამაკაცები კი ისევ შებრუნდებოდნენ თეჯირში და თავზე საბანწაფარებულ მკვდარს გამოიტანდნენ, ჩაატარებდნენ საწოლებშორის, დერეფანში, მერე ვინმე თეჯირს დაკეცავდა და გაიტანდა.

იმ დილით პალატის მაიორმა მკითხა, როგორ ატყობ _ ხვალ წასვლა თუ შეგეძლებაო. კი-მეთქი, ვუთხარი. მაშ, ადრიანად გაგამგზავრებთო. ჯობს ახლავე გადაგიყვანოთ, მანამ მალიან ჩამოცხაო.

საწოლიდან რომ აგწევდნენ და შესახვევ ოთახში გადაგიყვანდნენ, ფანჯრიდან, ბაღში, ახალ საფლავებს შენიშნავდი. ბაღში გასასვლელ კართან ჯარისკაცი იჯდა და ჯვრებს აკეთებდა, ზედ აწერდა სახელს, ხარისხს და იმ კაცის პოლკის ნომერს, რომელიც აქ უნდა დაემარხათ. დაჭრილებიც აგზავნიდნენ ხოლმე საქმეზე ამ კაცს, ხოლო თავისუფალ დროს ავსტრიული ვაზნებისაგან სიგარეტის სანთებელას მიკეთებდა. ძალიან კარგი ექიმები გვყავდა და ხელმარჯვეებიც ჩანდნენ. მილანში ეწადათ ჩემი გაგზავნა, საცა რენტგენის მოწყობილობაც ჰქონდათ და, ნაოპერაციებზე, მექანო-თერაპიასაც მივიღებდი. მეც გულით მინდოდა მილანში წასვლა. ჰოსპიტლის გათავისუფლებასა და ჩვენს ღრმა ზურგში გაგზავნას აპირებდნენ, რადგან შეტევის დაწყებისთვის სჭირდებოდათ მთელი საწოლები.

საველე ჰოსპიტლიდან გამგზავრების წინაღამეს რინალდი მოვიდა და თან ჩვენი მაიორი მოიყვანა. მილანში გაგზავნიანო, მითხრეს, ახალგახსნილ ამერიკულ ჰოსპიტალშიო. რამდენიმე ამერიკულ სანშენაერთს კიდევ ელოდნენ და ეს ჰოსპიტალი მათ უნდა მომსახურებოდა, აგრეთვე იტალიის არმიაში მყოფ სხვა ამერიკელებს. წითელ ჯვარში ბევრი ამერიკელი იყო. შეერთებულმა შტატებმა გერმანიას გამოუცხადეს ომი, ავსტრიას _ არა.

იტალიელებს სჯეროდათ, რომ ამერიკა ავსტრიასაც გამოუცხადებდა ომს. ამიტომ ძალიან განიცდიდნენ ყოველი ამერიკელის ჩამოსვლას, თუნდა წითელი ჯვრის ხაზით ჩამოსულიყო. რას იტყვი_პრეზიდენტი უილსონი ავსტრიას ომს არ გამოუცხადებსო, მკითხეს მე. სულ რამდენიმე დღის საქმეა-მეთქი, ვუპასუხე. რა გვქონდა გასაყოფი ავსტრიელებთან, მაგრამ თუკი გერმანიას გამოვუცხადეთ ომი, ვითომ ავსტრიისათვის რად არ უნდა გამოგვეცხადებინა! თურქეთს თუ გამოვუცხადებთო, მკითხეს. საეჭვოა-მეთქი, ვუპასუხე. თურქეთი ჩვენი ნაციონალური ჩიტია-მეთქი. მაგრამ ეს ხუმრობა ისე ცუდად თარგმნეს და ისეთ საგონებელში ჩავარდნენ, რომ ხელადვე დავსძინე - ალბათ, თურქეთსაც გამოვუცხადებთ-მეთქი. ბულგარეთს? უკვე რამდენიმე ჭიქა კონიაკი გვქონდა გადაკრული და პირდაპირ მივახალე, ღვთით ბულგარეთსაც და იაპონიასაც-მეთქი. იაპონია ხომ ინგლისის მოკავშირეაო, მითხრეს. მერე რა, სისხლისმსმელი ინგლისელების დანდობა იქნება? იაპონელებს ჰავაის კუნძულებისკენ უჭირავთ თვალი. ჰავაი სად არის? წყნარ ოკეანეში. მერე იაპონელებს რა ესაქმებათ იქ? არაფერი, და არც აქვთ მისი დაპყრობის სურვილი, ეს ისე, ფუჭი ლაპარაკია-მეთქი. იაპონელები

მშვენიერი პატარა ხალხია, ცეკვა და ღვინო უყვართ. ფრანგებისა არ იყოსო, დასძინა მაიორმა. ფრანგებს ნიცა და სავოია უნდა წავართვათ-მეთქი. კორსიკა და მთელი ადრიატიკის სანაპირო ჩვენი უნდა გახდესო, თქვა რინალდიმ. იტალიაშ რომის დიდება უნდა დაიბრუნოსო, განაცხადა მაიორმა. რომი არ მიყვარს-მეთქი, ვუთხარი. საშინლად ცხელა და რწყილებით არის სავსე. თქვენ კი გიყვართ რომი? მიყვარს. რომი ხალხთა დედაა. რა დამავიწყებს, როგორ წოვდა რომული ტიბრს! რაო? არაფერი. მოდი, ერთად წავიდეთ რომში. ამაღამვე წავიდეთ და ნუღარც დავბრუნდებით. რომი ლამაზი ქალაქია. ხალხთა დედა და მამა, დავსძინე მე. Roma_მდედრობითია, შენიშნა რინალდიმ, მამა საიდან იქნება! მაშ, მამა ვინდა არის, სული წმიდა? ღმერთს ნუ ჰგმობ! ღმერთს როდისა ვგმობ, გავიგო მინდა! შენ მთვრალი ხარ, ბეიბი. ვინ დამათრო? მე დაგათვრე, მითხრა მაიორმა. მე დაგათვრე, იმიტომ რომ მიყვარხარ და იმიტომაც რომ, ამერიკა ომში ჩაება. ჩაება კი არა, ჩაეფლო, ვთქვი მე. შენ ხვალ დილით წაგიყვანენ, ბეიბი, თქვა რინალდიმ. რომში, ვთქვი მე. არა, მილანში, მილანში, თქვა მაიორმა, ბროლის სასახლეში, კოვაში, კამპარიში, ბიფიში, გალერიაში. ბედნიერი ხარ. გრან-იტალიაში-მეთქი, ვთქვი მე, იქ ჟორჟს უნდა დავესესხო ფული. ლა სკალაში, თქვა რინალდიმ. ლა სკალაში ივლი. ყოველდამე, ვთქვი მე. ყოველდამე ვერ აუხვალ, მითხრა მაიორმა. ბილეთები ძალიან ძვირია. პაპაჩემის სახელზე გამოვიწერ წარდგინებითს ჩეკს. რასა? წარდგინებითს ჩეკს_ან უნდა გადაიხადოს, ან ციხეში ჩამსვამენ. მისტერ კანინგპემი მომიწყობს ამ საქმეს ბანკში. წარდგინებითი ჩეკით მიდგას სული. აბა, რა გული მისცემს პაპას, ციხეში ჩასმევინოს თავისი პატრიოტი შვილიშვილი, რომელიც იტალიის დღეგრძელობისათვის კვდება! გაუმარჯოს ამერიკის გარიბალდის, შესძახა რინალდიმ. გაუმარჯოს წარდგინებითს ჩეკებს, ვთქვი მე. ძალიან ვხმაურობთ, თქვა მაიორმა. უკვე რამდენჯერ გვთხოვეს, ნუ იხმაურებთო. მართლა ხვალ მიდიხარ, ფედერიკო? აკი გითხარი, ამერიკულ ჰოსპიტალში გადაჰყავთ-მეთქი, უთხრა რინალდიმ. ლამაზ მომვლელებთან. საველე ჰოსპიტალების წვერიან მომვლელებთან კი არა! ჰო, ჰო, თქვა მაიორმა, ვიცი, რომ ამერიკულ ჰოსპიტალში მიდის. ფეხებზე მკიდია მაგათი წვერები, ვთქვი მე. თუ ვინმეს ეხალისება წვერის მოშვება, მოუშვას. რატომ შენ არ უშვებ წვერს, Signor Maggiore? აირწინალს ველარ ჩამოვიცვამ. ჩამოიცვამ. აირწინალში ყველაფერი ჩაეტევა. მე ერთხელ წავარწყიე კიდეც აირწინალში. ძალიან ხმამაღლა ნუ ლაპარაკობ, ბეიბი, მითხრა რინალდმ. ყველამ ვიცით, რომ ფრონტზე იყავი. ეჰ, ჩემო კარგო ბეიბი, უშენოდ რა მეშველება! წავიდეთ, თქვა მაიორმა. გულისამაჩუყებელი ლაპარაკი იწყება. ყური მიგდე, შენთვის სიურპრიზი მაქვს. შენი ინგლისელი. იცი? აი, ინგლისელი გოგო, ყოველდამე რომ ნახულობდი ჰოსპიტალში! ისიც მოდის მილანში; ისა და მეორე გოგო ამერიკელების ჰოსპიტალში მოდიან. ამერიკიდან ჯერ არ ჩამოსულან მედდები. სწორედ დღეს ველაპარაკე მაგათი riparto-ს2 თავს. ფრონტზე კი ძალიან ბევრი ჰყავთ ქალები. ნაწილს ზურგში აგზავნიან. ჰა, ბეიბი, რას იტყვი? კაი საქმეა, ხომ? დიდ ქალაქში იცხოვრებ, და შენი ინგლისელი გოგოც იქ

გეყოლება ჩასახუტუნებლად. რატომ მე არ დავიჭერი? მაგასაც მოესწრები-მეთქი, მე ვუთხარი. წავედით, თქვა მაიორმა. ვსვამთ, ვხმაურობთ და ფედერიკოს ვაწუხებთ. ნუ წახვალთ. არა, უნდა წავიდეთ. ნახვამდის. კეთილი მგავრობა. კარგად იყავი. Ciao. Ciao. Ciao. მალე დაბრუნდი, ბეიბი. რინალდიმ მაკოცა. ლიზოლის სუნი აგდის. ნახვამდის, ბეიბი. ნახვამდის. კარგად იყავი. მაიორმა მხარზე დამკრა ხელი. ფეხაკრეფით გავიდნენ. ვგრძნობდი, რომ საშინლად მთვრალი ვიყავი, მაგრამ მაინც დავიძინე.

1 ბატონო მაიორო (იტალ.).

2 რაზმი (იტალ.).

მეორე დილასვე გავემგზავრეთ მილანისაკენ და ორმოცდარვა საათში ჩავედით. საძაგელი მგზავრობა შეგვხვდა. მესტრეში არც კი ვიყავით მისული, რომ ასაქცევ გზაზე მოგვიხდა დიდი ხნის ლოდინი. ბავშვები მოდიოდნენ და ფანჯრებში იჭყიტებოდნენ. ერთი პატარა ბიჭი დავიჭირე და კონიაკზე გავგზავნე, მაგრამ დაბრუნდა და მითხრა, გრაპის მეტი ვერაფერი ვიშოვეო. ისევ გავაბრუნე გრაპისთვის, და, როცა მომიტანა, ხურდა მასვე ვაჩუქე, მე და ჩემი მეზობელი კი გამოვთვერით და ვიჩენცამდე აღარც გამიღვიმა. გამოვიღვიძე და პირდაპირ იატაკზე ამერია გული. ბევრი არაფერი დამიშავებია, რადგან ჩემზე ადრე ჩემმა მეზობელმაც არწყია იატაკზე. მერე ვიფიქრე, წყურვილით მოვკვდები-მეთქი. და ვერონაში ჯარისკაცს გავძახე, რომელიც ბაქანზე დადიოდა, წინ და უკან. მომიტანა წყალი. ჯორჯეტიც გავაღვიძე, — ჩემი მეზობელი, ჩემთან ერთად რომ გამოთვრა, — და მასაც შევთავაზე. მხრებზე გადამასხიო, მითხრა და ისევ ძილს მისცა თავი. ჯარისკაცი არაფრისდიდებით არ იღებდა ფულს, მერე კი ფორთოხალი მომიტანა. ვწუწწნიდი ფორთოხალს, კანს ვაფურთხებდი და შევცემოდი ჯარიკაცს, რომელიც ჩვენს გადაღმა, საბარგო ვაგონის წინ წრიალებდა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელი შეინჯღრა და აიძრა კიდეც.

წიგნი მეორე

თავი XIII

ადრე დილა იყო, მილანში რომ ჩავედით. საბარგო სადგურზე გადმოვტვირთეს. მე სანიტარულმა მანქანამ წამიყვანა ამერიკელების ჰოსპიტალში. საკაცეზე ვიწევი, მანქანაში, და ვერ გამეგო, ქალაქის რომელ ნაწილში მივდიოდით, მაგრამ საკაცე რომ გადმოიღეს, საბაზრო მოედანი შევნიშნე და იქვე ღვინის დუქანიც დავინახე — კარი გაეღოთ და ვიღაც გოგო მტვერსა ჰგვიდა გარეთ. ქუჩას წყლითა რწყავდნენ და ადრიანი დილის სუნი იდგა. საკაცე მიწაზე დადეს და ჰოსპიტალში შევიდნენ. შვეიცარი გამოიყვანეს.

ჭაღარაულვაშებიანი კაცი იყო, მეკარის ქუდი ეხურა და მოკლესახელოიანი კურტაკი ეცვა. საკაცე ლიფტში არ ეტეოდა და ბჭობა შეექნათ, _გადმოვსვათ საკაციდან და ისე ავიყვანოთ ლიფტით, თუ საკაციანად კიბეზე ავატაროთო. მე ვისმენდი მათ დავას. ლიფტით აყვანა გადაწყვიტეს. გადმომიყვანეს საკაციდან.

_ ფრთხილად, _ შევძახე მე, _ ფრთხილად მომკიდეთ ხელი.

ლიფტში ბევრნი შევქუჩდით ერთად და ფეხი რომ მოვხარე, საშინელი ტკივილი ვიგრძენი.

_ გამიმართეთ ფეხი, _ ვთქვი მე.

_ რანაირად, Signor Tenente, ადგილი არ არის.

ამის მთქმელ კაცს ხელით ვეჭირე და მე კისერზე მქონდა მისთვის მკლავი შემოხვეული. ნივრისა და წითელი ღვინის სუნი ასდიოდა და მისი სუნთქვა სახეში მცემდა.

_ წყნარად! _ უთხრა მეორემ.

_ წყნარად არა ვარ, ძაღლიშვილო?!?

_ წყნარად-მეთქი, _ ჩემი ფეხები რომ ეჭირა, იმ კაცმა გაუმეორა.

ლიფტის კარები დაიკეტა, და შვეიცარმა მეოთხე სართულის ღილაკს დააჭირა თითი. გატანჯული სახე ჰქონდა ამ შვეიცარს. ლიფტი მძიმედ დაიძრა.

_ გაგიჭირდათ? _ ვკითხე ნივრისსუნიან კაცს.

_ არაფერია, _ თქვა მან. სახეზე ოფლმა დაასხა და ღრუტუნებდა. ლიფტი ავიდა და გაჩერდა. ფეხები რომ ეჭირა ჩემი, იმ კაცმა კარები გააღო და გავიდა. აივანზე გამოვედით. აქ იყო სპილენძისსახელურიანი რამდენიმე კარი. ფეხები რომ ეჭირა ჩემი, იმ კაცმა ღილაკს დააჭირა თითი. შიგნით ზარის ხმა გაისმა. არავის არ გამოუხედავს. კიბეზე შვეიცარი ამოვიდა.

_ სად არიან? _ ვკითხეს მეჯალამბრეებმა.

_ არ ვიცი, _ მიუგო შვეიცარმა, _ მაგათ დაბლა სძინავთ.

_ ამოიყვანე ვინმე.

შვეიცარმა ზარი დარეკა, დააკაკუნა, მერე კარი გააღო და შევიდა. როცა გამოვიდა, ერთი ხანშიშესული სათვალიანი ქალიც გამოჰყვა. გაწეწილი თმა თითქმის ჩამოშლოდა, მოწყალების დის ფორმა ეცვა.

_ არ მესმის, _ თქვა ქალმა, _ იტალიური არ მესმის.

_ მე ვიცი ინგლისური, _ ვუთხარი მე, _ უნდათ, რომ სადმე აქ მომათავსონ.

_ არც ერთი ოთახი არა გვაქვს მზად, ჯერ არავის არ მოველოდით.

თმები აიკეცა და ბეციანივით შემომაშტერდა.

_ აჩვენეთ რომელიმე ოთახი, სადმე დამაწვინონ.

_ არ ვიცი, _ თქვა მან, _ ჯერ ავადმყოფებს არ მოველოდით. როგორ უნდა შეგირჩიოთ ოთახი, ისე_ ალალბედზე!

_ სულ ერთია, რა ოთახიც უნდა იყოს, _ ვუთხარი მე. მერე შვეიცარს მივუტრუნდი იტალიურად, _ ცარიელი ოთახი გამოძებნეთ.

_ სულ ცარიელი არ არის! _ თქვა შვეიცარმა, _ თქვენ პირველი ავადმყოფი ხართ. _ ქუდი ხელში ეჭირა და ხანშიშესულ ქალს შესცქეროდა.

— იწამეთ ღმერთი და სადმე დამაწვინეთ!_ მოხრილ ფეხებში სულ უფრო და უფრო მივლიდა ტკივილი, და ვგრძნობდი, როგორ მიხრავდა ძვალს. შვეიცარი ოთახში შევიდა, ჭალარა ქალის თანხლებით, და მალევე გამობრუნდა. — გამომყევით,_თქვა მან. გამატარეს გრძელი დერეფანი და ფარდებჩამოშვებულ ოთახში შემიყვანეს. ახალი ავეჯის სუნი მეცა. აქ ედგათ საწოლი და დიდი, სარკიანი კარადა. ლოგინზე დამაწვინეს.

— ზეწრებს ვერ გაგიფენთ, _ თქვა ქალმა,_ზეწრები ჩაკეტილია.

მე ხმა არ გამიცია.

— ჯიბეში ფული მაქვს, _ მივმართე შვეიცარს, _ ღილით შეკრულ ჯიბეში.

შვეიცარმა ამოიღო ფული. მეჯალამბრეები საწოლთან იდგნენ, ქუდით ხელში.

— ხუთ-ხუთი ლირა მაგათ მიეცით, ხუთიც თქვენ აიღეთ. საბუთები მეორე ჯიბეში მაქვს. შეგიძლიათ მედდას გადასცეთ.

მეჯალამბრეებმა სამხედრო სალამი მომცეს და მადლობა მითხრეს.

— მშვიდობით, _ ვუთხარი მე, _ დიდი მადლობელი ვარ._კიდევ მომცეს სამხედრო სალამი და გავიდნენ.

— ეს ჩემი საბუთებია, _ ვუთხარი მედდას, _ ავადმყოფობის ისტორიაც მანდ არის.

მედდამ აიღო ქალალდები და გადაათვალიერა. სულ სამი საბუთი იყო, ერთად დაკეცილი.

— აღარ ვიცი, რა ვქნა, _ თქვა მან, _ იტალიურს ვერ ვკითხულობ, ექიმის განკარგულებაც თუ არ იქნა, ვერაფერს ვერ გავაკეთებ. _ ზლუქუნს მოჰყვა და ქალალდები წინსაფრის ჯიბეში ჩაიწყო. _ ამერიკელი ხართ?_ტირილით მკითხა მან.

— დიახ. ეგ საბუთები მაგიდაზე დასდეთ, საწოლთან.

ოთახი ჩაბნელებული იყო და გრილოდა. ლოგინზე დაწოლილმა, იქითა მხარეს დიდი სარკე დავინახე, მაგრამ რა ირკვლებოდა ამ სარკეში, ეგ კი ვეღარ გავარჩიე. შვეიცარი საწოლთან იდგა. სასიამოვნო სახე ჰქონდა და ძალიან კეთილი ჩანდა.

— წაბრძანდით, _ ვუთხარი მას, _ თქვენც შეგიძლიათ წაბრძანდეთ, _ მივმართე მედდას, _ თქვენი სახელი?

— მისის უოკერ.

— წაბრძანდით, მისის უოკერ. მგონი, დამეძინოს.

მარტო დავრჩი ოთახში. გრილოდა და ჰოსპიტლის სუნი სულაც არ იგრძნობოდა. ნაალი მაგრად გატენილი და სასიამოვნო დასაწოლი იყო, არც კი განვძრეულვარ, მშვიდად ვსუნთქავდი, ბედნიერი ვიყავი, რომ ტკივილმა მიკლო. ცოტა ხნის შემდეგ მომწყურდა. საწოლთან ზარი შევნიშნე და თითი დავაჭირე, მაგრამ არავინ შემოსულა. დამეძინა.

როცა გამოვიღვიძე, მივიხედ-მოვიხედე. დარაბების ჭუჭრუტანებში მზე ატანდა. დავინახე დიდი კარადა, შიშველი კედლები და ორი სკამი.

გაჭუჭყიანებულ სახვევებში გახვეული ფეხები საბნიდან გამოჩრილიყო. ვცდილობდი არ გამენძრია. მწყუროდა და ზარის ღილაკს მივწვდი. კარი გაიღო, გავიხედე და მოწყალების და დავინახე. ახალგაზრდა და ლამაზი ჩანდა.

— დილა მშვიდობისა, — ვთქვი მე.

— დილა მშვიდობისა, _ მითხრა მან და ლოგინთან მოვიდა, — ექიმის გამოძახება ვერ მოვახერხეთ. კომოს ტბაზე წასულა. არავინ არ ელოდა ავადმყოფს დღეს. რა გაწუხებთ?

— დაჭრილი ვარ. მუხლებსა და ტერფებში. თავის არეშიაც მაქვს ჭრილობა.

— თქვენი სახელი?

— ჰენრი, ფრედერიკ ჰენრი.

— ახლავე დაგბანთ. შეხვევით კი ექიმის მოსვლამდე ვერ შეგიხვევთ.

— აქ მისს ბარკლი ხომ არ არის?

— არა. მაგისთანა გვარი არ გამიგონია აქ.

— ის ქალი ვინდა იყო, ჩემს მოყვანაზე რომ ატირდა?

მოწყალების დას გაეცინა. — მისის უოკერი. ღამის მორიგე იყო და ჩასძინებოდა. არავის არ მოელოდა. _ თან ვლაპარაკობდით და თან ტანთ მხდიდა. როცა სულ გამხადა_ სახვევებზე ხელი არ უხლია _ დამბანა, ძალიან ნაზად და ფაქიზად. ერთბაშად ვიგრძენი შვება. თავი შეხვეული მქონდა, მაგრამ სახვევს ირგვლივ სულ მომბანა ყველაფერი.

— სად დაგჭრეს?

— იზონცოში, პლავას ჩრდილოეთით.

— სად არის ეგ?

— გორიციის ჩრდილოეთით.

მივხვდი, რომ ეს სახელწოდებები არაფრისმეტყველი იყო მისთვის.

— ძალიან გტკივათ?

— არა. ახლა არც ისე.

თერმომეტრი ჩამიდონ პირში.

— იტალიელები იღლიაში იჩრიან ხოლმე, — ვუთხარი მე.

— ნუ ლაპარაკობთ.

თერმომეტრი რომ ამოიღო, დახედა და დაბერტყა.

— რამდენი მაქვს?

— ავადმყოფს არ ეუბნებიან.

— მითხარით.

— თითქმის ნორმალურია.

— ერთხელაც არ ამწევია სიცხე. ფეხები კი ჟანგიანი რკინებითა მაქვს გამოტენილი.

— როგორ თუ გამოტენილი?

— რა არ არის შიგ_ ნაღმის ნამსხვრევები, ძველი ლურსმნები, საწოლის ზამბარები და ათასი ჯანდაბა!

თავი გააქნია და გაიღიმა.

— ერთი ნამცეციც რომ გქონდეთ რამე, მაშინვე ანთებითი პროცესი დაგეწყვებოდათ და სიცხეც აიწევდა.

— კარგი, თქვენ თვითონვე ნახავთ, რა აღმოჩნდება, — ვუთხარი მე.

ოთახიდან გავიდა და დილანდელი მოხუცი მედდა შემოიყვანა. ამწიეს და ისე მარჯვედ გამიშალეს ლოგინი, რომ აღფრთოვანებული დავრჩი. პირველად ვნახე ასეთი რამ.

— ჰოსპიტალს ვინ განაგებს?

— მისს ვან კამპენი.

— რამდენი მედდა გყავთ?

— ორნი ვართ.

— სხვას არ ელოდებით?

— კიდევ უნდა ჩამოვიდნენ.

— როდის ჩამოვლენ?

— არ ვიცი. ამდენი შეკითხვები არ შეიძლება ავადმყოფისთვის.

— მე ხომ ავადმყოფი არა ვარ, — ვთქვი მე, — დაჭრილი ვარ.

ლოგინის გასწორებას მორჩნენ. ახლა ქვეშაც სუფთა გაქათქათებული ზეწარი მეგო და ზემოდანაც მეხურა მეორე ასეთი ზეწარი. მისის უოკერი გავიდა და პიჟამა შემომიტანა. ჩამაცვეს და ძალიან მესიამოვნა სუფთა ჩასაცმელი.

— დიდი სიკეთე მიყავით, — ვთქვი მე. მოწყალების დამ, რომელსაც მისს გეიჯს ეძახდნენ, გადიკისკისა. — წყალს ვერ დამალევინებთ?

— რატომაც არა. მერე შეგიძლიათ ისაუზმოთ კიდეც.

— საუზმე არ მინდა. არ შეიძლება ფარდები გადახსნათ?

ოთახი ჩაბნელებული იყო და ფარდები რომ გადასწიეს, ერთბაშად თვალისმომჭრელი მზის სინათლე დადგა, დავინახე აივანი, აივნის იქით კი კრამიტის სახურავები და ბუხრის მიღები. სახურავებს მიღმა მოჩანდა თეთრი ღრუბლები და ძალიან ლურჯი ცა.

— არ იცით, როდის ჩამოვლენ სხვა მედდები?

— რას კითხულობთ? ჩვენ კარგად ვერ გივლით?

— თქვენ დიდი სიკეთე მიყავით.

— ღამის ჭურჭელი ხომ არ გინდათ?

— ვცდი მაინც.

ამწიეს და დამსვეს, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! მერე ვიწევი და აივანს გავყურებდი.

— ექიმი როდის უნდა მოვიდეს?

— როცა დაბრუნდება. ჩვენ უკვე დავურეკეთ კომოს ტბაზე.

— სხვა ექიმი არ არის?

— ჩვენი ჰოსპიტლის ექიმი ის არის.

მისს გეიჯმა წყლით სავსე სურა და ჭიქა შემოიტანა. სამი ჭიქა დავლიე ზედიზედ, მერე ისინი წავიდნენ. ერთხანს ფანჯარაში ვიყურებოდი, მერე კი ისევ ჩამეძინა. ცოტა წავისაუზმე, ხოლო ნაშუადღევს ჩემს სანახავად მოვიდა

მისს ვან კამპენი, ჰოსპიტლის გამგებელი. არ მოვეწონე და არც მე მომეწონა. ტანმორჩილი ქალი იყო და მეტისმეტად ეჭვიანი, თავი ისე მაღლა ეჭირა, რომ მის მდგომარეობას სულაც არ შეეფერებოდა. კითხვა კითხვაზე დამაყარა და, ეტყობოდა, სამარცხვინოდ თვლიდა, რომ მე იტალიის არმიაში ვმსახურობდი.

— სადილზე ცოტა ღვინო არ შეიძლება? — ვკითხე მე.

— თუ ექიმი გამოგიწერთ, კი.

— ექიმის მოსვლამდე?

— არც ერთი წვეთი.

— როგორ გგონიათ, ნამდვილად მოვა?

— ჩვენ დავურეკეთ კომოს ტბაზე.

ის წავიდა და ოთახში მისს გეიჯი შემობრუნდა.

— უხეშად რატომ ელაპარაკეთ მისს ვან კამპენს? _ მკითხა მან, როცა ყველაფერი ძალიან მარჯვედ გამიკეთა.

— უნებურად მომივიდა. მაგრამ ძალიან გაბლინძული ჩანს.

— ძალიან თავგასული და ტლანქიაო, თქვენზე თქვა.

— სულაც არა. მაგრამ უექიმო ჰოსპიტალი რის მაქნისია?

— მოვა. უკვე დაურეკეს კომოს ტბაზე.

— იქ რას აკეთებს? ცურავს?

— არა. კლინიკა აქვს.

— რატომ სხვა ექიმს არ აიყვანენ?

— ჩუ, ჩუმად. ჭკუით იყავით და მალე მოვა.

შევიცარი მოვახმობინე, და როცა მოვიდა, იტალიურად ვუთხარი _ ეყიდა ჩემთვის ერთი ბოთლი ჩინცანო, ღვინის დუქანში, მათარით ქიანტი და საღამოს გაზეთები. წავიდა და გაზეთები შეხვეული მომიტანა, რაც დავაბარე. გავახსნევინე, საცობები ამოვაძრობინე და ღვინო და ვერმუთი საწოლქვეშ შევადგმევინე. მარტო დავრჩი, აღარავინ შემოსულა. ვიწერი ლოგინში და გაზეთებს ვათვალიერებდი _ ფრონტის ამბებს, მოკლული ოფიცრების სიას და მათსავე ჯილდოებს, მერე ხელი დაბლა ჩავაცურე და ჩინცანოს ბოთლი ამოვიღე, ცივი ფსკერით მუცელზე დავიდე, ცოტას მოვსვამდი და ისევ ისე დავიდებდი, ბოთლისაგან წრეები დამაჩნდა მუცელზე, გავყურებდი სახურავებს და ვხედავდი, როგორ თანდათანობით ღამდებოდა. ვხედავდი როგორ წრიულად დასრიალებდნენ მერცხლები, როგორ დანავარდობდნენ სახურავებს ზემოდან მესკიები, და ნელ-ნელა ვწრუპავდი ჩინცანოს. მისს გეიჯმა ჭიქით გოგლიმოგლი მომიტანა. ის რომ შემოვიდა, ვერმუთის ბოთლი საწოლის უკან გადავდე.

— მისს ვან კამპენმა ცოტაოდენი ხერესი ჩაგვასხმევინე შიგ, _ მითხრა მან, _ ნუ მოექცევით ტლაქად. ახალგაზრდა აღარ არის და ჰოსპიტლის გამგებლობა დიდი თავსატები საქმეა. მისის უოკერიც მოხუცებულია და ვერაფერს ეხმარება.

— დიდებული ქალია, _ ვთქვი მე, _ დიდი მადლობა გადაეცით ჩემგან.

— ახლა წავალ და ვახშამს მოგიტანთ.

— არ გინდათ, — ვუთხარი მე, — არა მშია.

სინი შემომიტანა და საწოლის მაგიდაზე დადო. მადლობა ვუთხარი და ვახშამი ცოტა მოვციცქნე. მერე სულ ჩამობნელდა გარეთ და ვხედავდი, როგორ მოძრაობდნენ ცაზე პროფექტორების სხივები. კარგა ხანს ვადევნებდი თვალს, მერე კი ჩამეძინა. მაგრად მეძინა, მხოლოდ ერთხელ გამომეღვიძა შიშისაგან ოფლში გაღვრილს, ისევ დავიძინე და ვცადე, აღარ დავბრუნებოდი ნახულ სიზმარს. გათენებამდე კარგა ხნით ადრე გამეღვიძა. მესმოდა მამლების ყივილი და მანამ გათენდებოდა, აღარც დამიძინია. საშინლად დავიქანცე და როცა კარგად გათენდა, ისევ დამეძინა.

თავი XIV

ოთახში მაგრად აჭერდა მზე, როცა გამოვიღვიძე. მომეჩვენა, თითქოს ისევ ფრონტზე ვიყავი და ლოგინში გავიზმორე. ფეხები მეტკინა, დავხედე გაჭუჭყიანებულ სახვევებს და მაშინვე გამახსენდა, სად ვიყავი. ზარის ღილაკს მივწვდი. დერეფანში ზარის წკრიალი გაისმა, მერე გავიგონე, როგორ წამოვიდა ვიღაც რეზინისლანჩიანი. ეს იყო მისს გეიჯი, მზის სინათლეზე უფრო ხანშიშესული ჩანდა, და აღარც ისეთი ლამაზი მეჩვენა.

— დილა მშვიდობისა, — თქვა მან, — წუხელ კარგად გეძინათ?
— დიახ. მადლობელი ვარ, — ვუთხარი მე, — პარიკმახერს ვერ დაუძახებთ?
— წელან შემოვედი თქვენს სანახავად და, მძინარეს, აი ეს გეჭირათ ხელში.
კარადა გამოაღო და ვერმუთის ბოთლი გამოიტანა. თითქმის ცარიელი იყო.

— მეორე ბოთლიც აქ შევინახე, საწოლქვეშ რომ გქონდათ, — მითხრა მან_ჭიქა რატომ არ მომატანინეთ?
— ვაითუ, დალევა არ დამანებოს-მეთქი.
— ის კი არა და, მეც დავლევდი თქვენთან ერთად.
— კაი გოგო ყოფილხართ.
— მარტო სმა გაწყენთ, — მითხრა მან, — ნუღარ დალევთ მარტო.
— აღარ დავლევ.
— თქვენი მეგობარი მისს ბარკლი ჩამოვიდა.
— მართლა?
— ჰო, მე არ მომწონს.
— მოგეწონებათ. ძალიან კარგი ქალია.

თავი გააქნია.
— დარწმუნებული ვარ, კარგი იქნება. ცოტათი ვერ გადმოიწევით აქეთ? ასე. საუზმისათვის მოგამზადებთ. — ჩვრით, საპნითა და თბილი წყლით დამბანა. — მხარი წამოსწიეთ, — მითხრა მან, — ასე.
— პარიკმახერს საუზმემდე ვერ დაუძახებთ?
— ახლავე გავუგზავნი შვეიცარს. — გავიდა და ისევ შემობრუნდა. — მოსაყვანად წავიდა, — თქვა მან და ჩვარი წყლიან ჯამში ჩააგდო.

შვეიცარმა პარიკმახერი მომიყვანა. ორმოცდაათი წლის კაცი იქნებოდა, ულვაშებაბზეკილი. მისს გეიჯი მორჩა საქმეს და წავიდა, პარიკმახერმა გამსაპნა და პარსვა დაიწყო. იდგა გაბღენძილი და მპარსავდა, ლაპარაკისაგან თავს იკავებდა.

— რატომ ხმას არ ამოიღებთ, ახალი ამბები არ იცით? — ვკითხე მე.

— რა ამბები?

— რაც გინდა იყოს. ქალაქში რა ამბავია?

— ომია, — ყველგან მტრის ყურია.

მე ავხედე.

— თავს ნუ აქნევთ, — მითხრა და პარსვა განაგრძო. — მაინც არაფერს ვიტყვი.

— რა მოგივიდათ? — ვკითხე მე.

— მე იტალიელი ვარ. მტერთან ლაპარაკს ვერ ვეწყობი.

მეც მოვეშვი. თუ გიჟია, რაც ადრე დავაღწევ თავს მის სამართებელს, მით უკეთესი. ერთხელ დავაპირე, კარგად შემეთვალიერებინა.

— ფრთხილად, — მითხრა მან, — ბასრი სამართებელი მაქვს.

საქმეს რომ მორჩა, გადავუხადე, რაც ეკუთვნოდა და ნახევარი ლირა ზედმეტი ვაჩუქე. უკანვე დამიბრუნდა ფული.

— არ ავიღებ. მართალია, ფრონტზე არ ვიმყოფები, მაგრამ იტალიელი ვარ.

— ჯანდაბას შენი თავი!

— თქვენის ნებართვით, — მითხრა და სამართებელი გაზეთში შეახვია. წავიდა და სპილენძის ხუთი მონეტა პატარა მაგიდაზე დამიტოვა. ზარი დავრეკე. მისს გეიჯი შემოვიდა.

— შვეიცარს დაუმახეთ, თუ არ დაიზარებთ.

— ახლავე.

მოვიდა შვეიცარი. სიცილს ძლივს იკავებდა.

— ეს პარიკმახერი გიჟი ხომ არ არის?

— არა, სინიორინო, შეცდომა მოსვლია, კარგად ვერ გაუგონია, თქვენზე რომ ვუთხარი - ავსტრიელი ოფიცერი მოჰყურებია.

— ოჰ! — წამოვიძახე მე.

— ჰა, ჰა, ჰა, — გადაიხარხარა შვეიცარმა, — კაი სეირი იყო! ერთი კიდევ რომ გაენძრია თავიო... — სალოკი თითი ყელზე გამოისვა.

— ჰა, ჰა, ჰა, — ვეღარ იკავებდა სიცილს, — ავსტრიელი არ არის-მეთქი, რომ ვუთხარი... ჰა, ჰა, ჰა...

— ჰა, ჰა, ჰა, — დავუცაცხანე მე, — კაი სეირი კი იქნებოდა, ყელი რომ გამოეღადრა. ჰა, ჰა, ჰა.

— აჸ, სინიორინო, რასა ბრძანებთ. ისე შეეშინდა ავსტრიელებისა, რომ... ჰა, ჰა, ჰა.

— ჰა, ჰა, ჰა, — გამოვაჯავრე მე, — წადით ახლა აქედან.

გავიდა. დერეფნიდან მესმოდა მისი სიცილი. მერე ფეხის ხმა გავიგონე დერეფნანში. კარებისაკენ გავიხედე — ქეთრინ ბარკლი იყო.

ოთახში შემოვიდა და ჩემს ლოგინთან გაჩერდა.

— გამარჯობა, ძვირფასო! — თქვა მან. ძალიან ქორფა და ლამაზი ჩანდა. ამისთანა ლამაზს ჯერაც არავის შევხვედრივარ-მეთქი, გავიფიქრე.

— გამარჯობა! — ვუპასუხე. დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ მიყვარდა. გული გადამიქანდა. კარებისაკენ გაიხედა, და როცა დარწმუნდა, არავინააო, ლოგინზე ჩამომიჯდა, გადმოიხარა და მაკოცა. მკერდზე მივიკარი, ვაკოცე და ვიგრძენი, როგორ უცემდა გული.

— ჩემო საყვარელო, ხომ კარგი ქენი, რომ ჩამოხვედი?

— ჩამოსვლა არ ყოფილა მაინცადამაინც ძნელი, შენ აქ დარჩენა იკითხე.

— უნდა დარჩე, — ვუთხარი მე, — ო, რა კარგი ხარ!_გიუივით ვიყავი. არა მჯეროდა, რომ იგი ნამდვილად ჩემთან იყო და გულში მყავდა ჩაკრული.

— ნუ,_მითხრა მან,—ჯერ კარგად არა ხარ.

— კარგადა ვარ. მოდი.

— არა. ჯერ ჯანზე არა ხარ.

— ვარ. როგორ არა ვარ. კარგად ვარ. მოდი, ძვირფასო.

— გიყვარვარ?

— ნამდვილად მიყვარხარ. ლამის გამაგიჟო. მოდი, ძვირფასო.

— გესმის, როგორ ცემს ჩვენი გულები?

— გულებს რა თავში ვიხლი. შენ მინდიხარ. ლამის ჭკუიდან შემშალო!

— მართლა გიყვარვარ?

— რას დაგიჟინია ეგ სიტყვები. მოდი, საყვარელო, საყვარელო ქეთრინ.

— კარგი, მაგრამ მხოლოდ ერთი წუთით.

— ერთი წუთით იყოს,_ვუთხარი მე,—კარები დაკეტე.

— არ შეიძლება. შეუძლებელია.

— მოდი. ნუდარ მელაპარაკები. მოდი, ძვირფასო.

ქეთრინი სასთუმალთან მეჯდა, სკამზე. დერეფნის კარები ღია იყო.

სიგიჟემ გაიარა და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, როგორც არასოდეს.

მან მკითხა:

— ახლა ხომ გჯერა, რომ მიყვარხარ?

— ო, ჩემო საყვარელო,_ვუთხარი მე,—უნდა დარჩე. ვერსადაც ვერ გადაგიყვანენ. გაგიჟებით მიყვარხარ.

— ძალიან უნდა გავფრთხილდეთ. ეს სიგიჟე იყო. როგორ შეიძლება!

— ღამით შეგვიძლია.

— დიდი სიფრთხილე გვმართებს, სხვების დასანახად ფრთხილად უნდა იყო.

— კარგი, ფრთხილად ვიქნები.

— უსათუოდ. ჩემო საყვარელო, ხომ გიყვარვარ? გიყვარვარ?

— ნუდარ გამიმეორებ. შენ არც კი იცი, რა მომდის, მაგას რომ მეტყვი.

— კარგი. აღარ გეტყვი. აღარ გაგაღიზიანებ. ახლა უნდა წავიდე, ჩემო საყვარელო, ნამდვილად უნდა წავიდე.

— მალე დაბრუნდი.

— როგორც კი მოვახელთებ, დავბრუნდები.

– ნახვამდის.

– ნახვამდის, საყვარელო.

წავიდა. ღმერთმა ხომ იცის, სულაც არ მიფიქრია მისი შეყვარება. საერთოდ არავისი შეყვარება არა მნდომია. მაგრამ ამასაც ხედავს ღმერთი, რომ შემიყვარდა, და ახლა ვიწექი მილანის ჰოსპიტალში, თავში ათასნაირი ფიქრი მიტრიალებდა, მაგრამ დიდებულ გუნებაზე კი ვიყავი. ბოლოს ოთახში შემოვიდა მისს გეიჯი.

– ექიმი მოდის, თქვა მან, კომოს ტბიდან დარეკა.

– როდის მოვა?

– საღამო ხანს.

თავი XV

საღამომდე აღარაფერი მომხდარა. ექიმი ჩია, წყნარი კაცი იყო. ეტყობოდა, ომს შეეწუხებინა. ფოლადის პატარა ნამსხვრევები თავშეკავებულ ზიზღით ამომაცალა ბარძაყებიდან. ადგილობრივი ანესთეზია გამოიყენა, რასაც «გაყინვას» ეძახიან ხოლმე_ერთიანად გაყინავს ქსოვილებს და მანამ საექიმო საცეცი, ლანცეტი თუ სკალპელი გაყინულ ნაწილზე ღრმად არ წასულა, ტკივილი სულაც არ გაწუხებს. ავადმყოფი აშკარადა გრძნობს, სად თავდება ეს გაყინული ფენა, და მალე ექიმს აღარ ეყო მოხდენილი თავშეკავება და თავაზიანობა, სჯობს რენტგენი გამოვიყენოთო, განაცხადა. საცეცით ვერას გავხდებითო.

რენტგენის კაბინეტი Ospedale Maggiore-სთან1 ჰქონდათ მოწყობილი და იქაური ექიმი მარჯვე, მკვირცხლი და გულმხიარული კაცი გამოდგა. ისე დაგიჭერდნენ მხრებით, რომ შენ თვითონვე შეგეძლო დაგენახა სხეულში შეჭრილი მსხვილი ნამსხვრევები, ანუ «უცხო სხეულები». სურათებს მერე გამოგზავნიდნენ. ექიმმა მთხოვა, უბის წიგნაკში თქვენი სახელი და გვარი, პოლკის ნომერი და სხვა სამახსოვრო რამე ჩამიწერო. ყოველგვარი «უცხო სხეული»_სიმახინჯე, სისაძაგლე და მხეცობააო, განაცხადა მან. ავსტრიელები ძალისმვილები არიანო. რამდენი გყავთ მოკლული? ერთიც არ მომეკლა, მაგრამ გულით მინდოდა მესიამოვნებინა და, ვინ მოსთვის-მეთქი, ვუთხარი. მისს გეიჯი მახლდა თან, ექიმმა ხელი შემოჰქვია და თქვა_კლეოპატრაც კი ვერ მოვა ამასთან სილამაზითო. გაიგო? კლეოპატრა ეგვიპტის დედოფალი იყო ძველად. ღმერთმანი, ნამდვილად სჯობს კლეოპატრას. სანიტარული მანქანით დავბრუნდით ჩვენს პატარა ჰოსპიტალში და ბევრი აყვან-გადაყვანის შემდეგ ისევ ზემოთ აღმოვჩნდი, ჩემს ლოგინში. სურათები იმავე საღამოს გამოგზავნეს. ექიმი შეგვპირდა, ღვთის მადლმა, ამაღამვე გამოვგზავნიო, და შეასრულა კიდეც. ქეთრინ ბარკლიმ მაჩვენა ეს სურათები. წითელ კონვერტებში იყო ჩაწყობილი, კონვერტებიდან იღებდა და ერთად ვსინჯავდით სინათლეზე.

1 მთავარი ჰოსპიტალი (იტალი).

_ ეს შენი მარჯვენა ფეხია, _ თქვა მან და სურათი ისევ კონვერტში ჩადო. _ ესეც – მარცხენა.

_ ეს სურათები მომაშორე და შენ მოდი ჩემთან, ლოგინში, _ ვუთხარი მე.

_ არ შემიძლიან, _ თქვა მან, _ ერთის წუთით შემოვირბინე, სურათების საჩვენებლად.

წავიდა და მე ლოგინში დავრჩი. შეხუთული საღამო იყო და ამდენი წოლით გული მერეოდა. შვეიცარი გავგზავნე გაზეთებზე, რაც კი შეგხვდეს, იყიდე-მეთქი.

მანამ დაბრუნდებოდა, ოთახში სამი ექიმი შემოვიდა. დაკვირვებული ვარ, როცა ექიმს სამედიცინო გამოცდილება არ ჰყოფნის, უსათუოდ სხვებთან მოთათბირებასა და კონსულტაციას არჩევს. აპენდიკსის ამოკვეთა თუ არ ძალუს ხეირიანად, ისეთ ექიმთან გაგაგზავნის, ვინც გლანდების ამოკვეთაში არ არის გაწაფული. ამისთანა ექიმები იყვნენ ესენიც.

_ ეს ყმაწვილი გახლავთ, _ თქვა იმ თავაზიანმა ჰოსპიტლის ექიმმა.

_ გამარჯობა, _ მითხრა წვერმოშვებულმა წოწოლა ექიმმა. მესამე ექიმს წითელ კონვერტებში ჩადებული რენტგენის სურათები ეჭირა და ხმა არ გაუღია.

_ მოვხსნათ? _ იკითხა წვერიანმა ექიმმა.

_ რა თქმა უნდა. სახვევები მოხსენით, გეთაყვა, _ უთხრა ჰოსპიტლის ექიმმა მისს გეიჯს. მისს გეიჯმა მომხსნა სახვევები. ფეხებზე დავიხედე. საველე ჰოსპიტალში რომ ვიწევი, ჰამბურგულ ბივშტექსსა ჰგავდა, არცთუ მაინცადამაინც ახალ დაბეგვილს. ახლა კი ქერქი დასდებოდა, მუხლი შეშუპებულიყო და გათეთრებულიყო, ნაკუთალები ჩამჭყლეტოდა, ოღონდ დაჩირქებით არ დამჩირქებოდა.

_ ძალიან სუფთაა, _ თქვა ჰოსპიტლის ექიმმა, _ სუფთა და კარგი.

_ ჰემ, _ თქვა წვერიანმა ექიმმა. მესამე ექიმმა ჰოსპიტლის ექიმის ზურგსუკნიდან გადმომხედა.

_ მუხლი მოხარეთ, გეთაყვა, _ მითხრა წვერიანმა ექიმმა.

_ ვერა ვხრი.

_ არტიკულაცია გავსინჯოთ? _ იკითხა წვერიანმა ექიმმა. სახელოზე მას, სამი ვარსკვლავის გვერდით, ზოლიც ეკრა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კაპიტანი იყო.

_ რა თქმა უნდა, _ თქვა ჰოსპიტლის ექიმმა. ორმა მათგანმა ფრთხილად აიღო ჩემი ფეხი და მოხრა სცადეს.

_ მტკივა, _ ვთქვი მე.

_ ვიცი, ვიცი. ცოტა კიდევ, ექიმო.

_ კმარა. მეტად აღარ იხრება, _ ვთქვი მე.

– ნაწილობრივი არტიკულაცია, – თქვა კაპიტანმა. გაიჭიმა._აბა, ერთი კიდევ მიბოძეთ ეგ სურათები, ექიმო._მესამე ექიმმა ერთი სურათი მიაჩეხა._არა. მარცხენა ფეხისა.

– სწორედ მარცხენა ფეხია, ექიმო.

– მართალი ბრძანდებით. უკუღმა შემიხედავს. _ შეაბრუნა სურათი. მეორე სურათს დიდხანს ჩაშტერებოდა. _ ხედავთ, ექიმო? _ ნამსხვრევი აჩვენა, რომელიც სინათლეზე მომრგვალებულად და მკაფიოდ იყო გამოკვეთილი. კარგა ხანს სინჯავდნენ.

– ერთი რამ კი შემიძლია ვთქვა, – განაცხადა წვერიანმა კაპიტანმა, – დროის საქმეა. სამი თვე. ეგების ექვსიც.

– რა თქმა უნდა. სინოვიალური სითხე ხომ უნდა დაგროვდეს.

– რა თქმა უნდა, დროის საქმეა. მანამ ნამსხვრევის ირგვლივ კაფსული არ გაკეთდება, ამისთანა მუხლის გახსნას ვერ ვიკისრებ.

– მეც გეთანხმებით, ექიმო.

– ექვსი თვე რა ამბავია?_ვთქვი მე.

– ექვს თვეში კაფსული გაკეთდება და მერე საშიში აღარ იქნება მუხლის გახსნა.

– არა მჯერა, _ ვთქვი მე.

– არ გინდათ მუხლი შეინარჩუნოთ, ყმაწვილო?

– არა.

– რაო?

– მინდა, რომ ახლავე მომკვეთოთ,_ვთქვი მე,_და ზედ კაუჭა გამოაბათ.

– ვერ გავიგე, რას ამბობთ? კაუჭა?

– ხუმრობს,_თქვა ჰოსპიტლის ექიმმა, და მხარზე თავაზიანად დამკრა ხელი,_რასაკვირველია, ფეხის შენარჩუნება უნდა. ძალიან ყოჩაღი ყმაწვილი გახლავთ. სიმამაცისათვის ვერცხლის მედალზეა წარდგენილი.

– სულითა და გულით გილოცავთ,_მითხრა კაპიტანმა, ხელი ჩამომართვა, – მე ისღა შემიძლია ვთქვა, რომ საალალბედოდ თუ არ გვინდა გავიხადოთ საქმე, სულ ცოტა ექვსი თვე მაინც უნდა დავიცადოთ, მანამ ასეთ მუხლს გავხსნიდეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, ნება გაქვთ, ჩვენი მოსაზრება არ გაიზიაროთ.

– მადლობას მოგახსენებთ,_ვუთხარი მე,_თქვენს მოსაზრებას დიდად ვაფასებ.

კაპიტანმა საათს დახედა.

– წასვლის დროა, _ თქვა მან,_ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ.

– მეც ყოველგვარ სიკეთეს გისურვებთ და მადლობას მოგახსენებთ,_ვთქვი მე. მესამე ექიმს ჩამოვართვი ხელი, Capitano Virini-tenente Enzy. და სამივენი გავიდნენ ოთახიდან.

– მისს გეიჯ, გავძახე მე. იგი შემოვიდა._ჰოსპიტლის ექიმსა სთხოვეთ ერთი წუთით.

შემოვიდა, და, ლოგინთან გაჩერდა, ხელში ქუდი ეჭირა.

- ჩემი ნახვა გინდათ?
- დიახ. არ შემიძლია, ექვსი თვე ვუცადო ოპერაციას. ღმერთო ჩემო, როდისმე წოლილხართ, ექიმო, ექვსი თვე ლოგინში?
- სულ ლოგინში არ იქნებით. პირველად მზეს მიუფიცხებთ ხოლმე ჭრილობას. მერე ყავარჯნებზე შედგებით.
- ექვსი თვე ლოდინი, და მერე ოპერაცია?
- საალალბედოდ თუ არ გვინდა გავიხადოთ საქმე, ასე უნდა მოვიქცეთ. ნამსხვრევებმა კაფსულები უნდა გაიკეთონ, სინოვიალური სითხეც დაგროვდება. მერე საშიში აღარ იქნება მუხლის გახსნა.
- თქვენ თვითონ ნამდვილად გჯერათ, რომ ამდენი ხანი დამჭირდება ცდა?
- თუ გვინდა, საალალბედოდ არ გავიხადოთ საქმე!
- ეს სამედიცინო სამსახურის კაპიტანი ვინ არის?
- გამოჩენილი მილანელი დასტაქარია.
- კაპიტნის ხარისხი რომ აქვს?
- ჰო, მაგრამ გამოჩენილი დასტაქარია.
- სწორედ რომ ვერ ვანდობ მუხლს საჯიჯგნად ვიღაც კაპიტანს. ხეირიანი ვინმე რომ იყოს, აქამდე მაიორობას მისცემდნენ. ვიცი, რასაც ნიშნავს, ეგ თქვენი კაპიტნობა!
- დიდებული დასტაქარია, მაგასავით ვერავის ვენდობი.
- არ შეიძლება, სხვა დასტაქარმაც ნახოს?
- თქვენი ნებაა. მე პირადად კი დოქტორ ვარელას მივენდობოდი.
- სხვა დასტაქარს ვერ გამოიძახებთ?
- ვალენტინისა ვთხოვ.
- ეგ ვინდა არის?
- Ospedale Maggiore-ს დასტაქარია.
- კეთილი. ძალიან დამავალებთ. ხომ გესმით, ექიმო, ექვსი თვე რა გამაძლებინებს ლოგინში!
- ლოგინში არ იქნებით. ჯერ მზის აბაზანებს მიიღებთ. მერე მსუბუქ ვარჯიშს დაიწყებთ. ამასობაში კაფსულიც გაიზრდება და ოპერაციას გაგიკეთებთ.
- ჰო, მაგრამ, ექვს თვეს ვერ დავიცდი.
- ექიმმა თავისი მოხდენილი თითები გაშალა და გაიღიმა.
- ფრონტზე დაბრუნება გეჩქარებათ?
- რატომაც არა!
- დიდებული საქმეა, – თქვა მან, – კეთილშობილი კაცი ყოფილხართ. – დაიხარა და თავაზიანად მაკოცა შუბლზე. – ვალენტინის გამოვიძახებ. ნუ ინერვიულებთ. ჭკუით იყავით.
- ცოტას ხომ არ დალევდით? – მივმართე მე.
- არა, გმადლობთ. ალკოჰოლს ვერ ვეწყობი.
- ერთი ჭიქა! – შვეიცარს დავურევე, ჭიქებს მოვატანინებ-მეთქი.

- _ არა. გმადლობთ. მელოდებიან.
- _ ნახვამდის, – ვუთხარი მე.
- _ ნახვამდის.

ორი საათის შემდეგ ოთახში შემოვიდა ექიმი ვალენტინი. ძალიან ჩქარობდა და ულვაშების ბოლოები ზემოთ აბზეკოდა. მაიორის ხარისხი ჰქონდა, მზეზე გარუჯულიყო და ერთთავად იცინოდა.

– რანაირად მოახერხეთ, როგორ შეიჭრა ეს საძაგლობა? – მკითხა მან, _აბა სურათები ვნახო. აპა, გასაგებია. ისე, ჯანზე ვაცივითა ხართ! ეს ლამაზი ქალიშვილი ვინდაა? თქვენი გოგოა? მაშინვე მივხვდი. საძაგლობა არ არის ეს ომი?! აქა გტკივათ? ყოჩაღ! დამაცათ – სულ ახალს დაგამსგავსებთ. აქ თუ გტკივათ? მეც რომ გეკითხებით! რა ხალხია ეს ექიმები, არ იქნება, რომ არ გატკინონ! აქამდე რითი გმკურნალობდნენ? ამ გოგომ იცის იტალიური? უნდა ისწავლოს. მშვენიერი გოგოა. მე ვასწავლი. ნეტა მეც ავად გამხადა და აქ დამაწვინა! მაგრამ არა, ყოველ მშობიარობაზე უსასყიდლოდ მოვარჩენ. ესმის ჩემი ლაპარაკი? ისეთ კარგ ბიჭს გაგიჩენს! მასავით ქერა იქნება. მაშ ასე. ესეც ასე! რა დიდებული გოგოა! ჰკითხეთ ერთი, ვახშამზე არ დამეწვევა. არა, არ წაგართმევთ. გმადლობთ. დიდი მადლობელი ვარ, მისს. ესეც ასე!

– რაც მინდოდა, ყველაფერი გავიგე, _ბეჭებზე მომითათუნა ხელი, _ნუდარ შეიხვევეთ.

- ცოტას არ დალევთ, ექიმო?
- ცოტასო? ბევრსაც დავლევ. სადა გაქვთ?
- კარადაში. მისს ბარკლი გამოიღებს.
- თქვენი დღეგრძელობისა იყოს. თქვენ გაგიმარჯოთ, მისს. რა მშვენიერი გოგოა! მე მოგიტანთ ამაზე კარგ კონიაკს. _ულვაშები მოიწმინდა.
- როგორ ფიქრობთ, როდის შეიძლება ოპერაციის გაკეთება?
- ხვალ დილითვე. ხვალამდე არ იქნება. კუჭ-ნაწლავი უნდა გაისუფთავოთ. უნდა დაიბანოთ. თქვენს ბებრუხანას ვნახავ დაბლა და ყველაფერს ვეტყვი. ნახვამდის. ხვალ გნახავთ. ამაზე კაი კონიაკს მოგიტანთ. კარგად კი ხართ მოწყობილი. ნახვამდის. ხვალამდე. კარგად გამოიძინეთ. მე ადრიანად მოვალ.

კარებში რომ გადიოდა, ხელი დამიქნია, ულვაშები ზემოთ ჰქონდა აბზეკილი, გარუჯულ სახეზე ღიმილი გადაჰვენოდა. მკლავზე ქობაშემოვლებული ვარსკვლავი ეკერა _ მაიორი იყო.

თავი XVI

იმ ღამით ღამურა შემოფრინდა ოთახში აივნის ღია კარებიდან, საიდანაც ჩვენ ქალაქის სახურავებზე ჩამოწოლილ ღამეს გავცეკეროდით. ოთახში ბნელოდა, მხოლოდ ღამის მკრთალი შუქი აღწევდა ქალაქიდან და ღამურა სულაც არ დამფრთხალა, ისე დასრიალებდა ჩვენს პალატაში, თითქოს გარეთ ყოფილიყოს. ვიწექით და შევყურებდით, ალბათ ვერ გვხედავდა, რადგან

გასული ვიყავით. როცა ისევ გაფრინდა გარეთ, პროფექტორი აანთეს, ჩვენ შევყურებდით პროფექტორის სხივს, რომელიც ცასა სერავდა, მერე ჩააქრეს და ისევ სიბძელე ჩამოწვა. ღამით ქარი ამოიჭრა და მეზობელი სახლის სახურავიდან საზენიტო ზარბაზნების არტილერისტთა ლაპარაკი გავიგონეთ. ციოდა და ლაბადები მოისხეს. უცებ ვიფიქრე, ამ შუალამეს არავინ შემოვიდეს-მეთქი, და ავწრიალდი, მაგრამ ქეთრინმა მითხრა, ყველას სძინავსო. ერთი პირობა ჩაგვთვლიმა, და როცა გავიღვიძე, ქეთრინი აღარ იყო, დერეფანში გავიგონე მისი ფეხის ხმა. გააღო კარი, ლოგინში ჩამიწვა, და ფიქრი ნუ გაქვსო, მითხრა – ქვემოთ ჩასულიყო, თურმე ყველას ეძინა. მისს ვან კამპენის კარებს მიაყურადა და გაიგონა, როგორ ფშვინავდა ძილში. გალეტები ამოიტანა, ვილოდნებოდით და ვერმუთს ვაყოლებდით. საშინლად გვშიოდა, მაგრამ ქეთრინმა მითხრა, დილას მაინც ყველაფერი უნდა გამოგისუფთაოთო. რომ ინათლა, ისევ ჩამეძინა, ხოლო როცა გავიღვიძე, ქეთრინი უკვე წასულიყო. ქორფა და ლამაზი მეჩვენა. მოვიდა, ლოგინზე ჩამომიჯდა. მანამ მე თერმომეტრი მქონდა გარჭობილი პირში, მზეც ამოვიდა და ჩვენ ვიგრძენით სახურავებზე დაფრქვეული ნამის სურნელი, მერე მეზობელი სახურავიდან, საცა არტილერისტები იყვნენ განლაგებული, ყავის სუნიც მოვიდა.

– ნეტა სასეირნოდ გასვლა შეგვეძლოს, – თქვა ქეთრინმა, - ბორბლებიანი სავარძელი რომ მოგვცა, მე თვითონ გაგიყვანდი.

- სკამზე როგორდა დავჯდები?
- მოვახერხებდით როგორმე.
- პარკში გავიდოდით და სუფთა ჰაერზე ვისაუზმებდით, – შეღებილი კარისკენ გავიხედე.
- მაგრამ ჯობს საქმეს მივხედოთ, – თქვა მან, შენს მეგობარ ექიმ ვალენტინის მომზადებული უნდა დახვდე.
- ხომ დიდებული კაცია?
- მე არ მომეწონა მაინცადამაინც. მაგრამ, ეტყობა, ძალიან კარგი ექიმია.
- კიდევ ჩამიწევი ლოგინში, ქეთრინ, საყვარელო, ვუთხარი მე.
- არ შემიძლია. ერთად არ ვიყავით მთელი ღამე?!
- ამაღამაც შეგიძლია იმორიგეო?
- ალბათ. ოღონდ შენ აღარ გექნება ჩემი თავი.
- კი მექნება.
- არა, არ გექნება. არ გამოგიცდია ოპერაცია და არ იცი, რა დღეში იქნები.
- მშვენივრად ვიქნები.
- გულის რევა დაგეწყება და აღარც გაგახსენდები.
- მაშ, ახლა მოდი.
- არა, თქვა მან, ახლა შენს ტემპერატურას ჩავხაზავ, გენაცვალე, და მერე უნდა მოგამზდო.
- ალბათ, არ გიყვარვარ, თორემ მოხვიდოდი.
- რა სულელი ხარ! – მაკოცა, – ჩახაზვასაც მოვრჩი. ერთხელაც არ აუწევია სიცხეს. მშვენიერი ტემპერატურა გაქვს.

- შენ კი ყველაფერი მშვენიერი გაქვს.
- ო, რას ამბობ. მართლა მშვენიერი ტემპერატურა გაქვს. ვამაყობ შენი ტემპერატურით.
- ალბათ, ჩვენს შვილებსაც კარგი ტემპერატურა ექნებათ.
- მე კი მგონია, რომ საშინელი ტემპერატურა ექნებათ.
- მაინც, როგორ უნდა მომამზადო ვალენტინის დასახვედრად?
- ბევრი არაფერი უნდა, მაგრამ ძალიან უსიამოვნო საქმეა.
- ნეტა შენი გასაკეთებელი არ იყოს!
- მე კიდევ, პირიქით - არ მინდა, სხვამ დაგაკაროს ხელი. სულელი ვარ. გავცოფდები, სხვა რომ შეგეხოს.
- ფერგიუსონსაც არ დაანებებ?
- ფერგიუსონს და გეიჯს მით უფრო, და იმას კიდევ, რა გვარია?
- უოკერი?
- ჰო. რაში სჭირდებათ ამდენი მედდა. დაჭრილები თუ არ მოიყვანეს. სადმე გადაგიყვანენ. უკვე ოთხი მედდა ჰყავთ.
- ალბათ, კიდევ მოიყვანენ. დიდი ჰოსპიტალია, მედდები სჭირდებათ.
- ნეტა მართლა მოიყვანდნენ. რა მეშველება, აქედან რომ გადამიყვანონ. გადამიყვანენ კიდეც, დაჭრილები თუ არ მოემატნენ.
- მაშინ მეც წავალ.
- რას სულელობ. შენი წასვლა როგორ იქნება. ოღონდ ჩქარა მორჩი, ჩემო ძვირფასო, და ერთად წავიდეთ სადმე.
- მერე?
- მერე ომიც გათავდება, ალბათ. სულ ხომ არ იქნება?
- მოვრჩები, – ვთქვი მე, – ვალენტინი მომარჩენს.
- ამისთანა ულვაშა კაცი მოგარჩენს, აბა რას იზამს! ოღონდ, ეთერს რომ დაგაყნოსვინებენ, ძვირფასო, ჩვენს სიყვარულზე არ იფიქრო, სხვა რამეზე იფიქრე. იმიტომ, რომ ათას რამეს წამოაბოდებენ ხოლმე ამ დროს.
- მაშ, რაზე ვიფიქრო?
- რაზედაც გინდა. ოღონდ ჩვენზე ნუ იფიქრებ. შენს ახლობლებზე იფიქრე. თუნდაც ვინმე სხვა გოგოზე.
- არა.
- თუ ეს არ გინდა, ილოცე. ყველას მოეწონება.
- იქნებ სულაც არ წამომაბოდოს.
- ვინ იცის, ზოგი სულაც არ აბოდებს.
- მეც არ ვიბოდებ.
- ნუ ტრაბახობ, საყვარელო. შენი ჭირიმე, ნუ იტრაბახებ. ისეთი კარგი ხარ, რომ ტრაბახი არ გიხდება.
- კრინტსაც არ დავძრავ.
- ისევ ტრაბახობ, ძვირფასო. ხომ იცი, რომ ტრაბახი არა გჭირდება. როცა გეტყვიან, ღრმად ისუნთქეო, მაშინვე ლოცვა წამოიწყე, ან ლექსი თქვი, ან სხვა რამე. კარგი ბიჭიც იქნები და მეც ვიამაყებ შენით. თუმცა, ისედაც ვამაყობ

შენით. ისეთი მშვენიერი ტემპერატურა გაქვს და პატარა ბიჭივით გძინავს, ბალიშზე გაქვს ხელი შემოხვეული და გგონია, რომ ეს ბალიში მე ვარ. თუ სხვა გგონია? ვინმე იტალიელი ეშხიანი გოგო?

— შენა მგონიხარ.

— რა თქმა უნდა. ო, როგორ მიყვარხარ და ვალენტინიც ისე მოგირჩენს მაგ ფეხს! კიდევ კარგი, რომ იმ დროს არ ვიქნები.

— შენ ხომ ღამით იმორიგევებ.

— ჰო, მაგრამ შენთვის სულ ერთი იქნება.

— აბა, ნახე.

— აჟა, ძვირფასო. ახლა შიგნითაც და გარეთაც სულ გასუფთავებული ხარ. ერთი ეს მითხარი, სულ რამდენი ქალი გყვარებია?

— არც ერთი.

— არც მე?

— შენ როგორ არა.

— ჩემს გარდა კიდევ რამდენი?

— არც ერთი.

— ისე რამდენთან... როგორ ამბობთ ხოლმე?.. რამდენთან ყოფილხარ?

— არავისთანაც არა!

— მატყუებ.

— არა-მეთქი.

— კარგსა შვრები. მომატყუე ხოლმე. ასე მირჩევნია. ლამაზები იყვნენ?

— არავისთანაც არ ვყოფილვარ.

— აგრე, ძალიან მომხიბლავები იყვნენ?

— არც კი ვიცი, რას მეკითხები.

— სულ ჩემი ხარ. საკუთრივ ჩემი. და არავისი არ ყოფილხარ ჩემამდე. თუმცა რას დავეძებ, კიდეც რომ გყოლოდა ვინმე. არავისიც არ მეშინია. ოღონდ მე ნუ მიხსენებ. კაცი რომ ქალთან არის, როდის ეუბნება ის ქალი, რამდენი უნდა გადაიხადოო?

— არ ვიცი.

— რა თქმა უნდა, არ იცი. მიყვარხარო, არ ეფიცება? მითხარი, მაინტერესებს.

— თუ კაცსაც ეამება, ეფიცება კიდეც.

— კაცი თუ ეუბნება, მიყვარხარო? მითხარი, გენაცვალე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს.

— თუ მოეპრიანა, ეტყვის კიდეც.

— შენ ხომ არასოდეს გითქვამს? მართალი მითხარი.

— არა.

— მართლა არა? ნუ მომატყუებ.

— არა, — ვიცრუე მე.

— მართლაც არ იტყოდი, — თქვა მან, — ვიცი, რომ არ იტყოდი. ო, როგორ მიყვარხარ, ძვირფასო!

მზე უკვე ზემოდან დასცქეროდა სახურავებს და მე დავინახე მზით გაბრწყინებული გუმბათები ტაძრისა. გასუფთავებული ვიყავი შიგნითაც და გარეთაც, და ექიმს ველოდებოდი.

- მაშ ასე, არა? — თქვა ქეთრინმა, — რაც კაცს უნდა, ქალიც იმას ამბობს, არა?
- ყოველთვის არა.
- მე კი მუდამ ასე ვიზამ. რაც შენ გაგიხარდება, იმას ვიტყვი, რაც შენ გესიამოვნება, იმას გავაკეთებ, და შენც სხვა აღარავინ მოგინდება, ხომ? — გაბრწყინებული თვალებით შემომხედა. — რაც შენ მოგეგუნებება, იმას გავაკეთებ, რაც გენდომება, იმას ვიტყვი, და მუდამ გეყვარები, ხომ?
- ჰო.
- ახლა ხომ მზად ხარ საოპერაციოდ, მითხარი, რა გესიამოვნება?
- ისევ მოდი ჩემთან.
- კარგი, მოვალ.
- ო, ჩემო სიყვარულო, სიყვარულო, სიყვარულო, — ვთქვი მე.
- ხომ ხედავ, რასაც კი მოისურვებ, ყველაფერს გავაკეთებ, — მითხრა მან.
- შენ ჩემი ლამაზი გოგო ხარ.
- ვაითუ არა ხარ ჯერ ჩემით კმაყოფილი!
- ჩემი ლამაზი გოგო ხარ.
- რასაც შენ მოისურვებ, მეც ის მინდა. მე უკვე აღარ ვარსებობ. რასაც შენ მოისურვებ!..
- ჩემო საყვარელო.
- მოგწონვარ? ხომ მოგწონვარ? სხვა ქალები ხომ აღარ გინდა?
- არა?
- ხომ ხედავ! მოგწონვარ. რაც კი მოგინდება, ყველაფერს გაგიკეთებ.

თავი XVII

ოპერაციის შემდეგ რომ გავიღვიძე, ვნახე — არ გავმქრალვარ. საერთოდ არა ჰქონები თურმე ამ დროს. გახრჩობს მხოლოდ. სიკვდილს კი არა ჰგავს, გაზით დახრჩობასავით მოგდის, ისე რომ აღარაფერსა გრძნობ, მერე კი ასე გგონია, ნამთვრალევი ვარო, ოღონდ ღებინების დროს ნაღველი ამოგდის ერთთავად, და შვებასაც არა გვირის. საწოლის ბოლოში სილის პარკები დავინახე, რომლებიც თაბაშირში გახვეულ ფეხებზე მქონდა მობჯენილი. რამდენიმე ხნის შემდეგ მისს გეიჯი შევნიშნე.

- როგორა ხართ? — მკითხა მან.
- უკეთ, — ვთქვი მე.
- პირდაპირ სასწაული დატრიალდა თქვენს მუხლზე.
- რამდენ ხანს მოუნდა?
- ორ საათ-ნახევარს.
- რამე სისულელე ხომ არ წამომიროშავს?

— არაფერი. ნუ ლაპარაკობთ, წყნარად!

გული მერეოდა, ქეთრინი მართალი გამოდგა — ვისაც უნდა ემორიგევნა დამით, ჩემთვის ერთი იყო.

ჩემს გარდა, კიდევ სამი ავადმყოფი იწვა ჰოსპიტალში. ერთი, წითელ ჯვარში მომუშავე, ციებიანი გაწლიკული ჯორჯიელი ბიჭი; ასევე გამხდარი ნიუ-იორკელი კოხტა ყმაწვილი, რომელსაც მალარიაც სჭირდა და სიყვითლეც, და, მესამე, მშვენიერი ჭაბუკი, რომელსაც ავსტრიული ყუმბარის საცობის სამახსოვროდ წაღება გადაეწყვიტა და თურმე ამოძრობა სცადა. ეს იყო შრაპნელი, რასაც ავსტრიელები მთებში ხმარობდნენ ხოლმე.

მოწყალების დებს ძალიან შეუყვარდათ ქეთრინ ბარკლი, რადგან მზად იყო მთელი დამეები ემორიგევა. მალარიან ხალხს ბევრი არა სჭირდებოდა რა, ყუმბარის ამფეთქებელი ყმაწვილი კი დაგვიმეგობრდა, და ძან თუ არ გაუჭირდებოდა, ზარს არ დარეკავდა. ასე რომ, როგორც კი მოახელთებდა ქეთრინი, სულ ერთად ვიყავით. მეც ძალიან მიყვარდა და იმასაც ვუყვარდი. ვიძინებდი დღისით, ხოლო როცა არ გვეძინა, წერილებსა ვწერდით ერთმანეთს და ფერგიუსონს ვატანდით. მშვენიერი გოგო იყო ეს ფერგიუსონი. მისი თავგადასავლისა ბევრი არაფერი გამიგია — მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ერთი ძმა ორმოცდამეთორმეტე დივიზიაში ჰყავდა, მეორე — მესოპოტამიაში, და ქეთრინ ბარკლისთან ძალიან მეგობრულად იყო.

— ჩვენს ქორწილზე ხომ მოხვალთ, ფერგი? — ვკითხე ერთხელ.

— თქვენ არ დაქორწინდებით.

— დავქორწინდებით.

— არა, არასოდეს.

— რატომ?

— დაქორწინებამდე იჩხუბებთ.

— ერთხელაც არ გვიჩხუბია.

— მოესწრებით.

— არც ვიჩხუბებთ.

— მაშ, მოკვდებით. ან იჩხუბებთ, ან მოკვდებით. ყველას ასე მოსდის და არავინ არ ქორწინდება.

ხელში ვწევდი.

— ხელი გამიშვით, — თქვა მან, — მე არა ვტირი. იქნებ კარგადაც დაგვირგვინდეს თქვენი საქმე! ოღონდ გახსოვდეთ — ცუდი არაფერი შეამთხვიოთ. მაგას რომ რამე მოუვიდეს, მოგვლავთ.

— არაფერიც არ მოუვა.

— ვნახოთ. იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად დატრიალდება. ახლა ხომ ტკბილად ხართ?

— შესანიშნავად.

— ჰოდა, ნურც წაიჩხუბებთ, ნურაფერ უსიამოვნებას ნუ მიაყენებთ.

— არასდიდებით.

- მაშ, ესეც გახსოვდეთ - არ მინდა, რომ მერე ომის ბალდები შერჩეს ხელში.
- რა მშვენიერი გოგო ხართ, ფერგი!
- მშვენიერს რა მიგავს! ნუ მეპირფერებით. ფეხი როგორა გაქვთ?
- მშვენივრად.
- თავი? – ხელი დამადო კეფაზე. ასე გეგონებოდათ, დაბუჟებულ ფეხზე შეგახეს ხელიო.
- თავს სულაც არ შევუწუხებივარ.
- ამისთანა კოპტა კაცი შეიძლება გამოათაყვანოს კიდეც. სულ არ გაწუხებთ?
- არა.
- იღბლიანი კაცი ხართ. წერილი მზადა გაქვთ? დაბლა ჩავდივარ.
- აჰა, წერილი.
- უთხარით, რომ ღამის მორიგეობას ცოტა ხანს თავი დაანებოს. ძალიან იქანცება.
- კარგი, ვეტყვი.
- მე ვიმორიგევებდი, მაგრამ არ მანებებს. სხვებს უხარიათ, ეს რომ მორიგეობს იმათ მაგივრად. ცოტა ხანი უნდა დაასვენოთ.
- ძალიან კარგი.
- მისს ვან კამპენმა უკვე დაიწყო თქვენზე ჯუჯლუნი, შუადღემდე სძინავსო.
- მაგისგან არც მიკვირს.
- კარგი იქნება, როგორმე აიძულოთ და ამ ერთხანს არ ამორიგეოთ ღამლამობით.
- მეც ეს მინდა.
- რაში გეტყობათ. მაგრამ თუ მართლა დაიყოლიებთ, თქვენი პატივისმცემელი ვიქნები.
- უსათუოდ დავიყოლიებ.
- არა მჯერა. – ბარათი წაიღო და გავიდა. ზარი დავრევე, მალე მისს გეიჯი შემოვიდა.
- რამე გინდოდათ?
- თქვენთან ლაპარაკი მინდოდა. როგორ გგონიათ, მისს ბარკლიმ ცოტა ხნით არ უნდა დაანებოს თავი ღამით მორიგეობას? ძალიან დაიღალა. მაინც რატომ შეხვდა ამდენი ხნით ღამის მორიგეობა?!
- მისს გეიჯმა შემომხედა.
- მე ხომ თქვენი მეგობარი ვარ, _ მითხრა მან, – რაში გჭირდებათ ჩემთან ამისთანა ლაპარაკი!
- ვერ გავიგე, რას ამბობთ.
- თავს ნუ ისულელებთ. განა თქვენ თვითონ არ გინდოდათ ეს?!
- ვერმუთს არ დალევთ?

— რატომაც არა. და წავალ კიდეც, — კარადიდან ბოთლი გამოიღო და ჭიქა მოიტანა.

- თქვენ ჭიქა აიღეთ, — ვუთხარი მე, — მე კი ბოთლით მოვსვამ.
- თქვენ გაგიმარჯოთ! - თქვა მისს გეიჯმა.
- რაო, მისს ვან კამპენმა, დილით გვიან იღვიძებსო?!
- აღარ გაათავა ჯუჯლუნი. პრივილეგიურ პაციენტს გეძახით.
- ჯანდაბამდის გზა ჰქონია!
- ცუდი ქალი კი არ არის, — თქვა მისს გეიჯმა, — ბებერია და ბუზლუნა.

თქვენ თავიდანვე არ მოეწონეთ.

- ჰო.
 - მე კი მომწონხართ. და მეგობრადაც მიგულეთ. არ დაგავიწყდეთ.
 - ძალიან კარგი გოგო ხართ.
 - არა. კარგი ვინც არის, ვიცი. მაგრამ მე თქვენი მეგობარი ვარ. ფეხი როგორა გაქვთ?
 - მშვენივრად.
 - მინერალურ წყალს მოვიტან და დაგასხამთ, ალბათ გექავებათ თაბაშირის ქვეშ. გარეთ ცხელა.
 - დიდებული გოგო ხართ.
 - ძალიან გექავებათ?
 - არა. მშვენივრადა მაქვს.
 - სილის პარკებს გაგისწორებთ, - თქვა მან, — მე თქვენი მეგობარი ვარ.
 - ვიცი.
 - არაფერიც არ იცით. მაგრამ გაიგებთ, როცა იქნება.
- სამ ღამეს აღარ უმორიგევებია ქეთრინ ბარკლის, და მერე ისევ მოვიდა. თითქოს დიდი მოგზაურობის შემდეგ შევხვედროდეთ ერთმანეთს.

თავი XVIII

დიდებული იყო ის ზაფხული. ფეხზე წამოდგომა რომ შევიძელი, ჩავსხდებოდით ხოლმე ეტლში, და ბაღში გავისეირნებდით. მახსოვს ის ეტლი, ზანტად მავალი ცხენი, კოფოზე წამომჯდარი მეეტლის ზურგი და პრიალა ცილინდრი, და ჩემს გვერდზე მჯდარი ქეთრინ ბარკლი. ხელი თუ მოგვიხდებოდა ერთმანეთისთვის, — ოდნავაც რომ გაკვროდა ჩემი ხელი მისას, — მაშინვე ვინთებოდით. მერე და მერე, ყავარჯენზე რომ შევდექი, სადილად ბიფიში დავდიოდით, ან გრან იტალიაში და გარეთ ვაშლევინებდით სუფრას. ოფიციანტები შედიოდნენ და გამოდიოდნენ, გამვლელებიც მიდი-მოდიოდნენ, სუფრაზე შუქფარიანი სანთელი იდგა. ბოლოს გადავწყვიტეთ, ყველას გრან იტალია ჯობსო, და ჯორჯიც, — იქაური მეტრდოტელი, — მუდამ გვინახავდა მაგიდას. კარგი ოფიციანტი იყო და კერძების შერჩევას მასვე ვანდობდით, ჩვენ კი ვისხედით და შევყურებდით ხალხს, ბინდბუნდში

ჩაძირულ გალერეას და ერთმანეთს. ვსვამდით ყინულიან ვედროში ჩაცივებულ მშრალ თეთრ კაპრის, თუმცა ადრე სხვაც ბევრი ღვინო გავსინჯეთ – ფრეზა, ბარბერა და ტკბილი თეთრი ღვინოები. ომიანობის გამო, ღვინის ოფიციანტები არ ჰყოლიათ რესტორანში და ჯორჯი მორცხვად გაიღიმებდა ხოლმე, ფრეზისნაირ ღვინოს რომ მოვითხოვდით.

– აბა, რა უნდა იყოს ის ქვეყანა, საცა ღვინოს ხენდროს გემო აქვს?! - თქვა მან.

– ვითომ რატომ?_იკითხა ქეთრინმა, _ მშვენივრადა უდერს.

– თქვენ თუ გნებავთ, გასინჯეთ, ქალბატონო, _ უთხრა ჯორჯმა, _ მაგრამ ნება მომეცით, ტენენტესთვის ერთი ბოთლი მარგო წამოვილო.

– მეც გავსინჯავ, ჯორჯ.

– ვერ გირჩევთ, სერ. ხენდროს გემოც კი არა აქვს.

– ეგებ ჰერინდეს, _ თქვა ქეთრინმა, _ და დიდებულიც იქნება

– მაშ, მოვიტან, _ გვითხრა ჯორჯმა, _ და ქალბატონი, რომ გასინჯავს, უკანვე წავიღებ.

ვარაფერიშვილი ღვინო გამოდგა. ჯორჯისა არ იყოს, ხენდროს გემოც კი არა ჰერინდა. ისევ კაპრის დავუბრუნდით. ერთხელ ფულზე ქესატად ვიყავი და ჯორჯს ვესესხე ასი ლირა.

– მერე რა მოხდა, თენენტე, _ თქვა ჯორჯმა, _ ეგ რა გასაკვირია, ფული ვის არ შემოჰკლებია. თუკი დაგჭირდეთ ან თქვენ, ან ქალბატონს, მე ყოველთვის გიშოვით...

ნასადილევს გალერეას დავუყვებოდით. ჩავუვლიდით ხოლმე სხვა რესტორნებსა და რკინის ფარდაჩამოშვებულ მაღაზიებს და პატარა ფარდულთან შევჩერდებოდით, საცა სენდვიჩებს ჰერინდენ_ლორისა და სალათის სენდვიჩი, თითის სიგრძე დაბრაწულ ფუნთუშებზე დაწყობილი სარდალა-ბალუხი... თან მიგვქონდა და ღამით ვჭამდით ხოლმე, როცა მოგვშივდებოდა. მერე გალერეის შესასვლელთან, ტაძრის პირდაპირ, ღია ეტლში ჩავსხდებოდით და ჰოსპიტლისაკენ გავწევდით. ჰოსპიტლის კარებთან შვეიცარი გამოვიდოდა და ასვლას მშველოდა. მეეტლეს გასამრჯელოს გადავუხდიდი და ლიფტით ავიდოდით. ქეთრინი ადრე გამოვიდოდა ლიფტიდან _ მედდები დაბლა ცხოვრობდნენ, _ მე კი სულ მაღლა ავიდოდი და ჩემი ყავარჯნებით დერეფანს დავუყვებოდი. ხან მაშინვე გავიხდიდი და ლოგინში ჩავწებოდი. ხანაც აივანზე გავიდოდი. ფეხს მეორე სკამზე ჩამოვდებდი და, ქეთრინის მოლოდინში, სახურავების თავზე მოსრიალე მერცხლებს შევყურებდი. ქეთრინი რომ მოვიდოდა, ასე მეგონა, დიდი ხნის მგზავრობიდან დაბრუნდა-მეთქი, ყავარჯნებზე შევდგებოდი, ხელში ბადიებს დავიჭერდი და დერეფანში გავყვებოდი; მანამ ავადმყოფებთან მოითავებდა თავის საქმეს, კარებთან ველოდებოდი, ზოგჯერ შიგაც შევყვებოდი, _ ეს იმაზე იყო დამოკიდებული, მეგობრობა გვქონდა ამ ავადმყოფთან თუ არა. საქმეს რომ მორჩებოდა, ჩემი ოთახის აივანზე დავსხდებოდით. მერე მე ლოგინში ჩავწებოდი, ხოლო როცა ყველა დაიძინებდა და ქეთრინიც

დარწმუნდებოდა, აღარავინ დამიძახებსო, ისიც მოვიდოდა. თმის ჩამოშლა მიყვარდა მისთვით, ის კი გაუნდრევლად იჯდა ლოგინზე. ზოგჯერ, მანამ მისი თმის ჩამოშლით ვიყავი გართული, ერთბაშად გადმოიხრებოდა და მაკოცებდა; მე თმის სარჭებს დავაძრობდი, ზეწარზე დავყრიდი, და შევყურებდი წყნარად მჯდომარეს, თმა ჩამოშლაზე ჰქონდა; ბოლოს ორ უკანასკნელ სარჭეაც გამოვაძრობდი და სულ ჩამოიშლებოდა, მაშინ თავს დამადებდა და თმა ერთიანად დაგვფარავდა, თითქოს კარავში ვყოფილიყავით შეყუულნი, ან ჩანჩქერში მოვხვედრილიყავით.

საოცრად ლამაზი თმა ჰქონდა. ზოგჯერ ვიწექი და თვალს ვერ ვაშორებდი – როგორ იწნავდა გაღებული კარებიდან შემოსულ სინათლეზე, და ღამითაც კი ისე უბრწყინავდა თმა, როგორც მდინარე ალვარდება განთიადის მოახლოებისას. დიდებული სახე და ტანი ჰქონდა და ასევე დიდებული და საოცრად რბილი კანი. ვიწექით ერთად და თითს ხან ღაწვებსა და შუბლზე ვუცაცუნებდი, ხან თვალის უპეებზე, ხან ნიკაპსა და ყელზე, თან კი ვამბობდი – «ჰოი, როგორ როიალის კლავიშებივით სრიალებს!» ახლა ისიც მომისვამდა ხელს ნიკაპზე და იტყოდა, «პირდაპირ ზუმფარის ქაღალდივით სრიალაა, როიალის კლავიშებზე თუ გადაატარებ».

– გჩხვლეტს?

– არა, ძვირფასო, ისე დაგცინე.

დიდებული იყო ის ღამეები, და ერთმანეთის უბრალო შეხებითაც კი ბედნიერები ვიყავით. ბევრ დიდ სიხარულთან ერთად, მრავალი პატარ-პატარა ამბებით გამოხხატავდით სიყვარულს და სხვადასხვა ოთახში რომ ვიყავით, ვცდილობდით, ჩვენი ფიქრი შთაგვეგონებინა ერთმანეთისათვის. ზოგჯერ მართლაც აგვიხდებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ბოლოს და ბოლოს, ერთნაირი საფიქრალი გვქონდა.

ერთმანეთს ვეტყოდით ხოლმე – ქეთრინი რომ მოვიდა, სწორედ იმ დღეს ვიქორწინეთო, და ვითვლიდით, რამდენი თვე გავიდა ჩვენი ჯვრისწერიდან. მართლაც მინდოდა ჯვარის დაწერა, მაგრამ ქეთრინი ამბობდა, ახლა ჩვენ რომ ვიქორწინოთ, აიღებენ და სადმე გადამიყვანენ; უბრალო ფორმალობას გამოვეკიდებით და ერთმანეთს კი დავშორდებითო. თუ ვიქორწინებდით, იტალიური კანონების მიხედვით უნდა გვექორწინა, ამას კი საშინელი ფორმალობა სჭირდებოდა. არადა, ბავშვზე ფიქრი მაწუხებდა და უმთავრესად სწორედ ამიტომ მინდოდა ჯვარის დაწერა; მაგრამ ჩვენ მაინც დაქორწინებულად მიგვაჩნდა თავი და დიდად აღარც შევწუხებულვართ, გულში მიხაროდა კიდეც, რომ ჯვარდანაწერები არ ვიყავით. მახსოვს, ერთხელ ღამით ამაზე ვლაპარაკობდით და ქეთრინმა მითხრა – «აյ აღარ გამაჩერებენ, გენაცვალე».

– იქნებ გაგაჩერონ.

– არ გამაჩერებენ. შინ დამითხოვენ და ომის გათავებამდე ვეღარც ვნახავთ ერთმანეთს.

– შვებულებით ჩამოვალ.

— შვებულება შოტლანდიაში ჩასვლა-დაბრუნებას მოუნდება. ეგეც რომ არ იყოს, ვერ მიგატოვებ. რა ყრია მაგ ჯვრისწერაში? ისედაც ჯვარდაწერილები არა ვართ?! მეორედ ხომ არ უნდა მოგთხოვდე?!

— მე შენთვის მინდოდა.

— მორჩა, «მე» და «შენ» აღარ არსებობს. მე და შენ უკვე ერთი ვართ. რამ გაგვყო?!

— მე მეგონა, ქალებს ყოველთვის დაქორწინება უნდოდათ!

— უნდათ კიდეც. მაგრამ ჩვენ ხომ დაქორწინებულები ვართ. მე შენი ცოლი ვარ. არა ვარ კარგი ცოლი?

— დიდებული ცოლი ხარ.

— ხომ ხედავ, საყვარელო, მე ერთხელ უკვე გამოვცადე, რაც ყოფილა ჯვრისწერის ლოდინი.

— მაგას ნუღარ გავიხსენებთ.

— ხომ იცი, რომ შენს მეტი არავინ მიყვარს. რაში გენალვლება, ვინმეს თუ ვუყვარდი!

— თუკი მენალვლება!

— ნეტა რა გაქვს საეჭვიანო - შენ ყველაფერი მიიღე, ის კი მკვდარია.

— ჰო, მაგრამ მაინც არ მინდა გახსენება.

— საბრალო ბიჭი! მე ხომ ვიცი, რომ ყოველნაირ ქალთან ყოფილხარ, რატომ მე არ მაწუხებს?

— არ შეიძლება, საიდუმლოდ ვიქორწინოთ? ვაითუ რამე მომივიდეს, ან ბავშვი გაგიჩნდეს...

— ან ეკლესიაში უნდა იქორწინო, ან სამოქალაქო კანონების მიხედვით. საიდუმლოდ ჩვენ უკვე ვიქორწინეთ. მორწმუნე რომ ვიყო, მაშინ, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამას ჩემთვის. მაგრამ მე ხომ მორწმუნე არა ვარ.

— წმინდა ანტონი შენ არ მომეცი!

— ეს ბედისწერის საქმე იყო. მეც ვიღაცამ მომცა.

— მაშ, შენ არაფერი გაწუხებს?

— შენთან დაშორების მეტი არაფერი. შენა ხარ ჩემი სარწმუნოება. შენა ხარ ჩემი ყველაფერი.

— ძალიან კარგი. როცა მეტყვი, მაშინ ვიქორწინოთ.

— ისე ლაპარაკობ, საყვარელო, თითქოს ცდილობ, პატიოსანი ქალი გამომიყვანო. მე პატიოსანი ქალი ვარ. თუკი მართლა ბედნიერი ხარ და ამაყობ ჩემით, ეს არაფერი სამარცხვინო არ არის. ხომ ბედნიერი ხარ?

— თუ არ მიმატოვებ და სხვას არ გაჰყვები.

— არა, ძვირფასო. არასოდეს არ მიგატოვებ და არც არავისთან წავალ. ასე მეგონა, ყოველგვარი საშინელება დაგვატყდება-მეთქი თავს, მაგრამ შენ ეს ნუ შეგაწუხებს.

— არც მაწუხებს. მაგრამ მე გაგიჟებით მიყვარხარ, შენ კი ადრე სხვა გიყვარდა.

- მერე რა მოუვიდა იმას?
- მოკვდა.
- რომ არ მომკვდარიყო, შენ არც შეგხვდებოდი; მე მოღალატე არა ვარ, საყვარელო. ათასი ნაკლი მაქვს, მაგრამ ძალიან ერთგული ვარ. თავსაც კი მოგაბეზრებ ჩემი ერთგულებით.
- მალე ფრონტზე უნდა დავბრუნდე.
- რაღა წინასწარ მოვიწამლოთ ფიქრი! ხომ ხედავ, რა ბედნიერი ვარ, გენაცვალე, დროსაც დიდებულად ვატარებთ. დანატრულებული ვიყავი ბედნიერებას და შენ რომ შეგხვდი, ლამის ჭკუა დავკარგე. ლამის კი არა, ალბათ მართლაც დავკარგე ჭკუა. მაგრამ ახლა ხომ ბედნიერები ვართ და ერთმანეთი გვიყვარს. რაღას ვიშხამავთ ამ ბედნიერებას! ხომ ბედნიერი ხარ? ხომ? იქნებ რამე არ მოგწონს ჩემი? რითი გაგახარო? გინდა თმა ჩამოვიშალო? გინდა მეთამაშო?
- მინდა, და მოდი დაწექი.
- ახლავე. ჯერ ავადმყოფები ვნახო.

თავი XIX

ასე გადიოდა ზაფხული. გამორჩეულად არ მახსოვს, რა დღეს რა მოხდა. საერთოდ კი ცხელოდა და გაზეთები გამარჯვებებით იყო გადაჭრელებული. ძალიან ჯანმრთელი ვიყავი და ჭრილობები მალე შემიხორცდა; ყავარჯენზე შედგომიდან დიდი ხანი არ გასულიყო, რომ ყავარჯენიც გადავაგდე და ჯობი დავიჭირე. მერე მუხლის მოსახრელად Ospedale Maggiore-ში დავიწყე მკურნალობა, – მექანოთერაპია, იისფერი სხივები, მასაჟი და აბაზანები. ნასადილევს დავდიოდი ხოლმე, მერე კი კაფეში შევივლიდი, ვსვამდი და გაზეთებს ვკითხულობდი. ქალაქში არ დავხეტებოდი: კაფედან პირდაპირ ჰოსპიტლისკენ მიმიწევდა გული. ერთადერთი ჩემი სურვილი ქეთრინის ნახვა იყო. ვცდილობდი, როგორმე მომეკლა დანარჩენი დრო. დილით, უფრო ხშირად, მემინა ხოლმე, ნასადილევს კი ზოგჯერ დოღზე წავიდოდი და იქიდან მერე_მექანოთერაპიაზე. ხანდახან ინგლისურ-ამერიკულ კლუბშიაც შევივლიდი, ფანჯარასთან ტყავის დიდ სავარძელში ჩავჯდებოდი და ჟურნალებს ვკითხულობდი. ყავარჯენები რომ გადავაგდე, მას შემდეგ ჩვენი ერთად გამოსვლა აღარ იქნებოდა: მედდისათვის უხერხული იყო მარტოდმარტო ყიალი ისეთ ავადმყოფთან, ვისაც გარეგნულად არავითარი დახმარება არა სჭირდებოდა. ასე რომ ნაშუადღევს იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. თუმცა ხანდახან მაინც ვახერხებდით სადმე ერთად სადილს, როცა ფერგიუსონიც გამოგვყვებოდა. მისს ვან კამპენი შეურიგდა იმას, რომ ჩვენ დიდი მეგობრები ვიყავით, რადგან ქეთრინი ძალიან შველოდა საქმეში. ვარაუდობდა, ძალიან კარგი ოჯახიშვილი არის ქეთრინიო, და ამან მოუბრუნა მისკენ გული. ოჯახიშვილობას დიდ ყურადღებას აქცევდა, თვითონაც

გამოჩენილი გვარიშვილი იყო. თანაც, იმდენი საქმე ჰქონდა ჰოსპიტალში, რომ ვეღარ იცლიდა. ცხელი ზაფხული იყო და ბევრი ნაცნობი მყავდა მიღანში, მაგრამ შებინდებოდა თუ არა, ჰოსპიტლისკენ მივეშურებოდი. ფრონტი კარსოსკენ მიიწევდა, პლავის გაღმა კუკი აიღეს და ახლა ბაინზიცას პლატოს უტევდნენ. დასავლეთის ფრონტზე ასე კარგად ვერ იყო საქმე. ეტყობოდა, დიდხანს გაჭიანურდებოდა ომი. ჩვენც ვიყავით უკვე ჩაბმული ომში, მაგრამ, ჩემი აზრით, კიდევ ერთი წელი იქნებოდა საჭირო, მანამ საკმაო ჯარს გადმოვიყვანდით და საომრად გავწვრთნიდით. მომავალ წელს ცუდი პირი უჩანდა, თუმცა იქნებ კარგადაც დატრიალებულიყო საქმე. იტალიის არმიამ აურაცხელი ხალხი დაკარგა. ვერ წარმომედგინა – ასე როგორ უნდა გაგრძელებულიყო. თუნდა სულ დაეპყროთ ბაინზიცის პლატო და მონტ სან გაბრიელი, იმათ უკან კიდევ რამდენი მთა რჩებოდათ ავსტრიელებს! მე ვხედავდი ამ მთებს. უმაღლესი მწვერვალები სულ იმათ ეპყრათ. კარსოს მიმართულებით, მართალია, წინ მიიწევდნენ, მაგრამ დაბლა, ზღვის გაყოლებაზე სულ ჭაობი და ჭყანტობი იყო. ნაპოლეონი ვაკეზე ერთიანად გაანადგურებდა ავსტრიელებს, მთებში კი არასდიდებით არ გაუმართავდა ბრძოლას. დაბლა ჩამოიტყუებდა და ვერონასთან გაანადგურებდა. დასავლეთის ფრონტზე არავინ არავის არ ანადგურებდა. ეტყობა, არც ერთი მხარე არ გამოდის ომიდან გამარჯვებული. იქნებ სულაც არ გათავდეს. იქნებ ეს მეორე ასწლიანი ომი გამოდგეს. გაზეთი ისევ თაროზე დავდე და კლუბიდან გამოვედი. ფრთხილად დავეშვი კიბეზე და ვია მანცონას დავუყევი. გრან ოტელთან მოხუც მეიერსა და მის ცოლს შევხვდი, დოღიდან დაბრუნებულები, ეტლიდან გადმოდიოდნენ. ქალს მკერდი გამობერილი ჰქონდა და შავი სტავრის კაბა ეცვა. მოხუცი კაცი დაბალი იყო, ულვაშები გათეთრებოდა და ძლივს დაცოცავდა ჯოხით.

- როგორა ხართ? როგორ გიკითხოთ? – ქალმა ხელი ჩამომართვა.
- ჰელო! – მომმართა მეიერსმა.
- როგორი დოღი იყო?
- მშვენიერი. მართლაც რომ დიდებული. სამჯერ მოვიგე.
- თქვენი საქმეები როგორდაა? – ვკითხე მეიერსს.
- კარგად. ერთი მოვიგე.
- მაგის საქმეებისა მისდღემჩი არაფერი ვიცი, – თქვა მისის მეიერსმა, – ერთხელაც არ მეტყვის.
- კარგად არის, – თქვა მეიერსმა. ცდილობდა გულითადი ყოფილიყო. – თქვენც უნდა წამოხვიდეთ დოღზე. – ლაპარაკის დროს ისეთი შთაბეჭდილება გრჩებოდათ, თითქოს თქვენ არც გიყურებდათ, ანდა სხვა ვინმე ეგონეთ.
- უსათუოდ წამოვალ, – ვუთხარი მე.
- ჰოსპიტალში მოგინახულებთ, – მითხრა მისის მეიერსმა, – რაღაც უნდა მოვუტანო ჩემს ბიჭუნებს. თქვენ ხომ ჩემი ბიჭუნები ხართ, ჩემი კარგი ბიჭუნები.
- ძალიან გაუხარდებათ თქვენი ნახვა.

— კარგი ბიჭები არიან. თქვენც კარგი ხართ. თქვენც იმათსავით მიყვარხართ.

— ახლა უნდა დავბრუნდე, — ვთქვი მე.

— სიყვარულით მომიკითხეთ ჩემი ბიჭუნები. ბევრი რამები მაქვს მოსატანი. საუცხოო მარსალა და ნამცხვრები.

— კარგად ბრძანდებოდეთ, — ვუთხარი, — ძალიან გაუხარდებათ თქვენი ნახვა.

— კარგად იყავით, — მითხრა მეიერსმა, — შემოიარეთ ხოლმე გალერეაში. ჩემი მაგიდა იცით, სადაც დგას. მუდამდღე იქა ვართ. — ზევით ავუყევი ქუჩას. ქეთრინისთვის რამე მინდოდა მეყიდა კოვაში. შოკოლადის კოლოფი ვიყიდე და მანამ გოგონა ქაღალდში მიხვევდა, დახლს მივადექი. ორი ინგლისელი და რამდენიმე მფრინავი იჯდა იქა. მარტინი შევსვი, მარტოკამ, ფული გადავიხადე, კოლოფი გამოვართვი გოგონას, გამოვბრუნდი და ჰოსპიტლისკენ გამოვსწიო. ლა სკალას შესახვევთან, პატარა ბარის წინ ნაცხობები შევნიშნე — ვიცე-კონსული, ორი ყმაწვილი კაცი, რომლებიც სიმღერას სწავლობდნენ, და ეტორე მორეტი, სანფრანცისკოელი იტალიელი, რომელიც ახლა იტალიის არმიაში მსახურობდა. მეც მათ შევუერთდი და დავლიეთ. ერთ-ერთ მომღერალს რალფ სიმონსი ერქვა, მაგრამ სცენაზე ენრიკო დელ კრედოს გვარით გამოდიოდა. როგორ მღეროდა, არ ვიცი, მაგრამ მუდამ ფაციფუცობდა და რაღაც დიდი ამბების მოლოდინში იყო. მსუქანი გახლდათ და პირისახე მაღაზიაში ნადები საქონელივით გამოხუნებოდა, ასე გეგონებოდა, თივის ციება სჭირსო. პიაჩენციდან ახლახან დაბრუნებულიყო. «ტოსკაში» ემღერა თურმე იქა, და დიდებულადაც.

— თქვენ კი ერთხელაც არ მოგისმენიათ ჩემი სიმღერა.

— აქ როდის იმღერებთ?

— შემოდგომაზე ლა სკალაში გამოვალ.

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ სკამებს ესვრიან, — თქვა ეტორემ, — არ გაგიგიათ, როგორ დაუშინეს მოდენაში სკამები?

— მტკნარი სიცრუეა.

— დაუშინეს და დაუშინეს. იქ არ ვიყავი! მეც ვესროლე ბარე ექვსი სკამი.

— ფრისკოელი ვოპი ხარ!

— იტალიურს ამტვრევს, — განაგრძო ეტორემ, — საცა უნდა გამოვიდეს, ყველგან სკამებს ესვრიან.

— პიაჩენცის თეატრისთანა საძაგლობას მთელს ჩრდილო იტალიაში ვერაფერს ნახავ, — თქვა მეორე ტენორმა, — თუ დამიჯერებთ, ერთი უბადრუკი ქოხია და მეტი არაფერი. — ამ ტენორს ედგარ საუნდერსი ერქვა, და სცენაზე ედუარდო ჯიოვანის გვარით გამოდიოდა.

— ნეტა იქ ვყოფილიყავი და მენახა, როგორ გესროდნენ სკამებს, — თქვა ეტორემ, — თქვენ ხომ იტალიურად მღერით.

— ჩერჩეტი არ არის! — თქვა ედგარ საუნდერსმა, — სკამების დაშენის მეტი ვეღარაფერი მოუგონია.

— თქვენ რომ გამოდიხართ სცენაზე, ხალხს მეტი მართლაც ვეღარაფერი მოუგონია, — თქვა ეტორემ, — მერე ჩახვალთ ამერიკაში და ყურებს უჭედავთ ყველას — ლა სკალაში ტრიუმფით მიგვიღესო. პირველივე ნოტის შემდეგ გამოგაგდებენ ლა სკალადან.

— მე ვმღერი ლა სკალაში, — თქვა სიმონსმა, — ოქტომბერში «ტოსკაში» გამოვდივარ.

— თუ ასეა, ჩვენც ხომ უნდა წავიდეთ, მაკ? — მიმართა ეტორემ ვიცე-კონსულს, — დამცველები დასჭირდებათ.

— იქნებ ამერიკული არმია მივიდეს და დაიცვას, — თქვა ვიცე-კონსულმა, — მეტს აღარ დალევ, სიმონს? შენ არ დალევ, საუნდერს?

— მოიტა, — უთხრა საუნდერსმა.

— შენზე ამბობენ, ვერცხლის მედალს აძლევენო, — მითხრა ეტორემ, — როგორ წარგადგინეს, რა დამსახურებისათვის?

— მე თვითონ არ ვიცი. არც ის ვიცი, მაძლევენ თუ არა.

— უსათუოდ მიიღებ. ჰოი, ბიჭო, რა მამაცი ეგონები კოველ გოგონებს! იფიქრებენ, ორასი ავსტრიელი ეყოლება მოკლული, ან არადა მთელ სანგარს ტყვედ ჩაიგდებდაო. მართალი თუ გინდათ, ჩემი ჯილდოები ძალიან გამომადგა.

— რამდენი ჯილდო მიიღე, ეტორე? — ჰკითხა ვიცე-კონსულმა.

— რაც კი ჯილდო არსებობს, — მიუგო სიმონსმა, — ომი მაგისტვის მოუგონიათ.

— ორჯერ ბრინჯაოზე წარმადგინეს და სამჯერ ვერცხლზე, — თქვა ეტორემ, — მიიღებით კი მხოლოდ ერთი მივიღე.

— სხვები სადღა დაიკარგა? — ჰკითხა სიმონსმა.

— ოპერაცია ვერ დამთავრდა წარმატებით, მიუგო ეტორემ, — ოპერაცია თუ ჩაიშალა, მედლებს აღარ იმეტებენ.

— რამდენჯერ დაიჭერი, ეტორე?

— სამჯერ დავიჭერი მძიმედ. სამი ჭრილობის ზოლი მაქვს, ხედავთ? — სახელო მოატრიალა. შავ ფონზე ვერცხლისფერი პარალელური ზოლები ჰქონდა ამოქარგული, მხრიდან რვა გოჯით დაბლა.

— შენც ხომ გაქვს ერთი, — მომიბრუნდა ეტორე, — მართალი თუ გინდათ, ძალიან კაი საქმეა ეს ზოლები. მედლებსაც მირჩევნია. რას ამბობ, ბიჭო, სამი ასეთი ზოლი ხუმრობა საქმეა! ჯერ მარტო ერთის მისაღებად ისეთი ჭრილობა უნდა გქონდეს, რომ სამი თვე ჰკისპიტალში იწვე.

— ჭრილობა სადა გაქვს, ეტორე? — ჰკითხა ვიცე-კონსულმა.

ეტორემ სახელო აიწია.

— აი, — ღრმა, წითელი ნაიარევი გვიჩვენა. — ერთიც წვივზე, მაგრამ ახლა ვერ გაჩვენებთ, ჯერ არ შემიხსნია, და ტერფში. ძვალი დამილპა ფეხში და ახლაც ყარს. ყოველ დილას ვიჩიჩქნი და ამომაქვს ხოლმე ნამცეცები, და ერთთავად ყარს.

— რითი დაგჭრეს? — ჰკითხა სიმონსმა.

— ხელყუმბარით. კარტოფილის საბეგვავს რომ ჰგავს. ნახევარი ფეხი სულ ჩამომაცალა. კარტოფილის საბეგვავი ხომ გინახავს? — მე მომიბრუნდა.

— რა თქმა უნდა.

— დავინახე კიდეც, როგორ ისროლა ძაღლიშვილმა, — თქვა ეტორემ, — მაშინვე დამანარცხა მიწაზე, და გავთავდი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ დიდი ვერაფერიშვილია ეს კარტოფილის საბეგვავი. გადმოვიდე თოფი და იქვე გავაგორე ის ძაღლიშვილი. თოფი მუდამ თან დამაქვს, ოფიცერი არ ვეგონ-მეთქი.

— შესახედავად რა კაცი იყო? — ჰკითხა სიმონსმა.

— ეს ერთიღა შერჩენოდა, — თქვა ეტორემ, — ვერ გამიგია, რატომ მესროლა. მგონი, ერთი სული ჰქონდა, მანამ ისროდა. ნამდვილი ბრძოლა ალბათ არც ენახა. იქვე გავაგორე ძაღლიშვილი.

— რომ ესროლე, მაშინ რა სახე ჰქონდა? — ჰკითხა სიმონსმა.

— საიდან მეცოდინება, — მიუგო ეტორემ, — მუცელში მოვარტყი. თავში რომ დავუმიზნო, ვაითუ ვერ მოვახვედრო-მეთქი.

— რამდენი ხანია, ოფიცერი ხარ, ეტორე? — ჰკითხე მე.

— ორი წელი. ახლა კაპიტნობას ველი. შენ ვი რამდენი ხანია ლეინტენანტი ხარ?

— მესამე წელიწადია.

— კაპიტნობას ვერც ეღირსები, იმიტომ რომ იტალიური არ იცი ხეირიანად, — თქვა ეტორემ, — ლაპარავს ვი ახერხებ, მაგრამ წერა და კითხვა არ იცი კარგად. კაპიტნობას განათლება სჭირდება. რატომ ამერიკულ არმიაში არ გადახვალ?

— იქნებ გადავიდე კიდეც.

— ნეტა, მეც გადამიყვანა! რამდენს იღებს, მაკ, ამერიკელი კაპიტანი?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, ისე ვი, მე მგონი, ორას ორმოცდაათ დოლარს.

— ო, იესო მაცხოვარო, ორას ორმოცდაათი დოლარით რას არ ვიზამ! ჩქარა გადადი, ფრედ, ამერიკულ არმიაში. იქნებ მეც მომიხერხო გადაყვანა.

— კეთილი.

— იტალიურად კარგად ვუძღვები ჯარს, ინგლისურადაც ადვილად შევეჩვევი.

— გენერლობასაც მიაღწევ, — უთხრა სიმონსმა.

— არა, მაგდენი არ ვიცი. გენერალმა ქვეყნის რამე უნდა იცოდეს. თქვენისთანა ვაჟბატონებისთვის ომი არაფერია, მაგრამ თქვენი ჭკუის პატრონი უბრალო კაპრალობასაც ვერ ეღირსება.

— მადლობა ღმერთს, არა მჭირდება, — თქვა სიმონსმა.

— იქნებ დაგჭირდეს, თქვენისთანა მუქთახორებიც თუ გაიწვიეს. ჰოი, ბიჭო, ჩემს ოცეულში მომცა თქვენი თავი! და მაკიც აგერ. შიკრიკად გაგიხდიდი, მაკ.

- კაი ბიჭი კი ხარ, ეტორე, უთხრა მაკმა, — მაგრამ ვაი რომ
მილიტარისტიც იქნები.
- მანამ ომი დამთავრდებოდეს, პოლკოვნიკი გავხდები, — თქვა ეტორემ.
- თუ არ მოგკლეს.
- ვერ მომკლავენ, — ცერითა და სალოკი თითით საყელოზე ვარსკვლავებს
მისწვდა, — ნახეთ, რა ვქენი? სიკვდილს რომ ახსენებს ვინმე, იმ წუთში
ვერსკვლავზე უნდა იტაცო ხელი.
- წავსულვართ, სიმ, — თქვა საუნდერსმა და წამოდგა.
- წავიდეთ.
- ნახვამდის, — ვთქვი მე, — მეც უნდა წავიდე. — ბარის საათზე ექვსს
თხუთმეტი აკლდა. — Ciaou., ეტორე.
- Ciaou., ფრედ, — მიპასუხა ეტორემ, — ძალიან სასიხარულოა, რომ
ვერცხლის მედალს მიიღებ.
- მივიღებ კი?
- უსათუოდ მიიღებ, ფრედ. ყური მოვკარი, უსათუოდ მიიღებსო.
- აბა, ნახვამდის, — ვთქვი მე, არაფერ ფათერაკს არ გადაეყარო, ეტორე.
- ჩემი დარდი ნუ შეგაწუხებს. არა ვსვამ და არ დავწანწალებ. ღვინოს ვარ
გადაყოლილი თუ ქალებს?! მშვენივრად ვიცი, რა არის ჩემთვის კარგი.
- ნახვამდის, — ვთქვი მე, — მიხარია, რომ კაპიტნად დაგაწინაურებენ.
- დიდი ლოდინი არ დამჭირდება. ბრძოლით დავიმსახურებ. ეს შენც
კარგად იცი. სამი ვარსკვლავი, გადაჯვარედინებული ხმალი და ზედ
გვირგვინი. აი, რა ბიჭი გახლავართ.
- ბედნიერად.
- ბედნიერად. ფრონტზე როდის დაბრუნდები?
- ძალე.
- გნახავ მანამდე.
- ნახვამდის. ყოჩაღად იყავი.
- შესახვევს დავუყვევი: ასე უფრო მოკლედ გადავჭრიდი და ჰოსპიტალს
მეორე მხრიდან მივადგებოდი. ოცდასამისა იყო ეტორე. ბიძა ზრდიდა სან-
ფრანცისკოში და ომმა ტორინოში მოუსწრო დედ-მამასთან სტუმრად
ჩამოსულს. ჰყავდა ერთი და, რომელიც მასთან ერთად გაეგზავნათ ამერიკაში,
ბიძასთან, და წელს პედაგოგიურ სასწავლებელს ამთავრებდა. ისეთი
აღიარებული გმირი გახლდათ ეს ეტორე, რომელიც ყველას თავს აბეზრებს
ხოლმე. ქეთრინი ვერ იტანდა.
- ჩვენც გვყავს გმირები, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ წყნარად არიან,
თავისთვის.
- ნეტა რას გვიშლის!
- მართალი ხარ, თითქოს არაფერს გვიშლის, მაგრამ მეტისმეტად
გაბლენბილია და თავს გვაბეზრებს, ყელში ამოგვდის, მეტი აღარ შეიძლება.
- მეც მაბეზრებს თავს.

— მე მამშვიდებ მაგითი, ძვირფასო. მაგრამ რა საჭიროა! წარმომიდგენია, ფრონტზე რა იქნება, ალბათ სასარგებლო საქმესაც აკეთებს, მაგრამ მაგისთანა ბიჭუჭებს ვერ ვიტან.

— ვიცი.

— შენ გინდა, დამამშვიდო, და ვცდილობ კიდეც, კარგად ვიყო განწყობილი, მაგრამ საზიზღარი ლაწირავია, მართლაც რომ საზიზღარი.

— ამ საღამოს მეუბნებოდა, კაპიტონბას მივიღებო.

— სასიხარულოა, — თქვა ქეთრინმა, — კმაყოფილი იქნება.

— არ გაგიხარდება, მე რომ დიდი ხარისხი მივიღო?

— არა, გენაცვალე. მე რხოლოდ იმისთანა ხარისხს ვინატრებ, რომ კარგ რესტორნებში შეგვიშვან. მეტი არ მინდა.

— მაგისთანა ხარისხი ხომ მაქვს და ეგ არის!

— მშვენიერი ხარისხი გაქვს. მაგაზე მეტი არ მინდა. თავში აგივარდება. ო, რა კარგია, რომ გაბლენბილი არა ხარ. ცოლად მაინც გამოგყვებოდი, მაგრამ რა მოსვენებულია ადამიანი, როცა გაბლენბილი ქმარი არა ჰყავს.

აივანზე ვმუსაიფობდით. მთვარის ამოსვლის დრო იყო, მაგრამ ქალაქში ნისლი იდგა და მთვარე აღარ გამოჩენილა, ცოტა ხანში კი წამოჟინჟლლა და ოთახში შევედით. ნისლი წვიმად იქცა, მალე კი ისე წამოუშინა, რომ ჩვენ გვესმოდა წვიმის თქარათქური სახურავზე. წამოვდექი და კარებთან მივედი, ოთახში წვიმა ხომ არ შემოდის-მეთქი, არ შემოდიოდა, და ღიადვე დავტოვე კარი.

— კიდევ ვინ ნახე? — მკითხა ქეთრინმა.

— მისტერ და მისის მეიერსი.

— კაი ახირებული ხალხია.

— როგორც ამბობენ, მისტერ მეიერსი ციხეში მჯდარა. მაგრამ გამოუშვიათ

- თავისუფლად მოკვდესო.

— ეს კი ბედნიერად ცხოვრობს მილანში, არა?

— ბედნიერებისა რა მოგახსენო.

— ციხესთან შედარებით, რაც უნდა იყოს, ბედნიერებაა.

— მისის მეიერსი საჩუქრების მოტანას აპირებს.

— დიდებული საჩუქრები მოაქვს ხოლმე. შენც მისი კარგი ბიჭუნა ხარ?

— ჰო, ერთ-ერთი კარგი ბიჭუნა.

— მაგისი კარგი ბიჭუნები ხართ ყველანი, — თქვა ქეთრინმა, — თავისი კარგი ბიჭუნები ყველაფერს ურჩევნია. წვიმს, გესმის?

— მაგრად წვიმს.

— ხომ მუდამ გეყვარები?

— მუდამ.

— წვიმა ხომ არ შეუშლის ხელს?

— არა.

— რა კარგია! მეშინია წვიმის.

— რატომ?

ჩამოეძინა. გარეთ მოდიოდა და მოდიოდა კოკისპირული წვიმა.

- არ ვიცი, ძვირფასო. მუდამ მეშინოდა წვიმისა.
- მე კიდე მიყვარს.
- წვიმაში სიარული მეც მიყვარს. მაგრამ სიყვარულისთვის ცუდის მომასწავებელია.
- მე მუდამ მეყვარები.
- მეც მეყვარები, – წვიმაშიაც, თოვლშიაც... სეტყვაშიაც... რა არის ხოლმე კიდევ?
- არ ვიცი. თვალები მელულება.
- დაიძინე, საყვარელო, მე შენ მუდამ მეყვარები, რაც მინდა უნდა მოხდეს.
- წვიმისა მართლა გეშინია?
- შენთან თუ ვარ, არა.
- მაინც რატომ გეშინია?
- არ ვიცი.
- მითხარი.
- ნუ ჩამაცივდები.
- მითხარი.
- არა.
- მითხარი.
- კარგი, გეტყვი. იმიტომ მეშინია, რომ ზოგჯერ მკვდარს წარმოვიდგენ ჩემს თავს წვიმაში.
- კარგი, ერთი!
- ხან შენც მომეჩვენები წვიმაში მკვდარი.
- ეგ უფრო ახლოა ჭკუასთან.
- არაფერიც. მე მოგივლი და გაგიფრთხილდები. ნამდვილად! თავის თავს ვერაფერს უშველის კაცი, თორემ!..
- კარგი, ერთი, თუ ღმერთი გწამს. სულაც არ მინდა, გაგიჟდე და შოტლანდიელი გახდე, ამაღამ. ისედაც მალე უნდა დავშორდეთ ერთმანეთს.
- რა გაეწყობა, თუკი მართლა გიჟი და შოტლანდიელი ვარ. გავჩუმდები. ეგ სისულელეა და მეტი არაფერი.
- ნამდვილად სისულელეა.
- სისულელეა. ნამდვილი სისულელე. სულაც არ მეშინია წვიმისა. არ მეშინია წვიმის. ო, ო, ღმერთო, ნეტა მართლა არ მეშინოდეს!
- იგი ტიროდა. მე დავამშვიდე და გაჩუმდა. გარეთ კი წვიმდა და წვიმდა.

თავი XX

ერთ დღეს, ნასადილევს, დოლზე წავედით. თან გამოგვყვა ფერგიუსონი და კროუელ როჯერსი_ აი, ის ბიჭი, ყუმბარა რომ აუფეთქდა და თვალებში

დაიჭრა. მანამ ქალები ტანსაცმელს გამოიცვლიდნენ, მე და კროუელი ლოგინზე ვისხედით, მისსავე ოთახში, სპორტული ფურცელი გვეჭირა და წარსული დოღის შედეგებსა და მომავალ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა სავარაუდო სიას ვათვალიერებდით. კროუელს თავი შეხვეული ჰქონდა და დოღისა მაინცადამაინც არა სცხელოდა, მაგრამ სადოღე ფურცლებს მუდამ კითხულობდა და, უსაქმურობის გამო, ცხენებს ადევნებდა თვალს. საძაგელი ცხენები ყოფილა, ამბობდა, მაგრამ უკეთესება იქ არა ჰყოლიათ. მოხუც მეიერსს შეუყვარდა ეს ჭაბუკი და რჩევას აძლევდა ხოლმე. მეიერსი თითქმის ყოველ დოღზე იგებდა, მაგრამ სხვისთვის რჩევის მიცემა არ უყვარდა, რადგან ეს ფასსა სცემდა. დიდი ყალთაბანდობა ხდებოდა დოღზე. სხვადასხვა ქვეყნის ჰიპოდრომებიდან გამოპანდურებულ ხალხს იტალიაში მოეყარა თავი და ახლა აქ ღებულობდა მონაწილეობას. მეიერსმა კარგი რჩევა იცოდა, მაგრამ მე არ მიყვარდა კითხვა, რადგან ხშირად არ გვიპასუხებდა, აშკარად ეტყობოდა, უჭირდა თქმა, თუმცა თავს, რატომღაც, მოვალედ რაცხდა, ჩვენთვის ყველაფერი ეთქვა, მით უმეტეს კროუელს უფრო ხალისიანად ეუბნებოდა. კროუელს თვალები ჰქონდა დაზიანებული, განსაკუთრებით ცალი თვალი, მეიერსსაც აწუხებდა თვალები და ამიტომ შეიყვარა ეს ჭაბუკი. ცოლს ერთხელაც არ ეტყოდა მეიერსი, სანაძლეოს რომელ ცხენზე ვდებო, და ქალიც ხან იგებდა, ხან აგებდა. უფრო ხშირად აგებდა, და სულმოუთქმელად ტიტინებდა.

ღია ეტლით გავემგზავრეთ სან სიროსკენ. მშვენიერი დღე იყო, გადავჭირით პარკი, გავცდით ტრამვაის ხაზს, ქალაქი უკან მოვიტოვეთ და მტვრიან გზაზე გავედით.

გზაში გვხვდებოდა რკინის ღობეშემოვლებული ვილები, მოუვლელობისაგან გადაბარდული დიდი ბაღები, პატარ-პატარა არხები, რომლებშიაც წყალი მირაკრაკებდა, და მტვრით დაფარული გადამწვანებული ბოსტნები. მომორებით ჩანდა ფერმერების სახლები, სარწყავი არხებით დასერილი აბიბინებული ველები და ჩრდილოეთით აღმართული მთები. დოღის გზა ეტლებით იყო გაჭედილი, კონტროლიორმა უბილეთოდ შეგვიშვა, რადგან სამხედრო ფორმა გვეცვა. ჩამოვედით ეტლიდან, პროგრამები ვიყიდეთ, წრე გადავჭირით, რბილ მდელოს გავყევით და პადდოკს მივადექით. ძველი, ხის ტრიბუნები იყო, ტრიბუნების მირში და თავლების გაყოლებაზე ბილეთების სალაროები ჰქონდათ მოწყობილი. ღობესთან ჯარისკაცებს მოეყარათ თავი. პადდოკი თითქმის გაევსო ხალხს. დიდი ტრიბუნის უკან, ხეების ქვეშ, ცხენებს დაატარებდნენ. ნაცნობებს შევხვდით, ფერგიუსონსა და ქეთრინს სკამები ვუშოვეთ და ცხენების თვალიერება დავიწყეთ.

მეჯინიბეებს აღვირში ჩაევლოთ ხელი და თავდახრილ ცხენებს დაწალიკებულად დაატარებდნენ. ერთი წაბლა ცხენი იყო, კროუელმა დაიჟინა, ნამდვილად შეღებილიაო. კარგად რომ დავაკვირდით, ჩვენც გვეჭაშნიკა მისი აზრი. გამოიყვანეს ეს ცხენი და შეკაზმვის ზარიც დაირეკა. პროგრამას

გადავხედეთ. მეჯინიბეს რომ მკლავზე ნომერი ეწერა, იმის მიხედვით გავიგეთ, რომ ეს იყო შავი ლაფშა, სახელად – ჯაპალაკი. დოღი დანიშნული იყო ისეთი ცხენებისათვის, რომელთაც შეჯიბრებაში ათას ლირაზე მეტი არასოდეს არ მოეგოთ. ქეთრინი დარწუნებული იყო, რომ ცხენს ფერი შეცვლილი ჰქონდა. ფერგიუსონი ამბობდა, გადაჭრით ვერ იტყვი ამასო. მე საეჭვოდ მიმაჩნდა. გადავწყვიტეთ ამ ცხენზე გვეთამაშა, და ას ლირას ჩამოვედით. კროუელი ბილეთების შესაძენად წავიდა, ჩვენ კი შევყურებდით უკეებს, რომელთაც ერთი წრე კიდევ დაარტყეს ხეებქვეშ, მერე კი გამოვიდნენ და ნელი ჭენებით გაემართნენ სტარტისაკენ.

ჩვენ ტრიბუნაზე ავედით დოღის საყურებლად. მაშინ სან სიროში ზონარი არა ჰქონიათ სტარტზე – თვითონ სტარტერმა გაამწკრივა ცხენები, – შორიდან სულ პაწაწინები ჩანდნენ, – მერე თავისი გრძელი მათრახი გაატყლაშუნა და ცხენები ადგილს მოწყდნენ. ჩაგვიქროლეს. წაბლა ცხენი დაწინაურდა, ხოლო მოსახვევში კარგა მანძილით მოიტოვა უკან დანარჩენები. მე დურბინდით ვუყურებდი და ვხედავდი, როგორ გამწარებით ცდილობდა უკეი ცხენის შეკავებას, მაგრამ ვერ დაუჭირა თავი, და როცა მოსახვევს შემდეგ გაიპირდაპირეს, წაბლა ცხენმა ბარე თხუთმეტი ტანით გაუსწრო დანარჩენებს, მერე ფინიშის ხაზს რომ გასცდნენ, კიდევ მთელი ერთი წრით გაუსწრო.

– რა დიდებულია, – თქვა ქეთრინმა, – სამი ათას ლირაზე მეტს მივიღებთ. ბრწყინვალე ცხენი ჩანს.

– იმედია, ფულის გაცემამდე არ გადაუვა საღებავი, – თქვა კროუელმა.

– მართლაც რომ მშვენიერი ცხენია, – თქვა ქეთრინმა, – ნეტა, მისტერ მეიერსიც მაგაზე ჩამოვიდა სანაძლეოს?

– მოიგეთ? – გავძახე მეიერსს. მან თავი დამიქნია.

– მე კი ვერა, – მითხრა მისის მეიერსმა, – თქვენ რომელზე ჩამოდიხართ სანაძლეოს, ბავშვებო?

– ჯაპალაკზე.

– მართლა? თითოში ოცდახუთმეტს ამლევენ მაგაზე.

– ფერით მოგვეწონა.

– მე კიდე არა. მაან ბეხრევი მომეჩვენა. არ მირჩიეს მაგაზე სანაძლეოს ჩამოსვლა.

– ბევრს ვერაფერს მიიღებთ, – თქვა მეიერსმა.

– ერთზე ოცდათხუთმეტია, – ვუთხარი მე.

– ბევრს არაფერს მოგცემენ, – გაიმეორა მეიერსმა, – ბოლო წუთში დიდ თანხას ჩამოვიდნენ მაგაზე.

– ვინ?

– კემპტონი და მისი ამფსონები. აბა, ნახეთ! ორმაგსაც კი ვერ მიიღებთ.

– მაშ, სამი ათასი ლირა ვერ მიგვიღია, – თქვა ქეთრინმა, – მიტომაც არ მიყვარს ეგ ყალთაბანდური დოღი!

– ორას ლირას მივიღებთ.

– ორასი ლირა რა ბედენაა! რას წაგვადგება. მე სამი ათასის იმედი მქონდა.

— ყალთაბანდობა და საზიზღრობაა, — თქვა ფერგიუსონმა.

— რაღა თქმა უნდა, — თქვა ქეთრინმა, — ყალთაბანდობა რომ არ იყოს, მაგაზე არც ჩამოვიდოდით სანაძლეოს. მაგრამ ძალიან კი მესიამოვნებოდა სამი ათასი ლირა.

— დაბლა ჩავიდეთ, წყალი დავლიოთ და გავიგოთ, რამდენს იძლევიან, — თქვა კროუელმა.

დავეშვით დაბლა, მივადექით იმ დაფას, საცა ნომრებს აკრავდნენ ხოლმე, ამ დროს ზარმაც დარეკა და ჯაპალაკზე 18.50 გამოაკრეს. ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ორმაგზე ნაკლებს იძლეოდნენ.

ბარში შევედით, დიდი ტრიბუნის ქვეშ, და თითო ჭიქა სოდიანი ვისკი დავლიეთ. აქ ორ ნაცნობ იტალიელსა და ვიცე-კონსულ მაკ ადამსს გადავყარეთ. ისინი გამოგვყვნენ ზემოთ. იტალიელები პირდაპირ თავაზიანობის განსახიერება იყვნენ. მაკ ადამსმა ქეთრინთან გააბა მუსაიფი, ჩვენ კი დაბლა ჩავედით სანაძლეოს დასადებად. სალაროსთან მისტერ მეერსი იდგა.

— ჰკიოთხე ერთი, რომელზე თამაშობს, — ვუთხარი კროუელს.

— რომელზე ჩამოდიხართ, მისტერ მეიერს? — ჰკიოთხა კროუელმა. მეიერსმა პროგრამა ამოიღო და ფანქრით აჩვენა ნომერი ხუთი.

— ჩვენც რომ მაგაზე ჩამოვიდეთ, ხომ არ გეწყინებათ? — ჰკიოთხა კროუელმა.

— მიდით, მიდით. ოღონდ ჩემს ცოლს ნუ ეტყვით, მე რომ გასწავლეთ.

— ცოტას არ დალევთ? — ვკიოთხე მე.

— არა, გმადლობთ. არა ვსვამ.

ჩვენ ასი ლირა ხუთ ნომერზე დავდეთ, მეორე ასი — ორმაგ მოსაგებზე და თითო ჭიქა სოდიანი ვისკი კიდევ დავლიეთ. ძალიან კარგ გუნებაზე ვიყავი და ორი იტალიელი კიდევ შემოვიერთეთ, მათთანაც დავლიეთ და ისევ ქალებთან დავბრუნდით. ეს იტალიელებიც ძალიან თავაზიანები აღმოჩნდნენ, წინათ შეხვედრილ იმ ორ იტალიელს არაფრით არ ჩამოუვარდებოდნენ. მათი თავაზიანობის გამო ერთხანს ადგილზე დაჯდომაც ვერ მოვახერხეთ. ბილეთები ქეთრინს გადავეცი.

— რომელი ცხენია?

— არ ვიცი, მისტერ მეიერსის ამორჩეულია.

— სახელიც არ იცით?

— არა. პროგრამაში ნახე. მეხუთე ნომერი უნდა იყოს.

— საოცარია — როგორ მიენდობი ხოლმე კაცს, — მითხრა მან. მეხუთე ნომერმა მოიგო, მაგრამ ფული არაფერი შეგვხვედრია. მისტერ მეიერსი გაბრაზდა.

— ორას ლირას უნდა ჩამოხვიდე, რომ ოცი მოიგო, — თქვა მან, — ათში თორმეტი ლირა. წვალებადაც არ ღირს. ჩემმა ცოლმა ოცი ლირა წააგო.

— მეც ჩამოგყვები დაბლა, — მითხრა ქეთრინმა. იტალიელები მაშინვე წამოდგნენ. დაბლა დავეშვით და პადდოკზე გავედით.

— მოგწონს აქ? — მკიოთხა ქეთრინმა.

- კი, მგონი, მომწონს.
 - არა უშავს რა, – თქვა ქეთრინმა, – მაგრამ ამდენ ნაცნობს ვერ ვიტან, ჩემო კარგო.
 - არც იმდენია.
 - ჰო მაგრამ, ეს მეიერსები, ეს ბანკის მოხელეც, თავისი ცოლ-შვილით...
 - ეგ მინაღდებს ხოლმე ჩემს წარდგინებითს ჩეკებს, – ვუთხარი მე.
 - ეგ რომ არ იყოს, სხვა გაგინაღდებდა. ეს ოთხი ბიჭი ხომ აუტანელია.
 - ჩვენც აქ დავდგეთ და ღობიდან ვუყუროთ დოღს.
 - ძალიან კარგი იქნება. და ისეთ ცხენზე ჩამოვიდეთ სანაძლეოს, სულაც რომ არ ვიცოდეთ, რას წარმოადგენს, და მისტერ მეიერსიც არ ჩამოდიოდეს იმაზე.
 - აგრე იყოს.
- ავირჩიეთ ცხენი, რომელსაც «ჩემი სინათლე» ერქვა და ხუთში მეოთხე მოვიდა. მივაწერით ღობეს და შევყურებდით ცხენების ქროლვას; ყრუ თქარათქური გაპქონდათ, როცა ჩაგვივლიდნენ. შორს მთები მოჩანდა, ხოლო ხეებსა და მინდვრებს მიღმა – მილანი.
- გაცილებით უფრო წმინდადა ვგრძნობ აქ თავს, – თქვა ქეთრინმა. ცხენები უკანვე ბრუნდებოდნენ, სველი და გაქაფულები. მხედრები უალერსებდნენ და ხეებისკენ მიჰყავდათ, იქ უნდა ჩამომხტარიყვნენ.
 - არ გინდა, დავლიოთ? ოღონდ აქვე, თან ცხენებსაც ვუცქიროთ.
 - ახლავე მოვიტან, – ვუთხარი მე.
 - ბიჭი მოგვიტანს, – თქვა ქეთრინმა. ხელი ასწია და თავლებს გვერდით რომ ბარი იყო, «პაგოდა», იქიდან მაშინვე მოირბინა ბიჭმა. მრგვალ რკინის მაგიდას მოვუსხედით.
 - არ გირჩევნია, მარტო რომ ვართ?
 - როგორ არა, – ვუთხარი მე.
 - ერთად რომ ვიყავით ყველანი, საშინელ მარტოობასა ვგრძნობდით.
 - აქ დიდებულია, – ვთქვი მე.
 - ძალიან. მართლაც მშვენიერი გასართობია.
 - ლამაზია.
 - გუნება კი არ გაგიფუჭო, ძვირფასო. როგორც მოგინდება, მაშინვე წავიდეთ ზევით.
 - რას ამბობ? – ვუთხარი მე, – აქ ვისხდეთ და ვსვათ. მერე ქვევით დავუყვეთ, დაბრკოლებათა გადალახვას ვუყუროთ.
 - რა კარგი ხარ! – მითხრა მან.
- ერთხანს მარტო ვიყავით, მერე კი სხვებთან შეხვედრა გვესიამოვნა კიდეც. დიდებული დრო გავატარეთ.

სექტემბერში პირველი გრილი ღამეები დაიჭირა, მერე დღისითაც აგრილდა, ბაღში ფოთლებს სიყვითლე შეეპარათ, და მივხვდით, რომ ზაფხული გასულიყო. ფრონტზე ძალიან ცუდად მიდიოდა საქმე, სან გაბრიელის აღებაც ვერ მოახერხეს. ბაინზიცას პლატოზე უკვე შეწყვიტათ ბრძოლა და თვის შუა რიცხვებში სან გაბრიელის მისადგომებზედაც შეწყვიტეს. ვერა და ვერ აიღეს. ეტორე ფრონტზე დაბრუნდა. ცხენები რომში წაასხეს და დოლი მორჩა. კროულიც რომში წავიდა, იქიდან ამერიკაში უნდა გაეგზავნათ. ქალაქშო ორჯერ მოაწყვეს ომის საწინააღმდეგო აჯანყება, ტურინშიაც მაგარი აჯანყებები იყო. ვიღაც ინგლისელმა მაიორმა მითხრა კლუბში, ბაინზიცას პლატოზე და სან გაბრიელთან იტალიელებმა ას ორმოცდაათი ათასი კაცი დაკარგესო. ამას გარდა, კარსოშიაც დაკარგეს ორმოცი ათასი. ვსვამდით და ის მელაპარაკებოდა. წლეულს მორჩა ბრძოლები და იტალიელებმა იმოდენა მოკბიჩეს, რომ დაღეჭვას ვერ მოახერხებენო. ფლანდრიაში შეტევის საქმე ცუდად დატრიალდა. თუ ასე აულეტინეს ხალხი, როგორც ახლა, ამ შემოდგომაზე, გაისისთვის მოკავშირებს ქანცი გასწყდებათო. ქანცი უკვე გაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ, მანამ ამას შევიგნებდეთ, კიდევ არა უშავს რა. ქანცი უკვე ყველასა გვაქვს გაწყვეტილი. საქმე ის არის, არ უნდა გამოტყდე ამაში. გამარჯვებულიც ის ქვეყანა დარჩება, ვინც ყველაზე გვიან გამოტყდებაო. კიდევ დავლიეთ. რომელიმე შტაბში ხომ არ მუშაობთ? არა. ის თურმე შტაბში მუშაობდა. სისულელეა ყველაფერიო. ორნი ვისხედით კლუბში, ტყავის დიდ სავარძელში გადაწოლილნი. ჩექმები საგულდაგულოდ გაეპრიალებინა. კოხტა ჩექმები ეცვა. ყველაფერი სისულელეაო, თქვა. დივიზიიებისა და ცოცხალი ძალის მეტი არაფერი ახსოვთ. თავს იკლავენ დივიზიიების შევსებისთვის, და როგორც კი შეავსებენ, მაშინვე ჟლეტენ. ყველა ქანცგაწყვეტილია. ბრძოლებს გერმანელები იგებენ. ჯარი მყავსო, მაგათ უნდა თქვან! ძველ ჰუნებს ვინ შეედრება ომში! მაგრამ იმათაც გასწყდათ ქანცი, ყველას გაგვწყდა. რუსებზე ვკითხე. იმათაც გასწყდათო. ამას თქვენ თვითონვე ნახავთ მალეო. ავსტრიელებსაც გასწყდათ ქანცი. ჰუნების რამდენიმე დივიზია თუ მიიღეს, კიდევ არა უშავთ. როგორა გგონიათ, ამ შემოდგომაზე შეტევას ხომ არ დაიწყებენ-მეთქი. უსათუოდ დაიწყებენო. იტალიელებს ქანცი გასწყდათ. ეს უკვე ყველამ იცის. ძველი ჰუნი გადასერავს ტრენტინოს, ვიჩენცასთან რკინიგზას გადაგვიჭრის, და მერე უყაროს იტალიამ კაკალი. ეს ხომ თექვსმეტშიაც სცადეს-მეთქი. მაშინ გერმანელები არ ახლდნენო. ეგ კია-მეთქი. მაგრამ მაინც არა მგონია, ასე მოიქცნენ, ეს მეტისმეტად მარტივი ხერხია, უფრო რთულს რასმე მოიგონებენ და საბოლოოდ გასწყდებათ კიდეც ქანციო. უნდა წავიდე, ჰოსპიტალში უნდა დავბრუნდე-მეთქი. «ნახვამდის, _ ვუთხარი მე და მხიარულად დავუმატე, _ ყოველივე კარგს გისურვებთ». _ მისი პესიმისტური შეხედულებანი სავსებით ეწინააღმდეგებოდა მისავე მხიარულ ბუნებას.

საპარიკმახეროში შევიარე, გავიპარსე და მერე ჰოსპიტლისაკენ გავსწიე. ფეხი უკვე ისე კარგად მქონდა, თითქოს დიდი ხნის ნამკურნალევი

ყოფილიყოს. სამი დღის წინ შემოწმებაზე ვიყავი. სულ რამდენიმე პროცედურა დამრჩა Ospedale Maggiore-ში, და მოვრჩებოდი კიდეც მკურნალობას. მივყვებოდი გვერდის ქუჩას და ვცდილობდი, არ მეკოჭლა. საჩრდილობელს შეფარებული მოხუცი კაცი სილუეტებსა ჭრიდა. შევჩერდი და ცერა დავუწყე. ორი გოგონა ედგა და იმათი სილუეტები გამოჰყავდა, თავი გვერდზე გადაედრიცა, გოგონებს გადახედავდა და სწრაფად ამოძრავებდა ხოლმე მაკრატელს. გოგონები კისკისებდნენ. მანამ თეთრ ქაღალდზე დააწებებდა, ჯერ მე მაჩვენა სილუეტები და მერე ქალიშვილებს გადასცა.

— ხომ კარგია, — მე მომმართა, — თქვენც ხომ არ ისურვებდით, Tenete?

გოგონები წავიდნენ, ათვალიერებდნენ თავიანთ სილუეტებს და იცინოდნენ. ეშხიანები იყვნენ. ერთი მათგანი ღვინის დუქანში მუშაობდა, ჰოსპიტლის მახლობლად.

— აგრე იყოს, — ვუთხარი მე.

— ქუდი მოიხადეთ.

— არა. ქუდიანად.

— ისე ლამაზი აღარ გამოვა, — მითხრა მოხუცმა, — თუმცა _ სახე გაებადრა, — უფრო მხედრული კი იქნება.

ჭრიდა შავ ქაღალდს, მერე შუაზე გახლიჩა, შავი პროფილები მუყაოზე დააწება და გადმომცა.

— რამდენი მოგართვათ?

— არაფერი, — ხელი გააქნია, — ეს ისე გაგიკეთეთ.

— თუ ღმერთი გწამთ, — სპილენძის ფულები ამოვიღე, — გამიხარდება.

— რასა ბრძანებთ. ეგ მე ჩემი გულის გასახარად გავაკეთე. თქვენს გოგოს აჩუქეთ.

— დიდი მადლობელი ვარ, ნახვამდის.

— ნახვამდის.

ჰოსპიტალში დავბრუნდი. წერილები დამახვედრეს — ერთი ოფიციალური, და სხვები ისე. სამი კვირის შვებულებას მაძლევდნენ გამოსაჯანსაღებლად, და მერე ფრონტზე უნდა დავბრუნებულიყავი. კიდევ გადავიკითხე ყურადღებით. ნამდვილად ასე იყო. შვებულება ოთხი ოქტომბრიდან ჩამეთვლებოდა, იმ დღეს მიმთავრდებოდა მკურნალობა. სამი კვირა — ოცდაერთი დღეა. ესე იგი, ოცდახუთი ოქტომბერი გამოდის. ჰოსპიტალში დავიბარე, ცოტას გავივლი-მეთქი, და სავახშმოდ რესტორანისაკენ გავსწიე, იქვე ჰოსპიტალთან ახლოს. მაგიდასთან წერილები გადავიკითხე და ჩორრიერ Della Serra გადავათვალიერე. ერთი წერილი პაპაჩემისაგან იყო, შინაურობის ამბებსა მწერდა, პატრიოტული დარიგებებით მამხნევებდა და ორასი დოლარის ჩეკსა და გაზეთის ამონაჭრებს მიგზავნიდა. მეორე ჩვენი მღვდლისა იყო — ძალიან მოსაწყენი წერილი. შემდეგ ერთი ნაცნობი მფრინავისა, რომელიც საფრანგეთის ავიაციაში მსახურობდა და თურმე ძალიან მხიარულ წრეში მოხვდა, სწორედ თავიანთი დროსტარების ამბებსა მწერდა. რინალდისგანაც მივიღე პატარა ბარათი — კიდევ რამდენ ხანს

უნდა იყო მილანში დაბუდებული, ახალი რა ამბებია? გრამოფონის ფირფიტები წამომიღეო, მთხოვდა და სიასაც მიგზავნიდა. ვახშამზე პატარა ბოთლი ქიანტი გამოვცალე, მერე ყავაც დავაყოლე ერთი ჭიქა კონიაკით, გაზეთი გადავიკითხე, წერილები ჯიბეში ჩავიწყვე, გაზეთი მაგიდაზე დავტოვე და გამოვედი. ჰოსპიტალში რომ დავბრუნდი, ჩემს ოთახში ტანსაცმელი გავიხადე, პიჟამა და ხალათი ჩავიცვი, აივნის ღია კარებზე ფარდა ჩამოვუშვი, ლოგინზე ჩამოვჯექი და ბოსტონური გაზეთების კითხვას შევუდექი, რომლებიც მისის მეიერსმა მოუტანა ჰოსპიტალში თავის ბიჭუნებს. ჩიკაგო-უაითსოვსის გუნდმა ამერიკული ლიგის პრიზი მიიღო, ხოლო ეროვნულ ლიგაში ნიუ-იორკ-ჯაიანტსი მიდიოდა წინ. ბეიბ რუთი ახლა ბოსტონის გუნდში თამაშობდა. გაზეთები მოსაწყენი იყო, ამბები წვრილმან და გადამჟავებული, საომარი ინფორმაცია – ერთიანად მოძველებული. ამერიკული ამბები სულ საწვრთნელ ბანაკებს შეეხებოდა. კიდევ კარგი, საწვრთნელ ბანაკში არა ვყოფილვარ. ბეისბოლის ამბების მეტი არაფერი წაიკითხებოდა გაზეთებში, ხოლო ეს მე ოდნავაც არ მაინტერესებდა. როცა ერთბაშად ბევრი გაზეთი გაქვს, ვერანაირად ვერ წაიკითხავ ინტერესით. მაინცდამაინც ახალი გაზეთები არ მოგვდიოდა, მაგრამ მაინც ვკითხულობდი. ამერიკა თუ მართლა ჩაება ომში, ნეტა მთავარ სპორტულ საზოგადოებებს თუ დახურავენ-მეთქი, გავიფიქრე. ალბათ, არა. აგერ ომია, და მილანში მაინც გახურებული დოლი აქვთ. საფრანგეთში აღარ ატარებენ დოლს. ჩვენი ჯაპალაკი სწორედ იქიდან ჩამოიყვანეს. ქეთრინი ცხრა საათამდე არ გამოვიდოდა სამორიგეოდ. როცა მოვიდა, მისი ფეხის ხმა გავიგონე, თვალიც კი შევავლე დერეფანში. სხვა ოთახები შემოიარა და ბოლოს ჩემთან შემოვიდა.

– დღეს დავიგვიანე, ძვირფასო, – მითხრა მან, – იმდენი საქმე გამომიჩნდა! როგორა ხარ?

ვუამბე გაზეთში წაკითხულიცა და ჩემი შვებულების ამბავიც.
– რა კარგია! – თქვა მან, სად უნდა წახვიდე?
– არსადაც არ წავალ. აქვე მინდა დავრჩე.
– რა სისულელეა! აირჩიე რამე ადგილი და მეც წამოვალ.
– როგორ მოახერხებ?
– არ ვიცი. როგორმე მოვახერხებ.
– რა კარგი გოგო ხარ!
– სულაც არა! მაგრამ როცა არაფერს კარგავ, ცხოვრება არცთუ ისე ძნელი მოსაწყობია.

– ვერ გავიგე, რას ამბობ.
– არაფერს. იმას ვფიქრობდი, რა პატარა ჩანს-მეთქი ახლა ის დაბრკოლებანი, რაც ადრე გადაულახავი გვეგონა.
– მე მაინც მგონია, რომ ძნელი მოსაგვარებელი იქნება.
– არა, გენაცვალე. თუ საჭირო შეიქნა, სულაც მივატოვებ ყველაფერს. მაგრამ საამისოდ არ გაგვიხდება საქმე.
– საით გავემგზავროთ?

- რას დავეძებ, საცა შენ გინდოდეს. საცა არავის ვიცნობთ.
- შენთვის სულ ერთია?
- სულ ერთი. არაფერს არ დავიწუნებ.
- დაძაბული და შეწუხებული ჩანდა.
- რა მოგივიდა, ქეთრინ?
- არაფერი. არაფერიც არ მომსვლია.
- რაღაც მოგივიდა.
- არა-მეთქი. ნამდვილად არაფერი.
- ვიცი, რომ რაღაც მოგივიდა. მითხარი, გენაცვალე. ჩემთან ყველაფერი ითქმება.
- არაფერი.
- მითხარი.
- არ მინდა. ვაითუ შეგაწუხო და გაწყენინო.
- სულაც არა.
- დარწმუნებული ხარ? მე კი არა მწყინს, მაგრამ შენ რომ გეწყინოს!
- შენ თუ არა გწყინს, არც მე მეწყინება.
- მაინც ვერ გეტყვი.
- მითხარი.
- უსათუოდ უნდა გითხრა?
- უსათუოდ.
- ბავშვი უნდა გამიჩნდეს, საყვარელო. თითქმის სამი თვეა, ხომ არ გეწყინა? ჰა, ხომ არა? ნუ გეწყინება, საყვარელო. არ უნდა გეწყინოს.
- არც მწყენია.
- მართლა?
- რაღა თქმა უნდა.
- რა არ ვცადე, რა არ ვიღონე, მაგრამ ვერაფერს გავხდი.
- სულაც არ მწყენია.
- ვერაფერი ვერ მოვახერხე, ჩემო კარგო, და აღარც შევწუხებულვარ. ნურც შენ შეწუხდები, ნუ დაღონდები.
- მე მხოლოდ შენ გამო ვწუხვარ.
- მეც მაგას გეუბნები – ჩემზე ნუ შეწუხდები-მეთქი. ბავშვები მუდამ იბადებიან. ვის არა ჰყავს ბავშვი. ეს ჩვეულებრივი ამბავია.
- რა მშვენიერი ხარ!
- მშვენიერს რა მიგავს. მაგრამ ნუ შეგაშფოთებს ეს, გენაცვალე! ვეცდები, არ შეგაწუხო. განა არ ვიცი, რომ აგაფორიაქე, მაგრამ აქამდე ხომ კარგი გოგო ვიყავი?! ხომ არაფრით შემიწუხებიხარ?
- არა.
- არც ახლა შეგაწუხებ. შენ თვითონ ნუ შეწუხდები. თუმცა წუხარ და ეგ არის. ნუ, ნუ დაღონდები. ცოტას არ დალევ, გენაცვალე? მაშინვე გამხიარულდები.
- არა, ისედაც მხიარულადა ვარ. შენ კი მშვენიერი გოგო ხარ.

— აბა, რა მშვენიერი ვარ! მაგრამ სადმე თუ წამიყვან, ყველაფერს მოვაგვარებ. ისეთი კარგი იქნება ოქტომბერი! დიდებულ დროს გავატარებთ, და მუდამდღე მოგწერ ხოლმე წერილს, ფრონტზე რომ წახვალ.

— შენ სად იქნები?

— ვერ გადამიწყვეტია. მაგრამ კარგ ადგილს შევარჩევ. ყველაფერზე ვიზრუნებ.

დავჩუმდით, ხმა აღარ ამოგვიღია. ქეთრინი ლოგინზე მეჯდა, მე შევყურებდი, ერთმანეთს კი არ მივკარებივართ. ჩვენ-ჩვენთვის ვისხედით, თითქოს ვინმე შემოსულიყოს ოთახში და შევეცბუნებინეთ. ხელი გამოსწია და ჩემი ხელი აიღო.

— ხომ არ გამიბრაზდი, საყვარელო?

— არა.

— მახეში გაბმულად ხომ არა გრძნობ თავს?

— ცოტათი კი, მაგრამ შენს გამო — არა.

— ჩემს გამო ხარ-მეთქი, არც მიფიქრია. რამ გაგასულელა! საერთოდ ხომ არ გრძნობ-მეთქი მახეში თავს?

— ბიოლოგია ყოველთვის მახეა.

უცებ სადღაც გადაიკარგა, ისე რომ არც განძრეულა და ხელიც არ წაუღია.

— არ არის კარგი სიტყვა — ეს «ყოველთვის».

— მაპატიე.

— არაფერია! მაგრამ ჯერ ხომ არც ბავშვი მყოლია და არც არავინ მყვარებია. სულ იმის ცდაში ვიყავი, როგორც შენ გესიამოვნებოდა, ისე გამეკეთებინა ყველაფერი... შენ კი «ყოველთვისო», მომახალე.

— მოდი სულ მოვიჭრი ენას, — შევთავაზე მე.

— ო, ჩემო ძვირფასო! — ისევ ისე დამიბრუნდა, — ყურს ნუ ათხოვებ ჩემს სიტყვებს, — კვლავ ერთად ვიყავით და ის შეცბუნებაც გაქრა, — ჩვენ ხომ ერთი არსება ვართ, უკუღმართად რად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს!

— მართალი ხარ.

— მაგრამ ასე მოსდით ხოლმე. ერთმანეთი უყვართ, უკუღმართ ლაპარაკს დაიწყებენ, წაიკიდებიან და უცებ აღარ არიან ერთი არსება.

— ჩვენ არ წავეკიდებით ერთმანეთს.

— არც უნდა წავეკიდოთ, რადგან ჩვენ მხოლოდ ორნი ვართ მთელი ქვეყნის წინააღმდეგ. ჩვენ რომ ერთმანეთში რამე მოგვივიდეს, დავიღუპებით, მაშინვე გაგვქაჩავენ.

— ხელსაც ვერ გვახლებენ, — ვთქვი მე, — შენ ისეთი მამაცი ხარ! მამაცებს ცუდი არაფერი მოსდით.

— ხომ კვდებიან!

— მხოლოდ ერთხელ.

— ეგ არ ვიცოდი. შენ ვინ გითხრა?..

— ლაჩარი ათასჯერ მოკვდება, მამაცი კი მხოლოდ ერთჯერ!

— რა თქმა უნდა. ვინ თქვა ეს?

— არ ვიცი.

— ალბათ, თვითონ ლაჩარი იყო, — თქვა მან, — ლაჩრების ამბავი კარგად იცოდა, მამაცებზე კი წარმოდგენაც არა ჰქონია. მამაცი ორი ათასჯერ მოკვდება, თუ განათლებულია. ოღონდ არ ამბობს ამას.

— აბა, რა გითხრა. მამაცი გულში არ ჩაგახედებს.

— მიტომაც არის მამაცი.

— მცოდნე ადამიანივით ლაპარაკობ.

— მართალი ხარ, ჩემო ძვირფასო. ახია ჩემზე.

— შენ მამაცი ხარ.

— არა, — თქვა მან, — ნეტა კი ვიყო!

— მე არა ვარ მამაცი. განა არ ვიცი, რაცა ვარ. დრო ბევრი მქონდა თავის შესაცნობად. მობურთალივით მომდის — ორას ოცდაათჯერ დაარტყამს წელიწადში და იცის, რომ მეტი არ შეუძლია.

— რა მობურთალია ასეთი, ორას ოცდაათჯერ რომ დაარტყამს? კარგი მოთამაშე ყოფილა!

— პირიქით. ყოვლად საშუალო თავდასხმელია, ბეისბოლში.

— მაგრამ მაინც თავდამსხმელი ჰქვია, — მიჩვლიტა ქეთრინმა.

— ვატყობ, რომ სიამაყეში ერთმანეთს ვერ გავექცევით, — ვთქვი მე, — მაგრამ შენ მამაცი ხარ.

— არა. ოღონდ იმედი კი მაქვს, ოდესმე გავხდები-მეთქი.

— ჩვენ ორივენი მამაცები ვართ, — ვთქვი მე, — ცოტას დავლევ თუ არა, ძალიან მამაცი ვხდები.

— ჩვენ დიდებული ხალხი ვართ, — თქვა ქეთრინმა. კარადიდან კონიაკი და ჭიქა გამოიღო და მომიტანა, — დალიე, საყვარელო, — მითხრა მან, — შენ ძალიან კარგად მოიქეცი.

— არ მინდა რაღაც.

— ერთი ჭიქა მაინც.

— კარგი. — წყლის ჭიქაში ცოტა კონიაკი ჩავასხი და დავლიე.

— ასე, — თქვა მან, — მე ვიცი, რომ კონიაკი გმირების სასმელია. მაგრამ მეტისმეტი არ უნდა მოგივიდეს.

— ომი რომ დამთავრდება, სად ვიცხოვრებთ?

— ალბათ, მოხუცების თავშესაფარში, — თქვა მან, — მთელი სამი წელიწადი ბალღივით მიამიტი ვიყავი და მეგონა, ომი შობა დღეს დამთავრდებოდა. ახლა კი, ჩვენი შვილი რომ ლეიიტენანტი გახდება, მაშინ დამთავრდება მგონია.

— იქნებ გენერალი გახდეს.

— ასწლიან ომად თუ იქცა, ლეიიტენანტიც გახდება და გენერალიც.

— შენ არ დალევ?

— არა. შენ მუდამ გახალისებს სასმელი, მე კი თავბრუს მახვევს.

— ჯერაც არ დაგილევია კონიაკი?

— არა, ჩემო ძვირფასო. მე ძველებური ცოლი ვარ.

იატაკისკენ დავიხარე ბოთლისათვის და კიდევ დავისხი.

- _ უნდა წავიდე და შენს თანემემამულეებს მივხედო, _ თქვა ქეთრინმა, _
- მანამ დავბუნდებოდე, ალბათ გაზეთებს წაიკითხავ.
- _ უსათუოდ უნდა წახვიდე?
- _ ან ახლა, ან მოგვიანებით.
- _ სჯობს ახლავე წახვიდე.
- _ მალე დავბუნდები.
- _ გაზეთების წაკითხავს მოვასწრებ, _ ვთქვი მე.

თავი XXII

ღამით აცივდა და მეორე დღეს წვიმა წამოვიდა. Ospedale Maggiore-დან წამოსული, მაგარ წვიმაში მოვხვდი და გალუმპული დავბრუნდი ჰოსპიტალში. ჩემი ოთახის აივანზე სულ წყალი იდგა და წვიმა კარის მინებსა სცემდა. ტანსაცმელი გამოვიცვალე და კონიაკი მოვსვი, მაგრამ არ მესიამოვნა. მთელი ღამე ცუდად ვიყავი და დილით კი, ნასაუზმევს, გული ამერია.

- _ საეჭვო არაფერია, _ თქვა ჰოსპიტლის დასტაქარმა, _ აბა, ერთი თვალებში ჩახედეთ, მისს.

მისს გეიჯმა ჩამხედა თვალებში. მერე სარკეში ჩამახედეს. სულ გადაყვითლებული ვიყავი. სიყვითლე მჭირდა. ორი კვირა ვიავადმყოფე. ასე რომ, შვებულება ერთად ვეღარ გავატარეთ. პალანცაში ვაპირებდით წასვლას, ლაგო მაჯიორეზე. მშვენიერი სამყოფია იქ შემოდგომით, როცა ფოთლებს სიყვითლე შეეპარება. სასეირნო ადგილებიც ბევრია და შეგიძლია კალმახიც დაიჭირო ტბაში. სტრეზას ისა სჯობია, რადგან ხალხი ნაკლები იცის პალანცაში. მილანიდან სტრეზას წასვლა ისე ადვილია, რომ, როცა უნდა ჩახვიდე, სულ ნაცნობებითაა სავსე. ზედ პალანცასთან ერთი მშვენიერი სოფელია _ მოუსვამ ნიჩბებს და მეთევზეთა კუნძულებს მოივლი, ყველაზე დიდ კუნძულზე რესტორანი აქვთ გამართული. მაგრამ ვერ წავედით.

ერთ დღეს, სიყვითლით რომ ვიყავი ავად, მისს ვან კამპენი შემოვიდა ოთახში, კარადა გამოაღო და ცარიელი ბოთლები ნახა. ის წუთი იყო, შვეიცარს გავატანე ბოთლები დაბლა, ალბათ მისს ვან კამპენმა თვალი მოჰკრა და სხვა ბოთლების სანახავად მოვიდა. უმთავრესად ვერმუთის ბოთლები იყო, აგრეთვე მარსალასი და კაპრისა, ქიანტის დაცლილი მათარები და რამდენიმე კონიაკის ბოთლი. შვეიცარმა პირველად ვერმუთის უფრო დიდ-დიდი ბოთლები და ქიანტის შემოწნული მათარები შეარჩია, კონიაკის ბოთლები კი შემდეგისთვის მოიტოვა. სწორედ კონიაკის ბოთლები დახვდა მისს კამპენს და აგრეთვე ქიუმელის ერთი ბოთლი, რომელსაც დათვის გამოსახულება ჰქონდა. განსაკუთრებით ამ დათვა-ბოთლმა გააცოფა. გამოიღო. დათვი უკანა ფეხებზე ჩაცუცქულიყო და წინა თათები მაღლა აეტატებინა. შუშის თავში საცობი ჰქონდა დამაგრებული, ხოლო ფსკერზე _ შუშის რამდენიმე სრიალა ღილი. გამეცინა.

– ქიუმელის ბოთლია, – ვთქვი მე, – ყველაზე საუკეთესო ქიუმელი ამ დათვა-ბოთლებში ასხია ხოლმე. რუსეთიდან მოაქვთ.

– სულ კონიაკის ბოთლებია, არა? – იკითხა მისს ვან კამპენმა.

– ყველას ვერა ვხედავ, – ვუპასუხე მე, – კონიაკისა იქნება.

– რამდენი ხანია, ამას ჩადიხართ?

– მე თვითონ ვყიდულობდი და მომქონდა, – ვთქვი მე, – იტალიელი ოფიცრები მესტუმრებიან ხოლმე ხშირად და კონიაკით ვუმასპინძლდები.

– თქვენ თვითონ არ დაგილევიათ? – მკითხა მან.

– მეც ვსვამდი.

– კონიაკი! – თქვა მან, – კონიაკის თერთმეტი დაცლილი ბოთლი და ეს დათვის წვენი.

– ქიუმელი.

– ახლავე გამოვგზავნი ვინმეს და წავაღებინებ. მეტი აღარა გაქვთ ცარიელი ბოთლები?

– ამჯერად არა.

– მე კიდევ მეცოდებოდით, სიყვითლე შეეყარა-მეთქი. რა ღირსი ხართ შეცოდებისა!

– მადლობელი ვარ.

– ფრონტზე წასვლა რომ არ გინდათ, ამისთვის ვერ დაგძრახავთ. მაგრამ უფრო ჭირიანულ რამეს მოიფიქრებდით, ალკოჰოლით სიყვითლის შეყრა სად თქმულა!

– რითიო?

– ალკოჰოლით-მეთქი. მშვენივრად გაიგონეთ. – ხმა არ გამიღია. – კიდევ თუ არ მოიგონეთ რამე, ვაითუ ისევ ფრონტზე გიკრან თავი, როცა სიყვითლე გაგივლით. არა მგონია, რომ ძალათი შეყრილ სიყვითლისათვის შვებულება მოგცენ.

– არა გგონიათ?

– არა.

– გქონიათ ოდესმე სიყვითლე, მისს ვან კამპენ?

– მე თვითონ არა, მაგრამ ბევრი მინახავს.

– ხომ დაკვირვებიხართ, როგორი სასიამოვნოა ავადმყოფებისათვის?

– ფრონტს, ალბათ, მაინც სჯობია.

– მისს ვან კამპენ, – მივმართე მე, – გინახავთ ოდესმე კაცი, ჯარიდან გათავისუფლებისათვის მუცელში წიხლებს იზელდეს?!

ვითომ არც გაეგონოს ჩემი შეკითხა. ან ასე უნდა მოქცეულიყო, ან არადა ოთახიდან გასულიყო. ოთახიდან გასვლას კი არ ისურვებდა, რადგან თავიდანვე შემიძულა და ახლადა მიეცა ბოლმის გადმონთხევის საშუალება.

– ბევრი მინახავს, ფრონტის ასაცილებლად რომ დაუსახიჩრებია თავი.

– ეგ სხვა საქმეა. მაგისთანა ხალხს მეც შევხვედრივარ. მე თქვენ გვითხეთ

– ისეთი კაცი თუ გინახავთ, რომელიც ჯარიდან გათავისუფლებისათვის მუცელში წიხლებს იზელდეს-მეთქი. ეს დაახლოებით იგივეა, რაც სიყვითლე,

და მჯერა, რომ ქალთაგან ცოტა ვინმეს თუ გამოუცდია ეს. ამიტომაც გკითხეთ, ოდესმე სიყვითლე თუ გჭირვებიათ-მეთქი, მისს ვან კამპენ. მინდოდა..._ მისს ვან კამპენი ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ მისს გეიჯი შემოვიდა.

_ რა უთხარით ასეთი მისს ვან კამპენს? გაცოფებულია.

_ სხვადასხვა განცდები შევადარეთ ერთმანეთს. მე ვივარაუდე, რომ მას თავის დღეში არ გამოუცდია მშობიარობა და...

_ რამ გაგასულელათ!_ მითხრა გეიჯმა, _ ოთხში ამოგიღებს.

_ უკვე გამაძრო ტყავი, _ ვუთხარი მე, _ შვებულება დამაკარგვინა. თუ მოახერხა, საველე სასამართლოსაც გადამცემს. ყველაფერს იკადრებს.

_ თავიდანვე აგითვალწუნათ, _ თქვა მისს გეიჯმა, _ ახლა რა მოხდა?

_ სიყვითლე განგებ შეიყარე ლოთობით, რომ ფრონტზე არ წასულიყავიო.

_ ფუჰ!_ შესძახა მისს გეიჯმა, _ ხატზე დავიფიცებ, რომ წვეთიც არ ჩაგიკარებიათ პირში. ამას ყველა დაიფიცებს.

_ ბოთლები ნახა.

_ ათასჯერ მითქვამს, ბოთლები გადავყაროთ-მეთქი. ახლა სადა ყრია?

_ კარადაში.

_ ჩემოდანი გაქვთ?

_ არა. ზურგჩანთაში ჩაყარეთ.

მისს გეიჯმა ზურგჩანთაში ჩაალაგა ბოთლები. _ შვეიცარს გავატან, _ თქვა მან და კარებისკენ გაემართა.

_ მოითმინეთ, _ თქვა ოთახში შემოსულმა მისს კამპენმა, _ მე თვითონ წავიღებ, _ თან შვეიცარი ახლდა, _ ეს ბოთლები გაიტანეთ! ექიმს უნდა ვაჩვენო, როცა საქმის შინაარსს მოვახსენებ.

დერეფანში გავიდა. შვეიცარმა ზურგჩანთა წაიღო. იცოდა, რაც იყო შიგ.

შვებულება დავკარგე, მეტი არაფერი მომხდარა.

თავი XXIII

იმ ღამეს, როცა მე ფრონტზე უნდა დავბრუნებულიყავი, შვეიცარი გავგზავნე, რათა ტურინიდან მომავალ მატარებელში ერთი ადგილი დაეჭირა ჩემთვის. მატარებელი შუალამისას გადიოდა, მაგრამ მილანში თერთმეტის ნახევრისათვის უნდა შემოსულიყო და, აძვრამდე, სადგურში მდგარიყო. შემოსულ მატარებელს სადგურშივე უნდა დახვედროდი, თორემ ისე ადგილს ვერ იშოვიდი. შვეიცარმა თან წაიყვანა ერთი თავისი მეგობარი, შვებულებაში მყოფი მეტყვიამფრქვევე, რომელიც ახლა თერმთან მუშაობდა. იმედი ჰქონდა, რომ ორივენი როგორმე მიშოვიდნენ ერთ ადგილს. საბაქნო ბილეთებისათვის ფული მივეცი და ბარგიც გავატანე: ერთი დიდი ზურგჩანთა და ორი საველე ჩანთა.

დაახლოებით ხუთ საათზე ჰოსპიტალში ხალხს გამოვეთხოვე და ქალაქში გავედი. ბარგი შვეიცარმა ჩაიტანა თავის სადგომში. მე დავუბარე, სადგურში შუალამეზე ცოტა ხნით ადრე ვიქებ-მეთქი. შვეიცრის ცოლმა Sig norino

მიწოდა და ატირდა. მერე თვალები მოიწმინდა, ხელი ჩამომართვა და ხელახლა ატირდა. მხარზე ხელი მოვუთათუნე და კიდევ ატირდა. ეს ქალი წინდებს მიკემსავდა ხოლმე. ჩამრგვალებული, დაბალი, ჭაღარა დედაკაცი იყო, ბედნიერი სახე ჰქონდა. როცა ატირდა, ასე გეგონებოდათ, მთელი სახე დაეფუშაო. მოსახვევამდი მივედი, ღვინის ბარში შევედი და იქ დავიწყე ლოდინი, ფანჯრიდან ვიყურებოდი. გარეთ ბნელოდა, ციოდა და ნისლი იდგა. ყავისა და გრაპის ფული გადავიხადე და, ფანჯრიდან გაჭრილ შუქზე, ქუჩაში მიმავალ ხალხს დავუწყე ცქერა. ქეთრინი დავინახე და ფანჯარაზე დავაკაკუნე. შემოიხედა, დამინახა და გამიღიმა. შესაგებებლად წამოვდექი. ლურჯი ლაბადა ეცვა და ფაფუკი ფეტრის ქუდი ეხურა. ერთად გამოვედით ტროტუარზე, ღვინის დუქნებს ჩავუარეთ, ბაზრის მოედანი გადავჭერით, ზევით ავუხვიეთ, თაღი გავიარეთ და ტაძრის მოედანზე გამოვედით. მოედანს ტრამვაის ხაზი სერავდა, ხოლო გადაღმა ტაძარი იყო აღმართული, რომელიც ნისლში თეთრი და სველი ჩანდა. გადავჭერით ტრამვაის ხაზი. ხელმარცხნივ – მაღაზიების განათებული ვიტრინები და გალერეის შესასვლელი ჩანდა. მოედანზე სქლად იწვა ნისლი და, ტაძარს რომ მივადექით, ახლოდან ძალიან დიდი გამოჩნდა, ქვის კედლები კი _ სველი.

– გინდა, შევიდეთ?

– არა, – თქვა ქეთრინმა. გზა განვაგრძეთ. ერთ-ერთი დიდი კონტრასამაგრის ქვეშ ჯარისკაცს გოგო შეეყვანა, გვერდზე ჩავუარეთ. მჭიდროდ მიჰკროდნენ კედელს და ჯარისკაცს თავისი ლაბადა შემოეხვია გოგოსათვის.

– ჩვენს დღეში არიან, – ვთქვი მე.

– არავინაც არ იქნება ჩვენს დღეში, – მიპასუხა ქეთრინმა.

– სადმე წასასვლელი მაინც ჰქონდეთ.

– თუნდა ჰქონდეთ, რა ბედენაა.

– არ ვიცი. ყველას უნდა ჰქონდეს თავშესაფარი.

– აგერ, ტაძარი აქვთ, – თქვა ქეთრინმა.

ის იყო ტაძარს ჩავუარეთ. მოედნის ბოლოში გავედით და ტაძარს გამოვხედეთ. ლამაზი ჩანდა ნისლში. ტყავეულობის მაღაზიასთან ვიდექით. ვიტრინაში გამოეწყოთ საცხენოსნო ჩექმები, ზურგჩანთა და სათხილამურო ფეხსაცმელები. ცალ-ცალკე ეწყო ყველაფერი: ზურგჩანთა შუაში, ჩექმები და ფეხსაცმელები კი_აქეთ-იქით. ტყავი შავი და გაპრიალებული ჩანდა, როგორც ნახმარი უნაგირი. გაპრიალებულ ტყავზე ელექტრონის სინათლე ბზინავდა.

– როცა იქნება, ჩვენც ვიცურავებთ თხილამურებით.

– კიდევ ორი თვე და მიურენში სათხილამურო სეზონი გაიხსნება, – თქვა ქეთრინმა.

– ჩვენც ავდგეთ და იქ წავიდეთ.

– წავიდეთ, – თქვა მან. სხვა ვიტრინებსაც ჩავუარეთ და მოსახვევში მოვბრუნდით.

– ერთხელაც არ მივლია აქეთ.

– მე კი სულ ამ გზით დავდიოდი მთავარ ჰოსპიტალში.

ვიწრო შუკა იყო და ჩვენ მარჯვენა მხარეს მივდიოდით. ბევრი ხალხი გვხვდებოდა ამ ნისლში. მაღაზიების ვიტრინები ყველგან განათებული იყო. ერთ ვიტრინაში დახვავებული ყველი დავინახეთ. იარაღების მაზაღიასთან შევდექი.

- _ ერთი წუთით შემყევი, იარაღი უნდა ვიყიდო.
- _ რა იარაღი?
- _ პისტოლეტი.

შევედით. ქამარი შევიხსენი და პისტოლეტის ცარიელ ბუდესთან ერთად დახლზე დავდე. დახლში ორი ქალი იდგა, რამდენიმე პისტოლეტი გადმოიღეს.

- _ უნდა მოვარგო, _ ვთქვი მე და ბუდე გავხსენი. ნაცრისფერი ტყავის ბუდე იყო, ხელზე მქონდა ნაყიდი, ქალაქში სატარებლად.

- _ კარგი პისტოლეტები აქვთ? _ იკითხა ქეთრინმა.

- _ თითქმის ყველა ერთნაირია. შეიძლება ეს გავსინჯო?_ ვკითხე გამყიდველ ქალს.

- _ აქ ადგილი არა მაქვს, რომ გაგასროლინოთ, _ მითხრა მან, _ მაგრამ ძალიან კარგია. არ წააგებთ.

ჩახმახი შევაყენე და ფეხი გამოვუშალე. ზამბარა მკვრივი იყო, მაგრამ კარგად მუშაობდა. დავუმიზნე და კიდევ გამოვუშალე ფეხი.

- _ ნახმარია, _ თქვა ქალმა, _ ერთ ოფიცერსა ჰქონდა, ბრწყინვალე მსროლელი იყო.

- _ თქვენთან ჰქონდა ნაყიდი?

- _ დიახ.

- _ მეორედ როგორდა ჩაგივარდათ ხელში?

- _ იმ ოფიცრის ადიუტანტმა მოიტანა.

- _ იქნებ ჩემიც აქ იყოს, _ ვთქვი მე, _ რა ღირს?

- _ ორმოცდაათი ლირა. მუქთია.

- _ კარგი. ორი სათადარიგო მჭიდე მომეცით და ერთი კოლოფი ვაზნებიც გამოაყოლეთ.

დახლიდან გამოიღო მჭიდეებიცა და ვაზნებიც.

- _ ხმალი არ გჭირდებათ? _ მკითხა მან, _ ნახმარი ხმლები მაქვს, ძალიან იაფად.

- _ ფრონტზე მივდივარ, _ ვუთხარი მე.

- _ ჰოო, მაშინ რაღად გინდათ ხმალი, _ თქვა მან.

ვაზნებისა და პისტოლეტის ფული გადავიხადე, მჭიდეები გავტენე და პისტოლეტი ცარიელ ბუდეში ჩავდე. მერე ქამარი შემოვირტყი. პისტოლეტის სიმძიმემ ქამარი დაჭიმა. რაც უნდა იყოს, სამხედრო პისტოლეტი მაინც სხვა არის-მეთქი, გავიფიქრე. ვაზნებს ყოველთვის იშოვის კაცი.

- _ ახლა თავით _ ფეხებამდე შეიარაღებული ვარ, _ ვთქვი მე, _ წასვლამდე ეს ერთიღა საქმე მქონდა მოსაგვარებელი. ჰოსპიტალში რომ მოვდიოდი, მაშინ ამაცალა ვიღაცამ ძველი პისტოლეტი.

- _ კარგი მაინც გამოდგებოდეს, _ თქვა ქეთრინმა.
- _ სხვა არაფერი გნებავთ? _ მკითხა ქალმა.
- _ მგონი, აღარაფერი.
- _ პისტოლეტს ზონარიც ახლავს, _ თქვა ქალმა.
- _ ვნახე. _ ქალს უნდოდა, კიდევ გაესაღებინა რამე.
- _ სასტვენი არა გნებავთ?
- _ მგონი, არა.

ნახვამდისო, გვითხრა ქალმა, და ჩვენც ქუჩაში გამოვედით. ქეთრინმა ვიტრინაში შეიჭყიტა. ქალმა გამოგვხედა და თავი დაგვიქნია.

- _ ეს პატარა სარკეები რის მაქნისია, ხის ჩარჩოებში?
- _ ჩიტების მისატყუებლად ხმარობენ. მინდორში გაიტანენ და ატრიალებენ. როგორც კი დაინახავენ ტოროლები, გამოექანებიან ხოლმე, და იტალიელები ხოცავენ.

- _ მოხერხებული ხალხია, _ თქვა ქეთრინმა, _ თქვენთან არ ხოცავენ ტოროლებს, ამერიკაში?

- _ შემთხვევით თუ მოახვედრებენ!
- ქუჩა გადავჭერით და მეორე მხარეს გადავედით.

- _ ცოტა მოვმჯობინდი, _ თქვა ქეთრინმა, როცა გამოვედით, ძალიან ცუდად ვიყავი.

- _ ერთად როცა ვართ, მუდამ კარგად ვართ ხოლმე.

- _ სულ ერთად ვიქნებით.

- _ ჰო, ოღონდ შუაღამისას უნდა წავიდე.

- _ ამაზე ნუ ფიქრობ, ძვირფასო.

აღმა შევუყევით ქუჩას. ნისლში სინათლეები ყვითელი ჩანდა.

- _ არ დაიღალე? _ მკითხა ქეთრინმა.

- _ შენ?

- _ მე კარგად ვარ. სასიამოვნოა ასე სიარული.

- _ ოღონდ ძალიანაც ნუ გავაგრძელებთ.

- _ არა.

მოსახვევამდი მივედით და შევუხვიეთ. ამ შუკაში ბნელოდა. შევჩერდი და ქეთრინს ვაკოცე. როცა ვკოცნიდი, მხრებზე მისი ხელი ვიგრძენი. ჩემი ლაბადა გაშალა და თვითონაც შიგ შემოიყუჟა. დიდ კედელს მივეყუდეთ ქუჩაში.

- _ სადმე წავიდეთ, _ ვთქვი მე.

– წავიდეთ, _ მითხრა ქეთრინმა. გავყევით შუკას და ფართო ქუჩაზე გავედით, რომელსაც გვერდზე არხი მისდევდა. გაღმა აგურის სახლები იდგა. ქუჩის ბოლოში ტრამვაი დავინახე, რომელიც ხიდზე გადადიოდა.

– ხიდთან ეტლს შევხვდებით, _ ვთქვი მე. ვიდექით ხიდზე, ნისლში გახვეულები, და ეტლს ველოდით. ხალხით გაჭედილმა ტრამვაის რამდენიმე ვაგონმა გაიარა. მერე ეტლმაც ჩაგვიქროლა, მაგრამ ვიღაც იჯდა შიგ. ნისლი თანდათანობით წვიმად იქცა.

- ბარემ წავიდეთ – ან ტრამვაით, ან ფეხით, – თქვა ქეთრინმა.
- ახლავე გამოივლის, – ვუთხარი მე, – აქ ხშირად დადის.
- აპა, მოდის კიდეც, – თქვა მან.

მეტლემ ცხენი გააჩერა და საანგარიშო ლითონი გადასწია. ეტლი გადახურული იყო და მეტლეს აწვიმდა. მისი გაპრიალებული ცილინდრი წვიმაში ლაპლაპებდა. უკანა სავარძელში ჩავსხედით, გადახურულ ეტლში ბნელოდა.

- რა უთხარი, სად წავიდეთო?
- სადგურზე. სადგურის პირდაპირ სასტუმროა და იქ მივიდეთ.
- ასე მიგვიღებენ სასტუმროში? უბარგოდ და უყველაფროდ.
- მიგვიღებენ, – ვთქვი მე.

სადგურში მისვლამდე კარგა ხანს ვიარეთ შუკა-შუკა იმ წვიმაში.

- არ ვისადილოთ? – მკითხა ქეთრინმა, – თითქოს მშია.
- ნომერში ვისადილოთ.
- გამოსაცვლელი არაფერი მაქვს. ღამის პერანგიც კი არ წამომიღია.
- ვიყიდოთ, – ვუთხარი მე და მეტლეს გავძახე:
- ვია მანცონიზე გაგვიყვანე. – მეტლემ თავი დამიქნია, მოსახვევში მარცხნივ შეუხვია. დიდ ქუჩაზე რომ გავედით, ქეთრინმა მაღაზიებს დაუწყო თვალიერება.

– აი აქა, – თქვა ქეთრინმა. ეტლი გავაჩერებინე, ქეთრინი ჩამოხტა, ტროტუარი გადაჭრა და მაღაზიაში შევიდა. მე ეტლში ვიჯექი და ველოდი. წვიმდა, და მე ვგრძნობდი სველი ქუჩისა და წვიმით გაწუწული ცხენის ორთქლის სუნს. მალე ქეთრინიც მოვიდა, – რაღაც შეხვეული მოიტანა, – და გზა განვაგრძეთ.

– რა უყაირათო ვარ, არა? – თქვა მან, მაგრამ ძალიან კოხტა ღამის პერანგია.

სასტუმროსთან რომ მივედით, ქეთრინს ვთხოვე, ცოტა ხანს ეტლში დამელოდე-მეთქი, მე კი გამგესთან შევედი მოსალაპარაკებლად. ოთახები თავზესაყარი ჰქონდათ. გამოვბრუნდი, მეტლე გავისტუმრე და მე და ქეთრინი ერთად შევედით სასტუმროში. ბრჭყვიალადილებიანმა პატარა ბიჭმა შეკრულა წაიღო. ლიფტთან გამგე დაგვხვდა და თავი დაგვიხარა. ლიფტი სულ წითელი პლუშითა და ბრინჯაოთი იყო აჭრელებული. გამგეც ამოგვყვა ზემოთ.

- მუსიოსა და მადამს სადილი არ მოვართვათ ნომერში?
- დიახ, იქნებ მენიუ გამოგვიგზავნოთ, – ვუთხარი მე.
- ალბათ, რამეს დავუკვეთავთ – ფრინველს ან სუფლეს? არა?
- ლიფტმა ტკაცუნ-ტკაცუნით აიარა სამი სართული, კიდევ ერთხელ გაიტკაცუნა და გაჩერდა.
- რა ფრინველი გექნებათ?
- ხოხობიცა გვაქვს, ტყის ქათამიც.

— ტყის ქათამი იყოს, — ვუთხარი მე. დერეფანში გამოვედით. ნოხი გაცვეთილი იყო. ჩავუარეთ მრავალ კარს. მერე გამგე შეჩერდა და ერთ-ერთი ნომერი გააღო.

— ეს გახლავთ. მშვენიერი ოთახია.

ბრჭყვიალაღილებიანმა პატარა ბიჭმა შეკრულა მაგიდაზე დადო, ოთახის შუაგულში. გამგემ ფარდები გადახსნა.

— ახლა მენიუს გამოგიგზავნით, — თქვა მან, თავი დაგვიკრა და გავიდა.

ფანჯარასთან მივედი და გადავიხედე, მერე ზონარი ჩამოვწიე და სქელი პლუშის ფარდები ჩამოვაფარე. ქეთრინი ლოგინზე იჯდა, თვალი ბროლის შანდალისთვის გაეშტერებინა. ქუდი მოეხადა და სინათლეზე თმა უბრწყინავდა. ერთ-ერთ სარკეში თავისი თავი დაინახა და თმისკენ წაიღო ხელი. მე დანარჩენ სამ სარკეში შევყურებდი მას. მოწყენილი ჩანდა. ლაბადა გაეძრო და პირდაპირ ლოგინზე დაეგდო.

— რა მოგივიდა, საყვარელო?

— ჩემს დღეში არ გამიფიქრია, კახპა ვარ-მეთქი. — თქვა მან. ფანჯარასთან მივედი, ფარდა გადავწიე და გავიხედე. არ მეგონა, ასე თუ წავიდოდა საქმე.

— სადაური კახპა შენა ხარ!

— ვიცი, ძვირფასო. მაგრამ მაინც არ არის კარგი, ამას რომ გაიფიქრებ. — მშრალი და სუსტი ხმა ჰქონდა.

— ამაზე უკეთეს სასტუმროს ვერ მოვძებნიდით, — ვთქვი მე. ფანჯარაში გადავიხედე. მოედანს სადგურის სინათლეები ეცემოდა. ქუჩაში ეტლები დაქროდა, ბაღში ხეები დავინახე. სასტუმროდან გაჭრილი შუქი ნაწვიმარ ტროტუარს ანათებდა. «ეშმაკმა დალახვროს! — გავიფიქრე მე, — ახლა ჩხუბი იქნება?!»

— მოდი ჩემთან, საყვარელო, — მითხრა ქეთრინმა. სიმშრალე უკვე გაჰქირობოდა ხმაში, — მოდი, საყვარელო. მე ისევ კარგი გოგო გავხდი.

ლოგინს გავხედე. ქეთრინი იღიმებოდა.

მივედი, გვერდზე მივუჯექი და ვაკოცე.

— ჩემი კარგო გოგო!

— რა თქმა უნდა, შენი ვარ.

ნასადილებს კიდევ უფრო გამოგვიკეთდა ხასიათი, მერე კი სულ კარგ გუნებაზე დავდექით და ცოტა ხანში სასტუმროს ნომერი ჩვენს ნამდვილ სახლად იქცა. ჩემი ოთახი, ჰოსპიტალში, ხომ ნამდვილი სახლი იყო ჩვენი, და ახლა ეს ნომერიც ჩვენი სახლი გახდა.

სადილობის დროს ქეთრინს ჩემი ტუნიკა ჰქონდა მოსხმული. ძალიან მოშივებულები ვიყავით, სადილიც გემრიელი მოგვიტანეს და თითო ბოთლი კაპრი და სანტ ესტეფი დავლიეთ. თითქმის სულ მე შევსვი, ქეთრინმა ცოტა მოსვა და შესანიშნავ გუნებაზე დადგა. სადილად მოგვართვეს ტყის ქათამი, კარტოფილის სუფლეთი, წაბლის პიურე, სალათი და დესერტად საბაიონი.

— მშვენიერი ოთახია, — თქვა ქეთრინმა, — კოხტა და კარგი. თავიდანვე აქ უნდა აგვეღო ბინა.

- სასაცილო ოთახია, მაგრამ კარგია.
- დიდებული საქმეა გარყვნილება, — თქვა ქეთრინმა, — ვინც ამას მისდევს, ალბათ გემოსაც ატანს. წითელი პლუში მართლაც დიდებულია. უკეთესს ვერც ინატრებ. სარკები ხომ პირდაპირ თვალს იტაცებს.
- შენ ჩემი მშვენიერი გოგონა ხარ!
- არ ვიცი, გამოღვიძება როგორი იქნება დილით ამისთანა ოთახში. ისე კი მართლაც რომ ბრწყინვალეა. — კიდევ დავისხი სანტ ესტეფი.
- ნეტა მართლა ჩაგვადენინა რამე დიდი ცოდვა, — თქვა ქეთრინმა, — რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერი უბრალოდ და უბიწოდ მეზვენება. არა მჯერა, ცუდს რასმე ვაკეთებდეთ!
- შენ დიდებული გოგო ხარ.
- მაგრამ მშია, საშინლად მომშივდა.
- რა მშვენიერი, უბრალო გოგონა ხარ! — ვუთხარი მე.
- უბრალო გოგო ვარ. შენს გარდა ვერავინ მიხვდა ამას.
- ერთხელ, პირველად რომ შევხვდით ერთმანეთს, მთელი დღე ვოცნებობდი — როგორ წავიდოდით ჩვენ ერთად სასტუმრო კავურში და როგორ გავატარებდით იქ დროს.
- რა თავხედობა! მაგრამ ეს ხომ კავური არ არის!
- არა. იქ ვინ მიგვიშვებდა.
- როცა იქნება, მიგვიშვებენ. აი, რა განსხვავებაა ჩვენს შორის, ძვირფასო. მე არაფერზე არ მიფიქრია, არასოდეს.
- სულ არაფერზე?
- ცოტა რამეზე, — თქვა მან.
- ოჰ, რა საყვარელი გოგონა ხარ!
- კიდევ დავისხი ერთი ჭიქა ღვინო.
 - მე სულ უბრალო გოგო ვარ, — თქვა ქეთრინმა.
 - პირველად ასე არ მეგონა. გიჟია-მეთქი, ვფიქრობდი.
 - ცოტათი მართლაც ვიყავი გიჟი. მაგრამ სულ მთლად წყალწალებული გიჟი კი არა. ხომ არ შეგაშინე მაშინ, ძვირფასო?
- დიდებულია ეს ღვინო, — ვთქვი მე, ყოველგვარ სიგლახეს დაგავიწყებს.
- მართლაც რომ მშვენიერია, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ მამაჩემს საშინელი ნიკრისი შეჰქარა.
- გყავს მამა?
- ჰო, — მიპასუხა ქეთრინმა, ნიკრისი აქვს. შენ არასოდეს არ მოგიწევს მასთან შეხვედრა. შენ არა გყავს მამა?
- არა, — ვუთხარი მე, — მამინაცვალი მყავს.
- მე მომეწონება?
- არც შენ მოგიწევს მასთან შეხვედრა.
- ჩვენ ისედაც კარგადა ვართ, — თქვა ქეთრინმა, — სხვა აღარაფერი მაინტერესებს. ისეთი ბედნიერი ცოლი ვარ!

ოფიციანტი შემოვიდა და სუფრა აალაგა. ცოტა ხანში სულ გავიტრუნეთ და წვიმის ხმაღა გვესმოდა. ქვევით, მოედანზე, მანქანამ დააყვირა:

ფეხდაფეხ მოგვდევს ეტლი დროისა,
ყურში ჩაგვესმის მისი გრიალი.

ვთქვი მე.

— მახსოვს ეს ლექსი, — თქვა ქეთრინმა. — მარველისაა. მაგრამ გოგოზეა დაწერილი, რომელიც კაცთან ცხოვრებას გაუზოდა.

გონება სავსებით ნათელი და დაწმენდილი მქონდა, და უბრალო, ყოველდღიურ ამბებზე ლაპარაკი მომინდა.

— სად მოიმშობიარებ?

— არ ვიცი. ყველაზე უკეთეს ადგილს შევარჩევ.

— მაინც როგორ მოაწყობ ამას?

— ჩინებულად. შენ ფიქრი ნუ გაქვს, ძვირფასო. მანამ ომი გათავდებოდეს, ვინ იცის, რამდენი ბავშვი გაგვიჩნდება!

— წასვლის დრო მოახლოვდა.

— ვიცი. შეგიძლია თქვა — უკვე დროაო.

— რას ამბობ!

— მაშ ნუღარ ცმუკავ. აქამდე კარგი იყავი, ახლა კი რაღაც აწრიალდი.

— აღარ ვიზამ. ხშირად მომწერ ხოლმე?

— ყოველდღე. თქვენს წერილებს ხომ არ კითხულობენ?

— ინგლისურისა ბევრი არა გაეგებათ რა და ვერაფერს დაგვიშავებენ.

— არეულად დავწერ ხოლმე განგებ, — მითხრა ქეთრინმა.

— ძალიანაც ნუ აურევ.

— ცოტათი აურ-დავურევ.

— ვაი, რომ წასვლის დროც მოვიდა.

— რა გაეწყობა, ჩემო კარგო.

— მიმძიმს ჩვენი მშვენიერი სახლის დატოვება.

— მეც.

— მაგრამ უნდა წავიდეთ.

— წავიდეთ. ჩვენ ხომ ჯერ დიდი ხანი არ გაგვიტარებია სახლში.

— გავატარებთ.

— როცა დაბრუნდები, კოხტა სახლს დაგახვედრებ.

— იქნებ ახლავე დავბრუნდე.

— ფეხი რომ გაგიკაწრონ ცოტათი!

— ან ყურის ბიბილო.

— არა, ყურს ხელს ნუ ახლებენ.

— ფეხმა რაღა დაგიშავა?

— ფეხში ხომ ისედაც დაგჭრეს ერთხელ!

— უნდა წავიდეთ, საყვარელო.

— წავიდეთ. ჯერ შენ გადი.

თავი XXIV

ლიფტით აღარ დავშვებულვართ, კიბეს დავუყევით. ნოხი გაცვეთილი იყო კიბეზე. სადილის ფული მაშინვე გადავიხადე, როცა მოიტანეს, და ჩვენი ოფიციანტი ახლა კარებთან იჯდა, სკამზე. წამოხტა და თავი დაგვიკრა, მერე კანტორაში გამომყვა და მე ნომრის ქირა გადავიხადე. სასტუმროს გამგებელმა თავში ისე მიმიღო, როგორც კაი მეგობარი, და წინასწარ არასდიდებით არ აიღო ფული, ხოლო დაბლა რომ ჩავიდა, სიფრთხილე იხმარა და ოფიციანტი დასვა კარებში, ქირის გადაუხდელად არ გაიპაროსი. ალბათ, გაუკეთეს ასეთი ონი, მეგობრებმაც კი. ომის დროს რამდენ მეგობარს გაიჩენ კაცი!

ოფიციანტს ვთხოვე, ეტლი დაეჭირა ჩვენთვის. ქეთრინის შეკრულა გამომართვა, ქოლგა აიღო და წავიდა. ფანჯარაში დავინახეთ, როგორ გადაჭრა ქუჩა ამ წვიმაში. ჩვენ კანტორაში ვიდექით და ფანჯარაში ვიყურებოდით.

— როგორა ხარ, ქეთ?

— მეძინება.

— მე კი გამოვლენჩდი და მშია.

— საჭმელი არაფერი გაქვს?

— მაქვს საველე ჩანთაში.

ეტლი ჩამოდგა. ცხენს თავი ჩაექინდრა წვიმაში. ოფიციანტი გადმოხტა, ქოლგა გახსნა და სასტუმროსაკენ გამოემართა. კარებში შევეგებეთ, ქოლგაში შევიყუჯეთ და სველ ტროტუარზე გავედით. არხში წყალი მიდიოდა.

— თქვენი შეკრულა ეტლის სავარძელში დევს, — გვითხრა ოფიციანტმა. მანამ ჩავსხდებოდით, იგი ქოლგით იდგა იქვე, და მე ფული ვაჩუქე.

— დიდი მადლობელი ვარ. ბედნიერი მგზავრობა! — მოგვაძახა მან.

მეტლემ სადავეები აიღო და ცხენი დაიძრა. ქოლგას შეფარებული ოფიციანტი შეტრიალდა და სასტუმროსკენ გაემართა. ჩვენ ქვევით ჩავუყევით ქუჩას, მერე მარცხნივ შევუხვიეთ, და მარჯვენა მხრიდან მივადექით სადგურს. ფანართან, ზედ წვიმაში, ორი კარაბინერი იდგა. სინათლე ქუდებზე ეცემოდათ. სადგურის სინათლეების შუქზე წვიმა წმინდა და გამჭვირვალე ჩანდა. უცებ აბუზული მებარგე გამომვრა.

— არ მინდა, — ვუთხარი მე, — გმადლობთ. არა მჭირდებით. ისევ შეაფარა თავი სადგურის თაღებს. ქეთრინისკენ მივბრუნდი. ეტლის ჩარდახი უჩრდილავდა სახეს.

— ჩვენც აქვე გამოვეთხოვოთ ერთმანეთს.

— არ შემოვიდე?

— არა.

— ნახვამდის, ქეთ.

— ჰოსპიტლის მისამართი უთხარი.

— ახლავე.

მეტლეს ვუთხარი, სად უნდა მიეყვანა ქეთრინი. თავი დამიქნია.

- ნახვამდის, – ვთქვი მე, – თავსაც გაუფრთხილდი და პატარა ქეთრინსაც.
- ნახვამდის, ძვირფასო.
- ნახვამდის, – ვუთხარი მე.

წვიმაში გადმოვედი და ეტლიც დაიძრა. ქეთრინმა გადმოიხედა და სინათლეზე მისი სახე დავინახე. იღიმებოდა და ხელს მიქნევდა. ეტლი აღმა შეუყვა ქუჩას. ქეთრინმა თაღებისაკენ მანიშნა ხელით. მივიხედე. ის ორი კარაბინერი იდგა. მივხვდი, ალბათ მანიშნა, წვიმაშინ ნუ დგახარო. შევედი თაღებში და თვალი ეტლს გავაყოლე, რომელმაც მოსახვევში შეუხვია. მერე გავიარე სადგურის შენობა და მატარებელს მივადექი.

შვეიცარი ბაქანზე წრიალებდა და მეძებდა. ვაგონში შევყევი, ხალხი გავარღვიე, გამოჭედილი კუპეს კარები შევაღე და კუთხეში მიყუჟული მეტყვიამფრქვევე დავინახე. ჩემი ჩანთები საბარეო ბადეში ეწყო, კედელზე. დერეფანიც ხალხით იყო გაჭედილი და კარები რომ შევაღეთ, კუპეში მყოფებმა ჩვენ მოგვაშტერეს თვალი. ადგილები არა კმაროდა მატარებელში, და ყველა მტრულად იყო განწყობილი. მეტყვიამფრქვევე წამოდგა და ადგილი დამითმო. ვიღაცამ მხარზე დამკრა ხელი. მივიხედე. არტილერიის კაპიტანი იყო, წოწოლა კაცი. ლოყაზე წითელი ნაიარევი აჩნდა. მინის კარებში დაინახა ყველაფერი და ახლა კუპეში შემოვარდა.

– რა ამბავია? – ვკითხე მე. მოვბრუნდი და სახეში მივაშტერდი. ჩემზე მაღალი იყო, და ჩაჩქანის ჩრდილი სახეს უწვრილებდა, სულ ახალი ჭრილობა ჰქონდა, და უპრიალებდა. კუპეში ვინც კი იყო, ყველა ჩვენ შემოგვაშტერდა.

– სადაური წესია, – თქვა მან, – ჯარისკაცს რომ ადგილს აჭერინებთ, სად გაგონილა?

– ახლა გაიგონეთ!

ნერწყვი გადაყლაპა, შევნიშნე, როგორ აუთამაშდა ხვანჩი. მეტყვიამფრქვევე იქვე იდგა. დერეფნიდანაც იყურებოდნენ მინის კარებში. კუპეში კრინტი არავის დაუძრავს.

– რა უფლების ძალით?! თქვენზე ორი საათით ადრე ვარ მოსული!

– მაინც რა გინდათ?

– ადგილი.

– მეც მინდა.

სახეში მივშტერებოდი და ვგრძნობდი, რომ კუპეში ყველანი მე მიბღვერდნენ. არც დამიძრახავს. მართალი იყო ეს კაცი. მაგრამ მე დაჯდომა მინდოდა. კრინტსაც არავინ სძრავდა.

«ჯანდაბას», გავიფიქრე გუნებაში.

– დაჯექით, Signor Capitano, – ვუთხარი მე. მეტყვიამფრქვევე ჩამოეცალა და წოწოლა კაპიტანი დაჯდა. შემომხედა. გაწამებული სახე ჰქონდა. მაგრამ ადგილი მას დარჩა. «ჩემი ბარგი წამოიღეთ», ვუთხარი მეტყვიამფრქვევეს. დერეფანში გამოვედით. მატარებელი გაჭედილი იყო და ვიცოდი, რომ ადგილის ძებნა წყლის ნაყვა იქნებოდა. შვეიცარსა და მეტყვიამფრქვევეს ათ-

ათი ლირა ვაჩუქე. დაბლა ჩავიდნენ და მატარებელს ჩაუარეს, ფანჯრებში იყურებოდნენ, მაგრამ ადგილი ვერსად ნახეს.

— იქნებ ბრეშიაში ჩავიდეს ვინმე, — თქვა შვეიცარმა.

— უფრო მეტი ამოვა, — უპასუხა მეტყვიამფრქვევემ. გამოვემშვიდობე, ხელი ჩამოვართვი და წავიდნენ. ორივეს გაუფუჭდა გუნება. ყველანი ფეხზე ვიდექით, დერეფანში, როცა მატარებელი დაიძრა. ფანჯრიდან ფარნებსა და ისრებს გავყურებდი. ისევ წვიმდა, მალე ფანჯრები ერთიანად დასველდა და უკვე აღარაფერი ჩანდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იატაკზე მოვიკეცე, დერეფანში, და წავიმინე. საფულე, რომელშიაც საბუთები და ფული მქონდა, წინასწარ ამოვილე და შარვლისა და პერანგის ქვეშ შევინახე, ბარძაყთან. მთელი ღამე მემინა, მხოლოდ ბრეშიასა და ვერონაში გამომეღვიძა. ამ სადგურებში კიდევ ამოვიდა ხალხი, და მაშინვე დამეძინა. ერთ საველე ჩანთაზე თავი მედო, მეორეზე მკლავები მქონდა მოხვეული, ხალხი ადვილად გადამალაჯებდა, თუკი ვინმე საგანგებოდ არ მოინდომებდა ფეხის დაბიჯებას. მთელი დერეფანი ხალხით იყო მოფენილი, იატაკზე ეძინათ. დანარჩენები ფანჯრის ღვედებს ჩამოჰკიდებოდნენ, ზოგიც კარებს მიჰყუდებოდა. მუდამ გაჭედილი იყო ეს მატარებელი.

წიგნი მესამე

თავი XXV

დადგა შემოდგომა, ხეები ერთიანად დატიტვლდა, გზები ატალახდა. მე უდინიდან საბარგო მანქანით მივდიოდი გორიციაში. გზაში სხვა საბარგო მანქანებიც გვხვდებოდა, და მე მიდამოს ვათვალიერებდი. თუთის ხეები დატიტვლებულიყვნენ, მინდვრებს მურა ფერი დასდებოდა. გზაზე, ნაპირის გასწვრივ ჩამწკრივებულ განმარცულ ხეებიდან ჩამოცვენილი დამჭვნარი და სველი ფოთლები ეყარა. მუშებს გადმოჰქონდათ ხეების ქვეშ დაზვინული ღორღი და დათხრილ ორმოებში ყრიდნენ, გზას ასწორებდნენ. გამოჩნდა ქალაქი, ქალაქს გადაღმა ნისლი ჩამოწოლილიყო და მთები გადაეჭრა. მდინარეზე გადავედით და შევნიშნე, რომ წყალი ადიდებულიყო. წვიმდა მთაში. შევედით ქალაქში, ფაბრიკებს ჩავუქროლეთ, მერე სახლებსა და ვილებს გავცდით და შევნიშნე, რომ ჩემს არყოფნაში ბევრი სახლი დაენგრიათ. ვიწრო შუკაში ჩვენ შევხვდით ინგლისური წითელი ჯვრის მანქანას. შოფერს კეპი ეხურა, გაცქინტული და მზეზე გარუჯული სახე ჰქონდა. ვერ ვიცანი. დიდ მოედანზე რომ გავედით, მანქანიდან ჩამოვხტი ქალაქის მერის სახლის წინ. შოფერმა ზურგჩანთა მომაწოდა, ბეჭებზე მოვიგდე, საველე ჩანთები ზედ გამოვაბი და ჩვენი ვილისაკენ გავსწიი. ეს არ ჰგავდა შინ დაბრუნებას.

მივყვებოდი ხვინჭამოყრილ სველ ბილიკს და ჩვენს ვილას გავცეროდი, ხეებს იქით. ფანჯრები სულ დაეკეტათ, მხოლოდ კარი იყო ღია. შევედი.

მაიორი მაგიდასთან იჯდა ცარიელ ოთახში, კედლებზე რუკები და გადაბეჭდილი ქაღალდები იყო გაკრული.

— ჰელო! — მომმართა მან, — როგორა ხარ? — უფრო შებერებული და გამოფიტული ჩანდა.

— კარგად ვარ, — ვუპასუხე მე, — აქ როგორ მიდის საქმეები?

— ყველაფერი გათავდა, — თქვა მან, ჩანთები მოიხსენი და დაჯექი.

ჩანთები იატავზე დავყარე, ქუდი ზურგჩანთაზე დავდე. კედელთან სკამი ავიღე და მეც მაგიდასთან დავჯექი.

— საძაგელი ზაფხული იყო, — თქვა მაიორმა, — სულ გამომჯობინდი?

— სულ.

— ჯილდოები თუ მიიღე?

— მივიღე. კარგი ჯილდოებია, მადლობელი ვარ.

— აბა, ვნახოთ.

ლაბადა გადავიხსენი და ორი ლენტი ვაჩვენე.

— მედლები არ მიგიღია კოლოფებით?

— არა. მარტო საბუთები მომცეს.

— მედლებს უფრო მოგვიანებით მიიღებ. მეტი დრო სჭირდება.

— მე რა დავალებას მომცემთ?

— მანქანები წასულია. ექვსი მანქანა გავგზავნეთ ჩრდილოეთით, კაპორეტოში. კაპორეტო ხომ იცი?

— ვიცი, — ვუთხარი მე. მომაგონდა პატარა თეთრი ქალაქი, რომელსაც მინდორში ედგა სამრეკლო. სუფთა, კოპწია ქალაქი იყო. მოედანზე მშვენიერი შადრევანი ამოჩუბჩუბდა.

— იქ მუშაობენ. ბევრი ავადმყოფი გვყავს იქა. ბრძოლები დამთავრდა.

— სხვები სადღა არიან?

— ორი მთაშია, ოთხი კი ისევ ბაინზიცაში. დანარჩენი ორი სანშენაერთი კარსოშია, მესამე არმიას ახლავს.

— მე რა გავაკეთო?

— თუ ასე გულით გინდა, წადი და ის ოთხი მანქანა ჩაიბარე ბაინზიცაში, ჯინოს შეენაცვლე, დიდი ხანია იქ არის. მას უკან, მგონი, აღარც ყოფილხარ იქა.

— არა.

— ცუდი საქმე შეგვემთხვა. სამი მანქანა დავკარგეთ.

— გავიგე.

— ჰო, რინალდიმ მოგწერა.

— რინალდი სადღაა?

— აქვეა, ჰოსპიტალში. დიდი ჯაფა დაადგა ზაფხულ-შემოდგომაზე.

— მჯერა.

— ძალიან გაგვიჭირდა, — თქვა მაიორმა, — ვერც კი წარმოიდგენ, როგორ გაგვიჭირდა. ხშირად მიფიქრია შენზე — იღბლიანი ყოფილა, რომ მაშინვე დაიჭრა-მეთქი.

— მართლაც.

— გაისად კიდევ უფრო უარესი იქნება, — თქვა მაიორმა, — იქნებ ახლაც კი გადმოვიდნენ შეტევაზე. ასე ამბობენ, მაგრამ რაღაც არა მჯერა. რაღა დროსია. მდინარე ხომ ნახე?

— ჰო, ადიდებულია წყალი.

— არა მგონია, შეტევაზე გადმოვიდნენ უკვე წვიმები დაიწყო. მალე თოვლსაც დადებს. შენი თანამემამულეები როგორდა არიან? კიდევ ჩამოვლენ ამერიკელები?

— ათმილიონიან არმიას ამზადებენ.

— ნეტა, ცოტანი მაინც მოხვდებოდნენ ჩვენთან. მაგრამ ფრანგები რას დაგვანებებენ! აქამდე ვინ მოუშვებს. მაშ, ასე. ამაღამ აქ დარჩები, დილაზე კი პატარა მანქანას გაჰყვები და ჯინოს გამოგზავნი. ვინმე მეგზურსაც გაგაყოლებ. ჯინო ყველაფერს აგიხსნის. კანტიკუნტი სროლა კიდევ არის იქ, მაგრამ საერთოდ უკვე დაცხრა. ბაინზიცაში გავლა მოგენატრებოდა.

— ძალიან. მიხარია, რომ ისევ თქვანთანა ვარ, Signor Maggiore — კარგი კაცი ხარ, მაგას რომ ამბობ. მომასავათა ამ ომმა. ერთი აქედან წამიყვანა, არა მგონია, დაბრუნება მომენატროს.

— ნუთუ ასე გაგიჭირდათ?

— ძალიან. ვერც კი წარმოიდგენ, ისე გაგვიჭირდა. წადი, დაიბანე, და შენი მეგობარი რინალდი ნახე.

ჩანთები წამოვიდე და მაღლა ავედი. რონალდი ოთახში არ დამიხვდა, მისი ნივთები კი იქ ელაგა. ლოგინზე ჩამოვჯექი, ფეხსახვევი მოვიხსენი და მარჯვენა ფეხსაცმელი წავიძვრე. მერე წამოვწექი. დავიღალე და მარჯვენა ფეხი წამომტკივდა. სისულელე იყო ცალფეხგახდილი დაწოლა. ისევ წამოვჯექი, მეორე ფეხსაცმელიც შევიხსენი, ძირს დავაგდე და საბაზზე გავიშხლართე. დახურულ ოთახში სული მეხუთებოდა, მაგრამ ისე ვიყავი გასავათებული, რომ წამოდგომისა და ფანჯრის გაღების თავი აღარ მქონდა. ჩემი ნივთები ერთ კუთხეში მიელაგებინათ. გარეთ ბნელდებოდა. ვიწექი ლოგინზე, ქეთრინზე ვფიქრობდი და რინალდის ველოდი. გადაწყვეტილი მქონდა, ლოგინში ჩაწოლამდე არ მეფიქრა ხოლმე ქეთრინზე, მაგრან ახლა დაღლილი ვიყავი, საქმეც არაფერი მქონდა, ამიტომ ვიწექი და მასზე ვფიქრობდი. რინალდი რომ მოვიდა, მაშინაც ქეთრინზე ვფიქრობდი. ისევ ისეთი იყო რინალდი, ოღონდ ცოტათი გამხდარიყო.

— ო, ბეიბი, — შესძახა მან. ლოგინზე წამოვჯექი. მომვარდა, გვერდზე მომიჯდა და მკლავები მომხვია. — ჩემი კარგი ბეიბი! — ბეჭებზე დამკრა ხელი, მე მკლავები დავუჭირე.

— ჩემი ბეიბი, — თქვა მან, — აბა, მაჩვენე მუხლი.

— შარვალი უნდა გავიხადო.

— გაიხადე, ბეიბი. აქ სულ ჩვენი ხალხია. მაინტერესებს, რა გაგივეთეს.

წამოვდექი, შარვალი გავიხადე და სახვევი მოვიხსენი მუხლზე. რინალდი იატაკზე დაჯდა და ფრთხილად მომიხარა ფეხი. თითები იარაზე გადაუსვა, ცერები მუხლის თავზე შეაერთა და ნაზად დამაწვა.

_ მეტს აღარ იხრება?

არა.

_ პირდაპირ ბოროტმოქმედებაა შენი აქ გამოგზავნა. მანამ სულ არ მოიხრებოდა, უნდა ემკურნალათ.

_ ახლა გაცილებით უკეთესად მაქვს. კუნძივით მქონდა გაშეშებული.

ცოტათი კიდევ მოხარა რინალდიმ. მე მის ხელებს დავყურებდი, დასტარის მარჯვე ხელები ჰქონდა. ზევიდან დავხედე თავის კორტობზე, მბზინავი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი. მეტისმეტი მოუვიდა მოხრა.

_ უჰ!_შევძახე მე.

_ მექანოთერაპიით მკურნალობა უნდა განაგრძო, _ თქვა რინალდიმ.

_ გაცილებით უკეთა მაქვს.

_ ვიცი, ბეიბი. ამეებისა მე შენზე მეტი გამეგება. _ წამოდგა და ლოგინზე დაჯდა, _ ოპერაცია კარგად გაუკეთებიათ._მორჩა ფეხის გასინჯვას. _ ახლა მიამბე.

_ რა უნდა გიამბო, _ ვუპასუხე მე,_წყნარად ვიყავი.

_ რა დაოჯახებული კაცივით ლაპარაკობ, _ მითხრა მან,_რა მოგივიდა?

_ არაფერი,_ვუთხარი მე,_შენ თვითონ რა მოგივიდა?

_ მომსპო და გამათავა ამ ომმა,_თქვა რინალდიმ,_გული მომიწურა,_ხელები მუხლზე შემოიჭდო.

_ ოპო!_ვთქვი მე.

_ ვითომ რაო, არ შეიძლება ადამიანური გრძნობები მომერიოს?

_ არა. ვატყობ, კაი დრო გიტარებია. მიამბე.

_ მთელი ზაფხული და შემოდგომა მოცლა არა მქონია. ჩემი ხელი არ გაჩერებულა. სხვების საქმესაც მე ვაკეთებდი. რაც კი მძიმე საქმე გამოჩნდება, სულ მე მომიგდებენ ხოლმე. ღმერთმანი, ბეიბი, ჩინებული დასტაქარი ვხდები.

_ კარგადა ქლერს.

_ შენ გგონია, ბევრსა ვფიქრობ. არა, ღმერთმანი, არა. ისე ვაკეთებ ოპერაციებს.

_ ასე სჯობს.

_ მაგრამ ახლა ყველაფერი გათავდა, ბეიბი. ოპერაციებს აღარ ვაკეთებ და, ასე მგონია, ჯოჯოხეთში ვარ-მეთქი. საშინელი ომია, ბეიბი. უნდა დამიჯერო, მე რომ გეტყვი. ცოტათი მაინც გამამხიარულე. გრამოფონის ფირფიტები ჩამომიტანე?

_ ჩამოგიტანე.

ყუთში მქონდა ჩაწყობილი და ზურგჩანთაში მედო, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ ამოღების თავი არა მქონდა.

_ შენ ხომ კარგ გუნებაზე ხარ, ბეიბი?

_ მეც ჯოჯოხეთი მიტრიალებს გულში.

_ საშინელი ომია, _ თქვა რინალდიმ,_მაგრამ დავეხსნათ. დავლიოთ და ხელადვე გავმხიარულდებით. ქარს გავატანოთ ფერფლი.

_ სიყვითლე მჭირდა, ვერ დავლევ.

— ო, ბეიბი, რა იყავი და რა დაბრუნდი! სერიოზული გამხდარხარ, მტკივან ღვიძლიანი. აკი გითხარი, ომი საძაგლობაა-მეთქი. ნეტა რაში გვჭირდება, რას ავიხირებთ ხოლმე?!

— დავლიოთ, ჯანი გავარდეს. დათრობით არ დავთვრებით, მაგრამ ცოტა მაინც დავლიოთ.

რინალდი პირსაბანთან მივიდა, ორი ჭიქა და კონიაკი მოიტანა.

— ავსტრიული კონიაკია, — თქვა მან, — შვიდვარსკვლავიანი. მეტი არც არაფერი დაგვჭვედრია სან გაბრიელში.

— შენც იყავი იქა?

— არა. აქედან ფეხი არ მომიცვლია. სულ აქ ვიყავი, ოპერაციების კეთებაში გართული. შეხედე, ბეიბი, შენი კბილისგამოსარეცხი ჭიქა. შენს მოსაგონებლად ვინახავდი.

— თუ იმისთვის, რომ კბილების გამოწმენდა გაგხსენებოდა!

— არა, მე ჩემი მაქვს. ამ ჭიქით კი ვიხსენებდი, როგორა ცდილობდი შენ დილაობით კბილებიდან ვილა როზას მორცხვას, როგორ იკურთხებოდი და ასპირინს როგორ ყლაპავდი, კაბკებს როგორ აგინებდი. რამდენს ამ ჭიქას დავინახავ, იმდენი გამასხენდება, როგორ ცდილობდი შენ კბილის ჯაგრისით სინდისის განწმენდას. — ლოგინს მიუახლოვდა, — აბა, მაკოცე და შემომფიცე, რომ სერიოზული აღარ იქნები.

— ვერ ეღირსები ჩემს კოცნას. მაიმუნი ხარ.

— გიცნობ, გიცნობ! შენ ხომ კაი ანგლო-საქსონელი ბიჭი ხარ. გიცნობ, შენ ხომ სინდისის ქეჯნა გაწუხებს ხოლმე. კიდევ ვნახავ, ჩვენი ანგლო-საქსონელი ბიჭი თავისი კბილის ჯაგრისით როგორ ჩამოირცხავს საროსკიბო სახლს.

— კონიაკი დამისხი.

ჭიქები მივაჯახუნეთ და შევსვით. რინალდი დამცინოდა.

— ახლა დაგათრობ, შენს ღვიძლს ამოგაცლი. საღ იტალიურ ღვიძლს ჩაგისვამ და ისევ კაცად გაქცევ.

ჭიქა გავუწოდე, რომ კიდევ ჩაესხა კონიაკი. გარეთ უკვე სავსებით ბნელოდა. ჭიქით ხელში, ფანჯარასთან მივედი და გამოვალე. წვიმას გადაედო. გარეთ ციოდა და ხები ნისლში გახვეულიყო.

— კონიაკი არ გადაღვარო ფანჯარაში, — მომაძახა რინალდიმ, — შენ თუ არ შეგიძლია დალევა, აგერ მომეცი.

— დაიკარგე, ერთი! — ვუთხარი მე. მესიამოვნა რინალდის ნახვა. მთელი ორი წელი სულ ჩემს გამოჯავრებაში იყო და ეს ძალიან მსიამოვნებდა. მშვენივრად გვესმოდა ერთმანეთისა.

— დაქორწინდი? — გადმომძახა თავისი ლოგინიდან. მე ფანჯარასთან ვიდექი, კედელს მიყრდნობილი.

— ჯერ არა.

— გიყვარს?

— ჰო.

— ის ინგლისელი გოგო?

- ჰო.
- საწყალი ბიჭი. მასაც ნამდვილად უყვარხარ?
- აბა რა!
- მე გეკითხები, სიყვარული თუ დაგიმტკიცა-მეთქი.
- მოკეტე!
- გავჩუმდები. თვითონვე ნახავ, რა თავაზიანი კაცი ვარ. მაინც როგორ გამოგადგა?..
- რინინ! — ვუთხარი მე, — თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი. თუ გინდა, რომ ჩემი მეგობარი იყო, გაჩუმდი.
- სულაც არ მინდა შენი მეგობარი ვიყო, მე უკვე ვარ შენი მეგობარი.
- მაშ, გაჩუმდი.
- კარგი.
- მივედი და გვერდზე მოვუჯექი რინალდის. ჭიქა ხელში ეჭირა და იატაკს ჩაშტერებოდა.
- ახლა ხომ გესმის, რინინ?
- ო, რა თქმა უნდა. რაც თავი მახსოვს, სულ წმიდა გრძნობებს ვეჯახები ხოლმე. შენთვის აქამდე მაინცადამაინც არ შემინიშნავს. ეტყობა, შენცა გქონდა ეს წმიდა გრძნობები, — ისევ იატაკს ჩაშტერებოდა.
- შენ არა გაქვს?
- არა.
- სულ არა?
- არა.
- არც დედაშენისა და შენი დის მიმართ?
- არც შენი დის მიმართ, — უცებ მომახალა რინალდიმ. ორივეს გაგვეცინა.
- ძველი ზეკაცი ყოფილხარ, — ვუთხარი მე.
- იქნებ ვეჭვიანობდე! — თქვა რინალდიმ.
- სად შენ და სად ეჭვიანობა!
- მე სულ სხვა რამეს გეუბნები. ცოლშვილიანი მეგობრები თუ გყავს?
- მყავს, — ვუპასუხე მე.
- მე არა მყავს, — თქვა რინალდიმ, — ისეთი არა მყავს, ერთმანეთი რომ უყვარდეთ.
- რატომ?
- ვერ მიტანენ.
- რათა?
- მე ხომ გველი ვარ. ცნობადი გველი.
- ცოტა გერევა. ცნობადი ხე იყო.
- არაფერიც! გველი იყო. — ცოტათი გამხიარულდა.
- როცა ღრმა-ღრმა აზრებს არა ჰყავხარ შეპყრობილი, გაცილებით უკეთესი ხარ, — ვუთხარი მე.

— მე შენ მიყვარხარ, ბეიბი, — თქვა მან, — ხელად მიჩხვლეტ ხოლმე, როგორც კი დიდი იტალიელი მოაზროვნე გავხდები. მაგრამ ბევრი რამე ვიცი და ვერ კი გამომითქვამს. შენზე მეტი ვიცი.

— მართალი ხარ.

— მაგრამ უფრო კაი ცხოვრება შენ გექნება. სინდისის ქეჯნის მიუხედავად, უფრო ტკბილად იცხოვრებ.

— არა მგონია.

— ჰო. ნამდვილად ასეა. მე კი ახლავე ასე მომდის_როცა ვმუშაობ, მხოლოდ მაშინ ვარ კარგად,_ისევ იატაკს ჩააშტერდა.

— გაგივლის.

— არა. ორი რამე მიყვარს კიდევ: ერთი ჩემს საქმიანობასა ვნებს, მეორე კი, დიდი-დიდი, თხუთმეტი-ოცდაათი წუთი მეყოს. ზოგჯერ ამდენიც არა.

— ზოგჯერ ამაზე გაცილებით ნაკლები.

— იქნებ წარმატებებსაც მივაღწიე, ბეიბი. შენ ხომ არ იცი. მაგრამ მაინც ეს ორი რამ, და ჩემი მუშაობა შემრჩა.

— სხვა რამეებსაც შეიძენ.

— არა. შეძენა არ იქნება. რაცა გვაქვს, სულ დაბადებიდან გვაქვს დაყოლილი, ახალს არაფერს ვსწავლობთ, არც არაფერს ვიძენთ. ცხოვრებას უკვე დასრულებულები ვიწყებთ. ბედი შენი, რომ ლათინად არ დაიბადე.

— «ლათინი» არ არსებობს, არის მხოლოდ აზროვნება «ლათინური». ძაან კი მოგაქვს თავი შენი ნაკლოვანებებით. _ რინალდიმ ამომხედა და გაიცინა.

— კმარა, გავათავოთ, ბეიბი. დამქანცა ამდენმა ფიქრმა._დაღლილი ჩანდა, როცა შემოვიდა,_სადილის დრო მოახლოვდა. ძალიან გამიხარდა შენი დაბრუნება. შენ ჩემი საუკეთესო მეგობარი და ფრონტელი ძმა ხარ.

— ფრონტელი ძმები როდის სადილობენ? — ვკითხე მე.

— ახლავე წავიდეთ. ერთი კიდევ დავლიოთ შენი ღვიძლის სადღეგრძელო.

— წმიდა პავლესი არ იყოს.

— გეშლება. იქ ღვინო და კუჭია ნახსენები. კუჭის ხათრით ცოტა მოსვი.

— თუ კიდევ გაქვს ბოთლში, რისი ხათრისთვისაც გინდოდეს, დამალევინე.

— შენს სატრფოს გაუმარჯოს,_თქვა რინალდიმ. ჭიქა ასწია.

— გაუმარჯოს.

— მორჩა, ცუდად აღარ ვახსენებ.

— თავს ძალას ნუ დაატან.

სულ გამოსცალა კონიაკი.

— სუფთა გული მაქვს, — თქვა მან,_შენისთანა გული მაქვს, ბეიბი. მეც გავიჩენ ერთ ინგლისელ გოგოს. მართალი თუ გინდა, პირველად მე გავიცანი შენი გოგო, მაგრამ ცოტათი ჩემზე მაღალი იყო. მაღალი გოგო დად უნდა გაიხადო, _ წარმოთქვა მან.

— მართაც წმინდა გული გაქვს.

- ხომ? მიტომაც მეძახიან Rinaldo Purissimo-ს
 - Rinaldo Sporchirrimo!1
-

1 აქ ხუმრობა აგებულია იტალიური სიტყვების ფონეტიკურ მიმსგავსებაზე: Puzzissimo —უწმიდესი, Sporchissimo უწმინდურესი.

— კარგი ბეიბი, წავიდეთ, ვისადილოთ, მანამ კიდევ შემრჩენია სიწმინდე.
დავიბანე, თმა დავივარცხნე და დაბლა ჩავედით. რინალდი შემთვრალი იყო. სასადილოში კერძი ჯერ არა ჰქონდათ მზად.

— წავალ, კონიაკს ჩამოვიტან, _თქვა რინალდიმ. ზემოთ ავიდა. მე მაგიდას მივუჯექი, რინალდი მალევე დაბრუნდა და ბოთლი ჩამოიტანა. ნახევარნახევარი ჭიქა კონიაკი დაასხა.

— ბევრი მოგვივა, — ვთქვი მე, ჭიქა ავიღე და მაგიდის ლამპაზე გავხედე.
— ცარიელი კუჭისთვის სულაც არ არის ბევრი. დიდებული რამეა. სულ ამოსწვავს გულ-ღვიძლს. ამაზე უარესს ვერაფერს მოიგონებ შენთვის.

— რა გაეწყობა.
— თავის განადგურება ნელ-ნელა!_თქვა რინალდიმ, _კუჭ-ნაწლავს სულ დაგიშლის და ხელების კანვალს დაგაწყებინებს. სწორედ რომ დასტაქრის პაციენტი გახდები.

— მირჩევ?
— სულით და გულით. სხვა რამეს არც ვხმარობ. გადაჰკარი, ბეიბი, და ელოდე ლოგინში ჩაწოლას.

ნახევარი დავლიე. დერეფანში მორიგის ხმა გაისმა: «სუპი! სუპი მოდის!»
მაიორი შემოვიდა, თავი დაგვიკრა და დაჯდა. მაგიდასთან სულ დალეული გამოჩნდა.

— მეტი აღარა ვართ? — იკითხა მან. მორიგემ სუპის ბადია დადგა მაგიდაზე და მაიორმაც მაშინვე გაივსო მათლაფა.

— ყველანი აქა ვართ, _უპასუხა რინალდიმ, _იქნებ მღვდელიც მოვიდეს. ფედერიკოს ჩამოსვლა რომ იცოდეს, აქამდეც მოვიდოდა.

— სად არის? — ვკითხე მე.
— სამას შვიდში, — მითხრა მაიორმა. სუპის ხვრებით იყო გართული. პირი მოიწმინდა, აბზეკილ ჭარარა ულვაშებზე ფრთხილად გადაისვა ხელი, — მე მგონი, მოვა. ვიყავი იქა და შენი ჩამოსვლის ამბავიც დავუბარე.

— უჩვეულო სიწყნარეა სასადილოში და ყურს ეჩოთირება, _ვთქვი მე.
— ჰო, სიწყნარეა, — თქვა მაიორმა.
— მე ვიხმაურებ, _განაცხადა რინალდიმ.
— დალიე ღვინო, ენრიკო, — მითხრა მაიორმა. ჭიქა შემივსო. სპაგეტი შემოიტანეს და ჭამით გავერთეთ. მღვდელი რომ მოვიდა, სპაგეტის ვათავებდით. ისეთივე იყო_ჩია, შავგვრემანი, დაჭიმული. წამოვდექი და ხელი ჩამოვართვი. მხარზე დამადო ხელი.

— როგორც კი გავიგე, გამოვექანე, — თქვა მან.

– დაბრძანდით, – უთრხა მაიორმა, – დაიგვიანეთ.

– საღამო მშვიდობისა, მამაო, – ინგლისურად მიმართა რინალდიმ. მღვდლის გამომჯავრებელ კაპიტანსა ბაძავდნენ, რომელიც ინგლისურს ამტვრევდა.

– საღამო მშვიდობისა, რინალდი, – მიუგო მღვდელმა. მორიგემ სუპი მოუტანა, მაგრამ მღვდელმა თქვა, პირდაპირ სპაგეტით დავიწყებო.

– როგორა ხართ? – მკითხა მან.

– მშვენივრად, – ვუპასუხე მე, – თქვენკენ რა ამბებია?

– ღვინო დალიეთ, ხუცესო, უთხრა რინალდიმ, – ცოტა შესვით, თქვენი კუჭის გასახარად. პავლე მოციქულის სიტყვებით, ხომ იცით!

– ვიცი, – თავაზიანად მიუგო მღვდელმა. რინალდიმ ჭიქა შეუვსო.

– ჰო, ეს პავლე მოციქული! 1_შესძახა რინალდიმ, – მისგანა გვჭირს, რაცა გვჭირს. მღვდელმა გადმომხედა და გამიღიმა. შევნიშნე, რომ დაცინვა სულაც აღარ აბრაზებდა.

1 იგულისხმება პავლე მოციქულის სიტყვები: «ნუ წყალსა ხოლო ჰსფამ, არამედ ღვინოცა მცირედ იხმიე. სტომაქისათვის და ზედასზედა უძლურებისა შენისათვის».

– ოჰ, ეს პავლე მოციქული! შესძახა რინალდიმ, – თვითონ მუსუსი იყო და ქალი არ გაუშვია, ხოლო სისხლი რომ გაუცივდა, ასე არ ვარგაო, გამოაცხადა. როცა აღარაფერი შეეძლო, მაშინ დაგვიწერა კანონები ჩვენ, ვისაც კიდევ შეგვრჩა ცხელი სისხლი. მართალს არ ვამბობ, ფედერიკო?

მაიორმა გაიღიმა. ჩაშუშულ ხორცსა ვჭამდით ამ დროს.

– შებინდების შემდეგ წმიდანებთან დავას ვერიდები, – უთხარი მე. მღვდელმა გადმომხედა და გამიღიმა.

– რაღა თქმა უნდა, ხუცეს აუბა მხარი, – თქვა რინალდიმ, – სადა მყვანან ხუცესის ძველი მოქილიკეები?! სად არის კავალკანტი? ბრუნდი სად არის? ჩეზარე სად არის? სხვების დაუხმარებლად, მარტოკამ, როგორ ვაქილიკო მღვდელი?!

– კარგი მღვდელია, – თქვა მაიორმა.

– კარგი მღვდელია, – თქვა რინალდიმ, – მაგრამ მაინც მღვდელია. როგორმე ძველებურად უნდა გამოვაცოცხლო ეს სასადილო. ფედერიკო უნდა გავამხიარულო. ჯანდაბამდის გზა გქონია, ხუცესო!

შევნიშნე, როგორ გადახედა მაიორმა და მიხვდა, რომ რინალდი მთვრალი იყო. გაცქინტული სახე სულ გათეთრებოდა. თეთრ შუბლს ზემოთ განსაკუთრებულად შავი მოუჩანდა თმა.

– არა უშავს რა, რინალდი, – უთხრა მღვდელმა, – არაფერია.

– ჯანდაბამდის გზა გქონია! – შესძახა რინალდიმ, – ჯანდაბას, ყველა და ყველაფერი! – სკამს გადააწვა.

– დაძაბული მუშაობა შეხვდა და დაიქანცა, – მითხრა მაიორმა. ხორცი შეჭამა და ახლა პური ამოუწყო საწებელში.

– ფეხებზე მკიდია! – რინალდიმ სუფრას გადახედა, ჯანდაბას ყველა და ყველაფერი! გამომწვევად გადახედა ყველას. თვალები გამოლენჩებული ჰქონდა, სახე – გადატეტკილი.

– აგრე იყოს, ვთქვი მე, ჯანდაბას ყველა და ყველაფერი!

– დამაცა, დამაცა, თქვა რინალდიმ, ასე როგორ იქნება! როგორ იქნება! არ იქნება-მეთქი. გამომშრალი და გამოფიტული ხარ კაცი და მეტი არაფერი. მეტი არაფერი-მეთქი, გეუბნები. ერთი ნამცეციც არა. ეს მე მკითხე. უსაქმოდ რომ ვარ, მაშინ ვგრძნობ ამას.

– მღვდელმა თავი გააქნია. მორიგემ ხორცის თეფშები აალაგა.

– რატომ სჭამ ხორცს? მღვდელს მიუბრუნდა რინალდი, არ იცი, რომ დღეს პარასკევია?

– ოთხშაბათია, თქვა მღვდელმა.

– სტყუი. პარასკევია. შენ ჩვენი მაცხოვრის ხორცსა სჭამ. ეს ღვთიური ხორცია. მე მკითხეთ ეს. ავსტრიელის გვამია. ავსტრიელის გვამსა სჭამთ.

– თეთრი ხორცი ოფიცრებისაა, ვთქვი ძველი ხუმრობა.

რინალდის გაეცინა. ჭიქა შეივსო.

– ყურადღებას ნუ მომაქცევთ, თქვა მან, მე ცოტათი ჭკუაზე შევიშალე.

– შვებულებაში უნდა წახვიდე, უთხრა მღვდელმა.

მაიორმა წყენით გააქნია თავი. რინალდიმ მღვდელს გახედა.

– თქვენის აზრით, შვებულება მჭირდება, არა?

მაიორმა მღვდელს შეხედა და თავი გააქნია. რინალდიც შეჰყურებდა.

– შენი ნებაა, უთხრა მღვდელმა. თუ არ გინდა, ნუ წახვალ.

– ჯანდაბამდის გზა გქონიათ, შესძახა რინალდიმ, თავიდან მიშორებენ. ყოველ ღამეს იმას ცდილობენ, რომ როგორმე თავიდან მომიშორონ. მე კი ჯერჯერობით ვიგერიებ. რა ვუყოთ, რომ ესა მჭირს! აბა, დამისახელეთ, ვის არა სჭირს! მთელს ქვეყანასა სჭირს. ჯერ, განაგრძო მან ლექტორის კილოთი, პატარა ძიძიბო გაგიჩნდება. მერე უცებ მკერდზე გამოგაყრის. მერე სულაც გაქრება. მთელს იმედებს სინდიყზე ამყარებ...

– ან არადა სალვარსანზე, დამშვიდებით შეაწყვეტინა მაიორმა.

– სინდიყის პრეპარატი, შესძახა რინალდიმ. ახლა უკვე მგზნებარებით ლაპარაკობდა, ორჯერ მაგაზე უკეთესს გეტყვით. ძვირფასო ხუცესო, თქვა მან, შენ არასოდეს არ შეგეყრება. ბეიბის შეეყრება, ეს წარმოების ავარიაა. უბრალოდ ავარია.

მორიგემ ტკბილეული და ყავა შემოიტანა. რაღაცნაირი პუდინგი იყო, შავ პურსა ჰგავდა, სქელ წვენში ჩაედოთ. ლამპა ხრჩოლავდა. შუშას შავი ჭვარტლი დასდებოდა.

– ლამპა წაიღეთ და ორი სანთელი მოიტანეთ, თქვა მაიორმა.

მორიგემ ლამბაქზე დამაგრებული ორი ანთებული სანთელი შემოიტანა, ლამპა კი ჩააქრო და წაიღო. რინალდი დამშვიდდა. ეტყობოდა, გონს მოეგო. ცოტა კიდევ ვილაპარაკეთ და, ყავას რომ მოვრჩით, ვესტიბიულში გავედით.

- _ შენ მღვდელთანა გაქვს სალაპარაკო, მე კი ქალაქში უნდა გავიდე, –
მითხრა რინალდიმ, _ღამე მშვიდობის, მამაო.
 - _ ღამე მშვიდობის, რინალდი, _ მიუგო მღვდელმა.
 - _ ისევ გნახავ, ფრედი, _ მითხრა რინალდიმ.
 - _ ჰო, მალე მოდი, _ მივუგე მე.
 - გაიჭყანა და გავიდა, მაიორი ჩვენთან იდგა.
 - _ მეტისმეტად გადაიღალა და მოიშალა, _ თქვა მან, _ დაუჟინია, სიფილისი
მჭირსო. არა მგონია, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია. მკურნალობს კიდეც
სიფილის. ღამე მშვიდობისა. გათენებამდე უნდა გაემგზავრო, ენრიკო.
 - _ ვიცი.
 - _ მაშ, ღამე მშვიდობისა, _ თქვა მან, _ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. პედუცი
გაგაღვიძებს და გამოგვყვება კიდეც.
 - _ ნახვამდის, Signor Maggiore.
 - _ ნახვამდის. ავსტრიელები შემოტევას აპირებენო, მაგრამ არა მგონია.
იმედი მაქვს არ გამართლდება. ყოველ შემთხვევაში, აქ არ შემოგვიტევენ. ჯინო
გიამბობს ყველაფერს. ტელეფონი უკეთ მუშაობს ახლა.
 - _ ხშირ-ხშირად დაგირეკავთ.
 - _ შენ იცი. ღამე მშვიდობისა. რინალდის ნუ დაანებებ ამდენი კონიავის
სმას.
 - _ ვეცდები.
 - _ ღამე მშვიდობისა, მამაო.
 - _ ღამე მშვიდობისა, Signor Maggiore.
- თავის კაბინეტისკენ გაემართა.

თავი XXVI

- კარებს მივადექი და ქუჩაში გავიხედე. აღარ წვიმდა, მაგრამ ნისლი
ჩამოწოლილიყო.
- _ ჩვენთან არ ავიდეთ? _ ვკითხე მღვდელს.
 - _ დიდხანს ვერ დავრჩები.
 - _ ავიდეთ, არა უშავს.
- კიბე ავიარეთ და ჩემს ოთხში შევედით. რინალდის ლოგინზე წამოვწევი.
მღვდელი ჩემს გასაშლელ საწოლზე ჩამოჯდა, რომელიც მორიგემ შემომიტანა.
ოთახში ბნელოდა.
- _ მართლა როგორა ხართ?
- მკითხა მღვდელმა.
- _ კარგად. ოღონდ ამაღამ დავიღალე.
 - _ მეც დავიღალე. თვითონ არ ვიცი, რატომ.
 - _ ომისას რას იტყვით?

— მე მგონი, მალე გათავდება. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ გული მეუბნება.

— მაინც რას გეუბნებათ გული?

— ჩვენი მაიორი ხომ ნახეთ, როგორ გამოიცვალა? როგორ მინაზდა? ბევრია ახლა ასე.

— მეც ასე არა ვარ!_ვუთხარი მე.

— საშინელი ზაფხული იყო,_თქვა მღვდელმა. ჩემს არყოფნაში იგი უფრო მტკიცე და თვითდაჯერებული გამხდარიყო._ვერც კი წარმოიდგენთ, რა ხდებოდა. აქ უნდა ყოფილიყავით და გენახათ. ბევრი მიხვდა ამ ზაფხულს, რაც არის ომი. მე რომ ზოგიერთ ოფიცერზე ვფიქრობდი, თავის დღეში ვერ მიხვდება-მეთქი, ისინიც კი მიხვდნენ.

— რა მოხდება?_საბანს ხელი გადავუსვი.

— მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ არა მგონია, დიდხანს გასტანოს.

— მაინც რა მოხდება?

— ბრძოლას შეწყვეტენ.

— ვინ?

— ორივე მხარე.

— ნეტა მართლა, _ ვთქვი მე.

— არა გჯერათ?

— არა მგონია, ორივე მხარემ ერთდროულად შეწყვიტოს ბრძოლა.

— რა თქმა უნდა. ეგ ისეთი კარგი საქმეა, რომ არც მოელი. მაგრამ როცა ვხედავ, როგორ იცვლება ხალხი, ვფიქრობ, რომ დიდხანს ვეღარ გასტანს.

— ამ ზაფხულს ვინ მოიგო ბრძოლა?

— არავინ.

— ავსტრიელებმა მოიგეს, _ ვთქვი მე,_სან გაბრიელი არ დაანებეს იტალიელებს. იმათ მოიგეს. არც შეწყვეტენ ბრძოლას.

— ჩვენნაირ გუნებაზე თუ არიან, შეწყვეტენ. მაგათაც ჩვენნაირი განსაცდელი არ გადახდათ?!

— ვინც იმარჯვებს, ბრძოლა როდის შეუწყვეტია!

— თქვენ მე გულს მიტეხთ.

— რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნებით.

— მაშ, თქვენის აზრით, უნდა გაგრძელდეს და გაგრძელდეს, ხომ? არაფერი არ უნდა მოხდეს?

— რა ვიცი. ავსტრიელებმა გაიმარჯვეს და რატომდა შეწყვეტენ. ჩვენ დამარცხებამ გაგვაქრისტიანა.

— ავსტრიელებიც ხომ ქრისტიანები არიან, ბოსნიანების გამოკლებით.

— პირდაპირ კი ნუ გამიგებთ _ მე ვლაპარაკობ ისეთ ქრისტიანებზე, როგორიც ჩვენი მაცხოვარი იყო.

ხმა არ გაუღია.

— ჩვენ დამარცხებამ გაგვანაზა. როგორი იქნებოდა მაცხოვარი, პეტრეს რომ ეხსნა ბაღში?

- როგორიც იყო, ისეთივე.
 - არა მგონია, – ვუთხარი მე.
 - თქვენ მე გულს მიტებთ, _თქვა მან,_მე მჯერა, რომ რამე მოხდება და ვლოცულობ კიდეც ამისთვის. ვგრძნობ, როგორ ახლოვდება ეს დღე.
 - იქნებ მართლაც მოხდეს რამე, _ვუთხარი მე,_მაგრამ ეს მარტო ჩვენ შეგვეხება. ისინიც რომ ჩვენნაირ გუნებაზე იყვნენ, მაშინ ჰო, მაგრამ კუდით ქვა გვასროლინეს. სად იმათი განწყობილება და სად ჩვენი.
 - ეგ დამარცხებაზე არ არის დამოკიდებული: მეტწილ ჯარისკაცებს სულ ასეთი განწყობილება ჰქონდათ.
 - იმიტომ რომ თავიდანვე დაამარცხეს _ სახლ-კარს მოსწყვიტეს და ჯარში უკრეს თავი. მიტომაც გამოდის გლეხი ბრძენი_თავიდანვე დაამარცხეს. აბა, ერთი ძალაუფლება მიეცი _ ნახავ, თუ ბრძენი არ იქნება.
- ხმა არ გაუღია. ფიქრებში წავიდა.
- მე თვითონვე მეწურება გული, _ვთქვი მე,_ამიტომაც არ ვფიქრობ ასეთ რამეებზე. არასოდეს არ ვფიქრობ, მაგრამ დავიწყებ თუ არა ლაპარაკს, თავისით მოდის სიტყვები.
 - მე კიდე რაღაცის იმედი მქონდა.
 - დამარცხებისა?
 - არა. უფრო დიდი რამის.
 - სხვა, აბა, არაფერია, გამარჯვების გარდა. გამარჯვება კი უარესია.
 - დიდხანს მქონდა გამარჯვების იმედი.
 - მეც.
 - ახლა კი მე თვითონვე ვერა გამიგია რა.
 - ან გამარჯვება უნდა იყოს, ან დამარცხება!
 - გამარჯვების იმედი აღარა მაქვს.
 - არც მე. მაგრამ არც დამარცხების იმედი მაქვს. თუმცა დამარცხება კი აჯობებდა.
 - მაშ, რისი იმედი გაქვთ?
 - ძილისა, – ვთქვი მე. იგი წამოდგა.
 - მაპატიეთ, დიდხანს შეგაწყინეთ თავი. მაგრამ ძალიან მიყვარს თქვენთან ლაპარაკი.
 - მეც მომენატრა თქვენთან მუსაიფი. ძილი ისე ვახსენე, უაზროდ.
 - მეც წამოვდექი და სიბნელეში ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს.
 - ახლა სამას შვიდში ვიძინებ ხოლმე, _თქვა მან.
 - ხვალ დილიდანვე მივდივარ საგუშაგოზე.
 - როცა დაბრუნდებით, მოგინახულებთ.
 - გავიარ-გამოვიაროთ ხოლმე, ვისაუბროთ, _ კარებამდე მივაცილე.
 - დაბლა ნუღარ ჩამოხვალთ, _ მითხრა მან,_ძალიან გამიხარდა თქვენი დაბრუნება. თუმცა თქვენთვის ვერაფერი სასიხარულოა ეს._მხარზე დამადო ხელი.
 - ჩემთვის სულ ერთია, _ვთქვი მე,_ღამე მშვიდობისა.

- _ ღამე მშვიდობისა.Ciaou.
- _ Ciaou.! _ ვუთხარი მე. თვალები მებლიტებოდა.

თავი XXVII

რინალდის შემოსვლაზე გამომეღვიძა, მაგრამ არ გამომლაპარაკებია და ისევ ჩამეძინა. ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, რომ ტანთ ჩავიცვი და გავემგზავრე. ისე გამოვედი გარეთ, რინალდის არც გაუღვიძია.

ჩემს დღეში არ მენახა ბაინზიცა, და ახლა უცნაური მეჩვენებოდა იმ ნაპირებზე სიარული, რომელიც ადრე ავსტრიელებს ეჭირათ. ეს იყო იმის გადაღმა, სადაც მე დამჭრეს. მთის დაქანებაზე ახალი გზა გაეყვანათ და საბარგო მანქანებით იყო გაჭედილი. როცა ავივაკეთ, გამოჩნდა ნისლში გახვეული ტყე და ციცაბო მთები. ეს ტყეები ერთბაშად აიღეს და ამიტომ განადგურება აღარ მოესწრო. უფრო იქით, საცა მთები არ იფარავდა, გზა ზემოდან და გვერდებიდან ჭილოფით ჰქონდათ შენიდბული. ეს გზა დანგრეულ სოფელში შედიოდა. ამის იქით უკვე ფრონტის ხაზი იწყებოდა. ირგვლივ არტილერია იყო განლაგებული. სახლები სულ დანგრეულ-დალეწილი იყო, მაგრამ ფრონტზე ყველაფერი მოეწესრიგებინათ და ყოველ ფეხის ნაბიჯზე სანიშნე დაფები ჰქონდათ გამოკრული. მოვძებნეთ ჯინო, რომელმაც ცოტაოდენი ყავა გვიშოვა, მერე კი თან გამოგვყვა და საგუშაგოები დაგვათვალიერებინა, ხალხს შეგვახვედრა. მისგანვე გავიგე, რომ ინგლისელების მანქანები ბაინზიცას ქვემოთ მუშაობდნენ, რავნეში. აღფრთოვანებული იყო ინგლისელებით. კანტიკუნტი სროლა არის, მაგრამ დაჭრილები ცოტა გვყავსო. ახლა წვიმები დაიწყო და ავადმყოფები მოგვემატებიანო. ავსტრიელებზე ამბობენ, შეტევას დაიწყებენო, მაგრამ არა მგონიაო, თქვა მან. ჩვენზედაც კი თქვეს – შეტევისთვის ემზადებიანო, მაგრამ ჯერ ერთი შენაერთიც არ გამოუგზავნიათ, ალბათ ეგეც ტყუილიაო. საკვების ნაკლებობას განიცდიდნენ, და ინატრა, ნეტა გორიციაში მაინც გამაძლოო. გუშინ სადილად რა გვაჭამეს? მე ვუპასუხე, და დიდებულიაო, მითხრა. განსაკუთრებით დოლცე1-მ მოახდინა შთაბეჭდილება. დაწვრილებით არ მითქვამს, რა ნამცხვრები გვაჭამეს, მარტო ისა ვთქვი – დოლცე მოგვართვეს-მეთქი და, ეტყობა, პურის პუდინგზე უფრო სანუკვარი რამე წარმოიდგინა.

1 ტკბილეული (იტალ.).

მე თუ ვიცი, საით უპირებენ გაგზავნას? მაგისი რა მოგახსენო! ოღონდ ეს კი ვიცი, რომ რამდენიმე მანქანას კაპორეტოში აგზავნიან-მეთქი. ნეტა, მე გამაგზავნიდნენო. კოპწია ქალაქი იყო და ჯინოს ძალიან მოსწონდა ირგვლივ შემოჯარული მაღალი მთები. კარგი ბიჭი იყო, ეტყობოდა, ყველას უყვარდა. ნამდვილი ჯოჯოხეთი სან გაბრიელეში დატრიალდაო, თქვა მან, და კიდევ ლომოს იქით, სადაც ცუდად წაგვივიდა საქმე. ტერნოვას მთაგრეხილის

გასწვრივ მთებში სულ დიდი არტილერია უდგათ ავსტრიელებს და ღამით გზებზე საშინელ ცეცხლს გვიშენენო. საზღვაო ბატარეებიც უდგათ და პირდაპირ ნერვებს მიშლისო. დაბალი ტრაექტორიით გამოიცნობო. გაიგონებ თუ არა ბათქს, იმ წუთში წივილით წამოვა. ჩვეულებრივ, ორ-ორს გამოუშვებენ თურმე ერთად, ერთმანეთის მიყოლებით, და აფეთქების შემდეგ უშველებელ ნამსხვრევებს ისვრის აქეთ-იქით. მაჩვენა კიდეც გოჯის სისხო, დაკბილული ლითონის ნატეხი. ბაბიტსა ჰგავდა.

_ არა მგოია, ამითი რამეს გახდნენ, _ მითხრა ჯინომ. _ მაგრამ მაფეთებენ კი. ისეთი ზრიალით მოდის, გეგონება, თავზე გეცემაო. ჯერ დაიგრიალებს, ერთბაშად წივილი მოჰყვება და აფეთქდება კიდეც. რაღა დაჭრილი და რაღა სასიკვდილოდ დაფეთებული!

მანვე მითხრა, რომ ჩვენს საპირისპიროდ თურმე კროატები და მადიარები იდგნენ. ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ შეტევის თადარიგით იყო მართული. ავსტრიელები რომ გადმოსულიყვნენ უცებ შეტევაზე, არც ტელეფონი გვქონია, რომ შტაბში შეგვეტყობინებინა, და უკან დასახევიც არ იყო. პატარა მთებში, პლატოს უკან, მშვენიერი გასამაგრებელი და თავდასაცავი ადგილებია, მაგრამ არავის შეუწუხებია თავი, რომ თავდასაცავი ზღუდეებით გაემაგრებინათ. ბაინზიცა თუ მომეწონა?

მე უფრო ვაკე ადგილს მოველოდი, პლატოს მსგავსს. არც კი მიფიქრია, ასეთი დასერილ-დაგრეხილი თუ იყო.

_ Alto piano-a,_თქვა ჯინომ,_piano1 არ არის!

1 ზეგანია, ვაკე კი არ არის! (იტალ.).

იქიდან წამოვედით და იმ სახლის სარდაფში მივბრუნდით, სადაც მას ბინა ეჭირა. ვაკეზურგიანი მთაგრეხილი, ოდნავი სიღრმეც თუ აქვს, უფრო ადვილი გასამაგრებელი მეგონა, ვიდრე პატარ-პატარა მთების ჯაჭვი. მთაში ბრძოლა სულაც არ არის ბარში ბრძოლაზე ძნელი-მეთქი, მე ვამტკიცებდი.

_ მთასაც გააჩნია, _ თქვა მან, _ აბა, ერთი სან გაბრიელეს შეხედეთ.

_ მართალი ხართ, _ ვუთხარი მე, _ მაგრამ სან გაბრიელეს აღება სწორედ მაღლა გაუჭირდათ, საცა ვაკეა. ავაკებამდე შედარებით ადვილად ავიდნენ.

_ არცთუ ისე ადვილად, _ თქვა მან.

_ ჰო, მაგრამ მაგასაც თავისი მიზეზი ჰქონდა, _ ვუთხარი მე, _ ციხესიმაგრე უფრო იყო, ვიდრე მთა. წლების განმავლობაში ამაგრებდნენ ავსტრიელები.

მე ის მინდოდა მეთქვა, რომ სამხედრო ტაქტიკის თვალსაზრისით, მთაში გამაგრებას არავითარი უპირატესობა არა აქვს, რადგან ძალიან ადვილი ასაღებია. გადაადგილება-გადმოადგილების საშუალება უნდა გქონდეს, ეს კი მთაში ძნელია. ამას გარდა ზემოდან სროლაც ვერ არის ხელსაყრელი_რადგან მთიდან ტყვიას მუდამ გადააცდენენ ხოლმე. თან, ფლანგები თუ დასძარი, საუკეთესო ძალები ყოველთვის უმაღლეს მწვერვალზე რჩება. მთაში ბრძოლების იმედი მაინცადამაინც არა მაქვს, ამაზე ბევრი მიფიქრია-მეთქი. შენ

ერთ მთაზე გამაგრდები, ის_მეორე მთაზე, მაგრამ როცა ნამდვილი ბრძოლა დაიწყება, შენც დაბლა უნდა ჩახვიდე და ისიც.

თუკი მთაში გადის საზღვრის ხაზი, მაშინ რა უნდა ქნაო, მკითხა.

ეგ საკითხი არ დამიმუშავებია-მეთქი, ვუთხარი, და ორივეს გაგვეცინა. _ მაგრამ ძველად სულ ცხვირ-პირს უნაყავდნენ ავსრტიელებს ვერონას მისადგომებში, _ ვთქვი მე, _ ჩამოიტყუებდნენ მინდორში, და ცხვირ-პირს უნაყავდნენ.

_ ჰო, მაგრამ მაშინ ფრანგები ებრძოდნენ, _ თქვა ჯინომ, _ სხვის ტერიტორიაზე კი ყოველთვის უფრო ადვილია სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

_ მართალია, _ დავეთანხმე მეც, _ საკუთარ მიწა-წყალზე ისე მეცნიერულად ვერ მოიმარჯვებ სტრატეგიას.

_ რუსებმა მოიმარჯვეს, ნაპოლეონი რომ გამოიჭირეს მახეში.

_ რუსებს დიდი მიწა-წყალი აქვთ. აბა, იტალიაში სცადე ნაპოლეონის შეტყუება. ხელადვე ბრინდიზიში ამოყოფ თავს.

_ საძაგელი ქალაქია, _ თქვა ჯინომ, _ ყოფილხართ?

_ გზად გამივლია.

_ ხომ პატრიოტი ვარ, _ თქვა ჯინომ, _ მაგრამ ეს ბრინდიზი და ტარანტო, რა ვქნა, არ მიყვარს.

_ ბაინზიცა გიყვართ? _ ვკითხე მე.

_ წმიდა მიწაა, _ მიპასუხა მან, _ მაგრამ, ნეტა, მეტი კარტოფილი მოდიოდეს. აქ რომ მოვედით, ავსტრიელების დათესილი კარტოფილი დაგვხვდა.

_ მართლა ცუდადა გაქვთ საკვების საქმე?

_ მე პირადად ერთხელაც არ გავმძღარვარ, მაგრამ მე მაგარი მჭამელი ვარ. თუმცა შიმშილითაც არა ვკვდები. ოფიცრების სასადილოც ვერაფერი შვილია. ფრონტის ხაზზე კარგად აჭმევენ, ფრონტის დამხმარე ნაწილებს კი უფრო ცუდად. სადღაც ნამდვილად ურევენ. თავსაყარი უნდა იყოს საჭმელი.

_ სპეცულანტები ჰყიდიან განზე.

_ ჰო, ფრონტის ბატალიონებს აძლევენ, რამდენიც უნდათ, ზურგში კი ხელმოჭერილები არიან. სულ შესანსლეს ავსტრიელების კარტოფილი, და წაბლიც გააწყვეს ტყეში. უკეთესად უნდა გვაჭმევდნენ. მაგარი მჭამელები ვართ. დარწმუნებული ვარ, სურსათი თავზე საყარი აქვთ. ჯარისკაცის დამშევა სად გაგონილა? ვერ ამჩნევთ, როგორ მოქმედებს აზროვნებაზე.

_ ასეა, _ ვთქვი მე, _ ომს ვერ მოგვაგებინებს ეს, წაგებით კი იქნებ წაგვაგებინოს.

_ წაგება-დამარცხებას ნუღარ ვახსენებთ. ისედაც ბევრს ლაპარაკობენ დამარცხებაზე. რაც ზაფხულში გავაკეთეთ, როგორ შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაიყაროს.

კრინტი არ დამიძრავს. მუდამ მაბნევს ხოლმე სიტყვები _ «წმიდა, დიდებული, მსხვერპლად მიტანა», და გამოთქმა «წყალში ჩაიყაროს». ზოგჯერ

წვიმაში ვმდგარვართ და ისე მოგვისმენია ეს სიტყვები, ნიავს მოუტანია კარგა მანძილიდან ცალკეული წამოძახილები, ანდა დაწერილი წაგვიკითხავს, როცა განცხადებების გამკვრელები სხვა აფიშებზე დაატყაპებდნენ ხოლმე ზევიდან. ასეა, რაც თავი მახსოვს, მაგრამ წმიდა ჯერაც არაფერი მინახავს; რასაც დიდებულს ეძახიან, დიდებისა არა სცხია რა, და მსხვერპლად მიტანასაც ძალიან ხშირად ჩივაგოს საყასბო მოუგონებია, იმ განსხვავებით, რომ ხორცს აქ პირდაპირ მიწაში ფლავენ. რამდენია ისეთი სიტყვები, როგორიცაა «დიდება, პატივი, გმირობა ანდა წმიდათა წმიდა, ზიზღს რომ გგვრის, ადგილის სახელწოდებებიდა ინარჩუნებენ ღირსებას. ზოგიერთ რიცხვსა თუ თარიღსაც შემორჩათ ეს ღირსება და, ადგილის სახელწოდებებთან ერთად, მათაც ადამიანურად წარმოთქვამ, ერთგვარი მნიშვნელობა აქვთ შენარჩუნებული. ისეთი განყენებული სიტყვები, როგორიცაა «დიდება, პატივი, გმირობა ანდა წმიდათა წმიდა» _ სოფლების სახელწოდებების, გზების ნომრების, მდინარეების სახელების, პოლკების ნომრებისა და სხვადასხვა მოვლენათა თარიღების გვერდით უკვე ბილწი გეჩვენება. ჯინო პატრიოტი იყო და ისეთ რამეს იტყოდა ხოლმე, რომ ზოგჯერ სულ გავითიშებოდით ერთმანეთისაგან, მაგრამ თან კარგი ბიჭიც გახლდათ და მე მესმოდა მისი პატრიოტობა. ეს პატრიოტიზმი თან დაჰყვა. ისა და პედუცი მანქანაში ჩასხდნენ და გორიციაში გაემგზავრნენ.

მთელი დღე ქარიშხალი მძვინვარებდა. ქარმა სულ დაბლა ჩამორეცხა წვიმა და ყველგან გუბეები და ტალახი დააყენა. ჩამონგრეული სახლების ბათქაში სველი და რუხი ჩანდა. ნაშუადღევს წვიმამ გადაიღო და მეორე ნომერი საგუშაგოდან დავინახე შემოდგომის განძარცული, ნაწვიმარი მიწა, მთის წვერებზე ჩამოწოლილი ღრუბლები და გზებზე გადაფარებული სველი ჭილოფის ღერები, რომლებსაც წყალი ჩამოსწვეთავდა. ერთი პირობა მზემაც გამოიხედა ჩასვლის წინ და გატიტვლებული ტყე გაანათა მთაგრეხილზე. ავსტრიელებს ბევრი ზარბაზანი ედგათ ამ მთებში, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი ისროდა. შევყურებდი, როგორ ერთბაშად გაიშლებოდა ცაში შრაპნელის კვამლი, დანგრეული ქოხების თავზე, ფრონტის ხაზის მახლობლად; რბილი კვამლის ქულა, შუაში ყვითლად აელვარებული. ჯერ გაელვებას მოჰკრავდი თვალს, მერე ტკაცანს გაიგონებდი, ბოლოს კი კვამლის ბურთი გამოგორდებოდა და თანდათანობით გათხელდებოდა ქარში. სახლის ნანგრევებსა და გზებზე, საგუშაგოების მახლობლად, პანტაპუნტად ეყარა შრაპნელის ტყვიები, მაგრამ იმ საღამოს საგუშაგოსთვის არ დაუშენიათ. ორი მანქანა დავტვირთეთ და სველი ჭილოფით შენიღბულ გზას დავუყევით, მზის უკანასკნელი სხივები ჭილოფის ღერებში ატანდა. ღია გზაზე რომ გამოვედით, მზე უკვე ჩავიდა. გავიარეთ ღია გზა, და როცა შევუხვიეთ და კვლავ ჭილოფის თაღებში შევედით, ისევ წვიმა წამოუშინა.

ღამით ქარი ამოიჭრა, ხოლო დილის სამ საათზე კოკისპირულ წვიმას თან მოჰყვა მტრის ყუმბარებიც. კროატებმა გადმოლახეს ვაკეზურგიანი მთა და შეტევაზე გადმოვიდნენ. ბრძოლით მოიწევდნენ სიბნელესა და წვიმაში, მაგრამ

მეორე საგუშაგოს კონტრიერიშით დამფრთხალნი უკუიქცნენ. ყუმბარა ყუმბარაზე მოდიოდა, წვიმაში შუშხუნები სკდებოდა და თოფები და ტყვიამფრქვევები მთელს ფრონტზე არა ცხრებოდა. მეორედ აღარ წამოსულან იერიშზე, დამშვიდდა იქაურობა, და ცოტათი რომ მიწყნარდებოდა წვიმა და ქარი, შორს, ჩრდილოეთიდან ზარბაზნების ქუხილი ისმოდა.

დაჭრილებმა იწყეს დენა საგუშაგოზე. ზოგი ჯალამბრებით მოჰყავდათ, ზოგი თვითონ მოდიოდა, ზოგსაც ველიდან დაბრუნებულები მოათრევდნენ ზურგით. გალუმპულები და დაფეთებულები იყვნენ. ორი მანქანა მძიმე დაჭრილებით დავტვირთეთ. ეს დაჭრილები საგუშაგოს სარდაფებში ჰყავდათ. მეორე მანქანის კარები რომ მივხურე და საკეტი გადავატრიალე, სახეზე თოვლი ვიგრძენი _ წვიმა თოვლად იქცა. თოვლის ფანტელები მძიმედ ეცემოდა წვიმის წვეთებთან ერთად.

როცა ინათლა, ქარი ისევ ისე უბერავდა, თოვა კი შეწყვეტილიყო. რაც ითოვა, სულ გამდნარიყო სველ მიწაზე და ახლა წვიმდა. მეორედაც გადმოვიდნენ შეტევაზე, სწორედ გათენებისას, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მთელი დღე ველოდით ახალ შემოტევას, მაგრამ მზის ჩასვლამდე არაფერი მომხდარა. სროლა დაიწყეს სამხრეთით, სადაც უღრანი ტყით დაფარულ მთებში ავსტრიელებს არტილერიის დიდი შენაერთებისათვის მოეყარათ თავი. ჩვენც ველოდით ცეცხლს, მაგრამ ჩვენკენ არ ისროდნენ. ბნელდებოდა. ჩვენი ზარბაზნები სოფლის გადაღმა იდგა, მინდორზე, და მათგან გასროლილი ყუმბარების ზუილი სასიამოვნოდ ჟღერდა.

როგორც გავიგეთ, სამხრეთითაც ვერაფერს გახდნენ. იმ ღამეს აღარ გადმოსულან შეტევაზე, მაგრამ ჩრდილოეთით კი გაურღვევიათ ფრონტი. დამით შეგვატყობინეს, უკან დახევისთვის მოემზადეთო. მე კაპიტანმა მითხრა ეს საგუშაგოზე. მას კი ბრიგადიდან მიეღო ცნობა. ცოტა ხნის შემდეგ ტელეფონიდან დაბრუნდა და თქვა, ტყუილი ყოფილაო. ბრიგადიდან ბრძანება მოსულიყო_რადაც უნდა დაგიჯდეთ, ბაინზიცა არ დასთმოთო. ფრონტის გარღვევის ამბავი ვკითხე. შტაბში ყური მოვკარი, თითქოს ოცდამეშვიდე არმიის კორპუსის ფრონტი გაურღვევიათ ავსტრიელებს, კაპორეტოს მიმართულებითო. ჩრდილოეთით მთელი დღე არ დამცხრალა მძვინვარე ბრძოლები.

_ თუ იმ ნაბუშარებმა გამოუშვეს, ჩვენც დაგვანგრევენ,_თქვა მან.

_ გერმანელები უტევენ, _ თქვა სამედიცინო სამსახურის ოფიცერმა, _ გერმანელების ხსენება ყველას აძრწუნებდა. არასდიდებით არ გვინდოდა გერმანელებთან შეხვედრა.

_ გერმანელების თხუთმეტი დივიზია ჰყავთ იქა,_თქვა ექიმმა,_იმათ გაარღვიეს სწორედ, და ჩვენც გადაგვიჭრიან.

_ ბრიგადის შტაბში ამბობენ, ეს ხაზი უსათუოდ უნდა დავიცვათო. ისეთი საშინელი გარღვევა არ ყოფილაო, თქვეს, და მონტე მაჯიორედან მოყოლებული, მთების გასწვრივ, სულ უნდა გავამაგროთ ეს ხაზი.

_ მაგათ საიდან გაიგეს?

– დივიზიის შტაბიდან.

– უკან დახევის ბრძანებაც დივიზიიდან იყო.

– ჩვენ პირდაპირ არმიის შტაბს ვემორჩილებით, _ვთქვი მე, _მაგრამ აქ თქვენა ხართ ჩვენი უფროსი. როცა მეტყვით, გავემგზავრები. ოღონდ კარგად გაარკვიეთ, რა ბრძანებაა.

– ბრძანებაა, აქ გავმაგრდეთ. თქვენ დაჭრილები უნდა გადაიყვანოთ განმანაწილებელ პუნქტზე.

– ზოგჯერ განმანაწილებელი პუნქტიდან საველე ჰოსპიტლებში გადმოგვყავს ხოლმე, – ვთქვი მე, _ესეც მითხარით _ ჩემს დღეში უკან დახევა არ მინახავს_ მართლა თუ უკან დახევა იქნა, ამდენი დაჭრილი როგორ გადავიყვანოთ?

– ყველას არ გადაიყვანთ. რამდენსაც მოახერხებთ, წაიყვანთ, დანარჩენს დატოვებთ.

– მანქანებით რა უნდა წავიღო?

– ჰოსპიტლის მოწყობილობა.

– კარგი, – ვთქვი მე.

მეორე ღამეს უკან დახევა დაიწყო. გავიგეთ, რომ გერმანელებსა და ავსტრიელებს ჩრდილოეთით გაერღვიათ ფრონტი და ახლა მთის ხეობებით ჩივიდალესა და უდინისაკენ მოიწევდნენ. უკან დახევას წესრიგით ვაწარმოებდით, წვიმაში, უხმოდ. ღამით მძიმედ ვიხევდით უკან და ვხედავდით – ამ გაჭედილ გზაზე როგორ მიდიოდა წვიმით გალუმპული ჯარი, მიჰქონდათ ზარბაზნები, ცხენები ფურგონებს მიათრევდნენ, ჯორები მიჩაქაქებდნენ, საბარგო მანქანები მიედინებოდნენ, ფრონტის ხაზს შორდებოდნენ. იმაზე დიდი უწესრიგობა არ ყოფილა, რაც წინსვლის დროს არის ხოლმე.

ღამით საველე ჰოსპიტლების დაცლასა ვშველოდით, რომლებიც ნაკლებად დანგრეულ სოფლებში ჰქონდათ მოწყობილი, პლატოზე. დაჭრილები პლავაზე ჩაგვყავდა, მდინარის პირად. მთელი მეორე დღე კი წვიმაში დავწრიალებდით და ჰოსპიტლებისა და პლავის განმანაწილებელი პუნქტის მოწყობილობა გადაგვექნდა. გადაუღებლივ წვიმდა და წვიმდა, და ბაინზიცის არმია, ამ ოქტომბრის წვიმაში, პლატოს ტოვებდა, მდინარესა სჭრიდა სწორედ იმ ადგილას, სადაც იმავე წლის გაზაფხულზე უდიდესი გამარჯვებები მოიპოვეს. გორიციაში მეორე დღეს ჩავედით, სამხრობისას. უკვე აღარა წვიმდა და ქალაქი თითქმის დაცარიელებულ იყო. ქუჩაში რომ ჩავიარეთ, ვნახეთ, რომ ჯარისკაცთა საროსკიპოს ქალებსა სხამდნენ საბარგო მანქანაზე. შვიდი ქალი იყო_ პალტოები ეცვათ, ქუდები ეხურათ და ხელში პატარა ჩემოდნები ეჭირათ. ორი მათგანი ტიროდა. მესამე გაგვეჭყანა, ენა გამოგვიყო და ზევით-ქვევით დაუწყო ქიცინი. სქელი, სავსე ტუჩები და შავი თვალები ჰქონდა.

მანქანა გავაჩერებინე, გადმოვედი და დიასახლისს გამოველაპარაკე. ოფიცერთა საროსკიპოს ქალები დილითვე გადაიყვანესო, მითხრა. სად

წაიყვანეს? კონელიანოში. საბარგო მანქანა აიძრა. გაბუსხულტუჩებიანმა გოგომ ისევ გამოგვიყო ენა. დიასახლისმა ხელი დაგვიქნია. ის ორი ქალი ისევ ისე ტიროდა. დანარჩენები ქალაქს ათვალიერებდნენ ცნობისმოყვარეობით. მე ჩემს მანქანაში შევბრუნდი.

— ჩვენც მაგათან ერთად გვატარა, _თქვა ბონელომ, — მგზავრობა მაშინ იკითხეთ!

— კარგი მგზავრობა გექნება, ფიქრი ნუ გაქვს! _ვუთხარი მე.

— მგზავრობა კი არადა_ჯოჯოხეთი გვექნება.

— მეც მაგას გეუბნები, — ვთქვი მე. მოვუხვიეთ და ვილისკენ წავედით.

— ერთი იქ მამყოფა, ეს ჩათქვირებული გოგოები რომ წამოკოტრიალდებიან და მაშინვე სკუპ-სკუპი შეიქნება!

— ვითომ მაშინვე დაიწყებენ?

— აბა, რა! მეორე არმიაში ყველა იცნობს მაგ დიასახლისს.

ვილას მივადექით.

— დედა-წინამძღვარს ეძახიან, _თქვა ბონელომ, — გოგოები ახლები არიან, მაგრამ მაგას ყველა იცნობს. ეტყობა, მოიყვანეს ეს გოგოები და უკან დახევაც დაიწყო.

— მოესწრებიან.

— მეც მაგას ვამბობ, მოესწრებიან-მეთქი. მინდა ერთი მუქთად დავერიო. ძალიან ბევრს იღებენ ამ სახლებში. მთავრობა გვლლეტს.

— მანქანა გვერდზე მიაყენეთ და მექანიკოსს შეამოწმებინეთ, _ვუთხარი მე,

— ზეთი გამოცვალეთ, დიფერენციალი გაუსინჯეთ, ბენზინიც ჩაასხით, და მერე ცოტათი წაიძინეთ.

— მესმის, Signor Tenente.

ვილა დაცარიელებული დაგვხვდა. რინალდიც გაჰყოლოდა ჰოსპიტალს. მედპერსონალი შტაბის მანქანით წაეყვანა მაიორს. ჩემთვის ბარათი დაეტოვებინათ ფანჯარაზე_მანქანა უნდა დამეტვირთა მოწყობილობით, რომელიც ვესტიბიულში იყო შეკრული, და პორდენონეში გავმგზავრებულიყავი. მექანიკოსები უკვე წასულიყვნენ. გარაჟში შევბრუნდი. მანამ მე ვილას მოვივლიდი, ის ორი მანქანაც მოვიდა, შოთრები იქვე იდგნენ. ისევ წვიმას აპირებდა.

— ისე მეძინება... პლავიდან წამოსულს, სამჯერ წამთვლიმა, _თქვა პიანიმ, — რა უნდა გავაკეთოთ, Signor Tenente?

— ზეთი უნდა გამოვცვალოთ, ბენზინი ჩავასხათ, მერე ჰოსპიტლის წინ დავაყენოთ მანქანები და, რაც ხარახურა დაგვიტოვეს, დავტვირთოთ.

— და გავსწიოთ კიდეც?

— არა, ორი-სამი საათით წავიძინოთ.

— აგაშენა ღმერთმა, _ თქვა ბონელომ, _ თორემ საჭეზე ჩამომეძინებოდა.

— თქვენი მანქანა რა დღეშია, აიმო? _ვკითხე მე.

— არა უშავს.

— ტყაპუჭი მომეცით, ზეთის გამოცვლას გიშველით.

— ნუ შესწუხდებით, Tenente. — თქვა აიმომ, რა დიდი საქმე ეგ არის. წაბრძანდით და თქვენი ბარგი ჩაალაგეთ.

— ბარგი ჩალაგებული მაქვს, ვთქვი მე, წავალ და გამოვზიდავ, რაც დაუტოვებიათ. აქ რომ მორჩეთ საქმეს, მაშინვე მანქანები გამოიყვანეთ.

შესასვლელი კარების წინ დააყენეს მანქანები, და ჰოსპიტლის მოწყობილობით დავტვირთეთ: ყველაფერი შეეკრათ და ვესტიბიულში დაეტოვებინათ. მერე მანქანები ხეების ქვეშ ჩავამწკრივეთ, წვიმაში, და ჩვენ სახლში შევდით.

— სამზარეულოში ცეცხლი დაანთეთ და ტანსაცმელი გაიშრეთ, — ვთქვი მე.

— ტანსაცმელს რას დავეძებ, — მითხრა პიანიმ, ისე მემინება!

— მე მაორის საწოლზე დავიძინებ, თქვა ბონელომ, ბერიკაცი რომ იკუნტებოდა, მეც ისე მოვიკუნტები.

— ჩემთვის სულ ერთია, სადაც უნდა დავწვე, თქვა პიანიმ.

— აგერ ორი საწოლია, — კარები შევაღე.

— პირველადა ვარ ამ ოთახში, თქვა ბონელომ.

— ბებერი გომბეშოს ოთახია, თქვა პიანიმ.

— თქვენ ორნი დაიძინებთ აქ, ვუთხარი მე, მე გაგაღვიძებთ.

— თუ დროზე არ გაგეღვიძათ, ავსტრიელები გაგვაღვიძებენ, Tenente., თქვა ბონელომ.

— გამეღვიძება, ვუთხარი მე, აიმო სადღაა?

— სამზარეულოში გავიდა.

— დაიძინეთ, ვთქვი მე.

— ახლავე დავიძინებ, — თქვა პიანიმ, მჯდომარეს მძინავს მთელი დღე. ლამის თვალებზე ჩამომაწვეს კეფა.

— ჩექმები გაიხადე. — უთხრა ბონელომ, აი, გომბეშოს ლოგინი.

— ფეხებზე არ მკიდია შენი გომბეშო!

პიანი ლოგინზე გაითხლარშა, ტალახიანი ჩექმები გასჭიმა, თავი მკლავზე დაასვენა. მე სამზარეულოში შევედი. აიმოს ღუმელში ცეცხლი გაეჩაღებინა და პატარა ქვაბით წყალი დაედგა.

— ცოტა სპაგეტის მოვხარშავ-მეთქი, თქვა მან, ახალგაღვიძებულზე მოგვშივა.

— არ გეძინებათ, ბართოლომეო?

— არც ისე. წამოდუღდება თუ არა, მაშინვე წავალ. მანამდე ცეცხლიც ჩაქრება.

— ჯობდა დაგეძინათ, ვუთხარი მე, ყველსა და კონსერვს შევჭამდით.

— ესა სჯობია, თქვა მან, ცხელი საჭმელი გაახურებს ამ ჩვემს ორ ანარქისტს. თქვენ დაიძინეთ, თენენტე.

— მაიორის ოთახშია საწოლი.

— ჰოდა, იქ დაიძინეთ.

— არა, მე ჩემს ძველ ოთახში ავალ, ზემოთ. ცოტას არ დალევთ, ბართოლომეო?

— წასვლის წინ იყოს, Tenente. ახლა რაში წამადგება!

— ამ სამ საათში თუ გაგეღვიძოთ და კიდე დაძინებული მნახოთ, უსათუოდ გამაღვიძეთ. ხომ?

— საათი არა მაქვს, Tenente.

— მაიორის ოთახში კედლის საათია.

— კარგი.

გავიარე სასადილო, ვესტიბიული, მარმარილოს კიბეს ავუყევი და ჩემს ოთახში შევედი, საცა რინალდისთან ერთად ვცხოვრობდი. გარეთ წვიმდა. ფანჯარასთან მივედი და გავიხედე. ბნელდებოდა და ქუჩაში თვალი მოვკარი ხეების ქვეშ ჩამწკრივებულ სამ მანქანას. ხეებიდან წვიმა წვეთავდა. ციოდა და ტოტებზე წვეთები ეკიდა. რინალდის ლოგინთან მივედი, დავწექი და ძილს მივეცი თავი.

წასვლის წინ სამზარეულოში დავნაყრდით. აიმოს სპაგეტიში ხახვი ჩაეშუშა და ზემოდან კონსერვის ხორცი მოეყარა. შემოვუსხედით სუფრას და ორი ბოთლი ღვინო დავცალეთ — ჰოსპიტლის სარდაფში დაეტოვებინათ. გარეთ ბნელოდა და ისევ წვიმდა. პიანი ისე იჯდა მაგიდასთან, რომ ჯერაც ვერ გამოფხიზლებულიყო.

— შეტევას უკან დახევა მირჩევნია, — თქვა ბონელომ, — უკან დახევისას ბარბერას ვსვამთ ხოლმე.

— ბარბერა ახლა ჩაგვივარდა ხელში, თორემ ხვალ იქნებ წვიმის წყალიც არ დავიწუნოთ, — თქვა აიმომ.

— ხვალ უდინში ვიქნებით, შამპანურს დავლევთ. იქ მუქთახორებია თავშეყრილი. გაიღვიძე, პიანი! ხვალ უდინში შამპანურს დავლევთ!

— მღვიმავს. — თქვა პიანიმ. თეფში სპაგეტითა და ხორცით გაივსო. — პამიდვრის საწებელს ვერ იშოვიდი, ბართო?

— არ იყო, — მიუგო აიმომ.

— უდინში შამპანურს დავლევთ, — თქვა ბონელომ. ჭიქა ანკარა წითელი ბარბერათი გაივსო.

— უდინში ჩასვლამდე... სხვა რამე არ ჩაგვაცეცხლონ, — თქვა პიანიმ.

— დანაყრდით, Tenente? — მკითხა აიმომ.

— ბევრი გეახელით. ბოთლი მომაწოდეთ, ბართოლომეო.

— თითო ბოთლი საგზლადაც მოგვაქვს, — თქვა აიმომ.

— სულ არ გეძინათ?

— ბევრი ძილი არ მიყვარს. თვალი მოვატყუე.

— ხვალ მეფის ლოგინში გავიჭიმებით, — თქვა ბონელომ. ძალიან კაი გუნებაზე იყო.

— ხვალ იქნებ სხვა ადგილას გაიჭიმო... — მიუგო პიანიმ.

— მე დედოფალს მოვუწვები, — თქვა ბონელომ. გადმომხედა, ხუმრობა როგორ მოეწონაო.

— დედოფალთან არა და... იმასთან დაწვები... — მთქნარებით უთხრა პიანიმ.

— ღალატია, Tenente, — შესძახა ბონელომ, — ღალატი არ არის?

— გეყოფათ, — ვუთხარი მე, ერთმა ბოთლმა ღვინომ როგორ გამოგასულელათ!

გარეთ თავსხმა იყო. საათზე დავიხედე. ათის-ნახევარი გამხდარიყო.

— წასვლის დროა, — ვთქვი და წამოვდექი.

— ვის უნდა ჩაუჯდეთ მანქანაში, Tenente? მკითხა ბონელომ

— აიმოს. მერე თქვენ გამოგვყევით. ბოლოს პიანი. კორმინსის გზას დავადგებით.

— ვაითუ ჩამომებინოს! — თქვა პიანიმ.

— კარგი. მე თქვენ ჩაგიჯდებით. მერე ბონელო წამოვა. მერე_აიმო.

— ეგ ყველაფერს აჯობებს, — თქვა პიანიმ, — თორემ მეყვინთება.

— ერთხანს მე დავჯდები საჭესთან და თქვენ დაიძინეთ.

— არა. მართვით მე თვითონ ვმართავ. როცა ვიცი, გამომღვიმებელი მყავს, აღარ მეშინია.

— მე გაგაღვიძებთ. სინათლეები ჩააქრეთ, ბართო.

— ენთოს, რა, მე შენ გეტყვი, კიდევ დავბრუნდებით აქ!_თქვა ბონელომ.

— ოთახში პატარა ზანდუკი მაქვს, _ვთქვი მე, — არ ჩამომატანინებთ, პიანი?

— ჩვენ თვითონვე ჩამოვიტანთ, _ მითხრა პიანიმ, _ წამო, ალდო.

წავიდა და ბონელოც წაიყვანა. მესმოდა მათი ფეხის ხმა კიბეზე.

— კაი ქალაქი იყო, _ თქვა ბართოლომეო აიმომ. აბგაში ორი ბოთლი ღვინო და ნახევარი ყველი ჩაიდო, _ ამისთანა ქალაქს ვეღარ შევხვდებით. საით ვიხევთ, Tenente?

— ამბობენ, ტალიამენტოსკენო. ჰოსპიტალი და შტაბი პორდენონეში იქნება.

— პორდენონეს ესა სჯობია.

— პორდენონეში არა ვყოფილვარ, — ვთქვი მე, — გვერდით ჩამივლია.

— ვერაფერიშვილი ქალაქია, — თქვა აიმომ.

თავი XXVIII

მივდიოდით და ვხედავდით, რომ წვიმასა და სიბნელეში გახვეული ქალაქი დაცალიერებული იყო, მხოლოდ ჯარის ნაწილები და ზარბაზნები მიედინებოდა მთავარი ქუჩით. სხვა ქუჩებშიაც შენიშნავდით კარგა ბლომად მანქანებსა და ფურგონებს, რომლებიც შემდეგ მთავარ გზატკეცილზე გადიოდნენ. სათრიმლავ ქარხანას გავსცდით და შარაგზაზე გავედით. ჯარის ნაწილები, საბარგო ავტომანქანები, ფურგონები და ზარბაზნები ერთ ფართო კოლონად მიიზლაზნებოდა. მძიმედ, მაგრამ შეუპოვრად მივემართებოდით წვიმაში, ჩვენი რადიატორი თითქმის ზედ ებჯინებოდა საბარგო მანქანას,

რომელიც მომაღლოდ დაეტვირთათ და ზემოდან ბრეზენტი გადაეფარებინათ. საბარგო მანქანა უცებ შეჩერდა. მთელი კოლონა შედგა. ისევ დაიძრა მანქანა, ცოტა გავიარეთ და კვლავ შევჩერდით. ჩამოვხტი და დავწინაურდი, გზას მივიკვლევდი მანქანებსა, ფურგონებსა და ცხენების გაწუწულ ფაფრებს შორის. გზა სადღაც წინ ჩაკეტილიყო. გადავუხვიე, არხზე გადებულ საცალფეხო ფიცარზე გავედი და არხგაღმიდან დავუყევი მინდორს. მალ-მალე გავხედავდი ხეებს მიღმა გზას და ვხედავდი შეჩერებულ კოლონას. ასე, ერთი მიღმი გავიარე, კოლონა არ იძვროდა, თუმცა გაქვავებული ტრანსპორტის იქით მიმავალ ჯარს ვხედავდი. ჩემს მანქანებთან დავზრუნდი. ვინ იცის, იქნებ უდინში ყოფილიყო გზა ჩაკეტილი. პიანის საჭეზე ჩასძინებოდა. გვერდზე მოვუჯექი და მეც დავიძინე. რამდენიმე საათი გავიდა და წინა საბარგო მანქანის დაქოქვის ხმა გავიგონე. გავაღვიძე პიანი და ადგილიდან დავიძარით, გავიარეთ რამდენიმე იარდი და კიდევ შევჩერდით, მერე ისევ წავედით. წვიმდა და წვიმდა.

ღამით კოლონა ისევ დადგა და აღარც დაძრულა. მე გადავხტი და უკან წავედი, აიმოსა და ბონელოს სანახავად. ბონელოს საინჟინრო ნაწილის ორი სერჯანტი მოესვა გვერდზე. მე რომ მივედი, გამომეჭიმნენ.

— რომელიღაც ხიდის შესაკეთებლად დაუტოვებიათ და ახლა თავიანთი შენართი ვეღარ უნახავთ, _მითხრა ბონელომ, _ავდექი და ჩავისხი.

— თუკი ბატონი ლეიტენანტტი ნებას დაგვრთავს!..

— ისხედით, — ვუთხარი მე.

— ჩვენი ლეიტენანტი ამერიკელია, _თქვა ბონელომ, _არავის დაუშლის.

ერთ-ერთ სერჯანტს გაეცინა. მეორემ ბონელოსა ჰკითხა _ ჩრდილო თუ სამხრეთ ამერიკელი იტალიელი არისო.

— იტალიელი არ არის. ჩრდილო ამერიკელი ინგლისელია.

სერჯანტებმა თავაზიანად მოისმინეს, მაგრამ როდი დაიჯერეს. მათ გავეცალე და აიმოსთან მივედი. ორი გოგო მოესვა გვერდზე, თვითონ კუთხეში მიმჯდარიყო და პაპიროსს აბოლებდა.

— ბართო, ბართო, _ მივმართე მე. გაეცინა.

— გამოელაპარაკეთ, Tenente, _ მითხრა მან, _ მე მაგათი არ მესმის. ჰეი! _ ბარძაყზე დაადო ხელი და მეგობრულად მოუჭირა. გოგომ კიდევ უფრო შემოიტმასნა შალი და აიმოს ხელი მოიშორა. _ ჰეი! _ უთხრა მან, _ აბა, ტენენტეს უთხარით, რა გქვიათ, ან აქ რას აკეთებთ.

გოგომ შემომიბლვირა. მეორეს ისევ ძირს ჰქონდა დახრილი თვალები. მე რომ მიყურებდა, იმ გოგომ რაღაც თქვა დიალექტზე, მაგრამ ერთი სიტყვაც ვერ გავიგე. ჩასუქებული, შავტუხა გოგო იყო, ასე, თექვსმეტი წლისა.

— Sorella?1 _ ვკითხე მე და მეორე გოგოზე ვანიშნე.

1 შენი დაა? (იტალ.).

თავი დააქნია და გაიღიმა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე და მუხლზე ხელი მოვუთათუნე. ვიგრძენი, როგორ მოიკუნტა ჩემი ხელის შეხებაზე. დას ერთხელაც არ აუწევია თავი. ერთი წლით უმცროსი იქნებოდა. აიმომ კიდევ დაადო ხელი უფროს დას ბარძაყზე და გოგომ ისევ მოიშორა. აიმომ გაუცინა.

— კარგი კაცია, გულზე მიიდო ხელი, კარგი კაცია, ახლა ჩემზე ანიშნა. — ნუ შეგეშინდება.

გოგომ თვალები გადაუბრიალა. ველურ ჩიტებსა ჰგავდნენ.

— რაღას მომყვება, თუკი არ მოვწონვარ? — იკითხა აიმომ, ხელი დავუქნიე თუ არა, იმ წუთში ჩამისხდნენ მანქანაში, — გოგოს მიუბრუნდა, — ნუ გეშინია, უთხრა მან, არავინ არ... უწმაწური სიტყვა თქვა, ან სად უნდა... შევატყვე, რომ გოგომ ის ერთი სიტყვა გაიგო, სხვა არაფერი. დაფეხებული შესცეკროდა აიმოს. კიდევ უფრო მჭიდროდ გაეხვია შალში. მანქანა გაჭედილია, — განაგრძობდა აიმო, — როგორ მოვახერხებთ... სად უნდა?.. რამდენს ახსენებდა ამ სიტყვას, გოგო უფრო და უფრო იკუნტებოდა და იკუნტებოდა. მერე სულ მოიბუზა და აზლუქუნდა, ისე რომ თვალი არ მოუშორებია მისთვის. ჯერ ტუჩები აუთრთოლდა, მერე კი ცრემლები ჩამოუგორდა მსუქან ღაწვებზე. დას არც შეუხედავს, ისე მოპირდა ხელი და ისხდნენ ასე. დიდმა, ადრე თვალებს რომ აბრიალებდა, ახლა ქვითინი ამოუშვა.

— ეტყობა, შევაშინე, — თქვა აიმომ, არ მიფიქრია შეშინება.

ჩანთა გადმოიღო და ორი ნაჭერი ყველი მოსჭრა. აპა, უთხრა მან, ნუღარ სტირი!

უფროსმა გოგომ თავი გააქნია და ტირილი განაგრძო, უმცროსმა კი გამოართვა და ჭამა დაიწყო. ცოტა ხნის შემდეგ უმცროსმა მეორე ნაჭერი უფროსს მისცა, და ახლა ორივენი ჭამდნენ. უფროსი ისევ ზლუქუნებდა ცოტ-ცოტას.

— მალე დამშვიდდება, — თქვა აიმომ.

რაღაცამ გაუელვა თავში. — ქალწული ხარ? — ჰკითხა გვერდზე მჯდომს. გოგომ გამწარებით დაუქნია თავი. ესეც ქალწულია? დაზე მიუთითა. ორივემ დააქნია თავი, და უფროსმა რაღაც თქვა დიალექტზე.

— კეთილი და პატიოსანი, — თქვა ბართოლომეომ, კეთილი და პატიოსანი.

ეტყობოდათ, ორივენი გამხნევდნენ.

იქვე დავტოვე ისინი, კუთხეში მიყუჟულ აიმოსთან, და პიანის მანქანაში დავბრუნდი. ტრანსპორტი არ იძვროდა, ჯარი კი მიედინებოდა და მიედინებოდა. წვიმა ისევ კოკისპირულად მოდიოდა. და უცებ გავიფიქრე_რამ შეაჩერა ეს მოძრაობა, მანქანებში ელექტროგაყვანილობა ხომ არ სველდება-მეთქი. ჭკუასთან ახლოს უფრო ის იყო, რომ ცხენებსა და ხალხს ჩამოეყვინთებოდა. თუმცა რა_ქალაქშიაც რამდენჯერ ჩახერგილა გზა, როცა ყველას ღვიძავს. არა, ავტოტრანსპორტი და ფურგონებია ერთმანეთში არეული და იმისგანა გვჭირს. ვერ ეწყობიან ერთმანეთს. ეს ურმებიც რომ გამოტყვრებიან ხოლმე! კაი გოგონები კი უზის ბართოს. უკან დახევის დროს

ქალწულები გაგონილა! ნამდვილი ქალწულები არიან. ალბათ, თავგადადებული მორწმუნებიც! ომი რომ არ იყოს, ახლა, ალბათ, ლოგინში ვიქებოდით ყველანი. ლოგინში ვწვები. ტახტის საწოლი. ტახტივით მაგარი. ქეთრინიც დაწოლილა და ორ ზეწარში გახვეულა – ერთი ქვეშ უგია, ერთიც ზევიდან ხურავს. ნეტა რომელ გვერდზე წევს? იქნებ არცა სძინავს! იქნებ წევს და ჩემზე ფიქრობს. დაუბერე, დაუბერე, ქვენა ქარო. მართლა არ დაუბერა! მაგრამ ცოტათი კი არ წამოჟინებულა, მაგრად წამოუშინა. მთელი ღამე იწვიმა. ხომ იცოდი, რომ ცა ფეხად წამოვიდოდა. აბა, გახედე! ღმერთო, ისევ ჩემს ლოგინში ჩამაწვინა და სატრო გულში ჩამახუტა. ჩემი საყვარელი ქეთრინი. წვიმად დაეშვას ჩემი ტკბილი ქეთრინი. დაუბერე და ისევ აქ მომგვარე. აჲა, ერთადა ვართ. ყველანი აქ არიან და ეს წვრილი წვიმა ცეცხლს რას ჩააქრობს! «ღამე მშვიდობის, ქეთრინ», ხმამაღლა უუთხარი მე. «ტკბილად იძინე. ასე თუ ვერ მოისვენე, გადაბრუნდი, საყვარელო. ცივ-ცივ წყალს მოგიტან. მალე გათენდება კიდეც და მოისვენებ. მაგან როგორ უნდა შეგაწუხოს! სცადე, ჩემო ტკბილო, დაიძინე».

მე სულ მეძინა, მითხრა ქეთრინმა. ძილში რაღაცას ბუტბუტებდი. ხომ კარგადა ხარ?

მართლა აქა ხარ?

ვერა ხედავ! არც მიგატოვებ. რაც უნდა მოხდეს, ჩვენთვის სულ ერთია.

რა კარგი ხარ, რა ტკბილი! ხომ არ მიმატოვებ ღამით, ხომ არ წახვალ?

არსადაც არ წავალ. ფეხსაც არ მოვიცვლი. როცა არ უნდა დამიძახო, შენთან გავჩნდები.

– ერთი შენი!.. – შეიკურთხა პიანიმ, ისევ დაიძრა.

– ცოტა წამთვლიმა, – ვთქვი მე. საათს დავხედე. დილის სამი საათი იყო. ხელი უკან გადავწიე და ბარბერას ბოთლი გამოვაძვრე.

– ხმამაღლა ლაპარაკობდით, – მითხრა პიანიმ.

– რაღაც მესიზმრა, ინგლისურად, – ვთქვი მე.

წვიმამ ცოტათი იკლო, ჩვენ კი ისევ მივდიოდით. გათენებამდე ერთხელ კიდევ გავეჩირეთ. როცა ინათლა, ვნახე, რომ გორაკზე ვიდექით და წინ მთელი უკანდასახევი გზა გადაჭიმულიყო, ყველაფერი გაქვავებული ჩანდა, გარდა ქვეითი ჯარისა, რომელიც მანქანებსა და ფურგონებს შორის მიძვრებოდა. ისევ დავიძარით, მაგრამ დღის შუქზე აშკარად გამოჩნდა, რა სისწრაფითაც მივდიოდით, და მივხვდი, რომ, თუკი საერთოდ იმედი გვქონდა უდინში ჩასვლისა, საჭირო იყო მთავარი გზატკეცილიდან გადაგვეხვია და მოკლეზე მოგვეჭრა.

ღამით მთავარ კოლონას სოფლის გზებიდან გლეხებიც შემოუერთდნენ, რომელთაც ურმები საოჯახო ბარგი-ბარხანით დაეტვირთათ. ნაალებს შორის სარკეები გამოჩრილიყო და უკან ქათმები და იხვები გამოებათ. ჩვენს წინ საკერავი მანქანა შევნიშნე, რომელსაც ზედ აწვიმდა. რაც ყველაზე უფრო ფასეულად მიაჩნდათ, ის წამოეღოთ. აქა-იქ, ურემზე, ქალები მოყუჟულიყვნენ და წვიმას აფარებდნენ თავს, სხვები გვერდზე მისდევდნენ ურმებს და

ცდილობდნენ, რაც შეიძლება ახლოს ყოფილიყვნენ. მაღლებიც შემორეოდნენ კოლონას, და ფურგონებს ქვეშ მიძუნდულებდნენ. გზაზე ტალახი იდგა, გზისპირა არხები წყლით გავსებულიყო, და გზის გასწვრივ ჩამწვრივებულ ხეებს გადაღმაც მინდვრები ისე სველი და წყლით გაბუჟუჟული ჩანდა, რომ გადახვევა ძნელი გასაბედი იყო. ჩამოვხტი და ცოტა ფეხით გავიარე, გვერდზე გადასახვევ მარჯვე გზას ვეძებდი. ვიცოდი, რომ გზები ბევრი იყო, მაგრამ იმისთანა რათ მინდოდა, თუკი არსად არ მიმიყვანდა. ვერ მომეგონებინა ასეთი მარჯვე გზა. რადგან მუდამ მანქანით ჩავუქროლებდი ხოლმე და ეს გზებიც ერთმანეთსა ჰგავდა. ისიც აშკარა იყო, რომ ასეთ გზას თუ ვერ მივაგნებდით, ადგილზე მშვიდობით მისვლის იმედი აღარ უნდა გვქონოდა. კაცმა არ იცოდა, სად იდგნენ ამჟამად ავსტრიელები, არც ის იყო გარკვეული, თუ როგორ მიდიოდა საქმე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ წვიმა თუ შეწყდებოდა და კოლონას თვითმფრინავები გადაუფრენდნენ თავზე, დაღუპვა არ აგვცდებოდა. საკმარისი იყო, რამდენიმე შოთერი მოსცილებოდა თავის მანქანას, ან რამდენიმე ცხენი მოეკლათ, რომ გზა საბოოლოდ ჩაიხერგებოდა.

წვიმა ისე მაგრად აღარ უშენდა, და ვიფიქრე, ალბათ გამოიდარებს-მეთქი. ცოტა კიდევ გავიარე და როცა ტრიალმინდვრებში გაჭიმული ჩრდილოეთით მიმავალი ვიწრო გზა შევნიშნე, რომელსაც ორივე მხარეს ხეთა ცოცხალი ღობე ერტყა, გადავწყვიტე, ამ გზაზე გადახვევა აჯობებდა. პიანი გავაფრთხილე, გადაუხვივე-მეთქი და ბონელოსა და აიმოს გასაფრთხილებლად წავედი.

— თუ არსად გაგვიყვანა იმ გზამ, მოვბრუნდებით და ისევ კოლონას შევუერთდებით, — ვთქვი მე.

— ამათ რა ვუყო?_მკითხა ბონელომ. ის თრი სერქანტი ისევ იქ ჰყავდა. გაუპარსავები იყვნენ, მაგრამ ამ დილაადრიანადაც კი მხედრული იერი ჰქონდათ.

— მანქანის ამოთრევაში გამოგვადგებიან, — ვუთხარი მე. მერე აიმოსთანაც მივედი და გავაფრთხილე, — გადახვევას ვაპირებ-მეთქი.

— ამ ქალწულების მოდგმას რაღა ვუყო?_მკითხა მან. გოგონებს ჩასძინებოდათ.

— ეგენი ბევრს ვერაფერს გაგიკეთებენ, — ვუთხარი მე, — სჯობს ისეთი ვინმე წამოიყვანო, მანქანას მოაწვეს და ამოგვათრევინოს.

— ამათ ძარაში შევყრი, — თქვა აიმომ, — ადგილი ბევრია.

— თქვენი ნებაა, თუკი ვერ გემეტებათ, — მივუგე მე, — მაშინ ვინმე მხაბეჭიანი წამოიყვანე, მანქანას რომ მოაწვეს.

— ბარსელიერები, — გაიღიმა აიმომ, უკელაზე მხარბეჭიანები ბარსელიერები არიან. უზომავენ ხოლმე ბეჭებს. ისე როგორა ბრძანდებით, Tenente?

— დიდებულად. თქვენ როგორდა ხართ?

— დიდებულად. ოღონდ ძალიან მომშივდა.

— სადმე ხომ გაგვიყვანს ეს გზა, გავჩერდეთ და ვჭამოთ.

— ფეხი როგორა გაქვთ, Tenente?

— დიდებულად. — ვუთხარი მე.

საფეხურზე ვიდექი და წინ ვიყურებოდი. დავინახე, როგორ ჩამოსცილდა კოლონას პიანის მანქანა და როგორ გადაუხვია ვიწრო გზაზე, ცოცხალი ღობის გატიტვლებულ ტოტებს შორის მოჩანდა. ბონელომაც შეუხვია და პიანის გაჰყვა, მერე აიმომაც გადაიყვანა თავისი მანქანა, და ორივე მხრიდან ხეებით შემოჯარულ ვიწრო გზას დავადექით, წინა სანმანქანებს მივყევით. გზა ფერმაში მიდიოდა. ჩვენ რომ მივედით, პიანისა და ბონელოს მანქანები უკვე ფერმის ეზოში იდგა. სახლი დაბალი და წაგრძელებული იყო, კარებთან ვენახის ფანჩატური ჰქონდათ მოწყობილი. ეზოში ჭა იყო და პიანი რადიატორში ჩასასხმელად წყალს იღებდა. კარგა ხანს ვიარეთ ნელი სიჩქარით და წყალი სულ ამოდულებულიყო. სახლი დაეცარიელებინათ. უკან გავხედე გზას. სახლი პატარა ბორცვზე იდგა, ტრიალ მინდორში, და ირგვლივ ყველაფერი ჩანდა. დავინახეთ გზა, ღობეები, მინდვრები და იმ გზის გაყოლებაზე ჩამწკრივებული ხეები, რომლითაც უკან დახევა ხდებოდა. სერუანტებმა მთელი სახლი გადააქოთეს, გოგონებმა გაიღვიძეს და ახლა ათვალიერებდნენ ეზოს, ჭას, სახლის წინ გაჩერებულ ორ დიდ სანმანქანას, და ჭასთან მოფუსფუსე სამ შოფერს. ერთ-ერთი სერუანტი გამოვიდა და კედლის საათი გამოიტანა.

— უკანვე შეიტანეთ! — ვუთხარი მე. გადმომხედა, სახლში შებრუნდა და უსაათოდ გამოვიდა.

— თქვენი ამხანაგი სადღაა? — ვკითხე მე.

— ფეხსადგილშია.

მანქანაში შეძვრა, შეეშინდა, არ დამტოვონო.

— არ ვისაუზმოთ, Tenente? მკითხა ბონელომ, რამე გვეჭამა. ხელად დავნაყრდებოდით.

— როგორა გგონიათ, იქით მხარეს რომ გავყვეთ ამ გზას, სადმე მიგვიყვანს?

— რა თქმა უნდა.

— მაშ კარგი. ვჭამოთ. პიანი და ბონელო სახლში შევიდნენ.

— წამოდით, — უთხრა აიმომ გოგონებს. ხელი გაუწოდა მისაშველებლად. უფროსმა დამ თავი გააქნია. მიტოვებულ სახლში არ ინდომეს შესვლა. ჩვენ შემოგვყურებდნენ.

— მაგათ რას გაუგებ, — თქვა აიმომ.

ერთად შევედით სახლში, დიდი და ბნელი ჩანდა. იგრძნობოდა, რომ მიტოვებული იყო. ბონელო და პიანი სამზარეულოში გავიდნენ.

— ბევრი არაფერია შესაჭმელი, — თქვა პიანიმ, პირწმინდად გაუსუფთავებიათ.

ბონელო დიდ თეთრ ყველსა ჭრიდა სამზარეულოს მძიმე მაგიდაზე.

— ყველი სადღა იყო?

— სარდაფში. პიანი ღვინოსაც წააწყდა, ვაშლებსაც.

— კარგი საუზმე გამოგვივიდა.

- მანეულით შემოწნულ დიდ დოქს პიანი ხის საცობსა ხსნიდა.
- _ სუნი კარგი აქვს, _ თქვა მან, _ რამე ჭურჭელი მონახე, ბართო.
 - სერუანტებიც შემოვიდნენ.
 - _ ყველზე დაგვეწვიეთ, სერუანტებო, _ მიმართა ბონელომ.
 - ბარემ წავსულიყავით, _ თქვა ერთმა მათგანმა, ყველი მოკბიჩა და ღვინო მოსვა.
 - _ წავალთ, ფიქრი ნუ გაქვს, _ უთხრა ბონელომ.
 - _ ჯარისკაცი კუჭით ცოცხლობს და კუჭით დადის, _ ვთქვი მე.
 - რაო? _ იკითხა სერუანტმა.
 - _ კარგად უნდა დანაყრდე.
 - _ ჰო, მაგრამ დროც ძვირფასია.
 - _ ალბათ, უკვე მიირთვეს ნაბუშრებმა, _ თქვა პიანიმ. სერუანტებმა მას გადახედეს. დასანახად ვეზარებოდით ყველანი.
 - _ გზა იცით? _ მკითხა ერთმა მათგანმა.
 - _ არა, _ ვუპასუხე მე. ერთმანეთს შეხედეს.
 - _ ყველაფერს აჯობებს, წავიდეთ, _ თქვა პირველმა.
 - _ მივდივართ, _ ვუთხარი მე. კიდევ დავლიე ერთი ჭიქა წითელი ღვინო.
 - ყველისა და ვაშლის შემდეგ ძალიან გემრიელი მეჩვენა.
 - _ ყველი წამოიღეთ, _ ვთქვი მე და გარეთ გამოვედი. ბონელომ დიდი დოქით ღვინო გამოიტანა.
 - _ მეტისმეტად დიდია, _ ვუთხარი მე. დანანებით დახედა დოქს.
 - _ ვიცი, _ თქვა მან, _ მათარები მომეცით, გავავსებ. _ მათარები გაავსო, ცოტაოდენი ღვინო ეზოში დაფენილ ქვებზე დაიღვარა. მერე დოქი აიღო და შიგ შედგა.
 - _ ავსტრიელები კარების გაუტეხავად მიაგნებენ, _ თქვა მან.
 - _ დავიძრათ, _ ვთქვი მე, _ პიანი და მე წინ ვივლით. _ ის ორი სერუანტი უკვე მოსჯდომოდა გვერდში ბონელოს. გოგონები ყველსა და ვაშლს შეექცეოდნენ. აიმო თუთუნსა სწევდა. დავადექით ვიწრო გზას. უკან მოვიხედე, ჩვენს ორ მანქანასა და გლეხის სახლს გავხედე. დაბალი, კოხტა, მაგრად ნაშენი სახლი იყო, ჭასაც კოხტად ერტყა რკინის ლარტყული. წინ ვიწრო და ტალახიანი გზა გვედო, რომელსაც ორივე მხარეზე მაღალი ცოცხალი ღობე ერტყა. უკან სულ ახლოს მოგვყებოდნენ მანქანები.

თავი XXIX

შუადღისას ლაფში ჩავიფალით, ჩვენი ვარაუდით, უდინიდან, ასე, ათი კილომეტრის დაშორებით. წვიმამ ადრევე გადაიღო და ჩვენ სამჯერ გავიგონეთ თვითმფრინავების გუგუნი, თავზე გადაგვიქროლეს, ვუყურებდით, როგორ მიფრინავდნენ შორს, მარცხნივ, მერე კი მთავარი გზატკეცილის დაბომბვის ხმა შემოგვესმა. სასოფლო გზების ბადეში გავებით და ბარე ორჯერ დავადექით ისეთ გზას, რომელიც ჩიხი აღმოჩნდა, მაგრამ

გავბრუნდებოდით ხოლმე, ვპოულობდით სხვა გზას და თანდათანობით ვუახლოვდებოდით უდინს. ახლა კი, ჩიხიდან უკან სვლით დაბრუნების დროს, აიმოს მანქანა ფაშარ მიწაში ჩაეფლო და ბორბლები, ერთ ადგილზე სრიალით, სულ უფრო და უფრო ღრმად წავიდა, ვიდრე თავისივე დიფერენციალს არ დაეყრდნო მანქანა. უნდა გამოგვეთხარა წინა ბორბლებისათვის მიწა, წნელები დაგვეყარა და ჯაჭვისთვის ამუშავების საშუალება მიგვეცა, თან, მანამ ამოვათრევდით, ჩვენც უნდა მოვწოლოდით. ყველანი ძირს ვიყავით და მანქანას ვუტრიალებდით. სერჟანტებმა შეათვალიერეს და ბორბლები გაუსინჯეს. მერე შებრუნდნენ და, კრინტიც არ დაუმრავთ, ისე, გზას დაადგნენ. მე გამოვედევნე.

- _ მობრუნდით, _ გავძახე მე_ წნელები მოამტვრიეთ.
- _ უნდა წავიდეთ, _ თქვა ერთმა მათგანმა.
- _ ჩქარა! _ შევძახე მე_ წნელები მოამტვრიეთ.
- _ უნდა წავიდეთ, _ თქვა ერთმა. მეორეს ხმაც არ გაუღია. წასვლას ეშურებოდნენ, მე არც კი მიყურებდნენ.
- _ გიბრძანებთ, ახლავე მობრუნდეთ და წნელები მოამტვრიოთ!_ ერთი სერჟანტი მობრუნდა.
- _ უნდა წავიდეთ. ცოტა ხანში თქვენ გზას გადაგიჭრიან. რა უფლებით გვიბრძანებთ? სადაური ჩვენი უფროსი ხართ!
- _ მე თქვენ გიბრძანებთ, წნელები მოამტვრიოთ!_ გავუმეორე მე. შებრუნდნენ და გზა განაგრძეს.
- _ შესდექით! _ გავძახე. უკანაც არ მოუხედავთ. კვლავ მიჰყვებოდნენ ტალახიან გზას, რომელსაც აქეთ-იქით ცოცხალი ღობე ერტყა. _ შესდექით-მეთქი, გიბრძანებთ! _ ვუყვირე მე. ცოტა უფრო ააჩქარეს ფეხი. ბუდე გავხსენი, პისტოლეტი ამოვიღე და, ბევრს რომ ჭიჭყინებდა, იმას დავუმიზნე, და ფეხი გამოვუშალე. ავაცილე, და ისინიც გაიქცნენ. სამჯერ ვესროლე და ერთი წავაქციე, მეორე ცოცხალ ღობეს შეერია და თვალს მიეფარა. მინდორში რომ გავიდა, ხეებს გადაღმა ვესროლე. ტყვია გამოილია და ახალი მჭიდე ჩავდე. ამასობაში შორს წავიდა მეორე სერჟანტი და ტყვიას ვეღარ მივუწვდენდი. თავი დაბლა დაეხარა და მინდორში გარბოდა. დაცარიელებული მჭიდის დატენა დავიწყე. ბონელო მომიახლოვდა.
- _ გამიშვით, გავათავებ, _ მითხრა მან. პისტოლეტი მივეცი. ქვემოთ დაუყვა გზას, სადაც საინჟინრო ნაწილის სერჟანტი ეგდო, გზის გარდიგარდმო, ლაფში ცხვირით ჩაფლული. ბონელო დაიხარა, პისტოლეტი თავზე დაადო და ფეხი გამოუშალა. არ გავარდა.
- _ საკეტი გადასწიე, _ გავძახე მე. გადასწია და ორჯერ გაისროლა. მერე ფეხით დაითრია სერჟანტი და გვერდზე მიაგდო, ღობის ძირში. მობრუნდა და პისტოლეტი დამიბრუნა.
- _ ძაღლიშვილო! _ თქვა მან. სერჟანტს გაჰყურებდა. _ ხომ ნახეთ, როგორ დავახალე, Tenente?

— ჩქარა წნელები შევაგროვოთ, — ვთქვი მე, მეორეს სულაც ვერ მოვახვედრე?

— მგონი, ვერა, — მითხრა აიმომ, შორს იყო და პისტოლეტი ვერ მისწვდებოდა.

— ნამუსგარეცხილი! — ჩაილაპარაკა პიანიმ. ბუჩქებსა და ტოტებს ვამტვრევდით. მანქანიდან ყველაფერი გადმოვყარეთ. ბონელო მიწას უთხრიდა წინა ბორბლებს. როცა ყველაფერს მოვრჩით, აიმომ მანქანა აამუშავა და სიჩქარე ჩართო. ბორბლებმა სრიალი დაიწყო, ტალახსა და წნელების ნატეხებს ისროდა აქეთ-იქით. ბონელო და მე, რაც შეგვეძლო, ვაწვებოდით, მანამ კუნთებმა ტკაცანი არ დაიწყო. მანქანა ადგილიდან არ იძვროდა.

— ცოტა უკან დასწი და მერე ერთბაშად გააქანე, ბართო. — ვუთხარი მე.

უკანა სვლით დასძრა, მერე ისევ წინ გააქანა. მაგრამ ბორბლები ახლა უფრო ღრმად ჩაჯდა. ბოლოს ისევ დიფერენციალს დაეყრდნო მანქანა და ბორბლები თავისუფლად ასრიალდნენ მათ მიერვე ამოთხრილ ორმოებში. მე გავიმართე.

— ბაწრით ვცადოთ.

— არა მგონია, რამეს გავხდეთ, Tenente. სად უნდა ჩაამწკრივო აქ მანქანები!

— მაინც ვცადოთ! — ვუთხარი მე, სხვა საშველი აღარ არის.

პიანისა და ბონელოს მანქანების ერთ ხაზად ჩამწკრივება მარტო გზის სიგრძივ შეიძლებოდა. გადავაბით მანქანები ერთმანეთს და დაძვრა ვცადეთ. ისევ იმავე განაკვალში სრიალებდნენ ბორბლები.

— ვერაფერი ხეირი გამოდის, გავძახე მე, მოეშვით.

პიანი და ბონელო თავიანთი მანქანებიდან ჩამოხტნენ და ისევ ჩვენთან მოვიდნენ. აიმოც ჩამოვიდა. გოგონები ყორეზე ჩამომსხდარიყვნენ, ორმოციოდე იარდის დაშორებით.

— რას იტყვით, თენენტე? — იკითხა ბონელომ.

— ცოტათი გამოვუთხაროთ და ისევ წნელებითა ვცადოთ, — ვთქვი მე. გზას გავხედე. სულ ჩემი ბრალი იყო. მე შემოვჩიხე აქ. მზე თითქმის გამოძვრა ღრუბლებიდან. სერჟანტის გვამი იქვე ღობის ძირას ეგდო.

— მაგისი მაზარა და ლაბადა ამოვუდოთ, — ვთქვი მე. ბონელო მოსატანად გაემართა. მე წნელები მოვამტვრიე. აიმომ და პიანიმ მიწა შემოუთხარეს ბორბლებს. ლაბადა გავჭერი, შუაზე გავფხრიწე და ბორბლებს ამოვუდევი ტალახში. მერე წნელები დავაყარე. მოვამზადეთ ყველაფერი, აიმო მანქანაში შეძვრა და დაქოქა. ბორბლები დატრიალდნენ, ჩვენ, რაც შეგვეძლო, ვაწვებოდით და ვაწვებოდით უკანიდან. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

— ოჰ, ამისი... — ვთქვი მე, ისეთი ხომ არაფერი გრჩება მანქანაში, ბართო?

აიმო ძარაში შეძვრა ბონელოსთან ერთად, ჩამოიტანეს ყველი, ორი ბოთლი ღვინო და ლაბადა. ბონელო საჭეს მიუჯდა და სერჟანტის მაზარის ჯიბეებს დაუწყო ჩხრეკა.

– გადააგდე ერთი ეს მაზარა, – შევძახე, ბართოს ქალწულებს რა უნდა ვუყოთ?

– ძარაში ჩასხდნენ, - თქვა პიანიმ, – შორს მაინც ვერ წავალთ, ეტყობა.

სანმანქანის უკანა კარი გავაღე.

– აბა, – მივმართე მე, ჩასხედით.

გოგონები აძვრნენ და კუთხეში მიიყუჯნენ. ეტყობოდა, სროლას აინუნშიაც არ აგდებდნენ. უკან მოვიხედე. სერქანტი იქვე ეგდო, გრძელსახელოებიანი, ჭუჭყიანი პერანგი ეცვა. პიანის მოვუჯექი გვერდში და დავიძარით. მინდვრის გადაჭრა დავაპირეთ. როცა მინდორს მიადგა გზა, ჩამოვხტი და მანქანებს წინ გავუძეხი. აქედან გასვლას თუ მოვახერხებდით, გადაღმა უკვე გზა იყო. ვერ მოვახერხეთ გადასვლა. მიწა სულ წყლით იყო გაბუუჯებული. ბორბლები ლაფში ჩაეფლო და საბოლოოდ გაგვეჭედა მანქანები. ჩამოვხტით და ფეხით გავსწიეთ უდინისაკენ. მანქანები მინდორში დავტოვეთ.

როცა გავედით გზაზე, რომელიც მთავარ გზატკეცილს უერთდებოდა, მე გოგონები გავახედე იქითკენ.

– იქ წადით, – ვუთხარი მე, – იქ ხალხია.

შემომხედეს. საფულე ამოვიღე და ათ-ათი ლირა მივეცი. – იქ წადით, – ვუთხარი მე და ხელით ვანიშნე, – მეგობრები! თქვენიანები!

გაგებით ვერაფერი გაიგეს, მაგრამ ფული მაგრად ჩაბლუჯეს და გზას გაუდგნენ. თან უკან იხედებოდნენ, თითქოს ეშინოდათ, ფული ისევ არ წაგვართვასო. მე მათ შევყურებდი, შალი მაგრად შემოეხვიათ ტანზე და მიდიოდნენ, ზოგჯერ შიშით გამოგვხედავდნენ ხოლმე. შოფრები იცინოდნენ.

– მე რამდენსდა მომცემთ, Tenente, იქით რომ წავიდე? – მკთხა ბონელომ.

– თუ გაბმა უწერიათ, ბარემ ხალხში გაებან, - ვთქვი მე.

– ორასი ლირა მომეცით და პირდაპირ ავსტრიაში წავალ, – თქვა ბონელომ.

– წაგართმევენ, – უთხრა პიანიმ.

– იქნებ საშველი დაადგეს ომის გათავებას, თქვა აიმომ.

რაც ძალა და ღონე გვქონდა, სწრაფად მივდიოდით. მზე ღრუბლებიდან გამოჭყეტას ლამობდა. გზისპირას თუთის ხეები იყო ჩამწკრივებული. ხეებს იქით რომ გავიხედე, მინდორში ჩვენი ორი მანქანა დავინახე. პიანიმაც მიიხედა.

– გზის გაყვანა გახდება საჭირო მაგათ გამოსათრევად, – თქვა მან.

– ერთი, ველოსიპედები მოგვცა და მეტი არა მინდა რა, თქვა ბონელომ.

– ამერიკაშიაც დადიან ველოსიპედებით? – იკითხა აიმომ.

– უწინ დადიოდნენ.

– აქ კარგი რამეა, – თქვა აიმომ, დიდებულია ველოსიპედი.

– ისვრიან? – ვიკითხე მე. მომეყურა, თითქოს სადღაც შორს ისროდნენ.

– არ ვიცი, – მითხრა აიმომ. დააყურადა.

– მგონი, ისვრიან, – ვთქვი მე.

- ყველაზე ადრე კავალერია გამოჩნდება, – თქვა პიანიმ.
- არა მგონია, კავალერია ჰყავდეთ.
- ღმერთმა გისმინოს, – მიუგო ბონელომ, – ვერაფრად მეპიტნავება, შუბი მატაკოს ვიღაც მ... კავალერისტმა.
- მარჯვედ კი მოარტყით იმ სერუანტს, Tenente, – თქვა პიანიმ. ჩქარი ნაბიჯით მივდიოდით.
- მე ჩავაძლე, – თქვა ბონელომ, ჯერაც არავინ მომეკლა ომში, და ჩემი დღე და მოსწრება იმას ვნატრობდი, ერთი სერუანტი მომაკვლევინა-მეთქი.
- რაღა იმის მოკვლა და რაღა დაბუდებული კრუხისა, – უთხრა პიანიმ, მაინცდამაინც სწრაფად ვერ მიჰქროდა, შენ რომ მოკალი.
- მერე რა მოხდა. ეგ ისეთი საქმეა, რომ მუდამ მემახსოვრება. ხომ ჩავაძლე... სერუანტი!
- მღვდელს რაღას ეტყვი აღსარებაზე? – ჰკითხა აიმომ.
- პირდაპირ ვეტყვი: «მაკურთხე, მამაო, რამეთუ სერუანტი მოვჰკალი მე».
- ყველას გაეცინა.
- ეგ ხომ ანარქისტია; – თქვა პიანიმ, ეკლესიაში რა უნდა!
- პიანიც ანარქისტია, – თქვა ბონელომ.
- მართლა ანარქისტები ხართ? – ვკითხე მე.
- არა, Tenente, სოციალისტები ვართ. ჩვენ ყველანი იმოლიდანა ვართ.
- არასოდეს არა ყოფილხართ იქა?
- არა.
- ღვთის მადლმა, დიდებული ადგილია, Tenente. ომი რომ გათავდება, ჩამოდით და კაი რამეებს გაჩვენებთ.
- ყველანი სოციალისტები ხართ, იქა?
- სუყველანი.
- კარგი ქალაქია?
- საუცხოო. მაგისთანას მეორეს ვერ ნახავთ.
- როგორ გახდით სოციალისტები?
- ყველანი სოციალისტები ვართ. დიდიან-პატარიანა სოციალისტებად გავჩნდით.
- ჩამოდით, Tenente, და თქვენც გაგასოციალისტებთ.
- ცოტა უფრო წინ გზა მარცხნივ უხვევდა, აქ იყო პატარა გორაკი და ქვის გალავნით შემოღობილი ვაშლის ბაღი. აღმართს რომ შევუდექით, დადუმდნენ. ერთმწკრივად მივდიოდით და ვცდილობდით, ჩქარა გვევლო.

თავი XXX

უფრო მოგვიანებით ჩვენ გავედით გზაზე, რომელიც მდინარესა ჭრიდა. მთელს გზაზე, ზედ ხიდამდე, მიტოვებული საბარგო მანქანებისა და ფურგონების გრძელი მწკრივი იყო გადაჭიმული. კაცის ჭაჭანება არ ჩანდა.

მდინარე მოდიდებულიყო, ხიდი კი შუა ადგილას ჩაეწერიათ. ქვის თაღი მდინარეში ჩაწოლილიყო და ზევიდან მღვრიე წყალი გადასდიოდა. ნაპირს შევყევით, გადასასვლელ ადგილს ვეძებდით. ვიცოდი, რომ ზემოთ, სადღაც, რკინიგზის ხიდი იყო და იმედი მქონდა, იქ გადავიდოდით. ბილიკი სველი და ტალახიანი იყო. ჯარის ნაწილები არ გამოჩენილა, მიტოვებულ მანქანებსა და ქონებასღა ვხედავდით. მდინარის გაყოლებაზე არავინ და არაფერი არ ჩანდა, გალუმბული ბუჩქნარი და ტალახი იყო მხოლოდ. ავყევით ნაპირს და ბოლოს რკინიგზის ხიდსა ვკიდეთ თვალი.

— რა ლამაზი ხიდია! — თქვა აიმომ. ეს იყო თითქმის ამომშრალ მდინარეზე გადებული გრძელი რკინის ხიდი.

— ვიჩქაროთ და გადავიდეთ, მანამ აუფეთქებიათ, — ვთქვი მე.

— სადღაა ამფეთქებელი. — თქვა პიანიმ, — ყველა წავიდა.

— დანაღმული იქნება, — თქვა ბონელომ, — პირველი თქვენ გადადით, Tenente.

— ანარქისტს დამიხედეთ! — შესძახა აიმომ, პირველად სწორედ ეგ გაუშვით.

— მე წავალ, — ვთქვი მე, ისე არ დანაღმავდნენ, რომ ერთი კაცის სიმძიმემ ააფეთქოს.

— ხომ ხედავ, — თქვა პიანიმ, — ჭკუაც ამას ჰქვია! შენ რატომ არა გაქვს, ანარქისტო, ჭკუა?

— ჭკუა რომ მქონდეს, აქაც არ ვიქნებოდი.

— ეს კი კარგად გამოუვიდა, Tenente, — თქვა აიმომ.

— კარგი იყო, — დავეთანხმე მე. უკვე მივადექით ხიდს. ცა კვლავ ღრუბლებით დაიფარა და წამოჟინჟდლა. გრძელი და მყარი ჩანდა ხიდი. მიწაყრილზე ავცოცდით.

— თითო-თითოდ გავიდეთ, — ვთქვი მე და ხიდზე შევდგი ფეხი. ყურადღებით ვათვალიერებდი განძელებსა და რელსებს. იქნებ მავთულს ან ნაღმის რაიმე ნიშანს წავაწყდე-მეთქი. მაგრამ არაფერი დამინახავს. დაბლა, განძელებს შორის, მღვრიე და სწრაფი მდინარე მოჩანდა. წინ, სველი მინდვრების გადაღმა, წვიმაში გახვეული უდინი დავინახე. მანამ ხიდს გავივლიდი, უკან მოვიხედე. ცოტა ზემოთ კიდევ ერთი ხიდი მოჩანდა. ტალახისფერმა მანქანამ გაიარა. იმ ხიდს მაღალი მოაჯირები ჰქონდა და როგორც კი შევარდა მანქანა, ხელადვე დაიმალა. მაგრამ მე მაინც ვხედავდი შოთრის, შოთრის გვერდზე მჯდომისა და უკანა სავარძელში მსხდომი ორი კაცის თავებს. გერმანული ჩაჩქანები ეხურათ. მანქანამ ხიდი გადაჭრა და ხეებსა და გზაზე მიტოვებულ ტრანსპორტს მიეფარა. მე ხელი დავუქნიე აიმოს, რომელიც უკვე ხიდზე იდგა, და დანარჩენებს_წამოდით-მეთქი. დაბლა ჩავინაცვლე და მიწაყრილის ძირში დავჯექი. აიმოც ჩამომყვა.

— მანქანა დაინახე? — ვკითხე მე.

— არა. თქვენ გიყურებდით.

— ზემოთა ხიდზე გერმანელთა შტაბის მანქანამ გაიარა.

— შტაბის მანქანამ?

— ჰო.

— ო, ღვთიშობელო!

სხვებიც შემოგვიერთდნენ და მიწაყრილის ძირში მოვიკალათეთ, ტალახში, თან ზემოთ ვიყურებოდით და ვხედავდით ხეებს, თხრილსა და გზას.

— ვითომ, გადაგვიჭრეს, Tenente?

— ვერ გეტყვით. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ გერმანელთა საშტაბო მანქანამ ჩაიარა.

— უქეიფოდ ხომ არა ხართ, Tenente? თავბრუ ხომ არ დაგეხვათ?

— ნუ ლაზლანდარობ, ბონელო.

— რა იქნება, რომ დავლიოთ?!_ თქვა პიანიმ, — გადაჭრილები თუ ვართ, დავლიოთ მაინც. _ მათარა მოიხსნა და საცობი მოაძრო.

— შეხეთ, შეხეთ! _ წამოიძახა აიმომ და გზისკენ გაგვახედა. ქვის მოაჯირის ზემოთ გერმანული ჩაჩქანები მოჩანდა. წინ გადახრილიყვნენ და თითქოს ზებუნებრივი სისწრაფით მიცურავდნენ. ხიდს რომ გასცდნენ, მთელი ტანით გამოჩნდნენ. ველოსიპედისტთა რაზმები იყო. პირველი ორის სახე გავარჩიე. ღაუღაუ, ჯანიანი ბიჭები ჩანდნენ. ჩაჩქანი შუბლზე ჩამოფხატოდათ და ცოტათი სახესაც უფარავდათ. კარაბინები ველოსიპედებზე დაემაგრებინათ. ქამრებზე ხელყუმბარები ჰქონდათ ჩამოკონწიალებული, ტარით დაბლა. ჩაჩქანები და რუხი ტანსაცმელი სულ დასველებოდათ და ლაღად მიდიოდნენ, თანაც აქეთ-იქით იყურებოდნენ. თავში ორი იყო, მერე ოთხი, მერე ისევ ორი, მერე თითქმის მთელი დუჟინი, რასაც კიდევ ერთი დუჟინი მიჰყვებოდა და მერე ერთი, განცალკევებით. ერთმანეთში არ ლაპარაკობდნენ, თუმცა რა _ მდინარე ისე ხმაურობდა, რომ ჩვენ მაინც ვერ გავიგონებდით. თვალს მიეფარნენ.

— წმიდაო მარია! _ წარმოთქვა აიმომ.

— გერმანელები იყვნენ, — თქვა პიანიმ, - ავსტრიელები არ ყოფილან.

— რატომ არავინ არ შეაჩერა? _ ვთქვი მე, — ხიდი რად არ ააფეთქეს? ტყვიამფრქვევები რატომ არ უდგათ მიწაყრილთან?

— ამას ჩვენ გვეუბნებით Tenente,?! _ მითხრა ბონელომ.

გული ყელში მომებჯინა.

— ნუთუ სულ დაგიუდა ხალხი! ქვემოთ პატარა ბოგირი ააფეთქეს, აქ კი მთავარ გზატკეცილზე დაუტოვეს ხიდი! სად გადაიკარგნენ? ნუთუ შეჩერებასაც აღარ ცდილობენ!

— ჩვენ გვეუბნებით, Tenente?! _ მითხრა ბონელომ. დავჩუმდი. მე რაში მეკითხებოდა. ჩემი საქმე მარტო ის იყო_პორდენონეში ჩავსულიყავი და სამი სანიტარული მანქანა ჩამეყვანა. ეს ვერ მოვახერხე. ახლა კი ისღა დამრჩენოდა_როგორმე პორდენონემდე ჩამეღწია. მაგრამ, ეტყობა, უდინშიაც ვერ ჩავაღწევ. ჯანდაბას, თუ ვერ ჩავაღწევ! იმასღა უნდა ვეცადო, რომ ჩუმად ვიყო და როგორმე თავი არ მოვაკვლევინო, ან ტყვედ არ ჩავარდე.

— არ გახსენი ეს მათარა? — ვკითხე პიანის. გადმომაწოდა. კარგა ბევრი მოვსვი, — წავიდეთ ბარემ, ვთქვი მე, თუმცა საჩქაროც არაფერია. ხომ არ მოგშივდათ?

— აქ გაჩერება არ იქნება, თქვა ბონელომ.

— კეთილი და პატიოსანი. წავიდეთ.

— ასე ვიაროთ, თვალს მოფარებული?

— სჯობს ზევით-ზევით ვიაროთ. ხომ შეიძლება, ამ ხიდზედაც გამოიარონ! თავზე რომ მოგვექცნენ, მანამ ჩვენ დავინახავთ, უარესი იქნება.

ლიანდაგს გავყევით. აქეთაც და იქითაც სველი მინდვრები იყო გადაჭიმული. წინ, მინდვრის გადალმა, უდინის გორაკი მოჩანდა. გორაკზე, ციხის აქეთ-იქით, სახურავები გადაშლილიყო. სამრეკლო და საათის კოშკიც მოჩანდა. მინდვრები სულ თუთის ხეებით იყო გადაჭრელებული. ცოტა რომ გავიარეთ, რკინიგზა აეყარათ. განძელებიც დაეთხარათ და მიწაყრილის ძირში დაეყარათ.

— ჩადით, ჩადით! — შესძახა აიმომ. მიწაყრილის გასწვრივ ჩავსრიალდით. ველოსიპედისტების მეორე რაზმი მიდიოდა გზაზე. მიწაყრილის კიდიდან გავხედე და ვნახე, რომ ჩაიარეს.

— დაგვინახეს, მაგრამ მაინც ჩაიარეს, თქვა აიმომ.

— ამოგვხოცავენ, Tenente, თქვა ბონელომ.

— მაგათ ჩვენ არ ვჭირდებით, ვუთხარი მე, რაღაც სხვას გამოსდევნებიან, უეცრად თუ წამოგვადგნენ თავზე, შენ მაშინ იკითხე.

— მე მაინც დაბლა ვარჩევდი, მოფარებული ვიქნებით, თქვა ბონელომ.

— შენი ნებაა. ჩვენ კი რკინიგზას გავყვებით.

— როგორა გგონიათ, ვითომ გავაღწევთ? მკითხა აიმომ.

— რაღა თქმა უნდა. ჯერ ცოტანი არიან. შედამებისას მივალთ.

— იმ შტაბის მანქანას რაღა უნდოდა?

— უფალმა უწყის, ვთქვი მე. მივყვებოდით რკინიგზას, ბონელომ დაბლა, ტალახში სიარული სცადა, მაგრამ ისევ შემოგვიერთდა. რკინიგზა ახლა გზატკეცილს შორდებოდა და სამხრეთით უხვევდა... ამიტომ ვეღარ ვხედავდით, გზაზე რა ხდებოდა. არხზე გადებული ხიდი ჩაენგრიათ და, როგორც იქნა, ხიმინჯებზე გადავძვერით. წინიდან სროლის ხმა მოდიოდა. არხს რომ გავცდით, ისევ ზევით ავედით. ახლა უკვე პირდაპირ ქალაქისკენ მიემართებოდა ჩავარდნილ მინდვრებში გაჭრილი გზა. წინ სხვა რკინიგზის ხაზიც გამოჩნდა. ჩრდილოეთით მთავარი გზატკეცილი იყო, რომელზედაც ველოსიპედისტებმა ჩაიარეს, სამხრეთით - ორი მხრიდან ხეებით გადმობურული ვიწრო გზა. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა სამხრეთით წავსულიყავით და ისე შემოგვევლო ქალაქისათვის, მერე სასოფლო გზით კამპოფორმიოში მივიდოდით, ხოლო იქიდან მთავარი გზატკეცილით - ტალიამენტოში. ამრიგად, პატარ-პატარა გზებით შემოვულიდით უდინს, ხოლო უკან დახევის მთავარ გზას გვერდს ავუქცევდით. აქ, მინდორ-მინდორ, პატარა გზები ბლომად მეგულებოდა. მიწაყრილიდან დაბლა დავეშვი.

– წავიდეთ, – ვთქვი მე. პატარა გზას გავყვებით და ქალაქს სამხრეთით მოვექცევით-მეთქი, ვიფიქრე. სხვებიც დაეშვნენ. უცებ სასაფლო გზიდან გვესროლეს. ტყვია მიწაყრილის ტალახში შეიჭრა.

– დაიხიეთ! – შევძახე მე. ისევ მიწაყრილზე დავიწყე აბობლება ტალახში. შოთრები ჩემს ზემოთ იყვნენ. რაც ძალა და ღონე მქონდა, გავქანდი და თავზე მოვექცი მიწაყრილს. ხშირი ბუჩქნარიდან კიდევ წამოვიდა ორი ტყვია, და აიმო, რომელიც ლიანდაგზე გადიოდა, შეტოვდა, დაბარბაცდა და პირქვე ჩაემხო. მეორე მხრიდან გადავითრიეთ და ზუგრზე დავასვენეთ. – თავი მაღლა დაუჭირეთ, – ვთქვი მე. პიანიმ შეაბრუნა. მიწაყრილის დაქანებაზე დავაწვინეთ, ფეხებით დაბლა. ყოველ ამოსუნთქვაზე სისხლს აღებინებდა. გარს შემოვეხვიერ და სამივენი ჩავცუცქდით იმ წვიმაში. ტყვია კისერში მოხვედროდა, ზევით წამოსულიყო და ამ მარჯვენა თვალის უპეში გამოსულიყო. მანამ მე სისხლის შეჩერებას ვცდილობდი, მოკვდა კიდეც. პიანიმ თავი მიწაზე დაასვენა, პირისახე ჯალაშით მოუწმინდა და მიატოვა.

– ძაღლიშვილები! – გამოცრა მან.

– გერმანელები არ ყოფილან, – ვთქვი მე, – იქ გერმანელებს რა უნდათ!

– იტალიელები! – ისე წარმოთქა ეს სიტყვა პიანიმ, თითქოს იგინებაო. _Italiani? – ბონელოს არაფერი უთქვამს. აიმოს ეჯდა გვერდში, მაგრამ არ უყურებდა. აიმოს ქუდი მიწაყრილზე დაგორებულიყო, პიანიმ აიღო და სახეზე დააფარა. მერე მათარა მოხსნა.

– არ დალევ? – ბონელოს გაუწოდა მათარა.

– არა, – მიუგო ბონელომ. მე მომიბრუნდა: – სულ რკინიგზაზე სიარულის ბრალია – ყველა ჩვენგანს შეიძლებოდა ეს დამართოდა.

– არა, – მე უკასუხე, – რკინიგზიდან რომ გადავუხვიერ მინდვრისკენ, სწორედ იმის გამო მოხდა.

ბონელომ თავი გააქნია, – აიმო მოკლეს, – თქვა მან, – ახლა ვისი ჯერია, Tenente? საით წავიდეთ ახლა?

– იტალიელებმა მოკლეს, – ვთქვი მე, – გერმანელები არ ყოფილან.

– გერმანელები რომ ყოფილიყვნენ, სულ ამოგველეტდნენ, – თქვა ბონელომ.

– იტალიელებისა გერმანელებზე უფრო უნდა გვეშინოდეს ახლა, – ვთქვი მე, – არიერგარდს ყველაფერი აფრთხობს. გერმანელებმა ის მაინც იციან, რას აკეთებენ.

– თქვენ მართალს ამბობთ, Tenente, – თქვა ბონელომ.

– ახლა საით წავიდეთ? – იკითხა პიანიმ.

– მანამ დაბნელდებოდეს, ჯობს სადმე გავწვეთ. სამხრეთისაკენ თუ მოვახერხეთ გასვლა, აღარაფერი გვიჭირს.

– აიღებენ და ერთიანად ამოგვეუჟავენ, რათა პირველი გასროლა გაამართლონ, – თქვა ბონელომ, – საალალბედოდ ვერ გავიხდი საქმეს.

– რამდენადაც შეიძლება, უდინს მივუახლოვდეთ და დაღამებამდე სადმე შევაფაროთ თავი, მერე კი სიბნელეში წავალთ.

_ მაშ, წავიდეთ ბარემ, _ თქვა ბონელომ.

მიწაყრილის ჩრდილოეთით დავეშვით. უკან მოვიხედე. აიმო ტალახში ეგდო, მიწაყრილის კუთხეში. სულ დალელულიყო. ხელები გვერდების გაყოლებაზე ჰქონდა ჩაშვებული, სახვევებში გახვეული წვივები და ტალახიანი ჩექმები გაეჭიმა, ქუდი სახეს უფარავდა. ძალიან მკვდარი ჩანდა. წვიმდა. იშვიათად თუ ვინმე შემითვისებია ცხოვრებაში აიმოსავით. მისი ქაღალდები ჯიბეში მედო. ოჯახისათვის უნდა შემეტყობინებინა. წინ, მინდორზე, ხეებში ჩამჯდარი ფერმა გამოჩნდა. სახლს სათავსოებიც ჰქონდა მიშენებული, მეორე სართულის გასწვრივ სვეტებზე დაბჯენილი აივანი მიედგათ.

_ ჯობს ცალ-ცალკე ვიაროთ, ერთმანეთისაგან ცოტა დაშორებით, _ ვთქვი მე, _ წინ მე წავალ.

ფერმისკენ გავსწიი. მინდორში ბილიკი იყო გაკვალული.

მივდიოდი მინდორში და არ ვიცოდი, როდის მესროდნენ_ან ეზოში აღმართული ხეებიდან და ან თვით სახლიდან. სახლს გავუპირდაპირე. მშვენივრად ვხედავდი ყველაფერს. მეორე სართულის აივანი პირდაპირ საბძელს უერთდებოდა და სვეტებში თივა გამოჩრდილიყო. ეზო ქვებით იყო მოკირწყლული, ხეებიდან წვიმა წვეთავდა. ეზოში დიდი, ცარიელი ორთვალა იდგა, ხელნა მაღლა აშვერილიყო, წვიმაში. გადავჭერი ეზო და აივნის ქვეშ გადავიყუდრე. კარი ღია იყო და სახლში შევედი. ბონელო და პიანიც შემომყვნებ. სახლში ბნელოდა. სამზარეულოში გავედი. დიდ, ღია ბუხარში ნაცარი ეყარა. ნაცარს ზემოთ ქვაბები ეკიდა, მაგრამ ცარიელები იყო. მივიხედ-მოვიხედე, საჭმელი არაფერი ჩანდა.

_ საბძელში დავიცადოთ, _ ვთქვი მე_რას იტყვი, პიანი, საჭმელს ვერაფერს იპოვი და ვერ მოგვიტან იქა?

_ წავალ, მოვძებნი.

_ მეც მივეხმარები, _ თქვა ბონელომ.

_ კარგი, წადით, მე კიდევ მაღლა ავალ და საბძელს დავათვალიერებ, _ ვუთხარი მე. ქვის კიბეს წავაწყდი, რომელიც პირდაპირ საბძელში მიდიოდა. გომურიდან სიმშრალის სუნი გამოდიოდა, რაც განსაკუთრებით სასიამოვნო იყო წვიმაში. საქონელი აღარსად ჩანდა, ეტყობოდა, წასვლის წინ გაერეკათ. საბძელი ნახევრად გამოვსებული იყო თივით. ჭერს ორი ფანჯარა ჰქონდა დატანებული. ერთი ფიცრებით ამოეჭედათ, მეორე კი_ჩრდილოეთით გამოჭრილი ვიწრო სარკმელი_სამერცხული იყო. კედლიდან გომურში ღარი ეშვებოდა, რითაც საქონელს თივას უყრიდნენ ბაგაში. ერთ კუთხეში კოჭები გადაეჯვარედინებინათ და ურმებით მოტანილი თივა აქედან შემოჰქონდათ ხოლმე. მესმოდა სახურავიდან წვიმის ხმა, თივის სუნს ვიყნოსავდი, ხოლო დაბლა რომ დავეშვი, გომურში ხმელი ნეხვის სასიამოვნო სუნი მომივიდა. ერთ ფიცარს თუ მოგლეჯდი, სამხრეთის ფანჯარიდან მთელი ეზო ხელისგულივით ჩანდა. მეორე ფანჯარა, ჩრდილოეთით, მინდორს გადაჰყურებდა, უცებ კიბე რომ გაუქმებულიყო, ორივე ფანჯარიდან შეგვეძლო სახურავზე გასვლა და იქიდან ეზოში დაშვება, ან არადა პირდაპირ ღარით

ჩავცურდებოდით. დიდი საბძელი იყო, და ვინმეს ხმა რომ გაგვეგონა, თივაში დავიმალებოდით. საიმედო ადგილი ჩანდა. უსათუოდ გავაღწევდით სამხრეთით, სროლა რომ არ აეტეხათ. შეუძლებელია, აქ გერმანელები ყოფილიყვნენ. ისინი ჩრდილოეთიდან მოიწევნ, ჩივიდალუს გზით. სამხრეთიდან ვერ შემოაღწევდნენ. იტალიელები უფრო საშიშარნი გახდნენ. დაფეხული არიან და რასაც კი მოჰკრავენ თვალს, მაშინვე სროლას აუტეხენ. წუხელ, უკან დახევის დროს, ყური მოვკარით – ჩრდილოეთით, უკან დახეულებს იტალიურ ფორმაში გამოწყობილი გერმანელებიც შეერივნენ. მე არ დამიჯერებია. ამისთანა რამეებს სულ იგონებენ ხოლმე ომის დროს. მტერი ჩადის ამას. აბა, იმას კი არ გეტყვიან, ვიღაცამ გერმანული სამხედრო ფორმა ჩაიცვა ჯარში არევ-დარევის შესატანადო. იქნებ ეგეც ხდებოდეს, მაგრამ ასეთი ხმები ძნელად ვრცელდება. არა მგონია, გერმანელებს ეს გაეკეთებინოთ. დარწმუნებული ვარ, არც გაუკეთებიათ. ანკი რად სჭირდებოდათ ჩვენი უკანდახეული ჯარის არევ-დარევა; ჯარის სიმრავლე და გზების სიმცირე იწვევს ამას, და გერმანელები რაღად გვინდოდა, ისედაც არეულ-დარეული იყო ყველაფერი. მაგრამ მაინც შეიძლებოდა, გერმანელები ვგონებოდით და დავეხვრიტეთ. აიმო ხომ მოკლეს! თივას სასიამოვნო სუნი აქვს და საბძელში რომ წევხართ თივის ბულულებზე, ეს განვლილი წლები თითქოს სულაც გამქრალანო. ვკოტრიალობდით ხოლმე თივაზე, რაღაცას ვყბედობდით და ხელოთფათი ბეღურებსა ვხოცავდით, რომლებიც კედლის ძგიდებე ჩამოსკუპდებოდნენ, ზედ საბძლის სახურავთან. საბძელიც გაქრა, და ერთ წელიწადს სულ გაკაფეს მათოთი, ნატყევარზე მხოლოდ ძირკვები, ხმელი ტოტები და ფიჩხილა დარჩა. უკან ვერ დაბრუნდები. თუ წინაც არ წახვედი, რა მოხდება? მილანში დაბრუნებას ვეღარ ეღირსები. თუ დაბრუნდი მილანში, მაშინ რაღა მოხდება? ჩრდილოეთით, უდინისაკენ, სროლის ხმა ისმოდა. ტყვიამფრქვევის კაკანს ვარჩევდი. ზარბაზნებს არ ისროდნენ. ეს თავისთავად რაღაცის ნიშანი იყო. ალბათ, ჯარის ნაწილები გამოიყვანეს ქუჩაში. დაბლა გადავიხედე და ბინდ-ბუნდში პიანი გავარჩიე, იღლიებში გრძელი ძეხვი, რაღაცნაირი ქილა და ორი ბოთლი ღვინო ამოეჩარა.

– ამოდი, – ჩავძახე მე, – აგერ, კიბე. – მერე გამახსენდა, შველა დასჭირდება-მეთქი, და მეც დაბლა დავეშვი. თივაში წოლით თავბრუ დამსხმოდა. თითქოს წამძინებოდა კიდეც.

– ბონელო სადღაა?

– ახლავე გეტყვით, – მიპასუხა პიანიმ. კიბეს ავუყევით. ძეხვი და ღვინო თივაზე დავაწყვეთ. პიანიმ კორპსაძრობიანი დანა ამოიღო და ღვინის ბოთლი გახსნა.

– სანთლით დაუბეჭდავთ, – თქვა მან, – კარგი უნდა იყოს. – გაიღიმა.

– ბონელო რა იქნა?

პიანიმ შემომხედა.

– წავიდა, Tenente, – მითხრა მან, – ტყვედ დავნებდებიო.

ხმა არ გამიღია.

დაგვხოცავენო, ეშინოდა.

ხელში ღვინის ბოთლი მეჭირა და ხმას არ ვიღებდი.

— საერთოდ არ გვიყვარს ჩვენ ომი Tenente.,

— შენ რატომდა არ წახვედი?

— თქვენი მიტოვება დამენანა.

— საით წავიდა?

— წავიდა კი, და საით წავიდა, არ ვიცი, Tenente.

— რა გაეწყობა, — ვთქვი მე, ძეხვს არ დასჭრი?

პიანიმ ბინდ-ბუნდში შემომხედა.

— უკვე დავჭერი, მანამ ვლაპარაკობდით, — მითხრა მან. დავსხედით თივაზე და ძეხვსა და ღვინოს შევექეცით. ღვინო, ეტყობა, საქორწილოდ ჰქონდათ გადანახული. სიძველისაგან ფერიც დაჰკარგოდა.

— შენ ამ ფანჯარაში იყურე, ლუიჯი, — მივმართე მე, მე კიდევ მეორე ფანჯარასთან მივალ.

ღვინოს ცალ-ცალკე ბოთლიდან ვსვამდით. ჩემი ბოთლი ავიღე, ვიწრო სარკმელთან მივედი, წამოვწექი და სველ მინდორს გადავხედე. ვერ ვიტყვი, რის დანახვას მოველოდი, მაგრამ მინდვრების, გატიტვლებული თუთის ხეებისა და წვიმის მეტი არაფერი ჩანდა. ღვინოს ვსვამდი, მაგრამ გუნება მაინც ვერ გამომისწორა. ძალიან დიდხანს შეენახათ და ფერიც დაჰკარგოდა და გემოც. გარეთ ბნელდებოდა. სწრაფად წამოვიდი წყვდიადი. წვიმიანი და ბნელი ღამე იქნებოდა. რაღა აზრი ჰქონდა სიბნელეში ცქერას, ავდექი და პიანისკენ გადავინაცვლე. პიანი გაშხლართულიყო და ეძინა. არ გამიღვიძებია, ერთხანს ისე მოვუჯექი გვერდში. ზორბა ბიჭი იყო და მაგრად ეძინა. ცოტა ხნის შემდეგ გავაღვიძე და გზას გავუდექით.

ძალიან უცნაური ღამე იყო. არ ვიცი, რას მოველოდი_სიკვდილს, ალბათ, სროლას, სიბნელეში სირბილს... მაგრამ არაფერი მომხდარა. მიწას გავეკარით თხრილის პირას, მთავარ გზატკეცილთან და გერმანელთა ბატალიონების გავლას ველოდით. როცა ჩაიარეს, გზა გადავჭერით და ჩრდილოეთით გავემართეთ. ორჯერ თითქმის ზედ წავადექით წვიმაში გერმანელებს, მაგრამ ვერ შეგვნიშნეს. ისე შემოვუარეთ ჩრდილოეთიდან ქალაქს, რომ ერთი იტალიელიც არ გვინახავს, მალე მთავარ გზაზე უკანდახეულებს შევუერთდით და მთელი ღამე ტალიამენტოს მიმართულებით მივდიოდით. ვერც კი წარმომედგინა, რა გიგანტური იყო ეს უკან დახევა. მთელი ქვეყანა დაძრულიყო, არმიასთან ერთად. მთელი ღამე ვიარეთ, ტრანსპორტს გავუსწარით. ფეხი მტეხდა, დაღლილი ვიყავი, მაგრამ მაინც არ შეგვინელებია ნაბიჯი. რა სისულელე მოუვიდა ბონელოს, რომ ტყვედ ჩავარდნა გადაწყვიტა. არავითარი საშიშროება არ ყოფილა. ისე ჩავუარეთ ორივე არმიას, რომ არაფერი არ შეგვმთხვევია. აიმო რომ არ მოეკლათ, ისეთი წარმოდგენა გვექნებოდა, თითქოს არც არასოდეს ყოფილიყოს საშიშროება. არავის უხლია ხელი, რკინიგზას რომ მოვყვებოდით, სააშკარაოზე. მოულოდნელად და უაზროდ მოვიდა სიკვდილი. ნეტა, ბონელო სდ არის-მეთქი, ვფიქრობდი.

- _ როგორა ხართ, Tenente? _ მკითხა პიანიმ.
- ტრანსპორტითა და ჯარით გაჭედილ გზის კიდეს მივყებოდით.
- _ მშვენივრად.
- _ დამქანცა ამ სიარულმა.
- _ ჰო, მაგრამ, მაგის მეტი საქმე არაფერი გვაქვს. არაფერი არ გვაწუხებს.
- _ რა სისულელე მოუვიდა ბონელოს!
- _ მართლაც სისულელე მოუვიდა.
- _ ახლა რას უპირებთ, Tenente?
- _ არ ვიცი.
- _ ხომ ვერ გაამჟღავნებთ, ტყვედ ჩაბარდაო?
- _ არ ვიცი.
- _ საქმე ისაა, რომ, ომი თუ გაგრძელდა, ოჯახს დაადგება ცუდი დღე.
- _ ომი არ გაგრძელდება, – თქვა ვიღაც ჯარიკაცმა, – ჩვენ შინ მივდივართ.

ომი გათავდა.

- _ ყველა შინ მიდის.
- _ ყველანი შინ მივდივართ.
- _ წავიდეთ, Tenente ,_მითხრა პიანიმ. უნდოდა გასცლოდა ამათ.
- _ ტენენტეო? ვინ არის ტენენტე? A basso gli ufficiali!1 ძირს ოფიცრები!

1 ძირს ოფიცრები! (იტალ.).

პიანიმ ხელი მომკიდა._ჯობს, სახელი დაგიძახოთ, _ მითხრა მან,_რამე არ აგიტეხონ. მოკლეს კიდეც რამდენიმე ოფიცერი. _დავწინაურდით.

- _ ისეთ პატაკს არ შევადგენ, ოჯახი რომ დაუსაჯონ, – განვაგრძე დაწყებული საუბარი.
- _ ომი თუ გათავდა, მაშინ სულ ერთია,_თქვა პიანიმ,_მაგრამ არა მჯერა ომის დამთავრება. მაგას ვინ ეღირსება!
- _ მაგასაც მალე გავიგებთ,_ვთქვი მე.
- _ არა მჯერა ომის დამთავრება. ყველას ასე ჰერია, მაგრამ მე არა მჯერა.
- _ Viva la Pace!1 _ იყვირა ერთმა ჯარისკაცმა, – ჩვენ შინ მივდივართ.
- _ ნეტა მართლა შინ წავიდეთ!_თქვა პიანიმ,_არ გინდათ შინ დაბრუნება?
- _ როგორ არ მინდა.
- _ მაგას ვერ ვეღირსებით. არა მგონია, გათავებულიყოს.
- _ Andiamo a casa!2_იყვირა ჯარისკაცმა.
- _ თოფებსა ყრიან, – თქვა პიანიმ, _ იხსნიან და სიარულშივე ყრიან, მერე კი ყვირიან.
- _ ცუდსა შვრებიან. არ უნდა მოიშორონ თოფები.
- _ თოფები თუ გადავყარეთ, ვეღარ გვაომებენო, ფიქრობენ.

სიბნელეში და წვიმაში მივყებოდით გზის კიდეს და ვხედავდით, რომ ბევრს ისევ ისე ჰერინდა თოფი გადაკიდებული. ლაბადებს ზემოდან ულაყლაყებდათ.

— რომელი ბრიგადაა? — დაიძახა ოფიცერმა.
— Brigata di Pace!3 — გასძახა ვიღაცამ, - მშვიდობის ბრიგადა!_ოფიცერს ხმა
არ გაუდია.

1 გაუმარჯოს მშვიდობას!

2 შინისაკენ.

3 მშვიდობის ბრიგადა.

— რაო? რაო, ოფიცერმა?
— ძირს ოფიცრები! Viva la Pace!
— ცოტა აუჩქარეთ, — მითხრა პიანიმ. ტრანსპორტში გაჭედილ ორ
ინგლისურ სანიტარულ მანქანას ავუქციეთ გვერდი.
— გორიციიდან არიან, — თქვა პიანიმ, — ვიცნობ მაგ მანქანებს.
— ჩვენთვის გამოუსწრიათ.
— ჩვენზე ადრე წამოვიდნენ.
— ნეტა შოფრები სად არიან?
— წინ იქნებიან.
— გერმანელები უდინის მისადგომებთან შეჩერდნენ, — ვთქვი მე, —
მდინარის გადალახვა მოგვიწევს.
— ნამდვილად, — თქვა პიანიმ, — იმიტომაც ვამბობ, ომი გაგრძელდება-
მეთქი.
— გერმანელებს კიდევ უფრო წინ შეეძლოთ წამოსვლა, — ვთქვი მე, — ნეტა,
რას უდგანან.
— რა ვიცი; საერთოდ, ამ ომს ასავალ-დასავალი ვერ გავუგე.
— ალბათ, აღალს ელოდებიან.
— რა მოგახსენოთ, — თქვა პიანიმ. მარტოდ დარჩენილი, გაცილებით
უფრო თავაზიანი გახდა. სხვები რომ ჰყავდა გვერდში, უწმაწური ლაპარაკი
იცოდა.
— ცოლშვილიანი ხარ, ლუიჯი?
— აკი იცით, რომ ცოლშვილიანი ვარ.
— იმიტომ არ დანებდი ტყვედ?
— ნაწილობრივ ამიტომაც. თქვენ ცოლშვილიანი ხართ, Tenente?
— არა.
— არც ბონელო.
— ყველაფერს ამით ვერ ახსნი, მაგრამ, ასე მგონია, რომ დაოჯახებულ კაცს
უფრო ეჩქარება ცოლთან დაბრუნება, — ვთქვი მე. ცოლებზე ლაპარაკმა
გამახალისა.
— მართალია.
— ფეხი როგორა გაქვთ?
— კაი გვარიანად მტებს.

ჯერ კიდევ არ იყო გათენებული, ტალიამენტოს სანაპიროს რომ მივადექით და ადიდებულ მდინარეს ქვემოთ დავუყევით, ხიდისკენ, რომელზედაც ჯარის გადაყვანა წარმოებდა.

_ ამ მდინარეზე კარგად უნდა გამაგრდნენ, _თქვა პიანიმ. სიბნელუში მდინარე ძალიან ადიდებული ჩანდა. წყალი ბობოქრობდა და კალაპოტიც გაგანიერებულიყო. ხის ხიდი თითქმის სამი მეოთხედი მიღლის სიგრძისა იყო და მდინარე, რომელიც სხვა დროს სადღაც დაბლა, ქვის ფართო კალაპოტში ვიწროდ მიიკვლევდა გზას, ახლა ლამის ხის კოჭებსა სცემდა. დავუყევით მდინარის ნაპირს და მერე ჯგროს შევერიეთ, რომელიც ხიდზე გადიოდა. ბრბოში გაჭედილები ძლივს მივჩანჩალებდით, ზემოდან გვაწვიმდა, ქვემოთ კი, სულ რამდენიმე გოჯით დაბლა, აქოთქოთებულ მდინარეს ხე და მიწა მიჰქონდა. ზედ ცხირწინ ყუმბარებით გატენილი ყუთი ჩაატარეს, მე თავი გვერდზე მქონდა მოღრცილი და მდინარეს ვუყურებდი. ახლა, როცა იძულებული გავხდი სხვისი ნაბიჯისთვის ამეწყო ფეხი, საშინელი დაღლილობა ვიგრძენი. დიდი გამოცოცხლება არა ყოფილა ხიდზე. ნეტა რა ამბავი დატრიალდება, დღისით რომ თვითმფრინავიდან ყუმბარა გადმოაგდონ-მეთქი.

_ პიანი, _ გავძახე მე.

_ აქა ვარ, Tenente, _ ამ ჭყლეტაში ცოტათი წინ წასულიყო. კაციშვილი ხმას არ იღებდა. ყველა იმას ცდილობდა, რაც შეიძლება ჩქარა გადასულიყო, და სხვაზე არც არაფერზე ფიქრობდა. თითქმის გაღმა ვიყავით. ხიდის თავში, ზედ გადასასვლელთან, აქეთ-იქით ოფიცრები და კარაბინერები იდგნენ და ფარნებს ატრიალებდნენ. ცის ფონზე მათი სილუეტები შავად იკვეთებოდა. როცა მივუახლოვდით, შევნიშნე, რომ ერთმა ოფიცერმა კოლონაში ვიღაცაზე ანიშნა. კარაბინერი მივარდა და მკლავში ხელი სტაცა იმ კაცს. გზიდან გადაიყვანა. თითქმის გავუპირდაპირდით მათ. ოფიცრები ყველას გულმოდგინედ ათვალიერებდნენ კოლონაში, ზოგჯერ ერთმანეთს გადაულაპარაკებდნენ, ხან წინ გამოვიდოდნენ, რათა ვინმესთვის სახეში მიენათებინათ ფარანი. მანამ გავუპირდაპირდებოდით, კიდევ წაიყვანეს ვიღაც. მე ვხედავდი ამ კაცს. პოდპოლკოვნიკი იყო. ფარანი რომ მიანათეს, მკლავზე ვარსკვლავები შევნიშნე. ჭალარათმიანი, დაბალ-დაბალი, ჩასუქებული კაცი იყო. კარაბინერმა გვერდზე გაათრია, ოფიცრებს უკან. როცა გავუპირდაპირდით, შევნიშნე, რომ ორი კაცი მე მომშტერებოდა. მერე ერთ-ერთმა ხელი მომაშვირა და კარაბინერს გადაულაპარაკა. კარაბინერი ჩემკენ წამოვიდა, ბრბოში გზა გამოიკვლია, მომადგა და ქეჩოში მწვდა.

_ რა მოგივიდათ? _ შევყვირე და სახეში ვდრუზე. ქუდი ჩამოფხატოდა, ულვაშები ზემოთ ჰქონდა აბზეკილი და ღაწვებზე სისხლი სწვეთავდა. კიდევ ჩაყვინთა ვიღაცამ ბრბოში და ჩემკენ წამოვიდა.

_ რა მოგივიდათ? _ ვკითხე მე. ხმა არ გამცა. ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რომ გავექაჩე. ხელი წელისკენ გავაცურე, რათა პისტოლეტი ამომელო.

მეორემ უკანიდან დამიჭირა ხელი და ისე მაღლა ამიქაჩა, ლამის ამომიგდო. იმას რომ მოვუბრუნდი, ახლა პირველმა მომხვია კისერზე ხელი. წვივებზე წიხლები დავუშინე და მარცხენა მუხლი ზედ ფენთხში ამოვკარი.

_ მიახვრიტე, თუ გაგიძალიანდეს!_გავიგონე ვიღაცის ხმა.

_ გამაგებინეთ, რა მოხდა? _ ვცადე დაყვირება, მაგრამ ხმა აღარ მომყვა. ამასობაში გზიდან გადამიყვანეს.

_ მიახვრიტე, თუ გაგიძალიანდეს! _ თქვა ოფიცერმა, _ აქეთ გამოიყვანეთ.

_ ვინა ხართ?

_ მაღლე გაიგებთ.

_ ვინა ხართ?

_ საველე პოლიცია,_მიპასუხა მეორე ოფიცერმა.

_ რაღა ეს აეროპლანები მომისიეთ, პირდაპირ მთხოვდით _ წამოდიო!

არაფერი უპასუხიათ. ანკი რა უნდა ეთქვათ. საველე პოლიცია იყო.

_ ეგეც სხვებს შეუერთეთ, _ თქვა პირველმა ოფიცერმა,_ხომ ხედავთ, იტალიურს აქცენტით გამოთქვამს.

_ შენზე უხეიროდ მაინც არ ვლაპარაკობ, შე ძაღლის შვილო. _ მივახალე მე.

_ ეგეც სხვებს შეუერთეთ, _ თქვა პირველმა ოფიცერმა.

ოფიცრების მწვრივს უკან გამატარეს, გზიდან გადამახვევინეს და წყლის პირას გამიყვანეს, საცა ხალხი ჰყავდათ შექუჩებული. იმათკენ რომ გავემართეთ, სროლის ხმა გაისმა. დავინახე, როგორ დააკვესა ცეცხლმა და ბათქიც გავიგონე. ჩვენც იმ ხალხს შევუერთდით. ოთხი ოფიცერი ჩამწკრივებულიყო და წინ ვიღაც კაცი ედგათ, რომელსაც თითო კარაბინერი ამოსდგომოდა აქეთ-იქით. იქვე ხალხის ერთი ჯგუფი იდგა, კარაბინერებით გარშემორტყმული. ოთხი სხვა კარაბინერი დამკითხავ ოფიცერთა მახლობლად კარაბინებს დაჰყურდნობოდა. ფართოქუდიანი კარაბინერები იყვნენ. ორმა, მე რომ გამქაჩა, ახლა ხელი მკრა და დაკითხვის მომლოდინე ხალხთან მიმაგდო. იმ კაცს შევხედე, ვის დაკითხვასაც აწარმოებდნენ. სწორედ ის პატარა, ჭაღარათმიანი, ჩასუქებული პოდპოლკოვნიკი იყო, წელან კოლონიდან რომ გამოიყვანეს. დამკითხავი ოფიცრები დიდი ფორმალობით, გულცივობითა და თავდაჭერილობით ირჯებოდნენ, სწორედ ისე, როგორც იტალიელებს შეჰვერით, რომლებიც თვითონ კი ესვრიან, ხოლო იმას აღარ ფიქრობენ, ვაითუ ჩვენც გვესროლონო.

_ თქვენი ბრიგადა?

უთხრა.

_ პოლკი?

უთხრა.

_ თქვენს პოლკთან რატომ არა ხართ?

ეგეც უთხრა.

_ არ იცით, რომ ოფიცერი თავის ნაწილს არ უნდა მოშორდეს?

იცოდა.

მორჩა დაკითხვას. ახლა მეორე ოფიცერმა დაიწყო.

– თქვენი და თქვენისთანების ბრალია, რომ ბარბაროსები სამშობლოს წმინდა მიწა-წყალზე შემოგვეჭრნენ.

– მომიტევეთ... – დაიწყო პოდპოლკოვნიკმა.

– თქვენისთანა მოღალატეებმა დაგვაკარგვინეს გამარჯვების ნაყოფი.

– ოდესმე უკან დახევა თუ შეგხვედრიათ? – ჰკითხა პოდპოლკოვნიკმა.

– იტალიისათვის უცხო უნდა იყო უკან დახევა.

წვიმაში ვიდექით და ამას ვისმენდით. ჩვენ ოფიცრებს შევყურებდით სახეში, პატიმარი კი ჩვენს წინ იდგა, ოდნავ განზე.

– დახვრეტას თუ მიპირებთ, – მიმართა პოდპოლკოვნიკმა, – ბარემ დამხვრიტეთ, მეტს ნუღარაფერს მკითხავთ. ეს სულელური დაკითხვაა. – პირჯვარი გადაისახა. ოფიცრებმა ერთმანეთს გადაულაპარაკეს. ერთმა ოფიცერმა ბლოკნოტში ჩაიწერა რაღაც.

– მიატოვა თავისი ნაწილი, დაიხვრიტოს!_თქვა მან.

ორმა კარაბინერმა მდინარის ნაპირას გაიყვანა პოდპოლკოვნიკი. მიდიოდა ქუდმოხდილი ბერიკაცი წვიმაში, და აქეთ-იქით კარაბინერები ამოსდგომოდნენ. როგორ ესროლეს, არ შემიხედავს, ბათქი კი გავიგონე. ახლა სხვა გამოიყვანეს დასაკითხად. ესეც თავის ნაწილს ჩამოშორებული ოფიცერი იყო. თავისგამართლების ნებაც არ მისცეს. ტირილი მორთო, როცა განაჩენი წაუკითხეს ბლოკნოტის ფურცელზე, ხოლო როცა იმას ხვრეტდნენ, ოფიცრებს უკვე სხვა გამოეყვანათ დასაკითხად. ასე შვრებოდნენ ხოლმე, სიკვდილმისჯილს არც კი აცლიდნენ სიკვდილს-ალი გამოჰყავდათ. აშკარა იყო, არაფერი გამოვიდოდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა_დაკითხვისათვის დამეცადა, თუ ახლავე ვცდილიყავი გაქცევას. ბევრი ჩიჩინი აღარ უნდოდა, რომ მე ვიყავი იტალიურ ფორმაში გამოწყობილი გერმანელი! აკი ვხედავდი, როგორ მუშაობდა მათი ტვინი, თუკი ჰქონდათ საერთოდ ტვინი, ან თუ ამუშავებდნენ ამ ტვინს. სულ ყმაწვილი კაცები იყვნენ და სამშობლოს ხსნისათვის იღვწოდნენ. მეორე არმიას ხელმეორედ ადგენ-აყალიბებდნენ ტალიამენტოს გაღმა. თავიანთ ნაწილებს ჩამოშორებულ მაიორებსა და უფრო მაღალი ხარისხის ოფიცრებს იქვე ხვრეტდნენ. ასევე განუკითხავად უსწორდებოდნენ იტალიურ მუნდირში ჩაცმულ გერმანელ აგიტატორებსაც. იმათ ფოლადის ჩაჩქანები ეხურათ. ჩვენგან მხოლოდ ორსა ჰქონდა ფოლადის ჩაჩქანი. ზოგი კარაბინერიც ასეთ ჩაჩქანს ატარებდა. დანარჩენ კარაბინერებს ფართოფარფლებიანი ქუდები ეხურათ. მიტომაც ვეძახდით აეროპლანებს. წვიმაში ვიდექით, და დასაკითხავადა და დასახვრეტად თითო-თითო გავყავდით. აქამდე ვინც კი დაკითხეს, ერთიც არ გადარჩენია დახვრეტას. დამკითხველები ძალიან ერთგულად იცავდნენ სასტიკ კანონს და ადამიანებს სიკვდილით უმასპინძლდებოდნენ, ოღონდ ისე, რომ საკუთარ თავს ოდნავადაც არ იგდებდნენ საფრთხეში. ახლა სასაზღვრო ჯარების პოლკოვნიკის დაკითხვა წარმოებდა. ის იყო, სამი ოფიცერი კიდევ შემოგვიმატეს.

— სად იდგა თქვენი პოლკი?

კარაბინერებს გადავხედე. ისინი ახალმოსულებს მიშტერებოდნენ. დანარჩენები პოლკოვნიკს შესცეკეროდნენ. უცებ თავი ჩავქინდრე, ორ გუშაგს შორის გავიძურწე და, თავჩაღუნულმა, მდინარისაკენ გავურცხლე. ზედ ნაპირთან რაღაცას წამოვდე ფეხი და წყალში მოვადინე ზღართანი. წყალი ძალიან ცივი იყო და სანამ შემეძლო, შიგვე დავრჩი. ვიგრძენი, როგორ დამატრიალეს ტალღებმა, მაგრამ ვიდრე არ გავიფიქრე, მეტს ვეღარ გავუძლებ-მეთქი, თავი აღარ ამომიყვია, ერთი წუთით ამოვყურყუმელავდი, ჰაერი ჩავყლაპე და ისევ ჩავეშვი. ჩექმებითა და ტანსაცმლით დამმიმებულს, აღარ გამძნელებია წყალში გაჩერება. მეორედ რომ ამოვიყურყუმელავე, იქვე კუნძსა ვკიდე თვალი, იქითკენ გავცურე და ხელი მოვჭიდე. თავი კუნძს მოვაფარე და აღარც გამომიხედავს. აღარ მინდოდა ნაპირისკენ გახედვა. რომ გავიქეცი, მაშინვე ატეხეს სროლა და, პირველად რომ ამოვიყურყუმელავე, ისევ ისროდნენ. წყლის ზედაპირთან ახლოს რომ ვიყავი ამოტივტივებული, მაშინაც მესმოდა სროლის ხმა. ახლა აღარ ისროდნენ. კუნძი ირწეოდა და მე ცალი ხელი მქონდა ჩავლებული. ნაპირისკენ გავიხედე. მომეჩვენა, თითქოს ძალიან სწრაფად ვშორდებოდი. მდინარეზე ხეები ტივტივებდნენ. წყალი ძალიან ცივა იყო. ბუჩქნარით დაფარულ კუნძულს ჩავუქროლე. ორივე ხელი ჩავჭიდე კუნძს და მივყევი. ნაპირი უკვე აღარც ჩანდა.

თავი XXXI

როცა მდინარე სწრაფად მიდის, ვეღარც კი გრძნობ, რამდენი ხანი ხარ წყალში. თითქოს დიდი დრო გასულაო, სინამდვილეში კი იქნებ სულ ცოტა ხანს გაევლოს. წყალი ცივი იყო, თანაც ადიდებული. რაც კი რამ ადიდების დროს ნაპირიდან ჩემოერეცხა, ახლა სულ ამოტივტივებული მოჰკონდა. ბედი ჩემი, რომ მძიმე კუნძს ჩავჭიდე ხელი! ვიწექი ყინულივით ცივ წყალში, ნიკაპი ხეზე მქონდა დადებული, და ვცდილობდი, რაც შეიძლება მსუბუქად დავყრდნობოდი ხელებს. მეშინოდა, კრუნჩხვამ არ მომიაროს-მეთქი, და ნაპირზე გარიყვას ვნატრობდი. სულ კლაკვნით მივექანებოდით თავქვე. უკვე ისე ინათლა, რომ ნაპირზე ბუჩქნარს ვარჩევდი, წინ ბუჩქნარით დაფარული კუნძული გამოჩნდა და დინებამ ნაპირისაკენ წაგვიღო. ერთი პირობა ვიფიქრე, ჩექმებსა და ტანსაცმელს გავიხდი და ნაპირზე როგორმე ცურვით გავალ-მეთქი, მაგრამ ისევ გადავიფიქრე. ერთი წამითაც არ გადამიწყვეტია იმედი, რომ როდისმე ნაპირს მივაღწევდი, და ჩექმები რომ გამეხადა, მერე ფეხშიშველა ცუდ დღეში აღმოვჩნდებოდი. როგორმე მესტრემდე უნდა მიმეღწია.

შევნიშნე, რომ ნაპირი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა, მერე შორს წავიდა, მერე ისევ მოახლოვდა. ახლა უფრო ნელა მივცურავდით. ნაპირი სულ ახლოს მოვიდა. ტირიფის ბუჩქზე ყველა რტოს გაარჩევდი. კუნძი მძიმედ შემოტრიალდა, ასე რომ ზურგი შევაქციე ნაპირს, და მივხვდი, რომ მორევში

შევცურეთ. ნელ-ნელა ვტრიალებდით. ისევ რომ დავინახე ნაპირი, და თანაც უფრო ახლოს, ცალი ხელი გავითავისუფლე და ვცადე, ფეხების დახმარებით, კუნძი ნაპირისკენ მიმეცურებინა, მაგრამ ოდნავაც კი ვერ დავძარი. შემეშინდა, მორუემა სიღრმეში არ ჩაგვითრიოს-მეთქი, ის ერთი ხელი არც გამიშვია ისე, ფეხები შევატრიალე და კუნძს მივაბჯინე, მერე წიხლი ვკარი და ნაპირისკენ გავვარდი. ბუჩქებს იქვე ვხედავდი, მაგრამ ვერც ინერციის ძალამ, ვერც იმან, რომ, რაც ძალი და ღონე მქონდა, ხელებს ვუსვამდი, ვერ მიშველა, და დინებამ ისევ მომიტაცა. სულ ამ ჩექმების გამო უნდა დავიხრჩო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ჩავყვინთე და გამწარებით მოვუსვი და მოვუსვი ხელები, ხოლო როცა მაღლა ავიხედე, ვნახე, რომ ნაპირი ჩემკენ დაძრულიყო, და მანამ არ მივადექი, ცურვა არც შემინელებია, მიუხედავად იმისა, რომ დამძიმებული ფეხები უკან მეწეოდა. ტირიფის ბუჩქს წავატანე ხელი, მაგრამ ტანის ასაზიდად ძალა აღარ მეყო. ვიცოდი, რომ აღარ დავიხრჩობოდი. კუნძზე ჩაფრენილი რომ ვიყავი, ერთხელაც არ მიფიქრია, ვაითუ დავიხრჩო-მეთქი. ზედმეტი დაძაბულობისაგან გულგვამი ამომიტრიალდა, ვიყავი ბუჩქზე ხელებჩაფრენილი და ვიცდიდი. ცოტა რომ მოვსულიერდი, ბუჩქისკენ მივიწიე და ისევ შევისვენე, მკლავები ბუჩქზე მქონდა შემოვლებული და ხელები_ტოტებზე მაგრად ჩაჭიდებული. მერე ნელ-ნელა ავცოცდი, ბუჩქს ავცდი და ნაპირზე ავედი. მიწაზე გავითხლარშე და მდინარისა და წვიმის ხმაურიღა მესმოდა.

ცოტა ხნის შემდეგ წამოვდექი და ნაპირს დავუყევი. ვიცოდი, რომ ლატისანამდი ხიდი არ იქნებოდა. ახლა, ალბათ, სან ვიტოს პირდაპირ უნდა ვყოფილიყავი. რა ვიღონო-მეთქი, ფიქრს მივეცი თავი. იქვე არხი შევნიშნე, რომელიც მდინარეს ერთვოდა. იმ არხისაკენ გავემართე. აქამდე არავისათვის არ მომეკრა თვალი. ჩამოვჯექი თხრილის პირას ბუჩქთან, ჩექმები წავიძრე და წყალი გამოვასხი. მერე ტუნიკა გავიხადე, უბის ჯიბიდან საფულე გამოვიღე, რომელშიაც სულ მთლად დამბალი საბუთები და ფული მეწყო, და ტუნიკა გავწურე. მერე შარვალი გავიხადე და ისიც გავწურე, პერანგიცა და ქვედა საცვალიც გავწურე. ტანზე ხელები ვიტყაპუნე, კარგად დავიზილე და ისევ ჩავიცვი. ქუდი დამკარგოდა.

მანამ ტუნიკას ჩავიცვამდი, სახელოზე ვარსკვლავები დავიჭერი და ფულთან ერთად უბის ჯიბეში ჩავიდე. ფული დამბალი კი იყო, მაგრამ არ დახეულიყო. დავთვალე. სამი ათას ლირაზე ცოტა მეტი აღმოჩნდა. სველი ტანსაცმელი ტანზე მიმეწება და ხელების ქნევას მოვყევი, რომ სისხლი უფრო სწრაფად ამემოძრავებინა. მატყლის საცვლები მეცვა და, თუ ვიმოძრავე, არ გავცივდები-მეთქი, გადავწყვიტე. პისტოლეტი გზაში ჩამომართვეს, და ბუდე ტუნიკის ქვეშ მოვიქციე. ლაბადა არა მქონია და წვიმაში მციოდა. თხრილის ნაპირს შევყევი. უკვე კარგად გათენდა და ირგვლივ ნესტი, ჟანტი და მოწყენილობა სუფევდა. მინდვრები განძარცული და სველი იყო. შორს, მინდვრის გადაღმა სამრეკლო გამოჩნდა. გზაზე გამოვედი. ჩემკენ მომავალი ქვეითი ჯარის ნაწილები დავინახე. კოჭლობით გადავედი გზის პირას და ისე

ჩამიარეს, რომ არც შემოუხედავთ. მეტყვიამფრქვევეთა განაყოფი იყო და მდინარისაკენ მიემართებოდნენ. მე გზა განვაგრძე.

იმ დღეს ვენეციის ველი გავიარე. ისედაც ჩავარდნილი ადგილია, ხოლო წვიმაში კიდევ უფრო ჩარეცხილი ჩანდა, ზღვისკენ უხვად შეხვდები მლაშე ჭყანტობებს, გზებს კი იშვიათად გადაეყრები. მდინარის შესართავებს მიჰყვებიან ეს გზები და, ველის გადაჭრას თუ განიზრახავ, თხრილისპირ გაკვალულ ბილიკებს უნდა გაჰყვე. მე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მივემართებოდი და ორი რკინიგზის ხაზი და მრავალი გზა გადავკვეთე, ბოლოს კი ერთმა ბილიკმა მიმაყენა რკინიგზას, რომელიც ჭყანტობს ირგვლივ უვლიდა. ეს იყო ვენეცია-ტრიესტის შემაერთებელი მთავარი ხაზი, მაღალი, მყარი მიწაყრილი, კარგად გამაგრებული ვაკისი და ორლიანდაგიანი გზა. ცოტა ქვემოთ საგუშაგო სადგური მოჩანდა, და გავარჩი კიდეც გუშაგი ჯარისკაცები. წინ ხიდს შენიშნავდით, მდინარეზე, რომელიც პირდაპირ ჭყანტობში შედიოდა. ხიდზედაც დავინახე გუშაგი. ჩრდილოეთით რომ მივემართებოდი, შორიდან მოვკარი თვალი ამ ხაზზე მატარებელს, რომელიც ტრიალ მინდორში კარგად გამოჩნდა, და მაშინვე გამიელვა, იქნებ პორტოგრუაროდან მომავალმა მატარებელმაც გამოიაროს-მეთქი. გუშაგებს გადავხედე და მიწაყრილის დაფერდებაზე გავწექი, ისე რომ ორივე ლიანდაგსა ვხედავდი. ხიდის გუსაგი ცოტათი ჩემვენ გამოჰყვა ლიანდაგს, მერე შეტრიალდა და უკანვე გაბრუნდა ხიდისკენ. ვიწექი მშიერი და მატარებელს ველოდი. შორიდან რომ მატარებელს ვკიდე თვალი, ისე გრძელი იყო, ორთქლმავალი ძლივს მიათრევდა, და გული მომეცა, შევახტები-მეთქი. ლოდინით გული რომ გადამელია და ლამის იმედიც გადავიწყვიტე, უცებ მატარებელი დავინახე. რაც უფრო ახლოვდებოდა ორთქლმავალი, თანდათანობით დიდდებოდა და დიდდებოდა. ხიდის გუშაგს გავხედე. გამოდმა იყო, ოღონდ ლიანდაგს იქით. ასე რომ, მატარებლის ჩავლის დროს მოფარებული იქნებოდა. თვალს არ ვაშორებდი მოახლოებულ ორთქლმავალს. მძიმედ ქშინავდა. შევნიშნე, რომ ბევრი ვაგონი ება. ვიცოდი, მატარებელზედაც იქნებოდნენ გუშაგები, და მინდოდა დამენახა, სად იყვნენ, მაგრამ თვითონ ჩასაფრებული ვიყავი და ვერ მოვახერხე. ორთქლმავალი თითქმის გამიპირდაპირდა. ამ ვაკეზედაც კი საშინლად ქოთქოთებდა და ქშინავდა. როცა ჩამიარა და მემანქანე ვეღარ დამინახავდა, წამოვდექი და მიმავალ ვაგონებს მივუახლოვდი. კიდეც რომ ყოფილიყვნენ გუშაგები, ნაკლებ საეჭვოდ მოვეჩვენებოდი ზედ ლიანდაგთან მდგარი. რამდენიმე დახურულმა საბარგო ვაგონმა ჩაიქროლა. მერე ბრეზენტით გადახურული დაბალი, ღია ვაგონი გამოჩნდა, რასაც აქ გონდოლებს ეძახიან. ვაცალე, მანამ სულ არ ჩამივლიდა, მერე შევახტი, უკანა კარების სახელურს ჩავეჭიდე და ტანი ავზიდე, ბუფერზე გავცოცდი და გონდოლისა და შემდეგი დიდი საბარგო ვაგონის შორის მოვთავსდი, ჯახარიდზე. არავის დავუნახავარ-მეთქი, გავიფიქრე. სახელურს ხელი ჩავჭიდე და ჩავჯექი, ფეხები ქუროს მივაბჯინე. თითქმის გავუპირდაპირდით ხიდს. ახლადა გამახსენდა გუშაგი. როცა ჩავიარეთ,

შემომხედა, ბავშვი იყო, ჩაჩქანი ჩამოფხატოდა. მე ზიზღით გადავხედე და მანაც თავი მიაბრუნა. მატარებლის თანამშრომელი ვეგონე.

ჩავიარეთ. ისევ შეწუხებული ჩანდა. ახლა სხვა ვაგონებს შეჰყურებდა, და მეც გადავიხედე, ბრეზენტი როგორ არის-მეთქი დამაგრებული. რგოლები ჰქონდა დატანებული და ბოლოებში ბაწრით იყო მიკრული. დანა ამოვიდე, ბაწარი გადავჭერი და ხელი შევაცურე. რაღაც მაგარი მომხვდა, წვიმით დასველებული. თავი წამოვწიე და წინ გავიხედე. დიდ საბარგო ვაგონში გუშაგი დავინახე, მაგრამ ის წინ იყურებოდა. სახელურს ხელი ვუშვი და ბრეზენტის ქვეშ შევცურდი. შუბლი რაღაცას დავკარი, საშინლად გამამწარა, სახეზე სისხლი ვიგრძენი, მაგრამ მაინც შევძვერი და გავწექი. მერე მივბრუნდი და ისევ დავამაგრე ბრეზენტი.

ზარბაზნებში აღმოვჩნდი. ზეთისა და ბენზინის სასიამოვნო სუნი იდგა. ვიწექი და ვისმენდი ბრეზენტზე წვიმის ტყაპუნს, ბორბლების დაგდაგს. გარედან მკრთალი სინათლე აღწევდა, მე ვიწექი და ზარბაზნებს შევყურებდი. თავ-თავიანთი ბრეზენტის შალითები კერათ. ალბათ, მესამე არმიისა-მეთქი, გავიფიქრე. შუბლზე კოპი დამაჯდა; გავისუსე, რომ სისხლი შემდედებოდა. მერე მიმხმარი სისხლი მოვიწმინდე, ოღონდ განაკაწრზე არ მომისვამს ხელი. აღარ მტკიოდა. ცხვირსახოცი არა მქონდა, მაგრამ ხელის ცეცებით ვატყობდი, სად მქონდა მიმხმარი სისხლი, და ბრეზენტიდან ჩამონაწვეთი წყლით ვიწმენდდი, მერე სახელოთი შევიმშრალე. არ მინდოდა, ვინმეს საეჭვო მოვჩვენებოდი. მესტრეში ჩასვლამდე უნდა ავბარგებულიყავი, რადგან ვიცოდი, რომ ზარბაზნებს მოაკითხავდნენ. სად იყო დასაკარგი ან დასავიწყებელი ზარბაზნები! ძაღლივით მშიოდა.

თავი XXXII

ვიწექი ბრეზენტგადაფარებული საბარგო ვაგონის ფიცრულ იატავზე, ზარბაზნების გვერდით, და ერთიანად გალუმპულს, საშინლად მციოდა და მშიოდა. ბოლოს გადავბრუნდი და მუცელზე დავწექი, თავი მკლავებზე დავასვენე. მუხლი დამიბუჟდა, მაგრამ საყვედლური არ მეთქმოდა. ვალენტინიმ ჩინებულად შეასრულა თავისი საქმე. მისი მუხლით გამოვიარე ამოდენა გზა და ტალიამენტოც მისივე მუხლით გამოვცურე. მისი მუხლი ითქმოდა, აბა რა! ჩემი_მეორე მუხლი იყო. რას არ გიხიმანკებენ ექიმები და მერე უკვე შენი აღარც კი არის სხეული. თავი მე მეკუთვნოდა, მთელი შიგნეულობაც, მუცლის ღრუში რაც კი რამ არის. ჰოი, როგორ მიწანწალებდა მუცელი! ვგრძნობდი, როგორ მიტრიალებდა შიგნით ყველაფერი. თავი მე მეკუთვნოდა, მაგრამ რის მაქნისი იყო, ვერაფერს ფიქრობდა. ერთადერთი _ მოგონებისთვის, და მოგონებითაც ბევრს ვერაფერს იგონებდა.

შემეძლო ქეთრინი მომეგონებინა, მაგრამ ისეთი მოგონება, როცა დარწმუნებული არ ვიყავი _ მოვახერხებდი თუ არა კვლავ ნახვას, ვიცოდი, რომ ჭკუიდან შემშლიდა. ვცდილობდი, არ მეფიქრა მასზე, ცოტას ვფიქრობდი,

ვაგონის ნელ რწევასა და ბორბლების გუგუნს ვაყოლებდი მასზე ფიქრს. ბრეზენტში მკრთალი სინათლე ატანს, მე კი ქეთრინთან ერთად ვაგონის ფიცრულ იატაკზე ვწევარ. ძნელია, ვაგონის მაგარ იატაკზე იწვე, არაფერს ფიქრობდე, და გრძნობდე მხოლოდ... წევხარ ამდენი ხნის დაშორებული, ერთიანად გალუმპული, ხანდახან იატაკის ფიცარი შეყანყალდება, გული ჩაწყვეტილი გაქვს, მარტოკა გდიხარ – სველი პერანგილა გეწებება ტანზე და ცოლის მაგივრად ფიცრებს ჩაჰკონებიხარ.

როგორ შეიძლება გიყვარდეს გადახსნილი საბარგო ვაგონის იატაკი ან შალითებში გახვეული ზარბაზნები, რომელთაც გაზეთილი ლითონის სუნი ასდით, ანდა წვიმით გაუდენთილი ბრეზენტი... თუმცა ძალიან სასიამოვნო კია ზარბაზნების გვერდით წოლა, ბრეზენტქვეშ. შენ სულ სხვა გიყვარს და იმას ახლა ვერც კი წარმოიდგენ შენს გვერდით. ძალიან მკაფიოდ და ცივად გეჩვენება ყველაფერი შენს ირგვლივ. ცივად იმდენად არა, რამდენადაც მკაფიოდ და უაზროდ. მუცელზე გათხლარშულხარ და უაზროდ გაგიშტერებია თვალები, გუშინ კი მოწმე გახდი, როგორ იხევდა ერთი არმია უკან და როგორ მოიჩევდა მეორე წინ. მანქანები და ჯარისკაცები დაჰკარგე, როგორც ნოქარი შთაანთქმევინებს ხოლმე დუქანს ცეცხლს. ნოქარს დაზღვეული მაინცა აქვს დუქანი. ამ საქმეს დაუძვერი. აღარავითარი ვალდებულება არ გაწევს. თუ ხანძრის შემდეგ ნოქრებს დუქანშივე დახვრეტენ იმ აქცენტის გამო, რითაც ისინი მთელი თავიანთი დღე და მოსწრება ლაპარაკობდნენ, დუქნის აღდგენის შემდეგ იმ ნოქრებს დახლში რაღა გააჩერებს! სხვა სამუშაო უნდა ეძიონ, თუკი მოიპოვება სხვა რამე სამუშაო, და პოლიციაც თუ არ გაქაჩავს.

გაგულისება და მოვალეობის გრძნობა მდინარემ ჩამორეცხა. თუმცა ეს გრძნობა მაშინ ჩაკვდა, როცა კარაბინერმა ქეჩოში ჩამავლო ხელი. ძალიან მინდოდა, გამეხადა მუნდირი, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულ მხარეებს არაფრად არ ვაგდებდი. მართალია, ვარსკვლავები დავიძვრე, მაგრამ ასე უფრო ვამჯობინე და იმიტომ პატივი სულაც არ გამხსენებია მაშინ. არც ისინი შემიძლებია. ეს იყო, რომ მოვრჩი ყველაფერს. ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს. მათში კარგებიც ბევრი ერია, მამაცებიც, დინჯებიცა და ჭკვიანებიც, ასე რომ კეთილი სურვილები ალალი იყო მათთვის. მაგრამ მე რაღას მეკითხება ეს ამბები, ნეტა ეს ოხერი მატარებელი მივიდეს ბარემ მესტრეში, რომ შევჭამო რამე და ფიქრები მოვიშორო. ფიქრის მოშორება კი უსათუოდ მინდოდა.

პიანი ამბავს მიიტანდა, დახვრიტესო. დახვრეტილებს ჯიბეებს უჩხრეცდნენ ხოლმე და საბუთები ამოჰონდათ. ჩემს საბუთებს ვერ ჩაიგდებდნენ. იქნებ დახრჩობილად გამომაცხადეს. ნეტა შტაბში როგორ ჩაიტანენ ჩემს ამბავს! გარდაიცვალა ჭრილობებისა და სხვადასხვა მიზეზების გამო. ღმერთო, როგორ მომშივდა. ნეტა ჩვენს მღვდელს რა მოუვიდა! ან რინალდის! ალბათ პორდენონეშია. იქიდანაც თუ არ დაიხიეს. მორჩა, ვეღარც ვნახავ მეტად. ვეღარავის ვნახავ იმათგან. ის დრო წავიდა. არა მგონია,

სიფილისი ჰქონდეს. თუმცა დროზე თუ მიუსწარი, არც ისეთი საშინელი სენი ყოფილა, როგორც ამბობენ. მაგრამ თვითონ ძალიან შეწუხებული იყო. მე კი არ შევწუხდებოდი, ეს რომ შემყროდა?! ვინ არ შეწუხდებოდა.

ფიქრისთვის არა ვყოფილვარ გაჩენილი. ჭამისთვის გავჩენილვარ. ასეა, მე და ჩემმა ღმერთმა. ჭამე, სვი და ქეთრინთან დაიძინე. იქნებ ამაღამაც ეღირსო. არა, ეს შეუძლებელია. ხვალ საღამოს კი შეიძლება. კარგი ვახშამი, ზეწრები, და აღარსადაც არ წახვალ უიმისოდ. წასვლა კი ძალიან მაღე მოგვიწევს. ისიც წამოვა. ვიცი, რომ წამოვა. როდის წავალთ? ამას დაფიქრება უნდა; ბნელდებოდა. ვიწერი და ვფიქრობდი, როდის წავალთ-მეთქი. წასასვლელს რა გამოლევს!

წიგნი მეოთხე

თავი XXXIII

შეანელა თუ არა მილანის სადგურში შესვლისას მატარებელმა სვლა, ჩამოვხტი. თენდებოდა. ლიანდაგი გადავჭერი, სახლებს შორის გავძვერი და ქუჩაში დავეშვი. ერთი სასაუზმე ვნახე ღია, და ყვის დასალევად შევედი. ადრიანი დილის სუნი იდგა, უკვე ახვეტილი მტვრის სუნი; საყავე ჭიქებში კოვზები ეწყო, ღვინის ჭიქებს მაგიდაზე სველი წრეები დაეჩნია. პატრონი დახლში იდგა. ერთ-ერთ მაგიდას ორი ჯარისკაცი მისჯდომოდა. მე დახლს მივადექი, ჭიქა ყავა დავლიე და ერთი ნაჭერი პური შევატანე. ყავა რძეს გაენაცრისფრებინა და პურის ნატეხით მოვაცალე ნაღები, სასაუზმის პატრონი მე შემომცეკეროდა.

- ერთ ჭიქა გრაპას არ დალევთ?
- არა, გმადლობთ.
- ჩემს ხარჯზე_თქვა მან, პატარა ჭიქა შეავსო და ჩემკენ მოსწია, ფრონტზე რა ამბებია?
- არ ვიცი.
- ეგენი მთვრალები არიან, მითხა მან და თითი იმ ორი ჯარისკაცისაკენ გაიშვირა. ადვილი დასაჯერებელი იყო, სიმთვრალე ზედვე ეტყობოდათ.
- მიამბეთ, თქვა მან, რა ამებია ფრონტზე?
- ფრონტისა არაფერი ვიცი.
- მე დაგინახეთ, როგორ დაეშვით. მატარებლიდან ჩამოხტით.
- უკან დახევას ბოლო არ უჩანს.
- გაზეთებს ვკითხულობ. ალი რა ხდება? აღარ თავდება?
- არა მგონია.
- დაბალი ბოთლიდან გრაპა დაასხა, თუ რამე გასაჭირი გადგათ, მითხრა მან, მე შეგიფარებთ.
- არაფერი გასაჭირი არ მადგას.
- თუ გასაჭირი გადგათ, ჩემთან დარჩით.

- მაინც სად?
- ჩემს სახლში. ბევრნი არიან ჩემთან. ვისაც კი გასაჭირი დაადგება, ჩემთან გამორბის.
- ბევრს ადგას გასაჭირი?
- გასაჭირს გააჩნია. სამხრეთ ამერიკელი ხართ?
- არა.
- ესპანური იცით?
- ცოტათი.
- დახლი გადაწმინდა.
- ძალიან გამნელდა საზღვრის გადალახვა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია.
- საზღვრის გადალახვა არც მიფიქრია.
- მანამ მოგწყინდებოდეთ, შეგიძლიათ ჩემთან იყოთ. თქვენ თვითონ ნახავთ, რა კაციცა ვარ.
- ახლა უნდა წავიდე, მაგრამ თქვენი მისამართი მეცოდინება.
- თავი გააქნია. — თქვენ ისე ლაპარაკობთ, რომ აღარ დაბრუნდებით. მე მეგონა, მართლა გასაჭირი გადგათ.
- გასაჭირი არ მადგას, მაგრამ მეგობრის მისამართი მაინც დასაფასებელია.
- ათლიორიანი დავდე დახლზე, ყავის საფასური.
- გრაპაზე დამეწვიეთ.
- ნუ შეწუხდებით.
- თითო ჭიქა.
- ორი ჭიქა გაავსო.
- გახსოვდეთ, — მითხრა მან, — პირდაპირ აქ მოდით. სხვას ნურავის გაენდობით. აქ არაფერი გაგიჭირდებათ.
- მჯერა.
- მართლა გჯერათ?
- დიახ.
- სერიოზულად შემომხედა. — მაშ, ერთ რამეს გეტყვით: ამ ტუნიკით ნუღარ ივლით.
- რატომ?
- სახელოზე თვალნათლივ გაჩნიათ ვარსკვლავების ანაგლეჯი. სულ სხვა ფერი ადევს.
- არაფერი მიპასუხია.
- საბუთებსაც მოგიხერხებთ, თუ არ გაქვთ.
- რა საბუთებს?
- შვებულებისას.
- საბუთები არა მჭირდება. მაქვს.
- ძალიან კარგი, — თქვა მან, — მაგრამ თუ რამე საბუთი დაგჭირდეთ, ყველაფერს გიშოვით.

- რა დაჯდება ეგეთი საბუთები?
 - საბუთებს გააჩნია. ძვირს არ ფასობს.
 - ამჟამად არა მჭირდება.
- მხრები აიჩეჩა.
- ყოველგვარი საბუთი მაქვს.
- გარეთ რომ გამოვდიოდი, მომაძახა: «არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენი მეგობარი ვარ».
- არა.
 - ისევ გნახავთ, – თქვა მან.
 - კეთილი, – მე ვუპასუხე.
- ქუჩაში გასულმა, სადგურს გვერდი ავუქციე, სამხედრო პოლიციელებს არ გადავეყარო-მეტქი, და პატარა ბალთან ეტლი დავიქირავე. მეეტლეს ჰოსპიტლის მისამართი მივეცი. პირდაპირ შვეიცრის ოთახისკენ გავემართე. შვეიცრის ცოლი გადამეხვია. ქმარმა ხელი ჩამომართვა.
- დაგვიბრუნდით! კარგადა ხართ!
 - დიახ.
 - ისაუზმეთ?
 - ვისაუზმე.
 - როგორ გიკითხოთ, Tenente? როგორა ხართ? – მკითხა ცოლმა.
 - მშვენივრად.
 - საუზმეზე არ დაგვეწვევით?
 - არა, გმადლობთ. ერთი ეს მითხარით, მისს ბარკლი ამჟამად ჰოსპიტალშია?
 - მისს ბარკლი?
 - აი, ინგლისელი მოწყალების და.
 - ამისი გოგო, – უთხრა ცოლმა. მკლავზე ხელი გადამისვა და გამიღიმა.
 - არა, მიპასუხა შვეიცარმა, – წასულია.

გული ჩამწყდა. – ნამდვილად? მაღალ-მარალ ქერა ინგლისელ ქალიშვილს გეკითხებით!

 - ნამდვილად. სტრეზას გაემგზავრა.
 - როდის წავიდა?
 - ორი დღის წინად. ისა და მეორე ინგლისელი გოგო.
 - რა გაეწყობა, – ვთქვი მე, – ერთ რამესა გთხოვთ: ნურავის ეტყვით, რომ მნახეთ. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.
 - არავის არ ვეტყვი, – აღმითქვა შვეიცარმა. ათლირიანი მივაჩეჩე. უკანვე გადმომიგდო.
 - პატიოსან სიტვას გაძლევთ, არავის ვეტყვი-მეტქი, მითხრა მან, – ფული რათ მინდა.
 - რითი შეგვიძლია გიშველოთ, Signor Tenente? – მკითხა ცოლმა.
 - პირში წყალს ჩავიგუბებთ, – მითხრა შვეიცარმა, – შემატყობინეთ, და რაც კი შემიძლია, ყველაფერს გაგიკეთებთ.

— უსათუოდ, — ვუთხარი მე, — ნახვამდის. კიდევ გნახავთ.

კარებში იდგნენ და შემომყურებდნენ.

ეტლში ჩავჯექი და მეეტლეს სიმონსის მისამართი მივეცი. აი, იმ ნაცნობისა, სიმღერას რომ სწავლობდა.

სიმონსი ქალაქის ბოლომი ცხოვრობდა, პორტა მაჯენტას მახლობლად. მე რომ მივედი, ჯერ ისევ იწვა და ეძინა.

— რა ადრე დგებით, ჰენრი, — მითხრა მან.

— დილის მატარებელს ჩამოვყევი.

— ეს უკან დახევა რაღა უბედურებაა? ფრონტზე იყავით? სიგარეტს არ მოსწევთ? კოლოფშია, მაგიდაზე.

დიდი ოთახი იყო. ერთ კედელთან საწოლი იდგა, მეორესთან როიალი, აქვე ედგა ერთი სატუალეტო და მეორე დიდი მაგიდა. მე სკამზე ჩამოვჯექი, საწოლთან. სიმონსი ბალიშს მიაწვა და პაპიროსი გააბოლა.

— ცუდ დღეში ვარ, სიმ, — ვუთხარი მე.

— მეც, — თქვა მან, — ანკი როდის ყოფილა ჩემი საქმე კარგად. არ მოსწევთ?

— არ მინდა, — ვუთხარი მე, — შვეიცარიაში წასვლისათვის რა არის საჭირო?

— თქვენთვის? იტალიელები არ გაგიშვებენ.

— ეგ მეც ვიცი. შვეიცარიელები? არც ისინი მიმიღებენ?

— ისინი დაგაკავებენ.

— ვიცი. მაგრამ ამ საქმის მექანიკა ამიხსენი.

— დიდი არაფერი. სულ უბრალო საქმეა. სადაც მოგეპრიანებათ, წახვალთ. ოღონდ, მე მგონი, აღრიცხვაზე უნდა გატარდეთ. დამაცა, პოლიცია ხომ არ მოგდევთ?

— ჯერ გაურკვეველია ეს.

— თუ გული გეთანაღრებათ, ნურც მეტყვით. თუმცა საინტერესო კია. აქ ყველაფერი ძველებურადაა. პიაჩენცაში თავიან-ფეხებიანად ჩავფლავდი.

— ძალიანა მწყინს.

— მაშა... ცუდად წამივიდა საქმე. კარგად კი ვიმღერე. ახლა აქ უნდა ვცადო ბედი, ლირიკულში.

— ნეტა მეც შემეძლოს მოსმენა.

— რა თავაზიანი ხართ! მართლა ცუდად ხომ არა გაქვთ საქმე?

— არ ვიცი.

— თუ გული გეთანაღრებათ, ნუ მეტყვით. აქ როგორდა მოხვდით? იმ დასაქცევ ფრონტს როგორ დაუძვერით?

— კმარა-მეთქი, გადავწყვიტე!

— ყოჩაღ. მუდამ ჭკვიან კაცად მიმაჩნდით. შემიძლია რითიმე დაგეხმაროთ?

— ძალიან მოუცლელი რომ ხართ!

— სულაც არა, რას ამბობთ, ჩემო ძვირფასო ჰენრი. სულაც არა. ნეტა კი დაგეხმაროთ და!..

— ჩვენ თითქმის ერთი სიმაღლისა ვართ. ვერ გამეგზავნებით და სამოქალაქო ტანსაცმელს ვერ მიყიდით? ტანსაცმელი კი მაქვს, მაგრამ რომში დავტოვე.

— აჲ, თქვენც ცხოვრობდით იქა! მაგისთანა საზიზღარი ქალაქი მეორე არ იქნება! როგორა სძლებდით?

— მინდოდა, არქიტექტორი გავმხდარიყავი.

— მერედა, სად რომი და სად არქიტექტურა! ტანსაცმლის ყიდვა რად გინდათ! მე მოგცემთ, რაც დაგჭირდებათ. ისე გამოგაწყოთ, რომ შემოხედვაც ვერ გაგიბედონ. აგერ საგარდერობოში შედით და რაც მოგეწონოთ კარადაში, ჩამოიღეთ. ყიდვა რად გინდათ, ჩემო მვირფასო!

— მე მაინც ყიდვა მირჩევნია, სიმ.

— მე კიდე, წასვლას და ყიდვას, მირჩევნია ჩემი ტანსაცმელი დაგითმოთ, ჩემო კარგო. პასპორტი გაქვთ? უპასპორტოდ ფეხსაც ვერ მოიცვლით.

— კი. ძველი პასპორტი მაქვს.

— მაშ, ჩაიცვით, ჩემო კარგო, და ძველი ჰელვეციისკენ გაემგზავრეთ.

— ეგ არც ასე ადვილია. ჯერ სტრეზას უნდა ჩავიდე.

— დიდებულია, ჩემო ძვირფასო მეგობარო! იქ ნავში ჩაჯდებით და იალა! სცენაზე გამოსვლას რომ არ ვაპირებდე, მეც წამოვიდოდი. წამოვალ კიდეც.

— იქ იოდელურზე გადახვალთ.1

1 სიმღერის თავისებური მანერა, დამახასიათებელი შვეიცარიისა და ტიროლის მთიელებისათვის.

— ნამდვილად, ჩემო ძვირფასო მეგობარო. განა არ შემიძლია. უცნაური არ არის!

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ კარგად იმღერებთ.

კედელს მიეყრდნო და კიდევ გააბოლა.

— დიდ სანაძლეოს ნუ ჩამოხვალთ. თუმცა სიმღერა მართლაც შემიძლია. სასაცილოა, მაგრამ ასეა. მიყვარს სიმღერა. აბა, მომისმინეთ, — ღრიალი ამოუშვა, «აფრიკელი ქალიდან» მღეროდა რაღაცას. კისერი გაუსივდა, ძარღვები დაებერა.

ფანჯარაში გადავიხედე.

— ჩავალ და ეტლს გავუშვებ.

— მალე ამოდით და ვისაუზმოთ, ჩემო ძვირფასო.

ლოგინიდან ჩამოვიდა, გაიმართა, ღრმად ჩაისუნთქა, ვარჯიშს მოჰყვა. მე დაბლა ჩავედი და მეეტლეს ქირა გადავუხადე.

თავი XXXIV

სამოქალაქო ტანსაცმელი რომ ჩავიცვი, თავი მასკარადზე მეგონა. ძალიან დიდხანს მეცვა სამხედრო მუნდირი და ახლა მეჩოთირა, გამოწკიპული რომ არ ვიყავი. შარვალი თითქოს ჩამოფანთხული მქონდა. მილანში სტრეზას ბილეთი

ვიყიდე. ახალი ქუდის ყიდვაც დამჭირდა. სიმის ქუდი ვერ ვიგუე, ტანსაცმელი კი კარგად მომერგო. თამბაქოს სუნი ასდიოდა, და კუპეში რომ ვიჯექი და ფანჯრიდან ვიყურებოდი, ასე მეგონა, ჩემი ახალი ქუდი ძალიან ახალი ჩანს და ტანსაცმელი კი ძალიან ძველი-მეთქი. ისეთივე მოწყენილი ვიყავი, როგორც ეს ნესტიანი ლომბარდის ბუნება, რასაც მე ფანჯრიდან გავცეკეროდი. კუპეში რამდენიმე მფრინავი იყო, რომელთაც თავიდანვე ამრეზით შემომხედეს. ჩემი ხნის კაცს რომ სამოქალაქო ტანსაცმელში მხედავდნენ, ზიზღს მაგრძნობინებდნენ. მე არ მიგრძნია შეურაცხყოფილად თავი. უწინ კარგად გამოგილანდავდი და ჩხუბსაც ავტებდი. გალარეტეში ჩავიდნენ და გამიხარდა, მარტო რომ დავრჩი. გაზეთი კი მქონდა, მაგრამ არ წამიკითხავს, აღარ მინდოდა ომის ამბების კითხვა. ვცდილობდი, დამევიწყებინა ომი. სეპარატული ზავი დავდე. საშინელი მარტოობა ვიგრძენი და გამიხარდა, როცა მატარებელი სტრეზას მიადგა.

სადგურზე სასტუმროების დალალებს ვნახავდი მეგონა, მაგრამ ერთიც არ გამოჩენილა. სეზონი დიდი ხნის გასული იყო და მატარებელს კაციშვილი არ დახვედრია. ჩამოვხტი ჩემი ჩემოდნით, ეს იყო სიმის ჩემოდანი, ძალიან მსუბუქი, რადგან ორი პერანგის მეტი შიგ არაფერი დებულა, და მატარებლის წასვლამდე სადგურის სახურავქვეშ გადავიყუდრე. ვაგზლის თანამშრომელმა ჩაიარა და ვკითხე, ხომ არ იცით, ახლა რომელი სასტუმრო მუშაობს-მეთქი. გრანდ ოტელი აღმოჩნდა ღია, აგრეთვე დეზილ ბორომე და სხვა წვრილ-წვრილი სასტუმროები, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ღიაა. წავიღე ჩემი ჩემოდანი და ამ წვიმაში დეზილ ბორომესაკენ გავსწიე. ქუჩაში მიმავალი კარეტა დავინახე და გამიჩერე-მეთქი, მეტლეს ვანიშნე. კარეტით მისვლა სჯობდა. მივხრიგინდით დიდი ოტელის შესასვლელთან და ხელადვე ქოლგიანი შვეიცარი გამომეგება, ძალიან თავაზიანად შემხვდა.

კარგი ნომერი დავიჭირე. დიდი იყო, ნათელი, და ტბას გადაჰყურებდა. ახლა ღრუბლები ჩამოსწოლოდა ტბას, მაგრამ მზიან ამინდში მშვენიერი სანახავი იქნებოდა. ცოლს ველოდები-მეთქი, განვუცხადე. დიდი, ორმაგი საწოლი იდგა, Letto matrimoniale, და ზევიდან ატლასის საბანი იყო გადაფარებული. დიდებული სასტუმრო იყო. გრძლად გადაჭიმულ დერეფანს დავუყევი, ფართო კიბე ჩავიარე და ვესტიბიულიდან პირდაპირ ბარში შევედი. ბარმენს ვიცნობდი, მაღალ ტაბურეტზე დავჯექი, და დამარილებული ნუში და შემწვარი კარტოფილი მოვატანინე. მარტინი გრილი და სუფთა იყო.

_ ეს borglese1 რას ნიშნავს? _ მკითხა ბარმენმა, როცა მეორე მარტინიც მომიმზადა.

- _ შვებულებაში ვარ. გამოსაჯანსაღებელი შვებულება მაქვს.
- _ აქ კაცის ჭაჭანებაც აღარ არის. რად არ კეტავენ ამ ოტელს, ვერ გამიგია.
- _ ბევრი ითევზავეთ?

1 სამოქალაქო ტანსაცმელი (იტალ.).

— მშვენიერი კალმახები დავიჭირე. ამ დროს იცის ხოლმე კარგი კალმახები.

— ჩემი გამოგზავნილი თამბაქო თუ მიიღეთ?

— დიახ. ჩემი ბარათი არ მიგიღიათ?

გამეცინა. თამბაქო ვერ ვუშოვე. ამერიკული ჩიბუხის თამბაქო მთხოვა, მაგრამ ჩვენებს აღარ გამოუგზავნიათ, ან იქნებ გზაში დააკავეს. ერთი სიტყვით, აღარ მიმიღია.

— გიშოვით სადმე, — ვთქვი მე, ერთი ეს მითხარით, ორი ინგლისელი ქალი ხომ არ შეგინიშნავთ ქალაქში? გუშინწინ ჩამოვიდნენ.

— სასტუმროში არ მინახავს.

— მოწყალების დები არიან.

— ორი მოწყალების და კი შევნიშნე. დამაცადეთ, ახლავე მოგიძებნით.

— ერთი იმათგანი ჩემი ცოლია, — ვუთხარი მე, სწორედ მის სანახავად ჩამოვედი.

— მეორე კიდე ჩემი ცოლია.

— არ გეხუმრებით.

— მაპატიეთ, ბრიყვული ხუმრობა გამომივიდა, — თქვა მან, — კარგად ვერ გაგიგეთ.

გავიდა და კარგა ხანს აღარც დაბრუნებულა. მე ზეთისხილს, დამარილებულ ნუშსა და შემწვარ კარტოფილს შევექცეოდი და თან სარკეში, რომელიც დახლის უკან იდგა, ჩემს თავს ვათვალიერებდი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილს. ბარმენი დაბრუნდა.

— პატარა სასტუმროში არიან, ვაგზლის მახლობლად, მითხრა მან.

— სენდვიჩი არ გექნებათ?

— ახლავე დავურეკავ. აქ აღარაფერი გვაბადია, ხომ ხედავთ, ხალხი აღარ დადის.

— მართლა არავინ არის?

— ძალიან ცოტა.

სენდვიჩი მოიტანეს. სამი ცალი შევჭამე და ორი მარტინი დავაყოლე. ასე გრილი და საამური ჯერაც არაფერი დამელია. თავი ისევ ცივილიზებულ ადამიანად წარმომადგენინა. სულ შავი ღვინით, ჰურით, ყველით, საზიზღარი ყავითა და გრაპით ვიჭყიპებოდი. ახლა კი, აგერ, მომაღლოდ ვიჯექი ტაბურეტზე, ირგვლივ მშვენიერ წითელ ხეს, მოოქროვილ ბრინჯაოსა და სარკეებს შევყურებდი და არაფერზე არა ვფიქრობდი. ბარმენმა რაღაც მკითხა.

— ომს ნუღარ მიხსენებთ, ვუთხარი მე.

— ღმერთო ჩემო! - წამოიძახა მან.

ომი სადღაც შორს იყო. იქნებ არავითარი ომიც არ არსებულა. აქ ნამდვილად არ იყო ომი. და ახლადა მივხვდი, რომ ჩემთვის იგი დამთავრდა. თუმცა ისეთი გრძნობაც არა მქონია, თითქოს მართლა დამთავრებულიყოს. პატარა ბიჭივით ვიყავი — რომელიც სკოლიდან გაპარულა და ფიქრობს, ნეტა ახლა სკოლაში რა ხდებაო.

ქეთრინი და ჰელენ ფერგიუსონი ვახშმობდნენ, როცა მე მათთან მივედი სასტუმროში. დერეფნიდანვე შევნიშნე მაგიდასთან. ქეთრინი ჩემკენ ზურგით იჯდა და მე ვხედავდი მისი თმის მოხაზულობას, ღაწვებს, მის ლამაზ კისერსა და მხრებს. ფერგიუსონი ლაპარაკობდა. მე რომ შევედი, გაჩუმდა.

— ღმერთო ჩემო! წამოიძახა მან.

— ჰელო! მივმართე მე.

— შენ ხარ?! წამოიძახა ქეთრინმა. სახე გაებადრა. ისეთი ბედნიერი სახე ჰქონდა, რომ, ეტყობოდა, არა სჯეროდა. ვაკოცე, ქეთრინი წამოფაკლდა, მეც მივუჯექი სუფრას.

— ლამის თავგზა ამებნეს, — თქვა ფერგიუსონმა, — აქ რა გინდათ?

— ჭამეთ რამე?

— არა.

ოფიციანტი გოგო შემოვიდა და, თეფში მომიტანე-მეთქი, ვუთხარი. ქეთრინი სულ მე შემომყურებდა, თვალები ბედნიერებით უციმციმებდა.

— ეს mufti1 რაღას ნიშნავს? მკითხა ფერგიუსონმა.

— კაბინეტში ამირჩიეს.

— ცუდი ხომ არა შეგემთხვათ რა?

— გამხიარულდით, ფერჯი. გახსენით შუბლი.

— სულაც არ მახარებს თქვენი დანახვა. ვიცი, რა დღეშიაც ჩააგდეთ ეს გოგო. თქვენი შეხედვა არავითარ სიხარულს არა მგვრის.

ქეთრინმა გამიღიმა, და მაგიდის ქვეშ ფეხი წამკრა.

— არავისაც არ ჩავუგდივარ ცუდ დღეში, ფერჯი. მე თვითონ ჩავიგდე ჩემი თავი.

1 mufti — საშინაო ტანსაცმელი, რომელსაც თანა, დებობის პირები ატარებენ სამსახურს გარეთ (ოსტ. - ინდ.)

— ვეღარ ვიტან, — თქვა ფერგიუსონმა, — დაგლუპათ თავისი გაიძვერული იტალიური ხრიკებით და მეტი არაფერი. ამერიკელები იტალიელებზე უარესები არიან.

— პატიოსნება შოტლანდიელებისა იკითხე! — თქვა ქეთრინმა.

— მაგას არ გეუბნები. მე მაგის იტალიურ გაიძვერობაზე მოგახსენებდი.

— გაიძვერა ვარ, ფერჯი?

— ხართ. გაიძვერობა კიდევ ცოტაა. გველი ხართ. იტალიურ მუნდირში გამოწყობილი გველი. გარედან კი ლაბადა შემოგიხვევიათ.

— ახლა ხომ აღარ მაცვია იტალიური მუნდირი.

— ეგეც თქვენი გაიძვერობის ნიშანია. მთელი ზაფხული სიყვარულობანას თამაშობდით და ბავშვი აჰკიდეთ ამ გოგოს, ახლა კი, ალბათ, გაილალებით.

ქეთრინს გავუღიმე და მანაც გამიღიმა.

— ჩვენ ორივენი გავილალებით, — თქვა მან.

— რაღა თქმა უნდა, ერთმანეთს ტოლს არ დაუდებთ, - თქვა ფერგიუსონმა, _ შენს მაგირ მე მრცხვენია, ქეთრინ ბარკლი. სირცხვილი შენ არ გაქვს და ნამუსი, რა გაიძვერაც ეგა ბრძანდება, შენც ისა ხარ.

— ნუ, ფერჯი. — უთხრა ქეთრინმა და ხელზე ხელი გადაუსვა, — ნუ გამომთათხე. შენც ხომ იცი, რომ ერთმანეთი გვიყვარს.

— ხელი აიღე, — შეჰყვირა ფერგიუსონმა. სახეზე სულ წამოჭარხლებულიყო, — სირცხვილის ნატამალი რომ შეგრჩენოდეს, კიდევ ჰო! უფალმა უწყის, რამდენი თვის ორსული ხარ და მაინც ხუმრობა გგონია ყველაფერი. კიდევ ღიმილად იღვრება, რა არის_შემცდენელი დამიბრუნდაო! არც სირცხვილი გაქვს და არც გული!

ტირილი აუვარდა. ქეთრინი ადგა და ხელი მოჰქვია. ფერგიუსონის მოსაფერებლად რომ ადგა, მაშინ დავაკვირდი — ტანზე არაფერი ცვლილება არ შემიმჩნევია.

— მე რა მენაღვლება, — ზლუქუნებდა ფერგიუსონი, — მაგრამ ეს საშინელებაა.

— ნუ, ნუ, ფერჯი, — ამშვიდებდა ქეთრინი, — ნახე, თუ არ ჩავვარდე სირცხვილში! ნუ ტირი, ფერჯი. ნუ ტირი, ჩემო კარგო ფერჯი.

— არა ვტირი, — ზლუქუნებდა ფერგიუსონი, — სულაც არა ვტირი. მაგრამ სხვა რაღა დამრჩენია. როცა გავიხსენებ, რა საშინელებაში გაეხვიე, — მე შემომხედა,_მძულხართ,_მითხრა მან,_ამანაც ვერ მომაბრუნებინა თქვენზე გული. თქვე ბილწო და გაიძვერა გაიტალიელებულო ამერიკელო, — ტირილისაგან თვალები და ცხვირი დაუწითლდა.

ქეთრინმა გამიღიმა.

— მე ხელსა მხვევ და იმას უცინი ხომ!

— შენ სულელი ხარ, ფერჯი!

— ეგ მეც ვიცი, — ამოიზლუქუნა ფერგიუსონმა, — მაგრამ ჩემს სიტყვებს ყურშიაც ნუ შეუშვებთ. ავღელდი. სულელი ვარ. განა არ ვიცი. მინდა, რომ ბედნიერები იყოთ.

— ვართ კიდეც ბედნიერები, — მიუგო ქეთრინმა, — ჩემი საყვარელი ფერჯი!

ფერგიუსონი ისევ აქვითინდა. — ეს რა ბედნიერებაა! ჯვარს რად არ იწერთ? სხვა ცოლი ხომ არა გყავთ, ჰა?

— არა, — ვუთხარი მე, ქეთრინმა გაიცინა.

— სულაც არ არის სასაცილო, — თქვა ფერგიუსონმა, — რამდენსა ჰყავს სხვა ცოლი!

— დავიწერთ ჯვარს, ფერჯი, — უთხრა ქეთრინმა, — შენ თუკი გაგიხარდება.

— ჩემს გასახარად არა. შენ თვითონ უნდა გინდოდეს ჯვრის დაწერა.

— ძალიან მოუცლელები ვიყავით.

— როგორ არა. ვიცი. ბავშვების კეთებაში იყავით გართული და მოცლა არა გქონდათ. — მეგონა, ისევ ტირილს ამოუშვებდა, მაგრამ ახლა კბენა დაიწყო, — ალბათ, ამაღამვე გაჰყვები, არა!

- რა თქმა უნდა, — მიუგო ქეთრინმა, — თუკი თვითონ მოისურვებს.
- მე რაღას მიშვრები?
- მარტო დარჩენისა გეშინია?
- ჰო, მეშინია.
- მაშინ შენთან დავრჩები.
- არა, გაჰყევი. ახლავე გაჰყევი. ერთად რომ გიყურებთ, გული მერევა.
- ბარემ სადილს მოვრჩეთ.
- არა. ახლავე წადით.
- ფერჯი, რას სულელობ!
- ახლავე წადით-მეთქი. ორივენი წადით.
- ავდგეთ და წახვიდეთ, — ვთქვი მე. თავი მომაბეზრა ფერჯიმ.
- აი, ეგ გინდოდათ. უნდა მიმატოვოთ და სადილიც კი მარტოკას შემაჭამოთ. რამდენი ხანია იტალიური ტბის ნახვას ვნატრობ და აჸა, რა მივიღე. ოჳ, ოჳ, აზლუქუნდა, მერე ქეთრინს შეხედა და ტირილისაგან სუნთქვა შეეკრა.
- ერთად ვისადილოთ, — უთხრა ქეთრინმა, — და თუ ჩემი აქ ყოფნა გინდა, არც მიგატოვებ. მარტოკას არ დაგტოვებ, ფერჯი.
- არა, არა. მე მინდა, რომ წახვიდეთ. მე მინდა, რომ წახვიდეთ, — თვალები ამოიწმინდა, — რა სულელი ვარ! ყურს ნუ მათხოვებთ.
- ოფიციანტი გოგო ძალიან ააღელვა ამდენმა ტირილმა. ახლა კი, მეორე თავი საჭმელი რომ მოგვიტანა და დაშოშმინებული გვნახა, ეტყობოდა, გულზე მოეშვა.

ღამე სასტუმროში. ჩვენი ოთახი. ოთახს იქით გრძელი დერეფანი. დერეფანში, კარებთან, ჩვენი ფეხსაცმელები. იატაკზე სქელი ნოხი და ფანჯრებს მიღმა წვიმა. ოთახში კი სინათლე, მყუდროება და სიხარული. მერე სინათლე ქრება და რბილი ზეწრები გაღიზიანებს. ლოგინიც საამურია, ასე გვონია — შინ დავბრუნდიო, მარტოკა აღარა ხარ, ღამით გაიღვიძებ და ისიც იქვე გყავს, არსად გამქრალა. სხვა აღარაფერი არსებობს ქვეყნად. დავიღლებოდით, ჩაგვეძინებოდა, და თუ გამოვიღვიძებდით, მეორეც გაიღვიძებდა, რომ მარტობა არ გვეგრძნო. ხშირად კაცს მარტობა მოუნდება ხოლმე, ქალსაც მოუნდება მარტობა, და თუკი ერთმანეთის სიყვარული აქვთ, ამის გამო ერთიმეორეზე ეჭვიანობენ. ჩვენ ეს არასოდეს არ დაგვმართნია. როცა ერთად ვიყავით, სწორედ მაშინ ვგრძნობდი თავს მარტოდ, სხვებისაგან განცალკევებულად. ეს პირველად ვიგრძენი. რამდენ ქალთან ვყოფილვარ და ყოველთვის მარტობა მიგრძნია, ყველაზე საშინელი მარტობა ეგ არის. ჩვენ კი არასოდეს არ შევუწუხებივართ მარტობას, და ერთადყოფნის შიშიც არა გვქონია. ვიცი, რომ ღამე სხვაა და დღე სხვა: ყველაფერი გადასხვაფერებული გეჩვენება, ღამით მომხდარს დღისით ვერ ახსნი, რადგან დღისით ამისთანა რამე არ არსებობს, და თუკი კაცს მარტობის გრძნობა დაეუფლა, მისთვის ყველაზე საშინელი სწორედ ღამე იქნება. ქეთრინისათვის კი დღეც კარგი იყო

და ღამეც, იმ განსხვავებით, რომ ღამე კიდევ უფრო უკეთესი იყო. როცა ხალხი ამდენ მამაცობას ჩადის ქვეყნისათვის, წუთისოფელმა ისინი უსათუოდ უნდა მოკლას და გასტეხოს, და კლავს კიდეც. წუთისოფელი ყველასა სტეხს და ბევრს მერე ეს გადატეხილი ადგილი უფრო უმაგრდება. ვისაც ვერ გასტეხს, კლავს ხოლმე. განურჩევლად კლავს ყველაზე კეთილებს, ყველაზე ნაზებსა და ყველაზე მამაცებს. თუ არც ერთი არ ხარ, არხეინად ბრძანდებოდე. მაინც მოგკლავს, ოღონდ ისეთი აჩქარებით არა.

მახსოვს დილით გამოღვიძება. ქეთრინს ეძინა, ფანჯრიდან მზე შემოდიოდა. წვიმას გადაეღო, მე ლოგინიდან გამოვმვერი და ფანჯარასთან მივედი. დაბლა ბალი იყო, მართალია, ამჟამად განძარცული, მაგრამ, კოხტად დაგეგმილი, მაინც ლამაზი ჩანდა, — ხვინჭამოყურილი ბილიკები, ხეები, ტბის გასწვრივ ქვის კედელი და მზის სხივებზე აელვარებული ტბა, რომლის გადაღმა მთები აღმართულან. ვიდექი ფანჯარასთან და ვიყურებოდი, ხოლო როცა მოვბრუნდი, ქეთრინს უკვე გაპლვიძებოდა და მე შემომყურებდა.

- როგორა ხარ, საყვარელო? — მკითხა მან. — რა მშვენიერი დღეა, არა?
- შენ როგორდა ხარ?
- ძალიან კარგად. მშვენიერი ღამე იყო.
- საუზმე არ გინდა?
- უნდოდა საუზმე. მეც მინდოდა, და ლოგინშივე ვისაუზმეთ, ფანჯრიდან მზე იჭყიტებოდა და საუზმის ლანგარი მუხლებზე მედო.
 - გაზეთი არ გინდა? ჰოსპიტალში მუდამ კითხულობდი ხოლმე.
 - არა, — ვუთხარი მე, — ახლა აღარ მინდა.
 - ნუთუ ისე ცუდი იყო, რომ წაკითხვაც აღარ გინდა?
 - წაკითხვაც აღარ მინდა.
 - ნეტა მეც შენთან ვყოფილიყავი და მენახა, რა გადაგხდა თავს.
 - გიამბობ როდისმე, თუკი ყველაფერი დავალაგე თავში.
 - ხომ არ დაგიჭირენ, უმუნდიროდ რომ გნახონ?
 - ალბათ, დამხვრეტენ კიდეც.
 - მაშ, აქ ნუღარ გავჩერდებით. გავეცალოთ აქაურობას.
 - მაგაზე მეც ვფიქრობ.
 - წავიდეთ, გენაცვალე. საალალბედოდ რად უნდა გავიხადოთ საქმე! მითხარი, მესტრედან — მილანში როგორ მოხვდი.
 - მატარებლით ჩავედი. მაშინ მუნდირი მეცვა.
 - საშიში არ იყო მაშინ?
 - არც ისე. ძველი ნებართვა მქონდა. მესტრეში თარიღი გადავასწორე.
 - აქ ყოველ წუთს შეუძლიათ დაგიჭირონ, ძვირფასო. არ მინდა ასე. აბა, რა სისულელეა! რომ დაგიჭირონ, რა უნდა ვქნათ?
 - მაგაზე ნუღარ ვიფიქრებთ. დამღალა მაგაზე ფიქრმა.
 - რას იზამ, დასაჭერად რომ მოვიდნენ?
 - ვესვრი.

— ხედავ, რა სულელი ხარ! მანამ აქა ვართ, ფეხს არ გაგადგმევინებ სასტუმროდან.

— მაინც საით ვაპირებთ?

— ასე ნუ დაიწყებ, გენაცვალე. საითაც იტყვი, იქით წავალთ. იღონდ ისეთი ადგილი შეარჩიე, რომ ახლავე შეიძლებოდეს წასვლა.

— შვეიცარია ამ ტბის მეორე მხარეს არის, იქ წავიდეთ.

— რა კარგი იქნება!

ისევ ჩამოწვა ღრუბლები და ტბა ჩაბნელდა.

— ნეტა სულ ასე ბოროტმოქმედივით არა გრძნობდე თავს კაცი!_ვთქვი მე.

— ასე ნუ დაიწყებ, გენაცვალე. რა დიდი ხანია, ბოროტმოქმედივით რომ ცხოვრობ! სულ ასე ხომ არ ვიქნებით; წინ ისეთი კარგი ცხოვრება გველის!

— ბოროტმოქმედი მგონია თავი. ჯარის დეზერტირი ვარ.

— გონს მოდი, ძვირფასო. ეს რა ჯარის დეზერტირობაა. ეს ხომ იტალიის არმიაა!

გამეცინა. — რა კარგი გოგო ხარ! ისევ ჩავწევთ. ლოგინში თავს მშვენივრად ვგრძნობ.

ცოტა ხნის შემდეგ ქეთრინმა მკითხა: _ახლა ხომ აღარ გგონია თავი ბოროტმოქმედი?

— არა, _მივუგე მე,_შენთან რომ ვარ, არა.

— რა სულელი ბიჭი ხარ, _თქვა მან, _მაგრამ მე მოგივლი. ხომ კარგია, საყვარელო, რომ დილაობით გული აღარ მერევა ხოლმე.

— დიდებულია.

— რა კარგი ცოლი გყავს და შენ არც კი აფასებ. არა უშავს. ისეთ ადგილას წაგიყვან, რომ ვეღარ დაგიჭირონ, და მერე ტკბილად ვიცხოვრებთ.

— ახლავე წავიდეთ.

— ახლავე, ჩემო ძვირფასო. სადაც გინდოდეს და როცა გინდოდეს.

ნუღარ ვიფიქრებთ ნურაფერზე.

— აგრე იყოს.

თავი XXXV

ქეთრინი ტბის სანაპიროს შეჰყვა პატარა სასტუმროსკენ, ფერგიუსონის სანახავად, მე კი ბარში დავვეჭი და გაზეთის კითხა დავიწყე. მშვენიერი ტყავის სავარმლები იდგა ბარში, მეც ერთ სავარძელში მოვიკალათე და ბარმენის მოსვლამდე ვკითხულობდი. არმია ტალიამენტოსთან როდი შეჩერებულიყო, პიავესაკენ დაეხიათ. პიავე გამახსენდა. სან დონას მახლობლად კვეთდა რკინიგზა და ფრონტისაკენ მიემართებოდა. ამ ადგილას ღრმა და ნელი იყო, და ძალიან ვიწრო. უფრო ქვემოთ ჭაობები და არხები იწყებოდა. რამდენიმე კოხტა ვილასაც შეხვდებოდი. ერთხელ, ომის დაწყებამდე, კორტინა დამპეცოში მივდიოდი და რამდენიმე საათი პიავეს

ნაპირ-ნაპირ ვიარე, მთებში. ზემო წელში ჩქარა მიედინებოდა და, ეტყობოდა, კალმახი ეცოდინებოდა. ალაგ-ალაგ, კლდეების ჩრდილში, გუბეებიც გაჩენილიყო. იქიდან გზა კადორესაკენ უხვევდა. ნეტა იქიდან ჯარი როგორ უნდა დაეშვას-მეთქი, ვფიქრობდი. ბარმენი შემოვიდა.

— გრაფმა გრეფიმ გიკითხა.

— ვინა?

— გრაფმა გრეფიმ. მოხუცი კაცი არ გახსოვთ, წინა ჩამოსვლაზე რომ მოვიდა აქა?

— აქ არის?

— აქ არის, თავის ძმისწულთან ერთად. თქვენზე ვუთხარი, ჩამოვიდა-მეთქი. ბილიარდის თამაში სურს თქვენთან.

— სად არის?

— სასეირნოდ გავიდა.

— როგორ არის?

— გაახალგაზრდავებულია. წუხელ, სადილის წინ, სამი კოქტეილი შესვა შამპანურით.

— ბილიარდში როგორა აქვს საქმე?

— კარგად. მე მიგებს. თქვენი ჩამოსვლა რომ ვუთხარი, ძალიან გაუხარდა. ისეთი აღარავინ არის, რომ ეთამაშოს.

გრაფი გრეფი მეტერნიხის მომსწრე იყო, ოთხმოცდათოთხმეტი წლის ჭაღარა წვერულვაშიანი მოხუცი. ლამაზი მანერები ჰქონდა. ადრე ავსტრიისა და იტალის დიპლომატიურ სამსახურში ემუშავა და ახლა მისი ყოველი დაბადების დღე მთელი მოვლენა იყო მიღანის ცხოვრებაში. ას წლამდე ცხოვრებას აპირებდა და ისეთი ლაღი მოქნილობით თამაშობდა ხოლმე ბილიარდს, რომ მისი ხნის კაცისათვის წარმოუდგენელი იყო. ერთხელ სეზონის მიწურულს შევხვდი სტრეზაში; თან ბილიარდს ვთამაშობდით, თან შამპანურსა ვსვამდით. ძალიან მოეწონა ეს ჩვეულება. ასში თხუთმეტი ქულა მომცა და მომიგო.

— რატომ არ მითხარით, აქ თუ იყო?

— დამავიწყდა.

— სხვა ვინ არის აქა?

— სხვებს არ იცნობთ. სულ ექვსი კაცია.

— ახლა რას აკეთებენ?

— არაფერს.

— სათევზაოდ წავიდეთ.

— ერთი საათით შემიძლია.

— წავიდეთ. ანკესი წამოიღეთ.

ბარმენმა პალტო ჩაიცვა და გავსწიეთ. ნაპირზე ნავში ჩავსხედით. მე ნიჩბებს ვუსვამდი, ის კი კიჩოზე დაჯდა და ტბის კალმახის საჭერი ანკესი გადაუშვა, რომელსაც მძიმე საძირავი ტყვია ება. ნაპირის გასწვრივ მივცურავდით. ბარმენს ანკესის ძუა ეჭირა ხელში და ხანგამოშვებით

შეარხევდა ხოლმე. ტბიდან სულ დაცარიელებული ჩანდა სტრეზა. მოჩანდა გატიტვლებული ხეების გრძელი მწკრივი, დიდი სასტუმროები და გამოკეტილი ვილები. იზოლა ბელასკენ მივმართე ნავი და ზედ მივადექი კედელს, სადაც ტბა ერთბაშად ღრმავდებოდა და გამჭვირვალე წყალში კარგად ამჩნევ ირიბად შეჭრილ ქვის კედელს. მერე შემოვბრუნდი და მეთევზის კუნძულისაკენ ავიღე გეზი. მზე ღრუბელში იმალებოდა, ჩამუქებული წყალი გლუვი და ძალიან ცივი იყო. ერთხელაც არ წამოეგო ანკესზე, მიუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე რამდენჯერმე გაკეთდა თევზისაგან წრე.

მეთევზის კუნძულს გავუპირდაპირდი, ნაპირზე ათრეული ნავები ჩანდა. იქვე მეთევზეები ბადეებს კემსავდნენ.

— არ დავლიოთ?

— დავლიოთ.

ნავი ქვის ხიმინჯს მივაყენე, ბარმენმა ანკესის ძუა ამოიღო, დაახვია და ნავის ფსკერზე დადო, სპინერი კი ქიმს გამოაბა. გადავხტი და ნავი მივაბი. პატარა კაფეში შევედით, ხის შიშველ მაგიდას მივუჯექით და ვერმუთი დავუკვეთეთ.

— ნიჩბის სმამ არ დაგლალათ?

— არა.

— იქითობისას მე მოვუსვამ, — თქვა მან.

— მიყვარს ნიჩბის სმა.

— იქნებ თქვენ გაგიმართლოთ, ანკეს რომ დაიჭერთ.

— აგრე იყოს.

— ერთი ეს მითხარი, ომის საქმე როგორ მიდის?

— საშინლად.

— მე არ მეკუთვნის წასვლა. ბერიკაცი ვარ, გრაფ გრეფისავით.

— იქნებ თქვენც მოგიწიოთ.

— გაისად ჩემს თანრიგსაც გაიწვევენ, მაგრამ მე არ წავალ.

— რანაირად?

— საზღვარგარეთ გადავიხვეწები. ომში რა წამიყვანს. ერთხელ უკვე ვიყავი, აბისინიის ომში. მორჩა! თქვენ რაღამ წაგიყვანათ?

— არ ვიცი. სულელი ვიყავი.

— კიდევ დავლიოთ?

აქეთობისას ბარმენი უსვამდა ნიჩბებს. სტრეზას გავცდით და უკანვე დავბრუნდით, ნაპირს კი დიდად არ დავშორებივართ. ხელში ანკესის კანაფი მეჭირა, ვგრძნობდი მბრუნავ სპინერის სუსტ ფეთქვას და გავცქეროდი უკაცრიელ ნაპირსა და ნოემბრის ჩამუქებულ ტბას. ბარმენი უფრო მაგრად უსვამდა და რამდენჯერაც წინ გავარდებოდა ნავი, ანკესის კანაფი იმდენს ატოკდებოდა. ერთხელ მოედო კიდეც, კანაფი დასჭიმა და უკან დასწია. მე ამოთრევა დავიწყე და თითქოს ვიგრძენი კალმახის ცოცხალი სიმძიმე, მაგრამ ისევ აცახცახდა კანაფი. გამექვა.

— დიდი ჩანდა?

— კარგა მოზრდილი.

— ერთხელ მარტოკა ვთევზაობ და კანაფი კბილებით მიჭირავს, დასწია უცებ და ლამის პირი გამომგლიჯა.

— ყველას სჯობია, ფეხზე დაიმაგრო, — ვთქვი მე, — იგრძნობ კიდეც და არც კბილებს დაჰკარგავ.

წყალში ჩავყავი ხელი. ძალიან ცივი იყო. თითქმის გავუპირდაპირდით სასტუმროს.

— უნდა წავიდე, — თქვა ბარმენმა, — თერთმეტი საათისთვის იქ უნდა ვიყო.
L'heure du cocktail1.

1 კოქტეილის საათი, დრო (ფრან.).

— წადით.

კანაფი ამოვათრიე და ორივე ბოლოში დაკბილულ ჯოხზე დავახვივ. ბარმენმა პატარა ხიმინჯზე მიაბა ნავი, კედელში ჯაჭვით დაამაგრა და ბოქლომი დაადო.

— როცა კი მოგინდეთ, გასაღებს მოგცემთ, — მითხრა მან.

— გმადლობთ.

ავიარეთ სასტუმროს კიბე და ბარში შევედით. ასე ადრიანად მეტი დალევა აღარ მინდოდა და ჩვენი ოთახისკენ გავემართე. დამლაგებელ ქალს ის იყო დაემთავრებინა ოთახის დალაგება, ქეთრინი ჯერაც არ დაბრუნებულიყო. ლოგინზე წამოვწექი და ვცადე, არაფერზე მეფიქრა.

ქეთრინი რომ დაბრუნდა, ისევ გახალისდა ყველაფერი. დაბლა ფერგიუსონი გველოდებაო. საუზმეზე წამოსულიყო.

— ვიცოდი, რომ არ გეწყინებოდა, — მითხრა ქეთრინმა.

— რას ამბობ?!?

— რა მოგივიდა, ძვირფასო?

— მე თვითონ არ ვიცი.

— მე ვიცი. საქმე არაფერი გაქვს. ერთადერთი მე გყავარ, და მეც მიგატოვე.

— მართალი ხარ.

— მაპატიე, გენაცვალე. წარმომიდგენია, რა საშინელება იქნება — უცებ მოიხედავ და აღარაფერი შეგრჩენია.

— მთელი ჩემი ცხოვრება სულ ფაცაფუცში ვიყავი ხოლმე, — ვთქვი მე, — ახლა შენ თუ ჩემთან არა ხარ, სხვა აღარაფერი დამრჩენია ქვეყნად.

— მაგრამ მე ხომ მუდამ შენთან ვიქნები. სულ ორი საათით წავედი. ვერაფერს მოიგონებ, რომ გაერთო?

— ბარმენს გავყევი სათევზაოდ.

— კარგი იყო?

— კი.

— როცა არა ვარ, ჩემზე ნუ ფიქრობ.

— ფრონტზე ვცდილობდი ხოლმე ამას. მაგრამ იქ საქმეს რა გამომილევდა.

- _ საქმე გამოელია ოტელოს, _ გამომაჯავრა მან.
- _ ოტელო მავრი იყო, _ მე ვუპასუხე, _ თანაც, მე ეჭვიანი როდი ვარ. ისე შემიყვარდი, რომ სხვა აღარაფერი არსებობს ჩემთვის.
- _ ხომ კაი ბიჭი იქნები? ფერგიუსონს ხომ კარგად მოექცევი?
- _ როდის მოვექცევივარ ცუდად, მანამ თვითონ არ დამიწყებს წყევლას!
- _ კარგად მოექეცი. აბა, წარმოიდგინე _ ჩვენ ყველაფერი გვაქვს, იმას კი არაფერი.
- _ არა მგონია, მაგასაც ის უნდოდეს, რაც ჩვენ გვაქვს.
- _ რა ჭკვიანი ბიჭი ხარ და მაინც რამდენი რამე არ იცი.
- _ კარგად მოვეპყრობი.
- _ მაგის იმედი მაქვს. შენ ისეთი საყვარელი ბიჭი ხარ!
- _ ოღონდ, მერე არ დარჩება, ხომ?
- _ არა. მე მოვიშორებ.
- _ და აქ ამოვალთ, ხომ?
- _ რა თქმა უნდა. აბა, რა გეგონა!

დაბლა ჩავედით, რათა ფერგიუსონთან ერთად გვესაუზმა. ძალიან მოსწონებოდა სასტუმრო და რესტორნის მდიდრული მორთულობა. კარგად ვისაუზმეთ, ორი ბოთლი თეთრი კაპრიც დავლიეთ. რესტორანში გრაფი შემოვიდა და თავი დაგვიკრა. თან ძმისწული ახლდა, რომელიც ბებიაჩემს მაგონებდა. ქეთრინსა და ფერგიუსონს გრაფის მთელი თავგადასავალი ვუამბე და ფერგიუსონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამხელა სასტუმრო, ასე დიდებული, სულ ცარიელი იყო, მაგრამ საჭმელი გემრიელი ჰქონდათ, ღვინოც საამური, და საბოლოოდ ღვინომ მშვენიერ გუნებაზე დაგვაყენა. თუმცა ქეთრინს რად უნდოდა გუნების გამოსწორება. ძალიან ბედნიერი იყო. ფერგიუსონი გალადდა და გახალისდა. მეც მშვენიერ გუნებაზე დავდექი. ნასაუზმევს ფერგიუსონი თავის სასტუმროში დაბრუნდა. საუზმის შემდეგ ცოტა ხანს უნდა წამოვწვეო.

- ნაშუადღევს, მოგვიანებით, ვიღაცამ კარებზე დააკაკუნა.
- _ ვინ არის?
- _ გრაფსა სურს გაიგოს, ბილიარდის თამაშს ხომ არ ინებებთო?
- საათს დავხედე. ადრევე მქონდა მოხსნილი და ბალიშის ქვეშ ამოდებული.
- _ უნდა წახვიდე, ძვირფასო? _ წამჩურჩულა ქეთრინმა.
- _ მგონი, ასე აჯობებს. _ ხუთის თხუთმეტი იყო. ხმამაღლა გავძახე: «გრაფს მოახსენეთ, რომ სრულ ხუთ საათზე საბილიარდოში ვიქწები».
- ხუთს რომ თხუთმეტი აკლდა, ქეთრინს ვაკოცე გამოსამშვიდობებლად და სააბაზანოში შევედი ჩასაცმელად. ყელსახვევს რომ ვისკვნიდი, სარკეში ჩემივე თავი მეჩოთირა, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი. კიდევ უნდა ვიყიდო პერანგები და წინდები-მეთქი, გავიფიქრე.
- _ დიდი ხნით მიდიხარ? _ მკითხა ქეთრინმა. ლოგინში ლამაზი ჩანდა, _ ჯაგრისს ვერ მომაწოდებ?

შევცქეროდი, როგორ ივარცხნიდა თმას. თავი ისე გადაღრიცა გვერდზე, რომ მთელი თმა ერთ მხარეს ჩამოეშალა. გარეთ ბნელოდა და საწოლის თავში მდგარი სინათლე თმაზე, კისერსა და მხრებზე ეცემოდა. მივედი და ვაკოცე, ჯაგრისიანი ხელი დავუჭირე და თავი ისევ ბალიშზე დაუგორდა. კისერი და მხრები დავუკოცნე. ისე მომერია სიყვარული, რომ თავბრუ დამესხა.

- _ არ მინდა წასვლა.
- _ არც მე მინდა, რომ წახვიდე.
- _ მაშ, არ წავალ.
- _ არა. წადი. აკი ცოტა ხნით მიდიხარ და ისევ მალე დაბრუნდები.
- _ აქ ვისადილოთ.
- _ ნუღარ ყოვნდები და ისევ დაბრუნდი.

გრაფი საბილარდოში დამხვდა. თავისთვის ვარჯიშობდა და ბილიარდის თავზე დაშვებული სინათლის შუქზე ძალიან განაზებული მეჩვენა. იქვე ბანქოს მაგიდაზე, კუთხეში, ვერცხლის საყინულე ვედრო იდგა და ყინულებიდან ორი შამპანური ბოთლის ყელი და საცობები ამოჩრილიყო. ბილიარდს რომ მივუახლოვდი, გრაფი გასწორდა და ჩემკენ გამოემართა. ხელი გამომიწოდა.

- _ ძალიან სასიამოვნოა, რომ აქა გხედავთ. დიდი პატივი დამდეთ, სათამაშოდ რომ ჩამოხვედით.
- _ თქვენც დიდად დამავალეთ, რომ მომიპატიუეთ.
- _ ხომ კარგადა ხართ? იზონცოზე დაიჭრაო, მითხრეს. იმედი მაქვს, გამოჯანმრთელდებოდით.
- _ უკვე კარგადა ვარ. თქვენ ხომ კარგად ბრძანდებით?
- _ ო, მე მუდამ კარგადა ვარ. მაგრამ ვბერდები. უკვე ვგრძნობ სიბერის ნიშნებს.

- _ ვერ დავიჯერებ.
- _ ნამდვილად. ერთ ნიშანს გეტყვით, თუ გნებავთ. უკვე იტალიურად ლაპარაკს ვამჯობინებ. თავს ძალას ვატან, მაგრამ, როცა დავიღლები, იტალიური გაცილებით უფრო მიადვილდება. ასე რომ, ვბერდები და ეგ არის.
- _ მაშ, იტალიურად ვილაპარაკოთ. ცოტათი მეც დავიღალე.
- _ აჲ, თუ დაიღალეთ, თქვენთვის უფრო იოლი ინგლისური იქნება.
- _ ამერიკული.
- _ დიახ, ამერიკული. ამერიკულად ილაპარაკეთ. მომხიბლავი ენაა.
- _ თითქმის ვეღარ ვხვდები ამერიკელებს.
- _ მოგენატრათ, არა? ხელად მოგენატრება ხოლმე შენი ქვეყნის კაცი, განსაკუთრებით ქალი. მე თვითონ გამომიცდია. ვითამაშოთ, თუ ძალიან დაიღალეთ?
- _ სულაც არ დავღლილვარ, ეს ისე ხუმრობით გითხარით. ჰენდიკაპს რას მაძლევთ?
- _ ძალიან ბევრს თამაშობდით?
- _ სულაც არა.

- თქვენ ძალიან კარგად თამაშობთ. ათი ქულა იყოს?
- ქათინაურებს მეუბნებით.
- თხუთმეტი?
- კარგი იქნება, მაგრამ მაინც მომიგებთ.
- ფულზე ვითამაშოთ? თქვენ სულ ფულზე თამაშობდით ხოლმე.
- მე მგონი, აჯობებს.
- ძალიან კარგი. თვრამეტს გაძლევთ. თითო ქულა – თითო ფრანკი.

შესანიშნავად ითამაშა და ჰენდიკაპის მიუხედავად, ორმოცდაათზე მხოლოდ ოთხი ქულით ვიყავი წინ. გრაფმა კედელზე ზარის ღილაკს დააჭირა თითო, ბარმენს მოუხმო.

– ერთი ბოთლი გაგვიხსენით, გეთაყვა, – უთხრა მან და მერე მე მომიბრუნდა, – გუნებას გამოგვიკეთებს. – ღვინო ყინულივით ცივი იყო, მშრალი და სასიამოვნო.

– იტალიურად ვილაპარაკოთ? ძალიან ხომ არ გეწყინებათ? ახლა ეს არის ჩემი დიდი სისუსტე.

განვაგრძეთ თამაში. შიგადაშიგ ღვინოს ვწრუპავდით და იტალიურად ვლაპარაკობდით. მაგრამ, საერთოდ, ცოტას ვლაპარაკობდით. მთელი გულისყური თამაშისკენ გვქონდა. გრაფმა მეასე ქულა ჩააგდო. მე კი, ჩემი ჰენდიკაპის მიუხედავად, ოთხმოცდათოთხმეტს ძლივს მივაღწიე. გამიღიმა და ბეჭებზე ხელი მომითათუნა.

– ახლა მეორე ბოთლიც დავლიოთ და თქვენ ომის ამბებს მომიყევით, – დამელოდა, მანამ დავჯდებოდი.

- სხვა რამეზე ვილაპარაკოთ, – ვუთხარი მე.
- ომზე ლაპარაკს ერიდებით? კეთილი. ამ ცოტა ხანში რა წაიკითხეთ?
- არაფერი! – ვუთხარი მე, – ალბათ, სულ გამოვლენჩდი.
- კარგით, ერთი! მაგრამ უნდა იკითხოთ.
- მაინც რა დაიწერა ომის დროს?
- La Feu1, ერთი ფრანგისა გახლავთ, ბარბიუსის. მერე, «მისტერ ბრიტლინგი ყველაფერს ხედავს».

- ვერაფერიც.
- როგორ ვერაფერიც?
- ვერაფერსაც ვერ ხედავს. ეს წიგნები ჰოსპიტალში გვქონდა.
- მაშ, წაგიკითხავთ!
- დიახ, მაგრამ ვერაფერიშვილია.
- მე კი მგონია, რომ «მისტერ ბრიტლინგში» კარგად არის ნაჩვენები საშუალო ინგლისელის სული.
- სულისა არაფერი გამეგება.
- საბრალო ბიჭი. სულისა ვის რა ესმის. Croyant2-ი ხართ?

1 «ცეცხლი», ანრი ბარბიუსის ცნობილი წიგნის სახელწოდება.

2 მორწმუნე (ფრანგ.).

— ღამლამობით.

გრაფმა გაიღიმა და ჭიქა თითებით შეატრიალა.

— რაც ხანში შევალ, უფრო ღვთისმოსავი გავხდები-მეთქი, ვფიქრობდი, მაგრამ რატომლაც ასე არ ხდება, _თქვა მან, _ ძალიან სამწუხაროა.

— არ გინდათ სიკვდილის შემდეგაც იცოცხლოთ? ვკითხე მე და მაშინვე ვიგრძენი, რომ სისულელე მომივიდა_სიკვდილი ვახსენე. მაგრამ იმას აინუნშიაც არ ჩაუგდია.

— გააჩნია, რა სიცოცხლე იქნება. ეს სიცოცხლე ძალიან ტკბილია, ნეტა, მარადიულად ვიცოცხლებდე, — გაიღიმა, _ თითქმის მივაღწიე კიდევ ამას.

ტყავის დიდ სავარძელში ვისხედით და შუაში შამპანურიანი ყინულის ვედრო და ჭიქები გვედგა, მაგიდაზე.

— ჩემოდენა თუ მოიყარეთ, ბევრი რამ უცნაურად მოგეჩვენებათ.

— სულაც არ ჰგავხართ მოხუცს.

— სხეული ბერდება. ზოგჯერ შემეშინდება, თითი არ წამატყდეს-მეთქი, როგორც ცარცს წასტეხენ ხოლმე წვერს. სული არ ბერდება, არც სიბრძნეს იძენს.

— თქვენ ხომ ბრძენი ხართ!

— არა. ეს დიდი გაუგებრობაა _ ბერიკაცის სიბრძნე ვინა თქვა! სიბრძნე როდი ემატებათ_უფრო ფრთხილი ხდებიან.

— იქნებ სიბრძნეც ეგ იყოს.

— ვერაფერი სახარბიელო სიბრძნეა. ყველაზე უფრო რას აფასებთ?

— ვინც მიყვარს.

— მეც ასე ვარ. ეს რა სიბრძნეა. სიცოცხლეს თუ აფასებთ?

— ვაფასებ.

— მეც. იმიტომ, რომ ესლა შემრჩა... და კიდევ დაბადების დღეები, _ გაეცინა, _ თქვენ, ალბათ, ჩემზე უფრო ბრძენი ხართ. დაბადების დღეებს არ იხდით.

ორივემ შევსვით.

— ომზე რა აზრისა ხართ? _ ვკითხე მე.

— ჩემი აზრით, სისულელეა.

— ვინ მოიგებს?

— იტალია.

— რატომ?

— უფრო ახალგაზრდა ერია.

— მუდამ ახალგაზრდა ერი იგებს ომს?

— ერთხანს აქვს ამის უნარი.

— მერე?

— მერე უფრო ხანდაზმული გახდება.

— აკი ბრძენი არ ვარო!

— ეს რა სიბრძნეა, ჩემო ძვირფასო ჭაბუკო, ეს ცინიზმია.

— მე კი დიდ სიბრძნედ მეჩვენება.

— არც მაგდენი სიბრძნეა. შემეძლო საწინააღმდეგო მოსაზრების დამადასტურებელი მაგალითებიც ჩამომეთვალა. მაგრამ ეგეც კმარა. სულ გავათავეთ შამპანური?

— თითქმის.

— კიდევ დავლიოთ? მერე წავალ და ჩავიცვამ.

— მეტი აღარ უნდა იყოს საჭირო.

— მართლა არ გნებავთ?

— არა. — იგი წამოდგა.

— ვისურვებ, რომ ძალიან იღბლიანი, ძალიან ბედნიერი და ძალიან, ძალიან ჯანმრთელი ყოფილიყოთ!

— გმადლობთ. თქვენც მარადიულ სიცოცხლეს გისურვებთ.

— გმადლობთ. მაინც ასე გამოდის. თუ ვინიცობაა ღვთისმოსავი გახდეთ, ჩემთვისაც ილოცეთ, როცა მოვკვდები. რამდენიმე მეგობარს უკვე ვთხოვე ეს. მეგონა, მე თვითონ გავხდებოდი ღვთისმოსავი, მაგრამ ვერ გავხდი. — მომეჩვენა, თითქოს სევდიანად გაეღიმა. მაგრამ ვერ დავიჟინებ: სიბერისაგან ისე დანაოჭებული ჰქონდა სახე, და გაღიმებისას იმდენი ხაზი უნდა შერხეოდა, რომ გარდამავალი ელფერი იკარგებოდა.

— იქნებ ძალიანაც ღვთისმოსავი გავხდე, — ვთქვი მე, — ყოველ შემთხვევაში, თქვენთვის ვილოცებ.

— მეც სულ იმის მოლოდინში ვიყავი, ღვთისმოსავი გავხდები-მეთქი. ჩემს გვარში ისე არავინ მომკვდარა, ღვთისმოსავი არ ყოფილიყოს. მაგრამ რატომდაც მე ვერ ვეღირსე.

— ჯერ ძალიან ადრეა.

— იქნებ ძალიანაც გვიან იყოს. მე, ალბათ, მოვინელე ჩემი რელიგიური განცდანი.

— მე კი მარტო ღამით მეწვევიან.

— თქვენ შეყვარებულიცა ხართ. ნუ გავიწყდებათ, რომ ეგეც რელიგიური გრძნობაა.

— ასე გგონიათ?

— რა თქმა უნდა, — მაგიდისკენ გადადგა ნაბიჯი, — დიდი პატივი დამდეთ, რომ მეთამაშეთ.

— ჩემთვისაც დიდი სიამოვნება იყო.

— ერთად ავიდეთ ზემოთ.

თავი XXXVI

ღამით ქარიშხალი ამოიჭრა, და ფანჯრის მინებზე წვიმის ტყლაშუნმა გამომაღვიძა. ღია ფანჯარაში პირდაპირ ასხამდა. ვიღაცამ კარებზე დააკაცუნა. ფრთხილად მივედი კარებთან, ქეთრინი რომ არ გამეღვიძებინა, და გავაღე. ბარმენი იყო. პალტო ეცვა და სველი ქუდი ხელში ეჭირა.

- შეიძლება მოგელაპარაკოთ, თენენტე?
- რა ამბავია?
- ძალიან სერიოზული საქმეა.
მივიხედ-მოვიხედე. ოთახში ბნელოდა. ფანჯარასთან წყალი შევნიშნე იატაკზე, – შემოდით, – ვუთხარი მე. ხელი გამოვდე და სააზაზანოში შევიყვანე. კარი ჩავიკეტე და სინათლე ავანთე. აბაზანის ძგიდეზე ჩამოვჯექი.
- რა მოხდა, ემილიო? ხომ არაფერი შეგემთხვათ?
- მე არა. თქვენ, Tenente.
- მაინც რა?
- დილით დაპატიმრებას გიპირებენ.
- რას ამბობთ?!
- ამის სათქმელად მოვედი. ქალაქში ვიყავი და კაფეში მოვკარი ყური.
- გასაგებია.
- იდგა გალუმპული, ხელშიაც სველი ქუდი ეჭირა და ხმას არ იღებდა.
- რისთვის მაპატიმრებენ?
- რაღაცას ომს უკავშირებენ.
- არ იცით, რას?
- არა. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ადრე აქ ოფიცრად გიცნობდნენ, ახლა კი ფორმა არ გაცვიათ. ამ უკან დახევის შემდეგ ყველას იჭერენ.
- ერთი წუთით დავფიქრდი.
- რა დროს უნდა დამიჭირონ?
- დილით. არ ვიცი, რომელ საათზე.
- რას მირჩევთ, რა ვქნა?
- ქუდი პირსაბაზზე ჩამოსდო. სულ გაწუწული იყო და წყალი პირდაპირ იატაკზე იღვრებოდა.
- თუ გული არ გეთანაღრებათ, მაშინ დიდი არაფერი. თუმცა დაჭერა არასოდეს არ არის სასურველი_მით უმეტეს, ახლა.
- არ მინდა, რომ დამიჭირონ.
- მაშინ შვეიცარიაში უნდა წახვიდეთ.
- რანაირად?
- ჩემი ნავით.
- ქარიშხალი რომ არის!_ვთქვი მე.
- უკვე ჩადგა. ღელვა კი იქნება ცოტათი, მაგრამ თქვენ არ გაგიჭირდებათ.
- როდის უნდა გავემგზავროთ?
- ახლავე, იქნებ გათენებისას მოგაკითხონ.
- ბარგს რაღა ვუყო?
- ჩაალაგეთ. ქალბატონმა ჩაიცვას. ბარგს მე მოვუვლი.
- თქვენ სად იქნებით?
- აქვე დაგიცდით. არ მინდა, ვინმემ მნახოს დერეფანში.
- კარი გამოვალე, ისევ მივხურე და საწოლ ოთახში გავედი. ქეთრინს ეღვიძა.

- რა ამბავია, ძვირფასო?
- არაფერი, ქეთ, – ვუთხარი მე, _არ გინდა, ახლავე ჩავიცვათ და ნავით შვეიცარიაში გავემგზავროთ?
- შენ გინდა?
- არა, _ მივუგე მე, _ მე მირჩევია, ისევ ლოგინში ჩავწევე.
- რა მოხდა?
- აგერ ბარმენი მეუბნება, დილით დაჭერას გიპირებენო.
- ხომ არ შეიშალა?
- არა.
- მაშინ ვიჩქაროთ, ძვირფასო. ჩავიცვათ და წავიდეთ ბარემ, _ ლოგინზე ჩამოჯდა. ჯერ კიდევ არ გამოფხიზლებულიყო, _ ეს ბარმენი სააბაზანოშია?
- ჰო.
- მაშ, აღარ დავიბან. იქით მიიხედე, ჩემო კარგო. და ხელად ჩავიცვამ.
- ღამის პერანგი რომ გაიხადა, მისი თეთრი ზურგი დავინახე და მერე მივბრუნდი, რადგან ასე სურდა. უკვე დაეტყო ცოტათი მუცელი, და მერიდებოდა ხოლმე. ვიცვამდი და თან ფანჯარაში წვიმის ხმა მესმოდა. ჩასალაგებელი ბევრი არაფერი მქონდა.
- ჩემი ჩემოდანი თითქმის ცარიელია, ქეთ, თუ დაგჭირდეს.
- მეც უკვე ჩავალაგე, _ თქვა მან, _ ძალიან სულელი ვარ, გენაცვალე, მაგრამ მითხარი, ბარმენს სააბაზანოში რა ესაქმება?
- ჩუ-უ. ჩვენ გველოდება, ბარგი უნდა ჩაიტანოს.
- რა კარგი კაცი ყოფილა.
- ძველი მეგობარია, _ ვუთხარი მე, _ ერთხელ ჩიბუხის თამბაქო კინაღამ გამოვუგზავნე.
- ღია ფანჯრიდან გავხედე ბნელ ღამეს. ტბა არ ჩანდა. მარტო წვიმასა და სიბნელეს ვხედავდი, ქარი ცოტათი დამცხრალიყო.
- მე მზადა ვარ, ჩემო ძვირფასო, _ თქვა ქეთრინმა.
- ძალიან კარგი, _ სააბაზანოში შევედი, _ ჩემოდნები მზად არის, ემილიო,
- ვუთხარი მე. ბარმენმა ჩემოდნები აიღო.
- რა პატივი დაგვდეთ, რომ დაგვეხმარეთ! _ უთხრა ქეთრინმა.
- მაგდენიც არაფერი, ქალბატონო, _ მიუგო ბარმენმა, _ ჩემთვისაც სასიამოვნოა, დაგეხმაროთ, ოღონდ ისე, რომ თვითონვე არ გავეხვიო ფათერაკში. მომისმინეთ, _ მომმართა მე, _ მე ამ ჩემოდნებს უკანა კარებიდან გავიტან და პირდაპირ ნავისკენ გავსწევ. თქვენ კი დინჯად ჩამოდით, თითქოს სასეირნოდ მიდიოდეთ.
- კაი სასეირნო ღამე კია, _ თქვა ქეთრინმა.
- ღამე მართლაც ვერ არის რიგიანი.
- კიდევ კარგი, ქოლგა მაქვს, _ თქვა ქეთრინმა.
- დერეფანი გავიარეთ და სქელნოხადაფარებულ ფართო კიბეზე დავეშვით. კიბის ძირში, კარებთან, შვეიცარი იჯდა. ჩვენ რომ დაგვინახა, სახტად დარჩა.

- _ ქუჩაში უნდა გახვიდეთ, სერ? _ მკითხა მან.
- _ ჰო, გავივლით, ტბაზე ქარიშხალს ვნახავთ, _ ვუთხარი მე.
- _ ქოლგა არა გაქვთ, სერ?
- _ არა, ჩემი პალტო წვიმას არ ატარებს.

დაეჭვებით შემათვალიერა. _ ქოლგას მოგართმევთ, სერ. _ თქვა მან. გავიდა და დიდი ქოლგა მოიტანა. _ ცოტა არ იყოს, დიდი კია, _ თქვა მან. ათლირიანი ვაჩუქე. _ ო, თქვენ ძალიან კეთილი ხართ, სერ. დიდ მადლობას მოგახსენებთ. _ კარი გაგვიღო და ჩვენ წვიმაში გავედით. ქეთრინს გაუღიმა და ქეთრინმაც გაუღიმა. _ დიდხანს ნუ გაჩერდებით ქარიშხალში, _ მოგვაძახა. _ დასველდებით, სერ და ლედი, _ დამხმარე შვეიცარი იყო და ინგლისურში ჯერ კიდევ ვერ გაწაფულიყო _ იტალიურიდან პირდაპირ თარგმნიდა გამოთქმებს.

- _ მალე მოვბრუნდებით, _ ვუთხარი მე.

გავშალეთ ვეებერთელა ქოლგა და ბილიკს დავადექით, მერე სველი, ჩაბნელებული ბალი გადავჭერით და გზაზე გავედით, იქიდან კი, კვლავ ბილიკით, მესერშემოვლებულ ტბის სანაპიროს დავუყევით. ქარი ახლა ნაპირიდან უბერავდა. ნოემბრის ცივი, ნესტიანი ქარი იყო და ვიცოდი, რომ მთებზე უკვე დათოვდა. ჩავუარეთ ჯაჭვებით მიბმულ ნავებს და ვარაუდით მივადექი იმ ადგილს, საცა ჩვენი ბარმენის ნავი მეგულებოდა. წყალი ქვაზედაც უფრო შავი იყო. ხეივნიდან ბარმენი გამოვიდა.

- _ ჩემოდნები ნავშია. - თქვა მან.
- _ ნავის ფული უნდა გადაგიხადოთ, _ ვუთხარი მე.
- _ რამდენი გაქვთ ფული?
- _ არც ისე ბევრი.
- _ მაშ, მერე გამომიგზავნეთ. ასე აჯობებს.
- _ რამდენი?
- _ რამდენიც მოგეგუნებოთ.
- _ მაინც რამდენი?
- _ თუ მშვიდობით ჩახვედით, ხუთასი ფრანკი გამომიგზავნეთ. ოღონდ მშვიდობით იმგზავრეთ, და მაგისი დარდი ნუ შეგაწუხებთ.

_ კეთილი.

- _ ამაში სენდვიჩებია, _ პარკი გადმომცა, _ მეტი აღარაფერი მქონდა ბარში. სულ აქ არის. აგერ ერთი ბოთლი კონიაკი და ბოთლით ღვინოც. _ ჩემს ჩემოდანში ჩავაწყვე.

- _ ამის ფული მაინც გადამახდევინეთ.
- _ როგორც გნებავთ _ ორმოცდაათი ლირა მიბოძეთ.
- გადავუხადე. _ კარგი კონიკია, _ თქვა მან, _ თამამად შეგიძლიათ თქვენს ქალბატონს დაალევინოთ. ბარემ ჩაბრძანდეს ნავში. _ ნავი დაიჭირა, რომელიც ხან მაღლა ამოიწევდა, კედლის გასწვრივ, ხან ისევ დაენარცხებოდა. მე ქეთრინს მივაშველე ხელი. კიჩოზე ჩამოჯდა და ლაბადაში გაეხვია.

- _ გზას ხომ გაიგნებთ?

- აღმა უნდა შევყვე.
 - სადამდე?
 - მანამ ლუინოს გავცდებოდე.
 - ლუინო, კანერო, კანობიო, ტრანცანო. ბრისაგოდან იწყება შვეიცარია.
- მონტე თამარაც უნდა გაიაროთ.
- რომელი საათია? – იკითხა ქეთრინმა.
 - ჯერ თერთმეტია, – ვუთხარი მე.
 - თუ შეუჩერებლივ იცურეთ, დილის შვიდი საათისთვის მიაღწევთ.
 - ასე შორსაა?
 - ოცდათხუთმეტი კილომეტრია.
 - როგორ გავიკვლევთ გზას? ამ წვიმაში კომპასი მაინც მოგვცა.
 - რად გინდათ. იზოლა ბელასკენ აიღეთ გეზი. იზოლა მადრეს რომ გასცდებით, ქარს მიჰყევით. ქარი პალანცაში მიგიყვანთ. სინათლეებს დაინახავთ. მერე კი ნაპირს გაჰყევით.
 - ქარი თუ შეიცვალა?
 - არ შეიცვლება, – თქვა მან, – სამ დღეს ასე იქროლებს. მატარონედან უბერავს. აგერ ჯამიც, წყლის ამოსახაპად.
 - ცოტას მაინც გადაგიხდით ნავის საფასურს.
 - არა. მირჩევნია ასე საალალბედოდ დარჩეს. მშვიდობით თუ გააღწევთ, ბარემ ერთბაშად გადამიხადეთ.
 - კეთილი.
 - არა მგონია, დაიხრჩოთ.
 - ღმერთმა ნუ ქნას.
 - ქარის მიმართულება აიღეთ, შეღმა.
 - კარგი, – ნავში ჩავხტი.
 - სასტუმროს ფული დასტოვეთ?
 - დიახ, კონვერტში ჩავდე და ოთახში დავტოვე.
 - მაშ, ასე. ბედნიერი მგზავრობა, Tenente.
 - ბედნიერად. ათას მადლობას გიძლვნით.
 - მადლობა მაშინ იკითხეთ, თუ დაიხრჩეთ.
 - რაო? – მკითხა ქეთრინმა.
 - ბედნიერი მგზავრობაო.
 - თქვენც ბედნიერად იყავით, – უთხრა ქეთრინმა, – დიდი მადლობა.
 - მზადა ხართ?
 - კი.
- დაიხარა და ხელი გვკრა. ნიჩაბი წყალში ჩავუშვი და ცალი ხელი დავუქნიე. გაფრთხილდიო, ხელით მანიშნა. სასტუმროს სინათლეებს გავხედე და ნიჩბები მოვუსვი, მანამ თვალს არ მიეფარნენ, სულ პირდაპირ მიმყავდა ნავი. ირგვლივ ნამდვილი ზღვა ბობოქრობდა, მაგრამ ჩვენ ქარის მიმართულებას მივყვებოდით.

თავი XXXVII

სიბნელეში ვუსვამდი ნიჩბებს და სახე ქარისთვის მქონდა მიშვერილი. წვიმამ გადაიღო. მხოლოდ ხანდახან თუ წამოუშენდა ქართან ერთად. ძალიან ბნელოდა და ცივი ქარი ქროდა. ქეთრინს შევყურებდი კიჩოზე, წყალს კი, რომელშიც ნიჩბებს ვუშვებდი, ვერა ვხედავდი. გრძელი ნიჩბები იყო და დასამაგრებელი ღვედები არ ჰქონია. ჩავუშვებდი წყალში, ამოვწევდი, წინ გადავიხრებოდი. ამოვკრავდი, ისევ ჩავაყურყუმელავებდი და ისევ ამოვკრავდი. ვცდილობდი, რაც შეიძლება მსუბუქად მემოძრავებინა. რაკი ქარი მეხმარებოდა, ბრტყლად მოსმა აღარ დამჭირვებია. ვიცოდი, რომ ხელისგულები, როცა იქნებოდა, გადამეყვლიფებოდა, და ვცდილობდი, რაც შეიძლება გვიან მომსვლოდა. ნავი მსუბუქი იყო და კარგად მომყვებოდა. მივაპობდი და მივაპობდი ჩამუქებულ წყალს. ვერაფერს ვხედავდი, მაგრამ იმედი მქონდა, რომ პალანცას მალე გავუპირისპირდებოდი.

მაინც ვერ ვეღირსეთ პალანცას ნახვას. ზენა ქარი უბერავდა და ისე ჩავუარეთ კონცხს, რომელიც პალანცას ფარავს, რომ სინათლეები არ დაგვინახავს. როცა ბოლოს და ბოლოს რაღაც სინათლეები გამოჩნდა, ოღონდ გაცილებით უფრო შორს და თითქმის ზედ ნაპირზე, ეს უკვე ინტრა იყო. მაგრამ ეს შემდეგ, ადრე კი ისე გაიარა კარგმა ხანმა, ერთი სინათლისათვის არ შეგვივლია თვალი, არც ნაპირი დაგვინახავს, გულმოდგინებით ვუსვამდით ამ სიბნელეში ნიჩბებს და აზვირთებულ ტალღებსა ვსერავდით. ზოგჯერ ტალღა მაღლა შეისროდა ხოლმე ნავს და სიბნელეში ნიჩბებს ტყუილ-უბრალოდ ვატრიალებდი ჰაერში. ტბა ბობოქრობდა, მაგრამ კვლავ შეუსვენებლივ განვაგრძობდი ნიჩბების მოსმას. წყალში შემოზრდილ კლდეს კინაღამ შევენარცხეთ; ზვირთები მაგრად ეხეთქებოდა ამ შვერილს, ჰაერში სხლტებოდა და უკანვე ეცემოდა. მე მაგრად დავაწექი მარჯვენა ნიჩაბს, მარცხენა სწრაფად დავატრიალე და ისევ ტბის სიღრმეში გავედით. შვერილი თვალს მიეფარა და ჩვენც გზა განვაგრძეთ.

- უკვე გადავსერეთ ტბა, – ვუთხარი ქეთრინს.
- აკი პალანცა უნდა გაგვევლო?
- გვერდზე ჩამოვიტოვეთ.
- შენ როგორა ხარ, ძვირფასო?
- დიდებულად.
- ცოტა ხნით მეც შემეძლო ნიჩბის მოსმა.
- არა. მშვენივრადა ვარ.
- საწყალი ფერგიუსონი, – თქვა ქეთრინმა, – დილით მოგვაკითხავს სასტუმროში და წასულები დავხვდებით.
- ეგ დიდად არ მაწუხებს, – ვთქვი მე, – შენ ისა თქვი, შვეიცარიის სანაპირო ხაზს როგორ მივაღწიოთ გათენებამდე, რომ საბაჟოს გუშაგებმა არ შეგვნიშნონ.
- კიდევ შორს არის?
- ოცდაათამდე კილომეტრია.

მთელი დამე მივცურავდით. ბოლოს და ბოლოს ისე გადამეყვლიფა ხელები, რომ ნიჩბებს ძლივს ვუჭერდი. რამდენჯერმე ნაპირს კინაღამ მივენარცხეთ. ვცდილობდი, რაც შეიძლებოდა ახლოს ვყოფილიყავი ხმელეთთან, მეშინოდა, გზა არ ამებნას და დრო არ დავკარგო-მეთქი. ზოგჯერ ისე მივუახლოვდებოდით, რომ სანაპიროს ხეივანსა და გზასაც კი ვხედავდი, რომელთაც მთები გადმოჰყუდებოდნენ. წვიმამ გადაიღო, ქარმა ღრუბლები გადაჰყარა, მთვარემ გამოანათა და უკან რომ მივიხედე, კასტანოლას გრძელი, ჩამუქებული კონცხი დავინახე, წამოქოჩილი ზვირთები თეთრად ელავდნენ და მთის მაღალ მწვერვალებზე მთვარე შემომჯდარიყო. მერე ისევ ჩამოეფარა მთვარეს ღრუბლები და მთაცა და ტბაც გაქრა, ოღონდ ახლა უჩინდელზე გაცილებით უფრო მეტი ნათელი იდგა და ნაპირი ჩანდა. ძალიან გარკვევითაც კი ჩანდა, და ცოტა უფრო ღრმადაც შევედი – ვაითუ პალანცას გზაზე საბაჟოს გუშაგები იყვნენ და შეგვნიშნონ-მეთქი. როცა ისევ გამოჩნდა მთვარე, ჩვენ დავინახეთ მთის კალთებზე შეფენილი თეთრი ვილები და ხეებს შორის მოკიაფე თეთრი გზა. ვუსვამდი და ვუსვამდი ნიჩბებს, ერთხელაც არ შემისვენია.

ტბა თანდათანობით გაფართოვდა და იქითა მხარეს, მთის ძირში, სინათლეები დავინახეთ. ეს ლუინო უნდა ყოფილიყო. გაღმა, მთებს შორის, პალოსებური ნაპრალი შევნიშნე და გადავწყვიტე, ნამდვილად ლუინოა-მეთქი. თუ მართლა ლუინო იყო, კარგი გზა გამოგვივლია. ნიჩბები ნავში ამოვათრიე და უკან გადავწექი. ქანცი გამწყდა. მკლავები, ზურგი, მხრები სულ მტკიოდა და ხელბიც გადაყვლეფილი მქონდა.

– მოდი, ქოლგას გავშლი, – თქვა ქეთრინმა, – ქარს მივუშვიროთ და თავისით წავალთ.

– მართვა იცი?
– მე მგონი, კი.
– ამ ნიჩაბს მკლავით გადააწექი, ნავის გვერდს მიეკარ და ისე მართე, მე კი ქოლგას დავიჭერ.

კიჩოსკენ გადავინაცვლე და ვაჩვენე, როგორ უნდა სჭეროდა ნიჩაბი, მერე, შვეიცარმა რომ მომცა, ის დიდი ქოლგა ავიღე, ნავის ჭვინტისკენ მივბრუნდი და გავშალე. ქოლგამ გაიწკაპუნა. ტარი სკამზე მივაბი, ზედ გადავაჯექი და აქეთ-იქით ხელები ჩავჭიდე. პირდაპირ შიგა სცემდა ქარი. და ნავიც გაქანდა. რაც ძალი და ონე მქონდა, მაგრად მეჭირა ხელებით, რადგან ქარი მტაცებდა. სწრაფად გაცურდა ნავი.

– დიდებულად მივდივართ, – თქვა ქეთრინმა. ქოლგის წკირების მეტს ვერაფერს ვხედავდი. ქოლგა დაიჭიმა, გაიბერა და თითქოს ჩვენც მასთან ერთად მივქროდით. ფეხები გავჩაჩხე და ქოლგის ნაპირები კიდევ უფრო მაგად გადავჭიმე. ერთბაშად გაიღუნა და წკირმა შუბლზე გადამიტკაცუნა. ვცადე, წვეროსთვის წამევლო ხელი, რომელსაც ქარი ღუნავდა, მაგრამ უცებ ყველაფერი ამოტრიალდა, მე ტარზე დავრჩი გადამჯდარი, ხოლო ქარით

გაბერილი იალქანი, რომელსაც ხელებით ძლივს ვამაგრებდი, ნაფლეთებად იქცა. ტარი მოვხსენი, ქოლგა ჭვინტზე დავაგდე და ქეთრინისაკენ გადავედი ნიჩბისათვის. იგი იცინოდა, ხელში ჩამჭიდა ხელი და იცინოდა და იცინოდა.

— რა მოგივიდა? — ნიჩაბი ავიღე.

— ისე სასაცილოდ იყავი გადაჩაჩხული!

— წარმომიდგენია.

— კი ნუ გამიბრაზდი, გენაცვალე, ისე სასაცილო იყო! ოცი ფუტის სიგანეზე მაინც იყავი გადაჩაჩხული, და ისე გამწარებით ჩაფრენოდი ქოლგას...

— სიცილით სუნთქვა შეეკრა.

— ისევ ნიჩბებს დავიჭერ.

— ცოტა დაისვენე და დალიე. დიდებული ღამეა და კარგი ძალიც გავიარეთ.

— ნავი უნდა შევაბრუნოთ ტალღების მიმართულებით.

— ბოთლს ამოგილებ, მერე კი ცოტა დაისვენე, ძვირფასო.

ნიჩბები ავიღე, ტალღებზე რწევა დაგვაწყებინა. ქეთრინი ჩემოდანს აღებდა. კონიაკის ბოთლი მომაწოდა. საცობი ამოვაძვრე ჯიბის დანით და კარგა ბევრი გადავყლურწე. ცხარე და სასიამოვნო იყო, მთელ ტანში დამიარა, გამათბო და გამახალისა. მშვენიერი კონიაკია, ვთქვი მე. მთვარე ისევ ღრუბლებში იყო, მაგრამ ნაპირს ვხედავდი. წინ კვლავ გამოჩნდა ტბაში გრძლად შეჭრილი კლდის შვერილი.

— თბილადა ხარ, ქეთ?

— დიდებულად ვარ. ოღონდ ცოტათი ფეხები დამიბუჟდა.

— წყალი ამოხაპე და თავისუფლად გაშლი ფეხებს.

ისევ დავიწყე მუშაობა, მესმოდა ჭრაჭუნი და თუნუქის სახაპავის ფხაკუნი კიჩოს სკამის ქვეშ.

— სახაპავი მომაწოდე, წყალი უნდა დავლიო, — ვუთხარი მე.

— საშინლად ჭუჭყიანია.

— არა უშავს, გამოვავლებ.

გვიგონე, როგორ გამოავლო წყალი ქეთრინმა. მერე წყლით სავსე მომაწოდა. კონიაკმა მომაწყურა, და ყინულივით იყო წყალი, ისე ცივი, რომ კბილები ამიკაწკაწა. ნაპირს გავხედე. გრძელ შვერილს ვუახლოვდებოდით. ყურეში სინათლეები მოჩანდა.

— გმადლობ, — ვუთხარი მე და თუნუქის სახაპავი გადავეცი.

— თქვენთვის არაფერი არა გვშურს, — თქვა ქეთრინმა, — იქნებ კიდევ ინებოთ!

— არა გშია?

— არა. მალე მომშივა, და იმ დროისათვის გამოვიზოგოთ.

— აგრე იყოს.

შორიდან რომ კლდის შვერილი გვეჩვენებოდა, კარგა გრძელი და მაღალი კონცხი გამოდგა. ღრმად შევიჭერი ტბაში, რომ გვერდი ამექცია. ტბა

გაცილებით დავიწროვდა. მთვარე ისევ გამოჩნდა. Cuardia di Finanza თუ გამოიხედავდნენ ნაპირიდან, ჩვენს ნავს ადვილად შენიშნავდნენ.

1 საბაჟოს გუშაგები (იტალ.).

- როგორა ხარ, ქეთ? – კითხე მე.
- კარგად. სადა ვართ?
- რვა მილზე მეტი ალარ უნდა გვქონდეს დარჩენილი.
- რამდენი ხანია არ შეგისვენია! საწყალი ჩემი ბიჭი. არ მოკვდი?
- რას ამბობ! მშვენივრადა ვარ. ოღონდ ეს არის, ხელები გადამეყვლიფა.

ისევ აღმა მივცურავდით. მარჯვნივ მთაგრეხილი გაწყვეტილიყო და თანდათანობით დაბლდებოდა ნაპირი. ჩემი ფიქრით, ეს უნდა ყოფილიყო კანობიო. ისევ ღრმად შევიჭრი ტბაში, რადგან ამ ადგილას მეტი შიში გვმართებდა, უფრო ადვილად შეგვნიშნავდნენ გუშაგები. მეორე ნაპირზე, ცოტა მოშორებით, მაღალგუმბათიანი მთა გამოჩნდა. დავიქანცე. ბევრი აღარ გვქონდა გასავლელი, მაგრამ არაქათი რომ გამოგელევა, ცოტაც კი ბევრი მოგეჩვენება. იმ მთასაც რომ გავცდებოდით, შვეიცარიაში მისვლამდე, სულ ცოტა, ხუთი მილი მაინც დაგვრჩებოდა გასავლელი. მთვარე ჩასვლაზე იყო, მაგრამ მანამ ჩავიდოდა, ცა ისევ ღრუბლებით დაიფარა და ჩამოსკვარამდა. მე კვლავ ღრმად ვიყავი შეჭრილი ტბაში, დროდადრო შევისვენებდი ხოლმე და ნიჩბებს ისე ამოვწევდი, რომ ქარი პირდაპირ მოხვედროდა.

- ცოტა ხნით შეგეშველება, – მითხრა ქეთრინმა.
- არა მგონია, შენთვის შეიძლებოდეს.
- რა სისულელეა. მომიხდება კიდეც. ხელ-ფეხი აღარ დამიბუჟდება.
- არა მგონია, შეიძლებოდეს, ქეთ.
- რა სისულელეა. ძალიან არ უნდა გადაიქანცო, თორემ ნიჩბების ზომიერი მოსმა სასარგებლოც კია ორსული ქლისათვის.

– კარგი, მაშ ზომიერად მოუსვი. მე შენს ადგილს დავიჭრ, შენ კი მერე აქეთ გადმოდი. ოღონდ ნავს ჩასჭიდე ხელი გადმოსვლისას.

კიჩოზე ვიჯექი, პალტოს საყელო აწეული მქონდა, და ქეთრინის მოძრაობას შევყურებდი. ძალიან მარჯვედ უსვამდა, მაგრამ ნიჩბები მეტისმეტად გრძელი იყო და ცოტათი ხელს უშლიდა. ჩემოდანი გავხსენი, ორი სენდვიჩი შევჭამე და კონიაკი დავაყოლე. ერთბაშად გამოვცოცხლდი და ცოტა კიდევ მოვსვი.

– რომ დაიღალო, მითხარი, – და ცოტა ხნის მერე დავსძინე, – ფრთხილად, ნიჩბები მუცელში არ იკრა.

– ასე რომ მოხდეს, – სვენებ-სვენებითა თქვა ქეთრინმა, – ცხოვრება გაცილებით უფრო გამარტივდებოდა.

კიდევ მოვსვი კონიაკი.

– როგორაა საქმე?

– კარგად.

– რომ მოგწყინდეს, მითხარი.

– გეტყვი.

კიდევ მოვსვი კონიაკი, ნავის ნაპირებს ჩავჭიდე ხელი და წინ გადავინაცვლე.

– არ მინდა. შესანიშნავად ვარ.

– კიჩოზე გადადი. მე დიდებულად დავისვენე.

ერთხანს, კონიაკის წყალობით, მსუბუქად და კარგად მივაცურებდი ნავს. მერე, თანდათანობით, ხელები ამებლანდა და არეულად ვიწყე მოსმა, პირში ნაღვლის მწარე გემო ვიგრძენი; ეს იმიტომ, რომ კონიაკის შემდეგ ერთხაშად მაგრად ვიმუშავე.

– ცოტა წყალს ვერ დამალევინებ?

– ადვილი სამსახურია, – მითხრა ქეთრინმა.

გათენების წინ წამოჟინებულა. ქარი ჩადგა, ან იქნებ მთები გვიფარავდა, რომლებიც ტბის უსწორმასწორო ნაპირს შემორტყმოდნენ. დღის მოახლოება რომ ვიგრძენი, კარგად მოვეწყვე და ნიჩბები მაგრად ავამუშავე. არ ვიცოდი, სად ვიყავით და მინდოდა, ჩქარა მიმეღწია შვეიცარიის საზღვრამდე. როცა ინათლა, ნაპირთან სულ ახლოს ვიყავით. კარგად ვხედავდი კლდოვან ნაპირსა და ხეებს.

– ეს რა არის? – თქვა ქეთრინმა. ნიჩბები გავაჩერე და დავაყურადე. ტბაზე მოტორიანი ნავი მიქოთქოთებდა. ჩვენი ნავი ზედ ნაპირს მივაყენე და გავიტრუნეთ. მოტორიანი ნავის დაგდაგი კიდევ უფრო მოახლოვდა. მერე თვითონ ნავიც დავინახეთ კიჩოს მხარეს, წვიმაში, ჩვენგან ცოტათი მოშორებით. ოთხი Guardia di Finanza ჩამომჯდარიყო კიჩოზე, თავიანთი alpini¹ შუბლზე ჩამოფხატოდათ, მაზარის საყელოები წამოეწიათ და კარაბინები ზურგზე მოეგდოთ. ძილმორეულები ჩანდნენ ამ დილაადრიან. ქუდზე ყვითელი რაღაც ებნიათ და საყელოებზედაც ყვითელი ნიშნები მოუჩანდათ. ნავმა ჩაგვიარა და ქოთქოთით მიეფარა თვალს.

1 საგანგებო ქუდები ალპიელი მსროლელებისა.

ისევ გავედით ტბაში. საზღვარი აქ სადღაც ახლოს უნდა ყოფილიყო და არავითარი სურვილი არა მქონდა სასაზღვრო გუშაგებს შევეჩერებინეთ. იმ სიშორეზე გავედით, რომ ნაპირი თვალთაგან არ დაგვარგოდა, და სამი მეოთხედი საათი კიდევ ვიცურეთ წვიმაში. ისევ გავიგონეთ მოტორიანი ნავის ხმა, და მანამ გუგუნი არ მიწყდა, გატრუნულები ვიდექით.

– მგონი, შვეიცარიაში უნდა ვიყოთ, ქეთ.

– მართლა?

– დანამდვილებით ძნელია თქმა, მანამ შვეიცარიის არმიას არ დავინახავთ.

– ან შვეიცარიის ფლოტს.

- შვეიცარიის ფლოტს ნუ ეხუმრებით, ბოლოს რომ მოტორიანი ნავის ხმა გავიგონე, ალბათ ის იქნებოდა შვეიცარიის ფლოტი.
- თუ მართლა შვეიცარიაში ვართ, ბარემ რიგიან-პირიანად ვისაუზმოთ. საუცხოო ფუნთუშები, კარაქი და მურაბა იციან შვეიცარიაში.

უკვე კარგად გათენდა და კარგა გვარიანადაც წვიმდა. ქარი ისევ უბერავდა ნაპირიდან და ტბა თეთრად აიქოჩრა, ეჭვი აღარ იყო, რომ შვეიცარიას მივაღწიეთ. ნაპირზე, ხეებს უკან, სახლები გამოჩნდა, ცოტა უფრო მოშორებით_მთელი სოფელი, სულ ქვის სახლები, გორაკებზე ვიღები და ეკლესია. ნაპირის გასწვრივ გაჭიმულ გზას გავხედე, გუშაგები ხომ არ არიან-მეთქი, მაგრამ არავინ დამინახავს. გზა ზედ ტბასთან მოვიდა და მე გზისპირა კაფედან გამოსული ჯარისკაცი შევნიშნე. მონაცრისფრო-მომწვანო ფორმა ეცვა და ისეთივე ჩაჩქანი ეხურა, როგორსაც გერმანელები ატარებენ. სახეზე ჯანიანი ბიჭი ჩანდა, კბილის ჯაგრისისნაირი ულვაშები ჰქონდა. შემოგვხედა.

- ხელი დაუქნიე, – ვუთხარი ქეთრინმა. ქეთრინმა დაუქნია.
- ჯარისკაცმა დარცხვენილად გაიღიმა და თვითონაც დააქნია ხელი. მე შევანელე სვლა. სოფლის გასწვრივ მივცურავდით.
- ეტყობა, კაი ხანია, რაც საზღვრებში შემოვედით, – ვთქვი მე.
- კრგად უნდა გავიგოთ, ძვირფასო, ღმერთმა ნუ ქნას, რომ საზღვრიდან უკანვე გაგვაბრუნონ.
- საზღვარი უკვე შორსა გვაქვს მოტოვებული. ეს, ალბათ, საბაჟო ქალაქია. დარწმუნებული ვარ, ბრისაგო იქნება.
- მერე იტალიელები არ იქნებიან აქა? საბაჟო ქალაქებში ორივე ქვეყანის ხალხი ირევა ხოლმე.

– ომის დროს ასე არ არის. არა მგონია, იტალიელები შემოუშვან.

კოპწია ქალაქი იყო. ნავსადგომი მეთევზეთა ნავებს გაეჭედა, ხირხალებზე ბადეები ჰქონდათ გაფენილი. ცრიდა ნოემბრის წვიმა, მაგრამ აქ წვიმაშიაც კი სიფაქიზე და სიხალისე იგრძნობოდა.

- მაშინ იქნებ ნაპირზე გადავსულიყავით და გვესაუზმა.
- გადავიდეთ.
- მარცხენა ნიჩაბს დავაწექი და ნაპირს მივუახლოვდი, მერე, ზედ ნავსადგომთან, ისევ გავასწორე ნავი და გვერდით მივადექით. ნიჩბები ამოვზიდე და ნავში ჩავყარე, რკინის რგოლი ავიღე, სველ ქვას დავადგი ფეხი და შვეიცარიაში ამოვყავი თავი. ნავი ხიმინჯს მივაბი და ქეთრინს გავუწოდე ხელი.

- გადმოდი, ქეთ. დიდებულ გუნებაზე ვარ.
 - ჩემოდნებს რა ვუყოთ?
 - ნავში დავტოვოთ.
- ქეთრინმა გადმოაბიჯა, და ახლა ორივენი შვეიცარიაში ვიყავით.
- რა ლამაზი ქვეყანაა! - თქვა მან.
 - ხომ დიდებულია?

— წავიდეთ, ვისაუზმოთ.

— ხომ მართლა დიდებული ქვეყანაა? ფეხს რომ ადგამ, რაღაც სასიამოვნო გრძნობა მოგიცავს ხოლმე.

— მე ისე მაქვს ფეხები დაბუჟებული, რომ ვეღარაფერსა ვგრძნობ. მაგრამ მართლაც ბრწყინვალე ქვეყანა ჩანს. წარმოგიდგენია, რას ვეღირსეთ, ჩემო ძვირფასო! აქა ვართ! ძლივს არ მოვშორდი იმ ოხერ ქვეყანას!

— მართლაც რას ვეღირსეთ! ასეთი შვება ჯერაც არ მიგრძნია!

— აბა, სახლებს შეხედე. მშვენიერი მოედანი არ არის?! აი, იქ უნდა ვისაუზმოთ?

— წვიმაც ხომ მშვენიერია? იტალიაში სად ნახავ ამისთანა წვიმას. ხალისიანი წვიმაა!

— და ჩვენც აქა ვართ. ჩემო საყავარელო! წარმოგიდგენია? აქა ვართ!

კაფეში შევედით და ხის სუფთა მაგიდას შემოვუსხედით. მთვრალებივით ვიყავით ატაცებული. წინსაფარაკრული საუცხოო სუფთა ქალი გამოვიდა და გვკითხა, რას ინებებთო.

— ფუნთუშები, მურაბა და ყავა, — უთხრა ქეთრინმა.

— მაპატიეთ, მაგრამ ომია და ფუნთუშები არა გვაქვს.

— მაშინ პური იყოს.

— ხრაშუნა კვერებს დაგიცხობთ.

— კეთილი.

— ერბო-კვერცხიც მინდა.

— რამდენი კვერცხისა ნებავს ბატონს?

— სამი იყოს.

— ოთხი დაუკვეთე, გენაცვალე.

— ოთხი კვერცხი.

ქალი გავიდა. მე ქეთრინს ვაკოცე და მაგრად მივიკარი მისი ხელი. ხან ერთმანეთს შევხედავდით, ხან აქეთ-იქით ვიყურებოდით.

— ჩემო საყავარელო! ხომ კარგია, ჩემო სიყვარულო?

— დიდებულია, — ვუთხარი მე.

— რა ვუყოთ, რომ ფუნთუშები არა აქვთ, — თქვა ქეთრინმა, — მთელი დამე ფუნთუშები მელანდებოდა. მერე რა მოხდა. მაინც არ დამწყვეტია გული. სულაც არ დამწყვეტია გული.

— ალბათ, მალე დაგვიჭრენ.

— მერე რა მოხდა, გენაცვალე. ჯერ ვისაუზმოთ, ნასაუზმევს თუ დაგვიჭრენ, არა უშავს რა. ეგეც რომ არ იყოს, რას დაგვაკლებენ!

— მე ბრიტანეთის ქვეშევრდომი ვარ, შენ — ამერიკისა. ყველაფერი რიგიანად გვაქვს.

— პასპორტი გაქვს?

— რა თქმა უნდა. ეჰ, მაგაზე ნუღარ ვილაპარაკებთ. ბედნიერები ვიყოთ.

— ამაზე მეტი ბედნიერი როგორდა უნდა გავხდე, — ვთქვი მე.

კუდაპრეხილმა მსუქანმა ნაცრისფერმა კატამ ოთახი გადმოჭრა და ჩვენს მაგიდასთან მოვიდა, ჩემს ფეხთან მოიკალათა და რამდენს გამეხახუნებოდა, იმდენს კრუტუნს ამოუშვებდა. დავიხარე და ხელი გადავუსვი. ქეთრინმა ბედნიერად გამიღიმა. – ყავაც მოაქვთ, – თქვა მან.

ნასაუზმევს დაგვიჭირეს. სოფელში გავისეირნეთ ცოტაზე და ნავსადგომში მივედით ჩემოდნების წამოსაღებად. ჩვენს ნავთან ჯარისკაცი დაეყენებინათ.

- თქვენი ნავია?
- დიახ.
- საიდან მოდიხართ?
- გაღმიდან.
- მაშ გთხოვთ, გამოგვყვეთ.
- ჩემოდნებს რა ვუყოთ?
- შეგიძლიათ წამოიღოთ.

მე ჩემოდნები მიმქონდა, ქეთრინი გვერდზე მომყვებოდა. ჯარისკაცი კი უკან მოგვდევდა. ძველ საბაჟოში მივედით, სადაც მეტისმეტად გამხდარმა და მხედრულად გამოჭიმულმა ლეინტენანტმა დაგვითხა.

- რა ეროვნებისა ხართ?
- ამერიკელი და ინგლისელი.
- პასპორტები მიბოძეთ.

მე ჩემი პასპორტი მივეცი, ქეთრინმა თავისი ამოიღო ხელჩანთიდან. დიდხანს ათვალიერებდა.

- ასე რატომ შემოხვედით შვეიცარიაში, ნავით?
- მე სპორტსმენი ვარ, – მივუგე მე, ნიჩბოსნობა ყველაფერს მირჩევნია.

როგორც კი მოვახელთებ, მუდამ ნავში ვზივარ ხოლმე.

- აქ რატომ მოხვედით?
- ზამთრის სპორტში უნდა მივიღო მონაწილეობა. ტურისტები ვართ.
- აქ ზამთრის სპორტს რა უნდა?!
- ვიცი, და ჩვენც იქით უნდა წავიდეთ, სადაც ზამთრის სპორტია.
- იტალიაში რას აკეთებდით?
- მე არქიტექტურას ვსწავლობდი, ჩემი ბიძაშვილი – ხელოვნებას.
- რატომ წამოხვედით იქიდან?
- ზამთრის სპორტში უნდა მივიღოთ მონაწილეობა. არქიტექტურის თავი ვიღასა აქვს, ომია!

– ცოტა ხანს აქ მოითმინეთ, – გვითხრა ლეიიტენანტმა. უკანა ოთახში გავიდა და პასპორტებიც თან გაიტანა.

– რა დიდებული რამა ხარ, ძვირფასო! – მითხრა ქეთრინმა, ასევე განაგრძე. ზამთრის სპორტისთვის ჩამოხვედი.

- შენ თუ გაგეგება რამე ხელოვნებისა?
- რუბენსი.
- ზონზროხა და მსუქანი, ვუთხარი მე.

- ტიციანი, – თქვა ქეთრინმა.
- ტიციანის თმა! - ვუთხარი მე, _ მანტენია იცი?
- ძნელ კითხვებს ნუ მაძლევ. – თუმცა ეგ კი ვიცი. საშინელი რამეა.
- ძალიან. სულ ლურსმნით დაჩხვლეტილი.
- ხომ ხედავ, რა კარგი ცოლი გეყოლება, _ მითხრა ქეთრინმა, _ შენს კლიენტებს ხელოვნებაზე საუბარს გავუბამ.
- აჰა, მოდის, _ ვთქვი მე. გამხდარი ლეიტენანტი უკანა ოთახიდან გამოვიდა და ჩვენი პასპორტები გამოიტანა.
- ლოკარნოში უნდა გადაგაგზავნოთ, _ გვითხრა მან, _ შეგიძლიათ ეტლი დაიქირავოთ, ჯარისკაციც გამოგყვებათ.
- კეთილი, _ ვუთხარი მე, _ ნავს რაღა ვუყოთ.
- ნავი ჩამოგერთმევათ. ამ ჩემოდნებში რა გაქვთ?
- გაგვიჩხრიკა ჩემოდნები და პატარა ბოთლი კონიაკი ამოაძრო.
- იქნებ დამეწვიოთ?
- არა, გმადლობთ. – იგი გაიჭიმა, _ ფული რამდენი გაქვთ?
- ორი ათას ხუთასი ლირა.

ამან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. – თქვენს ბიძაშვილს რამდენიღა აქვს?

ქეთრინს ათას ორასზე მეტი აღმოაჩნდა. ლეიტენანტი კმაყოფილი დარჩა. ჩვენს მიმართ ქედმაღლობაც ცოტათი გაუნელდა.

- საზამთრო სპორტი თუ გინდათ, – თქვა მან, _ ვენგენია ზედგამოჭრილი. მამაჩემს მშვენიერი სასტუმრო უდგას ვენგენში. ზამთარ-ზაფხულ ღია აქვს.
- დიდებული საქმეა, _ ვთქვი მე, -მისამართს ვერ მომცემთ?
- ახლავე დაგიწერთ, _ დიდი მოწიწებით გადმომცა ბარათი.
- ჯარისკაცი გაგყვებათ ლოკარნოში. პასპორტებიც მას ექნება. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. დარწმუნებული ვარ, ან ვიზას მიიღებთ ლოკარნოში, ან პოლიციის ნებართვას.

ჯარისკაცს გადასცა პასპორტები, ჩვენ ჩემოდნები ავიღეთ და ეტლის დასაქირავებლად სოფლისკენ გავსწიეთ.

- ეი!_ გამოსმახა ლეიტენანტმა ჯარისკაცს და რაღაც უთხრა გერმანულ დიალექტზე. ჯარისკაცმა თოფი მხარზე მოიგდო და ჩვენს ჩემოდნებს დასტაცა ხელი.

- დიდებული ქვეყანა!_ ვუთხარი მე ქეთრინს.
- რა კარგი საცხოვრებელია!
- დიდ მადლობას მოგახსენებთ, _ მივმართე ლეიტენანტს. მან ხელი დაგვიქნია.

– მზად ვარ, გემსახუროთ!_ თქვა მან. ჩვენ ჯარისკაცს გავყევით სოფელში. ლოკარნოში ეტლით გავემგზავრეთ, ჯარისკაცი მეეტლეს მოუჯდა კოფოზე. არც ლოკარნოში წასულა ურიგოდ საქმე. დაკითხვით დაგვითხეს, მაგრამ ძალიან თავაზიანად გვექცეოდნენ, რადგან პასპორტებიც გვქონდა და ფულიც. არა მგონია, ჩვენი ნათქვამი თუნდაც ერთი სიტყვა დაეჯერებინოთ,

და რა სისულელეა-მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ სასამართლოსავით იყო. არავითარი ჭკვიანური მსჯელობა საჭირო არ იყო_ისე, ფორმალურად ასრულებდნენ მოვალეობას და ბევრი განმარტებაც არ დაგვჭირვებია. ჩვენ გვქონდა პასპორტებიც და ფულიც, რომელიც უნდა დაგვეხარჯა. ასე რომ, დროებითი ვიზები მოგვცეს. როცა მოესურვებოდათ, შეეძლოთ უკანვე წაეღოთ ეს ვიზები. სადაც კი მივდიოდით, ყველგან პოლიციაში უნდა გამოვცხადებულიყავით.

ყვალგან წასვლის უფლება გვაქვს? დიახ, მაინც სად ვაპირებთ?

_ საით აპირებ, ქეთ?

_ მონტრეში.

_ ძალიან ლამაზი ადგილია _ თქვა მოხელემ, - ალბათ, თქვენც მოგეწონებათ.

_ ლოკარნოც ძალიან ლამაზი ქალაქია, _ თქვა მეორე მოხელემ, _ დარწუნებული ვარ, ძალიან მოგეწონებათ ლოკარნო. ძალიან მომზიბვლავი ქალაქია ლოკარნო.

_ ჩვენ იმისთანა ადგილი გვინდა, საცა საზამთრო სპორტია.

_ მონტრეში რა საზამთრო სპორტია!

_ უკაცრავად! _ შეესიტყვა მეორე მოხელე, _ მე თვითონ მონტრეელი ვარ. მონტრე-ობერლანდ-ბერნუას რკინიგზის ხაზზე მშვენიერი ადგილებია საზამთრო სპორტისათვის! თქვენგან ამის უარყოფა არაკეთისლინდისიერება იქნება.

_ მე არ უარვყოფ. მე მხოლოდ ისა ვთქვი, მონტრეში საზამთრო სპორტს არ მისდევენ-მეთქი.

_ ვერ დაგეთანხმებით, _ შეესიტყვა მეორე, _ მაგაში ვერ დაგეთანხმებით.

_ მე კი ამას ვამტკიცებ.

_ ვერ დაგეთანხმებით. მე თვითონ მიღუდავნია მონტრეს ქუჩებში. ერთჯერ და ორჯერ კი არა. ლუგაობა ზამთრის სპორტია, აბა რა არის!

ახლა მე მომიბრუნდა მეორე მოხელე.

_ თქვენ ლუგაობა გნებავდათ, სერ? დამერწმუნეთ, რომ მშვენივრად მოეწყობით ლოკარნოში: ჰავა _ ჯანსაღი, ბუნება _ მმომზიბლავი. ძალიან მოგეწონებათ.

_ ბატონმა თვითონვე გამოთქვა მონტრეში წასვლის სურვილი.

_ ლუგაობა რას ნიშნავს? _ ვკითხე მე.

_ ხომ ხედავთ, პირველად ესმის ლუგაობა.

ამან დიდი შვება აგრძნობინე მეორე მოხელეს. ძალიან კმაყოფილი დარჩა.

_ იგივე ტობოგანია, _ მითხრა პირველმა.

_ ნურას უკაცრავად, - თავი გააქნია მეორემ_ისევ უნდა შემოგედავოთ. სად ტობოგანი და სად ლუგი. ტობოგანს კანადაში ბრტყელი თამასებისაგან აკეთებენ, ლუგი კი ჩვეულებრივი მარხილია, ოღონდ კავები აქვს გვერდებზე. აქ სიზუსტეა მთავარი.

_ ტობოგანებით ვერ ვიცურავებთ? _ ვიკითხე მე.

— როგორ არა, — მიპასუხა პირველმა, _დიდებულად იცურავებთ. მონტრეშივე იშოვით შესანიშნავ კანადურ ტობოგანებს. ძმები ოქსები ვაჭრობენ ტობოგანებით. თვითონვე შემოაქვთ გასაყიდად.

მეორე მოხელე შებრუნდა. — ტობოგანს, — თქვა მან, — საგანგებო piste1 სჭირდება. მონტრეს ქუჩებში ტობოგანებით სრიალი სად თქმულა! აქ სადა გაქვთ ბინა?

1 აქ._ ბილიკი (ფრანგ.).

— ჯერ არ ვიცით, _ვუპასუხე მე, _ეს არის, ბრისაგოდან ჩამოვედით. ეტლი გარეთ გველოდება.

— მონტრეში წასვლით არ ინანებთ, — თქვა პირველმა მოხელემ, თქვენ თვითონვე ნახავთ, რომ მშვენიერი და საამური ჰავაა. საზამთრო სპორტისთვისაც შორს წასვლა არ დაგჭირდებათ.

— თუ მართლა საზამთრო სპორტი გაინტერესებთ, — თქვა მეორე მოხელემ, _ენგადინში უნდა წახვიდეთ, ან მიურენში. აქ მონტრეში წასვლას გირჩევენ, საზამთრო სპორტისათვის, მაგრამ მე წინააღმეგი ვარ.

— მონტრეს თავზე, ლეზ-ავანში, შესანიშნავი ადგილებია ყოველნაირი საზამთრო სპორტისთვის! — მონტრეს პატრიოტმა თავის მეტოქეს გადაუბლვირა.

— ბატონებო, — ვთქვი მე, _სამწუხაროდ, უნდა წავიდეთ. ჩემი ბიძაშვილი საშინლად დაღლილია. ჯერ მონტრეს მოვსინჯავთ.

— მოგილოცავთ! — პირველმა მოხელემ ხელი ჩამომართვა.

— მერწმუნეთ, რომ ინანებთ ლოკარნოდან წასვლას, _მითხრა მეორე მოხელემ, _ყოველ შემთხვევაში, მონტრეს პოლიციაში უნდა გამოცხადდეთ.

— პოლიციაში არავითარი უსიამოვნება არ შეგხვდებათ, — გამამხნევა პირველმა, _თქვენი თვალით ნახავთ, რა თავაზითა და მეგობრობით შეგხვდებიან იქაურები.

— განუზომელ მადლობას მოგახსენებთ ორივეს, — ვთქვი მე, _დიდად ვაფასებ თქვენს რჩევას.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, — თქვა ქეთრინმა, — თქვენი დიდი მადლობელი ვართ.

კარებამდე მოგვაცილეს და თავი დაგვიკრეს, ლოკარნოს პატრიოტმა, ცოტა არ იყოს, ცივად. კიბეზე დავეშვით და ეტლში შევედით.

— ღმერთო ჩემო! — ამოიხვნეშა ქეთრინმა, — მანდედან ცოტა უფრო ადრე წამოსვლა არ შეიძლებოდა? _მეეტლეს იმ სასტუმროს მისამართი მივეცი, სად დაბინავებაც ერთ-ერთმა მოხელემ გვირჩია. მან სადავეები მოსწია.

— არმია სულ გადაგავიწყდა! — მითხრა ქეთრინმა. ჯარისკაცი ეტლთან იდგა. ამოვილე და ათლირიანი ვაჩუქე. — შვეიცარიული ფული ჯერ არა

მაქვს, ვუთხარი მე. მადლობა გადამიხადა, სამხედრო სალამი მომცა და წავიდა. ეტლი აიძრა და მალე სასტუმროს მივადექით.

— მონტრე რაში გაგახსენდა? — ვკითხე ქეთრინს, — მართლა ხომ არ გინდა იქ წასვლა?

— სხვა ვერაფერი მოვიფიქრე უცებ, — თქვა მან, — ცუდი ადგილი როდია. სადმე მთაში დავბინავდეთ.

— გემინება?

— უკვე მძინავს.

— გემოზე გამოვიძინებთ. საბრალო ქეთ, რა საშინელი ღამე გაათენა წუხელ!

— მშვენიერი დრო გავატარე, — თქვა ქეთრინმა, — განსაკუთრებით, ქოლგაზე გადაჩაჩხულს რომ გიყურებდი.

— არა მჯერა, რომ შვეიცარიაში ვარ.

— მე კიდევ მეშინია — რომ გავიღვიძებ, ვაითუ სიზმარი გამოდგეს-მეთქი.

— მეც.

— მაგრამ ხომ სინამდვილეა, ძვირფასო?! მილანის ვაგზლისკენ ხომ აღარ მივდივართ შენს გასაცილებლად!

— არა მგონია.

— ასე ნუ ლაპარაკობ. ნუ მაშინებ. იქნებ მართლა შენს გასაცილებლად მოვდიოდე!

— მთვრალივითა ვარ და მე თვითონ არ ვიცი, რას ვამბობ, — ვუთხარი მე.

— აბა, ხელები მაჩვენე.

ხელები გავუშვირე. სულ გადაყვლეფილი მქონდა.

— ოღონდ გვერდში არა მაქვს ჭრილობა, — ვთქვი მე.

— ნუ მკრეხელობ!

დაღლილობისაგან თავბრუ მესხმოდა. ყველაფრის ხალისი წამერთო. ეტლი ქუჩაში მირახრახებდა.

— საწყალი ხელები! — თქვა ქეთრინმა.

— ხელი არ დამაკარო, — ვუთხარი მე, — ღმერთმანი, არც კი ვიცი, სადა ვართ. სად მივდივართ, მეეტლევ? — მეეტლემ ცხენი შეაჩერა.

— მეტროპოლში. ასე არ მითხარით?

— ჰო, — ვთქვი მე, ყველაფერი მოგვარებულია, ქეთ.

— არა უშავს, ძვირფასო, დამშვიდდი. კარგად გამოვიძინებთ და ხვალ აღარ იქნები მთვრალივით.

— მაგარი მთვრალი ვარ, — ვთქვი მე, — ნამდვილი კომიკური ოპერა იყო დღეს. იქნებ მშია!

— დაღლილი ხარ და მეტი არაფერი, ძვირფასო, ისევ კარგად გახდები. — ეტლი სასტუმროს წინ გაჩერდა. ვიღაც გამოვიდა ჩემოდნების წასაღებად.

— უკვე კარგადა ვარ, — ვთქვი მე. მოკირწყლულ ბილიკზე ვიდექით და სასტუმროში შევდიოდით.

— ვიცი, რომ კარგად გახდები. გადაიქანცე. არ გამოგიძინა.

— რაც მთვარია, აქა ვართ!
— ჰო, ნამდვილად აქ ვართ!
ბიჭი, რომელსაც ჩვენი ჩემოდნები მიჰყონდა, სასტუმროში შეგვიძლვა.

წიგნი მეხუთე

თავი XXXVIII

თოვლმა ძალიან დაიგვიანა იმ შემოდგომაზე. ჩვენი წაბლისფერი ხის სახლი ფიჭვებში იყო ჩადგმული, მთის კალთაზე. ღამდამობით ყინავდა და დილით, პირსაბანთან, დოქებში წყალს სიფრიფანა ყინული ჰქონდა მოდებული. მისის გუტინგენი დილადრიან შემოაღებდა ხოლმე ჩვენი ოთახის კარებს, ფანჯრებს დაკეტავდა და შორენკეცის მაღალ ღუმელში ცეცხლს გააჩაღებდა. ფიჭვის შეშა ტკაცატკუცით ისროდა ნაპერწკლებს და მალე ღუმელი აგუგუნდებოდა. მეორედ რომ შემოვიდოდა მისის გუტინგენი, მსხვილ ნაპობ შეშასა და დოქით ცხელ წყალს შემოიტანდა; გათბებოდა ოთახი, და საუზმესაც მოგვართმევდნენ. წამოვჯდებოდით ლოგინში, საუზმეს შევექცეოდით და გავყურებდით ტბასა და გაღმა, ტბის გასწვრივ, საფრანგეთის სანაპიროზე აღმართულ მთებს. მთის მწვერვალებზე თოვლი იდო და ტბას მორუხო-მოლურჯო ფერი გადაჰკრავდა.

გარეთ, ზედ შალეს წინ, მთის გზა გადიოდა. ურმის ნაკვალევი და თვლებისაგან ამოზნექილი მიწა ყინვას რკინასავით გაემაგრებინა, გზა მტკიცედ მიძვრებოდა ზემოთ, ველზე გადამდგარ ტყესა კვეთდა, მთას ირგვლივ ერტყმოდა, გაივლიდა ტყისპირ მდელოებში ჩადგმულ ქოხმახებს და ველს ერთვოდა. ველი ჩაღრმავებული იყო და შუაში მდინარე ჩასდიოდა, რომელიც შემდეგ ტბას ერთვოდა. როცა ველს ქარი ჩამოუქროლებდა, ჩვენამდეც აღწევდა ქვებზე მდინარის რაკრაკი.

ზოგჯერ გზიდან გადავუხვევდით და ბილიკს ფიჭვნარში შევყვებოდით. მიწა რბილი იყო ტყეში, ყინვას გზასავით ვერ გაემაგრებინა, მაგრამ გზის სიმაგრე ჩვენ სულაც არ გვანაღვლებდა, რაგდან ფეხსაცმლის ლანჩქებსა და ქუსლებზე ლურსმნები გვეკრა, ლურსმნები გაყინულ ნაკვალევში ესობოდა და სასიამოვნო იყო გზაზე სიარული, ერთგვარად გვამხნევებდა კიდეც. არც ტყეში გავლა ყოფილა ნაკლებ მომხიბლავი.

ჩევენი სახლიდან მთა ციცაბოდ ეშვებოდა ტბისპირა პატარა მდელოზე. მზე რომ გამოანათებდა, სახლის აივანზე გამოვიდოდით და გადავყურებდით მთის კალთაზე დახვეულ გზას, უფრო დაბალ მთის ფერდობზე ტერასებად გაშენებულ ვენახს. ზამთარს ერთიანად გაეხმო ვაზი, მინდვრები ყორეებით იყო დაყოფილი. ვენახს ქვემოთ, ტბისპირა ვიწრო ველზე ქალაქი იწყებოდა. ტბაში პატარა კუნძული იყო და ორი ხე მეთევზეთა ნავების იალქნებივით მოჩანდა ამ კუნძულზე. გაღმა მთები ციცაბო და წაწვეტებული იყო, ტბის

ბოლოში, ორ მთაგრეხილს შორის, რონის ხეობა მიემართებოდა, სულ ზემოთ კი, საცა ხეობას მთები ეზღუდებოდა, დან-დიუ-მიდი მოჩანდა_მაღალი თოვლიანი მთა, რომელიც მთელ ხეობაში ბატონობდა, მაგრამ ისე შორს იყო, რომ ჩრდილს არა ქმნიდა.

მზიან ამინდში აივანზე ვსაუზმობდით, სხვა დროს კი_ზემოთ, პატარა ფიცრულ ოთახში, რომელსაც ერთ კუთხეში დიდი ბუხარი ჰქონდა ამოყვანილი. ქალაქში წიგნები და ურნალები ვიყიდეთ, აგრეთვე ჰოილი, 1 და ათასნაირი კარტის თამაში ვისწავლეთ. დღისით იმ პატარა, ბუხრიან ოთახში ვიყავით ხოლმე. აქ იდგა ორი მშვენიერი სავარძელი და წიგნებისა და ურნალების მაგიდა, კარტს სასადილო მაგიდაზე ვთამაშობდით, როცა აალაგებდნენ. მისტერ და მისის გუტინგენები დაბლა ცხოვრობდნენ, და ღამით ზოგჯერ მათი მუსაიფი გვესმოდა ქვემოდან. ისინიც ძალიან ბედნიერები იყვნენ. კაცი ადრე უფროსი ოფიციანტი ყოფილა და ქალიც იმავე სასტუმროში მსხურობდა თურმე დამლაგებლად, ფულს თანდათანობით ზოგავდნენ და მერე ეს კარ-მიდამო შეიძინეს. ერთი შვილი ჰყოლიათ და ისიც უფროსი ოფიციანტის ხელობასა სწავლობდა ციურიხის ერთ-ერთ სასტუმროში. ქვემოთ ოთახი ჰქონდათ საგანგებოდ, სადაც ღვინოსა და ლუდს ჰყიდდნენ. საღამოობით, ზოგჯერ, გვესმოდა ხოლმე, როგორ გაჩერდებოდა ჭიშკართან ეტლი, მამაკაცები კიბეს ამოივლიდნენ და ღვინის გადასახუხავად იმ ოთახში შედიოდნენ.

1 ოთახის თამაშობანთა ენციკლოპედია, შედგენილი ედ მონდ ჰოის მიერ.

დერეფანში, ჩვენი პატარა ოთახის პირდაპირ, დიდი ყუთი იდგა, შეშით სავსე, და ცეცხლი რომ განელდებოდა, შეშა იქიდან შემომქონდა. მაგრამ ადრე ვწვებოდით. ჩვენს დიდ საწოლ ოთახში სინათლეს არც კი ვანთებდით, სიბნელეში შევდიოდით, გავიხდიდი ტანსაცმელს, ფანჯარას გამოვაღებდი, გადავხედავდი ღამეს, ცივ ვარსკვლავებს, ფანჯრის ქვემოთ მდგარ ფიჭვის ხეებს, და ხელადვე ლოგინში შევვარდებოდი. სასიამოვნო იყო ლოგინში წოლა, რადგან ირვლივ ცივი და სუფთა ჰაერი იდგა, ფანჯრის იქით კი ღამეს გავცექოდით. მაგრად გვეძინა, და თუ გამომეღვიძებოდა, ვიცოდი, რომ მხოლოდ ერთი რამის გამო: ბუმბულის საბანს ფრთხილად გადავწევდი – ქეთრინი არ გავაღიძო-მეთქი, და ისევ შევწევებოდი. თბილად და ლალად ვიყავი თხელ საბანში. ომი ისევე შორს გვეჩვენებოდა, როგორც ფეხბურთის თამაში რომელიღაც კოლეჯში. მაგრამ გაზრდებიდან ვიგებდი, რომ ბრძოლები კვლავ გრძელდებოდა, რადგან მთაში ჯერაც არ მოსულიყო თოვლი.

ზოგჯერ მთიდან დავეშვებოდით და მონტრეში ჩავიდოდით. ბილიკიც ჩადიოდა. მაგრამ მეტისმეტად შვეული იყო და ჩვენ ყინვისაგან გამაგრებულ ფართო გზით ჩასვლას ვარჩევდით. გადავკვეთდით მინდვრებს, ყორეებით შემოზღუდულ ზვრებს გავცდებოდით და სოფლებში გავივლიდით. სამი სოფელი იყო: შერნე, ფონტანივანი და მესამის სახელი აღარ მახსოვს. იქიდან

გასულები მთის შვერილზე აღმართულ ქვის ძველებურ ციხესიმაგრეს ჩავუვლიდით, ტერასებზე გაშენებულ ვენახებს შორის, სადაც ყოველი ვაზი ჭიგოზე იყო მიკრული, ვაზები გამხმარ-გამურულები იყო. მიწა თოვლს ელოდა, ხოლო ქვემოთ ტბა გლუვი და ფოლადივით რუხი გამხდარიყო. ციხესიმაგრიდან გზა თავქვე ეშვებოდა, ცოტა ხნის შემდეგ მარჯვნივ უხვევდა და აქედან მონტრემდე, – ყველაზე უფრო შვეული ნაწილი გზისა, – მოკირწყლული იყო.

ნაცნობები არა გვყოლია მონტრეში. დავუყვებოდით ტბას და შევყურებდით გედებს, ურიცხვ თოლია და ქარიშხალას, რომლებიც ჩვენს მიახლოებაზე წამოფრინდებოდნენ და როცა ზემოდან დახედავდნენ წყალს, ჩხავილით იქაურობას იკლებდნენ. შორს, ტბის სიღრმეში, იხვების გუნდები მოჩანდა, პატარები და შავები იყვნენ და ცურვის დროს წყალზე კვალსა ტოვებდნენ. ქალაქში მთავარ ქუჩას გავყვებოდით და მაღაზიების ვიტრინებს ვათვალიერებდით. აქ იყო ბევრი დიდი სასტუმრო, რომლებიც ახლა დაეკეტათ, მაღაზიების უმრავლესობა კი ღია იყო და ჩვენი დანახვა ყველგან უხაროდათ. ერთი კარგი საპარიკმახერო იყო და ქეთრინი იქ იკეთებდა ხოლმე თმას. დიასახლისი ძალიან ხალისიანი ქალი ჩანდა და მთელ ქალაქში ის იყო ჩვენი ერთადერთი ნაცნობი. მანამ ქეთრინი საპარიკმახეროში იჯდა, მე ზემოთ ავუხვევდი და ლუდხანაში შევდიოდი, ვსვამდი შავ მიუნხენურ ლუდს და გაზეთებს ვათვალიერებდი. ვკითხულობდი Corriere deilia sera-ს და პარიზიდან მიღებულ ინგლისურ-ამერიკულ გაზეთებს. განცხადებები სულ საღებავით იყო გათხუპნული, ალბათ შიშობდნენ, მტერთან ამით კავშირი არ დაიჭირონ. კარგი არაფერი ეწერა გაზეთებში. ყველგან შავად მიდიოდა საქმე. ვიჯექი კუთხეში, ხელში შავი ლუდით სავსე დიდი ტოლჩა მეჭირა, იქვე ქაღალდის პარკიდან ნამცხვარს ვიღებდი და ვჭამდი, რადგან პრეტცელის მომლაშო გემო მომწონდა, ლუდს ძალიან უხდებოდა, თან ათასნაირი უბედურების ამბავს ვკითხულობდი. მეგონა, ქეთრინი გამომივლიდა, მაგრამ არ გამოიარა, ასე რომ გაზეთები ისევ თაროზე დავაწყვე, ლუდის ფული გადავიხადე და ქეთრინისაკენ გავემართე. ზამთრის ცივი და ბნელი დღე იყო, სახლის ქვებიც კი ცივი ჩანდა. ქეთრინი იქვე დამხვდა. პარიკმახერი ქალი თმას უხვევდა. მეც ჩამოვჯექი და ქეთრინს დავუწყე ყურება. მაღლვებდა მისი ცქერა, და ქეთრინს გაეღიმა, გამომელაპარაკა, აღელვებისაგან ხმა, ცოტა არ იყოს, ჩამეხრინწა. თმის დასახვევი სასიამოვნოდ ტკაცუნებდა, სამ სარკეში ვხედავდი ქეთრინს, ოთახში ბნელოდა და საამური სამყოფი იყო. პარიკმახერმა მოათავა თავისი საქმე, ქეთრინმა სარკეში ჩაიხედა და ცოტათი შეისწორა თმა, ზოგან ამოაძრო და ზოგან დაიმაგრა სარჭი. მერე წამოდგა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ დიდხანს გალოდინე.

— Monsieur დიდი ინტერესით გიყურებდათ. ხომ Monsieur? — ქალმა გაიღიმა.

— დიახ, — მივუგე მე.

გამოვედით და ქუჩას დავუყევით. ნამდვილი ზამთრის სიცივე იდგა, ქარიც ქროდა. _ ო, როგორ მიყვარხარ, ძვირფასო, ვუთხარი მე.

_ რა კარგად მოვეწყვეთ, არა?_ თქვა ქეთრინმა, _ მოდი, ჩაის მაგიერ, სადმე შევიდეთ და ლუდი დავლიოთ. პატარა ქეთრინს მალიან არგებს. მეტისმეტად არ გაიზრდება.

_ პატარა ქეთრინი, _ ვთქვი მე, _ დიდი უქნარა ვინმე!

_ მალიანაც კარგია, _ თქვა ქეთრინმა, სულ არ გვაწუხებს. ექიმმა მითხრა, ლუდი შენ გარგებს და ბავშვის ზრდას ხელს შეუშლისო.

_ თუ მართლა ასე პატარა შეინარჩუნე და ბიჭი გამოდგა, იქნებ ჟოვეი გახდეს.

_ ბავშვი თუ დაგვებადა, მართლა ვიქორწინოთ, _ თქვა ქეთრინმა. ჩვენ ლუდხანაში ვისხედით, კუთხეში. გარეთ ჩამობნელდა. ჯერ არ იყო ასე გვიან, მაგრამ საერთოდ მოღუშული დღე იდგა და ბინდი ადრე ჩამოწვა.

_ ბარემ ახლავე ვიქორწინოთ, _ ვუთხარი მე.

_ არა, _ თქვა ქეთრინმა, _ ახლა უხერხულია. აშკარად მატყვია. ასე სად უნდა გამოვჩნდე.

_ ნეტა, ადრევე გვექორწინა.

_ მართლაც აჯობებდა, მაგრამ მაგისი თავი სადა გვქონდა, ძვირფასო?!

_ რა ვიცი.

_ ერთი რამ კი ვიცი, ასე ჯვრისდასაწერად ვერ გამოვჩნდები, შვილებით დაყურსულ დედაკაცსა ვგავარ.

_ დედაკაცს, აბა, რა გიგავს?!

_ ნამდვილი დედაკაცი ვარ, ჩემო ძვირფასო. პარიკმახერმა მკითხა, პირველი შვილია? მე ვუთხარი, კიდევა მყავს ორი გოგო და ორი ბიჭი-მეთქი.

_ როდისდა ვიქორწინოთ?

_ როცა გინდა, ოღონდ ჯერ გავხდე. დიდებული ქორწილი უნდა გადავიხადოთ. რა ერთიმეორეზე უკეთესი ახალგაზრდები არიანო, ყველა ამას უნდა ფიქრობდეს!

_ ჰო, მაგრამ, არ გაწუხებს ეს?

_ რატომ უნდა მაწუხებდეს, ჩემო კარგო? ერთადერთი მილანში შევიქენი ცუდად, თავი რომ კახპად წარმოვიდგინე, სულ შვიდ წუთს მქონდა ასეთი გრძნობა. და მაშინაც ოთახის მორთულობამ იმოქმედა. რა, არა ვარ კარგი ცოლი?

_ მშვენიერი ცოლი ხარ.

_ ჰოდა, რაღა ფორმალობას გამოვეკიდოთ. ძველებურადვე გავხდები თუ არა, მაშინვე ვიქორწინოთ.

_ აგრე იყოს.

_ რას იტყვი, კიდევ დავლიოთ! ექიმმა მითხრა, მენჯი ცოტათი ვიწრო გაქვს და რაც უფრო პატარა იქნება მეორე ქეთრინი, ის აჯობებსო.

_ სხვა რა გითხრა?

- არაფერი. საუცხოო სისხლის წნევა მაქვს, ჩემო კარგო.
აღფრთოვანებული იყო ჩემი წნევით.
- ვიწრო მენჯი რომ გაქვს, ამაზე რა გითხრა?
- არაფერი. სულ არაფერი. თხილამურებზე ნუ შედგებიო.
- სწორია.
- აქამდე თუ არ გივლია, ახლა დაწყება მეტისმეტად დაგვიანებულიაო. თხილამურზე შედგომა კი შეიძლება, ოღონდ დაცემა არ შეიძლებაო.
- კაი ხუმარა ექიმი ყოფილა.
- მართლაც მშვენიერი კაცია. ბავშვის დაბადების დროსაც ის მოვიყვანოთ.
- თუ ვიქორწინოთო, ეს აღარ ჰკითხე?
- არა. ოთხი წლის ჯვარდაწერილები ვართ-მეთქი, ვუთხარი. მაინც სულ ერთია, ჩემო ძვირფასო. შენ თუ მოგთხოვდი, ამერიკის ქვეშევრდომი უნდა გავხდე, ხოლო ამერიკული კანონის მიხედვით, როცა უნდა იქორწინო, ბავშვი კანონიერად ითვლება.
- საიდან გაიგე?
- ნიუ-იორკის «უორლდ ალმანაკი» ვნახე ბიბლიოთეკაში.
- რა კარგი გოგო ხარ!
- ძალიან მიხარია, რომ ამერიკელი გავხდები და ამერიკაში წავალთ. ხომ წავალთ, საყვარელო? ნიაგარის ჩანჩქერი მინდა ვნახო.
- რა კარგი გოგო ხარ!
- კიდევ მინდოდა რაღაცის ნახვა, მაგრამ ვეღარ მომიგონებია.
- სასაკლაო?
- არა. აღარ მახსენდება.
- ვულვორთის ცათამბჯენი?
- არა.
- დიდი კანიონი?
- არა. მაგრამ ეგეც კი მაინტერესებს.
- მაინც რა იყო?
- ოქროს ჭიშკარი!¹ გამახსენდა. სად არის ოქროს ჭიშკარი?

1 სრუტეა სან-ფრანცისკოსთან, ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე.

- სან-ფრანცისკოში.
- წავალთ. სან-ფრანცისკოს ნახვა ისედაც მინდა.
- კარგი, წავიდეთ.
- ახლა კი მთის მწვერვალზე ავიდეთ. კარგი?
- ხუთზე და რაღაც წუთებზე მატარებელი იქნება.
- მაგ მატარებელს გავყვეთ.
- გავყვეთ. ერთი ლუდი კიდევ დავლიოთ.

გარეთ რომ გამოვედით და სადგურის კიბეზე შევდგით ფეხი, სიცივემ აგვიტანა. რონის ხეობიდან მსუსხავი ქარი უბერავდა. მაღაზიების ვიტრინები განათებული იყო. ჯერ მეტისმეტად შვეული კიბით სხვა ქუჩაზე გავედით. იქიდან კი მეორე კიბით პირდაპირ სადგურში ამოვყავით თავი. სულ მთლად გაჩახახახებული ელექტრომატარებელი გასვლას ელოდა. გამოკრულ ციფერბლატზე გასვლის დრო იყო ნაჩვენები. დახატული ისრები ექვსის ათ წუთს უჩვენებდა. სადგურის საათს შევხედე. ხუთ წუთში გავიდოდა. ვაგონში რომ შევდიოდით, მემანქანე და კონდუქტორი დავინახე, სადგურის ბუფეტიდან გამოვიდნენ. დავსხედით და ფანჯრები გავაღეთ. მატარებელს ელექტროენერგიით ათბობდნენ და შეხუთული ჰაერი იდგა, მაგრამ ფანჯრიდან ცივი ნიავი შემოიჭრა.

- _ დაიღალე, ქეთ? – კითხე მე.
- _ არა, მშვენივრად ვარ.
- _ მალე მივალთ.
- _ მიყვარს მატარებელი, _ მითხრა მან, _ ჩემზე ნუ წუხარ, საყვარელო, მშვენივრადა ვარ.

შობამდე სამი დღედა იყო დარჩენილი, თოვლი რომ მოვიდა. ერთ დილას გამოგვეღვიძა და თოვდა. ერთხანს აღარ ავმდგარვართ ლოგინიდან, ბუხარში ცეცხლი გიზგიზებდა, ჩვენ კი ვიწერით და თოვლის ცვენას შევყურებდით. მისის გუტინგენმა საუზმის ლანგრები აალაგა და ცეცხლს შეუკეთა. ეს იყო ნამდვილი ქარბუქი. შუაღამისას ამოვარდაო, მისის გუტინგენმა გვითხრა. წამოვდექი და ფანჯრიდან გადავიხედე, მაგრამ გზის იქით ვერაფერი გავარჩიე. გამწარებით ქროდა და თოვლა. ისევ ლოგინში შევმვერი და მუსაიფი გავაბით.

- _ ნეტა თხილამურებით სრიალი შემეძლოს, _ თქვა ქეთრინმა, _ რა გულდასაწყვეტია, რომ თხილამურებზე შედგომა არ შემიძლია!
- _ bobsleil ვიშვოთ და გზაზე დავეშვათ. ეს შენთვის მანქანით მგზავრობაზე საშიში არ იქნება.

1 მოკლე და პატარა მარხილი, რომელსაც საჭე აქვს დამაგრებული.

- _ არ დამანჯლრევს?
 - _ ვნახოთ.
 - _ ნეტა არ დამანჯლრიოს.
- ცოტა ხნის შემდეგ თოვლში გავისეირნოთ.
- _ საუზმის წინ, _ თქვა ქეთრინმა, _ მადის მოსაყვანად.
 - _ მე მუდამ მშია ხოლმე.
 - _ მეც.

გავედით თოვლში, მაგრამ ისე მოაყარა ნამქერი, რომ ფეხი არ მოგვაცვლევინა. სადგურისაკენ გავემართეთ, მე წინ მივდიოდი, გზასა

კვალავდი, მაგრამ მანამ მივაღწევდით, დიდი ხანი გავიდა. ისე მოჰკონდა ქარს თოვლი, რომ თვალი არ გაგვახელინა. პატარა სამიკიტნოში შევედით, სადგურთან ახლოს, ცოცხით ჩამოვფერთხეთ ერთმანეთს თოვლი, მაგიდას მოვუსხედით და ვერმუთი მოვატანინეთ.

- დიდი ქარბუქია, — თქვა ოფიციანტმა ქალმა.
- მაშა.
- ძალიან დაიგვიანა თოვლმა წელს.
- მაშა.
- შეკოლადის ფილა ხომ არ შეჭამო?_იკითხა ქეთრინმა, _თუ საუზმის დროც მოახლოვდა? სულ მშია და მშია.
 - ერთი ფილა შეჭამე, — ვუთხარი მე.
 - თხილით შევჭამ, _თქვა ქეთრინმა.
 - ძალიან გემრიალია, — თქვა გოგომ, _მეც ყველაფერს მირჩევნია.
 - მე მეორე ვერმუთს გადავკრავ.

გარეთ რომ გამოვედით და უკან დავბრუნდით, ჩვენი ნაფეხურები სულ ჩაეჩუმქრა, აქა-იქ თუ შენიშნავდი ოდნავ ჩაღრმავებულ ნაკვალევს. თოვლი ცხვირ-პირში გვცემდა და თვალებს ძლივძლივობით ვახელდით. თოვლი ჩამოვიფერთხეთ და სასაუზმოდ შევედით. საუზმე მისტერ გუტინგენმა მოგვართვა.

- ხვალ სათხილამურო ამინდი იქნება, _თქვა მან, _დადიხართ თხილამურებით, მისტერ ჰენრი?
- არა. მაგრამ ვისწავლო მინდა.
- თქვენ სულ ადვილად ისწავლით. ჩემი ბიჭი ჩამოდის საშობაოდ და ის გასწავლით.
- დიდებულია. როდის ჩამოვა?
- ხვალ საღამოს.

ნასაუზმევს პატარა ოთახში ვისხედით ბუხართან და ფანჯრიდან თოვას ვუყურებდით. უცებ ქეთრინმა მითხრა:

- იქნებ უჩემოდ გაემგზავრო სადმე, ძვირფასო, და მამაკაცებთან ერთად იცურაო თხილამურებით.
- არა. რათ მინდა!
- ზოგჯერ იქნებ უჩემოდაც გინდოდეს-მეთქი ხალხში გასვლა.
- შენ გენატრება ხოლმე სხვა ხალხის ნახვა?
- არა.
- არც მე.
- ვიცი. მაგრამ შენი მდგომარეობა მაინც სხვა არის. მე ბავშვი უნდა გამიჩნდეს და ამით ვსულდგმულობ. განა მე კი ვერა ვგრძნობ, რომ სულ გამოვტუტუცდი და ენად გავიკრიფე?! იქნებ აჯობოს, ცოტ-ცოტა ხანით წახვიდე და ჩემგან მოისვენო.
- შენ გინდა, რომ წავიდე?
- არა. მე მინდა, სულ ჩემთან იყო.

_ მეც ასე ვაპირებ.

_ ჩემთან მოდი, კოპი უნდა გაგისინჯო, _მითხრა მან, _რამხელა კოპია! _
თითებით მოსინჯა_არ გინდა, რომ წვერი მოუშვა, საყვარელო?

_ შენ გინდა, მოუშვა?

_ ისე, გასართობად. მინდა, წვერიანი გნახო.

_ კარგი. მოვუშვებ. ახლავე, ამ წუთშივე დავიწყებ მოშვებას. რა კარგი
რამე მოიფიქრე! საქმე გამიჩნდება.

_ მოგწყინდა ხომ უსაქმოდ?

_ სულაც არა. მირჩევნია კიდეც. დიდებულად ვგრძნობ თავს. შენ?

_ მეც დიდებულად. მაგრამ, ასე რომ გავიბერე, ვაითუ თავი მოვაწყინე-
მეთქი!

_ ო, ქეთ. შენ არც კი იცი, რა გაგიუებით მიყვარხარ!

_ ასეთიც?

_ სწორედ ასეთი, ახლა რომ ხარ. დიდებულად ვგრძნობ თავს. ხომ კარგია
ასე?

_ ძალიან. მაგრამ ხანდახან თითქოს მოსვენებას კარგავ.

_ არა. ზოგჯერ ფრონტი და ნაცნობი ხალხი გამახსენდება, მაგრამ
არაფერია. დიდხანს საერთოდ არაფერზე არ ვფიქრობ.

_ მაინც ვინ გაგონდება?

_ რინალდი, მღვდელი... და ათასი ვინმე. მაგრამ დიდხანს არ ვფიქრობ
ხოლმე. ომზე ფიქრს ვერიდები. აღარაფერი მესაქმება ომთან.

_ ახლა რაზე ფიქრობ?

_ არაფერზე.

_ არა, რაღაცაზე ფიქრობ. მითხარი.

_ მე იმას ვფიქრობდი, რინალდის მართლა სიფილისი ხომ არ სჭირდა-
მეთქი.

_ სულ ეგ იყო?

_ სულ.

_ სიფილისი სჭირს?

_ არ ვიცი.

_ რა კარგია, რომ შენ არა გჭირს. შენ ხომ არაფერი გჭირვებია ამნაირი?

_ გონირეა მჭირდა.

_ გაგონებაც არ მინდა. ძალიან მტკივნეული იყო?

_ ძალიან.

_ ნეტა მეც მჭირვებოდა.

_ მაგას გულით არ ამბობ.

_ გულით ვამბობ. შენი სატკივარი მეც მინდა მქონდეს. მინდა, თავი
მოვუყარო იმ ქალებს, ვისაც შენ ოდესმე შეხვედრიხარ, და შენივე
თანდასწრებით მასხარად ავიგდო.

_ კარგი სანახავი კი იქნება!

_ აბა, ის არის კარგი, გონირეა რომ გჭირდა?!

- _ მართალი ხარ. შეხედე, როგორ თოვს.
 - _ მე მირჩევნია, შენ გიყურო. რატომ თმას არ გაიზრდი, ჩემო ძვირფასო?
 - _ როგორ თუ გავიზრდი?
 - _ ცოტა რომ დაიგრძელო!
 - _ ისედაც ჩამომიგრძელდა.
 - _ არა, ცოტათი დაიგრძელე, მე ჩემსას შევიჭრი და ორივეს ერთნაირი თმა გვექნება, ოღონდ ერთისა ქერა იქნება, მეორისა _ შავი.
 - _ მე კიდე, არ დაგანებებ თმის შეჭრას.
 - _ სასაცილო იქნება. თავი მომაბეზრა, გულს მიწყალებს ღამით, ლოგინში.
 - _ მე თუკი მომწონს.
 - _ შეჭრილი არ მოგეწონება?
 - _ შეიძლება მომეწონოს. მაგრამ ასე მირჩევნია.
 - _ იქნებ შეჭრილი უფრო მომიხდეს. ორივეს ერთნაირ თმა გვექნება. ო, ჩემო ძვირფასო, ისე მიყვარხარ, რომ მინდა ერთ არსებად ვიქცეთ.
 - _ მაგას რაღა ნატვრა უნდა. ერთი არსება არა ვართ!
 - _ ვიცი. ღამით მართლაც ერთი არსება ვართ.
 - _ ღამე დიდებულია.
 - _ ნეტა სულ ერთმანეთში ვიყოთ გათქვეფილი. განა მართლა მინდა შენი წასვლა. ეს ისე გითხარი. შენ თუ გინდა, წადი. მაგრამ მალევე დაბრუნდი. როცა ჩემთან არა ხარ, ასე მგონია, არც ვსულდგმულობ-მეთქი.
 - _ არსადაც არ წავალ, ვუთხარი მე, უშენოდ არ ვარგივარ, ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეს არა ჰგავს.
 - _ მე კი მინდა, რომ სიცოცხლე გქონდეს. ნამდვილი, მშვენიერი სიცოცხლე. მაგრამ ეს ხომ ჩვენი საერთო სიცოცხლეც იქნება, არა?
 - _ ბარემ მითხარი, მოვუშვა წვერი თუ შევაჩერო?
 - _ მოუშვი, გაიზარდოს. დაგშვენდება. იქნებ სახალწლოდაც გაგეზარდოს.
 - _ ჭადრაკი არ ვითამაშოთ?
 - _ სხვანაირი თამაში მირჩევნია.
 - _ არა. ჭადრაკი ვითამაშოთ.
 - _ და მერე ის, არა?
 - _ თანახმა ვარ.
- დაფა გადმოვიღე და ფიგურები დავაწყვე. გარეთ კი თოვდა და თოვდა.

ერთხელ, ღამით გამომეღვიძა და ვხედავ, ქეთრინსაც ღვიძავს. გარეთ მთვარე ანათებდა და ფანჯრის ჩარჩოს ჩრდილი ლოგინს ეცემოდა.

- _ გლვიძავს, ჩემო საყვარელო?
- _ მღვიძავს. ძილი გაგიკრთა?
- _ ეს არის გავიღვიძე და ვფიქრობდი, რა გიჟივით ვიყავი-მეთქი, პირველად რომ შეგხვდი. გახსოვს!
- _ ცოტათი მართლაც ჰგავდი გიჟს.

— ახლა ის აღარა ვარ. ახლა დიდებული ქალი გავხდი. შენ გიყვარს ხოლმე ამ სიტყვის თქმა და ძალიან გიხდება. თქვი «დიდებული».

— დიდებულია.

— ო, ჩემო საყვარელო. ახლა უკვე აღარა ვარ გიჟი. ახლა ძალიან, ძალიან ბედნიერი ვარ.

— დაიძინე, ვუთხარი მე.

— კარგი. ერთდროულად დავიძინოთ.

— კარგი.

მაგრამ ვერ გამოგვივიდა. კიდევ დიდხანს მეღვიძა და ათასი ფიქრი მიტრიალებდა, თან მძინარე ქეთრინს შევყურებდი, სახეზე მთვარის სხივები დასთამაშებდა. მერე მეც ჩამეძინა.

თავი XXXIX

შუა იანვრისათვის წვერი უკვე წამომეზარდა. დადგა ნამდვილი ზამთარი — ცივი, მოწმენდილი დღეები და სუსხიანი ღამეები. ისევ გამოვედით შარაგზაზე. მარხილებმა და მთიდან ჩამოცურებულმა მორებმა თოვლი გატკეპნეს და გაამაგრეს. ირგვლივ სულ თოვლი იდო, თითქმის მონტრემდეც უწევდა. ტბის გაღმა მთები თეთრად გადაპენტილიყო და რონის ველიც თოვლს დაეფარა. ჩვენ კარგა შორს გავდიოდით სასეირნოდ, გაღმა მთაზე, ბენ-დე-ლალიაზამდე ავდიოდით. ქეთრინი დალურსმნულ ფეხსაცმელებს ჩაიცვამდა, ლაბადას მოისხამდა და ხელში რკინის ბუნივიან ჯოხს დაიჭერდა. ლაბადაში გახვეულს ფეხმძიმობა აღარ ეტყობოდა. ძალიან ჩქარა არ დავდიოდით. როცა დაიღლებოდა, შევდგებოდით და გზის პირას მორებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე.

ბე-დე-ლალიაზში ერთი სამიკიტნო იდგა, შიგ ხეებში ჩაფლული. აქ ტყის მუშები მოდიოდნენ და ღვინოსა სვამდნენ. ჩვენც მოვუსხდებოდით ხოლმე მაგიდას ღუმელით გაღუღუნებულ ოთახში და ლიმონითა და სანელებლით შეზავებულ ცხელ წითელ ღვინოს ვწრუპავდით. Gluhwein-ს ეძახდნენ ამგვარად დამზადებულ ღვინოს და კარგიც იყო_გასათბობადაც და ისე, თავშესაქცევადაც. ჩაბნელებული სამიკიტნო კვამლით იყო გამოვსებული, და გარეთ რომ გამოვიდოდით, ცივი ჰაერი ფილტვებს გვიჩვლეტდა, ჩასუნთქვისას ცხვირი გვეთოშებოდა. უკან გავხედავდით ხოლმე სამიკიტნოს და განათებულ ფანჯრებს დავინახავდით, ტყის მუშების ცხენები წარამარა თავს აქიცინებდნენ და ტორებსა სცემდნენ, რათა ცოტათი მაინც გამთბარიყვნენ. ჩიჩვირის ბეწვებზე ორთქლი შეჰყინვოდათ, და ცხენების ამონაფშვინი ჰაერშივე იყინებოდა. შინისკენ რომ გავსწევდით, გზა ერთხანობას გლუვი და სლიპი იყო, ცხენების შარდისაგან თოვლს ფორთოხლის ფერი დასდებოდა. მოსახვევიდან კი, საცა მორების დასაცურებელი ბილიკი გვერდზე უხვევდა, გზა ფიფქი თოვლით იყო

დაფარული და ტყეში გადიოდა. შინ დაბრუნებულებმა, საღამო ხანს ერთი-ორჯერ მელასაც მოვკარით თვალი.

მმვენიერი სოფელი იყო და მუდამ ხალისით გამოვდიოდით გასავლელად.

— ბრწყინვალე წვერი გაქვს._მითხრა ქეთრინმა,_ნამდვილი ტყის მჭრელი ხარ. ის კაცი თუ ნახე, პატარა ოქროს საყურეებიანი?

— ქურციკებზე მონადირეა, — ვთქვი მე,_საყურეებს იმიტომ ატარებენ, რომ ასე უფრო კარგად გვესმისო, ამბობენ.

— მართლა? არა მჯერა. მე მგონი, თავმოსაწონებლად ატარებენ_შეგვხედეთ, ქურციკებზე მონადირეები ვართო. აქ ახლომახლო თუა ქურციკები?

— არის, დან-დე-ჟანამის გადაღმა.

— რა კარგი იყო, მელა რომ ვნახეთ.

— ძილის დროს კუდში გაეხვევა ხოლმე, და ჩათბუნებულია.

— რა სასიამოვნო გრძნობა იქნება!

— ნეტა იმისთანა კუდი მქონდეს-მეთქი, ვნატრობდი ხოლმე. სასაცილო არ იქნება, მელიას კუდები რომ გამოგვებას?

— ტანსაცმლის მორგება აღარ გვინდა?!

— საგანგებო ტანსაცმელს შევიკერავდით, ან ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრებდით, სადაც სულ ერთი იქნებოდა ყველაფრი.

— იმისთანა ქვეყანაში ვცხოვრობთ და ეგ არის. ხომ დიდებულია, რომ არავისა ვხვდებით. შენ ხომ არავისი ნახვა არ გსიამოვნებს, ძვირფასო?

— არა.

— რა იქნება, ცოტა ხანს ჩამოვსხდეთ! ძალიან დავიდალე.

მორზე ჩამოვსხედით, ერთმანეთს მიხუტებულები. ამას იქით გზა ტყეში უხვევდა.

— ის სულაც არ შეგვიშლის ხელს, ხომ? ჩვენი პატარა გოგო.

— არა. მაგის ნებას ვინ მისცემს!

— ფულის საქმე როგორა გაქვს?

— ფული ჩეჩქივით არის. უკვე გავინაღდე უკანასკნელი ქვითარი.

— თქვენები მებნას არ დაგიწყებენ? ხომ გაიგეს, რომ შვეიცარიაში ხარ!

— ალბათ. რამეს მივწერ.

— ჯერ არ მიგიწერია?

— არა. მარტო ქვითარი გავაგზავნე ხელმოსაწერად.

— მადლობა ღმერთს, რომ მეც შენი ნათესავი არა ვარ.

— დეპეშას გავუგზავნი.

— სულაც არ გენაღვლებიან?

— ადრე მენაღვლებოდა, მაგრამ მერე იმდენი ვიჩხუბეთ, გულიც გაცივდა.

— მე კი მგონია, რომ შემიყვარდება ისინი. ალბათ, ძალიან შემიყვარდება.

— მოდი, მოვეშვათ იმათზე ლაპარაკს, თორემ ახალი საფიქრალი ამეშლება, _ცოტა ხნის შემდეგ დავძინე, _თუ დასივენე, წავიდეთ ბარემ.

_ დავისვენე.

განვაგრძეთ გზა. უკვე ბნელოდა და ფეხქვეშ თოვლი ჭრაჭუნობდა. ღამე იყო მშრალი, ცივი და მოწმენდილი.

_ შენი წვერი შემიყვარდა, _ მითხრა ქეთრინმა, _ დიდი მიღწევაა. როგორი მაგარი და ჩხვლეტია ჩანს, და ძალიან რბილი და სასიამოვნო კია.

_ ასე სჯობს თუ უწვეროდ?

_ მგონი, ასე სჯობს. იცი რა, ძვირფასო, პატარა ქეთრინის დაბადებამდე, თმას აღარ შევიჭრი. ისე დავსქელდი, რომ ნამდვილ დედაკაცს დავემსგავსე. ბავშვი რომ დაიბადება, ისევ გავხდები, თმასაც შევიჭრეჭ და სულ სხვა, ახალი მშვენიერი გოგო გეყოლები. ერთად წავიდეთ შესაჭრელად. ან არა და, მარტო წავალ და სიურპრიზს გაგიმზადებ.

არაფერი მიპასუხია.

_ შენ ხომ არ დამიშლი?

_ არა. ალბათ, ამაღელვებს კიდევ.

_ რა საყვარელი ხარ! იქნებ უფრო გავლამაზდე, გენაცვალე, ისეთი გამხდარი და მომხიბლავი ვიქნები, რომ სულ თავიდან შემიყვარებ და შემიყვარებ.

_ ღმერთო ჩემო, _ ვთქვი მე, _ ისედაც მაგრად მიყვარხარ. მეტი რაღა გინდა? თავგზა უნდა ამიბნიო?

_ ჰო, თავგზა უნდა აგიბნიო.

_ კარგი, მეც სწორედ ეგ მინდა.

თავი XL

მშვენიერი ცხოვრება გვქონდა. ასე გავატარეთ მთელი იანვარი და თებერვალი. ზამთარიც მშვენიერი იყო და ჩვენც ბედნიერები ვიყავით. ზოგჯერ თბილი ქარი წამოუქროლებდა, თოვლი გარბილდებოდა, ჰაერში გაზაფხულის სუნთქვა დატრიალდებდა, იწყებოდა დნობა, მაგრამ ისევ იმძლავრებდა სუსხი, ცა მოიწმინდებოდა და კვლავ ზამთარი ბრუნდებოდა. პირველად მარტში გატყდა ზამთარი. ღამით წვიმა დაიწყო. დილითაც წვიმდა, თოვლი ატალახდა, მთები მოიღუშა, ტბასა და ველებს ღრუბლები ჩამოაწვა. მაღლა მთებში წვიმდა. ქეთრინმა მძიმე კალოშები წამოიცვა, მე მისტერ გუტინგენის რეზინის ჩექმებში ჩავყავი ფეხები, ხელში ქოლგა დავიჭირეთ და ამ თოვლ-ჭყაპსა და ლანქერში, რომელიც ყინულს რეცხდა გზაზე, ფეხით გავსწიეთ სადგურის მახლობლად მდებარე სამიკიტზოსკენ, რათა საუზმის წინ თითო ჭიქა ვერმუთი დაგველია. გარედან წვიმის ხმა შემოდიოდა.

_ რას იტყვი, ქალაქში ხომ არ გადავბარგდეთ?

_ შენ თვითონ რაღას იტყვი? _ მკითხა ქეთრინმა.

_ თუკი ზამთარი გავიდა და ასეთი წვიმები დაიჭირა, აღარ-ფერი სასიამოვნო არ იქნება აქ. პატარა ქეთრინის მოსვლას რამდენი აკლია?

_ თითქმის მთელი თვე. იქნებ ცოტა მეტიც.

- _ შეგვიძლია მონტრეში ჩავინაცვლოთ.
 - _ რატომ ლოზანეში არა? საავადმყოფო ხომ ლოზანეშია!
 - _ ლოზანეში იყოს. ვიფიქრე, ძალიან დიდი ქალაქია-მეთქი.
 - _ დიდ ქალაქში კიდევ უფრო განცალკევებული ვიქებით და ლოზანეში, ალბათ, ისედაც კარგად მოვეწყობით.
 - _ როდის წავიდეთ?
 - _ ჩემთვის სულ ერთია. როცა შენ გინდოდეს, გენაცვალე. სულაც ნუ წავალთ, შენ თუ აქ გირჩევნია.
 - _ ამინდს დავუცადოთ.
- მთელი სამი დღე იწვიმა. სადგურს ქვემოთ, მთის კალთაზე, სულ ჩარეცხა თოვლი. გზა ატალახებული თოვლ-ჭყაპის ნიაღვრად იქცა. გარეთ საშინელი ნესტი და ლაფი იდგა. წვიმის დაწყებიდან მესამე დილას ქალაქს გამგზავრება გადავწყვიტეთ.
- _ რასა ბრძანებთ, მისტერ ჰენრი, მითხრა გუტინგენმა, _ წინასწარ გაფრთხილება რა საჭირო იყო. ამინდი რომ შეიცვალა, არც კი მიფიქრია, აქ გაჩერდებიან-მეთქი.
 - _ ხომ იცით, ქალბატონი რა დღეშია, საავადმყოფოსთან ახლოს უნდა ვიყოთ, ვუთახრი მე.
 - _ მესმის, _ თქვა მან, _ მერე იქნებ თქვენი პატარათი გვესტუმროთ?
 - _ რა თქმა უნდა, თუკი ოთახს მოგვიხერხებთ.
 - _ გაზაფხულზე ისევ კარგი ამინდები დაგვიდგება და მობრძანდით, მშვენიერი სამყოფელია. თქვენს პატარასა და ძიძას დიდ ოთახში დავაბინავებთ, თქვენ და ქალბატონი კი ისევ იმ ოთახში მოეწყობით, ტბას რომ გადაჰყურებს.
 - _ წინასწარ მოგწერთ, _ ვუთხარი მე. ჩავალაგეთ ბარგი და ნასაუზმევს რომ მატარებელი გადიოდა, იმას გავყევით. მისტერ და მისის გუტინგენმა სადგურამდე გაგვაცილეს. ჩვენი ბარგი გუტინგენმა ჩააცურა ტლაპოში მარხილით. იდგნენ წვიმაში ბაქანზე და ხელს გვიქნევდნენ.
 - _ სასიამოვნო ხალხია, _ თქვა ქეთრინმა.
 - _ კარგად გვეპყრობოდნენ.
- მონტრედან ლოზანეს მატარებელს გავყევით. ჩვენს ძველ სახლს გავხედეთ, მაგრამ არაფერი ჩანდა, მთა ღრუბლებში გახვეულიყო. მატარებელი ვევეში გაჩერდა, მერე ისევ განაგრძო გზა, ერთ მხარეს ტბა მოჩანდა, მეორე მხარეს _წყლით გაბუჟუჟებული მურა ველები, გატიტვლებული ტყეები და სველი სახლები. ჩავედით ლოზანეს და ერთ პატარა სასტუმროში დავბინავდით. ისე გავიარეთ ქუჩები და სასტუმროშიც ისე მივედით, წვიმას არ გადაუღია. კონსიერჟი, ქურთუკზე გამობმული თითბრის გასაღებებით, ლიფტი, იატაკებზე ნოხები, თეთრი პირსაბანები და მათი ბრჭყვიალა მოწყობილობანი, რკინის საწოლი და დიდი კეთილმოწყობილი ოთახი_ეს ყველაფერი გუტინგენების შემდეგ დიდ ფუფუნებად მოგვეჩვენა. ფანჯრები გადაჰყურებდა ნაწვიმარ ბაღს, რომელსაც გალავანი ერტყა, გალავნის თავზე კი

რკინის მესერი გასდევდა. მეორე მხარეს, შვეულად დაკიდული ქუჩის გადაღმა, ასეთივე გალავან და მესერშემოვლებული სხვა სასტუმრო იდგა. ფანჯარასთან ვიდექი და გავყურებდი, როგორ ეცემოდა წვიმის წვეთები შადრევნის აუზში.

ქეთრინმა, რაც კი სინათლე იყო, სუყველა გააჩახახა და ბარგის ამოლაგებას შეუდგა. მე სოდიანი ვისკი დავუკვეთე, ლოგინზე წამოვწექი და სადგურში ნაყიდი გაზეთები გავშალე. 1918 წლის მარტი იდგა და გერმანელები საფრანგეთს უტევდნენ. მანამ ქეთრინი ბარგს ალაგებდა და ოთახში დაფუსფუსებდა, მე სოდიან ვისკის ვწრუპავდი და გაზეთებს კვითხულობდი.

— იცი, რა უნდა მოვამზადოთ, ძვირფასო?_მითხრა ქეთრინმა.

— რა?

— ბავშვის ჩასაცმელები. იშვიათად თუ შეხვდები ქალს, რომ ასეთ დროს ბავშვის რამეები მომზადებული არა ჰქონდეს.

— ყიდვა შეიძლება.

— ვიცი. და ხვალვე ვიყიდი კიდეც. ჯერ უნდა გავიგო, რა არის საჭირო.

— ეგ ისედაც უნდა იცოდე. შენ ხომ მოწყალების და ხარ.

— მართალია, მაგრამ ჯარისკაცებს იშვიათად უჩნდებოდათ ბალლები ჰოსპიტალში.

— მე ხომ გამიჩნდა.

ბალიში ჩამარტყა და სოდიანი ვისკი სულ დამიღვარა.

— ახლავე მოვატანინებ, _მითხრა მან,_მაპატიე, რომ დაგიღვარე.

— ცოტალა იყო დაჩენილი. აქ მოდი, ჩემთან.

— არა. ჯერ ეს ოთახი დაემსგავსოს რამეს.

— მაინც რას?

— ჩვენს სახლს.

— ანტანტის დროშები გამოჰკიდე.

— კარგი ერთი, ენა დაიმოკლე.

— აბა, გაიმეორე.

— ენა დაიმოკლე.

— ისე მორიდებით ამბობ, თითქოს ფრთხილობ, არავის ვაწყენინო.

— არაფერიც.

— მაშ, ჩემთან მოდი, ლოგინში.

— კარგი, _მოვიდა და ლოგინზე ჩამომიჯდა, — ვიცი, რომ უკვე აღარ ვარ შენი მოსაწონი, გენაცვალე. ფქვილის კასრს დავემსგავსე.

— სულაც არა. ისეთი ლამაზი და კარგი ხარ.

— რამ შეგართვევინა ასეთი მოლადებული დედაკაცი!

— არაფერიც. რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო მშვენიერდები.

— მაგრამ ისევ მალე გავხდები.

— ახლაც გამხდარი ხარ.

— ეტყობა, დაგილევია.

- ერთი ჭიქა სოდიანი ვისკი.
 - მეორე ჭიქასაც ახლავე მოიტანენ, _თქვა მან, _მერე კი სადილი ამოვატანინოთ.
 - კარგი იქნება.
 - გარეთ გასვლა აღარ დაგვჭირდება, ხომ? საღამოს შინ გავატარებთ.
 - და ვითამაშებთ.
 - მე ცოტა ღვინო უნდა დავლიო, _თქვა ქეთრინმა, _არაფერიც არ მომივა. იქნებ აქაც ჰქონდეთ ჩვენი თეთრი კაპრი.
 - უსათუოდ ექნებათ, _ვუთხარი მე, _ამისთანა სასტუროებში იტალიურ ღვინოებს რა გამოლევს.
- ოფიციანტმა კარზე დააკაკუნა. ჭიქით ყინულიანი ვისკი მოიტანა და იმავე ლანგრით სოდაც მოაყოლა, პატარა ბოთლში.
- გმადლობთ, _ვუთხარი მე, _აქ დადგით. იქნებ სადილიც აქ ამოგვიტანოთ და ორი ბოთლი ყინულში ჩაცივებული თეთრი კაპრი.
 - სუპს ხომ არ მიირთმევდით?
 - გინდა სუპი, ქეთ?
 - იყოს.
 - ერთი სუპი მოიტანეთ.
 - გმადლობთ, სერ. გავიდა და კარი გაიხურა. მივუბრუნდი ისევ გაზეთებს, და ომს_გაზეთების ფურცლებზე. თან სოდას ნელ-ნელა ვისხამდი ვისკიან ჭიქაში. უნდა გამეფრთხილებინა, ყინულს ჭიქაში ნუ ჩააგდებთ-მეთქი. ცალკე უნდა მოიტანონ. გეცოდინება მაინც, რამდენი ვისკია ჭიქაში და სოდით აღარ გაწყალებ. ბოთლით უნდა ვიყიდო ვისკი, სოდას და ყინულს კი აქ მოვატანინებ. ეს უფრო ჭიკანური იქნება. ძალიან სასიამოვნოა კარგი ვისკი. ერთ-ერთი სასიამოვნო რამე ცხოვრებაში.
 - რაზე ფიქრობ, ჩემო ძვირფასო?
 - ვისკიზე.
 - მაინც?
 - კარგია-მეთქი ვისკი.
 - ქეთრინი გამეჭყანა, _ კარგი, _თქვა მან.

სამი კვირა გავატარეთ ამ სასტუროში. და კმაყოფილებიც ვიყავით. რესტორანი მუდამ ცარიელი იყო, და საღამობით, ხშირად, ჩვენს ოთახშიც ვსადილობდით. ვსეირნობდით ქალაქში, უჩიში ტრამვაით დავდიოდით და ტბის სანაპიროზეც გავივლიდით ხოლმე სასეირნოდ. დათბა და გამოზაფხულდა. ერთი პირობა, ვნატრობდით კიდეც, ნეტა ისევ მთებში აგვიყვანაო, მაგრამ სულ რამდენიმე დღეს გასტანა გაზაფხულის ამინდებმა, ისევ დაგვიბრუნდა გატეხილი ზამთრის ნესტიანი სიცივე.

ბავშვისთვის რაც კი რამე იყო საჭირო, ქეთრინმა ყველაფერი იყიდა ქალაქში. მე გიმნასტიკის დარბაზში დავდიოდი სხეულის გასავარჯიშებლად, კრივში ვვარჯიშობდი ხოლმე. დილდილაობით დავიარებოდი, მანამ ქეთრინი

ლოგინში იწვა. კრივისა და შხაპის შემდეგ, ამ ადრეულ გაზაფხულზე ძალიან სასიამოვნო იყო ქუჩებში გავლა, ვისუნთქავდი გაზაფხულის ჰაერს, კაფეში შევივლიდი, დავჯდებოდი, ვერმუთს ვწრუპავდი, გაზეთებს ვკითხულობდი და ხალხს ვათვალიერებდი, მერე სასტუმროში ვბრუნდებოდი და ქეთრინთან ერთად ვსაუზმობდი. ვარჯიშის მასწავლებელი, ულვამა კაცი, ძალიან მოქნილი იყო და ზუსტი მოქნევა იცოდა, მაგრამ შენ თუ გადახვიდოდი შეტევაზე, შიშით თავგზასა ჰკარგავდა. ძალიან სასიამოვნო კი იყო სავარჯიშო დარბაზში ყოფნა. საუცხოო ჰაერი, სინათლე... მაგრადაც ვვარჯიშობდი_თოკზე ხტომა, თავდაცვა, შეტევა, მუცლის კუნთების ვარჯიში იატაკზე გაწოლით, ღია ფანჯრიდან შემოსულ მზის სხივებზე; მერე მასწავლებლის დაფრთხობა კრივში. პირველად მიჭირდა თავდაცვაში ვარჯიში მაღალი და ვიწრო სარკის წინ, რადგან მუშტმოღერებულ წვერიან კაცს რომ დავინახავდი, მეხამუშებოდა. მერე კი შევეჩვიე და მეცინებოდა. პირველად, კრივი რომ დავიწყე, წვერის მოპარსვა დავაპირე, მაგრამ ქეთრინმა არ დამანება.

ზოგჯერ მე და ქეთრინი ეტლში ჩავსხდებოდით და ქალაქებარეთ გავისეირნებდით. სასიამოვნო იყო კარგ ამინდში გასეირნება, და ორ საუცხოო ადგილსაც მივაგენით, სადაც საუზმის ჭამა შეიძლებოდა. ქეთრინს უკვე უჭირდა სიარული და ძალიან მსიამოვნებდა მასთან ერთად ეტლით გასეირნება. როცა დარი იდგა, ბრწყინვალედ ვატარებდით დროს, და არც მახსოვს, უკმაყოფილო დავბრუნებულიყოთ. ვიცოდით, რომ ბავშვი სულ ახლოს იყო და ისეთი გრძნობა მოგვიცავდა, თითქოს რაღაც გვაჩქარებს და დროის დავარგვა აღარ შეიძლება – რაც შეიძლება დიდხანს უნდა ვიყოთ ერთმანეთთან.

თავი XLI

ერთხელ, დილის სამი საათი იქნებოდა, გამომეღვიძა და ვნახე, ქეთრინი ლოგინში წრიალებდა.

- ცუდად ხომ არა ხარ, ქეთ?
- თითქოს ტკივილები დამეწყო, გენაცვალე.
- რეგულარულად?
- არა, არც ისე.
- ოდნავ მაინც რეგულარულად თუ გრძნობ, საავადმყოფოში უნდა წავიდეთ.

ისევ ძილმა წამართვა თავი. ცოტა ხნის შემდეგ კიდევ გამომეღვიძა.

- იქნებ ექიმის გამოძახება იყოს საჭირო, _მითხრა ქეთრინმა, _მგონი, უნდა მეწყებოდეს.

ტელეფონთან მივედი და ექიმს დავურეკე. _რა სიხშირით წამოუვლის ტკივილები? _ მკითხა მან.

- რა სიხშირით წამოგივლის ტკივილები, ქეთ?
- დაახლოებით, ყოველ თხუთმეტ წუთში.

_ ახლავე უნდა წახვიდეთ საავადმყოფოში, _ თქვა ექიმმა, _ მეც ჩავიცვამ და პირდაპირ იქ მოვალ.

მიღლი დავკიდე და მერე გარაჟში დავრეკე, სადგურთან ახლოს, ტაქსი გამომიგზავნეთ-მეთქი. დიდხანს არავის გაუცია ხმა. მერე ვიღაც კაცმა გამაგონა და აღმითქვა, ახლავე გამოგიგზავნიო. ქეთრინი იცვამდა. ჩემოდანში უკვე ჩალაგებული ჰქონდა ყველაფერი, რაც საავადმყოფოში დასჭირდებოდა მასა და ბავშვს. დერეფანში ლიფტს დავურეკე. არავინ მიპასუხა. დაბლა ჩავედი. ღამის დარაჯის მეტი, კაციშვილი არ იყო. მე თვითონ ავიყვანე ლიფტი, ქეთრინის ჩემოდანი შიგ შევიტანე, ქეთრინიც შემოვიდა და დავეშვით. ღამის დარაჯმა კარი გაგვიღო, ჩვენ გარეთ გამოვედით და ტაქსის მოლოდინში კიბეზე ჩამოვჯექით. მოწმენდილი ღამე იყო, ცა_ვარსკვლავებით მოჭედილი. ქეთრინი ძალიან ღელავდა.

_ მადლობა ღმერთს, რომ დაიწყო, _ თქვა მან, _ ცოტა კიდევ და ყველაფერი გათავდება.

_ შენ ყოჩაღი გოგო ხარ.

_ სულაც არ მეშინია. ოღონდ მოვიდეს ბარემ ტაქსი.

გავიგონე კიდევ მანქანის ხმა, და მაშინვე სინათლემაც მოგვანათა. ჩვენთან ჩამოდგა. ქეთრინს ხელი მივაშველე, შოფერმა ჩემოდანი გვერდზე მოიდო.

_ საავადმყოფოში, _ ვუთხარი მე.

მანქანა მობრუნდა და აღმართს შეუდგა.

საავადმყოფოსთან რომ მივედით, მე ჩემოდანს დავავლე ხელი და შევედით. დაბლა, მაგიდასთან ქალი იჯდა, რომელმაც დავთარში ჩაიწერა ქეთრინის გვარი, წლოვანება, მისამართი, ნათესაური მდგომარეობა და რელიგიასთან დამოკიდებულება. არც ერთ რელიგიას არ ვეკუთვნიო, ქეთრინმა უთხრა, და ქალმა ამ კითხვის გვერდით ხაზი გაუსვა. გვარი_ჰენრი ჩააწერინა, ქეთრინ ჰენრი.

_ ახლა თქვენს ოთახში აგიყვანთ, _ თქვა ქალმა. ლიფტით ავედით. ქალმა ლიფტი დაყენა, გამოვედით და დერეფანს დავუყევით. ქეთრინი მკლავში მყავდა ჩაფრენილი.

_ აი, თქვენი ოთახი, _ თქვა ქალმა, _ გაიხადეთ და დაწექით. ეს ღამის პერანგი.

_ მე ჩემი ღამის პერანგი მაქვს, _ უთხრა ქეთრინმა.

_ ეს გირჩევნიათ, უფრო ხალვათია.

მე გარეთ გამოვედი და დერეფანში სკამზე ჩამოვჯექი.

_ შეგიძლიათ მობრძანდეთ, _ კარის ზღურბლიდან დამიძახა ქალმა. ქეთრინი ვიწრო საწოლზე იწვა, ეცვა უბრალო, კვადრატულად გამოჭრილი ღამის პერანგი, ასე გეგონებოდა, ხამი ზეწრიდან გამოუკერავთო. გამიღიმა.

_ უკვე მაგრად წამომიარა, _ თქვა მან. ქალს მისი მაჯა ეჭირა და შეტევების სიხშირეს ამოწმებდა.

_ ახლა მაგარი შეტევა მქონდა, _ თქვა ქეთრინმა. სახეზეც შევატყვე.

– ექიმი სადღაა? – ვკითხე ქალს.

– დაბლა სძინავს. ამოვა, როცა საჭირო იქნება. ახლა რაღაც უნდა გავუკეთო ქალბატონს, _თქვა მომვლელმა ქალმა, – ცოტა ხნით ვერ გაბრძანდებით?

დერეფანში გავედი. სავსებით ცარიელი იყო დერეფანი. ორი ფანჯარა ჰქონდა დატანებული და კარები თავიდან ბოლომდე სულ დაკეტილი. საავადმყოფოს სუნი იდგა. სკამზე ჩამოვჯექი, იატაკს ჩავაშტერდი და ქეთრინზე ლოცვას მოვყევი.

– შეგიძლიათ შემობრძანდეთ, – გამომძახა მომვლელმა. შევედი.

– მოხვედი, მვირფასო! – მითხრა ქეთრინმა.

– როგორ არის საქმე?

– სულ უფრო და უფრო მიხშირდება.

სახე დაემანჭა. მერე გამიღიმა.

– ეს კი ნამდვილი იყო. ისევ ვერ დამადებთ ხელს ზურგზე?

– თუკი დაგიამებთ..._მიუგო მომვლელმა ქალმა.

– შენ წადი, გენაცვალე, _მითხრა ქეთრინმა, – წადი და რამე ჭამე, აგერ ექთანი ამბობს, იქნებ ძალიან გაჭიანურდესო.

– პირველი მშობიარობა საერთოდ გრძელდება ხოლმე, _თქვა მომვლელმა ქალმა.

– წადი და რამე ჭამე, გენაცვალე, _მითხრა ქეთრინმა, _ მე კარგადა ვარ. მართლა.

– ცოტას დავიცდი.

ტკივილები უკვე თანაბარი სიხშირით დაეწყო. მერე ცოტათი შეუნელდა. ქეთრინი ძალიან ღელავდა. როცა მაგრად წამოუვლიდა, კარგიაო, ამბობდა. როცა შეუნელდებოდა, გული დასწყდებოდა და შეწუხდებოდა.

– წადი, ჩემო ძვირფასო, _თქვა მან, _ასე მგონია, შენთან უფრო უხერხულად ვარ-მეთქი. _სახე დაეღმიჭა. _აი, ეს უკეთესი იყო. როგორ მინდა, კარგი ცოლი ვიყო და ისე, უცერემონიოდ გავაჩინო ბავშვი. წადი და ისაუზმე, გენაცვალე, და მერე ისევ მოდი. არ მოვიწყენ უშენოდ. აგერ, მომვლელიც ისეთი მშვენიერი შემხვდა!

– საუზმისთვის ბევრი დრო გაქვთ, _მითხრა მომვლელმა.

– მაშ, წავალ. ნახვამდის, ძვირფასო.

– ნახვამდის, _ თქვა ქეთრინმა, _ კარგად ისაუზმე, ჩემ მაგიერაც.

– სად შეიძლება კაცმა ისაუზმოს? _ ვკითხე მომვლელს.

– ამ ქუჩას დაუყევით და მოედანთან კაფე გახლავთ, _ მითხრა მან, _ ღია იქნება, მგონი.

თენდებოდა. ცარიელ ქუჩას გავყევი და კაფეს მივადექი. ფანჯრიდან სინათლე გამოდიოდა. შევედი და თუთიაგადაკრულ დახლს მივადექი. მოხუცმა კაცმა ერთი ჭიქა თეთრი ლვინო და ბრიოში მოიტანა. გუშინდელი ბრიოში იყო. ლვინოში ჩავაწე და მერე ყავა დავაყოლე.

– ამ უთენია რამ გამოგიყვანათ? _ მკითხა ბერიკაცმა.

– ცოლი მშობიარობს საავადმყოფოში.

– აპა. მშვიდობით მორჩენილიყოს!

– კიდევ დამისხით ერთი ჭიქა ღვინო.

ერთბაშად გადმოსწია ბოთლი და ღვინო თუთის დახლზე დაიღვარა. ეს ერთი ჭიქაც დავლიე, ფული გადავიხადე და გამოვბრუნდი. ქუჩაში, ყოველი სახლის წინ, სანაგვე თუნუქები იყო გამოდგმული, მენაგვის მოლოდინში. ერთ თუნუქები ძალლს ჩაეყო ცხვირი.

– რას ეძებ?_ვკითხე მე და თუნუქაში ჩავიხედე, თუ რამეა ამის საკბილო, ამოვუღებ-მეთქი. ყავის ნალექისა, ნაგვისა და მკვდარი ბუზების მეტი ზემოდან არაფერი ჩანდა.

– არაფერი ყოფილა, ძალლო,_ვთქვი მე. ძალლი იქითა მხარეს გადავიდა. საავადმყოფოში ფეხით ავყევო კიბეს, დერეფანი გავიარე და ქეთრინის ოთახს მივადექი. კარზე დავაკაკუნე. არავინ მიპასუხა. შევაღე კარი. ოთახი ცარიელი იყო; მარტო ქეთრინის ჩემოდანი იდო სკამზე, და ხალათი კედელზე ეკიდა, დერეფანში ავიარ-ჩავიარე, იქნებ ვინმე ვნახო-მეთქი. ერთ ექთანს შევხვდი.

– ქალბატონი ჰენრი სად არის?

– ახლახან გაატარეს ვიღაც ქალი სამშობიაროსკენ.

– სამშობიარო სადღაა?

– ახლავე გაჩვენებთ.

დერეფნის ბოლოში მიმიყვანა. სამშობიაროს კარი შეღებული იყო. დავინახე ქეთრინი, მაგიდაზე იწვა და ზეწარი ეხურა. აქეთ ექთანი იდგა, იქით კი, რაღაც ცილინდრებთან _ ექიმი. ცალ ხელში მილაკზე მიმაგრებული რეზინის ნიღაბი ეჭირა.

– ხალათს მოგცემთ და შედით,_მითხარა მომვლელმა ქალმა, _აქეთ მობრძანდით.

თეთრი ხალათი ჩამაცვა და უკან ინგლისური ქინძისთავით შემიკრა.

– შეგიძლიათ შებრძანდეთ, _ მითხრა მან. შევედი.

– მოხვედი, გენაცვალე!_დამაბული ხმით მითხრა ქეთრინმა, _აღარ მადგება საშველი.

– მისტერ ჰენრი ბრძანდებით?_მკითხა ექიმმა.

– დიახ. როგორ არის საქმე, ექიმო?

– ძალიან კარგად. აქ გადმოვიყვანეთ, რომ შეტევების დროს გაზი მივცეთ.

– მომეცით ბარემ, _ თქვა ქეთრინმა. ექიმმა რეზინის ნიღაბი სახეზე დააფარა და ციფერბლატი გადასწია, ვხედავდი, როგორ ღრმად და სწრაფად სუნთქვავდა ქეთრინი. მერე მოიგლიჯა ნიღაბი, ექიმმა მაშინვე გამორთო.

– ეს უფრო ნაკლები იყო. ამის წინ ძალიან ძლიერი მქონდა. ექიმი ცდილობს, არც კი მაგრძნობინოს. ხომ, ექიმო? - უცნაური ხმა გაუხდა. «ექიმი» უფრო ხმამაღლა წარმოთქვა.

ექიმს გაეღიმა.

– კიდევ მომეცით, – თქვა ქეთრინმა. მაგრად მიიკრა ნიღაბი სახეზე და სუნთქვას უხშირა. გავიგონე, როგორ წამოიკვნესა. მერე მოიგლიჯა ნიღაბი და გაიღიმა.

– ახლა ძლიერი იყო, – თქვა მან, – მალიან ძლიერი იყო. შენ ნუ სწუხარ, გენაცვალე. წადი. წადი და კიდევ ისაუზმე.

– დავიცდი, – ვთქვი მე.

დილის სამი საათი იქნებოდა, საავადმყოფოში რომ მივედით. შუადღისას ისევ სამშობიარო ოთახში იყო ქეთრინი. ტკივილები კვლავ შეუნელდა, ძალიან დაღლილი და გაწამებული ჩანდა, მაგრამ ცდილობდა, მხნედ ყოფილიყო.

– არ ვარგებულვარ, ძვირფასო, – თქვა მან, – რა ღმერთი მიწყრება! მეგონა ადვილად მოვიშორებდი. მაგრამ... აპა, ისევ... – ნიღაბს გადასწვდა და სახეზე დაიდო. ექიმმა ციფერბლატი გადასწია და ქეთრინს დააკვირდა. მალე გადაუარა.

– არც ეს იყო ძლიერი, – თქვა ქეთრინმა. გაიღიმა. – ამ გაზზე ვგიჟდები. საუცხოო რამეა.

– სახლშიაც წავიღოთ ცოტაოდენი, – ვთქვი მე.

– ი ს ე ვ მ ე წ ყ ე ბ ა, – სულმოუთქმელად თქვა ქეთრინმა, ექიმმა ციფერბლატი გადასწია და საათზე დაიხედა.

– რა სიხშირით მოსდის? – ვკითხე მე.

– წუთგამოშვებით.

– საუზმე არ გინდათ?

– ახლავე წავალ და ვისაუზმებ.

– რამე უნდა შეჭამოთ, ექიმო, – თქვა ქეთრინმა, – რა მომდის. ასე როგორ გამიჭიანურდა. ჩემი ქმარი ვერ მომაწოდებს გაზს?

– თქვენი ნებაა, – თქვა ექიმმა, ორიანზე უნდა დააყენოთ.

– ვხედავ, – ვუთხარი მე, – ციფერბლატზე ისარი იყო და პატარა ღილაკით უნდა გადაგეტრიალებინა.

– კი დ ე ვ მ ი ნ დ ა, – თქვა ქეთრინმა. მჭიდროდ მიიკრა ნიღაბი სახეზე. ისარი ორიანზე დავაყენე და ქეთრინმა რომ მოიგლიჯა ნიღაბი, ისევ გადმოვწიე. დიდი სიკეთე მიყო ექიმმა, რომ საქმე გამიჩინა.

– შენ მომეცი გაზი, გენაცვალე? – მკითხა ქეთრინმა. მაჯაზე ხელი გადამისვა.

– მე მოგეცი.

– რა კარგი ხარ.

გაზმა ცოტათი დაათრო.

– მე გავალ და მეორე ოთახში ვისაუზმებ, – მითხრა ექიმმა, – რამე რომ იყოს, იმ წუთში დამიძახებთ.

ვხედავდი როგორ ჭამდა, ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, რომ წამოწვა და პაპიროსი გააბოლა. ქეთრინი სულ ფრო და უფრო იქანცებოდა.

– როგორ გგონია, ვეღარ გავაჩენ ამ ბავშვს?

– რა თქმა უნდა, გააჩენ.
– რაც შემიძლია, ვცდილობ. ვიჭინთები და ვაწვები, მაგრამ გვერდზე სხლტება. ა ჴ ა, მ ე წ ყ ე ბ ა. მ ო მ ე ც ი.

ორ საათზე წავედი და ვისაუზმე. კაფეში რამდენიმე კაცი დამხვდა. მაგიდაზე ყავა და კირში ედგათ ჭიქებით. ერთ-ერთ მაგიდას მივუჯექი.

- არაფერს მომიტანთ? – ვკითხე ოფიციანტს.
- საუზმის დრო უკვე გავიდა.
- გამზადებული არაფერი გაქვთ?
- შუკრუტს მოგართმევთ.
- შუკრუტი და ლუდი.
- ნახევარი, თუ მთელი ტოლჩა?
- ნახევარი იყოს, ღია ფერისა.

ოფიციანტმა მომიტანა კომბოსტოს წნილი ლორის თხელი ნაჭრით, და სოსისი ღვინოში დამბალი ჩაშუშული კომბოსტოთი. ვჭამე და ლუდი დავაყოლე. ძალიან მოშივებული ვიყავი. მაგიდასთან მიმსხდარ ხალხს გადავხედე. ერთ მაგიდაზე კარტს თამაშობდნენ. მეზობელ მაგიდასთან ორი კაცი საუზმობდა და პაპიროსს აბოლებდა. კაფე კვამლით იყო გამოვსებული. თუთის დახლში, სადაც მე დილით ვისაუზმე, ახლა სამნი იდგნენ: ის ბერიკაცი, ჩასუქებული ქალი, რომელიც სალაროსთან იჯდა და თვალყურს ადევნებდა, მაგიდაზე რა კერძები მიაქვთო, და წინსაფრიანი ბიჭი. გავიფიქრე, ნეტა იმ დედაკაცს რამდენი შვილი ჰყავს და როგორ გააჩინა-მეთქი.

შუკრუტს რომ მოვრჩი, საავადმყოფოში დავბრუნდი. ქუჩები უკვე დაესუფთავებინათ. ჭიშკრებთან აღარ იდგა სანაგვე თუნუქები. ღრუბლიანი დღე იყო, მაგრამ მზე გამოჭყეტას ცდილობდა. ლიფტით ავედი, დერეფანში გავიარე და ქეთრინის ოთახში შევედი. აქ თეთრი ხალათი მქონდა დატოვებული. ჩავიცვი და კისერთან ქინძისთავით შევიკარი. სარკეში ჩავიხედე და გავიფიქრე, წვერ-მოშვებულ ყალთაბანდ ექიმ ვგავარ-მეთქი. ისევ დერეფანში გამოვედი და სამშობიარო ოთახისკენ გავსწიო. კარები მიკეტილი იყო და დავაკავუნე. არავის უბასუხია. კარის სახელური გადავწიე და შევედი. ექიმი ქეთრინის მახლობლად იჯდა. ექთანი ოთახის მეორე კუთხეში რაღაცას აკეთებდა.

- აგერ, ქმარიც მოგივიდათ, - თქვა ექიმმა.
- ო, გენაცვალე, რა შესანიშნავი ექიმი მყავს!_ძალიან უცნაური ხმით თქვა ქეთრინმა, _ რაღაც საოცარ ამბავს მომიყვა, ხოლო ტკივილმა რომ ძალიან წამომიარა, ისე დამიამა, თითქოს არაფერიო. შესანიშნავი კაცია. შესანიშნავი კაცი ხართ, ექიმო!
- შენ დაითვერი, – ვუთხარი მე.
- მეც ვიცი, _ თქვა ქეთრინმა, _ მაგრამ მაგისი შეხსენება რაღა საჭიროა! _ მერე: ჩ ქ ა რ ა, ჩ ქ ა რ ა მ ო მ ე ც ი თ. _ ნიღაბს ჩაფრინდა და წყვეტილ-წყევეტილი, აჩქარებული სუნთქვა დაიწყო, რესპირატორს ტკაცანი დააწყებინა. ბოლოს ამოიხვნეშა და ექიმი მარცხენა ხელით გადასწვდა, ნიღაბი ააცალა.

— ახლა ძალიან ძლიერი იყო, — თქვა ქეთრინმა. ძალიან უცნაური ხმა გაუხდა. — აღარ მოვკვდები, გენაცვალე. სიკვდილის პირას ვიყავი, და მორჩა, გაიარა. არ გიხარია?

- ნუდარ მიხვალ სიკვდილის პირას.
- აღარ მივალ. თუმცა არც მეშინია. არ მოვკვდები, გენაცვალე.
- მაგისთანა სისულელეს თქვენ არ იზამთ, — უთხრა ექიმმა, — არ მოკვდებით, ქმარს არ დასტოვებთ!

— აჲ, არა. არ მოვკვდები. რათ უნდა მოვკვდე! სიკვდილი სისულელეა. ისევ მეწყება ჩ ე ა რ ა! მო მ ე ც ი თ!

ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა მითხრა: — რამდენიმე წუთით გაბრძანდით, მისტერ ჰენრი, უნდა გავსინჯო.

— უნდა ნახოს, როგორ არის საქმე, — თქვა ქეთრინმა, — მერე ისევ შეგიძლია შემოსვლა. ხომ ექიმო?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა ექიმმა, — მე თვითონ შევუთვლი და მოვაყვანინებ.

დერეფანში გამოვედი და იმ ოთახისკენ გავსწიე, სადაც ქეთრინი უნდა შეეყვანათ, ბავშვის დაბადების შემდეგ. სკამზე ჩამოვჯექი და ოთახში მივიხედ-მოვიხედე. ჯიბეში გაზეთი მქონდა, სასაუზმოდ რომ წავედი, მაშინდელი ნაყიდი, და იმ გაზეთის კითხვა დავიწყე. უკვე ბინდი ჩამოწვა და სინათლე ავანთე. ცოტა ხნის შემდეგ კითხვას თავი გავანებე, სინათლე ჩავაქრე და ფანჯრიდან დავიწყე მზერა, როგორ თანდათანობით ბნელდებოდა. ნეტა, ექიმმა რატომ არ შემომითვალა. იქნებ ჩემი იქ არყოფნა ჯობდა, ალბათ განგებ გამომიშვა. საათს დავხედე. ათ წუთში თუ არ შემომითვალა, ავდგები და მე თვითონ წავალ.

ჩემო საბრალო ქეთ. რა ძვირი დაგიჯდა ლოგინში ერთად ძილი. აჲა, რა სცოდნია ხაფანგის ასხლეტას. რა სცოდნია ერთმანეთის სიყვარულს. მადლობა ღმერთს, გაზი მაინცს არის. აბა, უწინ რა იქნებოდა, მანამ ანესთეზიას მოიგონებდნენ? რაკიდა ერთხელ დაიწყებოდა, თითქოს დოლაბში მოჰყოლიხარო. ქეთრინს კარგი ორსულობა ჰქონდა. არა უშავდა რა. გულისრევა თითქმის არც კი ჰქონია. უკანასკნელ დღემდე ისე ძალიან არ შეწუხებულა. მაგრამ ბოლოს მაინც უწია. ტყუილია, ისე ვერ დააღწევ თავს. ჯოჯოხეთს ვერ დაუმდრები! ორმოცდაათჯერაც რომ გვექორწინა, ბოლო მაინც ეგ იყო, რომ მოკვდეს?! არ მოკვდება. დღეს მშობიარობას ვინ მოუკლავს. ასე ფიქრობენ ხოლმე ქმრები. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ მოკვდება. რა ვუყოთ, რომ ცუდ დღეშია. პირველმა მშობიარობამ ასეთი გაჭიანურება იცის. ცუდ დღეშია და ეგ არის. მერე გავიხსენებთ, რა ცუდ დღეში ვიყავითო, ქეთრინი მაინც იტყვის, მაგდენიც არაფერი ყოფილაო. მაგრამ მართლა რომ მოკვდეს? არა არ მოკვდება. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არა-მეთქი, არ შეიძლება. რასა ჩმახავ! რა ვუყოთ, რომ ცუდ დღეშია. კაცი წამებისათვის არის გაჩენილი. პირველი მშობიარობაა და ასე იმიტომ გაჭიანურდა. ჰო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ შეიძლება მოკვდეს. რათ უნდა მოკვდეს? რა მიზეზით. უბრალოდ, ბავშვი

უნდა დაიბადოს _მილანში გატარებული ტკბილი ღამეების უნებური ნაყოფი. ვაი-უბედურებაში ჩაგაგდებს, დაიბადება, მერე ზედ უნდა გადაჰყებ და იქნებ შეგიყვარდეს. მაგრამ, რომ მოკვდეს? არ მოკვდება. რა სჭირს სასიკვდილო. პო, მაგრამ, რომ მოკვდეს? არ შეიძლება, არ მოკვდება. და მაინც რომ მოკვდეს? პო, მაშინ, მაშინ? რას იზამ, რომ მოკვდეს?

ოთახში ექიმი შემოვიდა.

_ ექიმო, რა პირი უჩანს საქმეს?

_ არაფერი პირი არ უჩანს, _მიპასუხა ექიმმა.

_ მაინც?

_ ისე. გავსინჯე... _ დაწვრილებით განმიმარტა გასინჯვის შედეგები. _მერე დაველოდე. მაგრამ არაფერი გამოდის.

_ რას მირჩევთ?

_ ორი გზა გვაქვს. ან მაყაშები უნდა ვიხმაროთ, რაც ბავშვისთვისაც სახიფათო იქნება და, განსაკუთრებით, ქალისთვის_ შეიძლება ყველაფერი დააგლიჯოს_ ან არადა კეისრული კვეთა.

_ კეისრული კვეთა სახიფათოა?

რომ მოკვდეს?!

_ ჩვეულებრივ მშობიარობაზე საშიში არ არის.

_ თქვენ თვითონვე გააკეთებთ?

_ დიახ. სულ ერთი საათი მომინდება მოსამზადებლად და დამხმარე ხალხის მოსაყვანად. იქნებ ამდენიც არ დამჭირდეს.

_ თქვნი აზრით, რომელი აჯობებს?

_ მე კეისრულ კვეთას გირჩევთ. ჩემი ცოლი რომ იყოს, კეისრულს გავუკეთებდი.

_ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს?

_ არავითარი. ნაჭრილობევი დააჩნდება.

_ ინფექცია?

_ მაყაშებით გამოყვანის დროს მეტი საშიშროებაა.

_ რომ არაფერი გავაკეთოთ და კიდევ ველოდოთ?

_ ადრე იქნება თუ გვიან, რამე მაინც უნდა ვიღონოთ. მისის პენრიმ ისედაც დიდი ენერგია დაკრგა. რაც უფრო ჩქარა გავკვეთთ, მით უფრო უხიფათო იქნება.

_ მაშ, ეცადეთ ჩქარა გავუკეთოთ, _ვუთხარი მე.

_ ახლავე წავალ და თადარიგს დავიჭრ.

სამშობიარო ოთახში შევედი. მომვლელი ქალი იქვე დამხვდა. ქეთრინი იწვა მაგიდაზე, ილაჯწართმეული და გადატეტკილი, ზეწრის ქვეშ დიდი მოჩანდა.

_ მიეცი ნება? _ მკითხა მან.

_ პო.

— კარგი გიქნია. ერთ საათში ყველაფერი გათავდება. აღარაფრის თავი არა მაქვს, გენაცვალე. სულ მოვიშალე. მ ო მ ე ც ი თ, თ უ ღ მ ე რ თ ი გ წ ა მ თ. აღარ მშველის. ვ ა ი, ა ღ ა რ მ შ ვ ლ ი ს.

— ღრმად ჩაისუნთქე.

— ვსუნთქავ. ვაი, სულ აღარ მშველის. აღარ მშველის.

— მეორე ცილინდრი მომეცით, — ვუთხარი მომვლელს.

— ეს ახალია.

— რა სულელი ვარ, გენაცვალე, — თქვა ქეთრინმა, — მაგრამ სულ აღარ მშველის. — ტირილი წასკდა. — როგორ მინდოდა, ეს ბავშვი გამეჩინა, არავინ არ შემეწუხებინა, მაგრამ მორჩა. სულ მოვიშალე. ეგეც აღარ მშველის. ვაი, სულ აღარ მშველის, გენაცვალე. ოღონდ კი გამიყუჩდეს და თუნდა მოვკვდე, აღარ დავეძებ. ო, თუ ღმერთი გწამთ, გამიყუჩეთ. გამიყუჩეთ, იწამეთ ღმერთი. ა ჰ ა, წ ა მ ო მ ი ა რ ა. ოჰ, ოჰ, ოჰ! სლუკუნით სუნთქავდა ნიღაბქვეშ. — აღარ მშველის. აღარ მშველის. ჩემზე ნუ დარდობ. მე სულ მთლად მოვიშალე და ეგ არის. ჩემო საბრალო, ჩემო საყვარელო. როგორ მიყვარხარ! ისევ გავმაგრდები. ახლა კი გავმაგრდები. მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი ა ქ ვ თ, რ ო მ მ ი შ ვ ე ლ ო ნ? იქნებ მიშველონ რამე!

— ისე დავაყენებ, რომ გიშველის. ბოლომდე გადავწევ.

— აბა, მომეცი.

ბოლომდე გადავწიე ისარი, და ღრმადა და მაგრად რომ ჩაისუნთქა, ნიღაბზე ჩაჭიდებული ხელი მოუდუნდა, გაზი დავკეტე და ნიღაბი ავაცალე, სადღაც ძალიან შორიდან დაბრუნდა.

— რა მშვენიერი იყო, საყვარელო! ო, რა კარგი ხარ!

— ცოტა უფრო ყოჩალად. მუდამ ბოლომდე კი ვერ გადავწევ. ამან შეიძლება მოგვლას.

— რაღა ყოჩალად! გავტყდი. გამტეხეს.

— ყველას ასე ემართება.

— ჰოი, რა საშინელებაა. მანამ არ გაგტეხენ, არ მოგეშვებიან.

— ერთი საათიც და ყველაფერი გათავდება.

— რა კარგია! ხომ არ მოვკვდები, საყვარელო, ხომ არა?

— არა. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რომ არა.

— არ მინდა მოვკვდე და მარტო დაგტოვო. მაგრამ ძალა აღარ მაქვს და ასე მგონია, ნამდვილად მოვკვდები.

— სისულელეა. ყველას ასე ჰგონია.

— ზოგჯერ გავიფიქრებ, მოვკვდები-მეთქი.

— ეგ არ მოხდება. არას დიდებით.

— რომ მოვკვდე?

— მე არ დაგანებებ.

— ჩქარა! ჩქარა მ ო მ ე ც ი თ!

და ცოტა ხნის შემდეგ:

— არ მოვკვდები. მე თვითონვე არ დავანებებ ჩემს თავს.

— რა თქმა უნდა, არ მოკვდები.

— შენ ხომ ჩემთან იქნები?

— ოღონდ არ შემოგხედავ.

— არა, ისე იყავი.

— ვიქწები. ფეხსაც არ მოვიცვლი.

— ო, რა კარგი ხარ. აპა! მომეცი. ცოტა მოუმატე. ა რ ა მ შ ვ ე ლ ი ს!

ისარი ჯერ სამზე დავაყენე, მერე ოთხზე. ექიმის დაბრუნება მეჩქარებოდა. ორიანზე ზევით გადაწევისა მეშინოდა.

ბოლოს ვიღაც ახალი ექიმი მოვიდა და ორი მომვლელი ქალი მოჰყვა. ქეთრინი გორგოლაჭებიან ჯალამბერზე დააწვინეს, და დერეფანში გაიყვანეს. სწრაფად გაატარეს დერეფანი და ჯალამბერი ლიფტში შეაგორეს. კედლებს აეკრა ყველა, რათა ადგილი დაეთმო; ლიფტი ზემოთ ავიდა, მერე კარები გაიღო, გამოვედით, რეზინის გორგოლაჭებიანი ჯალამბერით დერეფანი გაატარეს და საოპერაციოში შეიყვანეს. ნიღაბაკრული და ჩაჩიანი ექიმი ვეღარ ვიცანი. იქვე იყო მეორე ექიმი, სხვა მომვლელი ქალებიც.

— მიშველონ, რ ა მ ე მ ო მ ც ე ნ! მ ო მ ე ც ი თ რ ა მ ე! იწამეთ ღმერთ, ექიმო. იმდენი ჩამასუნთქეთ, რომ მიშველოს.

ერთ-ერთმა ექიმმა სახეზე ნიღაბი დაადო. ოთახში რომ შევიხედე, საოპერაციოს პატარა, ნათელი ამფითეატრი დავინახე.

— მეორე კარებიდან შედით და იქ დაბრძანდით, — მითხრა მომვლელმა ქალმა.

მოაჯირს იქით მერხები იდგა, რომლებიც თეთრ მაგიდასა და ლამპებს გადმოჰყურებდა. ქეთრინს შევხედე. სახეზე ნიღაბი ეფარა და ახლა დამშვიდებული ჩანდა. ჯალამბერი წინ გამოაგორეს. გამოვბრუნდი და დერეფანში გავედი. გალერეის შესასვლელისკენ ორი მომვლელი მიეშურებოდა.

— საკეისროა, — თქვა ერთმა, — საკეისროს აკეთებენ.

მეორემ გაიცინა, — კარგ დროს მოვსულვართ. ბედი გვქონია!_გალერეის კარებში შევიდნენ.

ახლა სხვა მომვლელი გამოჩნდა. ისიც მოეშურებოდა.

— შედით, ბარემ, შედით, _მითხრა მან.

— გარეთ ვიქწები.

სწრაფად შევიდა. დერეფანში დავიწყე წრიალი. შიგ შესვლისა მეშინოდა. ფანჯარაში გადავიხედე. ბნელოდა, მაგრამ ფანჯრიდან გაჭრილ შუქზე გავარჩიე, რომ წვიმდა. დერეფანს დავუყევი და სულ ბოლო ოთახში შევედი. მინის კარადაში ეტიკეტიანი ბოთლები შევათვალიერე. მერე გამოვედი, დერეფანში დავდექი და საოპერაციოს კარებს მივაშტერდი.

ექიმი გამოვიდა და მომვლელი ქალი გამოჰყვა. ექიმს ახალგაზისავებული კურდღლის მსგავსი რაღაც მოჰკონდა, სწრაფად გადაჭრა დერეფანი და მეორე კარებში შევიდა. მეც იქითკენ გავემართე. ახალდაბადებულ ბავშვს

დასტრიალებდნენ. ექიმმა ასწია და დამანახვა. ქუსლებით ეჭირა, ხელი მოუთათუნა.

— კარგად არის?

— დიდებული ბიჭია. ხუთი კილო გამოვა.

არავითარი გრძნობა არ აღმმრია. თითქოს არაფერი მაკავშირებდა მასთან. მამობრივი გრძნობა არ განმიცდია.

— არ ამაყობთ თქვენი ბიჭით?_ მკითხა მომვლელმა. ბანდნენ და რაღაცაში ხვევდნენ. დავინახე პატარა შავი სახე და შავი ხელები, მაგრამ მისი არც განძრევა შემიმჩნევია, არც ხმა გამიგონია. ექიმი კიდევ უტრიალებდა. შეწუხებული ჩანდა.

— არა, — ვუთხარი მე, _ დედა კინაღამ მოკლა.

— მერე რა პატარა საყვარელი ბიჭის ბრალია. ბიჭი არ გინდოდათ?

— არა, _ ვთქვი მე. ექიმი ისევ საქმეში იყო გართული. ქუსლებით ასწევდა და ხელს უთათუნებდა ხოლმე. იქ აღარ გავჩერებულვარ. ისევ დერეფანში გამოვბრუნდი. ახლა შემეძლო შესვლა და ნახვა. კარებში შევედი და რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი. მოაჯირთან მსხდარმა მომვლელებმა ხელით მანიშნეს, აქ მოდიო. მე თავი გავაქნიე. აქედანაც კარგად ვხედავდი.

მეგონა, ქეთრინი მკვდარი იყო. მკვდარსა ჰგავდა. სახეზე, _ იმ ნაწილზე, რასაც მე თვალი მოვკარი, _ მიწის ფერი ედო. ქვემოთ, სინათლის შუქზე, ექიმი კერავდა გრძლად გადაჭიმულ, ჩქიფებით გადახლეჩილ ჭრილობას. მეორე, ნიღაბაკრული ექიმი ნარკოზს აძლევდა. ორი ნიღაბაკრული მომვლელი ქალი ინსტრუმენტებს აწვდიდა. ინკვიზიციის სურათსა ჰგავდა. ვიცოდი, რომ თავიდანვე შემეძლო მეყურებინა, და კიდევ კარგი, არ ვუყურე. ალბათ, ვერ გავუძლებდი გაკვეთის ცქერას, ახლა კი შევყურებდი, როგორ შეჰვრა ჭრილობამ პირი და ამოზნექილი ნაწიბური გაჩნდა, რა სწრაფად ედებოდა ნაკერი, თითქოს მეჩექმე მუშაობსო, _ და კმაყოფილი ვიყავი. ამოკერვა რომ დამთავრდა, დერეფანში გამოვედი და ისევ აღმა-დაღმა წრიალს მოვყევი. ცოტა ხანში ექიმიც გამოვიდა.

— როგორ არის?

— კარგად. ნახეთ?

დაქანცული ჩანდა.

— ამოკერვას ვუყურე. ძალიან გრძელი ჩანს ჭრილობა.

— ვითომ?

— დიახ. გაუსწორდება ნაწიბური?

— რა თქმა უნდა?

რამდენიმე ხნის შემდეგ ჯალამბერი გამოაგორეს და სწრაფად გააქანეს ლიფტისკენ. მე გვერდზე გავყევი. ქეთრინი კვნესოდა. დაბლა ჩაიყვანეს და თავის ოთახში დააწვინეს. მე სკამზე ჩამოვჯექი, საწოლის ბოლოში. მომვლელიც ოთახში იყო. მერე ავდექი და ლოგინთან დავდექი. ოთახში ბნელოდა. ქეთრინმა ხელი გადმოსწია.

— აქა ხარ, ძვირფასო? _ თქვა მან. დაღლილი და მისუსტებული ხმა ჰქონდა.

- აქა ვარ, ჩემო საყვარელო.
 - როგორი ბავშვია?
 - ჩ-ჩუ-უ... ნუ ლაპარაკობთ, _ თქვა მომვლელმა.
 - ბიჭია. გრძელი, ზორბა და შავგვრემანი.
 - კარგად არის?
 - კარგად, — ვუთხარი მე, _ მშვენიერი ბიჭია.
 - შევნიშნე, რომ მომვლელმა ქალმა გაკვირვებით გადმომხედა.
 - სულ გავსავათდი, _ თქვა ქეთრინმა, -ყველაფერი მტკივა. შენ კარგადა ხარ, გენაცვალე?
 - მშვენივრად. ნუ ლაპარაკობ.
 - რა კარგი ხარ. ო, რა საშინლად მტკივა ყველაფერი. როგორი ბიჭია?
 - გატყავებულ კურდღელს ჰგავს და ბერიკაცის დაპრანჭული სახე აქვს.
 - ახლა წაბრძანდით, _ მითხრა მომვლელმა, _ ქალბატონ ჰენრის ლაპარაკი არ შეიძლება.
 - გარეთ ვიქნები, — ვთქვი მე.
 - წადი და ჭამე რამე.
 - არა. გარეთ დავიცდი.
- ვაკოცე. მიწისფერი ედო, დაღლილი და დასუსტებული იყო.
- შეიძლება რაღაც გითხრათ? _ მივმართე მომვლელ ქალს. დერეფანში გამომყვა. ცოტა ქვემოთ ჩავინაცვლე.
 - ბავშვი როგორ არის? _ ვკითხე მე.
 - არ გაგიგიათ?
 - არა.
 - ცოცხალი არ ყოფილა.
 - მკვდარი დაიბადა?
 - სუნთქვა ვერ მოუბრუნეს. ჭიბლარი თუ რაღაც შემოხვეოდა ყელზე.
 - ერთი სიტყვით, მკვდარია!
 - დიახ. სამარცხვინო ამბავი დაგვემართა. რა დიდი და მშვენიერი ბიჭი იყო. მე მეგონა, იცოდით.
 - არა, _ ვთქვი მე, _ ქალბატონს მიხედეთ.
- მაგიდასთან დავჯექი, რომელზედაც უქთანების ანგარიშები ელაგა, ერთიერთმანეთზე დაწყობილი და მავთულში გაყრილი. მერე ფანჯარაში გადავიხედე. ვერაფერი დავინახე, გარდა სიბნელისა და წვიმისა, რომელიც ფანჯრიდან გაჭრილ შუქს ეცემოდა. აპა, ამ ამბის თავი და ბოლო. ბავშვი მკვდარი დაბადებულა. ექიმსაც მიტომ ჰქონდა დაღლილი სახე. მაშ, რაღას დასტრიალებდნენ თავს იმ ოთახში? ალბათ, იმედი ჰქონდათ, იქნებ მობრუნდეს და სუნთქვა დაიწყოსო. მორწმუნე არა ვყოფილვარ, მაგრამ ვგრძნობდი, რომ მონათვლა იყო საჭირო. იქნებ ერთხელაც არ ამოუსუნთქავს! ასეც იყო. ერთი წუთითაც არ უცოცხლია. მხოლოდ ქეთრინთან ერთად. ხშირად მიგვრმნია, როგორ იტლინკებოდა იქ. ბოლო კვირას კი აღარ შემიმჩნევია. იქნებ მთელი კვირა დამხრჩვალი იყო. საბრალო ბალღი. ნეტა მეც

შენსავით დავმხრჩვალიყავი. თუმცა რატომ. ამდენ სიკვდილს მაინც არ შევესწრებოდი. აგერ ქეთრინიც მოკვდება. აი, რას ეწიე. მოკვდი. ასავალ-დასავალიც ვერ გაუგი. ვეღარც კი ასწრებ, რომ გაიგო. პირდაპირ შეგაგდებენ, კანონებს გეტყვიან და, ერთხელ თუ ფეხი დაგისხლტა, მაშინვე მოგგუდავენ. ან უმიზეზოდ ჩაგაძალებენ, აიმოსავით. ან არადა, სიფილისს შეგყრიან, რინალდის მსგავსად. მოკვლით კი, ადრე თუ გვიან, უსათუოდ მოგკლავენ, არხეინად იყავი. ახლოს გაუჩერდი და მოგკლავენ.

ერთხელ, ლაშქრობის დროს, ჭიანჭველებით გამოტენილი კუნძი დავადე ცეცხლზე. ცეცხლი რომ მოეკიდა, ჭიანჭველები გამომვრნენ და ჯერ ცეცხლის გულისკენ აიღეს გეზი, მერე კი მობრუნდნენ და კუნძის ბოლოსკენ გაემურნენ. ბევრი შეიხორხლა ერთად და პირდაპირ ცეცხლში იწყეს ცვენა. ზოგმა თავი დააღწია, თუმცა ნახევრად დაიწვნენ და დაისრისნენ, და სადღაც გაცოცდნენ, თვითონაც არ იცოდნენ, საით. უმრავლესობა კი ჯერ ცეცხლისკენ მიძვრებოდა. მერე უკანა გაბრუნდა და საბოლოოდ ცეცხლში ჩაიხრუკა. მახსოვს, ერთი პირობა ვიფიქრე, აპა ქვეყნის დასასრული-მეთქი, და ბრწყინვალე საშუალება მეძლეოდა, მესია გავმხდარიყავი_კუნძისთვის ხელი მეტაცა და შორს გადამეგდო. ჭიანჭველები მშვიდობიანად გავიდოდნენ მიწაზე. მაგრამ ასე არ მოვქცეულვარ, ავიღე და კუნძზე თუნუქის ტოლჩა გადმოვაპირქვავე, რათა გამეცალა და მერე ვისკი ჩამესხა, წყალში გასაზავებლად. აგიზგიზებულ კუნძზე დასხმული წყალი, ალბათ, სულ დაფუფქავდა ჭიანჭველებს.

ერთი სიტყვით, ვიჯექი დერეფანში და ქეთრინის ამბავს ველოდი. მომვლელი არ გამოვიდა. ცოტა ხანს ვუცადე, მერე კი მივედი, კარი ძალიან ფრთხილად შევაღე და შევიხედე. პირველად ვერაფერი გავარჩიე. რადგან დერეფანი გაჩახჩახებული იყო, ოთახში კი ბნელოდა. მერე მომვლელი დავინახე. ლოგინთან იჯდა, ქეთრინს ბალიშზე ედო თავი, იწვა და ზეწრის ქვეშ არც კი ჩანდა. მომვლელმა ტუჩზე თითი მიიდო, მერე წამოდგა და კარებთან მოვიდა.

— როგორ არის? — ვკითხე მე.

— კარგად, — მიპასუხა მომვლელმა, — წასულიყავით და გევახშმათ, მერე ისევ დაბრუნდებით, თუკი მოისურვებთ.

დერეფანს დავუყევი, კიბე ჩავიარე, წვიმაში გავედი და ჩაბნელებულ ქუჩას გავყევი კაფესაკენ. გაჩახჩახებული კაფე ხალხით იყო გაჭედილი. დასაჯდომი ადგილიც კი ვერ დავინახე. ოფიციანტი მოვიდა, დასველებული პალტო და ქუდი გამომართვა და ადგილი დამანახვა ერთ მაგიდასთან, რომელსაც მოხუცი კაცი მისჯდომოდა, ლუდსა სვამდა და საღამოს გაზეთს კითხულობდა. ჩამოვჯექი და ოფიციანტს ვკითხე, *plat du jour* რა გაქვთ-მეთქი.

— ჩაშუშული ხბოს ხორცი _ მაგრამ გათავდა.

— რა შეიძლება კაცმა ჭამოს?

— ერბო-კერცხი ლორით, ყველი და კვერცხი, ან შუკრუტი.

— შუკრუტი უკვე ვჭამე, შუადღისას.

_ მართალი ბრძანდებით, _ თქვა მან, _ მართალი ბრძანდებით. შუკრუტი უკვე მიირთვით. _ შუახნის კაცი იყო, მოტვლეპილ თავზე საფეთქლებიდან გადმოეტანა მოხერხებულად თმა. კეთილი სახე ჰქონდა.

_ რას ინებებთ. ლორიან ერბო-კვერცხს თუ კვერცხსა და ყველს?

_ ლორიანი ერბო-კვერცხი იყოს, და ლუდი.

_ Demi-blondie?2

1 მორიგი კერძი (ფრანგ.).

2 იგულისხმება ღია ფერის ლუდი.

_ დიახ, ვუთხარი მე.

_ როგორ დამახსოვდა! - თქვა მან, _ წელანაც Demi-blonde მიირთვით.

ერბო-კვერცხი და ლორი შევჭამე და ლუდი დავაყოლე. მათლათით მომიტანა, ქვეშ ლორი იყო, ზემოდან კი ერბო-კვერცხი. მეტისმეტად ცხელი იყო და პირველი ლუკმა რომ ჩავიდევი, გასაგრილებლად ლუდის მოსმა დამჭირდა. მოშივებული ვიყავი და კიდევ დავუკვეთე. რამდენიმე ჭიქა ლუდი დავლიე. არაფერზე არ ვფიქრობდი, გაზეთს ვკითხულობდი მხოლოდ, რომელიც ჩემს მეზობელს ეჭირა ხელში. ინგლისის ფრონტი გაიარღვაო, წერდნენ. როცა შენიშნა, მის გაზეთს ვკითხულობდი, უკუღმა შეაბრუნა. მინდოდა, ოფიციანტისთვის მეთხოვა გაზეთი, მაგრამ ამის თავიც აღარ მქონდა. კაფეში ცხელოდა და შეხუთული ჰაერი იყო. მაგიდებთან მსხდომთა უმრავლესობა ერთმანეთს იცნობდა. აქა-იქ კარტს თამაშობდნენ. ოფიციანტებს მოჰკონდათ და მოჰკონდათ სასმელები დახლიდან. ორი კაცი შემოვიდა, მაგრამ ადგილი ვერ იშოვეს. ზედ ჩემი მაგიდის პირდაპირ გაჩერდნენ. კიდევ მოვატანინე ლუდი. ჯერ არ მინდოდა წასვლა. საავადმყოფოში დაბრუნება ძალიან ნაჩქარევი იქნებოდა, ვცდილობდი, არაფერზე მეფიქრა და მშვიდად ვმჯდარიყავი. ახალშემოსულები ერთხანს იდგნენ; რაკი არავინ აპირებდა გასვლას, თვითონვე წავიდნენ. კიდევ დავლიე ლუდი. ჩემს წინ თევშების გროვა დადგა! ჩემმა მეზობელმა სათვალე მოიხსნა, ბუდეში ჩადო, გაზეთი დაკეცა, ჯიბეში შეინახა, ლიქიორის ჭიქას ხელი ჩასჭიდა და დარბაზი მიათვალ-მოათვალიერა. უცებ გამიელვა, ახლავე უნდა დავბრუნდე-მეთქი. ოფიციანტს დავუძახე, ფული გადავიხადე, პალტო ჩავიცვი, ქუდი დავიხურე, გამოვედი და იმ წვიმაში საავადმყოფოსაკენ გავსწიე.

დერეფანში მომვლელ ქალს შევხვდი.

_ ეს არის, სასტუმროში დაგირეკეთ, _ მითხრა მან. მკერდში რაღაც ჩამწყდა.

_ რა მოხდა?

_ მისის ჰენრის სისხლისდენა აუტყდა.

_ შესვლა შეიძლება?

_ არა, ჯერ არა. ექიმია.

_ საშიშია?

_ ძალიან საშიშია. _ ოთახში შებრუნდა და კარი მიიხურა. მე დერეფანში ჩამოვჯექი. ერთიანად გამოვიყიტე. არაფერზე არა ვფიქრობდი. ფიქრს თავს ვერ ვუყრიდი. ვგრძნობდი, რომ კვდებოდა და ვლოცულობდი, ნუ მოკვდება-მეთქი. ღმერთო, ნუ მოკლავ. გევედრები, ნუ მოკლავ, ღმერთო. რასაც გინდა გაგიკეთებ, ოღონდ ნუ მომიკლავ. ღმერთო, ღმერთო, ღმერთო, ნუ მომიკლავ, ღმერთო. ღმერთო დიდებულო, ნუ მოკლავ. გევედრები ღმერთო, ღმერთო, ნუ მოკლავ. ღმერთო დიდებულო, ნუ მომიკლავ. რასაც მთხოვ, გავაკეთებ, ოღონდ ამას ნუ მომიკლავ. ბავშვი ხომ წაიყვანე, ამას ნუღარ ერჩი. ის იკმარე, ამას ნუღარ მომიკლავ. გევედრები, ღმერთო, ღმერთო, ნუ მოკლავ.

მომვლელმა კარი გამოაღო და ხელით მანიშნა, მოდიო. ოთახში შევყევი. როცა შევედი, ქეთრინს არ გამოუხედავს. სასთუმალთან მივედი. ექიმი იქითა მხარეს იდგა. ქეთრინმა შემომხედა და გამიღიმა. დავიხარე და ტირილი წამსკდა.

_ ჩემო საბრალო, _ წაიჩურჩულა ქეთრინმა. მიწისფერი ედო.

_ კარგად გახდები, ქეთ, ვუთხარი მე, _ მალე მორჩები.

_ ვკვდები, _ თქვა მან. და ცოტა ხნის შემდეგ: _ როგორ არ მინდა! ხელი მოვკიდე.

_ ნუ მკიდებ ხელს, _ თქვა მან. მე ხელი ვუშვი. გაიღიმა, _ ჩემო საბრალო. მომკიდე, რამდენიც გინდოდეს.

_ მალე მორჩები, ქეთ. ვიცი, რომ მალე მორჩები.

_ მინდოდა შენთვის წერილი დამეტოვებინა... რამე რომ დამემართოს-მეთქი. მაგრამ ვერ მოვახერხე.

_ მღვდელს ხომ არ მოვუხმო, ან იქნებ ვინმე გინდა?

_ შენს მეტი არავინ. _ და ცოტა ხნის შემდეგ: _ კი არ მეშინა. ისე, არ მინდა.

_ ამდენს ნუ ლაპარაკობთ, _ უთხრა ექიმმა.

_ აღარ ვილაპარაკებ, _ თქვა ქეთრინმა.

_ ხომ არაფერი გინდა, ქეთ? რამე მოგიტანო?

ქეთრინმა გაიღიმა, _ არა. _ და ცოტა ხნის შემდეგ: _ მე რომ მეუბნებოდი ხოლმე, იმ სიტყვებს სხვა ქალს ნუ ეტყვი. კარგი?

_ არასოდეს.

_ თუმცა, მინდა, რომ ქალებში იარო.

_ მე არ მინდა.

_ ძალიან ბევრს ლაპარაკობთ, _ თქვა ექიმმა, _ მისტერ ჰენრი უნდა გავიდეს. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვა. სასიკვდილო რა გაქვთ! რა სისულელეა.

_ კარგი, _ თქვა ქეთრინმა, _ ღამლამობით მოვალ შენთან. _ ძალიან უჭირდა ლაპარაკი. _ ქეთრინმა გამიღიმა. მიწისფერი ედო.

_ მივდივარ, _ ვთქვი მე.

_ ცოტა ხნით მიბრძანდით, - მითხრა ექიმმა, _ არ შეიძლება ლაპარაკი. _ ქეთრინმა გამიღიმა. მიწისფერი ედო.

_ მივდივარ, _ ვთქვი მე.

— ნუ იდარდებ, ძვირფასო, — თქვა ქეთრინმა, — სულაც არ მეშინია, ოღონდ საზიზღრობაა!

— ნუ,ჩემო კარგო, ყოჩაღო გოგონი!

დერეფანში ვიცდიდი. დიდხანს ვიცდიდი. მომვლელი ქალი გამოვიდა.

— ძალიან ცუდად არის მისის ჰენრი, — თქვა მან, — ვაითუ რამე მოუვიდეს!

— მოკვდა?

— არა, მაგრამ გრძნობა დაკარგა.

ზედიზედ მოსვლოდა სისხლისდენა. ვერასდიდებით ვერ შეუჩერეს. ოთახში შევედი და ქეთრინის სასთუმალთან დავდექი, მანამ მოკვდებოდა. გონს აღარ მოსულა, არც დიდხანს უწვალია.

გარეთ, დერეფანში ექიმსა ვკითხე:

— ამაღამ რამე არის საჭირო?

— არა. არაფერი. სასტუმრომდე მიგაცილებთ.

— გმადლობთ. ცოტა ხანს აქ დავრჩები.

— ვიცი, რომ აღარაფერია სათქმელი. ვერც კი წარმოიდგენთ...

— რა საჭიროა, — ვუთხარი მე, — სათქმელი აღარაფერია.

— ნახვამდის, — თქვა მან, — სასტუმრომდე არ მიგაცილოთ?

— არა, გმადლობთ.

— სხვა გზა აღარ იყო, — თქვა მან, — ოპერაციამ ცხადყო.

— აღარ მინდა მაგაზე ლაპარაკი.

— მინდოდა, სასტუმრომდე მიმეცილებინეთ.

— არა. გმადლობთ.

იგი დერეფანს დაუყვა. მე ოთახის კარი შევაღე.

— ჯერ არ შეიძლება, — თქვა ერთმა მომვლელმა.

— შეიძლება, — ვუთხარი მე.

— ჯერ არ შეიძლება. ნუ შემოდიხართ.

— თქვენ თვითონ გადით, — ვუთხარი მე, — ესეც.

მაგრამ როცა ისინი გარეთ გავყარე, კარი მივხურე და სინათლე ავანთე, მივხვდი, რომ მართლაც არ შეიძლებოდა. ეს ქანდაკებასთან გამოთხოვებასა ჰგავდა. ცოტა ხანში ოთახიდან გამოვედი, დაბლა დავეშვი, და წვიმაში სასტუმროსკენ წავედი.